ფილიპ როთი
ადამიანური ლაქა

ინგლისურიდან თარგმნა ლევან ინასარიძემ

ავტორის შესახებ

1997 წელს ფილიპ როთმა პულიცერის პრემია მიიღო „ამერიკული პასტორალისთვის“. 1998 წელს მას „ხელოვნების ეროვნული მედალი“ გადაეცა თეთრ სახლში, ხოლო 2002 წელს ამერიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის აკადემიის უმაღლესი ჯილდო, „ოქროს მედალი მხატვრულ ლიტერატურაში“ ხვდა წილად, რომელიც მანამდე, სხვებთან ერთად, ჯონ დოს პასოსს, უილიამ ფოლკნერსა და სოლ ბელოუს ჰქონდათ მიღებული. როთმა ორჯერ დაიმსახურა „ეროვნული წიგნის პრემია“, „ფოლკნერის კალმის პრემია“ და „სამამულო ლიტერატურის კრიტიკოსთა წრის პრემია“.

2005 წელს რომანმა „შეთქმულება ამერიკის წინააღმდეგ“ ამერიკელ ისტორიკოსთა საზოგადოების პრიზი დაიმსახურა როგორც „ამერიკის 2003-04 წლების თემატიკაზე შექმნილმა გამორჩეულმა ისტორიულმა რომანმა“, ხოლო „ნიუ-იორკ თაიმზის“ ლიტერატურულმა დამატებამ წლის საუკეთესო წიგნად დაასახელა. ასეთივე შეფასება მისცეს „სან-ფრანცისკო ქრონიქლსმა“, „ბოსთონ გლოუბმა“, „ჩიკაგო სან-თაიმსმა“, „ლოს-ანჯელეს თაიმსის“ ლიტერატურულმა დამატებამ, „ვაშინგტონ პოსტ ბუქ უორლდმა“, „თაიმმა“, „ნიუსუიქმა“ და კიდევ უამრავმა პერიოდულმა გამოცემამ. დიდ ბრიტანეთში „შეთქმულებამ ამერიკის წინააღმდეგ“ უ. ჰ. სმითის პრემია დაიმსახურა როგორც წლის საუკეთესო წიგნმა და ფილიპ როთი ამ პრემიის 46-წლიანი ისტორიის განმავლობაში პირველი მწერალი გახდა, ვინც ორჯერ მიიღო ხსენებული ჯილდო.

2005 წელს ფილიპ როთი მესამე ამერიკელი მწერალი გახდა, რომლის ნაწარმოებების აკადემიური გამოცემაც მწერლისავე სიცოცხლეში შეადგინა „ამერიკის ბიბლიოთეკამ“.

ცხრატომეულის უკანასკნელი ორი ტომი 2013 წელს გამოიცა. 2011 წელს როთმა თეთრ სახლში „ეროვნული ჰუმანიტარული მედალი“ მიიღო და „მენ ბუკერის საერთაშორისო პრემიის“ მეოთხე ლაურეატად დასახელდა. მომდევნო წელს ესპანეთის უმაღლესი ჯილდო, „პრინც ასტურიელის პრემია“ დაიმსახურა.

* * *

ოიდიპოსი

როგორ განვწმინდოთ? ხსნა რა არის ამ სიავისგან?

კრეონტი

ქვეყნიდან კაცის გაძევება, მკვლელობის მოკვლა...

სოფოკლე, „ოიდიპოს მეფე“

1. ყველამ იცის

1998 წლის ზაფხული იდგა, როდესაც ორი წლის პენსიაზე გასული ჩემი მეზობელი ქოულმენ სილქი, ახლომდებარე ათინა-კოლეჯში ანტიკური სიტყვიერების პროფესორად ოცდარამდენიღაც წელიწადი ნამუშევარი, მას მერე კი ამავე სასწავლო დაწესებულების დეკანის პოსტზე ნამყოფი, გამომიტყდა, რომ სამოცდათერთმეტი წლის ასაკში კოლეჯში მომუშავე ოცდათოთხმეტი წლის დამლაგებელთან ჰქონდა რომანი გაჩაღებული. კვირაში ორჯერ, გარდა სასწავლებლისა, ეს ქალი ჩვენს მიყრუებულ ფოსტასაც ალაგებდა, კედლებზე ფიცარაკრულ ნაცრისფერ სახლს, რომელიც ისე გამოიყურებოდა, თითქოს ოცდაათიან წლებში რომელიმე უბადრუკი ოჯახი ოკლაჰომის ქარიშხლებს აქ აფარებდაო თავს; ფოსტა ჩვენს ბორცვებიან დაბაში ავტოგასამართ სადგურსა და უნივერმაღს შორის იდგა და ამერიკის დროშა უფრიალებდა თავზე.

პირველად თურმე ასე შეხვედრიან ერთმანეთს: ქოულმენი დახურვამდე რამდენიმე წუთით ადრე მისულა ფოსტაში კორესპონდენციის წასაღებად, ქალბატონი კი თურმე

ჩამუხლული იატაკს ხეხავდა. ქოულმენს მაშინვე შეუთვალიერებია ეს მაღალი, მოფერფლისფროთმიანი ქალი, ზურგზე დაშვებული კიკინით. ქალს ქანდაკებასავით პირხმელი სახე ჰქონია, რომელიც, ჩვეულებრივ, დილიდან დილამდე მუხლჩაუხრელად მომუშავე ახალინგლისელი ოჯახის დიასახლისსა და ადრეულ კოლონიურ წლებში მრავალჭირნახულ ქალს მოაგონებს ადამიანს, ღვთისმოშიშსა და უფლის კანონებით მცხოვრებს. მას ფაუნია ფარლი რქმევია და გადატანილ ჭირ-ვარამს თურმე მისი ლოყებჩაცვენილი, პირქუში სახე მარტოობის ნიღბის მიღმა მალავდა. საცხოვრებლად ამ ქალს ახლომდებარე სარძევე ფერმაში ჰქონია ბინა დადებული, სადაც ბინის ქირას ძროხების წველით იხდიდა და გაჭირვებით ეწეოდა ცხოვრების ჭაპანს. განათლებით ვერ დაიკვეხნიდა, დაწყებითი სკოლა და კიდევ ორი საშუალო კლასი ჰქონია გავლილი.

იმ ზაფხულმა, როდესაც ქოულმენმა ეს საიდუმლო გამანდო, მართლაც ყველას დაგვამახსოვრა თავი, რადგან ბილ ქლინთონის საიდუმლო თავისი დეტალებითურთ ყველასთვის გახდა ცნობილი – ნამდვილი, მაგრამ დაუჯერებელი დეტალები, რომელთა სიმართლეცა და დაუჯერებლობაც ვითარების პიკანტური გარემოებით აიხსნებოდა. მსგავსი რამ მას მერე არ განგვეცადა, რაც ახალგამომცხვარი მის ამერიკის პიკანტურ ფოტოებს გადააწყდა ვიღაც «პენტჰაუსში», სადაც ეს მშვენიერი ქალიშვილი ნაირ-ნაირ პოზაში იყო გადაღებული – ხან მუხლებზე და ხან ზურგზე, – რის შემდეგაც ამ სახელგანთქმულმა გოგონამ გვირგვინზე უარი თქვა და უმაღლესი დონის პოპვარსკვლავად გადაიქცა. ოთხმოცდათვრამეტი წლის ზაფხული ახალ ინგლისში უჩვეულოდ თბილი და მზიანი დაიჭირა, ბეისბოლში კი ის ზაფხული ბიტის[1] ორი ღმერთის – თეთრისა და ყავისფრის – შერკინების ხანად მოინათლა, ხოლო თავად ამერიკაში წესრიგმა და კეთილზნეობამ არნახულად გაშალა ფრთები, როდესაც ტერორიზმმა ჩვენი ქვეყნის უდიდესი საფრთხე – კომუნიზმი ჩაანაცვლა და თავად კი ორალურ სექსს დაუთმო ადგილი, როდესაც შუახნის პრეზიდენტმა და უდარდელმა ოცდაერთი წლის გოგონამ, როგორც მოზარდებმა ავტოსადგომზე, ოვალურ დარბაზში ამერიკის უძველესი ჟინი – შესაძლოა, ისტორიულად ყველაზე საბედისწერო და მავნებელი – ფარისევლობის ექსტაზი გააღვიძეს. კონგრესში

თუ მედიასაშუალებებში, ერთი სიტყვით, ყველგან, შეტევა დაიწყო და დროშასავით აფრიალდა ხელოვნურად მაღალზნეობრივი სისაძაგლე, რომელიც მორალის სახელით ბრალმდებელიც იყო და განადგურებასაც უქადდა უზნეოთ, და ისეთი დევნა ჰქონდა გამოცხადებული მათზე, თითქოს იმ დევნის სულით ყოფილიყოს შეპყრობილი, XIX საუკუნის სამოციან წლებში ჩემს ამჟამინდელ სახლთან ახლოს მცხოვრები ჰოთორნი[2] რომ წერდა; ერთგვარი განმწმენდი რიტუალის მეშვეობით ამ ხალხმა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში ერექციის მოსპობა განიზრახა და ყველაფრისთვის კეთილსახიერების მინიჭება სცადა, რითიც სენატორ ლიბერმანის ათი წლის ქალიშვილს მამიკოსთან ერთად ტელევიზორის ყურების ნება დაერთო. მამიკო კი ამ დროს სულით ხორცამდე იყო შეძრული. არა, თუკი აქ არ გიცხოვრიათ 1998 წელს, არც ის გეცოდინებათ, ფარისევლობა რას ეწოდება. უილიამ ბაქლი,[3] რომელსაც სვეტი აქვს დათმობილი კონსერვატიულად განწყობილ გაზეთებში, წერდა: «როდესაც ამდაგვარი საქციელი აბელარმაც ჩაიდინა, მაშინ საშუალება გამოინახა, რომ მსგავსი რამ აღარ გაემეორებინაო», – ამით მან პრეზიდენტის საქციელზე მიგვანიშნა, მით უმეტეს, სხვა ადგილას ქლინთონს «თავაშვებულ ავხორცობაში» დასდო ბრალი, – და იმპიჩმენტისგან განსხვავებით სულ სხვა განაჩენისკენ გვიბიძგა: დიახ, არც მეტი, არც ნაკლები, იმდაგვარი დასახიჩრება იგულისხმა, რომლითაც XII საუკუნეში კანონიკ აბელარს გაუსწორდნენ კანონიკ ფულბერის დანიანი ხელქვეითები. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ აბელარს ფულბერის ძმისწულ ელოიზასთან საიდუმლო კავშირსა და ქორწინებაში დასდეს ბრალი. ხომეინისგან განსხვავებით, რომელმაც თავისი ფეთვით სალმან რუშდის სიკვდილი მიუსაჯა, ბაქლის სანუკვარ ოცნებად მხოლოდ დამნაშავის დასაჭურისება ექცა, თუმცა ამ საქმის შემსრულებლისათვის ფულადი ჯილდოს დაწესება არც გახსენებია, არადა, აიათოლასავით მომთხოვნი და მასავით მაღალზნეობრივი იდეალებით ნასაზრდოებიც კი აღმოჩნდა.

ამერიკას იმ ზაფხულს გულისრევა ვერ ასცდა, რადგან არც ხუმრობა შეუწყვეტია, არც განსჯა-განხილვისა და გადაჭარბებული ნააზრევების ფრქვევისთვის დაუკლია ხელი, მით უმეტეს, რომ იმ დროს ზნეობრივი აუცილებლობა,

ბავშვებისთვის აეხსნათ უფროსების ცხოვრება, დაჯაბნა მოზარდებში იმ იდეალების შენარჩუნების მორალურმა აუცილებლობამ, რომ მათ უფროსების პატივისცემა არ დაეკარგათ, ამ დროს კი ადამიანური ყოფა უბრალოდ სულს ღაფავდა, ხალხში თითქოს ავი სული ჩასახლდა და მომხრეცა და მოწინააღმდეგეც გაოცებული იყო, ჭკუიდან ხომ არ გადავედითო? იმ დროს ქალიცა და კაციც დილით თვალს რომ გაახელდნენ, აღმოაჩენდნენ, რომ ღამით, როდესაც შურისა და ზიზღის სამყაროდან ძილის სამეფოში იყვნენ გადანაცვლებული, ქლინთონის თავხედობა ხიბლავდათ კიდეც. მე რაც შემეხება, მხოლოდ ერთი ოცნება მქონდა: მსურდა, თეთრი სახლი ქრისტოს[4] მანერისებურად უზარმაზარ ტილოში გაეხვიათ და ზედ წაეწერათ: აქ ადამიანი ბინადრობს. სწორედ იმ ზაფხულს აღმოჩნდა (იქნებ ათასში ერთხელ ხდება ასე), რომ ადამიანური აურზაური, ნაგავნუგავი, ალიაქოთი უფრო რთული ჩასაწვდომია, ვიდრე ვიღაცის იდეური პოზიცია ან კიდევ მორალური სახე. ეს სწორედ ის ზაფხული გახლდათ, როდესაც ყველას პრეზიდენტის პენისი უტრიალებდა თავში და ამ ურცხვმა არასრულფასოვნებამ ამერიკას კვლავ დავთრები აურია.

* * *

ქოულმენი ზოგჯერ დამირეკავდა ხოლმე შაბათობით და ბორცვის მეორე მხარეს მიმიწვევდა სტუმრად, ანუ თავისთან, მუსიკის მოსასმენად ან კუნკენის სათამაშოდ, ქულაზე თითო ცენტად, ან უბრალოდ, სალაყბოდ. ჭიქა კონიაკს ვწრუპავდით ხოლმე მის სასტუმრო ოთახში და მოსაღამოებულზე დროის მოკვლაში ვეხმარებოდი, რადგან კვირის ბოლო დღე მისთვის ყველაზე საშინელი დრო იყო. უკვე ორი წელიწადი იქნებოდა, რაც დიდ, თეთრ ფიცარაკრულ სახლში, სადაც თავის მეუღლე აირისთან ერთად ოთხი შვილი გაზარდა, მარტო ცხოვრობდა. მარტო კი მას მერე დარჩა, რაც აირისი უეცრად ინსულტმა შეიწირა, ეს კი სწორედ იმხანად მოხდა, როდესაც თავის კოლეჯთან გაგანია ბრძოლაში იყო ჩართული, რადგან ორმა სტუდენტმა გოგონამ რასიზმში დასდო ბრალი.

ქოულმენს «ათინაში» თითქმის მთელი ცხოვრება ჰქონდა გატარებული, ვგულისხმობ პედაგოგობის პერიოდს, და მუდამ

კომუნიკაბელურობით, მახვილგონიერებით, სიდინჯითა და დედაქალაქური ხიბლით გამოირჩეოდა; ნაწილობრივ მებრძოლი იყო, ნაწილობრივ – გაქნილი ტიპი, რომელსაც იმ პედანტისა არაფერი ეცხო, რომელიც სტუდენტებს ლათინურსა და ბერძნულს ჩასჩიჩინებს ხოლმე (არადა, რაოდენ გასაკვირიც უნდა გვეჩვენოს, «ბერძნულ-ლათინური სალაპარაკო კლუბი» სწორედ მან დააარსა ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში). მისმა არააკადემიურობამ, პირდაპირობამ და საკუთარი თავის რწმენამ აქცია სტუდენტებში პოპულარულ საგნად მისი ძველი ბერძნული ლიტერატურის მიმოხილვითი კურსი (ცხადია, თარგმნილ ვარიანტში მოგახსენებთ, კურსს კი შინაურულად «ღგმ» შეარქვეს, ანუ «ღმერთები, გმირები, მითები»).

«იცით, რითი დაიწყო ევროპული ლიტერატურა? – ჰკითხავდა ხოლმე გამოძახებულ სტუდენტს, – ჩხუბით! მთელ ევროპულ სიტყვიერებას საფუძვლად დიდი აურზაური დაედო, – მერე გადაშლიდა «ილიადას» დასაწყისს და ხმამაღლა იწყებდა კითხვას: «რისხვას, ღმერთქალო, უგალობე აქილევსისა, აქაველთ თავს რომ დაატეხა ვნება ულევი... მტრად მოეკიდნენ ოდეს ერთურთს მამაცთა მეფე აგამემნონ და აქილევსი, ღმერთის სადარი». მაშ, რაზე მოუვიდა ამ ორ შმაგ პიროვნებას უთანხმოება? ალბათ, იმავეზე, რაზეც მთვრალები ატეხენ ხოლმე მუშტი-კრივს სალუდეში – დედაკაცის გამო, ცხადია! უფრო სწორად კი იმ გოგოს გამო, მამას რომ წაჰგვარეს როგორც ნაალაფარი. მია კორე – ასე უწოდებს მას ჰომეროსი. მია, რომელიც ახალ ბერძნულში იქცა განუსაზღვრელ არტიკლად მნია, ნიშნავს «ერთს», ხოლო «კორე» – «ქალიშვილს», რომელიც უკვე თანამედროვე ენაში წარმოითქმის როგორც კორი. როგორც ირკვევა, აგამემნონს ეს გოგონა თავის მეუღლე კლიტემნესტრას ერჩივნა. «არც მისი ქრისეიდაა ნაკლები, – ამბობს ის, – პირმშვენიერი, კეთილი საქმით და სახით!» ამიტომაც არ სურს მისი გაშვება, – როგორც ხედავთ, ყველაფერი ნათელია. როდესაც აქილევსმა აგამემნონს მოსთხოვა, გოგონა მამამისისთვის დაებრუნებინა და განრისხებული აპოლონის გული მოელბო, ამ უკანასკნელმა თავხედურად მიუგო, მხოლოდ მაშინ დავუბრუნებ, როდესაც აქილევსი გამოიმეტებს თავის გოგონასო. აქილევსი ისევ განრისხდა. გამძვინვარდა ეს შმაგი ვაჟკაცი, შმაგი შმაგთა შორის, რომლის აღწერაც კი ოდესმე უტვირთიათ კალმოსნებს. მრისხანე აქილევსი – ყველაზე სასტიკი მთელი ომის

ისტორიაშიც კი, თუკი მის თავმოყვარეობასა და ჟინს შეეხებოდა ვინმე. ჩვენი სახელმოხვეჭილი აქილევსი ერთი წკიპურტის გამო ყველას გაერიყა და განუდგა. ამ დიადმა გმირმა გოგონას დაბრუნებაზე უარით გამოწვეული წყენის გამო სწორედ იმ საზოგადოებას აქცია ზურგი, რომლის ფალავან დამცველადაც გვევლინებოდა და რომელსაც ასე ესაჭიროებოდა მისი მარჯვენა. და აი, უთანხმოება – ულმობელი შერკინება გოგონას გამო, მისი ნორჩი სხეულისა და შლეგური ხორციელი ჟინის გულისთვის. და თავად განსაჯეთ, ღირდა თუ არა, ამხელა დავიდარაბა ფალოსურ საკუთრებაზე! წარმოგიდგენიათ, მათი ბელადის რამხელა ფალოსურ ღირსებაზეა დაფუძნებული და დამყნილი დიადი, თვალისმომჭრელი ევროპული ლიტერატურა და ამიტომაც არის, რომ თითქმის სამი ათასი წლის შემდეგაც კი, ანუ დღეს, მასზე საუბარს სწორედ აქედან ვიწყებთ...»

ათინა-კოლეჯში მოხვედრით ქოულმენი იმ ერთი მუჭა ებრაელობას შეერია, რომელიც იქ იყო დასაქმებული, და შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი პირველი ებრაელი გახდა ამერიკაში, რომელიც ანტიკური სიტყვიერების კათედრაზე დაუშვეს. რამდენიმე წლით ადრე «ათინას» ერთ-ერთ ებრაელად შეგვიძლია მივიჩნიოთ აწ უკვე მივიწყებული მოთხრობათა ავტორი ე. ი. ლანოფი, რომელსაც მე, ახალბედა კალმოსანი, ვისაც გამოცდილი ოსტატის მხარდაჭერა და დახმარება მესაჭიროებოდა, ჩემთვის დაუვიწყარი ვიზიტით ვეწვიე. გარდა ამისა, სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში ქოულმენი ერთადერთი და თან პირველი ებრაელი გახლდათ, რომელსაც ათინა-კოლეჯში დეკანის პოსტის დაკავების პატივი ხვდა წილად. მოგვიანებით, 1995 წელს, ადმინისტრაციული პოსტი დატოვა, რათა კარიერის დასასრულ კვლავ დაჰბრუნებოდა თავის აუდიტორიას და ენისა და ლიტერატურის გაერთიანებულ კათედრაზე, რომელსაც ანტიკური სიტყვიერების ფაკულტეტი ჰქონდა გადაყლაპული და რომელსაც პროფესორი, ქალბატონი დელფინა რუ უძღვებოდა, თავისი ორი კურსის კითხვა განეგრძო. დეკანის პოსტზე ყოფნისას ქოულმენი ახალი პატივმოყვარე რექტორის მხარდაჭერას გრძნობდა და იქნებ ამიტომაც არ გასჭირვებია ამ დრომოჭმული, ობმოკიდებული და მიძინებული კოლეჯის ძალისმიერი მეთოდებით გამოცოცხლება, რომელიც მოსოფლელო ბატონების ხელში ჩავარდნილიყო.

დაუნანებლად მოჰკიდა ყველას ხელი «ძველი გვარდიიდან» და ნაადრევ პენსიაზე გაისტუმრა, სამაგიეროდ, ახალგაზრდა, მოაზროვნე, ამბიციური კადრებიც მოიყვანა და სასწავლო პროგრამებიც რევოლუციას დაუქვემდებარა. ისე, უეჭველია ერთი რამ – უსკანდალოდ რომ წასულიყო კოლეჯიდან, მის პატივსაცემად კრებულსაც გამოუშვებდნენ, ლექციათა ციკლსაც დააწესებდნენ და ანტიკური სიტყვიერების კვლევების კათედრას მის სახელსაც მიანიჭებდნენ; ან იქნებ XX საუკუნის დამლევს ათინა-კოლეჯის აღორძინებაში მისი წვლილის გახსენებისას მისი სახელი ჰუმანიტარული კორპუსისთვის, ან ნორთ-ჰოლისთვის, ნაგებობის ყველაზე სამაგალითო ნაწილისთვის, მიენიჭებინათ სიკვდილის შემდგომ. იმ აკადემიურ სამყაროში, სადაც ცხოვრების დიდი ნაწილი ჰქონდა გატარებული, ქოულმენი ძალიან მალე გადაიქცეოდა უკამათო, თითქმის ყველასათვის მისაღებ და სათნო ადამიანად, რომლისთვისაც განგებას სამუდამო პატივი ურგუნებია.

მაგრამ საშტატო პროფესორის პოსტზე დაბრუნებიდან თითქმის მეორე სემესტრის შუალედში ქოულმენს იმისთანა რამ წამოსცდა, რის გამოც ნებით გაწყვიტა ყოველგვარი კავშირი კოლეჯთან. სწორედ ის ერთი სიტყვა აღმოჩნდა დამღუპველი მრავალთა შორის, რომლებიც «ათინას» კედლებში, ალბათ, ამ ხნის განმავლობაში მილიონობით ჰქონდა წარმოთქმული. ამ სიტყვას ქოულმენი თავისი ცოლის გარდაცვალების უშუალო მიზეზად მიიჩნევდა.

ჯგუფში თოთხმეტი სტუდენტი ირიცხებოდა. რამდენიმე პირველი ლექციის წინ ქოულმენი ყველას სათითაოდ იძახებდა, უფრო სწორად კი, სიას კითხულობდა, რათა სტუდენტების ვინაობა დაემახსოვრებინა. და რაკი ორი სტუდენტი გოგონა ხუთი სალექციო კვირის განმავლობაში არც ერთხელ არ გამოჰპასუხებია, მეექვსე კვირას ქოულმენმა კითხვა დასვა:

– იქნებ რომელიმე თქვენგანი იცნობს მათ? ის მაინც ვიცოდე, ხორციელი არსებები არიან თუ მოჩვენებები?

ქოულმენი იმავე დღეს გამოიძახა ახალმა დეკანმა; ამ ქალბატონს მისი ადგილი დაეკავებინა დეკანატში და აცნობა, რომ ის ორი გოგონა შავკანიანი ყოფილა და ლექციების გაცდენას მათთვის ხელი არ შეუშლია, გაეგოთ მათზე ნათქვამი

სიტყვა «მოჩვენებები», რაც პროფესორის წმინდა პროფესიული ფრაზა უფრო იყო, ვიდრე ვინმეს შეფასება, და რასიზმშიც დაედანაშაულებინათ ღვაწლმოსილი ბატონი. ქოულმენმა თავი იმართლა:

– მე მხედველობაში მქონდა მათი მოჩვენებითი ბუნება, განა ნათელი არ არის? ეს წყვილი მეცადინეობაზე ერთხელაც არ გამოჩენილა. მათზე არც არაფერი ვიცოდი. სიტყვა «მოჩვენებები» ჩვეულებრივი და პირველადი მნიშვნელობით ვიხმარე – ანუ როგორც «ზმანებები», «მოლანდებები». მათი კანის ფერზე არაფერი ვუწყოდი. ერთი ორმოცდაათი წლის წინ, ალბათ, მეცოდინებოდა კიდეც, რომ «მოჩვენებებად» შავკანიანებს მოიხსენიებდნენ, მაგრამ ახლა, ჩვენს დროში, წარმოდგენითაც ვერ წარმოვიდგენდი, რომ ეს სიტყვა ვინმეს ეწყინებოდა. მით უმეტეს, მუდამ იმის ცდაში ვარ, არავის ვაწყენინო და განგებ რატომ შეურაცხვყოფდი ვინმეს ღირსებას. აქ კონტექსტიც ყურად უნდა ვიღოთ: «ხორციელი არსებებია თუ მოჩვენებები?» – რასიზმის თემა აქ ყურით მოთრეულია; ან გნებავთ, თითიდან გამოწოვილი ვუწოდოთ. ეს იმდენად უგუნური ბრალდებაა, რომ სტუდენტი იქნება თუ ჩემი კოლეგა, დიდი თუ პატარა, ყველა ხვდება. ერთადერთი, რასაც საქმე ეხებოდა, ის გახლავთ, რომ ხსენებული სტუდენტები აკადემიურად ჩამორჩენილები არიან და სასწავლო კურსს არად დაგიდევენ. იცით, რა მაბრაზებს? არა მხოლოდ აბსურდულობა, არამედ ბრალდების შეუწყნარებელი აბსურდულობა! – ქოულმენმა მიიჩნია, რომ თავის დასაცავად საკმარისად და საკმაოდ გასაგებად გამოხატა აზრი, ამიტომ, როგორც იტყვიან, ქუდი დაიხურა და შინისაკენ გასწია.

როგორც ჩემთვის ცნობილია, პედაგოგსა და უმაღლეს ადმინისტრაციას შორის თანამდებობაზე მყოფი საშუალო დონის დეკანებიც კი ბევრ ვინმეს მტრად მოიკიდებენ ხოლმე. მუდამ როდი შეუძლიათ, ხელფასი მოგიმატონ ან სასურველი ადგილი გამოგიყონ ავტოსადგომზე, ან პროფესორის შესაფერი ფართო და ნათელი კაბინეტით უზრუნველგყონ. კანდიდატურებს დაწინაურებაზე ან, ვთქვათ, სუსტ კათედრებზე ახალ დანიშვნებზე მყისიერად უარით პასუხობენ. კათედრების თხოვნა დამატებით პედაგოგიურ რესურსზე ან სამდივნო ადგილებზე თითქმის არასოდეს კმაყოფილდება, ისევე როგორც მოთხოვნები სასწავლო დატვირთვის მოხსნასა და დილის საათების შემცირებაზე.

კონფერენციებზე წასასვლელად საგზაო ხარჯებზე ხომ მუდამ უარს აცხადებენ. მოკლედ, ამ ყველაფერს ერთი დიდი უარი უნდა ერქვას. მაგრამ ქოულმენს საშუალო დონის დეკანი არ ეთქმოდა და არც იყო! იმდენი ვინმე მოაცილა და ჩამოაცილა კოლეჯს, იმდენი რამ დააწესა მავანთა დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, რომ შურიანებისა და შარიანების უკმაყოფილება და წყენა გამოიწვია. რაკი პირს რობერთსის, ახალგაზრდა, ლამაზი და მიმწოლი რექტორის მფარველობა იგრძნო, რომელსაც ერთი ჭაღარაც კი არ ერია და თანამდებობაზე დანიშვნისთანავე ჩვენი გმირი დეკანად დანიშნა, თან ყველას პირში მიახალა, ვისაც ცვლილებები და წინსვლა არ უნდა, ან სხვაგან ეძებოს ადგილი, ან პენსიაზე გავიდესო, ქოულმენმა ყველაფერი ძირფესვიანად შეცვალა. როდესაც მას თექვსმეტწლიანი დეკანობის ნახევარი უკვე გავლილი ჰქონდა, რობერთსმა მაცდუნებელი წინადადება მიიღო საშუალო დასავლეთის «დიდი ათიანის» ერთ-ერთი უნივერსიტეტიდან. მას რექტორის პოსტს სთავაზობდნენ «ათინას» სწრაფმზარდი მიღწევებისთვის, რამაც ამ უკანასკნელს სახელი გაუთქვა, თუმცა ამ ყოველივეს უკან იდგა არა იმდენად ბრწყინვალე რექტორი, რომელიც სახსრების მოპოვებით უფრო იყო დაკავებული და უმწიკვლოდ მიბრძანებულს თეთრ რაშზე უწევდა კოლეჯის დატოვება, არამედ შეუპოვარი დეკანი.

ქოულმენი მუშაობას სრული ბატონ-პატრონის პოზიციიდან შეუდგა და პირველივე თვეში თითო-თითოდ მიიწვია სასაუბროდ თავის კაბინეტში როგორც შედარებით ახალი, ასევე ძველი და ღვაწლმოსილი პროფესორები, თან აბსოლუტურად არად ჩააგდო ადგილობრივი ცნობილი ოჯახების შთამომავლები, რომელთაც თავის დროზე არცთუ ურიგო თანხა ჰქონდათ შემოწირული კოლეჯის დასაფუძნებლად და კეთილმოსაწყობად. ხსენებული პროფესორები უფულობას არ უჩიოდნენ, მაგრამ ხელფასს სიამოვნებით იღებდნენ. თითოეულ მათგანს ბიოგრაფიის მიტანა სთხოვეს, თუმცა ზოგიერთმა, აქაოდა, ისედაც სახელმოხვეჭილი ვარო, არ იკადრა მიტანა, რასაც ხელი არ შეუშლია ქოულმენისთვის, რადგან თითო-თითო ასლი ისედაც მაგიდაზე ეწყო. წვეული პედაგოგები კარგა ერთი საათით დააყოვნა კაბინეტში, რითაც მიანიშნა, რომ «ათინაში» სიტუაციას უკვე თვითონ აკონტროლებდა და მართვის სადავეებიც კარგად ეჭირა. ბევრს ცივმა ოფლმა დაასხა.

ქოულმენი სრულიად მშვიდად და უდარდელად ეკითხებოდა რომელიმე პროფესორს:

– კი მაგრამ, ეს ბოლო თერთმეტი წელიწადი რითი იყავით დაკავებული? – და ერთხელაც, როდესაც უკვე მერამდენედ მიუთითეს კოლეჯის პერიოდულ გამოცემა «ათინა-ნოუთსში» გამოქვეყნებულ სტატიაზე ფილოლოგიური, ბიბლიოგრაფიული და არქეოლოგიური შენიშვნებისა და წერილების შესახებ, რომლებიც მის წინ მჯდომ ადამიანს თავისი ძველი საკანდიდატო დისერტაციიდან ჰქონდა ამოჭრილი მიმეოგრაფზე დასაბეჭდად და წელიწადში ოთხჯერ «გამოსაქვეყნებლად» რუხ მუყაოში გადახვეულ ქაღალდის ნაგლეჯზე, რომელიც მსოფლიოს არც ერთ კატალოგში არ მოიძებნებოდა, გარდა კოლეჯის ბიბლიოთეკის კატალოგისა, არც აცია, არც აცხელა და პირდაპირ დაუსვა კითხვა (უპრიანი იქნებოდა, გვეთქვა, პირში მიახალაო), თან ისე, რომ აქამდე არსებული თავაზიანობის კანონი, როგორც იტყვიან, სულ ფეხებზე დაიკიდა:

– ხალხო, თქვენ რა, საკუთარი ნაგვის გადამუშავებას ახდენთ? – ამის მერე «ათინა-ნოუთსი» არა მარტო გააუქმა და რედაქტორის სიმამრს, რომელიც ერთი ბეწო შემოწირულობას იმეტებდა ამ გამოცემისათვის, ფული უკან დაუბრუნა, არამედ მობერებული პედაგოგების პენსიაზე გასვლის დასაჩქარებლად ის კურსიც გააუქმა, რომელსაც ისინი კარგა ოცი-ოცდაათი წლის განმავლობაში უკვე დაზეპირებულს კითხულობდნენ. ეს პატიოსანი გვამები პირველკურსელებთან ინგლისურის წასაკითხად და ვინც ამ გაგანია ზაფხულის ბოლო დღეებში ხელახლა აბარებდა, მათთვის ისტორიის მიმოხილვითი კურსისა და საორიენტაციო პროგრამის გასაცნობად გადაისროლა. ქოულმენმა ავადსახსენებელი «წლის მეცნიერის» პრემია გააუქმა და ამ საქმისათვის საჭირო ათას დოლარსაც მოუძებნა გზა. კოლეჯის ისტორიაში პირველად მან აიძულა მასწავლებლები სამეცნიერო სამუშაოსთვის წლიური შვებულების მისაღებად ოფიციალური განცხადება დაეწერათ და სამუშაო გეგმაც წარმოედგინათ, რაზეც, სიმართლე გითხრათ, ადმინისტრაციის თანხმობა მეტად იშვიათი რამ გახდა. პედაგოგთა სასადილო, რომელიც ძვირფასი მუხის პანელებით იყო მოპირკეთებული, კვლევითი სემინარების აუდიტორიად გადააკეთა, რისთვისაც თავდაპირველად იყო განკუთვნილი, შედეგად კი ლექტორებს სტუდენტებთან

ერთად მოუწიათ სადილობამ. დაჟინებით მოითხოვა პედაგოგთა შემადგენლობის კრების ჩატარება, არადა, მისმა წინამორბედმა სწორედ ამ კრების გაუქმებით მოიხვეჭა სახელი. ქოულმენმა მდივანს დაავალა ყველა დამსწრე-არდამსწრეთა აღრიცხვა, ასე რომ, ყველაზე კუდაბზიკა პედაგოგებსაც კი მოუწიათ, კვირაში სამი საათით შეკრებილიყვნენ და თან სიტყვაც არ დასცდენოდათ. «ათინას» წესდებაში ერთი პუნქტი აღმოაჩინა, რომელიც მიუთითებდა, რომ კოლეჯში აღმასრულებელი კომიტეტების შექმნა აკრძალულია, რადგან მსგავსი ტიპის კომიტეტები ყოველგვარ სერიოზულ ცვლილებას აფერხებდა და ხელს უშლიდა განვითარებას. არადა, ეს ხორცმეტები პირობით ტრადიციებზე იყო აღმოცენებული და მყარად ფესვგამდგარი, ამიტომ ყველა დაუყოვნებლად გააუქმა. პედაგოგთა კრებას მეტწილად იმისათვის იყენებდა, რომ კოლეგებისთვის თავისი გეგმები და მიზნები გაეცნო, რაც დამსწრეთა უკმაყოფილებას კიდევ უფრო ამძაფრებდა. როგორც იტყვიან, ცეცხლზე ნავთს ასხამდა. მისი ხელისუფლების პერიოდში დაწინაურება ერთობ გაჭირდა, რაც უდიდესი დარტყმა გახლდათ კოლეჯის პედკოლექტივზე – არავის დააწინაურებდნენ მხოლოდ იმ საბაბით, რომ ამა თუ იმ ლექტორის ლექციები პოპულარობით სარგებლობდა სტუდენტებში, და აღარც ჯამაგირს უმატებდნენ ვინმეს. მოკლედ, ქოულმენმა «მეტოქეობისა» და «კონკურენციის» სული მოიტანა სასწავლო დაწესებულებაში, უფრო კონკრეტულად კი «ებრაული სული» მოაფრქვია ყველაფერს, როგორც ერთხელ მისმა «კეთილისმსურველმა» შენიშნა გესლიანად. როდესაც უკმაყოფილო პედაგოგები საჩივლელად პირს რობერთსს მიადგებოდნენ ხოლმე, ეს უკანასკნელი რატომღაც მუდამ ქოულმენს უჭერდა მხარს.

რობერთსის დროს ბევრი ნიჭიერი და თვალსაჩინო ახალგაზრდა აიყვანა სამსახურში, უმეტესობას იელის, ქორნელისა და ჯონ ჰოფქინსის უნივერსიტეტები ჰქონდა დამთავრებული და ნიჭის გამოვლენაღა აკლდა, რისი საშუალებაც მან უანგაროდ შეუქმნა. «ხარისხის რევოლუციაო», ხშირად იტყოდნენ ხოლმე ახალბედები ჭარმაგი დეკანის საქციელზე. ქოულმენს იმისთვისაც აფასებდნენ ახალგაზრდა სპეციალისტები, რომ ეს უკანასკნელი მათ პატარა სამყაროში დრომოჭმულ ელიტას შეღწევის საშუალებას არ აძლევდა, პირიქით, მხცით მოსილ მედიდურობას მუდამ წყალს

უყენებდა და ამით დროული პროფესორების გულისწყრომას იწვევდა. ამ ბებრუცანების საყრდენი წერტილი თვით- და ურთიერთშეფასება გახლდათ, ხშირად იტყოდნენ ხოლმე ერთიმეორეზე, «ძვ. წ. 100 წლის საუკეთესო მცოდნეაო» ან რაიმე მსგავსს, მაგრამ უფროსობის ზეწოლით მათი თვითრწმენა შეირყა და ბოლო წლებში ისე მიმოიფანტნენ ეს თვითშეფასებული სპეციალისტები, როგორც მიწაზე დაყრილი ფოთოლი ძლიერი ქარის დროს. მათრობელა წლები! მერე პირსს მიჩიგანში მოუწია უფრო მაღალ თანამდებობაზე გადასვლამ, მის ადგილას მოსულ ჰეინზს კი ქოულმენი არც ისე მოუვიდა თვალში, რომ ისიც დაეცვა და მისი ხისტი დიქტატურისთვისაც დაეკრა ტაში, რომლის წყალობითაც მან ასე სწრაფად მოახერხა კოლეჯის გასუფთავება. ის ახალგაზრდები კი, რომლებიც შტატში აიყვანა ან უბრალოდ დაიქირავა სალექციო კურსისთვის, თანდათან ვეტერანებად გადაიქცნენ და დეკან სილქით აღფრთოვანებაც ნელ-ნელა გაუქრათ ან საერთოდ უკმაყოფილებაში გადაეზარდათ. თუმცა თავად ქოულმენი ამას იქამდე ვერ ამჩნევდა, სანამ კათედრა-კათედრა არ გამოჩხრიკა ყველა მათგანი, რომელთაც, მათივე ქცევიდან გამომდინარე, სულაც არ სწყენიათ, რომ სიტყვა «მოჩვენებები», რომელიც მან მხოლოდ და მხოლოდ უქნარა სტუდენტების მისამართით გამოიყენა, ორმა შავკანიანმა გოგონამ შეურაცხმყოფელი რასიზმის გამოვლინებად მიიჩნია და დასდო კიდეც ბრალი ალალ-მართალ ადამიანს.

* * *

კარგად მახსოვს, აპრილი იდგა, როდესაც აირის სილქი გარდაიცვალა, ქოულმენი კი ლამის ჭკუიდან გადავიდა ამის გამო. მანამდე ერთმანეთს შორიდან ვიცნობდით – მაღაზიაში ან ფოსტაში თუ გადავეყრებოდით ერთმანეთს და თავის დაკვრას ვჯერდებოდით, – შესაბამისად, სილქების ოჯახზეც ბევრი არაფერი ვიცოდი. ისიც კი არ ვიცოდი, რომ ქოულმენი ისთ-ორინჯში იყო გაზრდილი, ნიუ-ჯერსის შტატის ესექსის ოლქის დაბაში, ანუ იმ დაბიდან ხუთიოდე მილში, სადაც თავად მე გავიზარდე, და რომ 1944 წელს ადგილობრივი სკოლაც დაამთავრა ჩემზე ექვსი წლით ადრე; თავად მე კი მეზობლად, ნიუარკის სკოლა დავამთავრე. ქოულმენს ჩემთან

დაახლოების არავითარი სურვილი არ გამოუმჟღავნებია, თუმცა არც მე ვიყავი ნიუ-იორკიდან იმიტომ გადმოსული ბერქშირ-ჰილის გზისპირა მინდვრებში მდგარ ოროთახიან სახლში, რომ ან ქოულმენი გამეცნო, ან ადგილობრივ საზოგადოებაში გადავშვებულიყავი თავით. 1993 წელს, ანუ გადმოსვლიდან რამდენიმე თვეში, მივიღე რამდენიმე მიწვევა ხან სადილზე, ხან ჩაიზე; ზოგჯერ კოქტეილის დასალევად მეპატიჟებოდნენ, ზოგჯერაც ლექციების წასაკითხად ლიტერატურაში ან სტუდენტებთან გასასაუბრებლად, მაგრამ თავპატიჟი გამოვიდე და ყველას თავაზიანი უარი ვუთხარი. მერე, როგორც იქნა, მიხვდნენ, რომ თავი უნდა დაენებებინათ და შემეშვნენ. მეც საშუალება მომეცა, ჩემი საქმე მეკეთებინა, უფრო ზუსტად კი კონცენტრირება მომეხდინა სამუშაოზე.

იმ დღეს, როდესაც ქოულმენმა კარზე მომიკაკუნა, დამკრძალავი ბიუროდან მოდიოდა, სადაც აირისის დასაფლავების საქმეზე იყო მოსალაპარაკებლად. მართალია, სერიოზული და მნიშვნელოვანი თხოვნით მეწვია, ოცდაათ წამსაც ვერ მოახერხა ერთ ადგილას ჯდომა, რომ როგორმე ეთქვა სათქმელი. ხან დგებოდა, ხან ჯდებოდა, დაბორიალებდა, ბოლთას სცემდა ჩემს კაბინეტში, ხმამაღლა, არეულად ისროდა წყვეტილ ფრაზებს და იქნებ შთაბეჭდილების მოსახდენადაც მუშტებს იქნევდა ჰაერში. როგორც მივხვდი, რაღაც უნდა დამეწერა მისთვის – თუმცა ეს კი არ მთხოვა, ლამის მიბრძანა. მითხრა, ეს ისტორია მე რომ დავწერო მთელი თავისი სისულელითა და სიზუსტით, არავინ დაიჯერებს, ჩირადაც არავინ ჩააგდებს, ხალხი იფიქრებს, სასაცილო ჭორია, მიკერძოებული გადაჭარბება, და მისი დაცემის მიზეზი არა მარტო აუდიტორიაში წამოსროლილი სიტყვა «მოჩვენებებიაო». მაგრამ აი, მე, პროფესიონალ მწერალს რომ მომეკიდა ხელი...

თუკი რამ აკავებდა ამ ადამიანს, ყველა საყრდენი მოშლოდა. მისი მოსმენა – კაცის, რომელსაც თითქმის არ ვიცნობდი, მაგრამ უთუოდ წარმატებული და გავლენიანი იყო, თუმცა კი ახლა ფსიქიკაარეული ჩანდა, – არც მეტი, არც ნაკლები, საზარელი ავარიის ან აფეთქებით გამოწვეული ხანძრის ყურების ტოლფასი იყო ჩემთვის, თითქოს საზოგადოებრივ სპექტაკლს ვესწრებოდი, რომელიც თავისი უჩვეულობითა და გროტესკულობით თავბრუს ახვევდა და გონებას უმღვრევდა მნახველს. ოთახში მისმა წინ და უკან სიარულმა იმ ქათმის

საქციელი გამახსენა, რომელიც აქეთ-იქით კი აწყდება გამწარებული, მაგრამ თავი უკვე წაჭრილი აქვს. ასეც იყო! თავი მასაც მოკვეთილი ჰქონდა თავისი მაღალნიჭიერი დეკანისა და პროფესორის ტვინით, ასე რომ, რასაც ახლა მე ვადევნებდი თვალს, მხოლოდ მოკვეთილი ნაწილის ამაო ბორიალი იყო.

მე, ვის სახლშიც პირველად შემოვიდა და ვისი ხმაც, ალბათ, აქამდე გაგონილიც არ ჰქონდა ხეირიანად, უნდა გადამედო, თუკი რამეს ვაკეთებდი და მის საქმეს შევდგომოდი; ანუ უნდა მეწერა იმის შესახებ, თუ მისმა «ათინელმა» არამოკეთეებმა, ან უკეთ რომ ვთქვათ, მტრებმა, როგორ ღონივრად მოუქნიეს სიძულვილის მუშტი, მაგრამ მისი უბედური ცოლი კი შეიწირეს; შექმნეს მისი ყალბი სახე და იმისთანა რამეები უწოდეს, ენა რომ ვერ იტყვის, თან არ დავიწყებიათ მისი კარიერის ყალბი შუქით გაშუქება, რასაც მან მთელი სიცოცხლე შესწირა; მისი საცოდავი მეუღლე, აირისი, იმსხვერპლეს, რომელთანაც მთელი ორმოცი წელიწადი ჰქონდა ერთ ჭერქვეშ გატარებული. დიახ, იმსხვერპლეს, მოკლეს, სული გააფრთხობინეს! რაღა მათი საქციელი და რაღა ტყვიის სროლა! მე, როგორც გავიგე, იმ აბსურდის შესახებ უნდა დამეწერა, თან არა ერთისა და ორის, მას რომ დაატეხეს თავს. არადა, მე ხომ არც კი ვიცოდი კოლეჯში მომხდარი ამბავი, შავკანიანი გოგონების ბრალდება, მათი ასევე შავკანიანი ადვოკატის კითხვები, პედაგოგთა კრებისა და მოხსენებათა ჩანაწერების, ფეხის გამოდებების, ზურგიდან დამიზნებული მახვილისა და მთელ იმ საშინელებათა ქრონოლოგიის შესახებ, რაც მასა და განსვენებულ მისის აირისს ბოლო ხუთი თვის განმავლობაში უმწარებდა სიცოცხლეს. მის თავს მართლაც რაღაც საშინელი ხდებოდა, უკვე ვეღარ უმკლავდებოდა თავს დატეხილ სულშემხუთველ არარეალობას, – მას ხომ როგორც დამნაშავეს ისე ჰკითხავდნენ, თითქმის ყველამ ზურგი აქცია და უნდობლად უცქერდნენ.

– მოკლეს! – თავი ვეღარ შეიკავა ქოულმენმა და ჩემს მაგიდას დაჰკრა მუშტი, – აირისი მაგ ხალხმა მოკლა!

სახე, რომელიც ლამის ჩემს სახეს მოადო, იმ დღეს რაღაც ხორკლიანი და დაღრეცილი მეჩვენა, მით უმეტეს, რომ ახალგაზრდასავით შენახული და მოვლილი ჰქონდა ხოლმე, რაც, ალბათ, მოჭარბებული ემოციების ტოქსიკური ქმედებით იყო განპირობებული. ახლოდან რომ დავაკვირდი, სახე

სავაჭრო დახლიდან შემთხვევით გადავარდნილი და გამვლელთა ფეხებქვეშ ნაგორავები ხილივით ნაჟეჟი ჰქონდა.

ასეთ ადამიანს, რომელსაც ვერაფრით უწოდებ სუსტსა და ავადმყოფს, ზნეობრივი თანაგრძნობის მყისიერი გამოწვევა შეუძლია, რაც ფიზიკურ ავადმყოფობაზე უარესია, რამეთუ მასზე არც მორფიუმი მოქმედებს, არც ზურგის ტვინის ბლოკადა და არც რადიკალურ ქირურგიას ძალუძს მისი შეჩერება. საკმარისია, ერთხელ დაგემართოს და მორჩა, სანამ ფეხებს არ გაგაჭიმვინებს, თავს არ დაგანებებს. ასეთი თანაგრძნობის უხეში რეალობა ვერაფერს შეედრება.

«მოკლეს», – ქოულმენი მისი მეუღლის გარდაცვალების სხვა ახსნას ვერ პოულობდა. აირისი ხომ სამოცდაოთხ წელზე მეტი ხნისა არ იყო, თან როგორი ენერგიული და კაჟივით ჯანმრთელი. მბრძანებლური ბუნების ქალი ბრძანდებოდა და აბსტრაქტულ ნახატებს ქმნიდა, რომლებიც თითქმის ყველა ადგილობრივ გამოფენაზე დომინირებდა. გარდა ამისა, აირისი ერთპიროვნულად ხელმძღვანელობდა ქალაქის სამხატვრო ასოციაციას, როგორც პოეტი ადგილობრივ გაზეთშიც იბეჭდებოდა და ჯერ კიდევ კოლეჯის პერიოდიდან ბომბსაფრების, სტრონციუმ-90-ისა და ვიეტნამში ომის საწინააღმდეგო აქციებში მონაწილეობდა. ეს ქალი იმხელა პიროვნული ძალისა და ნებისყოფის პატრონი ყოფილა, რომ ყველასა და ყველაფერს აცამტვერებდა, თუკი რამე გადაეღობებოდა გზაზე. ისეთ შიშის ზარს სცემდა ყველას, რომ სათოფეზე არავინ ეკარებოდა. თურმე ას ნაბიჯზე შეიძლებოდა ჭაღარა თმით მისი ამოცნობა. იმხელა სულიერი ძალის პატრონი ყოფილა, რომ თვით დეკანიც კი, რომელმაც საოცრება მოახდინა და კოლეჯი დაობებული ბალასტისგან პირწმინდად გაასუფთავა, მას მეტოქეობას ვერ უწევდა, თუ ჩოგბურთის თამაშს არ ჩავთვლით, რომელშიც თურმე უგებდა კიდეც.

საკმარისი იყო, ქოულმენი კრიტიკის ქარცეცხლში მოქცეულიყო, მისი ბრალდება ახალ დეკანსაც მიეღო განსახილველად და კოლეჯის მცირერიცხოვან შავკანიანთა ასოციაციასაც, რასაც მოგვიანებით პიტსფილდიდან შავკანიან აქტივისტთა ჯგუფიც შეემატა, რომ სილქების, ჭორებს თუ დავუჯერებთ, მყიფე ცოლქმრობა, მყისვე ერთ მუშტად შეიკრა და აირისის სიამაყე და სიხისტეც ქმრის მხარეს გადაიხარა, თუმცა კი მთელი ორმოცი წლის განმავლობაში ორ ჯიუტ

არსებას შორის შეხლა-შემოხლა არ წყდებოდა, და მომხდარი ამბავი ქალს პირდაპირ გულზე მოხვდა. მართალია, სილქები უკვე წლები იყო, რაც სარეცელს აღარ იყოფდნენ და ერთიმეორის საუბრის ატანაც აღარ შეეძლოთ – ქოულმენი ცოლის ახლობლებს ვერ იტანდა, ქალი კი ქმრისას, – ძნელბედობის ჟამს გაერთიანდნენ და ყველას მუშტებს უღერებდნენ, ვინც კი სძულდათ ან გულზე არ ეხატებოდათ, თან ისეთ მძვინვარებას ავლენდნენ, როგორიც ურთიერთდაპირისპირების დროსაც არ გამოუვლენიათ. ყველაფერი, რაც მათ ორმოცი წლის წინ აერთიანებდა გრინვიჩ-ვილიჯში, როდესაც პირველად გაიყვეს სარეცელი როგორც საყვარლებმა, როდესაც ქოულმენი ნიუ-იორკის უნივერსიტეტში დისერტაციაზე მუშაობას ასრულებდა, აირისი კი ახალი გამოქცეული იყო მოგიჟო ანარქისტი მშობლების სახლიდან, ნიუ-ჯერსის შტატის დაბა პასეიკიდან, და ხელოვნების სტუდენტურ ლიგაში მენატურედ მუშაობით შოულობდა პურის ფულს, თან თავისი მსხვილი ნაკვთებითა და ჩაცმის სტილით, ასე რომ მოაგონებდა მნახველს თეატრალურ-ბიბლიურ ქურუმ ქალს, თანაც სინაგოგამდელს, მოკლედ, ყველაფერი, რაც რამ მათ აერთიანებდა, გარდა ხორციელი სიახლოვის წადილისა, დღის სინათლეზე გამოიჭრა თვალისმომჭრელად... და ერთ საშინელ დილასაც აირისს თავის ტკივილითა და წართმეული ხელით გაუღვიძია. ქოულმენს სასწრაფოდ საავადმყოფოში გაუქანებია ცოლი, მაგრამ მეორე დღემდეც ვეღარ გაუქაჩავს ოდესღაც ძლიერ ქალს.

– მე დამიმიზნეს, მაგრამ აირისი კი იმსხვერპლეს, – ეს ფრაზა მაშინაც რამდენჯერმე თქვა, როდესაც გონებაარეული გაუფრთხილებლად მეწვია სტუმრად და მეორე დღესაც, აირისის პანაშვიდზე მისულ მოსამძიმრეებს გაუმეორა რამდენჯერმე. სწამდა კიდეც თავისი ნათქვამის. სხვა ახსნისა არც რამე ესმოდა და არც სურდა გაგება. აირისის სიკვდილის შემდეგ და მას მერეც, რაც როგორღაც გავაგებინე, რომ მის დევნა-შევიწროებაზე არ ვაპირებდი წიგნის დაწერას და ჩემს მაგიდაზე დახვავებული მასალაც უკანვე დავუბრუნე, ქოულმენს თავის დოკუმენტურ წიგნზე «მოჩვენებები», რომელშიც ათინა-კოლეჯიდან წამოსვლის მიზეზებს აღწერდა, მუშაობა არ შეუწყვეტია.

* * *

სპრინგფილდში პატარა FM-რადიოსადგურია, რომელიც შაბათობით ჩვეული, კლასიკური პროგრამიდან უხვევს და საღამოს ექვსიდან შუაღამემდე ჯერ ბიგ-ბენდს გადმოსცემს, შემდეგ კი ჯაზს. ბორცვის იმ მხარეს, სადაც მე ვცხოვრობ, ამ რადიოს ეთერში შიშინის მეტს ვერაფერს მოისმენს კაცი, ქოულმენის მხარეს კი მშვენიერი დაჭერაა და შაბათსაღამოობით, როდესაც სტუმრად ვეწვეოდი ხოლმე, ძრავა არ მქონდა გამორთული, რომ ამ ტკბილხმოვან საცეკვაო მელოდიებს, რომელთაც ჩვენი თაობის გოგო-ბიჭები ან სულ რადიოთი უსმენდნენ, ან მუსიკალურ ავტომატებში, მანქანიდან გადმოვყავდი და სულ ცეკვა-ცეკვით შევყავდი ჩემი მასპინძლის სახლში. ეს მუსიკა მასთან არა მხოლოდ სტერეოდინამიკებიდან იღვრებოდა მაღალ ხმაზე, არამედ მის საძინებელში, საწოლთან, სააბაზანოს კედელში ჩატანებული და სამზარეულოში, პურის კალათთან დადგმული პატარა რადიომიმღებებიდანაც ისმოდა. შაბათ საღამოს რაც უნდა ეკეთებინა სახლში ან ეზოში ყოფილიყო გამოსული საფუსფუსოდ, მუსიკის ჰანგები თავისუფლად აღწევდა მის ყურამდე, სანამ შუაღამისას ბენი გუდმანის სარიტუალო ნახევარსაათიანი მონაკვეთით რადიოსადგური არ მიჩუმდებოდა.

– უცნაურია, – მითხრა მან, – მაგრამ თუკი რამე სერიოზული მაქვს მოსმენილი და გააზრებული, ისე არ მაღელვებს, როგორც ეს ძველი სვინგი. ბონ მონროთი თუკი დავიწყებ, – ამიხსნა ქოულმენმა, – ყველაფერი სტოიკური ჩემში ფარ-ხმალს ყრის და მინდება, არასოდეს მოვკვდე. იმდენად მეძალება ეს სურვილი, რომ ზოგჯერ ატანაც კი მიჭირს, – ზოგჯერ, საღამოობით, სიმღერების ტექსტები მისთვის უცნაურ, ჰიპერტროფირებულ მნიშვნელობას იძენდა და ისიც მარტოდმარტო იწყებდა ცეკვას, სრიალს, მოძრაობას, თითქოს ის პერიოდი ახსენდებოდა, როდესაც ყმაწვილობისას ისთ-ორინჯის უფროსკლასელ გოგონებთან ფოქსტროტის ცეკვისას იმდენად ეწებებოდა პარტნიორს, რომ კაბის იქიდანაც ეგრძნობინებინა თავისი აღგზნებული სხეული. ასეთი მოძრაობის დროს, როგორც ერთხელ თვითონვე გამომიტყდა, არც მოსალოდნელი სიკვდილის შიში აღელვებდა და არც რამე აღაფრთოვანებდა, თუნდაც სიმღერის ფრაზები «ამოიოხრებ და სიმღერაც იწყება, სიტყვას იტყვი და ვიოლინოც აჟღერდება»,

მოესმინა. ცრემლები თავისთავად ჩამოსდიოდა სახეზე, თან უკვირდა, რამხელა გავლენას ახდენდნენ ჰელენ ო'ოქონელი და ბობი ებერლი სიმღერით «მწვანე თვალები», როცა რომ ჯიმი და თომი დორსები ისე აქცევდნენ სენტიმენტალურ ბებრუცანად, რომ აზრზეც ვერ მოდიოდა. ხშირად მეტყოდა ხოლმე, ნეტავ მანახვა ვინმე 1926 წელს დაბადებული, ამ 1998 წლის შაბათ საღამოს რომ სახლში მარტოდ დაყუდებულიყოს, ესმინა დიქ ჰეიმზის «ეს საამო ჭორები» და მერე მივხვდებოდი, მის გონებამდე ყბადაღებული და ტრაგედიით ხორცშესხმული კათარზისის დოქტრინა მაინც თუ დავიდაო.

როდესაც მის სახლში გვერდითა, ბადიანი კარით შევედი პირდაპირ სამზარეულოში, ქოულმენი ჭურჭელს რეცხავდა. რაკი ბერიკაცი ნიჟარასთან იდგა, რომელშიც ჭავლით მოჩხრიალებდა წყალი ონკანის მილიდან, რადიო ხმამაღლა ჰქონდა ჩართული და ახალგაზრდა ფრენკ სინატრას სიმღერას «ყველაფერი მე მემართება» უსმენდა, თან თვითონვე აყოლებდა ხმას, ვერც კი გაიგონა, როგორ შევედი. ცხელი ღამე იდგა და ქოულმენს მხოლოდ ბამბაზიის შორტები და ფოსტლები ეცვა. უკნიდან ეს სამოცდათერთმეტი წლის კაცი დიდ-დიდი ორმოცი წლისა გეგონებოდათ – თხელი იყო და აღნაგი. თუმცა, სიმაღლით მაინცდამაინც გამორჩეული არ ყოფილა, ასე ხუთი ფუტი და რვა დუიმი იქნებოდა, მაგრამ კუნთმაგარი, ბრგე, უფროსკლასელივით ათლეტური გახლდათ, მაგრამ იმავდროულად, ზანტი. ქოულმენს მოკლედ შეკრეჭილი ტალღოვანი თმა შვრიის ფერი გახდომოდა, რაც მის ასაკს, ბიჭივით აპრეხილი ცხვირის მიუხედავად, შორიდანვე ამხელდა, თორემ თმას მუქი ფერი რომ შეენარჩუნებინა, ბევრად ახალგაზრდული იერი ექნებოდა. ტუჩებთან ღრმა ნაოჭებიც გასჩენოდა, თვალებში კი დაღლილობა ჩასდგომოდა და სულიერი სიცარიელე დასტყობოდა, რაც აირისის გარდაცვალებასა და კოლეჯიდან ასე სკანდალურად წასვლას კიდევ უფრო გაემძაფრებინა. ასე იყო თუ ისე, ქოულმენი მაინც ლამაზად გამოიყურებოდა, – იმ მსახიობს ჩამოჰგავდა, რომელიც სიყრმიდანვე გამხდარა ვარსკვლავი და მხცით მოსილსაც ჭაბუკური პეწი არ დაუკარგავს.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, სიჭარმაგეშიც კოხტა და მიმზიდველი ებრაელი კაცი გახლდათ, არცთუ დიდი ცხვირით, რომელსაც მთელი დატვირთვა სახის ქვედა ყბის ნაწილზე გადასდის ხოლმე და რაც მუქი და ტალღოვანი თმის

წყალობით ისეთივე ორმაგ ზემოქმედებას ახდენს მნახველზე, როგორსაც ღია ფერის შავკანიანები ახდენენ, რომლებიც ადამიანს შეიძლება თეთრებშიც აერიოს. ქოულმენ სილქის სახელი თავისთავად ებრაული არავის ეგონება, ალბათ, ამიტომაც იყო, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც ფლოტში მსახურობდა და ვირჯინიის შტატის ნორფოლკის სამხედრო-საზღვაო ბაზაში იყო დისლოცირებული, ერთ მშვენიერ საღამოს საროსკიპოდან გამოაძევეს, რადგან შავკანიანი ეგონათ.

– ნორფოლკის ბორდელიდან იმის გამო გამომაგდეს, შავი ხარო, ათინა-კოლეჯიდან კი იმის გამო, თეთრი ხარო, – ამბობდა გულდაწყვეტილი. ორი წლის განმავლობაში ამ თემაზე მისი აზრი არაერთხელ მომისმენია სხვადასხვა ვარიაციით. თავის წიგნშიც, ალბათ, ზანგურ ანტისემიტიზმსა და თავისი მოღალატე და ფლიდი კოლეგების განქიქებას შეეცდებოდა.

– «ათინადან» გამომაპანღურეს, რადგან თეთრკანიანი ებრაელი ვარ, რომელიც მაგ ჭკუამოკლე ნაბიჭვრებს მტრად მიაჩნიათ. მათ რომ ჰკითხო, ამერიკის მთელი უბედურება ჩემისთანების ბრალია, სამოთხეში გარანტირებული ადგილიც ჩემისთანებმა მოჰპარეს. მთელი ეს წლები რომ თავისუფლებააღკვეთილი იყვნენ, ვისი ბრალია? რა თქმა უნდა – ჩვენი! ამ პლანეტაზე ზანგების გაჭირვება ვისი ბრალია? პასუხი ამ კითხვაზე წინდაწინვე იციან და ლექციებზე შესვლა რაღად უნდათ? ან წიგნის გადაშლით რატომღა უნდა შეიწუხონ თავი? პასუხი ხომ ისედაც ნათელია მათთვის. და ვის ადანაშაულებენ ამ ყოველივეში? ვის და იმ ძველაღთქმისეულ მონსტრებს, ვისაც გერმანელები სდებდნენ თავიანთ უბედურებაში ბრალს.

მათ მოკლეს, ნათან. არადა, ვინ წარმოიდგენდა, რომ აირისი ვერ გაუძლებდა? ძლიერიც იყო და გამძლეც, მაგრამ ჯანმა უმტყუნა. მათ იდიოტობას მისნაირი ტანკიც კი ვერ აღუდგებოდა წინ. «მოჩვენებები». აბა, ვინ იყო კიდევ აქ, ვინც მე ამომიდგებოდა მხარში? ჰერბ ქიბლი? არადა, ჩემი მოყვანილია კოლეჯში, დეკანი რომ ვიყავი, იმ დროს. თან ახალი დანიშნული ვიყავი ამ პოსტზე, სულ რამდენიმე თვის. ის არა მხოლოდ პირველი შავკანიანი პედაგოგი გახდა საზოგადოებრივი მეცნიერებებისა, არამედ, საზოგადოდ, პირველი შავკანიანი მასწავლებელიც. ახლა კი ეს რასისტი ებრაელი მასაც ყელში გავეჩხირე. «ვერ დაგეხმარებით,

ქოულმენ, მე მათ გვერდით უნდა ვიყო», – აი, მისი პასუხი, როცა სიტყვის შეწევნა ვთხოვე. მათ გვერდით უნდა ვიყოო, მათ გვერდითო!

ნეტავ გენახათ ჰერბი აირისის დაკრძალვაზე. მომსპარი იყო, განადგურებული. მოკვლა? არა, ჰერბერთს არავის მოკვლა არ ჰქონია განზრახული. ეს სისულელე მხოლოდ და მხოლოდ გავლენისთვის ბრძოლა იყო. ხელმძღვანელობის თვალში წონის მოსამატებლად კაცი რას არ იზამს. უბრალოდ, ხელსაყრელ შემთხვევაში გამოიყენეს. ჰეინზის იძულება სხვაგვარად შეუძლებელი იყო, რომ თავის ჭკუაზე გაეტარებინათ. კამპუსში უფრო მეტი ზანგი უნდა მოემრავლებინათ – შავკანიანი სტუდენტიც მეტი უნდა ყოფილიყო და პროფესორიც. მთავარი პროპორციის ამბავია. ღმერთი მაინც ხედავს, რომ წინასწარ არავის სიკვდილი არ უნდა ყოფილიყო განზრახული. ალბათ, არც გადაყენება იგეგმებოდა. ჰერბერთისთვის ესეც სიურპრიზი აღმოჩნდა. ან საერთოდ, რატომ წავიდა ქოულმენი? მისი გაგდება ხომ არავის მოსვლია აზრად. ან ვინ გაბედავდა? ასე მხოლოდ იმიტომ მოიქცნენ, რომ შანსი მიეცათ. ალბათ, უნდოდათ, კვამლს ცოტა უფრო მეტად დაეწვა ჩემთვის თვალები, მეც მომეთმინა ცოტა, რა იქნებოდა... მეორე სემესტრში აღარავის ემახსოვრებოდა ეს ინციდენტი. ინციდენტი! ჰმ! სწორედ ამ ინციდენტის წყალობით ჩაიგდეს «მართვის ბერკეტი» ხელში, თან ისეთი, რომელიც რასობრივ საკითხებში ჩამორჩენილ ათინა-კოლეჯს სულზე მიუსწრებდა. კაცი იკითხავს, რაღამ წამოიყვანა კოლეჯიდანო, თან ჩემი წამოსვლის დროს უკვე მიწყნარებულიც იყო ყველაფერი. მაშ, რაღა ჯანდაბამ წამომიყვანა?

წინა მისვლისას ქოულმენი ხეირიანადაც კი არ მომესალმა და რაღაც ქაღალდი ამიფრიალა ცხვირწინ, ეტყობა, «მოჩვენებების» საქმეში არსებული, ყუთებში ჩაწყობილი საბუთებიდან ერთ-ერთი დოკუმენტი.

– აი, ინებეთ! ჩემი ძვირფასი კოლეგა იმ წყვილიდან ერთ-ერთ გოგონაზე წერს, წისქვილის ქვა რომ დამიტრიალა თავზე. მოკლედ, ის ქალბატონი, რომელიც ჩემს ლექციებზე არ ცხადდებოდა, სხვებისაზე კი შიგადაშიგ გაიელვებდა ხოლმე, ერთის გარდა, ყველა გამოცდაში ჩაჭრილა. მის ჩამორჩენილობას მე იმით ვხსნიდი, ან მასალის ათვისებას ვერ

ახერხებს, ან უდროობის გამო ვერ ჰკიდებს დავალებას ხელს-მეთქი, მაგრამ თურმე ნუ იტყვით და, რაში ყოფილა საქმე: ისე ყოფილა თეთრკანიანი პროფესორების ემანაციებით დაშინებული, რომ აუდიტორიაში შესვლასაც ეკრძალებოდა და გაცდენას ამჯობინებდა. იმ ემანაციებით, რომელთაც მე სიტყვით შევასხი ხორცი და რაც მოგვიანებით რასიზმად მოინათლა. ერთ-ერთ გასაუბრებაზე თუ მოსმენაზე, მოკლედ, რაც ჰქვია, მკითხეს: როგორ ფიქრობთ, მის წარუმატებლობას რომელმა ფაქტორებმა შეუწყო ხელიო? ვუპასუხე, გულგრილობამ, ამპარტავნებამ, აპათიამ და პირადმა უსიამოვნებებმა-მეთქი. მერე მეკითხებიან, კი მაგრამ, ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად რამე პოზიტიური რეკომენდაცია მაინც თუ მიეცითო? ვუთხარი, რა რეკომენდაციას მივცემდი, როცა თვალიც არ მომიკრავს? მაგრამ რომც მენახა, ვურჩევდი, კოლეჯი დაეტოვებინა, რადგან მისთანების ადგილი აქ არ გვაქვს-მეთქი.

მოდი, ერთ რაღაცას ამოგიკითხავთ აქედან. ყური დამიგდეთ. ჩემი ერთ-ერთი კოლეგის დაწერილია, რომელიც ამ თრეისი ქამინგზს უჭერს მხარს, – ხელი არ უნდა ვკრათო, სწორად უნდა მივუდგეთო, ზურგი არ უნდა ვაქციოთო, გვიწერს აქ ეს ქალბატონი; კარგად უნდა გავერკვეთ, საიდან მობრძანდა თრეისიო. ნება მიბოძეთ, ბოლო ფრაზებიც გაგაცნოთ: – თრეისი გაჭირვებული ფენიდან არისო. მეათე კლასში ოჯახი მიუტოვებია და ნათესავებთან გადასულა თურმე, შედეგად, ამა თუ იმ სიტუაციის რეალური ფაქტორების შეფასების უნარი დაზიანებია. ეს ნაკლი ნამდვილად აქვსო, ადასტურებს «გულმეცნიერი ქალბატონი». მაგრამ მზად ყოფილა თურმე ის გოგო, რომ ცხოვრებისეული მიდგომები შეცვალოს. ბოლო კვირებში ვამჩნევ, როგორი სისწრაფით ებადება რეალობიდან თავისი გაქცევის სერიოზულობის აღქმაო, – გვიწერს აქ დელფინა რუ, რომელიც ენებისა და ლიტერატურის კათედრას უდგას სათავეში. გარდა ამისა, ფრანგული კლასიციზმის კურსსაც კითხულობს. «რეალობიდან თავისი გაქცევის სერიოზულობის აღქმა!» – გამოცრა კბილებში, – არა, კმარა! უკვე გული მერევა ამ ყველაფერზე!

როდესაც შაბათობით ქოულმენთან მივდიოდი, ხშირად შეურაცხყოფილი, გულგატეხილი და დაბოღმილი მხვდებოდა. არადა, ფიზიკურად თითქმის არაფერს უჩიოდა. მწვერვალიდან ჩამოგდებულ დიდკაცს ჰგავდა, რომელსაც დაცემის ტკივილი

ჯერ კიდევ ტანჯავდა. ასეთ რამეს, ალბათ, მხოლოდ მაშინ ნახავდა კაცი, თუკი ნიქსონთან აღმოჩნდებოდა სან-კლემენტეში ანდაც ჯიმი ქართერთან ჯორჯიაში, იქამდე, სანამ ეს უკანასკნელი დამარცხების ცოდვის მოსანანიებლად ხუროობას მიჰყოფდა ხელს. ერთი სიტყვით, სევდიანი სანახაობა იყო. მართალია, ქოულმენის უბედურებას სრულად თანავუგრძნობდი, კაცმა ყველაფერი დაკარგა და უსამართლობის მსხვერპლი გახდა-მეთქი, მაგრამ ზოგჯერ, საღამოობით, მისი ბრენდის წრუპვისას ისე მომერეოდა რული, რომ თავს ძალას ვატანდი, არ ჩამთვლიმოს-მეთქი.

მაგრამ იმ ღამეს, რომელსაც მე აღგიწერთ, მოაჯირშემოვლებულ ვერანდაზე გავედით გასაგრილებლად. ზაფხულობით აქაურობას კაბინეტად იყენებდა ხოლმე. ისეთი მინდობილი მეჩვენა სამყაროზე, რომ მსგავსი არასდროს მენახა. სამზარეულოდან ორი ბოთლი ჩაცივებული ლუდი გამოაყოლა ხელს და მოგრძო, ჯოჯგინა მერხთან დავსხედით ერთიმეორის პირისპირ. ეს მერხი მისი სამუშაო მაგიდის როლს ასრულებდა საჭიროებისას და ახლაც კიდეში სამ წყებად ჰქონდა დალაგებული ოცი-ოცდაათი ჩანაწერების წიგნაკი.

– აბა, ნახეთ, – მითხრა სრულიად დამშვიდებულმა და გააზატებულმა, თითქოს ხელახლა შობილმა ქოულმენმა, – აი, ისიც, «მოჩვენებები». წუხელ შავი ვარიანტი დავასრულე, დღეს კი მთელი დღე ვკითხულობდი და თითოეული გვერდი გულისრევის შეგრძნებას მგვრიდა. მარტო ეს მძვინვარე ხელნაწერი იწვევს ავტორისადმი უნდობლობასა და ზიზღს. ამისთანაზე ორი წლის დაკარგვა იქნებოდა? ნახევარ საათს მაინც შეალევდა ვინმე? აირისი ამათ გამო გარდაიცვალა? კი მაგრამ, ვინ ირწმუნებს ამას? უკვე მგონია, რომ მეც აღარ მჯერა ამის. ეს ავყია ნაჯღაბნი წიგნად რომ ვაქციო, მთელი ბრმა გულისწყრომა რომ ამოვიღო, მთელი სიგიჟისგან რომ გავასუფთაო ფურცლები, კიდევ ორი წელიწადი წამივა, მეტი თუ არა. და რას მოვიგებ? ორ საზიზღარ წელიწადს გონებრივი დაძაბულობისას. სწორად გამიგეთ, მე ახლა მიტევებაზე არ ვლაპარაკობ. გულით მეზიზღებიან ის ნაძირალები. ეს ნაყარნუყარი ხალხი ისე მძაგს, როგორც კაცთა მოდგმა გულივერს, ცხენებთან რომ დაიწყო ცხოვრება. არადა, ბიოლოგიურად სვიფტის ცხენები მუდამ სიცილს მგვრიდნენ. იცით, რას მაგონებენ? თეთრ ანგლოსაქსურ პროტესტანტურ ისტებლიშმენთს, აი, ისეთს, რომლითაც «ათინა» იმართებოდა

ჩემი მისვლისას.

– ისე, ჯანზე უნდა იყოთ, ქოულმენ, გონებაც მთლად დამშვიდებული გაქვთ. სამიოდე კვირის წინ კი, ბოლოს რომ გნახეთ, მუხლამდე საკუთარ სისხლში იდექით.

– აი, ამის გამო ვარ ასე. რომ წავიკითხე, დავრწმუნდი, რომ მძღნერია და სირობა. ჩემგან მწერალი აწი აღარ დადგება. საკუთარ თავზე ვწერ და დისტანციას კი ვერ ვიცავ. რომ გადავფურცლე, დავინახე, რომ საკუთარი თავის მართლებაა და მეტი არაფერი, თან უბადრუკ მემუართანაც ვერ მოვა. თითოეული ახსნა-განმარტების უაზრობა დავიჭირე, – ქოულმენს გაეღიმა, – ქისინჯერი ყოველ წელს გამოსცემს ათასგვერდიან ამნაირ საუნჯეს, მაგრამ მისი გზით სიარული არ მინდა. ერთი შეხედვით, საკუთარი ნარცისიზმის საპნის ბუშტში ჩაკეტილივით ვარ, მაგრამ მის მეტოქეობას სიკვდილი მირჩევნია. მოკლედ, ხელი ჩავიქნიე.

როდესაც მწერალი ჩიხში მოექცევა თავისი ორწლიანი, ერთწლიანი ან თუნდაც ექვსთვიანი ნაშრომის კითხვის შემდეგ, გრძნობს, რომ საძაგლობა გამოსვლია და კრიტიკის გილიოტინაზე ასულა, საკუთარი თავის დასამარების სურვილი უჩნდება და რამდენიმე თვე ესაჭიროება ხოლმე გონზე მოსასვლელად. მაგრამ ქოულმენი რეკორდულად მოკლე დროში გაუმკლავდა თავისი ნაწერისგან მოგვრილ საშინელებას და არა მხოლოდ წიგნისმიერ, არამედ ცხოვრებისეულ საშინელებასაც იოლად დააღწია თავი. წიგნზე ხელის აღებით მან უარი თქვა სამაგიეროს გადახდაზე. რაკი აღარც საკუთარი იმიჯის აღდგენა აწუხებდა და არც მოწინააღმდეგეების, როგორც მკვლელების გამოაშკარავება, მათი უსამართლობის შხამითაც აღარ იყო მოწამლული. თუკი ნელსონ მანდელას სატელევიზიო იმიჯს არ ჩავთვლით, რომელიც ციხიდან გამოსვლისას, კუჭში ჯერ კიდევ ბალანდა რომ ჰქონდა, პატიმრებს მიტევების თვალით უყურებდა, მე მსგავსი სულიერი გადასხვაფერება არ მინახავს ადამიანისა, მით უმეტეს, დაზარალებულისა. ამის დაჯერება კი არა, თავდაპირველად აღქმაც კი გამიჭირდა.

– ანუ პოზიცია დათმეთ და მხიარულად ამბობთ, ვერ გავქაჩეო? თან ისე ამოაღწიეთ ზედაპირზე ამ სიძულვილიდან, რომ აღარავისზე აპირებთ ამხედრებას?

– აღარავისზე.

კარტის დასტა და ბლოკნოტი ამოიღო ანგარიშის ჩასაწერად. სკამები მაგიდის ქაღალდებისგან თავისუფალი ადგილისკენ გავწიეთ. კარტი აჩეხა, მე გავჭერი, მან კი დაარიგა. მერე უცნაური უშფოთველობა დაეუფლა, ყველაფრიდან გამომდინარე, იმ სიძულვილისგან გათავისუფლდა, რომელიც «ათინას» თანამშრომლების მიმართ ჰქონდა, რომელთაც განგებ შეულახეს სახელი და სიცოცხლე გაუმწარეს, თან მთელი ორი წლით გადაისროლეს სვიფთისეული მასშტაბის მიზანთროპულ ჭაობში, და ბედნიერი დღეების გახსენებას მიეცა მთელი გულით. იმ დღეებისა, როდესაც სრულ ბედნიერებას არაფერი უკლდა და არც თვითონ აკლებდა ცდას, რომ სიხარული არა მხოლოდ განეცადა, არამედ გაეცა კიდეც.

მერე ქალებზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, სიძულვილი და ტკივილი სულ გადაგვავიწყდა. აქ კი ქოულმენი სრულიად ახალ, ან ძალიან ძველ, ძველისძველ ქოულმენად იქცა, ისეთ ბედნიერ და კმაყოფილ ქოულმენად, რომელსაც კი ოდესმე უცხოვრია დედამიწაზე. არა მხოლოდ «მოჩვენებებამდე» ქოულმენად, არამედ ჟინით აღსავსე ქოულმენად.

– ფლოტიდან რომ წავედი, გრინვიჩ-ვილიჯში დავსახლდი, – დაიწყო მოყოლა და თავისი კარტი აკრიფა, – მეტროში ერთი ჩასვლა და ყველაფერი მოკვარახჭინებული იყო. ვთევზაობდი რა: მარტო ჩადიხარ და წყვილად ამოდიხარ. მერე კი, – პაუზა გააკეთა და ჩემი კარტი აკრიფა, – დიპლომი ავიღე, ცოლი შევირთე, მუშაობა დავიწყე და ბავშვებიც გვეყოლა, ასე რომ, თევზაობაც შევწყვიტე.

– საერთოდ აღარ გითევზავიათ?

– თითქმის საერთოდ. ფაქტობრივად, აღარასდროს. სიმღერები გესმით? – სახლში ოთხი რადიომიმღები იყო ჩართული და სიმღერის ვერგაგონება, ქუჩაშიც რომ ვყოფილიყავით, შეუძლებელი იყო, – ბოლო წლების სიმღერებია. სიმღერებითაც და გოგონებითაც ოთხი-ხუთი წელი ვისიამოვნე და ჩემს იდეალებსაც ამით შეესხა ხორცი. დღეს ერთ წერილს მივაგენი. ვიქექებოდი «მოჩვენებების» დასტაში და ერთ-ერთი გოგონას წერილს წავაწყდი. არა, ერთ-ერთი «მათგანი» არ არის, სულ სხვაა! ახალი დანიშნული ვიყავი ლონგ-აილენდის ადელფი-კოლეჯში, აირისი კი უკვე ჯეფრიზე იყო ფეხმძიმედ, ეს

წერილი რომ მომივიდა. აშოლტილი გოგო იყო, ექვს ფუტამდე სიმაღლის. არც აირისს ეთქმოდა დაბალი, მაგრამ სტინას ვერ გაუტოლდებოდა. აირისი ზორბა იყო, სტინა კი – კენარი. მოკლედ, ეს წერილი 1954 წელს გამომიგზავნა, დღეს კი ქაღალდების გადაქექვისას აღმოვაჩინე.

ქოულმენმა შორტის უკანა ჯიბიდან ამოიღო სტინას წერილი. იმავე დაჭმუჭნილ კონვერტში იდო, რომლითაც თავის დროზე მიიღო. ისევ უპერანგოდ იყო, თუმცა უკვე სამზარეულოში კი არა, ვერანდაზე ვისხედით. ივლისის თბილი საღამო იდგა, მაგრამ არც იმდენად თბილი, რომ შილიფად ყოფილიყო. მის ამ საქციელში ანატომიური პატივმოყვარეობის მარცვალი შევნიშნე. გარუჯული ტორსის დემონსტრირებით, მომეჩვენა, რომ უფრო მეტის ჩვენებას ცდილობდა, ვიდრე უბრალოდ შინაურული გარემოს შექმნას. საჩვენებლად წარმოდგენილი ჰქონდა მხრები, ხელები და მკერდი; ამ არცთუ მაღალ კაცს მკვრივი აგებულება და ვიწრო წელი ჰქონდა. მართალია, მის მუცელს წინანდებურად ბრტყელი აღარ ეთქმოდა, მაგრამ არც ღიპში იყო გადასული. მოკლედ, კარგი სპორტსმენის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომელიც უხეში ძალის კი არა, მოხერხებისა და გამჭრიახობის ხარჯზე აღწევს გამარჯვებას. ეს ყველაფერი ჩემთვის აღმოჩენა გახდა, რადგან აქამდე არა მხოლოდ სულ პერანგით დადიოდა, არამედ სიშმაგესა და შფოთსაც ერთიანად დაემორჩილებინა.

არც ის ვიცოდი, რომ მარცხენა მხარს ოდნავ ქვემოთ პატარა, ცისფერი სვირინგი ჰქონდა, რომელზეც «U. S. Navy»[5] ეწერა და დელტისებრი კუნთის მიმართულებით ჩაუდიოდა – პაწაწინა სიმბოლო იმ მილიონობით გარემოებისა, რომელთაგანაც სხვისი ცხოვრება ეწყობა, სხვისი ბიოგრაფია იქმნება იმ პაწაწა ნაწილაკებისგან, რომელთა მეშვეობითაც ამა თუ იმ ადამიანზე ხშირად არასწორი წარმოდგენა გვექმნება ხოლმე.

– ამდენი ხანი ინახავდით? – ვკითხე მე, – ალბათ, მნიშვნელოვანი წერილია.

– მკვლელი წერილია! ამის წყალობით მივხვდი, როგორ შევიცვალე. უკვე ცოლი მყავდა, მოვალეობები მქონდა დაკისრებული, ვმუშაობდი, ბავშვს ველოდით, მაგრამ ამ წერილამდე ვერ მივმხვდარიყავი, რომ ყველა სტინა უკვე უკან იყო დარჩენილი. ამ წერილმა ამიხილა თვალი, რომ უკვე ახალი, სერიოზული და საქმიანი ცხოვრება დაწყებულიყო. მამაჩემს

ისთ-ორინჯში, გროუვ-სთრიითზე ბარი ჰქონდა. ქალაქის ღარიბულ უბანში ვცხოვრობდით. მამაჩემისთანა ებრაელ ბარის მეპატრონეებს ნიუ-ჯერსიში ხშირად შეხვდებოდი კაცი, ცხადია, ყველა მათგანს მფარველი ჰყავდა, ანუ მაფიასთან ჰქონდა კავშირი. მამაჩემი არც მშიშარა ყოფილა და არც თავზე ხელაღებული გაქნილი, უბრალოდ ჩემთვის უკეთესი ცხოვრების შექმნა უნდოდა. ერთხელაც, გამოსაშვებ კლასში რომ ვსწავლობდი, იატაკზე დაცემულა და სულიც განუტევებია. დედისერთა ვიყავი. ჩემზე მზე და მთვარე ამოსდიოდათ. რომ შემატყო, ბარის ცხოვრებამ დააინტერესაო, დახმარებაც კი ამიკრძალა. ამ ცხოვრებაში ყველაფერი ბარის ჩათვლით, არა, ბარით დაწყებული, იმისკენ მიბიძგებდა, რომ კარგად მესწავლა, სკოლაშიც, როდესაც ლათინურსა და ბერძნულს ვიზუთხავდი, – მაშინ ჯერ კიდევ პროგრამაში შედიოდა, – როგორც ბარის მფლობელის ვაჟი, ვცდილობდი, მეტისმეტად სერიოზული ვყოფილიყავი, მეტისმეტად დაკვირვებული...

ერთი ხელი სწრაფად მოვათავეთ და ქოულმენმა მომგებიანი კომბინაცია მიჩვენა. მე კარტი დავარიგე, ის კი ისევ ალაპარაკდა. მისგან მსგავსი მანამდე არაფერი მომესმინა. ყოფილი დეკანისგან მხოლოდ იმას თუ გავიგებდი, თუ როგორ და რატომ სძულდა, უფრო სწორად, რატომ შეიძულა ათინა-კოლეჯი.

– ჰოდა, – მითხრა მან, – ერთხელაც მამაჩემის ოცნება ავახდინე და კოლეჯის პატივსაცემი პედაგოგი გავხდი; მეც მამაჩემივით ფიქრი დავიწყე, სერიოზულ ცხოვრებაში სამუდამოდ შევდგი-მეთქი ფეხი. მეგონა, ეს ცხოვრება არასოდეს დასრულდებოდა, თუკი დიპლომისა და სტატუსის მფლობელი იყავი ადამიანი. მაგრამ დასრულდა, ნათან. ხორცშესხმული არსებებია თუ მოჩვენებები-მეთქი, ვთქვი და ყველაფერი შეწყდა. რექტორობისას რობერთსი ხშირად მეტყოდა ხოლმე, იმიტომაც ივარგეთ დეკანად, ბარში ქცევის მანერები რომ გქონდათ შეთვისებულიო. ელიტური გვარტომობის მქონე რობერთსს მოსწონდა, რომ მისი კაბინეტიდან ერთი დერეფნის იქით ლუდის ბარიდან გამოსული ჩხუბისთავი იჯდა. კოლეჯის ძველ გვარდიას ჩემს წარმოშობას ხშირად სჩრიდა ხოლმე ცხვირში, თუმცა კი, როგორც თქვენც მოგეხსენებათ, არაებრაელებს ურიების ისტორიების არც მოყოლა უყვართ, არც მოსმენა, და ახსენებდა, თუ როგორ ამოვაღწიე ზედაპირზე

ღატაკთა ქოხმახებიდან. ჰო, პირს რობერთსი უკვე იმ დროსვე მექცეოდა თავისებურად. კაცმა რომ თქვას, ირონიულადაც კი.

აქ საუბარი შეწყვიტა. გაგრძელება აღარ ისურვა. ტახტიდან ჩამოგდებულის კომპლექსს უმკლავდებოდა შეძლებისდაგვარად. წყენა, რომელიც თითქოს არასოდეს უნდა გაჰქრობოდა, ნელ-ნელა უქარწყლდებოდა.

ისევ სტინას დაუბრუნდა. მისი მოგონება დიდად დაეხმარა.

– ორმოცდარვა წელს გავიცანი, – დაიწყო მოყოლა, – ოცდაორის ვიყავი, ფლოტში სამსახურიც დასრულებული მქონდა და ნიუ-იორკის უნივერსიტეტშიც ვსწავლობდი. როგორც დემობილიზებულს, სტიპენდიაც მეკუთვნოდა. თვრამეტი წლის სტინა კი ქალაქში რამდენიმე თვის ჩამოსული იყო. რაღაც სამუშაოზე მოწყობილიყო და კოლეჯის საღამოს განყოფილებაზეც შესულიყო. მინესოტელი დამოუკიდებელი გოგონა! ასე შემიძლია, შევაფასო. საკუთარ თავში დარწმუნებული ჩანდა. დედა დანიელი ჰყავდა, მამა – ისლანდიელი. სხარტი იყო, საზრიანი, ლამაზი და თან რამსიმაღლე! ძალიან მაღალი! ქანდაკებასავით გრაციოზული იყო. ახლაც არ ამომდის თვალებიდან. ორი წელიწადი ვიყავით ერთად. ვოლუპტატს ვეძახდი. ფსიქეს ქალიშვილის სახელს. რომაელებში გრძნობიერი ნეტარების განსახიერების.

კარტი მაგიდაზე დააწყო და მიმობნეულ ქაღალდებში შეცურებული კონვერტი გამოაძვრინა, საიდანაც წერილი ამოიღო. ნაწერი საბეჭდ მანქანაზე იყო აკრეფილი და ორ გვერდს მოიცავდა.

– მოგვიანებით სრულიად შემთხვევით გადავაწყდით ერთმანეთს. ადელფიდან ქალაქში ვიყავი ერთი დღით ჩასული და უცებ რას ვხედავ: სტინა არ დგას! უკვე ოცდაოთხის ან ოცდახუთისა იქნებოდა იმ დროს. მოვიკითხეთ ერთმანეთი, გავისაუბრეთ. ვუამბე ჩემ შესახებ, ვუთხარი, ბავშვს ველოდებით-მეთქი, ისიც თავისას მომიყვა. ბოლოს გადაკოცნით დავემშვიდობეთ ერთმანეთს და მორჩა. დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ კოლეჯში ჩემს სახელზე წერილი მოვიდა. დათარიღებული იყო. თარიღიც დაესვა, აი, 18 აგვისტო, 1954 წელი. «ძვირფასო ქოულმენ! მიხარია, ნიუ-იორკში რომ შევხვდით ერთმანეთს. ხანმოკლე საუბრის შემდეგ რომ დავშორდით, შემოდგომის სევდა დამეუფლა.

ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენი პირველი შეხვედრიდან უკვე ექვსი წელიწადი გასულა, ანუ უამრავი დღე და ღამე ჩვენი ცხოვრებისა უკვე განვლილია. მშვენივრად გამოიყურებოდი, გამიხარდა, ბედნიერი რომ ხარ. უნდა ვაღიარო, ჯენტლმენივით იქცეოდი. მშვენივრად გეჭირა თავი. არადა, რა კარგად მახსოვს, რომ იმ დროს შენც ნახევარსარდაფში გქონდა ბინა ნაქირავები სალივან-სთრითზე. გახსოვს იმ დროს შენი თავი? მშვენივრად ახერხებდი პიკირებას, მტაცებელი ფრინველივით იყავი, რომელიც ზემოდან ადევნებს წყლის ზედაპირს თვალს და ნადავლის დანახვისთანავე შურდულივით ეშვება და ნისკარტს სტაცებს! ჩვენი გაცნობისას შენმა მფრინავმა ენერგიამ გამაოცა. მახსოვს, პირველად რომ გეწვიე ოთახში, მე სკამზე დავჯექი, შენ კი ბოლთას სცემდი და წამით თუ ჩამოჯდებოდი ტაბურეტზე ან კუშეტზე. სანამ ცოტას ავეწყობოდით და ლეიბს ვიყიდდით, ხსნის არმიიდან მუქთად წამოღებულ კუშეტზე გეძინა. დალევა შემომთავაზე და ჭიქა გამომიწოდე, თან ისეთი უცნაური მზერით მიყურებდი, თითქოს ხელი რომ მქონდა, რომლითაც ჭიქის დაჭერას შევძლებდი, და პირი რომ მქონდა, რომლითაც დალევას ვახერხებდი, დიდი სასწაული იყო, ისევე როგორც ის, რომ მეტროში გაცნობის მეორე დღესვე შენს საცოდავ ოთახში აღმოვჩნდი. რაღაცას მელაპარაკებოდი, მეკითხებოდი, თუმცა ზოგიერთზე თავადვე სცემდი პასუხს, მეტისმეტად სერიოზული გამომეტყველება გქონდა, მაგრამ რაღაც სიხარულნარევი, რაც საუბრის გაგრძელების სურვილს მიჩენდა, თუმცა კი ძნელად ვპოულობდი სიტყვებს. ასე რომ, გიყურებდი და იმაზე მეტს ვხვდებოდი, ვიდრე მოველოდი. მაგრამ ლიტონი სიტყვებით მე მხოლოდ ჩვენი ურთიერთლტოლვით შექმნილი სიცარიელის შევსება შემეძლო. გულში ვფიქრობდი, ჯერ მზად არა ვარ-მეთქი. ქალაქში ეს-ესაა ჩამოვედი და ასე უცბად არ ივარგებს, მაგრამ ცოტასაც თუ ვილაპარაკებთ, უფრო მეტს თუ მოვისმენთ ერთმანეთისგან და გავიაზრებ რაც მინდა, მზადაც ვიქნები-მეთქი (ოღონდ «მზად» რისთვის ვიქნებოდი, დღემდე ვერ გამიგია. მზადყოფნაში ურთიერთობას კი არა, ალბათ, უფრო «მზად ყოფნას» ვგულისხმობდი), მაგრამ ისეთი სისწრაფით გადმოკვეთე ნახევარი ოთახი და ისე მოულოდნელად მოიტანე «იერიში», რომ თავზარიც დამეცი და სასიამოვნოდ გამაოცე კიდეც... როგორ ნაჩქარევად და იმავდროულად, როგორ დროულად იმოქმედე მაშინ, ქოულმენ».

კითხვა შეწყვიტა, რადგან რადიოში სინატრას სიმღერის «მოჯადოებული, აღელვებული, შეცბუნებული» პირველი აკორდები გაისმა.

– უნდა ვიცეკვო, – მითხრა ქოულმენმა, – თქვენ არ გინდათ?

გამეცინა. არა, ეს უკვე ის ცხოვრებაზე გამწარებული, გაშმაგებული, «მოჩვენებების» დროინდელი განდეგილი როდი იყო, რომელიც თავად ცხოვრებასაც კი ომში იწვევდა, არა, ეს სხვა ადამიანიც კი არ იყო. ეს სხვა სული გახლდათ – ყმაწვილური, თუ გნებავთ. მაშინ სტინას წერილითა და ამ წერილის მკითხველი, წელზემოთ შიშველი ქოულმენით მკაფიოდ წარმოვიდგინე, როგორი უნდა ყოფილიყო ეს კაცი ოდესღაც, – სანამ დეკან-რევოლუციონერი გახდებოდა, სანამ ანტიკური სიტყვიერების პროფესორი შეიქნებოდა და ბევრად ადრე, ვიდრე ათინა-კოლეჯის წევრად იწოდებოდა, ის ჭაბუკი იყო, თან არა მხოლოდ უდრეკი და შეუპოვარი, არამედ მომხიბლავიც. იოლად აღგზნებადიც იქნებოდა და უწესოც – რაღაც მოუსვენარ ყმაწვილსა და თხისფეხა პანს შორის, ოღონდ აპრეხილი ცხვირით. მაგრამ ეს ძველად იყო, დიდი ხნის წინ, სანამ სერიოზული საკითხები ჩაითრევდა ცხოვრებისეულ ფერხულში.

– ჯერ წერილი ჩაიკითხეთ, – მივუგე მე, – კიდევ რას წერს?

– ჩემს გაცნობამდე სამი თვით ადრე მინესოტიდან იყო ჩამოსული. მე კი სულ უბრალოდ ჩავედი მეტროში მარტო და მასთან ერთად კი ამოვედი. ორმოცდარვა წელს მოხდა ეს ყველაფერი, – ისევ წერილს ჩახედა, – «არანორმალურად ვიყავი შენით გატაცებული, მაგრამ მეშინოდა, რომ მეტისმეტად ახალგაზრდად მიმიჩნევდი, ისიც მაშინებდა, ერთი უბრალო დასავლეთის პროვინციიდან ჩამოსულ უინტერესო ქარაფშუტად არ ჩამთვალოს-მეთქი. თანაც შენ იმ დროს ერთ «ჭკვიან და სიმპათიურ» გოგონას ხვდებოდი, თუმცა კი მითხარი, არა მგონია, ცოლად შევირთოო. გკითხე, რატომ-მეთქი? შენი პასუხით, «მეშინია, თავი არ მომაბეზროსო», იმას მიაღწიე, რომ ნემსის ყუნწში ვძვრებოდი, ოღონდ კი მომაბეზრებლად არ მოგჩვენებოდი. გეხსომება, ზოგჯერ ვიკარგებოდი ხოლმე, რომ თვალებში არ ამოგსვლოდი. ეს იყო და ეს. კმარა. თავი აღარ უნდა მოგაბეზრო მეტად. გპირდები, მეტს აღარ ვიზამ. ბედნიერებას გისურვებ, დიდ ბედნიერებას. სინაზით, სტინა».

– აჰა, – ვუთხარი მე, – ესეც თქვენი ორმოცდარვა წელი.

– ახლა კი ცეკვა.

– ოღონდ მთლად ყურში ნუ მიმღერებთ.

– ადექით, რაღას უცდით!

ვიფიქრე, მალე ისედაც კისრები მოგვეგრიხება, ჯანდაბას, წავუცეკვებ-მეთქი და წამოვდექი. მე და ქოულმენმა ვერანდაზე ფოქსტროტი დავუარეთ. წამყვანი ის იყო, მეც შეძლებისდაგვარად მივყვებოდი. გამახსენდა, როგორ შემოიჭრა ჩემს კაბინეტში აირისის დასაფლავების საკითხზე მოსალაპარაკებლად დამკრძალავ ბიუროში ნამყოფი, როგორი გაშმაგებული იყო და სრულიად უბოდიშოდ მომთხოვა იმ უსამართლობაზე დამეწერა, რაც მას შეემთხვა და რასაც მისი ცოლის დაღუპვა მოჰყვა. მაშინ მეგონა, ამ ადამიანს ვეღარანაირი ცხოვრებისეული სიკეთე და ხალისი ვეღარ მოუტანდა თუნდაც მცირეოდენ ბედნიერებას, ისევე როგორც პროფესიულ კარიერაზე ჰქონდა ხელი ჩაქნეული, რადგან რეპუტაციაც შელახვოდა და პატივისმცემელი ცოლიც დაეკარგა. ქოულმენი სწორედ იმ დღეს ვიხილე ასეთი გამწარებული, როდესაც მისი ცოლის ცხედარი ჯერ კიდევ თბილი ესვენა, იქნებ ამანაც იმოქმედა, რომ დავთანხმდი და ცეკვაში ავყევი, თორემ დავჯდებოდი და ირონიულად მივადევნებდი თვალს მის სოლო ცეკვას. იქნებ სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ მეც ავყევი ცეკვაში... მან ზურგზე ხელი შემომხვია, მეოცნებე სახით გასრიალდა და მეც გამიყოლა ვერანდის მოლურჯო ქვიშაქვის იატაკზე.

– იმედია, ვინმე წესრიგის მოხალისე დამცველი არ გამოგვეცხადება უეცრად, – ვთქვი მე.

– მეც იმედი მაქვს, – ღიმნარევად მიპასუხა, – თორემ ვინმემ თუ მომიტყაპუნა მხარზე ხელი და მითხრა, მეც რომ შემოგეჭრათო, კარგად გვექნება საქმე...

ცეკვას შევყევით. აშკარად ხორციელი აქ არაფერი ყოფილა, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ქოულმენი მხოლოდ თხელი შორტების ამარა იყო, მე კი მის თბილ ზურგზე მედო ხელი, არა, გინდა ძაღლის ზურგი ყოფილიყო, გინდ ცხენისა, სულერთია, მაგრამ მაინც რაღაც თვალთმაქცობა იყო. ქვის იატაკზე რომ დამასრიალებდა, მის საქციელში სანახევროდ ხუმრობა,

სანახევროდ კი გულწრფელობა იგრძნობოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ყოფითი სიხარულის ჯამბაზურ უაზრობაზე; გარდა ამისა, დაკვირვებული თვალი იმასაც შეამჩნევდა, რამხელა ბედნიერებას გრძნობდა იმის გამო, რომ სრულიად შემთხვევით ჰქონდა მინიჭებული სიცოცხლე, იმ ბავშვივით ხარობდა, ტუალეტის ქაღალდისა და სავარცხლის კომბინაციით უმარტივესი მოტივი რომ გამოიყვანა.

ის იყო, დავსხედით, რომ ქოულმენმაც სხვა ქალზე გადაიტანა სიტყვა:

– იცით, ჩემო ნათან, ერთ ქალთან საქმე მაქვს დაჭერილი. უფრო ზუსტად კი, ოცდათოთხმეტი წლის ქალთან გავაბი რომანი. გადმოცემა მიჭირს, ისეთ დღეში ვარ.

– აბა, რა იქნება, ახლა არ მოვრჩით ცეკვას.

– არა, მართლა! მეგონა, ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა-მეთქი, მაგრამ როდესაც ეს ასე გვიან გამომეცხადა, თან არსაიდან, სრულიად მოულოდნელად და მოუწადინებლად და მეც ასე შიშველი ხელებით დავუხვდი... უკვე მეგონა, ამ ფრონტს ვეღარ გავეკარები-მეთქი და უეცრად ამხელა განცდა მევლინება და ცხოვრებისეული ყოფიდან ამოვყავარ, თან...

– თან ოცდათოთხმეტი წლისა ყოფილა...

– და როგორი ცეცხლია! ფიცხი ქალია. სექსი ისევ ცოდვად მიქცია.

– მოკლედ, La Belle Dame sans merci[6] დაგიპყროთ, ხომ?

– მგონი. ვკითხე, სამოცდათერთმეტი წლის კაცთან მოგწონს-მეთქი? და იცი, რა მიპასუხა? მშვენიერია, რაც არის, ეგ არის, არც სიურპრიზებს ელი და არც ცვლილებებსო.

– ბრძენი ყოფილა.

– სიურპრიზების წყალობით. ოცდათოთხმეტი წელიწადი ხისტი სიურპრიზების კორიანტელმა სიბრძნე შემატა. მაგრამ ეს მეტისმეტად ვიწრო, ანტისოციალური სიბრძნეა. იმ ადამიანის სიბრძნე, რომელიც არავისგან არაფერს ელის. ეს მარტოობაში განზავებული სიბრძნეა და არა ის, რომელმაც დღითი დღე უფრო და უფრო სწორ გზაზე უნდა გატაროს. ის კი ცხოვრებისგან აღარაფერს მოელის, რადგან მთელი თავისი დღე

და მოსწრება სულ თვითგადარჩენის ინსტინქტი ამოძრავებდა. ალბათ, აქედან აქვს ყველაფერი შეთვისებული.

ვიფიქრე, აი, იპოვა ადამიანი, რომელსაც გულს გადაუშლის-მეთქი. მერე კი მივხვდი, რომ მეც ვიპოვე. იმ დროს, როდესაც კაცი კაცთან სექსზე იწყებს საუბარს, უთუოდ თქვენ შესახებაც გატყობინებთ რაღაცას. დიდ უმრავლესობას ამის განცდა არ შეუძლია და იქნებ სჯობდეს კიდეც ასე, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: თუკი იმდენად გულღიაობა არ შეგიძლიათ, რომ სექსის ზოგიერთი დეტალი გაუმჟღავნოთ თანამოსაუბრეს, მაშინ თქვენი, ასე დავარქვათ, «ძმაკაცობა» არასრულფასოვანი ყოფილა. ათიდან ცხრა კაცი მთელი ცხოვრება ვერ პოულობს ასეთ მეგობარს. ეს იშვიათობაა, მაგრამ როდესაც მოხდება და ერთი მამაკაცი თავისი ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე იწყებს საუბარს მეგობართან, ისე, რომ არც გაკიცხვისა ეშინია და არც სირცხვილი უბორკავს ენას, არც შური აფერხებს, გინდა თავისი, გინდ თანამოსაუბრის, როდესაც იცის, რომ ამ ნდობით მისი მეგობარი ბოროტად არ ისარგებლებს, როდესაც დარწმუნებულია, რომ ეს მეგობრობა ნამდვილ ძმაკაცობაში გადავა, ეს იშვიათი, მაგრამ მისასალმებელი მოვლენაა. არა მგონია, ასეთი გულღიაობა და გულწრფელობა მისთვის ჩვეული ამბავი ყოფილიყო, მაგრამ ის ხომ ჩემთან ჯერ კიდევ მაშინ მოვიდა და უნებლიეთ გული გადამიშალა, როდესაც სიძულვილით იყო თავბრუდახვეული, რომელიც თვალსა და ხელს შუა ანადგურებდა ისედაც გულმოკლულს, თან მას მერე ჩემთან რაღაც ისეთ სიახლოვეს (თუ მოურიდებლობას) გრძნობდა, როგორც ოდესღაც საწოლს მიჯაჭვული, მაგრამ უკვე გამობრუნებული ავადმყოფი იმ ადამიანთან, რომელმაც მის საწოლთან დიდი დრო გაატარა. ეს ტრაბახი კი არა, შვებაა, რომელსაც იმის შეგრძნება ჰგვრის ადამიანს, რომ საკუთარი მეორედ შობის ამბავს მოურიდებლად გაუმხელს მეგობარს.

– სად გამონახეთ? – ვკითხე მე.

– დღე იწურებოდა და ფოსტაში წავედი კორესპონდენციის წამოსაღებად, ჰოდა, იატაკის ჯოხით ხელში ვიხილე. კნაჭა ქერათმიანს ყურადღების ღირსად არავინ თვლიდა. ათინა-კოლეჯში კი შტატიანი დამლაგებელი ყოფილა. სადაც მე დეკანი ვიყავი, იქ იატაკებს რეცხავს. სულს იქით არაფერი გააჩნია. ფაუნია ფარლი ჰქვია. ჰოდა, როგორც მოგახსენეთ,

ფაუნია ერთი ჯიბეცარიელი გოგოა.

– რატომ არის ჯიბეცარიელი?

– ქმარი ჰყოლია მტარვალი ბუნების, თურმე ისე სცემდა, რომ ერთხელ კომაში ჩაუგდია ქალი. სარძევე ფერმაში უცხოვრიათ. ის ვაჟბატონი თურმე საქმეს სულ ვერ უძღვებოდა, ამიტომაც გაკოტრებულან. ორი შვილი გაუჩენია ფაუნიას, გაჭირვებით ზრდიდა. მაგრამ ერთ უბედურ დღეს საძინებელში დადგმული გამათბობელი გადაბრუნებულა, ხანძარი გაჩენილა და ორივე ბავშვი გაუგუდავს კვამლს. კრემაცია გაუკეთეს თურმე მათ ცხედრებს, ამიტომაც საწოლქვეშ ბიდონში შენახული შვილების ფერფლზე ძვირფასი არაფერი აბადია ქვეყნად. ერთი საცოდავი «შევროლე-83» ჰყავს და მატერიალური ქონების მის ჩამონათვალსაც წერტილი ესმება. ერთხელ მითხრა, არ ვიცი, ამ ფერფლს რა ვუქნაო და ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც ცრემლები გადაყლაპა. ფერმაში მომხდარმა ტრაგედიამ ისე გამოაშრო, რომ ტირილიც ვეღარ გამოსდის. არადა, ბოსტონის სამხრეთით დიდებულ, ძველებურ სახლში დაიბადა. შეძლებული ოჯახი ჰყავდა. ხუთივე საძინებელში თითო ბუხარი ჰქონიათ, გარდა მაგისა, ანტიკვარული ნივთები და საოჯახო ფაიფური მისივე გვარივით ძველი და პირველხარისხოვანი ყოფილა. ისე, როცა უნდა, მშვენივრად მეტყველებს. მაგრამ ისეთი მაღალი საფეხურიდან დაეშვა ისეთ დაბალ საფეხურზე, რომ დღეს მისი საუბრის მანერას ერთი დიდი დომხალი თუ დაერქმევა. ფაუნიას თავისი წილი ჩამოერთვა, რაზედაც ყველა უფლება ჰქონდა. მოკლედ, დეკლასირებული ელემენტია, რომლის უბედურებაც მოქმედი დემოკრატიაა.

– ჰო, მაგრამ, რატომ მოუვიდა ასე?

– რატომ? მამინაცვლის გამო. დიდი ბურჟუის გამო. ხუთისა რომ ყოფილა, მშობლები განქორწინებულან. მდიდარ მამას ლამაზი დედისთვის წაუსწრია. დედამისს ფული ჰყვარებია და ისევ მდიდარი კაცი გამოუნახავს, მაგრამ მამინაცვალი ფაუნიას თურმე სულს უმწარებდა. დანახვისთანავე აჰკიდებია გოგოს. თავთუხისფერთმიან, ანგელოზივით ბავშვს სულ ხელებს უთათუნებდა თურმე, საცვლებშიც კი უყოფდა იმ ბინძურ ხელებს. ერთხელაც შეყოფა რომ მოუნდომა, გოგონა გაქცეულა. მაშინ თოთხმეტისა ყოფილა. დედამისი ჯიუტად არ უჯერებდა ფაუნიას. ფსიქიატრთან დაუწყიათ საცოდავი გოგონას ტარება.

ექიმისთვისაც მოუყოლია ფაუნიას, მაგრამ მეათე სეანსის შემდეგ ისიც მამინაცვლის მხარეს გადასულა – ვინც იხდიდა, სარწმუნოდაც მისი ნათქვამი მიიჩნიესო, მითხრა ფაუნიამ. თან მარტო ფსიქიატრს კი არა, ყველას მისი ნათქვამი დაუჯერებია. მერე დედამისს გაუბამს ექიმთან რომანი, აი, ასეთ ამბავს მომიყვა ფაუნია. ამგვარმა ყოფამ აიძულა სასტიკი, მაგრამ დამოუკიდებელი ცხოვრება დაეწყო. სკოლასაც თავი დაანება, სახლიდან გაიქცა და სამხრეთისკენ დაახვია, სადღაც წაიმუშავა იქ, მერე ისევ აქეთ გამოუწია გულმა, თავს ძლივს ირჩენდა თურმე და უკვე ოცი წლისას ის ფერმერი გაუცნია, მასზე უფროსი იყო თურმე და ვიეტნამგამოვლილი, სარძევე ფერმაც ჰქონია. უფიქრია, ერთად ვიშრომებთ, ბავშვებს დავზრდით, ფერმასაც ფეხზე დავაყენებთო. ნამდვილ, სტაბილურ ცხოვრებაზე ოცნებობდა თურმე და მერე რა, თუ ქმარი ცოტა ჩლუნგია, ამასთან, შეგუება შეიძლებაო. ფიქრობდა, იქნებ უკეთესიც იყოს, რომ ხისთავიანი ქმარი მეყოლებაო. ორიდან ერთ-ერთს მაინც რომ აქვს ტვინი, ეგეც რამეაო. ალბათ, ფიქრობდა, მე თუ ცოტა მაინც მომეკითხება ჭკუა, უპირატესობაც ჩემს მხარეს იქნებაო. მაგრამ სწორედ აქ შეცდა თურმე. ამ ქორწინებიდან არაფერი გამოვიდა. ფერმაც გაკოტრდა. ერთი «ჭამაჯვია» იყოო, ასე მითხრა თავის ქმარზე, არც ხელების დაგრძელებას თაკილობდაო. თურმე ისე უმოწყალოდ სცემდა, რომ სიკვდილის პირას მიჰყავდა ქალი. იცით, ფაუნია ამ ქორწინების უმაღლეს წერტილს რას უწოდებს? ძროხის თბილ-თბილი ნეხვის დიდ სროლას. ერთ საღამოს, წველის შემდეგ, საძროხეში მდგარან და ტრადიციულად ჩხუბი აუტეხიათ. იქვე ძროხას კარგა გემრიელად მოუნეხვავს და ფაუნიასაც ერთი მუჭა გაუვსია ამ თბილ-თბილი პატივით და ლესთერისთვის შიგ სახეში უთხლეშია. კაცმაც იმავეთი დაუბრუნა თურმე ხურდა და აქ დაიწყო ყველაფერი. როგორც ფაუნია მეუბნება, თბილ-თბილი ნეხვის სროლა ყველაზე საუკეთესო რამ იყო, რაც კი რამ მაქვს გასახსენებელიო. ბოლოს თავიდან ფეხებამდე რომ ამოსვრილან, საძროხეშივე გადაუვლიათ შლანგით წყალი და სახლში წასულან საჟიმაოდ. მაგრამ სულ ტყუილადო, იხსენებს ფაუნია, ნეხვის სროლით მიღებული სიამოვნების მეასედიც ვერ მივიღეთო. ლესთერთან სექსი თურმე საერთოდ არ მოსწონდა, ამბობს, ამ საქმეში არაფრად ვარგოდაო. «იმდენად ჩლუნგი იყო, რომ ხეირიანად ჟიმაობაც არ გამოსდიოდაო». ჰოდა, ახლა მე რომ მეუბნება ხოლმე, იდეალური კაცი ხარო,

ვეუბნები, მასთან შედარებით ყველა კარგი მოგეჩვენება-მეთქი.

– გარდა იმისა, რომ ლესთერისთვის ნეხვის სროლამ ოცი წლის ასაკში სიბრძნე შემატა, ამდენწლიანმა გაჭირვებამ, დავიჯერო, უფრო მეტი კვალი არ დააჩნია? ვთქვათ, უფრო გამტანი ან შემტევი არ გახადა? ბოლოს და ბოლოს, სრულ ჭკუაზე მაინც არის?

– ჰო, უფრო შემტევი კი გახადა ცხოვრებამ. ყოველ შემთხვევაში, სექსუალურად ნამდვილად წაიწია წინ, მაგრამ ჭკუა კი არ დაუკარგავს. რა ვიცი, ჯერ არაფერი შემიმჩნევია და... თუკი გულში ისევ რისხვა უდევს, რაშიც ვერ გავამტყუნებ, გარეგნულად ჯერ არაფერს ამჟღავნებს. ურისხვო რისხვა. უცნაურია, მაგრამ ადამიანი, რომელსაც არასდროს უმართლებდა, საკუთარი თავის მიმართ უმცირეს თანაგრძნობას იჩენს ან უბრალოდ მალავს და არ აჩენს. მაგრამ აი, ცხოვრებისეული გამჭრიახობა კი ნამდვილად არ ემჩნევა, რაღაც უფხოც კი მეჩვენება. თუმცა, ზოგჯერ ჭკვიანურსაც იტყვის ხოლმე. ერთხელ მეუბნება: «იქნებ შენივე ასაკის ქალად ჩამთვალო, რომელიც შემთხვევით ახალგაზრდულად გამოიყურებაო. სიმართლე გითხრა, ასე მირჩევნიაო». რომ ვკითხე, ჩემგან რა გინდა-მეთქი, მიპასუხა: «მეგობრობა; იქნებ რაიმეს შესწავლაც; სექსიც და სიამოვნებაც, ოღონდ გული არ გაგისკდეს, ამაზე მეტს არაფერს გთხოვო». ადრე ვუთხარი, ასაკთან შეუფერებლად ბრძენი ხარ-მეთქი, მიპასუხა, ასაკთან შეუფერებლად ტუტუცი ვარო. იმ ლესთერზე მეტი ჭკუა კი ნამდვილად უდევს თავში, მაგრამ გამჭრიახობაზე რა მოგახსენო. არა, არაფერიც არა აქვს მსგავსი, მასში თოთხმეტი წლის გოგონასი უფრო მეტია, ვიდრე გამჭრიახი ქალისა. თავის უფროსთან ჰქონია კავშირი, სმოუქი ჰოლენბექთან, რომელმაც აიყვანა სამუშაოზე. არადა, ეგ სმოუქი თავის დროზე მე ავიყვანე კოლეჯის საქმეების გამგებლად. წინათ ადგილობრივი საფეხბურთო გუნდის ვარსკვლავი იყო. სამოცდაათიანი წლებიდან ვიცნობ, სტუდენტი რომ იყო. ახლა კი კოლეჯს განაგებს. ფაუნია დამლაგებლად რომ აჰყავდა, ქალი მაშინვე მიმხვდარა, რაც ედო ვაჟბატონს გულში. თურმე მოსაწყენი ქორწინებით ჰქონია გული გაწყალებული, მაგრამ ამის გამო სულაც არ გაბოროტებულა, მაგრამ ფაუნიას არაფერს უშლის, არც თავისუფალ ცხოვრებას, ვინც გინდა, ის დაისვიო. ბურჟუაზიული ქედმაღლობა არ სჩვევია სმოუქის. თან

ყველაფერს სწორად აკეთებს: ცოლი ჰყავს, შვილი – ხუთი! სანთლით საძებნი მეოჯახეა, თან როგორ სპორტულ ფორმაშია, რომ განახვათ, კოლეჯის თვალია ამ დარგში; საერთოდაც, ყველგან პატივს სცემენ ქალაქში. მაგრამ ხანდახან თვალის გაპარებაც უყვარს და გართობაც, კაი ქალს ხელიდან არ უშვებს. არადა, რომ დაელაპარაკო, ვერაფერს მიხვდები. «მისტერ ათინა» კუბში, მოკლედ, თითით საჩვენებელი კაცია, ცხოვრებისეულად ფრიადოსანი ყველაფერში. კაცი-ლეგენდა! ერთი შეხედვით ფაუნიასა და სმოუქის ვერაფრით დაუკავშირებ ერთმანეთს, იმასაც იფიქრებ, ამ ბანძ დედაკაცთან ამისთანა კაცს რა ესაქმებაო. მაგრამ ასე როდი ფიქრობს. როგორც ჩანს, სხვებისგან მართლაც განსხვავდება და თავი მართლა ლეგენდა არ ჰგონია, რომ თქვას: ამ ნაშას კი ავაწევინებდი ფეხებს, იმას კი რეზინითაც არ გავეკარებოდიო. ეჰ, ჩემო ნათან, იცით, თურმე როგორ ჟიმავდა ფაუნიას? ერთ საწოლში მას დააწვენდა, მეორეში კი პერსონალიდან კიდევ ერთ ნაშას და ორივეს ჟიმავდა მთელი ღამე. ნახევარი წელიწადი ქინძავდა თურმე ასე. მერე ერთი ნაშა გამოჩნდა კიდევ ქალაქში, უძრავი ქონების აგენტი, ახალგანქორწინებული. ჰოდა, ამ სმოუქისაც მესამე ფრონტზეც გაუჩაღებია შეტევები. ექვსი თვის შემდეგ კი ამ ბატონმა ფაუნიას გამოუცხადა, დაგითხოვეო, მოკლედ, მოხმარებიდან გამოიყვანა. მე კი ამის შესახებ არაფერი ვიცოდი, სანამ ჩემმა ქალმა არ მიამბო. არადა, მითხრა კი არა, წამოსცდა. გეტყვით, როგორც მოხდა: ერთ ღამეს ჩათვლიმა დაღლილს და «სმოუქიო» მომმართა. ალბათ, წარმოსახვაში სმოუქის მთის მწვერვალზე იყო. ჰოდა, ყველაფრის მოყოლამ მოუწია და მეც გავაცნობიერე, რა ქალთან მქონდა საქმე. მარკა აეწია ჩემს თვალში, მივხვდი, რომ მოყვარულთან არ მქონდა საქმე. ვკითხე, ამდენ ქალს როგორ აბამს-მეთქი სმოუქი? გაკვირვებულმა მომიგო, «სულ ჩვეულებრივადო». ვთხოვე, ამიხსენი-მეთქი. მან კი, «როდესაც მის ოთახში ქალი შედის, უკვე ხვდება, ნაშაა თუ ამ საქმისთვის არ გამოდგება, გინდ შილიფად ეცვას და გინდ მონაზონივითო». გამჭრიახობას რომ დავუბრუნდეთ, საწოლი ერთადერთი ადგილია, სადაც ფაუნია გამჭრიახობას იჩენს, ნათან. პირველი, ალბათ, ბუნებრივი ხორციელი გამჭრიახობაა, მეორე კი ნორმებიდან თავხედური გადახვევა. საწოლში ძალიან ფხიანია, თვალს არ მოხუჭავს, სხეულით ჭვრეტს ყველაფერს, ზუსტად იცის, რა გააკეთოს. სარეცელზე ძლიერი, ერთ მუშტად შეკრული ძუ ვეფხვია,

რომლის ერთადერთი მიზანი საზღვრების გადალახვაა. არა, საწოლში მართლაც რთული და ამოუხსნელი მოვლენაა. იქნებ ძველი ძალადობის კვალიც იკითხებოდეს მის ამ საქციელში. აი, სამზარეულოში რომ ჩამოვდივართ და მე ერბოკვერცხის შეწვას ვიწყებ, ნამდვილად ბავშვად გადაიქცევა ხოლმე. იქნებ ამაშიც ძველი ძალადობაა ბრალში. ჩემ წინ ერთი დაბნეული, ყურადღებაგაფანტული გოგონა ზის ხოლმე და ცარიელი თვალებით იყურება. სხვა დროს ასეთი არ არის ხოლმე, მხოლოდ სადილობისას ბავშვდება. მოკლედ, მამიკო და ქალიშვილი ვსხედვართ ხოლმე. თუკი ბავშვური დარჩენია რამე, ყველაფერი ამ დროს ამოუტივტივდება და ანგელოზივით გამოიყურება. იცით, სკამზე ვერ ისვენებს, სულ მოუსვენრად ზის, ორ წინადადებას ვერ გეტყვით გადაბმულად. სექსის დროს უზრუნველობა და გადატანილი ტრაგედია სადღაც ქრება და ზის გამოთაყვანებული. ასეთ დროს მინდა, დავტუქსო, მაგიდაზე ჭამე, თეფში ტყუილად ხომ არ გიდგას, ეგ ხალათის სახელოები კი გადაიწიე და სახეში მიყურე, როცა რამეს მეუბნები-მეთქი.

– მერე, ტუქსავთ ხოლმე?

– არა, რადგან კეთილგონივრული საქციელი არ იქნებოდა. მირჩევნია, იმ ინტენსივობას გავუფრთხილდე, რაც არის. იმ დროს მის საწოლქვეშ მდგარ ბიდონზე ვფიქრობ, სადაც ფერფლს ინახავს, ვერ გაუგია, რა უყოს და მინდა ვურჩიო, უკვე ორი წელიწადი გავიდა, ბოლოს და ბოლოს, მიაბარე მიწას და დაისვენე. თუკი მიწისთვის არ გნებავს მიბარება, მაშინ ხიდზე მაინც დადექი და გაფანტე-მეთქი. არ ჯობია, ფერფლი გაიფანტოს და ჰაერს შეერიოს? სიამოვნებით შევთავაზებდი გაყოლას და გაფანტვაშიც მივეხმარებოდი, მაგრამ არც მე ვარ მამამისი და არც ის არის ჩემი ქალიშვილი, ასე რომ, ოჯახობანას თამაში არ გამოგვივა. ისე, ვერც პროფესორის როლს მოვირგებ მასთან, პრინციპში, ვერც სხვასთან. ვინმეს რამე ვასწავლო ან შეცდომები ვუსწორო, ვუჩიჩინო, გავანათლო და მერე გამოცდები ვუტარო, ჩემი მოვალეობა აღარ არის. უკვე პენსიონერი ვარ. მე ერთი სამოცდათერთმეტი წლის ბებრუხანა ვარ, ვინც ოცდათოთხმეტი წლის საყვარელი გაიჩინა, რაც მასაჩუსეტსის შტატში ვინმესთვის ჭკუის დარიგებას მიკრძალავს. «ვიაგრის» მიღება მიწევს, ნათან. აი, ასეთი გახლავთ ჩემი Belle Dame sans merci. სწორედ «ვიაგრას» უნდა ვუმადლოდე ჩემს ბოლოდროინდელ მჩქეფარე და ბედნიერ

ცვლილებას. უმისოდ არაფერიც არ იქნებოდა. უმისოდ ამ ქვეყანას ისევე დავუწყებდი ყურებას, როგორც ჩემს ასაკშია მიღებული და სულ სხვა მიზნებიც მექნებოდა. «უვიაგროდ» ერთი სოლიდური ჯენტლმენი ვიქნებოდი ყოველგვარი სიძვისმიერი გართობის გარეშე; კორექტული და თავდაჭერილი. არც ამდენ სისულელეს ჩავიდენდი. ამდენ გაუაზრებელ, დამღუპველ და თავბრუდამხვევ გაუგონრობას რა ჩამადენინებდა. «ვიაგრის» გარეშე მხოლოდ და მხოლოდ პენსიაში გასული, გამოცდილი პედაგოგისა და პროფესორის თვალით დავუწყებდი ყურებას ყველაფერს. იმ ადამიანის თვალით შევხედავდი სამყაროს, რომელსაც დიდი ხანია ხორციელ სიამეზე ხელი აქვს ჩაქნეული. იმის მაგივრად, სულ სექსუალური აფექტის განცდაზე ვიყო გადართული, შევძლებდი, ღრმად ფილოსოფიური ჭეშმარიტებანი მეძია და ახალგაზრდობაზე ზნეობის განმამტკიცებელი გავლენა მომეხდინა. «ვიაგრის» წყალობით ჩავწვდი ზევსის სასიყვარულო მეტამორფოზებს. სხვა რამე უნდა ერქვას ამ პრეპარატს, «ვიაგრა» კი არა, «ზევსი» უფრო მოუხდებოდა.

ნეტავ თვითონ ვერ ხვდება, რომ ზედმეტად გადამიშალა გული? ნუთუ გაკვირვება არ ეუფლება ამდენი რამის თქმის შემდეგ? არ არის გამორიცხული, მაგრამ იმდენად აქვს გული დარდით სავსე, რომ ცოტა თუ არ გამოუშვა, სუნთქვა გაუჭირდება. ალბათ, ახლაც იგივე იმპულსი ამოძრავებს, რამაც ჩემთან ერთად ცეკვა გადააწყვეტინა. ჰო, ეტყობა, ამით დამცირების საწინააღმდეგო ახალი და თავხედური საშუალება გამონახა. ჯერ «მოჩვენებებზე» წერდა, ახლა ფაუნიასთან იყოფს სარეცელს. მაგრამ მარტო ეს იმპულსი კი არა, რაღაც უფრო მეტი უნდა იყოს, რაც მას ასე ამოძრავებს. სურვილი კლავს, ჩაკეტილი მხეცი გამოუშვას, გამოათავისუფლოს ენერგია – თუნდაც ორიოდე საათით, მაგრამ ამით თავის ბუნებრივ მდგომარეობას დაუბრუნდეს. მრავალი წლის განმავლობაში ცოლიანი კაცი იყო. შვილებიც შეეძინა. კოლეჯის დეკანად მუშაობდა. მთელი ორმოცი წელიწადი თავის საქმეს აკეთებდა. სულ დაკავებული იყო, ამიტომ ბუნებრივი არსება – ცხოველი გალიაში ჰყავდა გამომწყვდეული. ახლა ეს გალია გახსნილია. დეკანობა, მამობა, ქმრობა, წიგნების კითხვა, ლექციების ჩატარება, დავალებების შემოწმება, ნიშნების წერა... აქედან აღარაფერი უნდა. ცხადია, სამოცდათერთმეტი წლისა ისე თვალადი მხეცი ვეღარ იქნები კაცი, ოცდაექვსისა რომ

იყავი, მაგრამ ძველი მხეცის ნარჩენი, ნარჩენი შინაგანი არსებისა, მაინც რჩება, ქოულმენი კი სწორედ ამ ნარჩენებში აფათურებს ახლა ხელებს. შედეგად კი კმაყოფილია და ბედნიერი, რომ ამის თავი მაინც აქვს. არა, კმაყოფილზე მეტია, აღტაცებულია. ოჯახური საწყისი კი არაფერ შუაშია – ბიოლოგია მისთვის უკვე ნაკლებად მნიშვნელოვანია. მისთვის უკვე აღარც პასუხისმგებლობა, ფული, ვალდებულება, მსოფლაღქმა და შეხედულება ლიტერატურაზე ან ხანგრძლივი საუბრები დიად თემებზე საინტერესო საკითხს აღარ წარმოადგენს. მხოლოდ აღტაცება უდევს ახლა თავში. ხვალ კიბოც რომ აღმოაჩნდეს, დღევანდელ აღტაცებაზე უარს ვერ ათქმევინებ.

მე რატომ გადამიშალა გული? იმიტომ, რომ თუკი ყელამდე აღტაცებული გინდა იყო, ვინმეს მაინც უნდა გამოუტყდე ამაში. ყველაფერზეა ახლა ხელის მომწერი, რადგან დასაკარგი აღარაფერი აქვს. მომავალი არ გააჩნია და დასაკარგი რა ექნება? ის ხომ სამოცდათერთმეტი წლისაა, ქალი – ოცდათოთხმეტის. ეს ურთიერთობა იმიტომ კი არ წამოიწყო, რომ რამე შეეტყო ახალი ან რამე შორს მიმავალი გეგმები დაეწყო, არამედ თავგადასავლის სურვილის გამო; ორივეს თავდავიწყებით სურდა თავდავიწყების მორევში გადაშვება. მისთვის ოცდაჩვიდმეტწლიანი ასაკობრივი სხვაობა კოლოსალური გამათავისუფლებელი ძალაა. ბერიკაცისთვის ბოლო ბანაობაა სექსის ტალღებში. მოკლედ, აცუნდრუკდა მოხუცი და ეგ არის.

– ცხადია, ჩნდება კითხვა, – მითხრა ქოულმენმა, – ქალს რაღა უნდა ბერიკაცისგანო? სინამდვილეში რა უტრიალებს გონებაშიო? ახალი აღმგზნები განცდები? არადა, ვისთან, პაპის ტოლ კაცთან?

– მე მგონი, არსებობს ქალების ტიპი, – დავიწყე მე, – რომელთათვისაც ეს აღმგზნები განცდების მომტანია. ათასი ჯურის ხალხი არსებობს და რაღა მისნაირი ვერ იქნება? ხომ არსებობს ვაშინგტონში მოხუცებისთვის განკუთვნილი ფედერალური ორგანო? ჰოდა, ეს ქალბატონი იქიდან არ იყოს თქვენთან მოვლენილი, ქოულმენ.

– ახალგაზრდობაში შეუხედავ გოგონას არ გავკარებივარ, მაგრამ ფლოტში ერთი ამხანაგი მყავდა, ფარიელო, რომელიც გონჯებზე იყო დასპეცებული. ნორფოლკის ბაზაში, როდესაც ცეკვებზე, კლუბში ან ეკლესიაში გვიშვებდნენ ხოლმე,

ფარიელო ეგრევე ყველაზე მახინჯს ადგამდა თვალს. როდესაც დავცინე ამის გამო, მითხრა, რომ იცოდე, რამდენს კარგავ მაგ პრინცესების არჩევითო. ფინთი შესახედაობის გოგონები საკუთარ თავზე ნეგატიურად ფიქრობენ, ასე რომ, რაც უნდა სთხოვო, ყველაფერს შეგისრულებენო. კაცების დიდი ნაწილი თავისი სიშტერის გამო ამდენს ვერ ხვდებაო. ბევრი ვერ მოდის აზრზე, რომ მთავარია, ამისთანა ქალს გასაღები მოარგო და ისე დაგიტკბება, როგორც თაფლი. გასაღების პოვნა კი იოლი არ გახლავთ. მაგრამ თუკი მაინც მიაგენი სადმე... ოჰ, ოჰ, ოჰ! როგორც შამფური, ისე იბრუნებს ლოგინში. არადა, ეძახე მისთანას ულამაზო, რომელიც კუთხეში მიკუნჭულა თავისთვის, როცა სხვები ცეკვით იქცევენ თავსო. სიბერეც რაღაც ამის მსგავსია, კუთხეში მიყუჟვას ჰგავს, როცა ყველა ერთობა.

– ესე იგი, ფაუნია თქვენი ფარიელოა.

– რაღაც მაგის მსგავსი, – ქოულმენს გაეღიმა.

– ასეა თუ ისე, – ჩავურთე მე, – «ვიაგრის» წყალობით ამ წიგნის წერის მტანჯველი სურვილისგან კი გათავისუფლდით.

– მართალია, – დამეთანხმა ქოულმენი, – სწორი ბრძანებაა. სულელური წიგნი გამოდიოდა... ჰო, მართლა, გითხარით, რომ ფაუნიას კითხვა არ სცოდნია? ერთხელ ვერმონტში წავედით რესტორანში, ჰოდა, მენიუ რომ მოიტანეს, ვერაფერი წაიკითხა. ადგა და გვერდზე მოისროლა. ასეთი ჩვევა აქვს, როცა ზიზღის გამოხატვა უნდა, ზედა ტუჩს ჩაიკვნეტს და მერე კბილებში გამოცრის ხოლმე. მაშინაც ასე ქნა და მოსულ მიმტანს მოკლედ მოუჭრა, რასაც ბატონს მოუტანთ, მეც იგივე მომიტანეთო.

– კი მაგრამ, აკი თოთხმეტ წლამდე უვლია სკოლაში და კითხვა როგორღა არ იცის? – გაკვირვება ვერ დავმალე.

– ეტყობა, ბავშვობის წლებთან ერთად იმ დროს მიღებული ცოდნაც გაუქრა. რომ ვკითხე, ასე როგორ მოხდა-მეთქი? გამიცინა და მიპასუხა, აი, ასეო. ათინაში გულკეთილი ლიბერალები კი ცდილობდნენ დაყოლიებას, კურსებზე ჩაეწერეო, მაგრამ ყველა «კეთილისმსურველი» ჯანდაბაში გაუშვა. ერთ ღამეს მეც მითხრა, ახლა შენც არ დამიწყო სწავლებაო. როგორც გინდა, ისე ატარე ჩემთან დრო, მაგრამ ეგ მძღნერიანი სასწავლო კურსი არ მიხსენოო. რაც ყურში მესმის, ისიც გულს მირევს, საკმარისია, მერხთან დაჯდომა დამაძლო

და იცოდე, ხელს მკრავ ამითო. ჰოდა, იმ საღამოს რომ დავუბრუნდე, მოკლედ, ვერმონტიდან რომ ვბრუნდებოდით, არც მას ამოუღია ხმა და არც მე. სახლში რომ მოვედით, მერეღა ამოიდგა ენა და მკითხა, არ გსიამოვნებს უწიგნურთან ჟიმაობაო? მარტო იმიტომ მიმაგდებ, რომ მხოლოდ განათლებულ, მოწესრიგებულ ქალთან გინდა წერაობაო? ახლა შენც ხომ არ დამიწყებ ჩიჩინს, ისწავლე, ისწავლეო! ვუთხარი, პირიქით, რაც უფრო უკითხავია ქალი, უფრო ღრმად ვურჭობ-მეთქი. გაუხარდა, ესე იგი, ერთმანეთს გავუგებთო. არ მინდა, ისე მომექცე, როგორც წიგნიერ ქალსო. ვუპასუხე, შენთან იმიტომ ვარ, ასეთი რომ ხარ-მეთქი! ფაუნია კი სიცილით მოკვდა, იმდენი შენ რა გითხარიო! ამაზე მეც ამივარდა სიცილი, მოკლედ, გიჟებივით ვხარხარებდით. ფაუნიას ისეთი სიცილი აუტყდა, როგორიც ბარმენ ქალს აუტყდება ხოლმე, როცა დახლქვეშ ბეისბოლის ბიტი აქვს ყოველი შემთხვევისათვის შემონახული – სიცილი ოდნავ ჩახლეჩილი და უხეში ხმით, რომელშიც მისი წარსულიც იკითხებოდა, და ამ სიცილ-ხარხარში შარვლის ღილების გახსნა დამიწყო. არადა, ეტყობა, მიხვდა, რომ ვერმონტიდან რომ ვბრუნდებოდით, სწორედ იმ დროს გამიჩნდა მისი მიტოვების სურვილი. ჩემი აზრები თუ წაიკითხა... მაგრამ ასე არ მოვექცევი. არ ვაპირებ მასთან ან თუნდაც საკუთარ თავთან, ჩემი საოცარი სათნოება მოვიშველიო. თუმცა მესმის, რომ ამისთანა რამე კაცს მუქთად არ ეძლევა. აქ დაზღვევის სისტემა არ მუშაობს. რაღაც გაბრუნებს ამ ცხოვრებისკენ, მერე კი ისევ ის რაღაც გიღებს ბოლოს. მესმის, რომ ყოველი შესაძლო შეცდომის საწინდრად სექსიც იკმარებს, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მაგრამ ახლა ეს სულაც არ მაღელვებს. დილით ვიღვიძებ და იატაკზე ტილო გდია, ტუმბოზე კი ვაზელინი. რა უნდა ამ ნივთებს აქ? მერე მაგონდება. ის უნდა, რომ ჯერ კიდევ ცოცხლებში ვწერივარ და ჩემ ირგვლივ დიდი ქარბორბალაა. და რაკი ვარსებობ, ასეც უნდა იყოს. სულაც არ ვგეგმავ მის მიტოვებას, ნათან. თან ვოლუპტატიც შევარქვი.

* * *

რამდენიმე წლის წინ პროსტატა ამომკვეთეს. ოპერაცია, მართალია, წარმატებით დასრულდა, მაგრამ მთლად

პოსტოპერაციული უსიამოვნო შედეგის გარეშე არ ჩაუვლია. შედეგი თითქმის გარდაუვალი იყო დაზიანებული ნერვული ქსოვილისა და შიდა ნაწიბურების გაჩენის გამო. ბევრი რომ არ გავაგრძელო, შარდის შეუკავებლობა დამჩემდა და ამიტომაც, როგორც კი შინ დავბრუნდი, შემწოვი საფენი გამოვიღე, რომელიც დღედაღამ საცვალში მაქვს ჩაფენილი. რაკი დღისით ცხელოდა, არც მე ვაპირებდი საზოგადოებრივი თავშეყრისა და ხალხმრავალ ადგილას მისვლას, მხოლოდ და მხოლოდ მეზობელ ქოულმენთან მივდიოდი, პოლიეთილენის საცვლის მაგივრად, ჩვეულებრივი, ბამბის ტრუსი ვარჩიე; შედეგად კი შარდმა ჩემი ხაკისფერი შარვალი გალუმპა. შინ მისულმა წინ ჩამუქებული ფერი შევნიშნე და სუნიც კი ვიგრძენი. საფენებს წესით დეზოდორით ამუშავებენ, მაგრამ სურნელს სუნმა სძლია და მსუბუქად ავქოთდი. ქოულმენის ამბავმა ისე შემიყოლია, რომ ერთხანს თავიც კი დამავიწყდა, არადა, მუდამ ვიწესრიგებ ხოლმე ყველაფერს პრობლემის გათვალისწინებით. მე კი ქოულმენთან შემოვრჩი, ლუდის სმას მივყევი, წავუცეკვე კიდეც მასთან ერთად, ვუსმენდი მის ნაუბარს, თან მის მჭვრეტელობასა და სიფხიზლეს ვაკვირდებოდი, რომლითაც ცდილობდა, ცხოვრების სახიფათო მოსახვევში წონასწორობა და მდგრადობა შეენარჩუნებინა. მე კი საპირფარეშოში არც კი გავსულვარ, თუმცა კი დროდადრო ეს ჩემს მდგომარეობაში აუცილებელია, ამიტომაც მარცხი მომივიდა. ვაღიარებ, ამ მარცხმა ბოლო ხანებში უხშირა.

არა, ეს უსიამოვნება ისე აღარ მოქმედებს ჩემზე, როგორც ოპერაციის შემდგომ პირველ ექვს თვეში მოქმედებდა, როდესაც ათასნაირ საშუალებას ვცდიდი ამ პრობლემის გადასაჭრელად, თან იმ დროს ჯერ კიდევ ის ჩვევა მქონდა, რაც ყველა ჯანმრთელ ადამიანს აქვს – უსუნო, მშრალი და თავისუფალი ცხოვრებით ტკბობისა. ზრდასრული ადამიანი ხომ თავის ორგანიზმს აკონტროლებს, მით უმეტეს, მე სამოცდარამდენიღაც წელი სრულიად ჯანსაღი ცხოვრებით ვიცხოვრე, შემეძლო მთელი დღე საქმეში ვყოფილიყავი ჩაბმული და საცვლის პრობლემაზე არც მეფიქრა. ასეა თუ ისე, როდესაც რამე ჩემი ამჟამინდელი პრობლემების ზღვარს თუნდაც მცირე ხნით სცილდება, სასოწარკვეთილებაში ვვარდები და ვფიქრობ, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უნებლიე შარდვის გამო ჩვილი ბავშვივით უძლური უნდა ვიყო.

ოპერაციას მეორე უბედურებაც ახლდა თან – პოტენცია დავკარგე. წამალი, რომელიც 1998 წლის ზაფხულში ჯერ კიდევ სიახლე იყო, თუმცა კი მოკლე ხანში სასწაულმოქმედი ელექსირის სახელი მოიხვეჭა ხანში შესულ მამაკაცებში, სხვა შემთხვევაში ქოულმენისთანა პრაქტიკულად ჯანსაღი კაცებისთვის ფუნქციური პოტენციის დაბრუნების წყალობით, ჩემთვის სრულიად უშედეგო გამოდგა ნერვული ქსოვილის მასშტაბური დაზიანების გამო. ასეთ მდგომარეობაში «ვიაგრას» ჩემი დახმარება არ ძალუძდა. ისე, სიმართლე გითხრათ, სხვა ვითარებაც რომ ყოფილიყო, არა მგონია, გამომეყენებინა.

ერთი რამეც მსურს, დავაზუსტო: კარჩაკეტილი ცხოვრება იმპოტენციის გამო არ დამიწყია. წელიწად-ნახევარი იქნებოდა გასული, რაც ოროთახიან ქოხში დავეყუდე საწერად. ბერქშირ-ჰილში მანამდე დავიდე ბინა, სანამ რუტინული გამოკვლევების შემდგომ დიაგნოზად პროსტატის კიბოს დამისვამდნენ. მერე კიდევ ერთთვიანი დამატებითი გამოკვლევების კურსი ჩავიტარე და ბოსტონის გზასაც დავადექი პროსტატექტომიის ჩასატარებლად. აქ გადმოსვლით სექსზე გაცნობიერებულად ვთქვი უარი, ოღონდ არა იმიტომ, რომ ლტოლვა ან ერექცია დამიქვეითდა, არამედ იმიტომ, რომ სიამოვნების მიღების ფასმა აიწია მეტისმეტად და ვერაფრით მოვუყრიდი თავს იმდენ მახვილგონიერებას, ძალას, მოთმინებას, ილუზიას, ირონიას, სიმხურვალეს, ეგოიზმს, მოქნილობას, ანდაც სიხისტეს, პრაქტიციზმს, სიყალბეს, მლიქვნელობას, ორმაგი ცხოვრების უნარსა და დასასრულ, ეროტიკულ პროფესიონალიზმს, რომ მაცდური, გზიდან ამცდენი, ურთიერთსაწინააღმდეგო ფიქრების კორიანტელს გავმკლავებოდი. საბოლოოდ უკურნებელი იმპოტენციით მიღებული პოსტოპერაციული შოკის ერთგვარი შერბილება მაინც მოვახერხე, დავირწმუნე თავი, რომ ნებით არჩეული გზის გასაგრძელებლად ქირურგიული ჩარევა უფრო მეტ შესაძლებლობას მანიჭებდა. ოპერაციამ მხოლოდ იმ გადაწყვეტილების გამყარებისკენ მიბიძგა, რაც ცხოვრებისეული გამოცდილებით, გართულებებისა და სირთულეების პრაქტიკით მივიღე, თან იმ დროს, როდესაც პოტენცია სრულფასოვანი, ძლიერი და დაუდგრომელი მქონდა და მამაკაცის მანიაკური მოთხოვნილება, კიდევ, კიდევ და კიდევ მეკეთებინა ის საქმე, ფიზიოლოგიური სირთულეებით

არ იყო ამოლაგმული.

მაგრამ, როდესაც ქოულმენმა ჩემდა ჭირად თავის ვოლუპტატთან სიამტკბილობაზე მიამბო, ფილოსოფიური თვითშემოზღუდვით მიღწეული მთელი ჩემი მოჩვენებითი სიმშვიდე და დაოკებულობა გაქარწყლდა და წონასწორობა დავკარგე. მრავალი საათი ვიწექი ფანტაზიების ტყვეობაში, ძილი არ მეკარებოდა. ვიწექი და დაჰიპნოზებულივით მხოლოდ იმ დროს ვიხსენებდი, როცა ჯანზე ვიყავი და იმ დროის მხურვალებას ვუტოლებდი დაცემაგანცდილის უძლურებას. ვიწექი და არც კი ვცდილობდი, რომ ქოულმენის ნახსენები «ნორმებიდან თავხედური გადახვევა» ცხადად არ წარმომედგინა; ხოლო ჩემი ცეკვა, – ცეკვა უვნებელი საჭურისისა ამ სიცოცხლით სავსე ულაყთან – ერთი ხიბლს მოკლებული თვითსატირა იყო და მეტი არაფერი.

როგორ ვთქვა, რომ «ეს ჩემი ცხოვრების ნაწილი აღარ არის», როცა ყველა სულდგმულის ცხოვრების ნაწილია? სექსის დამაბინძურებელი ფაქტორი, მხსნელი წახდენა, რომელიც ხელს უშლის სახეობათა იდეალიზაციას და არასოდეს გვავიწყებს იმას, რანიც ვართ.

მომდევნო კვირის შუაში ქოულმენმა ერთფრაზიანი ანონიმური წერილი მიიღო, გავრცობილი დამოკიდებული წინადადება თავისი ქვემდებარე-შემასმენლიანად, რომელიც რატომღაც ოთხ ხაზად იყო გაშლილი ქაღალდის სტანდარტულ თეთრ თაბახზე. მამხილებელ თორმეტსიტყვიან წერილს მთელი გვერდი ჰქონდა შევსებული:

ყველამ იცის,

რომ თქვენ სექსუალურად იყენებთ

თქვენზე ორჯერ ახალგაზრდა

უბედურ, გაუნათლებელ ქალს.

წერილიცა და კონვერტზე წარწერაც წითელი ბურთულიანი კალმით იყო ნაწერი. ნიუ-იორკის საფოსტო მარკის მიუხედავად, ქოულმენმა ხელი მაშინვე იცნო. ეს კათედრის მმართველის, ახალგაზრდა ფრანგი ქალის ხელწერა იყო, რომელმაც ქოულმენის დეკანის პოსტიდან წასვლის შემდეგ მისი ადგილი დაიკავა და შავკანიანი სტუდენტების

ყბადაღებულ საქმეში რასიზმში მის გამძვინვარებულ ბრალმდებელთა შორისაც გამოირჩეოდა აქტიურობით.

«მოჩვენებებით» დასათაურებულ ერთ-ერთ საქაღალდეში ქოულმენმა თავისი მოსაზრების დადასტურებასაც მიაკვლია, მისი ოფიციალური ნაწერიც იპოვა და შეადარა. ანონიმი ავტორი გახლდათ ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე, პროფესორი დელფინა რუ. ისე, ანონიმ ქალბატონს თავიც არ მოუკლავს ხელწერის შესაცვლელად, რათა ქოულმენისთვის თავგზა აებნია, უბრალოდ, პირველი ორი სიტყვა ბეჭდურად გამოიყვანა. არ არის გამორიცხული, რომ თავდაპირველად ასეთი განზრახვაც ჰქონდა, მაგრამ როგორც კი «ყველამ იცის» მოაკვარახჭინა, მერე პირვანდელ განზრახვაზე აიღო ხელი და ჩვეულებრივად განაგრძო წერა. კონვერტზე ქოულმენის ქუჩის მისამართისა და ზიპკოდის წაწერისას ხომ სულ არ გახსენებია, რომ ევროპულად არ დაეპრანჭა შვიდიანები. ასეთი დაუდევრობა შეგვიძლია, ფაციფუცითა და მღელვარებით ავხსნათ, რაც ადამიანს დაუფიქრებელ საქციელსაც ჩაადენინებს. წერილი კი, როგორც გაირკვა, სულაც არ გახლდათ ნაჩქარევად გამოგზავნილი. თუკი საფოსტო მარკით ვიმსჯელებთ, იოლად დავასკვნით, რომ საფოსტო ყუთში ჩავარდნამდე ქაღალდმა სამხრეთის მიმართულებით მთელი 140 მილი გაიარა. იქნებ დელფინამ ჩათვალა, რომ მის ნაწერში ისეთი შთამბეჭდავი და მისეული არაფერი იყო, რომ ქოულმენს ჯერ კიდევ დეკანობის პერიოდიდან ხსომებოდა, ან იქნებ არც იცოდა, ან დაავიწყდა, რომ ქოულმენის მოთხოვნით სპეციალურად შექმნილ პედკომიტეტს სხვა მასალების ფოტოასლებთან ერთად გადაცემული ჰქონდა თრეისი ქამინგზთან მისი ორი საუბრის ანგარიშიც. ან იქნებ ყველაფერი პირიქითაც მოხდა: განგებ არ დამალა ვინაობა, რომ გულახდილად ეთქვა, შენი საიდუმლო კარგად ვიციო, ანონიმური ფორმით მიწერილი ბარათით კი მიტანილი იერიშის უფრო მეტ აგრესიულობას გაუსვამდა ხაზს, თან იმასაც მიანიშნებდა, რომ ეს ბრალდება ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ გავლენიანი ადამიანის მიერ იყო წაყენებული.

შუადღე იქნებოდა, ქოულმენმა რომ დამირეკა და მთხოვა, ანონიმური წერილი მივიღე და იქნებ შენც გენახაო. «მოჩვენებების» საქაღალდეებში თუკი სადმე დელფინა რუს მიერ დაწერილი ერთი პწკარიც კი მოეპოვებოდა, ყველაფერი

სამზარეულოს მაგიდაზე მოეფინა – დედნებიც და ასლებიც, რომლებიც გადაეღო და ხელწერის დამადასტურებელ ელემენტებზე წითელი პასტით მონიშვნები გაეკეთებინა, რომლებიც, მისი აზრით, ანონიმურ წერილში ასოთა მოხაზულობას ერთი ერთში ემთხვეოდა. ცალკეული ასოებისთვის გაესვა წითელი ხაზები, რაც უფრო თვალსაჩინოს ხდიდა «მოჩვენებების» საბუთებში არსებული დელფინა რუს ნაწერებისა და ანონიმურ წერილში გამოყვანილი ასოების იდენტურობას. ეჭვი არ იყო: ქოულმენმა თავად ის ამხილა, ვინც მის მხელას ლამობდა.

ყველამ იცის,

რომ თქვენ სექსუალურად იყენებთ

თქვენზე ორჯერ ახალგაზრდა

უბედურ, გაუნათლებელ ქალს.

წერილი ავიღე და ისე კორექტულად შევუქე ნამუშევარი, რომ არ სწყენოდა; ვუთხარი, ისეა სიტყვები და ფრაზები ერთმანეთისთვის შესადარებლად შერჩეული, თითქოს ეს წერილი დელფინა რუსი კი არა, ემილი დიკინსონის დაწერილი იყოს-მეთქი. ქოულმენმა ამიხსნა, რომ მისი და ფაუნიას ურთიერთობის საიდუმლოდ შენახვა თავად ფაუნიას ნაკარნახევი იყო მისი ველური სიბრძნის გამო. თუმცა ეს ამბავი გაურკვეველი მიზეზებით ახლა დელფინა რუსთვისაც ცნობილი გამხდარიყო, რომელიც ფარულად, ასე ვთქვათ, ქვეტექსტურად მიანიშნებდა, გავახმაურებო. «რად მინდა, რომ ჩემს ცხოვრებაში ვინმემ ცხვირი ჩაყოს? კვირაში ერთხელ თუ წავიჟიმავებ ვინმესთან მშვიდად, რა მაგათი ტრაკის საქმეა?»

სიტყვა «მაგათში» ფაუნია აშკარად ყოფილ ქმარს, ლესთერ ფარლის, გულისხმობდა. ცხოვრებაში იმდენისგან ჰქონდა მუშტი მოხვედრილი, რომ სათვალავი არეოდა. იტყოდა ხოლმე, თოთხმეტი წლიდან მარტო დავეხეტები და რა გასაკვირიაო. ჩვიდმეტი წლისა რომ იყო და ფლორიდის ერთ-ერთ სასადილოში მიმტანობით ირჩენდა თავს, იმჟამინდელმა საყვარელმა არა მარტო დაჟეჟა და უგონოდ მიაგდო მილეწილ-მოლეწილ ოთახში, ფაუნიას ვიბრატორიც ხელს გააყოლა. ეს ამბავი მტკივნეულად ახსენდებოდა ფაუნიას. თურმე ყველაფერი ეჭვიანობის ნიადაგზე ხდებოდა. ხან იმას აბრალებდა, ვიღაცას გამომწვევად შეხედეო, ხან ისე შეხედე,

რომ მას შემოახედვინე სხვანაირადო; ქალი დამაჯერებლად ვერ უხსნიდა, ბოლო ნახევარი საათი სად იყო დაკარგული, ან სიტყვას ვერ არჩევდა, ან ინტონაციას, მოკლედ, მისივე სიტყვები რომ მოვიშველიოთ, «რაღაც სისულელეების გამო» გაუვარდა «წაკლას» სახელი, რაზეც მუშტებსა და წიხლებს იმსახურებდა პარტნიორებისგან, თვითონ კი განწირული ხმით ყვიროდა, მიშველეთო.

განქორწინებამდე ერთი წლით ადრე ისე ეცემა ორჯერ ფაუნია, რომ ორჯერვე საავადმყოფოში გამხდარა გადასაყვანი. ფერმის გაკოტრების შემდეგ კი მისი ხისთავიანი ქმარყოფილი იქვე ცხოვრობდა, ბერქშირ-ჰილთან, და საგზაო კანტორაში მუშაობდა. ქალი დარწმუნებული იყო, რომ ლესთერი ისეთივე გამოთაყვანებულად დარჩებოდა, როგორიც იყო, ამიტომაც ქოულმენს სულ ეუბნებოდა, არ მინდა, ჩვენს ამბავს რომ ყური მოჰკრას, თორემ მარტო ჩემზე კი არა, შენზეც შეუძლია ხელის აწევაო. ეჭვობდა, სმოუქიმ, ალბათ, ასე მოულოდნელად იმიტომ მიმაგდო, რომ მასა და ლესთერს შორის რაღაც მოხდაო. დარწმუნებული იყო, ლესთერი ჯერ კიდევ მითვალთვალებს და ეტყობა, როგორღაც გამოჩხრიკა ჩემი და ჩემი უფროსის ამბავიო, მიუხედავად იმისა, რომ ჰოლენბექი ხავერას დიდი სიფრთხილით არჩევდა და თან ისეთ მიკარგულ ადგილზე, კოლეჯის უკანა, მიუვალ, ჩაკეტილ კაბინეტებში აწყობდა ორგიებს, რომელთა არსებობის შესახებაც მხოლოდ კოლეჯის მეურნეობის გამგებელმა იცოდა, არათუ ვინმე უცხო შეაღწევდა შიგნით. სმოუქი, ერთი შეხედვით, წინდაუხედავად იქცეოდა, როდესაც თავისივე პერსონალიდან ირჩევდა ნაშებს და კამპუსშივე აწყობდა სექსსაღამოებს, მაგრამ სხვა დანარჩენში, რაც კი რამ კოლეჯს ეხებოდა, ყველაფერში თავდაჭერილი და წინდახედული იყო. ისეთივე პროფესიული გერგილიანობით იშორებდა არასასურველ ხარჯებს თავიდან, როგორც კოლეჯის ეზოში დადებულ თოვლს გააწმენდინებდა ხოლმე დათვლილ საათებში.

– ახლა რაღა ვქნა? – მკითხა ქოულმენმა, – მეც არ ვიყავი წინააღმდეგი ამ ამბის საიდუმლოდ შენახვისა, როცა მისი შარიანი ქმრის ამბავს მომიყვა. ვიცოდი, რაღაც ამგვარი რომ მოხდებოდა. არა, საქმე ის კი არ არის, რომ კოლეჯში ტუალეტებს ხეხავს, სადაც მე დეკანი ვიყავი. მე სამოცდათერთმეტისა ვარ, ის ოცდათოთხმეტის. ენაზე კბილის დასაჭერად ისედაც საკმარისი მიზეზი გვქონდა. მით უმეტეს,

რომ ვისი რა ტრაკის საქმეაო, ამბობდა. ძალიანაც კარგი, ერთი საზრუნავით ნაკლები. ერთი კაი ადიულტერის გათამაშება კი გამოგვდიოდა. ზედმეტი თავსატეხისა რომ აღარ მეშინოდა, ამიტომაც წავიყვანე რესტორანში, ვერმონტში. ახლაც, როცა ფოსტაში შემთხვევით შევეჩეხებით ერთმანეთს, სალამითაც არ ვიწუხებთ თავს.

– ვერმონტში ხომ დაგინახავდათ ვინმე ან გზად, მანქანით რომ მიდიოდით?

– ალბათ... ასეც იქნებოდა. სხვა უკვე გამორიცხულია. იქნებ თავად ფარლიმაც მოგვკრა თვალი. ღმერთო ჩემო, ნათან, უკვე ორმოცდაათი წელიწადი იქნება, რაც პაემანზე აღარ ვყოფილვარ. ვიფიქრე, რესტორანში მაინც... რა იდიოტი ვარ.

– არა, იდიოტი რა შუაშია. უბრალოდ, კლაუსტროფობიას რომ არ შეეწუხებინეთ, ჰაერზე მოგინდათ გასვლა. ვთქვათ, დელფინა რუს ნამოქმედარია, მაგრამ ვერ ვხვდები, რაში აინტერესებს, სიბერის წლებს ვისთან ან როგორ ატარებთ, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ შესაძლოა, ხალხის იმ კატეგორიას ეკუთვნოდეს, ვინც პირობითობების დარღვევას ვერ იტანს და არამკითხემოამბეობს. მაგრამ თქვენ რა შუაში ხართ, თქვენ ხომ თავისუფალი კაცი ხართ? ასაკოვანი, დამოუკიდებელი ადამიანი ბრძანდებით. სამსახურიდან წასვლით ბევრი რამ კი დაკარგეთ, მაგრამ იქნებ რამე ფასეულიც იშოვეთ. უკვე აღარც არავის უნდა დაარიგოთ ჭკუა, როგორც თავადვე თქვით. ეს არც საკუთარი თავის შემოწმებაა, შეგიძლიათ თუ არა საზოგადოებრივი აკრძალვების დარღვევა. მთელი თქვენი დღე და მოსწრება მასწავლებლებს შორის გაქვთ გატარებული, ახლა კი საქმისგან ჩამოშორებული ხართ. როგორც ვხვდები, ეს თქვენთვის უჩვეულო გარემოა. იქნებ არც არასდროს გნდომებიათ, ფაუნიასთანა ქალთან დაახლოება. იქნებ მიგაჩნიათ კიდეც, რომ ეს არც უნდა მოგნდომებოდათ. ყველაზე მჭიდროდ და მტკიცედ ნაგები ციხეც კი შიგნიდან ტყდება, რასაც არავინ არასოდეს მოელის. სამოცდათერთმეტი წლისა ბრძანდებით და ფაუნია გყავთ, 1998 წელია და «ვიაგრა» გაქვთ, რაზეც წინათ, ალბათ, ვერც იფიქრებდით. უდიდეს კომფორტს განიცდით, უზღვავ ძალას. შეგრძნებათა თავბრუდამხვევ ინტენსივობას. ქოულმენ სილქის ბოლო ბანაობა! აშკარად ბოლო უნდა იყოს, მასშტაბით მაინც ცხადია და აშკარა, რომ ფაუნია ფარლის ცხოვრებისეული შტრიხები

თქვენს ცხოვრებასთან მკვეთრ კონტრასტშია. ცხადია, მისი ცხოვრების გზა თქვენი ასაკის მამაკაცისთვის სარეცლის გასაყოფადაც კი ცოტა ხელის შემშლელია მთელი თავისი პერიპეტიებით. მაგრამ რაც თქვენს ნათქვამ სიტყვა «მოჩვენებებს» მოჰყვა, განა ეს კი არ არის ხელის შემშლელი? განა ეს მოვლენა ეხამება წესიერების საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს? აირისის სიკვდილი ჯდება მთელ ამ კონტექსტში? ამოიგდეთ ეს იდიოტური წერილი თავიდან. სულაც არ უნდა მიგეტანათ გულთან.

– იდიოტური ანონიმური წერილი, – დააზუსტა მან, – მაგრამ ცხოვრებაში არ მიმიღია ამის მსგავსი. ნეტავ ვიცოდე, რაციონალურად მოაზროვნე ადამიანს ანონიმური წერილის გაგზავნა შეუძლია?

– მგონი, ეს ფრანგული ჩვევაა. ბალზაკთან უამრავ ანონიმურ წერილს არ ვხვდებით? გინდა სტენდალი გავიხსენოთ, «წითელსა და შავში» რამდენი ანონიმური წერილია.

– არ მახსოვს.

– მოვლენებს დაუკვირდით და მისი თვალით შეხედეთ: რაც უნდა აკეთოთ, საფუძველშივე ულმობლობა უდევს, დელფინა რუს ნამოქმედარში კი ცხადია, სათნოება. მითოლოგიაშიც ხომ ყოველ ნაბიჯზე გოლიათები, ურჩხულები და ჰიდრები გვხვდებიან. თქვენ ურჩხულად მოგიაზრებთ, თავის თავს – გმირად. თქვენი სახით ის ურჩხულს კლავს. სამაგიეროს გიხდით იმ უძლურთა მაგივრად, ვინც თქვენ მოინელეთ. ყველაფერს მითოლოგიურ სტატუსს ანიჭებს.

ლმობიერად კი გამიღიმა ქოულმენმა, მაგრამ მივხვდი, რომ ჰომეროსის თემის გინდ ხუმრობით, გინდ სერიოზულად მოშველიებით ძნელად თუ მივაღწევდი რამეს.

– მისი გონებისათვის, – მითხრა მშვიდად, – საკითხის მითოლოგიზება სრულიად აღუქმელია. ამისათვის, სულ ცოტა, წარმოსახვა არ ეყოფა. მისი სტიქია საცოდავი იწილო-ბიწილოა, რომელსაც გლეხობა თხზავს გულისტკივილის გადმოსაცემად. ჯადოები, ავი თვალი... აი, მისი სფერო. ალბათ, ფიქრობს, ფაუნია მოაჯადოვაო. დელფინას საყვარელი თემა კუდიანები და ჯადოქრებია.

საუბარი უკვე ორივეს სიამოვნებას გვანიჭებდა. დავაფიქსირე,

– როცა იმაზე ჩამოვაგდე სიტყვა, რომ სიამოვნების უფლება მასაც ჰქონდა, არადა, ამით მისი დამშვიდება მსურდა, ქოულმენს ჩემდამი სიმპათია გაუძლიერდა. რაღა დაგიმალოთ და, მე მისდამი განვეწყვე უფრო მეტი სიმპათიით. ენად რომ გავიკრიფე, მაშინ მივხვდი ამას. თავი იმაშიც დავიჭირე, რომ ენააქავებულს რაღაც კარგის თქმა მსურდა, თუმცა კი ზედმეტს ვროშავდი უკვე, მაგრამ გავაცნობიერე, რომ მანუგეშებლისა და მაამებლის როლში მეტისმეტად გადავეშვი. ბავშვობაშიც ხომ ხდება ხოლმე ასე, გეჩვენება, რომ ახალგაცნობილ ბიჭუნაში ნამდვილი ძმაკაცი აღმოაჩინე და ისე უხსნი გულს, რაც ჩვეულებრივ, არ გახასიათებს, რომ შეჩერების სურვილი გეუფლება. მაგრამ მე იმ დროიდან მოკიდებული, პირველად რომ დამიკაკუნა კარზე და «მოჩვენებების» მის მაგივრად დაწერა მომთხოვა, თითქოს ჩემი ნებისავე წინააღმდეგ ქოულმენ სილქს მაგრად დავუმეგობრდი. მისმა გაჭირვებამ ჩემზეც იმოქმედა, ოღონდ არა მხოლოდ გონების გასავარჯიშებლად. იმოქმედა იმის მიუხედავად, რომ უკვე იმხანად თავს ვარწმუნებდი, ყოველდღიური საზრუნავის მეტი არაფერი უნდა გაღელვებდეს, ყველაფერს უნდა ერიდო, გარდა სერიოზული სამუშაოსი და თავგადასავლები მის გარეთ უნდა ეძებო და იმავდროულად, არათუ სხვის ცხოვრებაზე, საკუთარზეც არ უნდა იზრუნო-მეთქი გადაჭარბებულად.

ამას რომ მივხვდი, ნირი წამიხდა. საზოგადოებისათვის ზურგის შექცევა, ყველაფრისგან თავის შეკავება, რასაც გართობა და შექცევა ძალუძს, პროფესიულ დარდზე, საზოგადოებრივ ილუზიებზე, კულტურულ საწამლავსა და მაცდუნებელ სიახლოვეზე უარის თქმა, ასკეტური კარჩაკეტილობა განდეგილების მსგავსად გამოქვაბულებში, სენაკებსა და ტყის სიღრმეში ჩადგმულ ქოხებში დაყუდება – ეს ყოველივე ბევრად მეტ გულქვაობასა და გამძლეობას მოითხოვს, ვიდრე მე შემიძლია საკუთარ თავს მოვთხოვო და შევუსრულო. მხოლოდ ხუთი წელი, უფრო სწორად, მთელი ხუთი წელი გავძელი მარტოსულმა კითხვასა და წერაში ჩემს ოროთახიან ქოხში, რომელიც მადამასკა-მაუნთინის ფერდობზეა წამომართული. სახლთან პატარა ტბორია, მის იქით ტალახიანი გზა, ცოტა იქით ბუჩქნარი და ათიოდე აკრი ჭაობნარი, სადაც საღამოობით კანადიდან მოფრენილი ბატები ისვენებენ, ზაფხულობით კი მარტოხელა ლურჯი ყანჩა იბუდებს და თევზაობს. სამყაროს ამ ფერხულში სიცოცხლის

იდუმალება იმალება ყოველგვარი ტკივილის გარეშე და თავის ილუზიებში მაქსიმალურად მეტი ადამიანის ჩათრევას ლამობს; აქ მარტოსული ცხოვრების სავანეა, სადაც გარე სამყაროსგან, მოლოდინისა და ცდუნებისგან მინდა გათიშვა, უპირველესად, შფოთისგან მსურს თავის დაღწევა და მშვიდი გარემოს მოწყობა, რომელიც ამ ბორცვებში ნამდვილი კაპიტალი და ზრდადი სიმდიდრეა. გარედან მოსულ სიჩუმეზე – ერთადერთ მახლობელზე ამ მიდამოში, – ისე ვფიქრობ, როგორც ძალის ჩემსავე არჩეულ წყაროზე. «მარტოხელა გონების თავის თავთან გასაუბრების» (ისევ ჰოთორნი) ხარჯზე საყრდენის პოვნა და ჰოთორნისთანა მოაზროვნეების დანატოვარში სიბრძნის ძიება.

ასეთი არჩევანის სირთულეებთან გასამკლავებლად, გარდასულით მოგვრილი სევდის დასათრგუნად დრო დამჭირდა – დრო და ულევი მოთმინება – მაგრამ ამ ხუთი წლის განმავლობაში ისე მივეჩვიე საკუთარი დღეების ქირურგიული სიზუსტით განაწილებას, რომ ჩემ მიერვე არჩეულ უმოვლენო არსებობაში ერთი საათიც კი არ დარჩენილა, ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ან აუცილებლობა რომ ჰქონოდა. აღფრთოვანებაც კი. უკვე აღარ მქონდა მავნე სურვილები, აღარც მუდმივ მოთმინებაზე ფიქრის თავი მქონდა, მხოლოდ ვიღაცის საზოგადოების გაძლება თუ შემეძლო. სადილის შემდეგ მუსიკის მოსმენა სიჩუმისგან თავის დაღწევა კი არა, მასში უფრო მეტად გახვევაა. საღამოობით ორიოდე საათით მუსიკით თავის შექცევა მდუმარებისგან როდი მიცავს, პირიქით, მას უფრო ავსებს და საგრძნობს ხდის. ზაფხულობით, დილით, როგორც კი გავიღვიძებდი ხოლმე, ტბორში ვეშვებოდი და ვგრილდებოდი, წელიწადის უფრო ცივ პერიოდებში კი, როდესაც თოვლი სეირნობის შესაძლებლობას არ იძლეოდა, როგორც კი დილით საწერ მაგიდასთან სამუშაოს მოვილევდი, ბორცვებში გავდიოდი განსამუხტად. კიბოს, პროსტატა რომ დამაკარგვინა, რეციდივები არ გამოუვლენია. სამოცდახუთი წლისას, პრინციპში, ჯანმრთელს, კარგად მქონდა გაცნობიერებული, ვინ ვიყავი და სად. უნდა მცოდნოდა კიდეც.

ჰო, მაგრამ მკაცრი კარჩაკეტილობის იმისთანა ექსპერიმენტი ჩავუტარე ჩემს თავს ჩემივე სურვილით, თან მარტოკაცის მდიდარი და უხვი ცხოვრებით დავიწყე ცხოვრება, რომ ეს ოხერი სიმარტოვის გრძნობა რატომღა უნდა დამუფლებოდა?

რა სევდა იყო ასეთი? ვითომ გარდასულ დროებაზე? არავითარი მოდუნება ან შეზღუდვა სათვალავში ჩასაგდებიც არ არის. მაშ, ეს სევდა საიდანღა მოვიდა? მგონი, საქმე უფრო მარტივადაა, ალბათ, ის მომაკლდა, რასაც ზურგი ვაქციე, – სიცოცხლეს ვგულისხმობ, – და ძველი ჩართულობა მომენატრა ყოველდღიურობაში.

აი, ასე დავუმეგობრდი ქოულმენს და სიმარტოვის ციხესიმაგრიდანაც გამოვედი, სადაც საბედისწერო შემოტევებს ვაჟკაცურად ვიგერიებდი. ქოულმენმა ცეკვა რომ დამაძალა, ამით სიცოცხლე მაიძულა. ჩემამდე მსგავსი რამ ათინა-კოლეჯსაც დამართა – ეს ადამიანი მართლაც ცვლილებათა ოსტატი გახლდათ. ამ ცეკვამ არა მხოლოდ ჩვენს მეგობრობას ჩაუყარა საფუძველი, მისი ჭირ-ვარამი ჩემს თემად აქცია. არა მარტო ჭირ-ვარამი, შენიღბულობაც. მისი საიდუმლოს ჯეროვნად წარმოდგენა ჩემს ამოცანად იქცა. აი, ასე დავკარგე უნარი იმ საგიჟეთისა და დაძაბულობისგან თავის დაღწევისა, რომელსაც ასე ვუფრთხოდი. ერთი მეგობარი ვიპოვე და იმხელა გარღვევა მოვახდინე, რომ მსოფლიო სიძულვილს მივეცი გადმონთხევის საშუალება.

* * *

იმავე დღეს ქოულმენმა ფაუნია ფარლის გასაცნობად თავისი სახლიდან ექვსიოდე მილით დაშორებულ სარძევე ფერმაში გამიყოლა, სადაც ძროხების უფასოდ წველის სანაცვლოდ ფაუნიას ღამის გასათევს აძლევდნენ. ეს ფერმა რამდენიმე წლის წინ ორმა უმაღლესდამთავრებულმა ქალმა დააფუძნა, ისინი ახალი ინგლისის ფერმერთა ოჯახებიდან იყვნენ და გარემოს დაცვისათვის გულმხურვალედ იბრძოდნენ. ფერმის ასაღორძინებლად არაფერს იშურებდნენ, ბავშვთა შრომასაც კი. ექვსი მოზარდი ჰყავდათ, რომელთა შესახებაც სიამოვნებით უყვებოდნენ ხოლმე მყიდველებს, ჩვენმა შვილებმა რეალურად გაიგეს, საიდან მოიპოვება რძე და არა ფილმ «სეზამის ქუჩიდანო» და ასე ეწეოდნენ ჭაპანს ახალმოწველილი რძის გაყიდვით. ამ თავისებურ საწარმოს ცოტა რამ თუ ჰქონდა საერთო მსხვილ სარძევე ფერმებთან, არავითარი უპიროვნო ან ფაბრიკული არ მოიპოვებოდა, რაღაც სრულიად განსხვავებული იყო. ამ საწარმოს «ორგანული

ნაწარმი» ერქვა, მისი ნაწარმი კი ადგილობრივ მინი- და სუპერმარკეტებში გადიოდა, თუმცა თავად ფერმასაც აკითხავდა მყიდველი, სადაც კვირაში სამ გალონზე ნაკლები არ საღდებოდა.

ფერმაში სუფთა სისხლის თერთმეტი ჯერსულა[7] ჰყავდათ. თითოეულ დეკეულს ყურზე კი არ ეკეთა სანომრე ნიშანი, არამედ ძველმოდურად საკუთარი მეტსახელი ჰქონდა. მათი რძე დიდი ჯოგის ნაწველს არ ერეოდა, რომელსაც ათასნაირი ქიმიით გაჭყეპენ, არც პასტერიზაციითა და ჰომოგენიზაციით იყო ღალაგამოცლილი, არამედ ერთგვარად გემოც კი დაჰკრავდა იმ მცენარეებისა, რომელთაც ჰერბიციდების, პესტიციდებისა და ქიმიური სასუქების გარეშე ამრავლებდნენ იალაღებზე და რაკი საკვები ნივთიერებებით ბევრად მდიდარი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი ჰომოგენიზებული რძე, ფერმას მუშტარიც არ აკლდა, ნატურალური პროდუქტის შეძენა ერჩია ყველას. ფერმამ პოპულარობა ადგილობრივ მრავალრიცხოვან პენსიონერებსა და ბავშვების პატრონ წყვილებში მოიპოვა, რომლებმაც დიდი ქალაქების გამხრწნელ, დამაბინძურებელ და ნერვების მჭამელ გავლენას გამოარიდეს თავი და აქაურ მიწებზე დასახლდნენ. ადგილობრივი ყოველკვირეული პერიოდიკის რედაქციაში დღესაც კი ნახავთ აქ გადმოსახლებულთა წერილებს, რომლებიც მადლიერებით იხსენებენ არა მხოლოდ ბორცვების სუფთა ჰაერსა და სოფლის გამაჯანსაღებელ გარემოს, არამედ «ორგანული ნაწარმის» რძესაც, რომელსაც ოდენ გემრიელ სასმელს როდი უწოდებენ, არამედ სოფლური ცხოვრებით სიამით ტკბობასაც, რაც ასე სანატრელია ქალაქური ყოფით შელახული იდეალიზმისთვის. წერილებში არაერთხელ ნახავს კაცი სიტყვებს «სიკეთე» და «სული», თითქოს ერთი ჭიქა «ორგანული ნაწარმის» რძის დალევა არა მხოლოდ ჯანმრთელობით დამუხტვა, არამედ გამწმენდი რელიგიური რიტუალის ჩატარება იყოს: «როდესაც «ორგანული ნაწარმის» რძეს მივირთმევთ, საკვებს ჩვენს სხეულთან ერთად ჩვენი სული და გონებაც იღებს. შინაგანი ორგანოები მის ბუნებრივ ძალას ისრუტავენ და იწოვენ, რის გამოც მადლიერნი ვართ». ამგვარ წერილებს, როგორც წესი, ზრდასრული და გონიერი ადამიანები გზავნიან. რაკი ნიუ-იორკის, ჰარტფორდის ან ბოსტონის მათთვის მიუღებელ პირობებს დააღწიეს თავი, ჩვენთან დასახლებულები საწერ მაგიდასთან რამდენიმე სასიამოვნო წუთის გატარებას არ

ერიდებიან და თავს შვიდი წლის ბავშვად წარმოიდგენენ.

მართალია, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ქოულმენი იმ ნახევარ ფინჯან რძეზე მეტს სვამდეს დღიურად, დილაობით ბურღულს რომ ასხამს ხოლმე, მაგრამ ფერმის პატრონებს იმ ყბადაღებულ სამ გალონზე შეუთანხმდა კვირაში. ამით მიზეზიც ეძლეოდა, რომ ფერმაში შეევლო ხოლმე ახალმოწველილი რძის წამოსაღებად. გზატკეცილიდან უხვევდა, ტალახიან გზაზე გადადიოდა, საძროხესთან რომ მივიდოდა, მანქანიდან გადმოდიოდა და პირდაპირ შედიოდა შენობაში, რომ მაცივრიდან თავისი რძე გამოეღო. საქმე ის ფასდაკლება კი არ იყო, რომელსაც სამგალონიანი კლიენტები იღებდნენ, არამედ ის, რომ შესასვლელთან მდგარი მაცივრის რამდენიმე ნაბიჯის იქით საწველი მოწყობილობა იყო. ამ ნაკვეთურში ძროხები დღეში ორჯერ შედიოდნენ ერთიმეორის მიყოლებით და საღამოს ასე ხუთ საათზე კოლეჯიდან დაბრუნებული ფაუნია მათ წველიდა.

უბრალოდ, იდგა და უქცერდა ფაუნიას მუშაობას. მართალია, დღის ამ დროს აქ თითქმის არავინ ჩანდა ხოლმე, მაგრამ ქოულმენი შიგნით შესვლისგან მაინც თავს იკავებდა, უბრალოდ, გარედან ცქერით ტკბებოდა, ხელს არ უშლიდა ფაუნიას მუშაობაში. ხშირად ხმასაც კი არ სცემდნენ ხოლმე ერთმანეთს – მათ ერთმანეთით ტკბობას დუმილი უფრო აძლიერებდა. ფაუნიამ იცოდა, რომ ქოულმენი უყურებდა, ქოულმენმაც იცოდა, რომ ფაუნია ამას ხვდებოდა და უფრო და უფრო დაჟინებით მიაჩერდებოდა ხოლმე – ცხადია, აქ, ამ სიბინძურეში, თანაყოფას ვერ მოახერხებდნენ, მაგრამ ეს დიდ დანაკარგად არ მიაჩნდათ. ისიც საკმარისი იყო, რომ კვლავ ერთად იყვნენ – ოღონდ არა საწოლში – საკმარისი იყო, ეთამაშათ, თითქოს სადაგი დღეების სოციალური ბარიერები უშლიდათ ერთად ყოფნას და ორივეს ჩვეულებრივ ამპლუაში სჭეროდა თავი – ქალს, უბრალოდ მწველავისა, კაცს კი პენსიაზე გასული პროფესორისა. ფაუნია ერთი გამხდარი, ოცდათოთხმეტი წლის მუშა ქალი იყო, უფრო სწორად, გაუნათლებელი სოფლის დედაკაცი, თხემით ტერფამდე ამ წონწოხში ამოთხვრილი, დილის წველის შემდეგ მკლავებაკაპიწებული ნაკელით სავსე სათლებს დაარბენინებდა, ქოულმენი კი ჭარმაგი ასაკის მოაზროვნე, ანტიკური სამყაროს კარგი მცოდნე, რომლის ტევადი ტვინი ორი მკვდარი ენის ლექსიკონს იტევდა. აი, ასეთები იყვნენ

ერთი შეხედვითაც და რეალურადაც, ამდენად, კაციშვილი ვერ იფიქრებდა, რომ ამ ორ ადამიანს შორის რამე იყო საერთო. მაგრამ საკმარისი იყო, ერთი ფეხი ასცდენოდათ და ისე ათქვლეფდნენ და აურევდნენ ერთიმეორეში ყველაფერს ამ ერთი შეხედვით შეუსაბამო და დაუჯერებელ კავშირში, რომ ქვეყნის ყბაშიც ჩაიგდებდნენ თავს. ამიტომ ორმაგი ცხოვრების სიამის შეგრძნებით იკმაყოფილებდნენ თავს.

ერთი თვალის შევლებით ამ წუმპეში ამოვლებულ, აწოწილ და პირხმელ ქალს, შორტი, რეზინის ბოტები და ზუნტლიანი მაისური რომ ეცვა, – ქოულმენმა კი თავისი ვოლუპტატი შეარქვა, – ნაკლებად თუ შეეძლო ხორციელი ჟინის გაღვივება. ხორციელ საწყისს აქ ძროხები უფრო განასახიერებდნენ, რომლებიც აქ ყოველ კუთხე-კუნჭულში მოჩანდნენ – კრემისფერი გოლიათებივით რომ დააბიჯებდნენ დუნედ, თეძოსრულები, არაპროპორციულად დიდი ღიპებით, მულტფილმებში რომ ხატავენ ხოლმე, ისეთით, აუღელვებლები, ზანტები, ათასხუთასგირვანქიანი მონსტრები, რომელთაც არსებობისათვის ბრძოლა არასდროს უხდებოდათ, თვალებდაჭყეტილები, შესასვლელში სავსე ბაგებითა და გასასვლელში ოთხი მფეთქავი, ძუნწი, ბოლო წვეთამდე შემსრუტავი მექანიკური პირით, არსებები, რომელთაც კანონიერი ხორციელი უფლება ჰქონდათ, ორივე ბოლოთი ერთდროულად დაეკმაყოფილებინათ ფიზიკური მოთხოვნილებები. ცხოველურ ყოფაში ღრმად ჩაფლულებს, სულიერი სიღრმე აკლდათ: წველა და ცოხვნა, ნეხვისა და შარდის გამოდევნა, ბალახობა და ძილი – აი, მთელი მათი raison d’être.[8] თურმე ისეც ხდება ხოლმე, როგორც ქოულმენისგან მსმენია, რომ ადამიანის ხელი რეზინის ხელთათმნის სიგრძეზე საქონლის სწორ ნაწლავში შედის და ნეხვი გამოაქვს, მერე კი ნაწლავის კედლებს ეხება, რათა სხვა ხელის მიერ სხვა ჭრილში შეყვანილი გამანაყოფიერებელი შპრიცი გაასწოროს. ეს ყველაფრით განებივრებული არსებები ისე მრავლდებიან, რომ ხართან არც კი უწევთ შეხება; მშობიარობისას კი ნებისმიერ დროს, ქარბუქიან ღამითაც კი, როგორც ფაუნიამ გვამცნო, სასწრაფო დახმარებას შეუფერხებლად იღებენ. საკვებიც საუკეთესო აქვთ, ფაფისმაგვარ საღეჭელას ნელ-ნელა, გემოს ჩატანებით ცოხნიან და ცხოვრების პირობებით კურტიზანებსაც კი აღემატებიან, უბრალო, მშრომელ ქალებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ფაუნია ამ ტანსრულ ძროხებთან შედარებით ევოლუციის პათეტიკურ კაფანდარას ჰგავდა და ცხოვრებით კმაყოფილ, მიწიერ, ქალური შვილოსნობის მასხივებელ პირუტყვს შორის ნამდვილი სასაპალნე ცხენივით შრომობდა. რიგრიგობით გალალავდა ხოლმე ღია ბაგიდან, სადაც პირუტყვი ნაკელისა და თივის ნარევში იყო ჩაწოლილი. «მოდი აქ, დეიზი, სისხლი ნუ გამიშრე. გაინძერი, მეგი, მიდი, ჰე, რაღას უყურებ! მოდი, ჩემი გოგო, გამიგონე! ფლოსი, შე ნაბოზარო, გაანძრიე ტრაკი!» მერე ჯიდაოში წაავლებდა ხელს და ტლაპოიან ეზოს სულ ძალისძალად გაატარებდა, მერე ერთი საფეხურიც და, საწველავის ბეტონის იატაკზე ისმოდა მათი ბაკაბუკი, სადაც ეს დევის ქალები – დეიზი და მეგი – საკვებურიან საწველ დაზგასთან მიჰყავდა და აბამდა, მერე გამოზომილად უყრიდა თითოეულს ვიტამინებით გაჯერებულ საკვებს, ცურებს უწმენდდა, უმშრალებდა, თითებით იწყებდა წველას, აპარატის ჭიქებს ურგებდა, – მუხლჩაუხრელად და ყურადღებით ეკიდებოდა საქმეს, საქონლის ინერტულობის სრული ანტიპოდი ხდებოდა, წამით არ მოადუნებდა ყურადღებას და ბოლოს რძეც იწყებდა გამჭვირვალე მილაკით უჟანგავ, ლაპლაპა სათლში ჩადენას. აქ უკვე ამოსუნთქვაც შეეძლო ფაუნიას და მშვიდად ადევნებდა თვალს საქმეს, თუმცა ყურადღებას მაინც არ ადუნებდა, რადგან ძროხა მშვიდად უნდა მდგარიყო, რომ წიხლი არ ჩაეკრა სათლში. მერე ისევ ამოძრავდებოდა მისი ხელები, ცურებს უზელდა, რომ ბოლომდე გამოეჟურა რძე, ჭიქებს აცილებდა, საკვებს უკვე სხვა ძროხებისთვის ყრიდა საკვებურში და მომდევნო დაზგაზე ამაგრებდა, ბოლოს კი უკვე მოწველილ საქონელს ისევ ჯიდაოში ჩაავლებდა ხელს და «დედოს» ძახილით ნელ-ნელა გაჰყავდა ვიწრო შენობიდან ტლაპოთი და წუმპით სავსე ეზოში.

ფაუნია ფარლი: კნაჭა ფეხები, წვრილი მაჯები, თხელი ხელები, თვალში საცემი ნეკნები და გამოშვერილი ბეჭები – ასეთი გახლავთ მისი დახასიათება, თუმცა საკმარისი იყო, ოდნავ დაჭიმულიყო, რომ ძლიერი კუნთები ემჩნეოდა. დახრისას ან რაიმეს აღებისას უჩვეულოდ დიდი მკერდი მკვეთრად უმრგვალდებოდა; თან ისე სწრაფად მიიტყაპუნებდა ხოლმე კისერზე ხელს კოღო-ბუზის დასაფრთხობად, ზაფხულის ამ ჩახუთულ დღეს ასე უხვად რომ ირეოდა საქონლის ირგვლივ, რომ მნახველს გააკვირვებდა, ასეთი დინჯი იერის მქონე ქალი

ასე ხელსწრაფი როგორ არისო. აშკარა იყო, მისი სხეული არა მხოლოდ გამხდარი, დაჭიმული და საქმიანი გახლდათ – კარგი აღნაგობის მქონე ქალის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომელიც უკვე გაფურჩქნილია, მაგრამ წონასწორობის ამ მოკლე პერიოდში ჭკნობა ჯერ არ შეჰპარვია; ქალისა, რომელიც თავის მწვერვალზე დგას და ალაგ-ალაგ შეპარებული ჭაღარა უბრალოდ თვალს ატყუებს, რადგან ასაკობრივი ცვლილება იანკებისთვის ასე დამახასიათებელ მკვეთრ ლოყებსა და ნიკაპს არ დამჩნევია, მაღალ და თლილ ყელზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

– ეს ჩემი მეზობელია, ნათანი, – ეგრევე უთხრა ქოულმენმა, როგორც კი ქალმა შუბლიდან ოფლი ჩამოიწმინდა ხელის ზურგით და თვალი ჩვენკენ გამოაპარა.

მისმა სიმშვიდემ გამაოცა. უფრო აშკარა უკმაყოფილებას მოველოდი. მოსალმებისას თავი დამიკრა შეუმჩნევლად, თითქოს დიდი მანძილით ყოფილიყო დაშორებული. თავად ეს ნიკაპი უქმნიდა მანძილს. ზეაწეული ნიკაპი ერთგვარ ვაჟკაცურობას სძენდა. რეაქციაც ასეთი ჰქონდა: გამჭოლ მზერაში რაღაც ულმობელი, უდრეკი, თუმცა კი იმავდროულად, ერთგვარი მყიფე და არასაიმედოც გამოსჭვიოდა. იმ ადამიანის მზერა ჰქონდა, რომლისთვისაც სექსი და ღალატი ისეთივე ძირეულია ცხოვრებაში, როგორც პური არსობისა. დევნილისა და უიღბლოს გამოხედვა ჰქონდა, რომელსაც ცხოვრებაში არ გაუმართლა. მართალია, მისი თავთუხისფერი, ჭაღარაშეპარული თმა უკან იყო გადაწეული და კიკინად შეკრული, მაგრამ ნიავის წამობერვაზე შუბლზე უვარდებოდა კულული, რომელსაც ხელის ზურგით იწევდა უკანვე. იმდენჯერ გადაიწია უკან, რომ ერთხელ დავაკვირდი და მისი სახის ერთი თავისებურებაც აღმოვაჩინე – იქნებ შევცდი კიდეც, რადგან გულით მინდოდა, რამე მსგავსი დამენახა: წარბსა და ზედა ქუთუთოს შორის ამოზნექილობა. ბაგეთხელს, სწორცხვირიანსა და ცისფერთვალას, კარგი კბილებისა და მკვეთრად შემოხაზული ნიკაპის პატრონს, ეგზოტიკის ნიშანწყალიც კი არ ჰქონდა, თუ ამობურცულ-ამოზნექილ ნაწილებს არ ჩავთვლით, რაც შესაძლოა, ვიღაცის თვალში მისი მგრძნობელობისა და თავშეუკავებლობის გამომხატველი ყოფილიყო. მე კი მგონია, რომ სწორედ ამ თავისებურებით აიხსნებოდა შფოთი და ფორიაქი, რაც მის გამჭოლ მზერაში ირეკლებოდა.

ფაუნიას მომნუსხველი სირინოზი სულაც არ ეთქმოდა, რომელიც თვალებით ატყვებებს კაცის გულს, არამედ მომხიბლავი ქალი იყო, რომელზეც ამბობენ ხოლმე, ყმაწვილქალობაში ლამაზი იქნებოდაო. პრინციპში, ჩემი დასკვნა მართებულიც იყო, რადგან თავად ქოულმენს ჰქონდა ნაამბობი, ოქროსთმიან გოგონას მდიდარი მამინაცვალი სკოლის პერიოდში გასაქანს არ აძლევდაო, აშარი დედამისი კი არც კი ცდილობდა თურმე ქალიშვილის დაცვას.

ვიდექით და ველოდით, როდის მოწველიდა თერთმეტივე ძროხას – დეიზის, მეგის, ფლოსის, ბესის, დოლის, გოგონას, სიხარულას, ჩლუნგას, ემას, ნიჭიერას და ჯილს, – ვიდექით და ვუყურებდით, როდის დაასრულებდა სათითაო ძროხასთან ლოლიაობას. საქმეს რომ მორჩა, საწველი ნაკვეთურის გვერდითა, თეთრად შეღებილ ოთახში გავიდა, სადაც დიდი ნიჟარები, შლანგები და სტერილიზატორები იყო; კარიდან გავარჩიეთ, როგორ ურევდა თუთქის ხსნარში სარეცხ საშუალებებს, როგორ აცალკევებდა საქაჩის მილებსა და საწველ ჭიქებს, როგორ ხდიდა თავსახურს ორი სათლს, როგორ შლიდა საწველ მოწყობილობას და წყლით სავსე ნიჟარაში რეცხავდა ჯაგრისებითა და საფხეკებით, სანამ თითოეული მილის, სარქვლის, საცობების, ფირფიტების, შუასადებების, ხუფის მილისების, დისკისა და დგუშის ზედაპირს იდეალურად არ გაასუფთავებდა. სანამ ქოულმენი თავის რძეს აიღებდა, მაცივართან კარგა საათ-ნახევარი მოგვიწია დგომამ და ამ ხნის განმავლობაში, თუ წარდგენისას წარმოთქმულ ორიოდე სიტყვას არ ჩავთვლით, კრინტი არავის დაგვიძრავს. საძროხის ჭერში მერცხლებს გაეკეთებინათ ბუდე და მხოლოდ მათი ფუთფუთ-ჟღურტული და საკვებურის ცემენტის იატაკზე გრანულირებული საკვების დანაწევრებული დაცემის ხმა აღწევდა ჩვენს სმენამდე, რასაც მძიმე ჩლიქების ბაკაბუკი მოსდევდა ძროხის საწველ აპარატთან დაყენებისას, – ნამდვილად ესაჭიროებოდა ფიზიკური ძალა ამ პროცესს – ბოლოს კი საქაჩის ქშუტუნი ასრულებდა ამ უცნაურ ხმაურს, სანამ მორიგი მეწველის ჯერი არ დადგებოდა.

ოთხი თვის შემდეგ ორივე მათგანი მიწას მიაბარეს, მე კი ეს წველა ისე ჩამრჩა მეხსიერებაში, როგორც თეატრალური წარმოდგენა, სადაც სტატისტის როლი მქონდა მონიჭებული; ეს განცდა დღემდე შემომრჩა. უძილო ღამეებში გონებიდან ვერ ვიგდებდი ამ სცენას, თითქოს ფიცარნაგზე ვიდექი ორი

წამყვანი მსახიობისა და ძროხების გუნდის თანხლებით, სადაც უმცირეს მოძრაობასაც კი უზადოდ ასრულებდა სცენის მთელი შემადგენლობა: შეყვარებული ბერიკაცი თვალს ადევნებს სოფლელი ქალის მუშაობას, რომელსაც საიდუმლოდ ყვარობს კიდეც. პათოსით, ჰიპნოზითა და სექსუალური თაყვანისცემით აღსავსე სცენიდან ქალის ყოველი საქციელი, ძროხების შეყვანა იქნება ეს თუ მათი მოვლა, გნებავთ, მიმართვა, მამაკაცის ხარბი წარმოსახვის საკვებად არის ქცეული. სცენიდან სწორედ იმ ძალას იღებდა, რომელიც მასში კარგა ხნით იყო ჩახშობილი და კინაღამ დაილია კიდეც, ბოლოს და ბოლოს, აღორძინდა და მისი არსება მოიცვა, ამით კი ჩემ წინ საკუთარი ქმედების ძალმოსილება წარმოადგინა. ალბათ, რაღაც იმის მსგავსი გათამაშდა, აშენბახს[9] საკუთარი მოკვდავობის გაცნობიერებით ხორციელი ვნება ლამის თავში რომ აუვარდა ტაძიოს ცქერისას, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ჩვენ არც ვენეციის ფეშენებელურ სასტუმრო «ლიდოში» ვიმყოფებოდით და არც თომას მანის გერმანულენოვან პროზაში, არამედ ჯერ ჩემს (იმხანად დაუწერელ) ინგლისურენოვან რომანშიც კი არ მოვიაზრებოდით. მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთის ერთ-ერთ საძროხეში ვიდექით და ამ გაგანია ზაფხულში, კარს მომდგარი საპრეზიდენტო იმპიჩმენტისას, ისევე არ ვიყავით გმირები, როგორც ეს ძროხები არ იყვნენ მითოლოგიური პერსონაჟები. მადლიანი დღის სინათლე და სითბო, თითოეული ძროხის ცხოვრებაში უდრტვინველი სიმშვიდე; ახალგაზრდა და ენერგიულ ქალს დაჟინებით მიჩერებული ბერიკაცი, მისი აღტაცება, – ისე გამოიყურებოდა, თითქოს თავის დღეში ამაზე შთამბეჭდავი და ამაღელვებელი არაფერი ენახოს, – და ჩემი მდგომარეობა, მონუსხულობა არა მარტო მათი ერთმანეთთან შეუსაბამობით, საერთო კონტრასტულობითაც, ცვალებადობითაც და ხალხის სექსუალური კავშირების მრავალფეროვნებითაც, არამედ ყველასათვის ერთი დიდი აუცილებლობით – რაც ადამიანთა მოდგმისთვის მეტისმეტად დიფერენცირებული, ხოლო ძროხებისათვის თითქმის სრულიად არადიფერენცირებული გახლავთ – ეს არ არის უბრალოდ არსებობა, არამედ ცხოვრება, ისევ და ისევ მიღება, ჩუქება, ჭმევა, მწყემსვა, წველა, რძის მიცემა, თუნდ ამ დროს ბოლომდეც არ იყოს გაცნობიერებული ცხოვრების უაზრობა და მისი ამოცანის გადაუჭრელობა – ყველაფერი მეტისმეტად რეალური იყო და ათეულათასობით პაწაწინა შთაბეჭდილებაც

სწორედ ამას ამტკიცებდა. საგრძნობი სისავსე, სულგრძელობა, ცხოვრების სიუხვე, ზესიუხვეც კი – აი, რაფსოდია. და ქოულმენი და ფაუნიაც, აწ უკვე მიცვალებულნი, სწორედ ამ სიუხვის დინებას მიუყვებოდნენ დღითი დღე და წამი-წამ, ვითარცა ნაწილნი ამ ენით უთქმელი სიუხვისა.

არაფერი გრძელდება, არც არაფერი გადის. იმიტომ არ გადის, რომ არც გრძელდება.

* * *

ლეს ფარლისთან უსიამოვნება იმავე საღამოს, ოღონდ მოგვიანებით დაიწყო, როდესაც ქოულმენს თავის სახლთან ახლოს ბუჩქებიდან რაღაც ფაჩუნი მოესმა. უფიქრია, ირემი ან ენოტი ამ დროს არ იქნებაო და სამზარეულოს მაგიდიდან ამდგარა, სადაც ფაუნიასთან ერთად სპაგეტის ჭამას ამთავრებდა თურმე; გარეთ რომ გაუხედავს, ზაფხულის ბინდბუნდში ვიღაც კაცისთვის მოუკრავს თვალი, რომელიც ტყისკენ გარბოდა მინდორზე. «ეე, გაჩერდით ახლავე! გაჩერდით-მეთქი!» – დაუძახია ქოულმენს, მაგრამ კაცი არც შეჩერებულა და უკანაც არ მოუხედავს. ხეებთან მიურბენია და ტყეში გაუჩინარებულა. მანამდეც, რამდენიმე თვის განმავლობაში, ქოულმენს თურმე სულ ეჩვენებოდა, რომ საღამოობით ვიღაც იყო მის ბუჩქებთან გალურსული და უთვალთვალებდა, მაგრამ სიბნელეში ძნელი გასარჩევი იყო, მხეცი იყო თუ მზვერავი. მაშინ მარტო მაინც იყო ხოლმე, მაგრამ იმ საღამოს ფაუნიაც მასთან იყო, რომელმაც მართალია, ვერ გაარჩია მინდორში გაქცეული ფიგურა, მაგრამ დარწმუნებით თქვა, ჩემი ყოფილი ქმარი იქნებოდაო.

განქორწინების მერეც ფარლი თურმე სულ უთვალთვალებდა ფაუნიას, ბავშვების დაღუპვის შემდეგ კი ცოლისთვის დაუდვია ბრალი დაუდევრობასა და დანაშაულებრივ გულგრილობაში და როგორც თავად ფაუნია ამბობდა, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდებია. ორჯერ გამოსცხადებია ექსცოლს მოულოდნელად, ერთხელ სუპერმარკეტის ავტოსადგომზე, მეორედ ავტოგასამართ სადგურზე და თავისი პიკაპიდან სულ «ბოზო» და «ჩათლახო მკვლელო» უძახია, სახალხოდ გაჰყვიროდა თურმე, შვილები

შენ დამიხოცეო! კოლეჯისკენ მიმავალს არაერთხელ დაუნახავს უკანა ხედვის სარკეში პიკაპში მჯდარი ლესი და გვერდითა სარკითაც კარგად გაურჩევია მისი ტუჩების მოძრაობა: «შენ დამიხოცე შვილები». ხანდახან თურმე უკანა გზაზეც მიჰყვებოდა კაცი. მაშინ ჯერ კიდევ ბუნგალოს იმ დაუზიანებელ ნაწილში ცხოვრობდა, რომელიც გამათბობლის გამო გაჩენილ ხანძარს გადაურჩა, რასაც მისი ბავშვების სიცოცხლე ემსხვერპლა, მაგრამ ქმრის წინაშე შიშის გამო მიუტოვებია იქაურობა და სილი-ფოლსში უქირავებია ბინა, თვითმკვლელობაც იქვე უცდია უშედეგოდ. მერე იქიდანაც აყრილა და სარძევე ფერმაში გადასულა, სადაც მეპატრონეები და მისი ბავშვები ირეოდნენ სულ და ლესის გამოჩენაც ისეთივე სახიფათო აღარ იყო. მეორეჯერ ბინის შეცვლის შემდეგ მისი პიკაპიც უფრო ნაკლებად ჩნდებოდა და მერე რამდენიმე თვით საერთოდ გამქრალა. ფაუნიას გული დაუიმედებია, როგორც იქნა, მომცილდაო. მაგრამ ახლა ქალი სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ლესმა რაღაცნაირად იყნოსა ქოულმენთან მისი კავშირის ამბავი და იმავე მიზეზით გაცოფებულმა, რაც მუდამ აცოფებდა, ისევ თვალთვალი დაუწყო, დაინტერესდა, რას აკეთებდა მისი ყოფილი ცოლი ქოულმენის სახლში.

როდესაც ფაუნია იმ საღამოს თავისი ძველი «შევროლეთი», რომელსაც უცხო თვალისგან დასამალად ქოულმენის თხოვნით მის ფარდულში აყენებდა ხოლმე, ფერმისკენ გაემგზავრა, კაცმაც გადაწყვიტა, უკან გაჰყოლოდა მოასფალტებულ გზამდე. უკანა გზაზე კი სულ სარკეში იყურებოდა, ვინმე ხომ არ მომყვებაო. მანქანა ფარდულში შეუყენებია და საბურისის ქნევით გაუკვალავს გზა სახლამდე, რათა ახლოს არ მიეშვა, თუ ვინმე იქნებოდა სიბნელეში მიმალული.

დილით, წინაღამის ბორგვისა და რვასაათიანი მშფოთვარე ფიქრების შემდეგ, გადაწყვიტა, პოლიციაში არ განეცხადებინა: საქმით მაინც არაფერს გააკეთებდნენ სამართალდამცველები და ზედმეტად გახმაურება მისი და ფაუნიას სახელების, თან ერთად, მით უმეტეს, რომ მათზე ხმა უკვე დადიოდა, სრულიად ზედმეტად მოეჩვენა, რადგან ეს კიდევ უფრო დაადასტურებდა ხალხის ეჭვს. მაგრამ ამ უძილო ღამის შემდეგ მთლად უპასუხოდაც ხომ ვერ დატოვებდა ყველაფერს; ნასაუზმევს თავის ადვოკატ ნელსონ ფრაიმუსს დაურეკა და

იმავე საღამოს წავიდა «ათინაში» ანონიმური წერილის თაობაზე რჩევის საკითხავად. ფრაიმუსმა შესთავაზა, ამოიგდე ეგ წერილი თავიდანო, მაგრამ ქოულმენმა არ დაუჯერა და დელფინა რუსთვის კოლეჯის მისამართზე შემდეგი წერილიც მიაწერინა: «ძვირფასო მის რუ! მე ქოულმენ სილქის ინტერესებს ვიცავ. რამდენიმე დღის წინ თქვენ მას ანონიმური წერილი მისწერეთ, რომელიც შეურაცხმყოფელ, ანონიმურ და ცილისმწამებლურ ხასიათს ატარებს. თქვენს წერილში შემდეგი ტექსტია: «ყველამ იცის, რომ თქვენ სექსუალურად იყენებთ თქვენზე ორჯერ ახალგაზრდა უბედურ, გაუნათლებელ ქალს». სამწუხაროდ, საკუთარ თავს სხვის ცხოვრებაში უხეშად ჩარევის უფლება მიეცით. ამგვარი საქციელით თქვენ მისტერ სილქის კანონიერი უფლებები დაარღვიეთ, რითაც სარჩელის შეტანის საბაბი მიეცით».

რამდენიმე დღის შემდეგ ფრაიმუსმა დელფინა რუს ადვოკატისგან პასუხად ოთხი ლაკონიური ფრაზა მიიღო. მეორე და მესამე წინადადება ერთმნიშვნელოვნად უარყოფდა ანონიმური წერილის ავტორობაში დელფინა რუსთვის წაყენებულ ბრალდებას – ქოულმენმა ეს ფრაზები წითლად გახაზა. «თქვენი წერილის არც ერთი მტკიცება ჭეშმარიტებას არ შეეფერება, – სწერდა რუს ადვოკატი, – ეს მხოლოდ და მხოლოდ ცილისწამებაა».

ქოულმენმა ფრაიმუსს მაშინვე ბოსტონელი გრაფოლოგის მისამართი გამოართვა, რომელიც საბუთების ანალიზის სპეციალისტი იყო და როგორც კერძო კორპორაციების, ასევე ფედერალური სამთავრობო დაწესებულებებისა და აშშ-ის ხელისუფლების დაკვეთებს ასრულებდა. მეორე დღესვე გაუდგა სამსაათიან გზას ქოულმენი და პირადად ეწვია გრაფოლოგს, რათა დელფინა რუს ხელწერის ნიმუშები გადაეცა ანონიმურ წერილთან ერთად. პასუხი ერთი კვირის თავზე ფოსტით მიიღო. «თქვენი თხოვნით, – სწერდა ექსპერტი, – დელფინა რუს ხელით დაწერილი ტექსტის ასლები შევადარე, ასევე გამოვიკვლიე ანონიმურ წერილსა და კონვერტზე არსებული ხელი. თქვენი თხოვნა ამ ხელნაწერების იდენტურობის დადგენა იყო. ჩემი კვლევა ხელწერის ისეთ თავისებურებებს ითვალისწინებს, როგორიცაა დახრილობა, მანძილები, ასოთა მოხაზულობა, ხაზის დაცვა, დაწოლა, პროპორციები, ასოთა სიმაღლის შეფარდება, მათი შეერთება, საწყისი და საბოლოო ელემენტები. შესწავლილი

დოკუმენტებით შემდეგი პროფესიული დასკვნის გაკეთება გახდა შესაძლებელი: ყველა ის ტექსტი, რომელიც ოფიციალურად დელფინა რუს ხელს ეკუთვნის, ასევე ანონიმური წერილის კალიგრაფია და კონვერტზე წაწერილი მისამართი ერთსა და იმავე ავტორს ეკუთვნის. პატივისცემით, დუგლას გორდონი, დოკუმენტთა ანალიზის ექსპერტი». როდესაც ქოულმენმა გრაფოლოგის დასკვნა მიიღო, ნელსონ ფრაიმუსს დაავალა, რუს ადვოკატისთვის ასლი გაეგზავნა. ფრაიმუსი არ შესწინააღმდეგებია, თუმცა კი უმძიმდა, ქოულმენს ისეთივე განრისხებულს რომ ხედავდა, როგორსაც კოლეჯში ატეხილი სკანდალის დროს.

იმ საღამოს შემდეგ, ქოულმენმა გაქცეულ ფარლის რომ მოჰკრა თვალი, რვა დღე გავიდა, მაგრამ ამ დროის განმავლობაში ამჯობინა, ფაუნიას არ შეხვედროდა, მხოლოდ ტელეფონზე საუბრით შემოიფარგლა. სარძევე ფერმაშიც არ წასულა, რათა საკუთარი თავიცა და გულის სწორიც დაეცვა შპიონაჟისგან, ვის მიერაც უნდა ყოფილიყო მოწყობილი. სახლიდან თითქმის არც გასულა და კარ-მიდამოს ათვალიერებდა, ან უკეთ ვთქვათ, ზვერავდა გულმოდგინედ. ფაუნიასაც ყურადღებით ყოფნა დაავალა ფერმაში ყოფნისას და შეახსენა, რომ საჭესთან ჯდომისას უკანა ხედვის სარკე არ გამორჩენოდა.

– თითქოს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ვუქმნიდეთ საფრთხეს, – თავისი დამახასიათებელი მხიარული სიცილით უთხრა ფაუნიამ.

– არა, საზოგადოებრივ ჯანმრთელობას, – უპასუხა ქოულმენმა, – ჯანდაცვის საბჭოს მითითებებს ვარღვევთ.

მერვე დღეს, დელფინა რუს ავტორობის დამადასტურებელი დასკვნა რომ მიიღო, ქოულმენმა მართალია, ფარლის ჯაშუშობის წინააღმდეგ ვერაფერი იღონა, მაგრამ თავი დაირწმუნა, რომ მდაბალი და პროვოკატორი ხელმყოფების გასაუვნებლად ყველა საჭირო ღონისძიებას მიმართა, რაც კი შეიძლებოდა. როდესაც ფაუნიამ დაურეკა და ჰკითხა, «კარანტინი» ხომ არ დასრულდაო? ქოულმენი იმდენად მშვიდად იყო, ან ირწმუნებდა თავს, ასაღელვებელი არაფერი მაქვსო, რომ ფაუნიას ნება დართო, სტუმრებოდა.

ქალს შვიდისთვის ელოდა, ამიტომ ექვს საათზე «ვიაგრა» დალია და გარეთ გავიდა ტელეფონით ხელში, რომ ძელსკამზე

ჩამომჯდარს დაერეკა ქალიშვილისთვის. ქოულმენსა და აირისს ხომ ოთხი შვილი ჰყავდათ: უფროსი ვაჟები, უკვე ორმოცს აცილებულები, კოლეჯის პროფესორები იყვნენ და ზუსტი მეცნიერებებით იყვნენ დაკავებულნი, ცოლ-შვილიანები იყვნენ და წყნარი ოკეანის სანაპიროზე ცხოვრობდნენ; უმცროსები კი, ტყუპი ლიზა და მარკი, უკვე თითქმის ორმოცს უკაკუნებდნენ, მაგრამ დაოჯახებული არც ერთი არ იყო. ისინი ნიუ-იორკში ცხოვრობდნენ. ამ თაობის სილქები, ერთის გამოკლებით, წელიწადში სამ-ოთხჯერ ჩამოდიოდნენ ბერქშირში მამის სანახავად, თვეში ერთხელ კი ტელეფონით ეკონტაქტებოდნენ. გამონაკლისი მარკი იყო, რომელიც მთელი ცხოვრება მამას კრიჭაში ედგა და პერიოდულად ხმასაც არ სცემდა ხოლმე.

ქოულმენმა ლიზასთან იმიტომ უფრო გადაწყვიტა დარეკვა, რომ გაახსენდა, ორი თვე იქნება, რაც არ დავლაპარაკებივარო. არ არის გამორიცხული, მარტოობის წამიერ გრძნობას დანებდა ფაუნიას მოლოდინში, რომლის სტუმრობაც გულის დარდს ისედაც გაუქარვებდა. მაგრამ ამ ზარის გამომწვევი მიზეზი ბევრი რომ არ ვეძიოთ, მთავარი მაინც საუბრის ნაწილია, როდესაც ყველაფერი სხვაგვარად შეტრიალდა. სად-სად, მაგრამ აქ კი ნამდვილად არ ელოდა წინააღმდეგობას – ლიზას რბილი, მელოდიური, ჯერ კიდევ გოგონას ხმა ხომ ქვემო ისთ-საიდში თორმეტწლიანი პედაგოგობის რთული პერიოდის მიუხედავად, მასზე დამამშვიდებლად მოქმედებდა. უფრო მეტიც, მისმა ხმამ კიდევ უფრო გაუმძაფრა მამობის შეგრძნება. როგორც ჩანს, ქოულმენს იგივე მოუნდა, რაც სიბერეშეპარულ მშობელს უნდება ხოლმე – თუნდაც სატელეფონო ზარით ეგრძნო ძველი, მამაშვილური ურთიერთობის სითბო. ურთიერთსინაზის ორმხრივი, ხანგრძლივი და უწყვეტი ისტორიის მანძილზე ქოულმენი ყველაზე ნაკლებად ლიზასგან მოელოდა გართულებებს.

დაახლოებით სამი წლის წინ – «მოჩვენებების» გამო ატეხილ კონფლიქტამდე, – როდესაც ლიზას მოეჩვენა, რომ დიდი შეცდომა დაუშვა, როცა მეცადინეობები ჩამორჩენილთათვის კითხვის სწავლებით შეცვალა, ქოულმენმა ნიუ-იორკში წასვლა და ქალიშვილის პრობლემებში გარკვევა განიზრახა. აირისი კი ცოცხალი იყო იმ დროს, მაგრამ მისი დამანგრეველი ენერგია სწორედ რომ სულ არ ესაჭიროებოდა ლიზას. ცხონებულს ისე იოლად შეეძლო ნებისმიერი ადამიანის თავის ჭკუაზე

მომართვა, რომ ქალიშვილს იმ ეტაპზე ვერაფერში წაადგებოდა. ლიზას თუ ვინმეს დახმარება სჭირდებოდა, ეს ყოფილი დეკანი იყო, რომელსაც ნებისმიერი ხლართის თანამიმდევრულად, მაგრამ შეუპოვრად გახსნა ეხერხებოდა. აირისი კი ქალიშვილს ეტყოდა, სირთულეც იმისაა, რომ უნდა გადაილახოსო, ლიზა კი მისი წასვლის შემდეგ ისეთი შეგრძნებით დარჩებოდა, თითქოს მახეში მყოფს გოგრაში წაუთაქეს. ქოულმენის ვიზიტით ლიზას იმის იმედი ჰქონდა, რომ ვითარების დამაჯერებლად ახსნის შემდეგ მამამისი ეტყოდა, თუ გინდა, ადექი და ყველაფერი მიატოვეო, რითაც ქალიშვილს საქმის გაგრძელების ძალასა და შეუპოვრობას შემატებდა.

დიდ ქალაქში ჩასული ქოულმენი შუაღამემდე იჯდა და ქალიშვილის სატკივარს ისმენდა, დილით კი გადაწყვიტა, სკოლაში გაჰყოლოდა და საკუთარი თვალით ენახა, რა აცლიდა ასე ძალას ლიზას. და საკუთარი თვალითაც იხილა: დილიდან ოთხი ნახევარსაათიანი სეანსი ერთი-ერთზე ექვსი-შვიდი წლის მეტ-ნაკლებად მოსწრებულ პირველ ან მეორეკლასელებთან, ამის მერე კი კითხვის ორმოცწუთიანი გაკვეთილები რვაბავშვიან ჯგუფებში, რომლებიც კითხვაში ინდივიდუალური მეცადინეობებისთვის არჩეულ ბავშვებს ვერაფრით სჯობდნენ. მოკლედ, სკოლაში ინტენსიური სწავლების პროგრამისათვის პედაგოგები არ იყო საკმარისი.

– ჩვეულებრივი კლასები ბევრად დიდია, – აუხსნა ლიზამ, – ასეთ მოსწავლეებამდე მიღწევას კი მასწავლებლები იქ უბრალოდ ვერ ახერხებენ. უწინ ჩვეულებრივ კლასებში ვმუშაობდი. ოცდაათიდან სამი მაინც ბუზებს ითვლის. ამას კიდევ რა უჭირს. სხვა ბავშვების წარმატება ბიძგს მაინც გვაძლევს. იმის მაგივრად, რომ ცოტა შეჩერდნენ და ხელი შეაშველონ ჩამორჩენილებს, მასწავლებლები გაკვეთილის ახსნას განაგრძობენ და ფიქრობენ, ან თავს ირწმუნებენ, რომ ჩამორჩენილები თავისით დაეწევიან დანარჩენებს. მერე სულ ძალისძალად გადაჰყავთ კლასიდან კლასში, ასე მიაჩანჩალებენ მეოთხემდე, იქ კი დიდი პრობლემა ხვდებათ. მე კი სწორედ ისეთი ბავშვები შემხვდა, რომლებამდე მიღწევაც ვერ ხერხდება, და რაკი მათ და გაკვეთილების გამოც ძალიან განვიცდი, ეს ჩემზე გამანადგურებლად მოქმედებს. გარდა ამისა, სკოლასაც არ უვარგა ხელმძღვანელობა. დირექტორი ქალი გვყავს, ოღონდ თავი და ბოლო ვერ გაუგია, რა უნდა, პედკოლექტივი საკმაოდ ჭრელი გვყავს, ყველას წითელი კოჭი

ჰგონია თავი და ყველაფერს საკუთარ ნებაზე აკეთებს, საბოლოოდ კი დომხალი გამოდის. ოცი წლის წინ, პირველად რომ მოვედი აქ, ყველაფერი შესანიშნავად მიდიოდა. დირექტორიც კანფეტივით იყო. ახლა კი იმდენი მასწავლებელი გამოგვაკლდა, გაოცდები, ბოლო ოთხ წელიწადში ოცდაერთი მასწავლებელი წაგვივიდა. იცი, ეს რამდენია ჩვენთვის? იმდენი კარგი ადამიანი დავკარგეთ. ორი წლის წინ კი აუტკივარი თავი ავიტკივე, ვთქვი, დიდმა კლასმა გამომფიტა-მეთქი და კითხვის გაკვეთილებზე გადავედი. მერე ამანაც ისე დამასუსტა, რომ აღარ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე.

ქოულმენი თითქმის ხმაამოუღებლად უსმენდა და თავს იკავებდა, რომ ცხოვრებისგან გულნატკენ ქალიშვილს არ მოხვეოდა, რადგან ეს ქალიშვილი უკვე ორმოც წლამდე იყო და თავს უხერხულად იგრძნობდა, თუმცა მასაც ეუფლებოდა ხოლმე სურვილი, რომ შვიდიოდე წლის მოწაფისთვის, კითხვას რომ ვერა და ვერ სწავლობდა, თავზე ხელი გადაესვა და მოჰფერებოდა. ლიზას დედისგან დაუდგრომლობა დაჰყოლოდა, მაგრამ ნებისყოფა და გამტანობა კი აკლდა, სხვებისათვის სრულფასოვან ცხოვრებაში, როგორც მასწავლებელს, ხელს (ალტრუიზმი მისი წყევლა გახლდათ) მუდმივი გამოფიტულობის გრძნობა უშლიდა. გარდა ამისა, მეორე თავსატეხიც ჰქონდა – ბოიფრენდი, რომელსაც ელოლიავებოდა და მთელ თავის სიკეთეს აფრქვევდა, ყურებზე დადიოდა ხანდახან მის გამო და თავისი ესთეტიკური ქალწულობაც მას შეალია. ლიზას მთელი გულითა და სულით სჩვეოდა საქმეში გადაშვება, მეტისმეტად მგრძნობიარე იყო, რომ გაჭირვებულისათვის ხელი ეკრა და მეტისმეტად სუსტი, რომ ფხიზლად შეეფასებინა საკუთარი შესაძლებლობები. ამიტომაც იცოდა, რომ ლიზა არასოდეს დატოვებდა პროგრამას «კითხვა ჩამორჩენილთათვის», ჰოდა, ეტყობა, ამის გამო იყო, რომ შიშით გაჯერებულ მამობრივ სიამაყეს გრძნობდა, რაც პერიოდულად აღიზიანებდა და ლამის ზიზღშიც გადასდიოდა.

კლასში ოცდაათი ბავშვი იყო, ოცდაათი დაწყებითი დონე და ამდენივე ცხოვრებისეული გამოცდილება, ასე რომ, თავის გართმევა აგრერიგად იოლი არ გახლდათ. ლიზას თქმით, სამი ათეული ხასიათი, სამი ათეული ცხოვრების ისტორია და მასალის ათვისების სამი ათეული საშუალება საორგანიზაციო ძალისხმევად, ქაღალდებში ქექვად და ათას წვრილმანად

უჯდებოდა. მაგრამ ეს ყველაფერი ახლანდელთან შედარებით სახსენებელიც არ იყო. «ცხადია, ზოგჯერ ვფიქრობ ხოლმე, – უთხრა ლიზამ, – დღეს თავი გავართვი-მეთქი, მაგრამ მეტწილად ფანჯრიდან გადახტომის სურვილი მიჩნდება. სულ ეჭვი მღრღნის, ვვარგივარ კი ამ პროგრამისთვის თუ არა? ხომ იცი, უკომპრომისო ადამიანი ვარ. მინდა, ჯეროვნად ვმუშაობდე, ჯეროვნად მუშაობა კი არ გამოდის: ყოველი ბავშვი განსაკუთრებული შემთხვევაა, თან უიმედო, მე კი თავი არ უნდა დავზოგო. მესმის, ყველა მასწავლებელი თავს აკლავს ჩამორჩენილებს, მაგრამ კითხვაც რომ არ შეუძლიათ, მათთან რა უნდა ვქნა? სულ მგონია, რომ ვერასოდეს აითვისებენ კითხვას. ეს კი რთულია, მამა. თითქოს სულიერად ექცევი ხაფანგში. თავმოყვარეობა მელხება».

* * *

ლიზა ცოტა არამკითხე მოამბეც არის, ვის კეთილსინდისიერებასაც საზღვარი არა აქვს და ვინც მუდამ სხვების დახმარებაზე ფიქრობს. თხემით ტერფამდე იდეალისტია და თავისი წარმოდგენების ერთგული. ჰოდა, ქოულმენმაც იფიქრა, ავდგები და ლიზას დავურეკავო, აბა, რას იფიქრებდა, რომ მისი უფრთო ანგელოზი ქალიშვილი ასეთი ტონით უპასუხებდა.

– რა უცხო ხმით მელაპარაკები, კარგად ხარ?

– კარგად ვარ, – მოკლედ მოუჭრა ლიზამ.

– რამე მოხდა, ლიზა?

– არაფერი.

– საზაფხულო სკოლაში როგორ მიდის საქმეები?

– მშვენივრად.

– და ჯოში? – ამჟამინდელი ბოიფრენდი მოუკითხა ქალიშვილს.

– არა უჭირს.

– ბავშვები რას შვრებიან? ის ბიჭუნა როგორაა, ასო «ნ»-ს რომ ვერ კითხულობდა? გადავიდა მეათე დონეზე? არადა, სახელად

ერნანდო არ ჰქვია? სახელში ორი «ნ» ურევია.

– ყველაფერი რიგზეა.

ქოულმენმა რბილად ჰკითხა ქალიშვილს:

– ხომ არ გნებავს ჩემი ამბებიც იკითხო?

– ისედაც ვიცი.

– იცი?

დუმილი.

– რა გაწუხებს, საყვარელო?

– არაფერი.

სიტყვა «არაფერი» უკვე მეორედ გამოიყენა საუბარში, რაც აშკარად ნიშნავდა, რომ ეს «საყვარელო» სრულიად ეზედმეტებოდა.

რაღაც ხდებოდა, რაღაც უცნაური... ნეტავ ვინ უთხრა? ან რა უთხრეს? სკოლის უფროს კლასებში, მერე, ომის შემდეგ, კოლეჯში ქოულმენი დატვირთული განრიგით მეცადინეობდა; ათინა-კოლეჯში დეკანად მუშაობისას კი რაც უფრო მეტ წინაღობას ხვდებოდა, მით უფრო იმუხტებოდა სასიცოცხლო ძალით: რასიზმში უმართებულოდ ცილდაწამებულმა ზურგი არავის დაანახვა, კოლეჯის დატოვებაც დანებება კი არა, მრისხანე პროტესტი, დიდი ზიზღის გაცნობიერებული გამოხატულება იყო. წინაღობებისა და წინააღმდეგობების მთელი ამ წლების განმავლობაში, აირისის გარდაცვალების შემდეგაც კი, არ უგრძნია თავი ასე დაუცველად, როგორც ახლა, როდესაც თითქმის ანეკდოტური სიკეთის განსახიერების მქონე ლიზამ ერთ სიტყვა «არაფერში» მთელ იმ სისასტიკეს მოუყარა თავი, რომლისთვისაც მთელი ცხოვრება სამიზნე არ ჰქონდა გამონახული.

სწორედ იმ დროს, როდესაც ლიზას «არაფერმა» თავისი საზარელი მნიშვნელობის გამოსხივება დაიწყო, ქოულმენმა გზაზე ნელა მომავალი პიკაპი შენიშნა: ხან მცირე მანძილს გამოივლიდა, ხან დაამუხრუჭებდა... ქოულმენმა კისერი წაიგრძელა, რომ უკეთ დაენახა, მერე წინ გაიწია და მანქანისკენ გაიქცა ახალმოთიბულ ბალახზე. «ეი, თქვენ! მანდ რას აკეთებთ? ახლავე შეჩერდით!» – გასძახა უცნობს, თუმცა

მანქანა იქამდე დაიძრა, ვიდრე ქოულმენი ისე მიუახლოვდებოდა, რომ მანქანის ან მძღოლის რაიმე ნიშანი შეემჩნია. პიკაპების მარკებს ვერ არჩევდა, ამიტომ იმასაც ვერ მიხვდა, ძველი მოდელი იყო თუ ახალი; მეხსიერებაში მხოლოდ მანქანის ფერი ჩარჩა – გაურკვეველი ნაცრისფერი.

ტელეფონის ყურმილი კი დუმდა. სირბილის დროს, ეტყობა, შემთხვევით გათიშვას დააჭირა. ან იქნებ ლიზამ დაკიდა ყურმილი. ხელახლა რომ აკრიფა, უკვე მამაკაცის ხმამ უპასუხა.

– ჯოშს ველაპარაკები? – ჰკითხა ქოულმენმა.

– დიახ.

– ქოულმენ სილქი ვარ, ლიზას მამა.

პაუზის შემდეგ პასუხი მოესმა:

– ლიზას თქვენთან საუბარი არ სურს.

ყურმილი დაიკიდა.

მარკის ნახელავია. აბა, სხვისი ვისი იქნება? აშკარად ის ნაბიჭვარია! აბა, ჯოში როგორ გამიბედავდა ამდენს?! კი მაგრამ, ფაუნიას შესახებ მარკმა როგორ შეიტყო? ქოულმენი იმდენივეს ხვდებოდა, რამდენსაც დელფინა რუსა და იმ რამდენიმე ადამიანის შესახებ, რომელთაც მისი საიდუმლო უწყოდნენ. გამოდის, მარკმა აამხედრა ტყუპისცალი დაიკო დამნაშავე მამის წინააღმდეგ. ცხადია, მის თვალში ხომ ეს დანაშაულის ტოლფასი იყო. მარკს ადრეული ბავშვობიდან არ სცილდებოდა ფიქრი, რომ მამა მის წინააღმდეგ იყო განწყობილი; უფროს ძმებზე ეჭვიანობდა, რომლებიც სკოლაშიც გამოირჩეოდნენ და მამის ინტელექტუალური ჩვევების კოპირებას ახდენდნენ; ეჭვიანობდა ლიზაზეც, როგორც ოჯახისა და განსაკუთრებით მამის ნებიერაზე; მარკი კი მუდამ განდგომილი იყო, რადგან ლიზასავით მშვენიერი, მოყვარული, ფაქიზი და მგრძნობიარე არ იყო და არც უნდოდა ყოფილიყო.

მარკი, შეიძლება ითქვას, ყველაზე რთული ადამიანი იყო, ვისაც კი ქოულმენი ოდესმე შესჩეხებია, თუმცა არა გაგების დონეზე, რადგან მისი წყენის გაგება კიდევ შეიძლებოდა. ჯერ კიდევ ბაღში წაყვანამდე დაიწყო გაბუსხვა, მერე ეს ჩვევაში გადაუვიდა და საკუთარ ოჯახში გამეფებული შეხედულებების

წინააღმდეგ პროტესტში გამოუვლინდა. დიდი მცდელობისდა მიუხედავად, წლებთან ერთად ეს პროტესტი მისი პიროვნების მახასიათებელ თვისებად იქცა. უკვე თოთხმეტი წლისა ყველას გასაგონად უჭერდა ნიქსონს მხარს, როდესაც იმპიჩმენტზე მიდიოდა საუბარი, ამ დროს კი მისი ოჯახი პრეზიდენტს სამუდამო პატიმრობას უსურვებდა. თექვსმეტი წლისა ორთოდოქსი ებრაელი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ დედმამიშვილები ანტიკლერიკალურად და ათეისტურად განწყობილი მშობლების მაგალითით მხოლოდ სახელით თუ იყვნენ ებრაელები, ან სულ ოდნავ მეტით. ოცი წლისამ მამამისი, რასაც ჰქვია, გააცოფა ბრანდაისის უნივერსიტეტის მიტოვების გამო, არადა, დასრულებამდე მხოლოდ ორი სემესტრი ჰქონდა დარჩენილი. ახლა, ორმოცს მიღწეულმა, უკვე არაერთხელ საქმიანობაგამოცვლილმა მისთვის შეუფერებლობის გამო, თხრობითი ჟანრის პოეტობა დაიჩემა.

მამასთან ურყევმა შუღლმა მარკი თავისი ოჯახის სრულ ანტიპოდად აქცია, უფრო ზუსტად კი მამამისის საპირისპირო პოლუსად. გონიერი, ნაკითხი, მიხვედრილი და ენამახვილი კი იყო, მაგრამ ვერაფრით იპოვა გზა, რომლითაც ქოულმენს გვერდს აუვლიდა, პირიქით, სულ ეჩეხებოდა. ოცდათვრამეტი წლისამ პოეტი აღმოაჩინა საკუთარ თავში და ბიბლიური სიუჟეტების მიხედვით დაიწყო გალექსვა, იმავდროულად, ხელმოცარულის ამპარტავნებით თავისი ცხოვრების წარმმართავი ანტიპათია უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა. მარკს ღვთისმოშიში და ერთგული საყვარელი ინახავდა. ახალგაზრდა ქალი, ზესერიოზული და ნერვიული, მანჰეტენზე კბილის ტექნიკოსად მუშაობდა, ამ დროს კი მარკი მის ბრუქლინის ულიფტო სახლში იჯდა და ბიბლიური გადმოცემების მიხედვით ქმნიდა პოემებს, რომელთაც ებრაული ჟურნალებიც კი არ ბეჭდავდნენ. დაუსრულებლად წერდა დავითზე, რომელიც თავის ვაჟ აბესალომს უსამართლოდ მოექცა, ისააკზე, რომელიც ასევე უსამართლოდ მოექცა ვაჟ ესავს, იუდაზე, რომელიც პირშავად იყო ძმა იოსებთან; წერდა იმაზეც, თუ როგორი მრისხანე წინასწარმეტყველება წარმოთქვა ნათანმა მას მერე, რაც დავითმა ბერსაბესთან შესცოდა. ყველა პოემა ერთი და იმავე სიუჟეტის ირგვლივ ტრიალებდა. მარკმა მთელი ცხოვრება დაამყარა თავის კალამზე, მაგრამ ყველაფერი წყალს გაატანა.

კი მაგრამ, როგორ დაუგდო ლიზამ მას ყური? როგორ გაიზიარა მამისთვის წაყენებული ბრალდება? მან ხომ კარგად იცოდა თავისი ძმის ამბავი. გასაგებია, რომ ლიზა ტყუპისცალისადმი მუდამ დიდსულოვანი იყო, ლამის დაბადებიდან, იმისდა მიუხედავად, რომ ძმის ანტაგონიზმებს სრულიად ყურით მოთრეულად მიიჩნევდა. ბუნებით კეთილი ლიზა სულ იმის ცდაში იყო, ოჯახისგან მისი ხელისგულზე ტარება როგორმე შეეზღუდა და ძმისკენ გადაემისამართებინა მშობლების ყურადღება, თან განუწყვეტელი კინკლაობებით გულნატკენი მარკის დაყვავებას უნდებოდა. ნუთუ ტყუპისცალისადმი ლიზას კეთილგანწყობა იმ დონემდე მივიდა, რომ მშობელი მამისთვის წაყენებული აბსურდული ბრალდება ირწმუნა? ან რას სდებდნენ მამას ბრალად? განა რა ჰქონდა ქოულმენს ასეთი ჩადენილი, რა უნდა ჰქონოდა შვილებისათვის დაშავებული, რომ ტყუპი და-ძმა დელფინა რუსა და ლესთერ ფარლისთან ერთად ხელიხელჩაკიდებული ამხედრებულიყო ქოულმენის წინააღმდეგ? ან უფროსი ბიჭები რა იქნენ, მეცნიერები, განა მათ ყურამდეც რამემ მიაღწია ან გუმანით მიხვდნენ რამეს? თან უკვე რა ხანია მათგან მოკითხვაც არ მიუღია.

ის დღე გაახსენდა ქოულმენს, აირისი რომ დაკრძალა და მარკმა ჩხუბი აუტეხა, ბრალდებების კორიანტელი დააყენა. საქმე იქამდე მივიდა, რომ უფროსმა ძმებმა ძალით გაიყვანეს მარკი თავის ყოფილ ოთახში, საიდანაც დილამდე ფეხი აღარ გამოუდგამს. მომდევნო დღეებში, სანამ შვილები წავიდ-წამოვიდოდნენ, ქოულმენი მარკის კი არა, მისი მწუხარების დადანაშაულებას ცდილობდა იმაში, რაც უმცროსმა შვილმა გაუბედა, თუმცა კი ეს წყენა ჯერ არ დავიწყებია და არც არასოდეს ამოუვარდება გულიდან. სასაფლაოდან მოსულმა მარკმა ისევ ლანძღვა დაუწყო მამას: «კოლეჯმა კი არ მოუღო ბოლო დედას, ან ზანგებმა კი არ მოუსწრაფეს სიცოცხლე, არამედ შენ – შენ შეიწირე დედაჩემი! ისევე შეიწირე, როგორც ყველაფერს იწირავ ირგვლივ! იცი, რატომ? იმიტომ, რომ თავი მუდამ მართალი გგონია! იმიტომ, რომ ბოდიშს არასოდეს იხდი, ყველაფერში ასპროცენტიანი გგონია თავი, შედეგები კი დედამ მოიმკა. ყველაფერი უპრობლემოდ ჩაივლიდა, ერთი დღეც არ დასჭირდებოდა იმ პრობლემის მოგვარებას, ბოდიში რომ მოგეხადა! ერთი უბრალო ბოდიში ყველაფერს შეცვლიდა! რომ გეთქვა, «ბოდიში, მოჩვენებები რომ გიწოდეთო»,

სრულიად იკმარებდა, ჩვენო დიადო და სახელოვანო. მისულიყავი სტუდენტებთან და მოგებოდიშა – ყველაფერი ამით დასრულდებოდა და დედაც ცოცხალი იქნებოდა!»

ქოულმენი ეზოში იყო გასული, აღშფოთებამ რომ მოიცვა, თან იმისთანამ, მარკის განრისხების შემდეგ რომ აღარ უგრძნია, როდესაც შვილის სიტყვებმა კოლეჯიდან გათავისუფლების შესახებ განცხადება დააწერინა. იცოდა, რომ ასეთი რამე ბავშვების მიმართ არ უნდა ეგრძნო, უბრალოდ, არაკორექტული იყო. «მოჩვენებების» ამბავმა კარგად ასწავლა, რომ ამხელა აღშფოთება უკვე სიგიჟის ტოლფასი იყო, რომელსაც მისი ჩათრევა შეეძლო. ხვდებოდა, რომ ასეთი აღშფოთება შეუთავსებელი იყო საკითხისადმი თანამიმდევრულ და გონიერ მიდგომასთან. როგორც პედაგოგმა იცოდა, რა იყო პედაგოგიკა, როგორც მამამ – რა იყო მამობა, როგორც სამოცდაათ წელს გადაცილებულმა კაცმა ისიც უწყოდა, თუნდ მარკისთანა ადამიანით დამძიმებული ყოფილიყო ოჯახი, გამოსავალი მაინც უნდა გამონახულიყო. ქოულმენმა კარგად იცოდა, და არა მხოლოდ «მოჩვენებებთან» დაკავშირებული ამბის გამო, როგორ შეუძლია უსამართლობის შეგრძნებას ადამიანის სულის მოწამვლა და დამახინჯება. აქილევსის რისხვა, ფილოქტეტეს სიშმაგე, მედეას მძვინვარება, აიაქსის სიგიჟე, ელექტრას სასოწარკვეთილება, პრომეთეს ტანჯვა – ეს ყოველივე ნათელი მაგალითივით უჩვენებდა მას, რამხელა საშინელება შეიძლება დაატყდეს ადამიანს თავს, როდესაც გულისწყრომა, აღშფოთება უმაღლეს მწვერვალს მიაღწევს, როდესაც სამართლიანობის სახელით მიეგება სამაგიერო, როდესაც ორივე მხრიდან შლის ფრთებს მისაგებლის მიგების სურვილი.

კარგი იყო, ეს რომ იცოდა, რადგან გამოადგა კიდეც – ანტიკური ტრაგედიისა და ბერძნული ეპიკური პოეზიის მთელი პროფილაქტიკა – რომ ეგრევე არ აიღო ყურმილი და მარკისთვის არ ეთქვა, როგორი საძაგელიც იყავი, ისეთივე დარჩენილხარო.

* * *

ფარლისთან პირდაპირი შეტაკება კი ზუსტად ოთხი საათის

შემდეგ მომხდარა. რამდენადაც ახლა ფაქტების აღდგენას შევძლებ, ვეცდები, თანამიმდევრობა დავიცვა: ქოულმენი ფაუნიას სტუმრობის შემდეგ რამდენჯერმე გასულა სახლიდან, რომ შეემოწმებინა, ხომ არავინ გვითვალთვალებსო და რიგრიგობით უკანა, წინა და სამზარეულოს კარებიდან შესულა. უკვე საღამოს ათისთვის, როდესაც სამზარეულოს ბადიან კართან იდგნენ და გამოსამშვიდობებლად ერთმანეთს ეხუტებოდნენ, ქოულმენმა სულის გამამწარებელ შინაგან შფოთზე გამარჯვება მოახერხა და თავის ამჟამინდელ ცხოვრებაში ერთადერთ სერიოზულ სიამეს – უკანასკნელ ბანაობას, ასაკიდან გამომდინარე – მისცა თავი, რომელსაც თომას მანი აშენბახზე საუბრისას «გრძნობის დაგვიანებულ ავანტიურას» უწოდებდა. ის იყო, ფაუნიამ წასვლა დააპირა, რომ ქოულმენმა იმხელა ჟინის შემოტევა იგრძნო, ქალიშვილიც, ვაჟებიც, ფაუნიას ქმარიცა და დელფინა რუც სულ ფეხებზე დაიკიდა. ეს თავად სიცოცხლე კი არა, – ფიქრობდა გულში, – მისი დასასრულიაო. აუტანელი იყო არა იმდენად ის ანტიპათია, რომელსაც ის და ფაუნია იწვევდნენ, არამედ უფრო ის, რომ მას უკვე თავისი დღე და წუთისოფელი მოჭმული ჰქონდა. დიახ, დრო ნამდვილად გასულიყო და იმავდროულად, დამდგარიყო კიდეც, – უფრო გასაგებად რომ მოგახსენოთ, მისი სიცოცხლის დრო იყო გასული, ამოწურული, ხოლო დრო უსიამოვნებების დასრულებისა, კამათებისა და იმ სიკეთის დავიწყებისა, ოთხი ჯანმრთელი შვილის აღზრდის დროს რომ იჩენდა, უკვე დამდგარიყო. არადა, რამდენი დრო შეალია არცთუ მშვიდი ცოლქმრული თანაცხოვრების შენარჩუნებას, ჯიუტ კოლეგებზე ზემოქმედებასა და საშუალო დონის სტუდენტების ორ-ნახევარი ათასი წლის წინ შექმნილ ლიტერატურასთან ზიარებას. დრო იყო, თავად აჰყოლოდა ამ ჟინს, მიუწვდომელი გამხდარიყო მათი ბრალდებების და განაჩენისათვის. იცოცხლე, სანამ ცოცხალი ხარ და მათი გულისამრევი, საძაგელი და აუტანელი იურისდიქცია დაიკიდეო, თავს შეუძახა.

* * *

ფარლისთან შეტაკება იმავე ღამეს მოხდა. შეტაკება იმ კაცთან, რომელიც სარძევე ფერმას მართავდა და დიდი მცდელობის

მიუხედავად, გაკოტრდა, ახლა კი საგზაო მუშა იყო და წელებზე იდგამდა ფეხს, რაც უნდა, შავი სამუშაო შეეთავაზებინათ მისთვის, ამერიკის ერთგულ მოქალაქედაც მიიჩნეოდა, რადგან ორჯერ იყო ქვეყნის სამსახურში ნამყოფი – ვიეტნამიდან ჩამოსული უკან დაბრუნდა, რათა დაწყებული დაესრულებინა. მოკლედ, ტრაკი ასწია და უკანვე გაბრუნდა იმ ჯოჯოხეთში, რადგან შინ დაბრუნებულს ყველა ეუბნებოდა, სულ შეცვლილხარო, მართლაც, თვითონაც ხვდებოდა, რომ მისი ყველას ეშინოდა. ომის ჯუნგლებიდან დაბრუნებულ კაცს მადლობის მაგივრად შიშნარევი და უნდობელი მზერით დაუხვდნენ, სხვა რაღა ექნა, ადგა და უკან წავიდა. არა, იმას სულ არ ელოდა, რომ გმირად მიეღო ვინმეს, მაგრამ ასეთი დახვედრა მეტისმეტი იყო. ჰოდა, მეორე წრეზე წავიდა. უკვე ყელამდე იყო. გაბოროტებული. გაუცხოებული. მოკლედ, ყველაფერზე იყო წამსვლელი. პირველი სამსახურისას კი საქმე სხვაგვარად იყო, საკმაოდ სიმპათიური ადამიანიც ეთქმოდა, არც უიმედობას განიცდიდა. პირველ ჯერზე ერთი ბერქშირელი ყმაწვილი იყო, რომელსაც ნდობაც ჰქონდა ხალხში და არც იმას ფიქრობდა, როგორ იაფდება ხანდახან ცხოვრება, რას ნიშნავს წამლებზე ცხოვრება, რას ნიშნავს სხვაზე დამცირებულად ყოფნა – მხიარული და ხალისიანი ეთქმოდა, ჯიგრიანი იყო და ტოლებში კარგი მეგობრის სახელით სარგებლობდა, არც საზოგადოებისათვის წარმოადგენდა საფრთხეს, ჩქაროსნული მანქანებიც უყვარდა... პირველად რომ ჩაება ომში, ყურების მოჭრასაც კი არ დაერიდა, არა, მარტო ის როდი აჭრიდა ყურებს, ყველა ასე იქცეოდა. მთლად იმათ კატეგორიასაც არ ეკუთვნოდა, აღვირს რომ აიხსნის და ირგვლივ არავის ინდობს, მაგრამ რაკი იქ ასე იყო მიღებული, არც მას დაუწყია თავის გამოდება და ყველასა და ყველაფერს ცეცხლის ალში ხვევდა. მის ნაწილში ერთი ტიპი იყო, «დიდს» ეძახდნენ, მან ჩამოსვლიდან პირველ თუ მეორე დღესვე გამოჰფატრა მუცელი ორსულ ქალს. ფარლი კი პირველი ვადის დასრულებისას იქცა კაი ბიჭად, მანამდე ვერა. აი, მეორე ჯერზე რომ ჩავიდა, უკვე ბევრი დაუხვდა მეორევადიანი, ყველა მათგანს დოლარების ჩაჯიბვაზე მეტად სიბოროტისა და დაუნდობლობის ჩადენა უფრო სურდა. სულ იმის ცდაში იყვნენ, სათავო ჯგუფში შემძვრალიყვნენ, სადაც ყველამ კარგად იცოდა, რას ნიშნავს ნამდვილი საშინელება და სწორედ ეს საშინელებაა ამ ცხოვრებაში ყველაზე უკეთესი. ისინიც ცოფიანები იყვნენ და ფარლიც. ბრძოლისას რომ გარბიხარ, შიში, ბუნებრივია,

დაგეუფლება, მაგრამ თუ აუშვებ, გაცოფდები და თავზე ხელსაც აიღებ, რაც გააკეთა კიდეც მან. მეორე ჯერზე ყველას უჩვენა, რა შეეძლო. ნამდვილ ჯოჯოხეთში ჩაება, რაზეც სამოქალაქო ცხოვრებისას ვერც კი იოცნებებდა. ვერტმფრენებიდან სროლა. მანქანებს რომ კარგავდნენ, ზემოდან ხომ უნდა დაეშინათ. ერთხელ მსურველები გამოიკითხეს და თვითონ გამოიდო თავი. როცა ვერტმფრენში იჯდა, ქვემოთ ყველაფერი პატარა ეჩვენებოდა და უშენდა, უშენდა შეუბრალებლად და განურჩევლად. ყველაფერი მიზანში ჰყავდა ამოღებული, რაც კი რამ მოძრაობდა. სიკვდილი და ნგრევა – აი, ესაა ვერტმფრენიდან სროლის შედეგი. ამას ერთი უპირატესობაც ჰქონდა – ჯუნგლებში არ უწევდა გზის გაკაფვა. მერე სახლში დაბრუნდა, მაგრამ წინა ჯერზე უარესადაც კი დაუხვდა სიტუაცია. ვინც მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა, იმათ კიდევ რა უჭირდათ: უკან დასახევად გემები მაინც ჰყავდათ, ვიღაც მაინც მიხედავდა მათ, იკითხავდა მათ ამბავს. აქ კი უკან დასახევიც არ ჰქონდა. ერთ დღეს ვიეტნამში ვერტმფრენიდან რომ ისროდა, ნაცარტუტად ქცეულ სოფლებს, ცეცხლმოკიდებულ მანქანებსა და ამხანაგებს ხედავდა, კივილი ესმოდა და იმდენად დაბლა მიფრინავდა, რომ ქვევიდან დამწვარი ხორცის სუნიც სცემდა, მეორე დღეს ბერქშირში იყო. ახლა კი ყველაფრის შიში დაეუფლა, ყველგან ჩასაფრებული მტერი ელანდებოდა. ხალხს გაურბოდა, სიცილი აღარ შეეძლო, ხუმრობასთანაც მწყრალად გახდა. ამ სამყაროს ნაწილად აღარ გრძნობდა თავს, რადგან ისეთი რამ ჰქონდა ჩადენილი, რაზეც სხვა ადამიანებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ; პრინციპში არც მასთან ჰქონდა ვინმეს რამე საერთო. უთხრეს, სახლში წადიო! როგორ თუ სახლში? შინ ხომ ვერტმფრენი არ ეგულება. მარტოდ ჯდომა, სმა, მერე თუ ვეტერანთა სამმართველოს მიაკითხავს კაცი, ეკითხებიან, ფულის მოღუნვა გინდაო? არადა, ფულის კი არა, დახმარების სათხოვნელად იყო მისული. ჯერ სახელმწიფოსგან ცდილობდა დახმარების მიღებას, მაგრამ ძილის წამლის აბებზე გადაატარეს. ეჰ, ამისთანა სახელმწიფოსი და მთავრობის დედაც! ისე მოექცნენ, თითქოს ვიღაც სირი იყო. არა უშავს, ახალგაზრდა ხარ და გეშველებაო. სცადა, რამე შველებოდა. რაკი სახელმწიფომ ცარიელზე დასვა, დამოუკიდებლად სცადა. ძალიან კი გაუჭირდა ორჯერ ომში ნამყოფს სამოქალაქო სარბიელზე ეცადა ბედი. სიმშვიდე დაკარგა. გადაირია. მოდუნებას ვეღარ ახერხებდა. სმას მიჰყო ხელი, სიგიჟისგან

ლამის კედლებზე გავიდა. თითქოს ყველაფერი გართულდა. მაინც არ შეუწყვეტია მცდელობა, ოჯახს მოეკიდა, შვილები შეეძინა, ფერმა აამუშავა. ისე, მარტო ცხოვრება ერჩივნა, მაგრამ ცოლმა დაიჟინა, შენთან ერთად მივხედავ ფერმას, რომ ადამიანურად ვიცხოვროთო, ასე რომ, თავადაც მოუნდა ადამიანურად დაფუძნება. ისიც ახსოვს სიმპო ლესს, ათი-თხუთმეტი წლის წინ რაც უნდოდა, ვიეტნამამდე, და ცდილობს, ისევ მოინდომოს. მაგრამ უბედურება ისაა, რომ უკვე არც ოჯახისადმი და აღარც სხვა რამისადმი აღარაფერს განიცდის, აღარაფერს გრძნობს. მათთან ერთად ჯდება სამზარეულოში, მიირთმევს, მაგრამ სიცარიელის მეტს არაფერს გრძნობს. იქიდან აქამდე ვერაფრით გადმოუბიჯებია, მაგრამ კი ცდილობს. ერთი-ორჯერ ღამით გამოეღვიძა და აღმოჩნდა, რომ ცოლს ახრჩობდა, მაგრამ განა თვითონაა დამნაშავე? ხელისუფლება! მან დამართა ეს უბედურება. ძილში ეჩვენებოდა, რომ ცოლს კი არა, ვიეტკონგის ჯარისკაცს უჭერდა ყელში. ნეტავ ფაუნია რას ფიქრობდა იმ დროს, ხომ იცოდა, რომ ლესი გონზე მოსვლას ცდილობდა. ცხადში თითსაც არ აკარებდა ცოლ-შვილს. ტყუილი იყო ყველაფერი. ფაუნიას კი მარტო საკუთარი თავი ადარდებდა. ბავშვების მინდობაც კი არ შეიძლებოდა მისთვის. იცდიდა, როდის წაიყვანდნენ ლესს სარეაბილიტაციოდ, ერთი სული ჰქონდა, კარგა ხნით გამოეკეტათ. ეუბნებოდა, მოგარჩენენ და ფეხზე დაგაყენებენ, რომ გემრიელად ვიცხოვროთ ერთადო, სინამდვილეში კი ბავშვებს დაავლო ხელი და აითესა. ძუკნა! წაკლა დედაკაცი! გააცურა ლესი. არ უნდა გაეშვა შვილებთან ერთად. არა, ნაწილობრივ თავისი ბრალიც არის, ისე იყო იმ დროს გალეშილი, რომ იძულებით წაიყვანეს. ყველას თავებს წაგაცლითო, მიაძახა ოჯახს და ასეც მოიქცეოდა, ძალით რომ არ გაეყვანათ. იმსახურებდნენ კიდეც ამოხოცვას. ფაუნიაც კარგად ხვდებოდა, რომ ბავშვების წაყვანით სასიკვდილო განაჩენს აწერდა ხელს, არა მხოლოდ თავისთვის, არამედ ბავშვებისთვისაც. ლესთერი ხომ მამა იყო ბავშვების, ჰოდა, მათი გაზრდის უფლება მის გარდა არავის ჰქონდა. თუკი თავად ვერ მიხედავდა, მაშინ ჯობდა, სამარეში გაესტუმრებინა ისინი. რა უფლება ჰქონდა მაგ ძუკნას, ბავშვები რომ მიჰყავდა. წაიყვანა და მერე თვითონვე დახოცა. ვიეტნამში ჩადენილისთვის გადაეხადა სამაგიერო. თუკი რეაბილიტაციისას ეს ფიქრი აეკვიატა, არ ნიშნავს, რომ მართლაც სამაგიერო ეხდებოდა, მაგრამ ირგვლივ ყველა ამავეს

იმეორებდა. ოჰ, როგორ დატოვა მაშინ ის ნაბიჭვარი კაცი ცოცხალი, დღემდე ვერ გაუგია. ჯერ კვამლის სუნი იყნოსა. ბუჩქებში იჯდა და იმ პიკაპს უთვალთვალებდა, რომელშიც ის და მისი ცოლი ერთობოდნენ. მოკლედ, მიუახლოვდა ბუნგალოს ტიპის გარაჟს და დაინახა, როგორ გამოდიოდა მისი ცოლი სახლიდან (იქ ჰქონდა საცხოვრებელი ნაქირავები), მერე პიკაპისკენ წავიდა და ჩაჯდა. არც მთვარიანი ღამე იყო, არც ლამპიონები ენთო, მაგრამ ლესი კარგად მიხვდა, რაც ხდებოდა შიგნით. მერე ისევ ეს კვამლი. ვიეტნამში სწორედ იმან იხსნა სიკვდილისგან, რომ სხვაზე ადრე იყნოსავდა ხოლმე ნებისმიერ სუნს, ნებისმიერ ხმაურს იჭერდა, უმცირეს მოძრაობასაც კი არჩევდა – ჯუნგლში ისე იკვლევდა გზას, თითქოს იქაური ყოფილიყოს. ამჯერად ბოლი სულ არ ყოფილა, არც ალი ჩანდა სადმე, უბრალოდ, ნამწვის სუნი მოდიოდა. ლესთერმა ფეხი ააჩქარა. მათ დაინახეს ფარლი და იფიქრეს, ბავშვების წასართმევად მოვიდაო. ჯერ არ იცოდნენ, რომ სახლი იწვოდა. გაიფიქრეს, სულ გადარეულაო. ლესს კი კარგად ნაცნობი სუნი მოსდიოდა და მაშინვე მეორე სართულისკენ აიღო გეზი, სადაც ბავშვებს ეძინათ. კარგად იცოდა, რომ ამ დროს მისი ნაბოზარი ცოლი იმ დურგლის ჯიპში იჯდა და პირში იღებდა, ასე რომ, ბომბიც რომ აფეთქებულიყო, ადგილიდან არ დაიძვრებოდა. ლესმა მათ ჩაურბინა. ვეღარ აცნობიერებს, სად არის, მხოლოდ ერთი მიზანი აქვს, სახლში შეაღწიოს და კიბეზე ავიდეს, ამიტომ გვერდითა კარს უახლოვდება, შიგნით იჭრება და უკვე კიბიდან არჩევს მწოლიარე, მოკაკვულ ბავშვებს, რომლებიც გაჭირვებით სუნთქავენ. ორივეს სტაცებს ხელს და გარეთ გამოჰყავს. ბავშვები ერთად იწვნენ კიბესთან, მან კი გარეთ გაიყვანა ისინი. დარწმუნებული იყო, ცოცხლები იყვნენ. რას იფიქრებდა, რომ სულს ღაფავდნენ. უბრალოდ, გულგახეთქილები ეგონა. მერე თავი ასწია და ვინ იხილა კარში? ის თესლი დურგალი! იდგა და მისჩერებოდა. აქ კი გამხეცდა. უკვე ანგარიშს აღარაფერს უწევდა. ის ძუკნა კიდევ, იმის მაგივრად, ბავშვებს ან დაუნიავოს, ან ხელი წააშველოს, გონზე მოყვანა სცადოს, აფაფხურდა, მტყვნელი არ მომიკლასო. ის სირის დახსნას ლამობდა, ბავშვებს კი ზედაც არ უყურებდა. არადა, გადარჩებოდნენ. საკუთარმა დედამ კი მთლად მოუღო ბოლო. იმიტომ, რომ ეკიდა შვილები. სულ ასე იყო. არადა, როცა ლესთერმა ისინი გარეთ გამოიყვანა და დააწვინა, ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ, სულ თბილები. ლესზე უკეთ ვინ გაარჩევდა ცოცხალ-მკვდარს? ორჯერ იმსახურა

ვიეტნამში და გარჩევაც კარგად ისწავლა. არ იყვნენ მკვდრები, არა! იმ სირს კი იქვე გამოუყვანდა წირვას, ძაღლობა რომ არ მისულიყო და ხელები არ გადაეგრიხა. ძუკნამ ყლის გამო შვილები გაწირა და ვინ დააკავეს? ღმერთო, ერთხელ მაინც რომ მოუსმინოს ვინმემ ადამიანს, ხომ შეიძლება? იმ ძუკნამ შვილებს არც კი მიაქცია ყურადღება! ან როდის აქცევდა! ჯუნგლებში ერთხელ წინათგრძნობა დაეუფლა, რომ მახეში იტყუებდნენ. ვერ ხსნიდა, მაგრამ გუმანით გრძნობდა, რომ წინ ალყა ელოდათ, არავინ დაუჯერა, თუმცა მართალი გამოდგა. ახალდანიშნულმა ასმეთაურმა არ დაუჯერა და დედაც ეტირა ცოტა ხანში. მთელი რაზმი დაიბუგა. ვიღაც ქლიავის გამო ორი უახლოესი ძმაკაცი დაკარგა. არავინ ენდო, ელემენტარული ნდობა არავინ გამოუცხადა! არადა, თვითონ ხომ ცოცხალი და საღ-სალამათი დაბრუნდა იქიდან, ხელ-ფეხიანად, ყვერებიანად, ეს მაინც ღირდა რამედ? მისი ნაბოზარი კი ვერ იქნა და ვერ მოარჯულა, არც ქმარი უნდოდა და არც შვილები მისგან. ყველაფერი ერთ ადგილზე ეკიდა. ერთ გამოყლეევებულ ვეტერანად მიიჩნევდა ქმარს, ძაღლადაც არ აგდებდა. არადა, თვითონ რაღაც მაინც გაეგებოდა, იმ წაკლას კი არაფერი! მაგრამ მაინც მას დაავლეს ხელი და არა მის უტვინო ძალად ცოლს? მერე რაღაც სირული დაკითხვები დაუწყეს და ისევ გაკოჭეს – რამდენ ხანს იყო ნორთჰემფთონის ვეტერანთა საავადმყოფოში, აღარ ახსოვს. განა რას აკეთებდა იმისთანას. რაც ასწავლეს, იმას – დაინახა მტერი და უნდა აეორთქლებინა. მთელი წელი ამას გასწავლიან, მერე მთელი წელი თავად ხდები სამიზნე, ბოლოს კი, როცა საქმე საქმეზე მიდგება და ნასწავლი უნდა გამოიყენო, ხელ-ფეხს გიკოჭავენ და რაღაც წამლებით გჭყეპენ! ესაა ცხოვრება? ლესი თავის საქმეს აკეთებდა, მისი ძუკნა ცოლი კი თავის დურგალთან ჟიმაობდა და ბავშვები სულ ეკიდა. ორივე უნდა გაეთავებინა იქვე. პირველად ის სირი! ეჰ, თავები მაინც წაეცალა, ან რატომ არ იყოჩაღა? ახლა, თუ თავი არ მოგბეზრებია, არ უნდა გაეკარო. ერთი მისი ბებერი ბუღა ჩააგდებინა ხელში და უჩვენებდა სეირს. ისე ამოართმევდა სულს, რომ თვალს არ დაახამხამებდა, მერე ეძებნათ დამნაშავე! თან ჩუმად და უხმაუროდ მოკვლაც კარგად ეხერხებოდა. ხელისუფლებამ ასწავლა. მკვლელად დაახელოვნეს – მადლობა ამერიკის შეერთებულ შტატებს! იქ ხომ თავის საქმეს აკეთებდა. ბრძანებას ასრულებდა. მადლობის მაგივრად კი... ცხრაკლიტულში უკრეს თავი დამაწყნარებელი პერანგით! ერთი ჩეკიც კი არ გამოუწერიათ,

არადა, სულ რაღაც ოც პროცენტზე იტილავა. მთელმა ოჯახმა ამ ჯოჯოხეთში ოცი პროცენტის გამო გაიარა. მუცლით იხოხა ამ ტილიანი პროცენტების გამო. ეს სოცმუშაკები და ფსიქოლოგები კი მოითხოვდნენ: «გვიამბეთ, როგორი იყო საქმის ვითარება? მოკალით ვინმე ვიეტნამში?» ისე ელაპარაკებოდნენ, თითქოს ვიეტნამში არავინ უნდა ჰყოლოდა მოკლული, თითქოს ამ მიზნით არ იყო იქ გაგზავნილი. წვრილთვალებიანები უნდა ეჟლიტა. დააიმედეს, მიდი, გაინავარდეო. მკვლელობასთან ამას ხომ პირდაპირი კავშირი აქვს. წვრილთვალებიანების ჟლეტა! თითქოს ეს კითხვები არ კმაროდა, რომ ვიღაც ყვითელკანიანი ჩინელი ფსიქოლოგი გაეძრო და ახლა იმან დაუწყო მაზალო კითხვების დასმა. არადა, რაც იმ ქვესკნელში იბრძოლა, ერთი ექიმი ვერ ნახა, ინგლისური რომ სცოდნოდა. ნორთჰემფთონის ირგვლივ ხომ სულ ჩინური რესტორნები, ვიეტნამური სასადილოები და კორეული ბაზრებია. ყველაფერი იმათია და მისი? მისი რაღაა? ვიეტნამელი გინდა თუ სხვა რომელიმე თვალებმოჭუტული, ყველაფერი აწყობილი აქვს, – სასურსათო მაღაზიები აქვთ გახსნილი. ოჯახებს ქმნიან, ბავშვებს ჯეროვან განათლებას აძლევენ. ლესისთანა კაცს კი სამში გრძელი ერგება. და იცით, რატომ? ცოცხალი მისთანა კაცი არავის უნდა. მათი სანუკვარი ოცნებაა, ყველა მეომარი იქიდან ამერიკაში ჩამოასვენონ. ახლა კი ეს ნაბიჭვარი პროფესორი გაეხირა. ნეტავ მაშინ რას შვრებოდა, როცა ხელისუფლებამ იქ უკრა ბიჭებს თავი? ალბათ, დემონსტრანტებთან ერთად იდგა ქუჩაში. კოლეჯებში რისთვის უხდიან, ერთი ვიცოდე, მეცნიერება რომ ასწავლონ ახალგაზრდებს თუ ქუჩებში საპროტესტო აქციებზე გამოსვლებში? აი, სწორედ მაგისთანებმა არ მოგვცეს შანსი. გვიყიჟინებენ, ომი ჩვენ წავაგეთო. არა, ომი ჩვენ კი არა, ხელისუფლებამ, ჩვენმა მთავრობამ წააგო. ეგ სირი პროფესორები კი როცა მოესურვებოდათ, ქუჩებში გამოდიოდნენ და ომის წინააღმდეგ სკანდირებდნენ, ლესსა და მისთანებს კი მადლობას ასე უხდიან. ყელამდე ნეხვშია კაცი მოხვედრილი და ყოველდღე ჩაფლობას ელის. ღამით ძილი აღარა აქვს და დღისით მოსვენება. ოცდაექვსი წელია ნორმალური ძილი ენატრება. ამდენი უბედურების მერეც კი არ ინდობს წაკლა ცოლი და იმ ჰალსტუხიანი პეპლის ხასა ხდება. მისნაირი პეპლები რაღაც ვიეტნამში არავის შეუნიშნავს. სად ეცალათ – დისერტაცია ექნებოდათ დასაცავი. ებრაელი ნაბიჭვარი! ურია! მაგრამ რაღაც მთლად კარგი არ უნდა იყოს

მაგ ურიის თავს. უცნაურად გამოიყურება. ძუკნაც ახლავს ნეტავ? ღმერთო დიდებულო! რა გულისამრევი ყოფილა! ეს ძუკნა საერთოდ როგორ უწვება? არაფრის გაგებაში არ არის, როგორი ჩლუნგიც იყო, ისეთივე დარჩა. ერთი მძიმე დღე მაინც გადაუტანია ცხოვრებაში? მას ხომ არც მისთვის, არც ბავშვებისთვის ცხოვრებაში თითიც არ დაუკარებია. «ოჰ, მამაჩემი ჩემზე ძალადობდა», – სულ ამას ეწუწუნებოდა ქმარს. ხელებსაც კი იგრძელებდა, თურმე. ახია, რომ არ იხმარა. შვილები მაინც ცოცხლები მეყოლებოდა. ორი კაკალი შვილი თვალწინ ამოეხოცა და არაფერი აღელვებს, – გულში გასჭვალა ლესთერს. მასაც სხვა კაცებივით კარგი ოჯახი ეყოლებოდა, ლამაზი მანქანები... ამის მაგივრად კი კაცი ვეტერანთა საავადმყოფოს ერთ აქოთებულ საკან-პალატაში დაამწყვდიეს. «თორაზინი» – აი, რით გადაუხადეს მადლობა. «თორაზინით» მოიმადლიერეს. ისევ ის დრო გაახსენდა, ვიეტნამში რომ იბრძოდა.

* * *

აი, სწორედ ეს ლესთერ ფარლი იყო, ბუჩქებიდან ღრიალით რომ გამოვარდა და ქოულმენის სამზარეულოსკენ გაიქცა, რომლის ბადიანი კარის იქითაც ფაუნია და თავად ქოულმენი იდგნენ. ღრიალით გამოიჭრა სახლის გვერდით ამოსული ხშირი ბუჩქებიდან. სწორედ ეს ადგილები ჰქონდა არჩეული, დღისით თუ ღამით აქ იმალებოდა და უთვალთვალებდა ყოფილ ცოლსა და მის ახლანდელ საყვარელს, აინტერესებდა, თავისი თვალით ეხილა, კონკრეტულად, სად და როგორ აკეთებდნენ თავიანთ საქმეს. იმავე საქმეს არ აკეთებდა ის ძუკნა, როდესაც შვილები ეგუდებოდა კვამლში?! ამჯერად ბებერი ბუღა ჰყოლია ამორჩეული. ყოფილ ქმარზე უფროსიც კი! თავისი უფროსიც კი არ არის, ჰოლენბექივით, ამერიკელი მაინც იყოს ეგ სირი! ჰოლენბექი კაცად მაინც ვარგოდა, ფაუნიას მარკაც კი ეწეოდა მასთან ჟიმაობით. უყურეთ რა, ეგ ძუკნა იქამდე მისულა, რომ ნებისმიერს უწვება. ახლა მაგ ბებერ ურიასაც ქვეშ გაგებია, ძვალტყავა ჭაღარას, ყვითელი სახე რომ გაბადვრია სიხარულისგან და თავზე უსვამს აცახცახებულ ხელებს. სხვა ვინ მოუწუწნის ბებერ ებრაელს, თუ არა მისი ცოლი? სხვა ვინ? იქამდე მივიდა ეგ ბინძური წაკლა, რომ ბებერი ებრაელის

გაწყალებულ თესლს ისხამს ნაბოზარ პირში, როული და ლესუმცროსი ფარლები კი ისევ მკვდრები არიან.

სამაგიერო! დაუსრულებელი სამაგიერო!

ვიეტნამშიც ასე იყო. მებრძოლი რომ მიფრინავს და თანდათან მხეცდება. მოულოდნელად გააფთრდა, იმან უფრო გაამწარა, მისი ყოფილი ცოლი ბებერი ებრაელისგან რომ იღებდა პირში, ვიდრე დაღუპული შვილების გახსენებამ, ღრიალით მოსწყდა ადგილს, გაფრინდა, პროფესორიც ყვირილით დაუხვდა, საბურისს წამოავლო ხელი. ფარლი კი შეიარაღებული არ იყო, პირდაპირ სახანძრო სწავლებებიდან იყო მისული, თორემ სარდაფში, გაგიხარიათ, იმხელა არსენალი ჰქონდა, ორივეს იმ წუთშივე გააფრთხობინებდა სულს. როგორ მოხდა, რომ ბებერ ურიას საბურისი არ გამოსტაცა ხელიდან და იქვე არ ჩააქცია ცემით, ამას, ალბათ, ვეღარასოდეს გაიგებს. აი, ნამდვილი ფუფუნება კი იქნებოდა, საბურისით გაეჩეჩქვა თავი ამ აფრახებულისთვის.

– დააგდე ძირს, თორემ მაგ საბურისით გაგიხეთქავ თავს! ძირსმეთქი! – შეუღრინა ლესმა და ებრაელმაც ძირს დაუშვა მომარჯვებული საბურისი. მისდა საბედნიეროდ.

იმავე საღამოს შინ დაბრუნებული (მისთვის სამუდამოდ გაუგებარია, როგორ) ლესთერი დილამდე, როდესაც სახანძრო რაზმიდან მის ხუთ მეგობარს მოუწია მისმა გათოკვამ და ძალით წაყვანამ ნორთჰემფთონში, იწვა და ყველაფერი თავში უტრიალებდა, მომხდარსა და განცდილს ერთიორად განიცდიდა – სიცხე, წვიმა, ჭუჭყი, გიგანტური ჭიანჭველები, შხამიანი ფუტკრები აქვე, სამზარეულოს იატაკზე, ლინოლეუმზე აწვალებდა, მერე კუჭი აეშალა და თავი ასტკივდა. სახლში არც საჭმელი ჰქონდა და არც სასმელი; ფიქრობდა, ეს კი ნაღდად უკანასკნელი ღამეა ჩემს ცხოვრებაშიო. მერე დაღუპული მეგობრები მოაგონდა: ფოსთერი სატყუარა ნაღმმა დაფლითა, ქუილენი დაიხრჩო, თავად კი გაჭირვებით გამოცურა ნაპირზე, აფაფხურდა, აქეთიქით მიაწყდა, ყველა მხარეს ყუმბარებს ისროდა და ხმაჩახლეჩილი გაჰყვიროდა: «არ მინდა სიკვდილი!», ავიაციას კი ეშლება და მასვე ესვრის, რამდენიმე თავისიანსაც იწირავს, დრეიგომ ცხვირი და ხელ-ფეხი დაკარგა, ქონთირის ხორცი კი ლესს ხელებზე მიეკრა... ვერტმფრენიდან უარი გამოუცხადეს აყვანაზე, სადაც თქვენ ხართ, ორმხრივი სროლაა და აპარატს

ვერ დავსვამთო, ამის გაგონებაზე სიკვდილს ჩახედა თვალებში და ისე გამწარდა, რომ საკუთარი ვერტმფრენის ჩამოგდება მოუნდა – ყველაზე არაადამიანური ღამე რაც კი ჰქონია, მაშინ წარმოუდგა თვალწინ საკუთარ სახლში. ეს ღამე ყველაზე გრძელიც იყო, ერთი განძრევა და, ხელ-ფეხი ებორკებოდა, ბიჭები განწირული ხმით ტიროდნენ, ქვეშ ისვრიდნენ, ლესი კი ამდენი ტირილის მოსმენას ნაჩვევი არ იყო, ბიჭები კი სახეში მოხვედრილი ტყვიით ან ყუმბარის ნამსხვრევებით იხოცებოდნენ, ქონთირის ხორციც ისევ ხელებზე ჰქონდა მიკრული, დრეიგომ კი ამასობაში სისხლით მორწყო ყველაფერი. ლესი მიცვალებულებს აჯანჯღარებს და გაჰყვირის, სიკვდილი არ მინდაო, მაგრამ სიკვდილი არ უშვებს. ამოსუნთქვის საშუალებასაც არ აძლევს. გაქცევითაც სად გაექცევა. დილამდე ასე ბრძოლა უწერია, მაგრამ წკიპზეა უკვე მისული. შიშისა და ბრაზის ზღვარზეა, პილოტები დაჯდომაზე ისევ უარს უცხადებენ. დრეიგოს სისხლი კი საშინლად აქოთდა მის სახლში. მის სახლში ამ სუნს რა უნდა? ფუ, რა მყრალი სუნი ჰქონია. ყველაფერი დაძაბულია, ყველანი შორს არიან სამშობლოდან და ეს სასოწარკვეთილი სიბრაზე, სიბრაზე, სიბრაზე გვიპყრობს!

ნორთჰემფთონამდე მთელი გზა წუხდა, ბოლოს იმდენად მოაბეზრა თავი ამხანაგებს, რომ პირი დაუმუწეს. ფარლი მთელი ღამე იტანჯებოდა, დილით რომ იღვიძებდა, ჭიაღუით სავსე ვიღაცის საფლავში ეგონა თავი. «მორჩა! მეტი აღარ მინდა! გევედრებიიიით!» ამ აუტანელი ყვირილის გამო მოუწიათ, იძულებით გაეჩუმებინათ.

ვეტერანთა საავადმყოფოში, სადაც სულ ძალისძალად აწვენდნენ და საიდანაც არაერთხელ გაქცეულა, სახელმწიფოსთან მაინც ვერაფერს გახდა, ან რას გახდებოდა, საავადმყოფოც სახელმწიფო იყო. მოკლედ, ჩაკეტეს პალატაში, საწოლზე მიაბეს, რეჰიდრატაცია, სტაბილიზაცია და დეტოქსიკაცია ჩაუტარეს, მთელი ალკოჰოლი გამოუდევნეს ორგანიზმიდან, ღვიძლისთვის მისცეს რაღაც, მერე საათნახევრიან ჯგუფურ თერაპიაზე ყოველ დილა ჰყვებოდა როულისა და ლეს-უმცროსის დაღუპვის ამბავს. ყოველდღე იხსენებდა მათ სახეებს, სანამ საბოლოოდ არ დარწმუნდა, რომ მართლაც დაღუპოდნენ შვილები.

– გავქვავდი! – ამბობდა ლესი, – დავმუნჯდი, ენა ჩამივარდა.

გრძნობა აღარ შემრჩა. ღვიძლი შვილები ხელიდან გამომეცალა და მე კი ახლა ღელვის თავიც აღარ მაქვს. ბიჭს თვალები გადაუტრიალდა, პულსი აღარ ესინჯებოდა. გული აღარ უცემდა, ვეღარ სუნთქავდა. ჩემი პატარა ბიჭი, ჩემი ლესი. ერთადერთი ვაჟი მყავდა, მეტი მაინც აღარ მეღირსება. ვეღარაფერი ვიგრძენი, თითქოს სხვისი შვილი ყოფილიყო. როულიზე ამავეს ვამბობ. სხვისა მეგონა ჩემი კუდრაჭა. დედამოტყნულმა ვიეტნამმა დამმართა ეს უბედურება. ამდენი წელია ომი დასრულდა და თავს მაინც არ მანებებს. შეგრძნებები ამერია ერთიმეორეში. არაფერი მომხდარა და თავში თითქოს კეტი მირტყესო, ისე დავრეტიანდი. შვილები დამეგუდა და არც ტვინი მიგრძნობს რამეს და არც სხეული. ვიეტნამია ყველაფერში დამნაშავე. ერთხელაც ვერ დავიტირე შვილები. ბიჭი ხუთისა მყავდა, გოგო – რვისა, – ლესი თავის თავს ეკითხებოდა, რატომ ვერაფერს ვგრძნობო, რატომ ვერ გადავარჩინეო? გადამეხადა! მომეზღოო! სულ ვიეტნამზე ფიქრობდა, ახსენდებოდა, როგორ ეგონა, ჩამაძაღლესო. ძლივს მიხვდა, რომ ვერ ჩააძაღლებდნენ, რადგან ისედაც გვამი იყო უკვე, მოსიარულე გვამი! ვიეტნამმა მოუღო ბოლო!

პაციენტები სულ ვიეტნამის ვეტერანები იყვნენ, თუ ორიოდე ცინგლიანს არ ჩავთვლით, სპარსეთის ყურეში ნაომართ, რომელთაც თვალებში ქვიშა ჰქონდათ შეყრილი ოთხდღიანი სახმელეთო ოპერაციის დროს. ასსაათიანი ომის დროს. მეტი რა საქმე ჰქონდათ, უდაბნოში უნდა მსხდარიყვნენ და ეცადათ. ვიეტნამში ნაომარმა ბიჭებმა კი ომში თუ ომის მერე იმისთანა გადაიტანეს, რომ ენით ვერ აღწერ – განქორწინებები, ლოთობა, ნარკოტიკები, დამნაშავეობა, პოლიცია, ციხე, ცრემლნარევი გამომფიტავი დეპრესია, ყმუილის სურვილი (ისედაც დაყმუვლებული იყვნენ), სურვილი, რომ ნაკუწებად ექციათ რამე, ხელების კანკალი, მთელი სხეულის ცახცახი, გაქვავებული სახე, თხემით ტერფამდე ოფლში ცურვა, ლაპლაპა ფოლადის ჰაერში დანახვით გამოწვეული ღელვა, ხელ-ფეხის წაგლეჯა, ტყვეთა ჟლეტა, ოჯახების დაცხრილვა – აკვანში მწოლიარე იქნებოდა თუ ჯოხით მოსიარულე – უსმენდნენ ნაომრები და თავს უქნევდნენ როულისა და ლესის გაგუდვის ამბავს, თუმცა ლესი-უფროსი ხვდებოდა, რომ მათ სატკივარს ვეღარ იზიარებდა, რადგან გრძნობები და შეგრძნებები ჰქონდა ატროფირებული, მაგრამ მაინც ეუბნებოდნენ ეს მართლაც სერიოზულად დაშავებული ბიჭები

(თუკი საკუთარი უბედურების გარდა, ქუჩებში ხეტიალისა და ასაწყვეტად მუდმივი მზადყოფნის გარდა სხვა რამეზეც მიეცემოდათ ხმის ამოღების საშუალება და ზეცას არ შეჰყვიროდნენ «რატომ?». იშვიათად სხვათა ჭირ-ვარამსაც ახსენებდნენ, სხვის უბედურებასაც ისმენდნენ, ვისაც მათნაირად აკლდა დამსახურებული პატივისცემა და სიკვდილს ელოდა), დაივიწყე ყველაფერი და შენი ცხოვრებით იცხოვრეო.

საკუთარი ცხოვრებით ცხოვრება. კარგად იცოდა, რა ნეხვიც იყო მისი ცხოვრება, მაგრამ უკეთესიც ვერსად ეპოვა. მაშ, ჩემი ცხოვრებით ვიცხოვრო, არა? კარგი, იყოს ასე!

ამ განზრახვით აგვისტოს მეორე ნახევარში გამოეწერა საავადმყოფოდან. ურთიერთდახმარების ჯგუფისა და ხელჯოხით მოსიარულე ჯიმი ბორეროს დახმარებით სანახევროდ მაინც მიაღწია წარმატებას. ძნელი იყო, მაგრამ ჯიმის დახმარებით მეტ-ნაკლებად გაართვა თავი, სამიოდე თვე წვეთს არ მიჰკარებია, ნოემბრამდე არ გაუსინჯავს სასმელი. მაგრამ მერე – ოღონდ არა იმის გამო, რომ ვინმემ რამე აკადრა, ან ტელევიზორში მოჰკრა რამეს თვალი ან მოახლოებული მადლიერების დღის ოჯახის გარეშე პერსპექტივის გამოისობით, არამედ იმის გამო, რომ ფარლის სხვა გზა აღარ ჰქონდა დარჩენილი, მოძალებულ წარსულს ვეღარ გაუმკლავდა, რომელიც დიდ გამოძახილს პოულობდა მის სულში და თან უკან კი არა, წინ ედგა ეს წარსული, თვალწინ ედგა და თვალს სჭრიდა...

ისევ დაუბრუნდა და მისი ცხოვრება მოიცვა.

2. მუშტის აცდენა

ქოულმენი მეორე დღესვე «ათინაში» წავიდა, რათა ადვოკატი ფრაიმუსი ენახა და ეკითხა, როგორ ავიცილო თავიდან ჩემს ტერიტორიაზე ფარლის მოსალოდნელი შემოჭრაო, მან კი ის პასუხი გასცა, რისი მოსმენაც ყველაზე ნაკლებად სურდა, – ფაუნიასთან სასიყვარულო კავშირი უნდა გაწყვიტოო, ურჩია ვექილმა.

პირველად რჩევის საკითხავად ფრაიმუსს «მოჩვენებების»

ამბის დასაწყისში მიმართა ქოულმენმა, მანაც საკმაოდ გონივრული რჩევა მისცა, თან ახალგაზრდა, თავდაჯერებული იურისტის პირდაპირობამ საკუთარი თავი გაახსენა მის ასაკში, გარდა ამისა, ფრაიმუსი სენტიმენტალური წვრილმანების მიმართ ანტიპათიის დამალვას არც ცდილობდა ქალაქელი ადვოკატების მსგავსად სახელოვანი და დიდსულოვანი ტიპის ნიღბით, იქნებ სწორედ ამიტომაც უჩვენა ქოულმენმა დელფინა რუს წერილი.

ოცდაათს ოდნავ აცილებულ ფრაიმუსს ცოლად ახალგაზრდა, ფილოსოფიის სამეცნიერო ხარისხის მქონე პროფესორი ჰყავდა, რომელიც ქოულმენმა ოთხი წლის წინ აიყვანა კოლეჯში სამუშაოდ. წყვილს ორი პატარა ბავშვი ჰყავდა. ათინაში, ტიპურ ახალინგლისურ საუნივერსიტეტო დაბაში, სადაც თითქმის ყველა დიპლომიანი სპეციალისტი კოლეჯში ლამის სპორტულად ჩაცმული დადის, ეს დახვეწილი, სიმპათიური ახალგაზრდა მამაკაცი – კუნაპეტივით შავი თმით, ათლეტური აღნაგობის, მაღალ-მაღალი და მოხდენილი, – დილით თავის კანტორაში უზადოდ გაპიწკინებული შავი კოსტიუმით, მონოგრამიანი, თეთრი, გახამებული პერანგითა და გაპრიალებული ფეხსაცმლით გამოცხადდა. ასეთი ჩაცმულობა არა მხოლოდ მის თავდაჯერებულობაზე მიანიშნებდა, არამედ ყოველგვარი აშვებულობისა და ფეთხუმობისადმი ზიზღზეც. ნელსონ ფრაიმუსის მიზანი ბევრად მეტი გახლდათ, ვიდრე მაღაზია «თოლბოთსის» თავზე გახსნილი კანტორა მოედნის მეორე მხარეს. რაკი ამ კოლეჯში მისი მეუღლე კითხულობდა ლექციებს, ე. ი. თვითონაც იქვე უნდა ყოფილიყო, ცოტა ხნით მაინც. მანჟეტებიან პერანგსა და შავ კოსტიუმში გამოწყობილი ნამდვილი ჯიქი იყო, ჯიქი, რომელიც მუდამ მზად არის ნახტომისთვის.

– ეჭვიც კი არ მეპარება, რომ ფარლი ფსიქოპათია, – ფრაიმუსმა სტაკატოთი გამოზომა თითოეული სიტყვა და ქოულმენს თვალი თვალში გაუყარა, – მე რომ მითვალთვალებდეს, ნამდვილად მექნებოდა ღელვის მიზეზი. თუმცა, სანამ მის ყოფილ ცოლთან რომანს გააბამდით, ხომ არ გზვერავდათ მანამდე? ცხადია, არა! თქვენი არსებობაც კი არ იცოდა. აი, დელფინა რუს წერილი სულ სხვა საქმეა. მომთხოვეთ, მისწერეო და ჩემი სურვილისდა მიუხედავად, მიმაწერინეთ; გრაფოლოგი დაგჭირდათ და ჩემი სურვილისდა მიუხედავად, მოგინახეთ; გსურდათ, რომ მისი დასკვნა დელფინას

ადვოკატისთვის გამეგზავნა და ესეც სურვილისდა მიუხედავად, გამაგზავნინეთ; მიმაჩნდა, რომ ჭიქაში ატეხილი ქარიშხალი სერიოზულად არ უნდა მიგეღოთ, მაგრამ მაინც თქვენს სურვილს ვასრულებდი. მაგრამ ლესთერ ფარლი ჭიქაში ატეხილი ქარიშხალი არ გეგონოთ. დელფინა რუ ვერც შეედრება როგორც ფსიქიკურად გაუწონასწორებელი და როგორც მოწინააღმდეგე. ფარლის სამყაროს ფაუნია ძლივს გადაურჩა და თქვენთან ყოველი სტუმრობისას ეს სამყარო თან მოაქვს და თქვენც შიგ გხვევთ. ლესთერ ფარლი, თუ სწორად მახსოვს, საგზაო ბრიგადაში მუშაობს, ხომ? ჰოდა, საკმარისია სასამართლოს რაიმე თუნდ იოტისოდენა აკრძალვა დავაწესებინოთ მისთვის, რომ ეს თქვენი საიდუმლო მთელ ამ დაბას მოედება. ათინა თუ ამაზე ალაპარაკდა, მტრისას! ისეთ კუპრში ამოგავლებენ, რომ «მოჩვენებების» ირგვლივ ატეხილი კონფლიქტი სანატრელი გაგიხდებათ. მახსოვს, ჩვენი ყოველკვირეული ორგანო როგორ ფაქიზად მოეკიდა თქვენს გაკენწვლას და მთავარ გვერდზე დაწერა, არ გვესმის, ან ამ ბრალდებაში რა იყო აბსურდული, ან პროფესორის გადადგომას რა აზრი ჰქონდაო. «რასიზმის საქმეში გასვრილი ყოფილი დეკანი კოლეჯს ტოვებს». თქვენი ფოტოს ქვეშ რა წააწერეს, ისიც მახსოვს: «კლასში გამოთქმულმა შეურაცხმყოფელმა სიტყვამ პროფესორ სილქს გადადგომისკენ უბიძგა». მახსოვს მაშინ, რა დღეშიც ჩავარდით, ვხედავ, ახლა რა დღეშიც ხართ და წარმომიდგენია, რა დღეში აღმოჩნდებით, მთელი დაბა რომ ალაპარაკდეს რასიზმში ბრალდებული, ყბადაღებული პროფესორის სექსუალურ თავგადასავლებზე. იმის თქმა სულაც არ მინდა, რომ თქვენი საწოლის ამბები თქვენ გარდა კიდევ ვინმეს ეხება. სხვის თეთრეულში ხელების ფათური ცუდი საქციელია. კარზე ოთხმოცდათვრამეტი წელი მოგვდგომია. ჯენის ჯოპლინმა და ნორმან ო. ბრაუნმა უკვე დიდი ხანია ყველაფერი უკეთესობისკენ შეცვალეს. მაგრამ აქ, ბერქშირში, გინდ უბრალო ადამიანი აიღეთ და გინდ პროფესორი, თითქმის ყველა ხისტად იცავს თავის ძველმოდურ შეხედულებებს და არასდიდებით არ სურს რაღაც-რაღაცების გადაფასება, რადგან ამით სექსუალური რევოლუციისთვის მოუწევს გზის დათმობა. აქ ბევრი ჩლუნგი, რეტროგრადი მორწმუნეა, რომელსაც სხვისი, ან უფრო ზუსტად, თქვენნაირი უზნეო ადამიანის გაკიცხვა პურად უღირს. ისეთ ალში გაგხვევენ, თუ მოინდომეს, რომ «ვიაგრასაც» კი გადააჭარბებენ.

რა გამჭრიახია – «ვიაგრის» შესახებ როგორღა მიხვდა. მოკლედ, ქოულმენი გამოაჭენა, მაგრამ ადრე ხომ გამოადგა, ასე რომ, ჯობია, ახლაც მოითმინოს ეს ქედმაღლური ტონი და არ მოაკეტვინოს. მის ჯავშანს ერთი თანამგრძნობი ნაჩვრეტიც კი არ მოეპოვება... იქნებ ასეც სჯობდეს. რჩევაზე ხომ თვითონ მიაკითხა, ჰოდა, ისმინოს ახლა ბოლომდე. მერე ვეღარ იწუწუნებს, გაფრთხილებული არ ვიყავიო.

– ცხადია, რაიმე შემაკავებელი ბრძანების მოხერხება შემიძლია, – განაგრძო ფრაიმუსმა, – მაგრამ შეაკავებს კი რამე? მგონი, უფრო მეტად გამძვინვარდება. გრაფოლოგი ხომ გაგიხერხეთ, შემაკავებელ ორდერსაც მოგიკვარახჭინებთ, დამატებით, ტყვიაგაუმტარ ჟილეტსაც გიშოვით. მაგრამ იმას ნამდვილად ვერ დაგპირდებით, რისი მიღწევაც შეუძლებელია ამ ქალთან ერთად – ცხოვრებას სკანდალების გარეშე, თავდასხმების გარეშე, ფარლის გარეშე. ვერც სულიერ სიმშვიდეს დაიბრუნებთ, სანამ ვიღაცის თვალთვალს იგრძნობთ. სანამ ისე გიყურებენ, როგორც კარიკატურას და უსამართლოდ განგსჯიან, სულს ვერ დაიმშვიდებთ. ჰო, მართლა, აივ-ზე შემოწმებული გყავთ? ფაუნიას ვგულისხმობ, რა იცით, რა სჭირს, პრეზერვატივს მაინც თუ იყენებთ?

რაოდენ გამოსულ კაცადაც უნდა მიეჩნია თავი, სექსსა და ბერიკაცს ერთიმეორეს ვერაფრით უთავსებდა. სრულ ანომალიად ეჩვენებოდა ეს ყველაფერი. აბა, ოცდათორმეტი წლის რომელ ახალგაზრდას მოუვა თავში აზრად, რომ სამოცდათერთმეტი წლის ასაკშიც სექსი არაფრით განსხვავდება ახალგაზრდული სიამისგან. ალბათ, გულში ფიქრობს, ეს ბებრუცანა რამ აახუნტრუცა, ბებერს ეგეთი ქალი პრობლემის მეტს რას შეუქმნისო. ოცდათორმეტისა რომ ვიყავი, ალბათ, ვერც მე გავიგებდიო, გაიფიქრა ქოულმენმა. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ყმაწვილი ისეთი თავდაჯერებული ავტორიტეტულობით წარმოთქვამდა სიტყვებს, თითქოს ორმოცის ან ორმოცდაათი წლის გონებადამჯდარი კაცი ყოფილიყო, რომელმაც ამ ცხოვრების ქიციც იცის და ქიცმაცურიც. განა რა გამოუცდია ამისთანა ცხოვრებაში, რომ ორჯერ უფროს კაცს ჭკუას ასწავლის? ალბათ, არც არაფერი ექნება გამოცდილი, ან დიდი-დიდი, წვრილმანი რამ ჰქონდეს გადატანილი.

– ქოულმენ, თუკი თქვენ არაფერს იყენებთ, – იმავე ტონით

განაგრძო ადვოკატმა, – ის მაინც თუ იცავს რამით თავს? თუკი გეუბნებათ, ვიცავო, ხართ ამაში დარწმუნებული? ხანდახან ცხოვრებისგან მიწასთან გასწორებულ დამლაგებელ ქალებსაც შეუძლიათ სიმართლის დამალვა და თავის სასარგებლოდ სიცრუე. ეგ თქვენი ფაუნია ფარლი რომ უცებ დაფეხმძიმდეს, მერე სად მიდიხართ? მისი ფიქრიც იმავე გზით შეიძლება წავიდეს, რა გზითაც ყველა იმ ქალისა, ვინც დაუკანონებელი კავშირის შედეგად მას მერე ფეხმძიმდებიან სინდისის უქენჯნელად, რაც ჯიმ მორისონმა და ჯგუფმა «დორსმა» ამგვარი კავშირების პირმშოებს სირცხვილის ლაქა მოაშორეს. რაც უნდა საპირისპირო მიმტკიცოთ, ვერაფრით დამარწმუნებთ, რომ ფაუნიას თეორიულად მაინც არ შეიძლება სახელოვანი პროფესორისგან შვილის გაჩენის სურვილი გაუჩნდეს. ქალს, რომელმაც შვილები ხელმოცარულ გიჟს გაუჩინა, თქვენისთანა კანდიდატურა ახდენილ ოცნებადაც მოეჩვენება. და თუკი ამ ყველაფრის შემდეგ შავი სამუშაო მოჰბეზრდება, ან უკეთ რომ ვთქვათ, შეწყვეტს მუშაობას, ჰუმანური სასამართლო უყოყმანოდ დაგავალდებულებთ არა მარტო მისი ბავშვის, ანუ თქვენი ბავშვის, არამედ მარტოხელა დედის რჩენასაც. მე, რასაკვირველია, მზად ვიქნები, სასამართლოზე თქვენი ინტერესები დავიცვა და მოხარულიც დავრჩები, თუკი თქვენი პენსიის ნახევრით შემოიფარგლება ალიმენტის ოდენობა. ყველაფერს ვიზამ, რომ ოთხმოცი წლის ასაკისთვის საბანკო ანგარიშზე პურის ფული მაინც დაგრჩეთ. ქოულმენ, ყური მიგდეთ: საძაგელი ამბავი ტრიალებს თქვენს თავს. ყოველმხრივ საძაგელი! ჰედონიზმში კონსულტანტს იქნებ სხვა რამე ერჩია თქვენთვის, მაგრამ მე იურიდიული მრჩეველი ვარ და არ ძალმიძს, არ გითხრათ, რაოდენ ამაზრზენია მთელი ეს ისტორია. თქვენს ადგილას რომ ვიყო, ქვეყნიერებაზე გულმოსულ ლესთერ ფარლის წინ არ გადავეღობებოდი. პირიქით, ფაუნიას ხელს დავუქნევდი და ამ ორომტრიალიდან უვნებლად გამოსვლას ვიჩქარებდი.

როგორც კი ყველაფერი პირში უთხრა, რაც კი საჭიროდ მიაჩნდა, პრიალაზედაპირიანი მაგიდიდან წამოდგა, რომელზეც განგებ არაფერი ეწყო, არც საქაღალდე, არც რაიმე დოკუმენტი, მხოლოდ ჩარჩოში ჩასმული ფოტოები – ერთზე პროფესორის მეუღლე იყო გამოსახული, მეორეზე – შვილები. მაგიდის ზედაპირი შეუბღალაობის იდეას, სუფთა დაფის იდეას გამოხატავდა და ქოულმენს მიანიშნებდა, რომ გზას ამ

ახალგაზრდა, ზედმეტად სუფთა ადამიანისაკენ ვერავითარი უწესრიგობა, ვერავითარი ხასიათის სისუსტე ან მსჯელობის უკიდურესობა, ქმედებათა იმპულსურობა ან უნებლიე შეცდომის შესაძლებლობა ვერ გადაღობავდა. გალაქული მაგიდის ზედაპირი თითქოს ამტკიცებდა, რომ ვერავითარი ავად თუ კარგად დაფარული ვითარება პროფესიული წარმატების მიღწევასა და ბურჟუაზიულ განვითარებაში ხელს ვერ შეუშლიდა. ნელსონ ფრაიმუსის ცხოვრებაში არასოდეს იქნებიან არც «მოჩვენებები», არც ფაუნია და ლესთერი, არც მარკი და მოღალატე ლიზა. ფრაიმუსს მკაფიოდ ჰქონდა ზღვარი გავლებული და ამ ზღვარზე არავითარ უსუფთაობასა და ბიწიერებას არ გადმოუშვებდა. ნუთუ თავის დროზე ქოულმენმა არ გაავლო ასეთივე ზღვარი? განა ის კი ნაკლებ სიფხიზლეს იჩენდა წესიერი ცხოვრებით და მხოლოდ კანონიერი მიზნებისკენ მისწრაფებით? განა ნაკლებად თავდაჯერებული მიუყვებოდა თავის ურღვევ პრინციპებს? ან ქედმაღლობა აკლდა? ნუთუ ასეთივე სიმტკიცით არ შეუტია ძველ გვარდიას პირველი ასი დღის განმავლობაში, როდესაც რობერთსის მარჯვენა ხელი გახდა? ნუთუ სხვაგვარად აცოფებდა მათ და მერე სხვანაირად უთითებდა კარისკენ? ნუთუ ასევე შეუბრალებლად თავდაჯერებული არ იყო? ასე იყო თუ ისე, ერთმა სიტყვამ იკმარა, რომ ყველაფერი დასრულებულიყო. მართალია, ეს სიტყვა ინგლისურ ენაში არც ყველაზე შეურაცხმყოფელი, არც ყველაზე გამაღიზიანებელ-წამქეზებელი და საშინელი იყო, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა, რომ მხცოვანი პროფესორი საჯაროდ გამოეჭენებინათ, სახალხო გაეხადათ და მისი ავკაცობა განსჯის საგნად ექციათ.

ადვოკატი არ მორიდებია ხანში შესული კლიენტისთვის პირში მიეხალა სათქმელი, თან სარკასტული ტონიც არ დაუფარავს სიტყვებში. გაკრიალებულ მაგიდას შემოუარა და არა მხოლოდ კარამდე მიაცილა ქოულმენი, არამედ კიბეზეც კი ჩაჰყვა და მზიან ქუჩაზე გავიდა. თავისი მეუღლის, ბეთის, გულისათვის ფრაიმუსმა საჭიროდ მიიჩნია, ქოულმენისათვის ხისტად და დაბეჯითებით ეთქვა ყველაფერი, რაც აუცილებლად მიაჩნდა, რარიგ სასტიკადაც უნდა მოსჩვენებოდა მოხუც პროფესორს, ოღონდ კი მისივე აწ უკვე სანახევროდ გამქრალი პრესტიჟი განადგურებისგან ეხსნა. «მოჩვენებებთან» დაკავშირებულმა ისტორიამ, რომელიც მისი მეუღლის უდროო სიკვდილს უძღოდა წინ, იმდენად იმოქმედა დეკან სილქზე, რომ ახლაც

კი, პენსიაზე ნაჩქარევად გასვლიდან მეორე წლისთავზე, როცა საავდრო ღრუბლები თითქმის გაფანტულია, ჯერაც კი არ შესწევს უნარი, შეიგნოს თავისი საქციელი და, როგორც იტყვიან, წინ გაიხედოს. ფრაიმუსს ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს ქოულმენს ის არ ჰყოფნიდა, რაც გადაიტანა, თითქოს ღმერთი ისე განარისხა, რომ ზეციერმა სიჯიუტით დასაჯა, რომლითაც ასე უდრეკად მიიწევდა წინ და კიდევ უფრო ღრმად ითხრიდა სამარეს. ოდესღაც თავის ვიწრო წრეში ავტორიტეტითაც კი სარგებლობდა, მაგრამ დღესდღეობით თავს არა მარტო დელფინა რუსა და ლესთერ ფარლისთანებისგან ვეღარ იცავდა, არამედ ელემენტარულ ცდუნებასაც ვერ უმკლავდებოდა და ამით თითქოს დაკარგული მხურვალე მამაკაცურობის კომპენსირებას ახდენდა. ქოულმენის რეაქციით ფრაიმუსი მიხვდა, რომ «ვიაგრას» ხსენებით გაარტყა. კიდევ ერთი ხიფათის წინაშე მდგარაო, – გაიფიქრა ქიმიურ საშუალებაზე ვექილმა, – კრეკის მოწევაც კი, ალბათ, ნაკლებ ზიანს მოუტანდაო.

ქუჩაში ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

– ქოულმენ, – მიმართა ფრაიმუსმა, რომელმაც დილითვე უთხრა თავის ცოლს, დღეს ქოულმენ სილქს ველოდებიო, მან კი პროფესორის პენსიაზე გასვლის გამო მწუხარება გამოხატა და უთხრა, ნეტავ იცოდე, როგორ მეზიზღება დელფინა რუ, «მოჩვენებების» საქმეში ასე ცუდად რომ ჩაერიაო, – ფაუნია ფარლი თქვენი წრის ქალი არ არის. წუხელ მისი ჭეშმარიტი სამყარო იხილეთ, ანუ ის სამყარო, რომელმაც ასეთად ჩამოაყალიბა და გათელა და რომელსაც, თქვენთვის კარგად ნაცნობ მიზეზთა გამო, ვერასოდეს დააღწევს თავს. შესაძლოა, წუხანდელ ინციდენტზე ბევრად უარესიც მოხდეს. თქვენ უკვე იმ სამყაროში როდი იბრძვით, სადაც თანამდებობიდან მოგხსნეს, რათა რომელიმე თავისიანი დაენიშნათ. თქვენ ეგალიტურ[10] ელიტას კი არ ებრძვით, რომლებიც მაღალ იდეალებზე საუბრით ნიღბავენ თავიანთ ამბიციებს. თქვენ იმ სამყაროში აღმოჩნდით ბრძოლის ველზე, სადაც ბოროტება და ზიზღი სიტყვიერი რიტორიკის მიღმა არ იმალება. ამ ხალხის უმთავრესი ცხოვრებისეული გრძნობა ერთი რამეა – ისინი თავს ნახმარებად და მიგდებულებად გრძნობენ. რაც თქვენ მაგ თქვენი კოლეჯის წყალობით იწვნიეთ და რასაც გაუძელით, ისინი ყოველდღიურად, ყოველწუთიერად უძლებენ, თან ბევრად უარესს...

ქოულმენს გამოხედვაში ემჩნეოდა, რომ ფრაიმუსის ლაპარაკი ყელში ამოუვიდა. ადვოკატიც მიხვდა, რომ უნდა გაჩუმებულიყო. პენსიაზე გასული პროფესორი ისედაც საკმაო ხანს უსმენდა ხმაამოუღებლად, თავშეკავებით, ორმოცი წლით უმცროს კაცს, რომელიც აშკარა კმაყოფილებით უხსნიდა წესიერი ცხოვრების წესებს. ქოულმენი ცდილობდა, ბრალი დაემალა და გულში ფიქრობდა: «თავი რომ კარგად იგრძნონ, უეჭველად ჩემზე უნდა მოიტანონ იერიში. ამით თავისუფლდებიან». მაგრამ უკვე ქუჩაში გამოსვლისას სიტყვებისა და აზრების გარჩევა უჭირდა, ის უკვე საკუთარ პატივაყრილ მდგომარეობას აიგივებდა ოდესღაც პატივცემულ იმიჯთან. ფრაიმუსი კი სულ არ იყო ვალდებული, კლიენტთან საუბრისას სატირული ტონი ჰქონოდა. თუკი როგორც ადვოკატს დამაჯერებელი რჩევის მიცემა სურდა, პირიქით, ირონიის გაცილებით ნაკლები დოზა უფრო წაადგებოდა საქმეს. «მაგრამ ფრაიმუსს, ეტყობა, – გაიფიქრა ქოულმენმა, – თავში აქვს ავარდნილი საკუთარი იმიჯი, მხოლოდ წარმატებებისა და წინსვლის იმედი აქვს და ბებრუხანა იდიოტს დამცინავადაც კი უყურებს, რომელსაც თითო აბი «ვიაგრა» ათ დოლარად უყიდია», – ეს უკვე ზღვარს გადაცილების ტოლფასი იყო.

– გრძელსიტყვაობის ნამდვილი ოსტატი ყოფილხართ, ნელსონ. როგორი სიმსუბუქით, სისადავით წარმოთქვამთ უგრძეს და ურთულეს წინადადებებს. და რაოდენი ზიზღი გამოსჭვივის ამ წინადადებებიდან ყველა იმ ადამიანური პრობლემების მიმართ, რასაც თავად არასდროს შესჩეხებიხართ.

ქოულმენს სურვილი მოეძალა, იურისტისთვის ქეჩოში წაევლო ხელი და «თოლბოთსის» ვიტრინისთვის შეეხეთქებინა ეს ნაბიჭვარი. ამის მაგივრად თავი დაიოკა და შეძლებისდაგვარად დავარცხნილ-დალაგებული ტონით მიმართა:

– ამიერიდან აღარც თქვენი ზეთვითკმაყოფილი ხმის გაგონება მინდა და აღარც თქვენი ნაბიჭვრული, თავმომწონე ლილისფერ-თეთრი სიფათის დანახვა.

– ლილისფერ-თეთრიო, ასე მითხრა, – უთხრა საღამოს ფრაიმუსმა ცოლს, როცა იმდღევანდელ ამბავს უყვებოდა, – ნეტავ ეს ლილისფერ-თეთრი საიდანღა მოიტანა? მესმის, რომ იმ დროს ადამიანის სიტყვაზე დაჭერა არ ღირს, როდესაც ჰგონია, რომ ამცირებენ, მაგრამ მე ხომ შეურაცხყოფის მიყენება

არც მიფიქრია. ან რაში მაწყობდა? საქმე ხომ ისედაც შავად აქვს. ბერიკაცს ორიენტაცია აერია და მე მხოლოდ გზის ჩვენება მინდოდა. სადაცაა თავის შეცდომას დიდ უბედურებად გადაიქცევს და მხოლოდ მისი შეჩერება მინდოდა. ან შეგონებაც... რაც მან თავდასხმად აღიქვა, იყო უშედეგო მცდელობა მასთან გამოლაპარაკებისა და მასზე შთაბეჭდილების მოხდენისა. არ გამოვიდა, ბეთ, სრული კრახი მივიღეთ. იქნებ მისი გავლენის ქვეშაც მოვექეცი. მძიმეწონოსანი არ ეთქმის, მაგრამ საკმაოდ ძლიერი ადამიანია. როდესაც გავლენიანი დეკანი იყო, მაშინ არც ვიცნობდი. მაშინღა გავიცანი, იმ შარში რომ ჰქონდა თავი გაყოფილი, მაგრამ ძალა მაინც გამოსჭვიოდა მისგან. გასაგებია, რატომაც ემორჩილებოდა ხალხი. როდესაც წინ მიზის ხოლმე, ვგრძნობ, რომ პიროვნებაა ჩემ წინაშე. ისე, ჯერ ადამიანურად ვერც გავრკვეულვარ, რა ხდება. იოლი არ არის, ადამიანის შინაგანი სამყაროს დანახვა, როცა სულ რამდენჯერმე გყავს ნანახი. იქნებ ჩემი სიჩლუნგის ბრალია. ახალბედებისათვის დამახასიათებელი ყველა შეცდომა კი დავუშვი უკვე. ფსიქოპათოლოგია, «ვიაგრა», «დორზი», ნორმან ო. ბრაუნი. კონტრაცეფცია, შიდსი... მოკლედ, ყოვლისმცოდნედ გამოვიყვანე თავი. განსაკუთრებით ჩემს დაბადებამდელი მოვლენების მცოდნედ. მისი პროვოცირება გამომივიდა, არადა, წესითა და რიგით, საქმიანად, მიუკერძოებლად და ლაკონიურად უნდა მელაპარაკა. დახმარება მინდოდა, მაგრამ შეურაცხყოფა, ანუ წყენინება კი გამომივიდა. არა, გამწარებულმა რომ შემომიტია, ეგ კი არ მწყინს. უბრალოდ, ის ვერ გამიგია, რაღა მაინცდამაინც თეთრი მითხრა?

ქოულმენი უკვე ორი წელი იქნებოდა, რაც «ათინას» კამპუსში აღარ იყო ნამყოფი და საერთოდ დაბაშიც იშვიათად თუ ჩავიდოდა. უკვე აღარ გრძნობდა სიძულვილს კოლეჯის ყველა პედაგოგისადმი – უბრალოდ, შიშობდა, ვაითუ, საუბრისას ან გულისტკივილი შემეტყოს, ან ამ ტკივილის დაფარვას რომ ვცდილობო, რადგან ნებისმიერი, სრულიად უწყინარი საუბრის დროსაც კი შეიძლებოდა, თავისებური ხისტი და მკაფიო საუბრის მანერით გაეთქვა ხვაშიადი და ისევ ზურგშექცეული და შეურაცხყოფილი პროფესორის სატკივარზე დაეწყო ჭიკჭიკი. პენსიაზე გასვლიდან რამდენიმე დღეში ბლექუელის ბანკსა და სუპერმარკეტში გახსნა ანგარიშები, – ერთ პატარა, მდინარისპირა სამრეწველო დაბაში, ათინადან თვრამეტი

მილით რომ იყო დაშორებული და სულს ღაფავდა – იქაურ ბიბლიოთეკაშიც კი ჩაეწერა, რომლის წიგნთსაცავიც მეტისმეტად მწირი აღმოჩნდა და «ათინას» სტელაჟებს ვერაფრით შეედრებოდა. გარდა ამისა, ჩაეწერა ადგილობრივი ახალგაზრდული ასოციაციის სპორტკომპლექსშიც და იმის მაგივრად, კოლეჯის აუზში ეცურავა და იქვე სპორტდარბაზში ევარჯიშა, როგორც მთელი ოცდაათი წელი იქცეოდა, ახლა კვირაში ორჯერ არცთუ სახიერ ბლექუელის აუზზე დადიოდა და ზოგჯერ მეორე სართულზე, ერთ უბადრუკ სავარჯიშო დარბაზსაც აკითხავდა, სადაც ჯერ კიდევ ასპირანტობის დროიდან ჰქონდა დაწყებული – ცხადია, ბევრად უფრო ნელი ტემპით, ვიდრე ორმოციანებში, – ჩქაროსნულ «მსხალთან» მუშაობა, ზოგჯერ კი მძიმე «მსხალთანაც» ივარჯიშებდა კუნთებს. ბლექუელამდე ორჯერ მეტი გზა იყო, ვიდრე ათინამდე, სამაგიეროდ, გაცილებით ნაკლები იყო კოლეგის გადაწყდომის ალბათობა, ბოლოს და ბოლოს, თუ ვინმე ნაცნობსაც შეეჩეხებოდა, უხმოდ თავის დაკვრა და გავლა აქ ბევრად იოლი იყო, ვიდრე ათინაში, სადაც ყოველი საგზაო ნიშანი, ყოველი სკამი, ყოველი ხე, მოედანზე ყოველი ძეგლი ქოულმენს იმ დროს ახსენებდა, სანამ რასისტად გამოაცხადებდნენ და ყველაფერი თავდაყირა დადგებოდა. მაშინ მოედნის მეორე მხარეს მაღაზიათა ქსელი არ იყო. სანამ დეკანად მუშაობდა, კოლეჯში ათასი ჯურის ხალხი მიიზიდა, – ახალი მუშაკები, სტუდენტები, სტუდენტების მშობლებიც ჩამოდიოდნენ ქალაქში. ასე რომ, არა მარტო კოლეჯი, არამედ მთელი ქალაქი გამოაცოცხლა. მას მერე ბევრ წყალს ჩაევლო, რაც ქოულმენმა მოგვიანებით გააცნობიერა. საუკუნეს მიტანებული ანტიკვარული მაღაზია, უვარგისი რესტორანი, სპირტიანი სასმელების ერთი უბადრუკი, სოფლური სამიკიტნო, დაფხავებული საგალანტერიო, წიგნის დახლცარიელი მაღაზია, უგემოვნოდ გაფორმებული კაფეტერია, ჩაბნელებული აფთიაქი, უბადრუკი ტავერნა, უგაზეთო საგაზეთო ჯიხური და ენიგმური «ჯადოსნური მაღაზია» უკვალოდ გამქრალიყო და გზა დაეთმო იმ დაწესებულებებისთვის, სადაც ადამიანი ნორმალურ საკვებსაც მიირთმევდა, ნამდვილ ყავასაც დალევდა, რეცეპტში მითითებულ მედიკამენტსაც იოლად მიიღებდა, კარგ ღვინოსაც შეიძენდა და წიგნების განყოფილებაშიც ნახავდა რამეს, არა მხოლოდ ბერქშირ-ჰილის გზამკვლევს; ტანსაცმლის ყიდვაც შეიძლებოდა უკვე, განსხვავებით წინანდლისგან, როცა

მხოლოდ თბილ საცვლებს თუ შეიძენდა სუსხიანი ზამთრისთვის. «ხარისხის რევოლუცია», რომელსაც თავის დროზე მასაც უმადლოდნენ კოლეჯის პედკოლექტივსა და სასწავლო პროგრამების გადახალისებაში შეტანილი წვლილისთვის, ახლა დაბის, გნებავთ, ქალაქის, მთავარ ქუჩასაც დასტყობოდა. ამან უფრო მეტად გაუძლიერა განდეგილობისგან მოგვრილი ტკივილის შეგრძნება.

ახლა, უკვე ორი წლის შემდეგ, მას არა იმდენად ისინი აღელვებდნენ, – აბა, «ათინაში» დელფინა რუს მეტს ვიღას აინტერესებდა «მოჩვენებების» ირგვლივ ატეხილი სკანდალი, – რამდენადაც თავისი ოდნავ ჩამქრალი, ოდნავ ჩაყუჩებული ვარამისგან მოგვრილი დაღლილობა; ათინას ცენტრალურ ქუჩაზე მდგარი საკუთარი თავისადმი უფრო მეტ ზიზღს გრძნობდა, ვიდრე მათდამი, ვინც გულგრილობის, სილაჩრის ან პატივმოყვარეობის გამო არ ცნო საჭიროდ, მის დასაცავად ერთი სიტყვა მაინც დაესველებინა. სამეცნიერო ხარისხის მქონე განათლებულ ადამიანებს, რომლებიც თავის დროზე თვითონ აიყვანა სამსახურში, რადგან მიაჩნდა, რომ საღად და დამოუკიდებლად აზროვნებდნენ, ოდნავადაც არ უცდიათ, მის წინააღმდეგ წამოყენებულ აბსურდულ ბრალდებაზე საკუთარი აზრი დაეფიქსირებინათ და გონივრული დასკვნა გამოეტანათ. სიტყვა «რასისტმა» ათინა-კოლეჯში უეცრად ემოციურ-ფეთქებადი ხასიათი შეიძინა, ამ ემოციურობამ კი პედაგოგიურ დოსიეებსა და მომავალ დაწინაურებებზე ზრუნვასთან ტანდემში მთელი კოლეჯი დაიმორჩილა. საკმარისი იყო, სიტყვა «რასისტი» ოფიციალური ტონით თქმულიყო, რომ ყველა პოტენციური მოკავშირე უკვე შესაძრომს ეძებდა დასამალად.

ხომ არ მისულიყო კამპუსამდე? მაინც ზაფხულია, უმეტესობას არდადეგები აქვს. «ათინაში» ორმოცი წლის ღვაწლმოსილი, იმ ყოველივეს შემდეგ, რაც მან გააკეთა, რომ აქ მოხვედრილიყო, რატომაც არ უნდა შესულიყო? ისე, უნდა იფრთხილოს, თორემ ჯერ «მოჩვენებები» დასტყუეს, მერე «ლილისფერ-თეთრი» ათქმევინეს, ღმერთმა უწყის, კიდევ რას დააცდენინებენ? ერთი მცდარი სიტყვა და ყველაფერი ისევ თავდაყირა დადგება. ერთი კინკილა სიტყვაა საკმარისი და ნებისმიერს ჩამოეხსნება ნიღაბი, გინდ მართებულადაც იყოს ნათქვამი, უდროოდ თუ ითქვა, მორჩა და გათავდა.

მეათასეჯერ გავიმეორებ: «მოჩვენებები» ვთქვი, რადგან ასე მინდოდა, მეთქვა. მამაჩემი ბარის მეპატრონე იყო და სულ მაძალებდა ხოლმე, გასაგებად და მკაფიოდ ილაპარაკეო, ჰოდა, მის რჩევას ვითვალისწინებ. სიტყვას თავისი აზრი და მნიშვნელობა აქვსო, – იტყოდა ხოლმე მამაჩემი, რადგან ძალიან კარგად ესმოდა სიტყვის ძალა. ბარის დახლს იქით ორი რამ ჰქონდა შენახული, რაც კლიენტებთან უსიამოვნების დროს ეხმარებოდა – ხელკეტი და განმარტებითი ლექსიკონი. ჩემი საუკეთესო მეგობარიაო, მეუბნებოდა ხოლმე ლექსიკონზე და სრულიად ვიზიარებ მის დამოკიდებულებას. თუკი ამ ლექსიკონს გადავშლით, საინტერესოა, რას აღმოვაჩენთ იმ სიტყვის განსამარტავად, რაც მე არ შემარჩინეს: მნიშვნელობა პირველი. 1. (სალ.) მოჩვენება, მოლანდება, ლანდი, აჩრდილი.

თუმცა კი სულ სხვაგვარად აღიქვეს. დეკანო სილქ, ნება მომეცით მეორე სალექსიკონო მნიშვნელობაც გაგაცნოთ: (დამამც.) ზანგი. სწორედ ასე აღიქვეს ეს სიტყვა და ამაში ლოგიკაც არის: «იქნებ რომელიმე თქვენგანი იცნობდეს მათ?» ეს კი ვიკითხე, მაგრამ ასეთი ინტერპრეტაცია კი მისცეს: «ზანგები ხომ არ არიან, რომელთაც არავინ იცნობს და არც ცნობა სურთ?»

უკაცრავად, მაგრამ იმის თქმა რომ მნდომებოდა, იცნობთ თუ არა რომელიმე იმ ზანგის გოგოებს-მეთქი, სწორედ ამგვარად ვიკითხავდი და არა სხვაგვარად. დიახ, სწორედ ამგვარად. კი მაგრამ, როგორ უნდა მივხვედრილიყავი, რომ შავკანიანები იქნებოდნენ, როდესაც თვალით არ მყავდა არც ერთი ნანახი და მხოლოდ მათი გვარ-სახელები ვიცოდი ჟურნალიდან. მხოლოდ ერთი ვიცოდი, რომ უხილავები, უჩინმაჩინები იყვნენ და ამიტომაც ვუწოდე «მოჩვენებები», ანუ ამ სიტყვის პირველადი მნიშვნელობით. მოდი, ახლა ზედსართავ სახელზე გადავიდეთ, რომელიც არსებითს მოსდევს და ამავე სიტყვიდან არის ნაწარმოები – «მოჩვენებითი», რაც სალაპარაკო და სახუმარო მნიშვნელობითაც იხმარება და პრინციპში ბავშვობიდან ყველამ ვიცით. მნიშვნელობა: 1. ის, რაც ჩანს, მაგრამ რეალურად არ არის; 2. მოჩვენებისმაგვარი; აქვს სხვა მნიშვნელობაც, თუ ვიხმართ სიტყვა «მოჩვენებისმაგვარს»: 1. შიშის მომგვრელი, საშინელი. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ამ სიტყვას მოეძებნება ფორმა «მოჩვენებებიანი», რომელსაც ინგლისურ ენაში მფრთხალი ცხენის მიმართ ვიყენებთ. დიახ, დიახ, სწორედ

ცხენების მიმართ. მოდი ახლა და, სხვა რამეშიც დამდეთ ბრალი, გამოდის, აკადემიურად ჩამორჩენილი სტუდენტებისთვის ცხენები, ანუ ფაშატები და ჭაკები მიწოდებია. ასე არ არის? რატომაც არა. თუკი ასე ვმსჯელობთ, ბოლომდე ასე განვაგრძოთ.

უკანასკნელი თვალის შევლება «ათინაზე» და თავის მოჭრაც სრულ სახეს შეიძენს.

* * *

«სილქი სილქ». აბრეშუმის სილქი.[11] ასე, ორმოცდაათზე მეტი წლის წინ ეძახდნენ ხოლმე ქოულმენს და ახლა ლამის გულისფანცქალით მოელოდა, რომ ვინმე «გაუმარჯოს, სილქიო!» წინ გადაუდგებოდა. თითქოს ათინას მთავარ ქუჩას კი არ კვეთდა პენსიაზე გასვლის შემდეგ პირველად, რათა კამპუსისკენ მიმავალ ბორცვზე ასულიყო, არამედ ისევ ისთ-ორინჯის მთავარ პროსპექტზე, სენთრალ-ავენიუზე, მიაბიჯებდა სკოლიდან გამოსული დაიკო ერნესტინთან ერთად და ისევ იმ ტუტუცურ ამბავს ისმენდა, გოგონამ უნებლიეთ რომ მოჰკრა ყური საღამოს პირზე, როდესაც მათ ნიუარკში მდებარე დედამისის საავადმყოფოდან ცნობილი ებრაელი ქირურგი ფენსტერმანი ეწვიათ. ქოულმენი იმ დროს სპორტდარბაზში ყოფილა და მძლეოსანთა ჯგუფთან ერთად ვარჯიშობდა თურმე, თავად ერნესტინი კი სამზარეულოში მჯდარა გაკვეთილების მოსამზადებლად, როდესაც ფენსტერმანის საუბარი მოუსმენია სასტუმრო ოთახიდან. დოქტორი ფენსტერმანი მის მშობლებს ეუბნებოდა თურმე, რატომ იყო მნიშვნელოვანი მისთვის და მისი მეუღლისთვის, რომ მათი ვაჟი ბერთრამი კლასში ფრიადოსანი ყოფილიყო. როგორც სილქებისთვის ცნობილია, კლასში პირველი ქოულმენია, ბერთრამი კი მეორე ადგილს სჯერდება მხოლოდ ერთი ქულის ნაკლებობით. გამოსაშვები კლასის ლიდერებს ერთმანეთს შეფასება «კარგი» აშორებს, რომელიც ბერთრამმა შარშანდელ სემესტრში ფიზიკაში სრულიად უსამართლოდ მიიღო, რადგან «ფრიადს» იმსახურებდა. ბერთს, როგორც მისტერ და მისის სილქებს დოქტორმა ფენსტერმანმა აუხსნა, მამის კვალს უნდა გაჰყვეს და ექიმი გამოვიდეს, ამიტომაცაა, რომ ფრიადზე სწავლა არა მარტო კოლეჯში სჭირდება, არამედ

ფრიადოსნობა დაწყებითი კლასიდანაც კი ევალება. იციან ნეტავ სილქებმა, რომ დისკრიმინაციული კვოტები არსებობს, რომელთა მიზანიცაა ებრაელების სამედიცინო ფაკულტეტზე არდაშვება? განსაკუთრებით კი ჰარვარდისა და იელის უნივერსიტეტებში, სადაც ბერთს რომ სწავლის საშუალება მიეცემოდეს, უეჭველად გაიბრწყინებდა, რაშიც დოქტორი და მისი მეუღლე ღრმად არიან დარწმუნებული. სამედიცინოზე ებრაელთათვის მიზერული კვოტების გამო თავად დოქტორ ფენსტერმანსაც კი მოუწია ალაბამაში სასწავლებლად წასვლამ, სადაც საკუთარი თვალით იხილა, რა დღეში იყვნენ შავკანიანები. არა, დოქტორ ფენსტერმანს ესმის, რომ ცრურწმენები და წინასწარგანწყობები უნივერსიტეტებში შავკანიანებისადმი უფრო ძლიერია, ვიდრე ებრაელებისადმი. კარგად ესმის, რამხელა წინაღობების გადალახვა მოუწევდა თავად სილქების ოჯახს, რომ განათლებულ ზანგურ ოჯახად ქცეულიყო. ისიც იცის, რამხელა სირთულის გადატანა მოუწევდა მისტერ სილქს, როდესაც დიდი დეპრესიის დროს მისი ოპტიკა დაიხურა და კაცი გაკოტრდა. იცის, რომ მისტერ სილქიც მასავით კოლეჯდამთავრებულია. ხვდება, რომ სტიუარდის პოსტი რკინიგზაზე (სწორედ სტიუარდი თქვა და არა ოფიციანტი) არასგზით არ შეეფერება მის პროფესიულ შესაძლებლობებს. მისის სილქსაც, ცხადია, კარგად იცნობს სამედიცინო სფეროში თანამშრომლობიდან. გონებით, ცოდნით, საიმედოობით, როგორც დოქტორ ფენსტერმანს მიაჩნდა, ქალბატონი სილქი ყველა ექთანს აღემატებოდა, მათ შორის, ექთანების უფროსსაც. მისი აზრით, გლედის სილქი უკვე კარგა ხანია ღირსია, ქირურგიულ განყოფილებაში ექთანების უფროსად დაინიშნოს. ერთ-ერთი დაპირება, რაც დოქტორ ფენსტერმანს შეუძლია სილქებს მისცეს, ის არის, რომ მთელ თავის გავლენას გამოიყენებს, რათა ნუნანის, იმჟამინდელი ექთანების უფროსის, პენსიაზე გასვლის შემდეგ ეს ადგილი მისის სილქს დაუთმოს. გარდა ამისა, დოქტორი მზად იყო, სილქებს დაუბრუნებელი ვალის სახით სამი ათასი დოლარით შესწეოდა, რომელსაც მაშინვე მიიღებდნენ, როგორც კი ქოულმენი კოლეჯში ჩაირიცხებოდა, რადგან სწავლა, ბუნებრივია, ოჯახისგან დამატებით ხარჯს მოითხოვს. სამაგიეროდ კი სულ ცოტა რამეს ითხოვდა ფენსტერმანი: იქნებ ქოულმენს მეორეადგილოსნად დაემთავრებინა სკოლა, ის ხომ მაინც ყველაზე თვალსაჩინო მოსწავლე იქნებოდა არა მხოლოდ 1944 წლის გამოშვებაში, არამედ მთელი წლებით.

ცხადზე უცხადესია, ამ ქულებით ქოულმენი ოლქის, შტატისაც კი, ყველაზე სახელოვანი შავკანიანი სკოლადამთავრებული გახდება და ჰაუარდის უნივერსიტეტში[12] მოხვედრაში ხელს არაფერი შეუშლის, ან რაღა მნიშვნელობა ექნება, პირველი იქნება თუ მეორე. ამისთანა წარმატების მქონეს რა სირთულე უნდა შეხვდეს. ქოულმენი არაფერს დაკარგავს, ოჯახი კი ბავშვებისათვის განათლების მისაცემად სამი ათას დოლარს მიიღებს. მეტიც, დოქტორ ფენსტერმანის ხელშეწყობით გლედის სილქი სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში ნიუარკში პირველი შავკანიანი მედდების უფროსი გახდება. თავად ქოულმენს კი რა მოეთხოვება: აირჩიოს რომელიმე ორი საგანი, რომლებშიც შედარებით სუსტადაა მომზადებული და «ფრიადის» მაგივრად «კარგი» მიიღოს გამოსაშვებ გამოცდაზე. ბერთის დავალება კი ის იქნება, რომ ყველა საგანში მიიღოს «ფრიადი», რაც უკვე, ცხადია, მასზეა დამოკიდებული. მაგრამ თუკი ბერთი მაინც წაიფორხილებს და ქოულმენს ჩამორჩება, ან თუნდაც თანაბარი შეფასებით დაამთავრონ სკოლა, დოქტორ ფენსტერმანის წინადადება მაინც ძალაში დარჩება. რასაკვირველია, შეთანხმება საიდუმლოდ უნდა დარჩეს ყველა მონაწილეს შორის.

ქოულმენი ისე აღაფრთოვანა მოსმენილმა, რომ ერნესტინს ხელი გაუშვა და სენთრალ-ავენიუზე ევერგრინამდე სირბილით დაეშვა, მერე კი სირბილითვე მობრუნდა აქოშინებული და ხმამაღლა იკითხა:

– ნეტავ რომელ საგანში ვარ სუსტი?

თითქოს დოქტორ ფენსტერმანს ქოულმენისთვის ზოგიერთ საგანში მართლა ჩამორჩენა აღმოეჩინოს და ზერელედ ეთქვას ეს სიტყვები.

– ერნ, მათ რაღა უპასუხეს? მამამ რა თქვა?

– არ ვიცი. ხმადაბლა საუბრობდნენ და ვერ გავარჩიე.

– დედამ?

– ვერც დედიკოს პასუხი გავიგონე. მაგრამ დოქტორის წასვლის შემდეგ რაც თქვეს, ყველაფერი მოვისმინე.

– რაო, რა თქვეს?

– მამამ თქვა, მისი მოკვლა მომინდაო.

– მართლა?

– გეფიცები.

– დედამ რაღა თქვა?

– ენას კბილი დავაჭირეო, ასე თქვა. ზუსტად მახსოვს.

– მაგრამ რა უპასუხეს, ეგ რომ გაგეგონა...

– ეგ ვერ გავიგონე.

– ერთი რამ ზუსტად ვიცი – ამას არ ვიზამ.

– აბა, რა, არც უნდა ქნა.

– მამა რომ დათანხმდეს?

– გაგიჟდი?

– ერნი, მამა სამი ათას დოლარს წელიწადში ვერ შოულობს. არ გინდა ამხელა ფულზე უარის თქმა?

წარმოიდგინა, რომ დოქტორი ფენსტერმანი მამამისს დიდძალი ფულით გავსებულ შეკვრას გადასცემდა, ისევ აღტაცებამ მოიცვა და ევერგრინამდე ისევ სირბილით გაეშურა, თან წარმოსახვით წინაღობებს ლახავდა (ის ხომ რამდენიმე წელიწადი ესექსის ოლქის ჩემპიონი იყო დაბალბარიერიან სპრინტში თანასკოლელებს შორის, ხოლო ას იარდზე გარბენში მეორეადგილოსანი გახლდათ). მორიგი ტრიუმფი – აი, რა აფიქრებდა. მორიგი რეკორდული ტრიუმფი დიდი, შეუდარებელი და ერთადერთი სილქი სილქისა! კლასის პირველი მოსწავლე, მძლეოსნობის ვარსკვლავი, ჩვიდმეტი წლის ჭაბუკი – ეს ყველაფერი მისთვის იმდენადვე იყო მნიშვნელოვანი, რამდენადაც სხვა ნებისმიერისათვის იქნებოდა, მან თავისი მნიშვნელობა იგრძნო. უფრო დიდი სურათი მაშინ ვერც კი წარმოედგინა.

ისთ-ორინჯში მოსახლეობა თითქმის ერთიანად თეთრკანიანი იყო (ორინჯის მიდამოებთან, ნიუარკის საქალაქო ოლქთან ახლოს, ღარიბი იტალიელები ბინადრობდნენ, ხოლო უფსალა-სთრითსა და საუთ-ჰარისონ-სთრითის უბნებში მდებარე დიდ სახლებში საეპისკოპოსო ეკლესიის მდიდარი მრევლი ცხოვრობდა), ებრაელები ზანგებზე ნაკლებნი იყვნენ, თუმცა სწორედ ისინი, დიდპატარიანად, ქოულმენისთვის ინტერესის

ობიექტად იქცნენ სკოლისგარე ცხოვრებაში. ჯერ დოქტორი ჩიზნერით დაიწყო, რომელმაც კინაღამ იშვილა კიდეც ქოულმენი, როდესაც უკანასკნელი ერთი წლით ადრე მასთან კრივში ემზადებოდა; მერე ეს დოქტორი ფენსტერმანი გამოტყვრა. ჩიზნერს კრივი ძალიან უყვარდა, მიუხედავად იმისა, რომ კბილის ექიმი იყო. ყველა ორთაბრძოლას ესწრებოდა ხოლმე, სადაც კი რამე ტარდებოდა, – ლორელ-გარდენსა და მედოუბრუქში ჰუძონის ნიუ-ჯერსის მხარეს, ნიუ-იორკის მედისონ-სქუერ-გარდენსა და სენთ-ნიქსზე. მასზე ამბობდნენ, მანამდე შეიძლება გეგონოს, კრივში ვერკვევიო, სანამ დოქტორ ჩიზნერთან დაჯდები. დაუჯექი, აბა, ცოტა ხნით გვერდზე და მიხვდები, რომ სხვადასხვა თამაშს უყურებთო. დოქტორი ესექსის მთელ ოლქში სამოყვარულო ასპარეზობებს მსაჯობდა ხოლმე, მათ შორის «ოქროს ხელთათმნის» პრიზზე ნიუარკში. მასთან ებრაელ მშობლებს ისთ-, ოსთ- და უბრალოდ ორინჯიდან, ასევე მეიფლვუდიდან, ირვინგთონიდან და ისეთი შორეული ადგილებიდანაც კი მოჰყავდათ თავიანთი ვაჟები თავდაცვის შესასწავლად, როგორიცაა უიქ-უეიქი ნიუარკის სამხრეთ-დასავლეთიდან. მაგრამ ქოულმენი ჩიზნერთან ამის გამო არ მისულა, თავდაცვა უმისოდაც ეხერხებოდა, – უბრალოდ, მამამისმა გაიგო, უმაღლესი საფეხურის სკოლაში მეორე კლასიდან მძლეოსნობაში ვარჯიშის შემდეგ, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ინიციატივით, ზოგჯერ კვირაში სამჯერაც კი, ქოულმენი ჩუმად რომ დადიოდა ნიუარკის ქოხმახებით დასახლებულ მორთონ-სთრითზე, ვაჟთა კლუბში კრივში სავარჯიშოდ. თოთხმეტი წლისამ დაიწყო, ას თერთმეტი გირვანქის წონისამ, ორ-ორსაათიანი მუშაობა: მოთელვა, სამი რაუნდი სპარინგი, «მძიმე მსხალი», «სწრაფი მსხალი», სახტუნაო, სხვა სავარჯიშოები, მერე შინ ბრუნდებოდა და გაკვეთილებს სწავლობდა. ორჯერ კუპერ ფულემის სპარინგპარტნიორიც კი იყო, რომელსაც ერთი წლით ადრე ეროვნული ჩემპიონატი ჰქონდა მოგებული ბოსტონში. ქოულმენის დედა საავადმყოფოში ზეგანაკვეთურად მუშაობდა: ხან ცვლა-ნახევარს, ხან ორ ცვლას ზედიზედ, მამამისი კი ვაგონ-რესტორანში მგზავრებს ემსახურებოდა, როდისღა ეძინა, კაცმა არ იცის; უფროსი ძმა უოლთი ჯერ კოლეჯში სწავლობდა, მერე ჯარში წავიდა, ასე რომ, ქოულმენმა ერნესტინს საიდუმლოს შენახვა დაავალა. შინიდან დაუბრკოლებლად მიდიოდა, სკოლაში რომ არ ჩამორჩენილიყო და ეჭვი არ აღეძრა,

სახელმძღვანელოებს ყველგან დაატარებდა და სწავლობდა, სადაც კი შეეძლო: თვითმომზადების ოთახში, ღამით საწოლში თუ ავტობუსებში – ნიუარკამდე და უკან ხომ ორმხრივი გზა ჰქონდა გასავლელი.

ყველა, ვისაც კი სამოყვარულო კრივით უყვარდა თავის შექცევა, ნიუარკის ვაჟთა კლუბში დადიოდა, აი, ვინც იყოჩაღებდა და თავს გამოავლენდა, თან ცამეტიდან თვრამეტ წლამდეც უნდა ყოფილიყო, თავისივე კბილა ბიჭებს აჯიბრებდნენ პატერსონის, ჯერსი-სითისა და ბათლერის კლუბებში აირონბაუნდის განყოფილების პოლიციის ათლეტთა ლიგიდან და სხვა მისთ. მოზარდების ზღვა დგებოდა ხოლმე კლუბში; ბიჭები როვეიდან, ლინდენიდან, ელისაბეთიდან და წარმოიდგინეთ, იმსიშორიდანაც კი მოდიოდნენ, მორისთაუნი რომ მდებარეობს; ერთი ყრუ-მუნჯიც იყო, მეტსახელად «ჩერჩეტას» ეძახდნენ; ის ბელვილიდან მოდიოდა ხოლმე კლუბში. თუმცა მომსვლელთა უმეტესობა ნიუარკიდან დადიოდა და ყველა მათგანი შავკანიანი იყო, კოლეჯის ორ თეთრკანიან მმართველს თუ არ ჩავთვლით. ერთ-ერთს მაქ მაქროუნი ერქვა, უესთსაიდ-პარკში პოლიციელად მუშაობდა, პისტოლეტიც სულ თან დაჰქონდა, ჰოდა, ერთხელ ქოულმენს უთხრა: სარბენ ნაწილში თუ ფეხს აითრევ, მიგაცხრილავო. მაქს სისწრაფის სწამდა, ამიტომაც ქოულმენზე ამყარებდა იმედს. სისხარტე, ფეხების კარგი მუშაობა, შემხვედრი დარტყმა. ქოულმენს ჯერ დგომა ასწავლა, მერე გადაადგილება და დარტყმა, რომ დაინახა, სწრაფი რეაქცია აქვს და იოლად ითვისებსო, უფრო დახვეწილ ნაწილზე გადავიდა. თავის გადაადგილებაზე, ანუ გადაწევაზე. დარტყმის აცილებაზე. დაბლოკვაზე. შემხვედრის შეგებებაზე. ჯების[13] გაკეთებაც ასწავლა. «თითქოს რწყილს იცილებდე ცხვირიდან. მოუქნიე და მასაც მოაცილე რწყილი». ქოულმენს ჯებებით ბრძოლის მოგება ასწავლა. ჯებს გაუქანებ, დაბლოკავ და შემხვედრსაც მიაგებებ. ის თუ მოგიქნევს ჯებს, მარცხნივ გადაიწევი და მარჯვენა პირდაპირით უპასუხებ. ან მარჯვნივ გადაიწევი და ჰუკით გლიჯავ. ან დაყვინე, მარჯვენით მკერდში გაუქანე და მარცხენით ჰუკი სთხლიშე მუცელში. თხელი აღნაგობის ქოულმენი ზოგჯერ მოწინააღმდეგის მოქნეულ ჯებს ბლოკავდა, თავისკენ მიიზიდავდა, მერე მუცელში ჰუკს გაუქანებდა, გასწორდებოდა და ჰუკს დაუქანავებდა თავში. «დარტყმას ბლოკავ და შემხვედრს

ურტყამ. კონტრშემტევი მოკრივე ხარ, სილქი. შენი ძალა ამაშია, მხოლოდ ამაში». მერე პეტერსონში გაემგზავრნენ. ეს პირველი ასპარეზობა იყო სამოყვარულო ტურნირში. მეტოქე ჯებს რომ გამოუშვებდა, ქოულმენი უკან იხრებოდა, მაგრამ ფეხებით სიმყარეს არ კარგავდა, მერე გასწორდებოდა და მარჯვენის გაქანებას ასწრებდა – აი, ამგვარად ახერხებდა ბრძოლის უპირატესობის შენარჩუნებას. ქოულმენმა სამივე რაუნდში ამ ხერხით მოიგერია მეტოქე და სხარტი დარტყმები აგემა, ასე რომ, სამივეში გამარჯვებულად გამოცხადდა. ვაჟთა კლუბში ეს «აბრეშუმის სილქის» საფირმო მეთოდად აღიარეს. დროდადრო პირველი აყენებდა ხოლმე მოწინააღმდეგეს დარტყმას, ასე რომ, ვერავინ იტყოდა, მხოლოდ დგას და ხელს არ ანძრევსო. მაგრამ მეტწილად მეტოქისგან წამოსულ დარტყმებს ელოდა, რათა საპასუხოდ ორი-სამი ძლიერი ეგემებინა და ისევ უკან დაეხია. ქოულმენი თავდაცვით უფრო მეტ წარმატებას აღწევდა. უკვე თექვსმეტი წლისამ ესექსისა და ჰუძონის ოლქებში, არმიის დარბაზსა და «პითიას რაინდში» გამართულ შეჯიბრებებზე, ასევე ვეტერანთა ჰოსპიტალში საჩვენებელი გამოსვლებისას «ოქროს ხელთათმნის» სამ გამარჯვებულს სძლია. გამოდის, 112, 118 და 126 გირვანქა წონით კატეგორიებშიც შეძლებდა ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას. მაგრამ «ოქროს ხელთათმანში» მონაწილეობას როგორ მიიღებდა, ასეთ შემთხვევაში ხომ გაზეთში მოხვედრას ვერ ასცდებოდა და მშობლებისთვისაც ყველაფერი საცნაური შეიქნებოდა. თუმცა მოგვიანებით მათ ისედაც ყველაფერი გაიგეს. როგორ – ეს არ იცოდა, მაგრამ ამას აღარც ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. ალბათ, ვინმე ეტყოდა, მორჩა და გათავდა.

ერთ კვირადღეს, ეკლესიიდან დაბრუნებულები სადილად რომ ისხდნენ, მამამისმა ჰკითხა:

– აბა, ქოულმენ, როგორ გაართვი თავი?

– რას როგორ გავართვი?

– წუხელ «პითიას რაინდებში» როგორ ჩაიარა გამოსვლამ?

– «პითიას რაინდები» რაღაა?

– მოსატყუებელი კბილი უკვე ამოღებული მაქვს, შვილო, ასე რომ, გეყო. მაშ, წუხანდელ კრივში რამდენი ორთაბრძოლა გაიმართა?

– თხუთმეტი.

– შენ როგორ გამოხვედი?

– მოვიგე.

– სულ რამდენი ბრძოლა გაქვს მოგებული? ტურნირებზეც და საჩვენებელ გამოსვლებზეც? სულ თავიდან რომ დავიწყოთ, რამდენი გექნება?

– თერთმეტი.

– რამდენი წაგება გაქვს?

– ჯერ არც ერთი.

– საათიდან რამდენი დოლარი მოიგე?

– რა საათიდან?

– ლაიონსის ვეტერანთა ჰოსპიტალში რომ მოიგე, იმ საათზე გეუბნები. გამარჯვებულს ვეტერანებმა რომ გისახსოვრეს. აი, იმაზე, გასულ კვირას ნიუარკში, მელბერი-სთრითზე რომ დაალომბარდე.

ესე იგი, სცოდნია.

– და შენი აზრით, რამდენს მომცემდნენ? – შესიტყვება კი ჰკადრა ქოულმენმა, მაგრამ თვალი ვერ გაუსწორა. საკვირაო მაღალხარისხიან სუფრაზე ამოქარგული ნახჭის თვალიერება დაიწყო.

– ორი დოლარი დაგრჩა, ქოულმენ. პროფესიონალებში გადასვლას როდის აპირებ?

– ფულის გამო კი არ... – შეწინააღმდეგება სცადა, მაგრამ თვალებს ვერ სწევდა, – ფული სულ არ მაინტერესებს. სიამოვნებისთვის ვაკეთებ. ასეთი სპორტით ვინ იქნება დაკავებული, რომ არ სიამოვნებდეს.

– მამაშენი რომ ვიყო, ქოულმენ, იცი, რას გეტყოდი?

– მამაჩემი არა ხარ? – შეეპასუხა ქოულმენი.

– ვარ კი?..

– აბა...

– დიდად არა ვარ დარწმუნებული. ვიფიქრე, მამამისი მაქ მაქროუნი იქნება-მეთქი ვაჟთა კლუბიდან.

– გეყო რა, მა, მაქი ჩემი მწვრთნელია.

– გასაგებია. მაშ, მამაშენი ვინღა გამოდის?

– თავადაც იცი. შენ! შენ ხარ მამაჩემი!

– მე? რას მეუბნები?

– არა! – იყვირა ქოულმენმა, – შენ არა ხარ!

საკვირაო სადილის დასაწყისში ბიჭი ადგილს მოსწყდა, სახლიდან გავარდა და სენთრალ-ავენიუზე რამდენიმე მილი სულმოუთქმელად ირბინა ორინჯამდე, მთელი საათი, მერე ორინჯიდან უესთ-ორინჯამდე, მერე უათჩანგ-ავენიუზე გაქუსლა და როუზდეილის სასაფლაომდე მივიდა, მერე სამხრეთით ვაშინგტონ-სთრითით მეინ-სთრითამდე ირბინა – ირბინა დარტყმებით, სპრინტით, მერე უბრალოდ სირბილით, მერე უბრალოდ სპრინტით, ამის მერე ბრიქ-ჩერჩის სადგურამდე, უკანა გზაზე, აჩრდილებთან ბრძოლით იარა, ბოლოს სახლამდე ისევ სპრინტზე გადავიდა და უკვე შინ შესული, სადაც მისი ოჯახი დესერტს ამთავრებდა, თავის ადგილს დაუბრუნდა ბევრად დამშვიდებული და ცდა დაიწყო, როდის დაიწყებდა მამამისი შეწყვეტილი საუბრის გაგრძელებას. მამამისი მოთმინებას არასოდეს კარგავდა. გამარჯვების თავისებური ხერხი ჰქონდა. სიტყვები იყო მისი იარაღი. მეტყველება. ინგლისური ენა იყო მისი არსენალი, რომელსაც შექსპირის, ჩოსერისა და დიკენსის ენას უწოდებდა. ენა, რომელსაც ვერავინ წაართმევდა და რომელზეც სრულფასოვნად, საუცხოოდ მეტყველებდა, თან ისეთ ჟღერადობას სძენდა, თითქოს სიტყვით გამოდიოდა. უბრალო საუბარიც კი ისეთი ჰქონდა, თითქოს მარკუს ანტონიუსი ყოფილიყო კეისრის ცხედართან. სამივე შვილს მეორე სახელად პიესიდან აღებული სახელი დაარქვა. იმ პიესიდან, რომელიც ლამის ზეპირად იცოდა, ინგლისური ლიტერატურის მწვერვალად და ყველაზე ჭკუის სასწავლებელ ღალატად მიაჩნდა, თუკი რამ ოდესმე შექმნილიყო კალმით: უფროს ვაჟს – უოლთერ ანტონი, მეორე ვაჟს – ქოულმენ ბრუტუსი და ნაბოლარა ერნესტინს – კალპურნია უწოდა, რომელიც კეისრის ერთგული ცოლის სახელი იყო.

მისტერ სილქის საქმიანობას ბანკების დახურვამ მოუღო ბოლო დიდი დეპრესიის დროს. ორინჯში ოპტიკის მაღაზიის გაკოტრების შემდეგ დიდხანს ვერ მოეგო გონს, საერთოდ თუ მოეგო... «საწყალი მამიკო, – ამბობდა დედა, – როგორ უნდოდა, საკუთარი ბიზნესი ჰქონოდა». დედა ნიუ-ჯერსიდან იყო, მამა კი წარმოშობით სამხრეთიდან, ჯორჯიიდან, სადაც კოლეჯში აგროტექნიკასა და მესაქონლეობას ეუფლებოდა ერთხანს, მაგრამ მერე მიატოვა სწავლა და ჩრდილოეთში, ტრენტონში, წავიდა. იქ ოპტიკის საქმე შეისწავლა. მერე ჯარში გაიწვიეს და პირველ მსოფლიო ომში მოუხდა წასვლა, მერე დედა გაიცნო და მასთან ერთად ისთ-ორინჯში გადავიდა, სადაც მაღაზია გახსნა და სახლი შეიძინა. მერე გაკოტრდა და ახლა ვაგონ-რესტორანში მოუწია სამსახურის გამონახვამ. რესტორანში ოფიციანტად მუშაობდა და მეტწილად ჩუმად ყოფნა უწევდა, სამაგიეროდ, შინ დაბრუნებული ისეთი სიზუსტითა და პირდაპირობით გამოირჩეოდა საუბრისას, რომ მხოლოდ სიტყვებით მოუღებდა კაცს ბოლოს. მნიშვნელოვნად მიაჩნდა, რომ ბავშვებს გამართული მეტყველება ჰქონოდათ. ამეცადინებდა კიდეც მართლმეტყველებაში: «შეხეთ, ძაღლი მოდის», – ეუბნებოდა ბავშვებს, მათ კი უნდა ეპასუხათ არა «შეხე, აუა», არამედ უნდა ჩამოეთვალათ: «შეხე, დობერმანი. შეხე, მაძებარი, შეხე, ტერიერი». მოვლენებისა და საგნების კლასიფიცირებას აჩვევდა. ბავშვები მოვლენების ზუსტად დასახელების უპირატესობასა და ძალას შეიცნობდნენ. დაუღალავად აუფლებდა ინგლისურ ენას. ზოგჯერ მეტყველებას შვილების მეგობრებსაც კი უსწორებდა ხოლმე, როდესაც ბავშვები სილქებს სტუმრობდნენ.

* * *

როდესაც ოსტატი სილქი ოპტიკაში მუშაობდა, მღვდლის სამოსივით შავი კოსტიუმის ზემოდან თეთრ ხალათს ატარებდა; მეტ-ნაკლებად რეგულარული გრაფიკით მუშაობდა და საღამოს შინ დაბრუნებული, დესერტს რომ მორჩებოდნენ, ნავახშმევს, როგორც წესი, მაგიდასთან რჩებოდა ხოლმე გაზეთის საკითხავად. სამივე ბავშვს «ნიუარკ ივნინგ ნიუზიდან» რამე უნდა ამოეკითხა, პატარა ერნესტინსაც კი, თანაც არცთუ კომიქსების გვერდიდან. დედამისისთვის, ანუ

ქოულმენის ბებიისთვის, კითხვა მეპატრონის ცოლს ჯერ კიდევ მონობის დროს ესწავლებინა, გათავისუფლების შემდეგ კი ქალს ჯორჯიის შტატში სპეციალურად შავკანიანთათვის გახსნილ პედაგოგიურ და სამრეწველო სასწავლებელში ჩაებარებინა. ქოულმენის პაპა, მამის მამა, მეთოდისტი მღვდელი ყოფილა და სილქების ოჯახში კლასიკური ლიტერატურა თურმე ხშირად იკითხებოდა. სილქების ოჯახში ბავშვები კრივზე არასდროს უტარებიათ, ისინი მხოლოდ ნიუ-იორკში მეტროპოლიტენ-მუზეუმში დაჰყავდათ მიღწევების სანახავად. მოზარდებს ჰეიდენის პლანეტარიუმშიც დაატარებდნენ მზის სისტემის შესასწავლად. ბავშვები ბუნებათმცოდნეობის მუზეუმის ხშირი სტუმრებიც იყვნენ. 1937 წლის 4 ივლისს, დღესასწაულზე ბილეთების სიძვირის მიუხედავად, მისტერ სილქმა ბავშვები ბროდვეიზე წაიყვანა თეატრ «მიუზიქ ბოქსში» მიუზიკლში «მირჩევნია, მართალი ვიყო» ჯორჯ ქოენის სანახავად. ქოულმენს კარგად ახსოვს, მეორე დღეს მამამისი ბიძია ბობის როგორ უზიარებდა შთაბეჭდილებებს: «იცი, ჯორჯ ქოენმა რა ქნა, როდესაც თავის დაკვრაც დასრულდა და ფარდაც დაეშვა? გამოვიდა და მთელი საათი თავისი სიმღერები გვიმღერა. თან ყველა სიმღერა შეგვისრულა. ბავშვებისათვის თეატრის გასაცნობად უკეთესს ვერ მოიფიქრებდა კაცი».

– მე რომ მამაშენი ვიყო, – დაიწყო მისტერ სილქმა და ქოულმენს შეხედა, რომელიც ცარიელ თეფშს დასცქეროდა დიდმნიშვნელოვნად, – იცი, რას გეტყოდი?

– რას? – ჩუმად ჰკითხა მამას, ოღონდ იმის გამო კი არ უკითხავს ჩუმად, რომ სირბილმა დაქანცა, არამედ იმიტომ, რომ უკვე ვაგონ-რესტორნის ოფიციანტი მამა ეკითხებოდა, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე მიმტანად დარჩებოდა, და არა ოპტიკის მფლობელი მამა.

– გეტყოდი: წუხელ ხომ მოიგე? ყოჩაღ! ესე იგი, შეგიძლია რინგი დაუმარცხებელმა დატოვო-მეთქი! აი, ამას გეტყოდი, ქოულმენ.

მამასთან საუბარი მერე უფრო იოლი ეჩვენა, როდესაც გაკვეთილები მოამზადა, ამასობაში კი დედამისი დაელაპარაკა ქმარს და დაამშვიდა. მშობლებმა მოახერხეს თავის მოთოკვა, როდესაც ვაჟი სასტუმრო ოთახში მათ აღტაცებით უყვებოდა კრივის მშვენიერების შესახებ, რომელშიც თუკი ადამიანს

გამარჯვების ოდნავი რესურსი მაინც გააჩნია, მძლეოსნობაში მიღწეული წარმატება სახსენებელიც არ არის.

მერე დედამ დაუწყო კითხვების დასმა, რაზეც პასუხის გაცემა რთულად არ მოეჩვენა. მისი უმცროსი ვაჟი სასაჩუქრე კოლოფივით იმ ოქროსფერი ოცნებებით იყო შეფუთული, რომლებიც კი ოდესმე გლედის სილქს სწვევია და რაც უფრო ლამაზი და ჭკვიანი ხდებოდა ვაჟი, მით უფრო ურთულდებოდა გლედისს შვილის ოცნებებისგან გამორჩევა. რამდენადაც პაციენტებთან იყო ხოლმე რბილი და თბილი, იმდენად მკაცრად და ხისტად ექცეოდა ექთანებსა და ექიმებს, განსაკუთრებით თეთრებს; ასეთი მკაცრი ბუნებისა იყო და ამავე კოდექსს იყენებდა საკუთარ თავთანაც. მკაცრად ექცეოდა ერნესტინსაც, მაგრამ არა – ქოულმენს. ეს უკანასკნელი მისგან იმასვე იღებდა, რასაც პაციენტები – სათუთ და თავდადებულ ზრუნვას. ბიჭი თითქმის ყველაფერს იღებდა, რაც სურდა, – მამა გზას უკვალავდა, დედა კი სიყვარულს აფენდა ამ გზაზე. ოჯახიც ამას ჰქვია.

– ვერ ვხვდები, როგორ უნდა გამხეცდე და ადამიანს შეუტიო, როცა არც კი იცნობ, – უთხრა დედამ, – მით უფრო, შენნაირი ლაღი ბუნების ადამიანმა.

– არავითარი გამხეცება, კონცენტრაციაც საკმარისია. სპორტი ასეთია, ორთაბრძოლამდე მოთელვაა საჭირო. ამ დროს აჩრდილს ებრძვი. ყველაფრისთვის მზად უნდა იყო მეტოქესთან, რა იცი, თავში რა წამოუვლის.

– და რომელიც არც კი გინახავს, – ჩაერთო მისტერ სილქი და სარკაზმი ძლივს შეიკავა.

– მხოლოდ იმის თქმა მინდა, – აუხსნა ქოულმენმა, – რომ არავითარი გამხეცება საჭირო არ არის. საზრიანობა ჯობია.

– თუკი მეტოქე გამხეცდება, მერე? – ჰკითხა დედამ.

– სულერთია. მაინც ტვინით უნდა გაიმარჯვო და სიმხეცით. გამხეცდეს რა, ვინ უშლის? ჭკვიანმა მოკრივემ უნდა იაზროვნოს. კრივი ჭადრაკივითაა. შეგვიძლია, კატათაგვობანასაც შევადაროთ – მეტოქე უნდა მივიტყუოთ და... წუხელ ერთ თვრამეტი-ცხრამეტი წლის ბიჭს ვეჯიბრებოდი, ცოტა დონდლო იყო. თავის ზედა ნაწილში ჯები მომიქნია. მეორედ რომ გამომიქანა, აი, იქ ვუჩვენე სეირი!

მარჯვენა შევაგებე და ისიც ვერ გაიგო, რა მოხვდა. ნოკდაუნი! იშვიათად, რომ ვინმე დავანოკდაუნო, მაგრამ ის კი ძირს დავეცი. და იცით, როგორ? ვაფიქრებინე, რომ გამომიჭირა.

– ქოულმენ, – მიმართა დედამ, – რაც მესმის, ვერაფერი მოსაწონია.

ქოულმენი ადგა და ილეთების ჩვენებას მოჰყვა.

– აი, ნახე. რაღაც ნელი დარტყმა ჰქონდა. ხვდები? მივხვდი, რომ მეორედ მოსახვედრებლად სისწრაფე აღარ ეყოფოდა. ნუ გეშინია, დე, ვერაფერი მავნო. ეგრევე დავწვი, რომ კიდევ ერთხელ თუ მომიქნევდა, უკან გადავიხრებოდი და მარჯვენით ვლეწავდი. ჰოდა, მეორედ რომ გამომიქანა, ეგრევე ვისქესე და კონტრვხეთქე. სწორად უნდა გამიგო, დედა, იმიტომ კი არ დავახეთქე, რომ სიმხეცის ამბავი იყო, უბრალოდ, უკეთესი მოკრივე ვარ და ხერხი ვიხმარე.

– ჰო, მაგრამ ეს ნიუარკელები, ვისთან ერთადაც გიწევს რინგზე ყოფნა, შენს მეგობრებს ხომ არაფრით ჰგვანან, – თბილი ხმით ახსენა ქოულმენის ორი შავკანიანი ამხანაგის სახელი, ვისთან ერთადაც ქოულმენი სწავლობდა, დროს ატარებდა და სკოლის სასადილოშიც სადილობდა, – ნიუიარკელ ბიჭბუჭებს ქუჩებში ხშირად ვხვდები. პირწავარდნილი ბანდიტები არიან. მძლეოსნობა ხომ ბევრად უფრო ცივილიზებული სპორტია, შენც უფრო გიხდება. ქოულმენ, დედიკო, შენ ხომ ძალიან ლამაზად სირბილი შეგიძლია.

– ბანდიტები არიან თუ არა, რა მნიშვნელობა აქვს. ქუჩაში შეიძლება აქვს, მაგრამ რინგზე ყველა ერთია. ქუჩაში რომ გადავყროდით ერთმანეთს, ის ბიჭი, ალბათ, ისე მცემდა, დამასიკვდილებდა. აი, რინგზე, ხელთათმანებით კი პირიქით, მე გავშხლართე ზურგზე!

– მაგრად რომ მოგახვედრონ? ეს ხომ საშიშია. მერე რაღა ვქნათ? სახიფათოა, შვილო, თავი და ტვინი იოლად ზიანდება.

– დარტყმის შერბილებაც შეიძლება. იქ გვასწავლიან. აი, ასე, თავითვე, ხედავ? ეს ზემოქმედებას ამცირებს. ერთხელ ცოტა კი გამაყრუა დარტყმამ, მაგრამ დიდი არაფერი. მაშინ დამწყები ვიყავი და ჭკუა არ მქონდა. კედელზე რომ მიგირტყამს თავი, ეგეთი შეგრძნება მქონდა. ცოტა თავბრუ დამეხვა და ფეხზე მყარად ვეღარ ვიდექი. მერე კი თავბრუც მომეშვა და

გავსწორდი კიდეც. მაგ დროს თავის შეკავებაა საჭირო, მოწინააღმდეგეც არ უნდა მოუშვა ახლოს რამდენიმე წამით და მერე ყველაფერი თავისით დალაგდება. ზოგჯერ ცხვირში თუ მოხვდა მოკრივეს, თვალებიდან ნაპერწკლები დასცვივა ცრემლებთან ერთად, მაგრამ არც ეგაა უბედურება. მთავარია, თავი აკონტროლო და არაფერი გემუქრება.

მისტერ ქოულმენმა თავი ვეღარ შეიკავა.

– ჩემ თვალწინ იმდენი დაუხეთქებიათ იატაკზე, რომ აზრზე ვერც კი მოსულან, მუშტი საიდან ხვდებოდათ. როცა ასეთი რამე ხდება, თვალებიდან ნაპერწკლები კი არ გცვივა, უგონოდ ეცემი ძირს. ჯო ლუისიც კი, თუ გახსოვს, ისე დაანოკაუტეს, რომ მკვდარივით გაიშხლართა. იქნებ მეშლება რამე? ჰოდა, თუ ის გაშხლართეს, შენ რაღას გიზამენ, ქოულმენ?

– კი მაგრამ, მამა, შმელინგმა თავიდანვე ისქესა, რომ ლუისს სისუსტე ჰქონდა. როცა ლუისი ჯებს გაუქანებდა, უკან დახევა ავიწყდებოდა, – ქოულმენმა ისევ მოქმედებით უჩვენა მშობლებს, რასაც გულისხმობდა, – უკან კი არ იხევდა, მარცხენა ხელს ჩამოუშვებდა და აი, ასე იდგა... შმელინგი კი შეტევას არ წყვეტდა. აი, ასე! ჰოდა, ნოკაუტში გაუშვა კიდეც. აქ სუფთა აზროვნების ამბავია. ასიანში გეუბნებით. გეფიცები, ასეა.

– ნუ მეფიცები.

– ჰო, კაი, მაგრამ მინდა იცოდე, რომ თუ მოკრივემ შეტევის შემდეგ უკან არ დაიხია, კონტრშეტევისას აუცილებლად გაიჩალიჩებს ცხვირში და ბრძოლასაც წააგებს. პირველი ბრძოლის დროსაც ასე მოხდა. ზუსტად ასე!

მაგრამ მისტერ სილქს ცხოვრებაში უამრავი ჩხუბი ჰქონდა ნანახი, ჯარი ავიღოთ თუნდაც, ღამით ისეთი ცხვირ-პირის მტვრევა ატყდებოდა ხოლმე პირადი შემადგენლობის გასართობად, რომ ჯო ლუისის ნოკაუტი მონაგონი იყო იმასთან, რაც იქ ხდებოდა – ზოგჯერ ისეთ უღმერთობას სჩადიოდნენ ბიჭები, რომ უექიმოდ სისხლის გაჩერება ვეღარ უხერხდებოდა ხოლმე დაშავებულს. სამხედრო ბაზაში შავკანიანი ჩხუბისთავებიც ენახა, რომლებიც ძირითად და შემტევ იარაღად საკუთარ გოგრას იყენებდნენ; ბევრი ქუჩის ბიჭი ჰყავდა ნანახი, რომლებიც თავს მოკრივის მუშტზე სხარტად ხმარობდნენ და იქამდე ურტყამდნენ

მოწინააღმდეგეს, სანამ მისი სახისგან გაურკვეველ მასას არ მიიღებდნენ. არა, ქოულმენს რინგიდან წასვლაზე უნდა ეფიქრა, ამას წყალი აღარ გაუვიდოდა. თუკი მაინცდამაინც გასართობად მოუნდებოდა «ბოქსაობა», მაშინ ნიუარკის ვაჟთა კლუბში გამოსულიყო, სადაც მხოლოდ ქოხმახებიდან გამოსული ბიჭბუჭობა და ხულიგნები იყრიდნენ თავს, რომელთაც, მისტერ სილქის აზრით, ციხისკენ ედოთ გზა, არამედ აქვე, ისთ-ორინჯში გამოსულიყო დოქტორ ჩიზნერის მეთვალყურეობით, რომელიც ელექტრიკოსთა პროფკავშირის დანტისტი იყო იმ დროს, როდესაც თავად ბატონი სილქი ოპტიკას მართავდა და პროფკავშირის წევრებს სათვალით უზრუნველყოფდა. დოქტორი ჩიზნერი წინანდებურად დანტისტობდა, არასამუშაო საათებში კი ებრაელი ექიმების, იურისტებისა და საქმოსნების ვაჟებს კრივის საფუძვლებს ასწავლიდა. მის მოწაფეთაგან ხომ ჯერ არავის დაშავებოდა რამე, ჰოდა, ძალიან კარგი. მისტერ სილქისათვის ებრაელები, თუნდ დოქტორი ფენსტერმანივით უტიფრები და საზიზღრები ყოფილიყვნენ, მზვერავი ინდიელებივით იყვნენ, ანუ გამოცდილები და გამჭრიახები ბრძანდებოდნენ, რომელთაც ახალბედებისთვის გზის ჩვენება შეეძლოთ, კულტურულ შავკანიანთა ოჯახისათვის კი სოციალური შესაძლებლობების აღმოჩენის უნარი შესწევდათ.

აი, ასე მოხვდა ქოულმენი ჩიზნერის ხელში და ასე გაიცნეს პრივილეგირებულ ებრაელთა ბიჭებმა ეს შავკანიანი ყმაწვილი, – სავარაუდოდ, ერთადერთი იყო არათეთრკანიანი, ვისაც იცნობდნენ და ვისაც ოდესმე გაიცნობდნენ. ქოულმენი ჩიზნერის ასისტენტი მალევე გახდა და სხვა ბიჭების მეცადინეობაც მიანდვეს – მოძრაობისა და ენერგიის დაზოგვის ხერხებს ასწავლიდა, რომელიც თავად მაქ მაქროუნისგან ესწავლა. ასწავლიდა საფუძვლებსაც, რაც მათთვის თავიც იქნებოდა და ბოლოც: – ვიტყვი «ერთი» და ეგრევე ჯები! ვიტყვი – «ერთი-ერთი» – ორმაგი ჯები. ვიტყვი «ერთი-ორი» – ჯები მარცხენით, კროსი მარჯვენით, ჰუკი მარცხენით. როდესაც ბიჭები სახლებში მიდიოდნენ (ზოგჯერ ცხვირგასივებული მიდიოდა ვინმე, რომელიც უკან აღარ ბრუნდებოდა), დოქტორი ჩიზნერი მხოლოდ ქოულმენს ამეცადინებდა. ზოგჯერ ახლო ბრძოლის დროს ამტანობის გამოსამუშავებლად მოწინააღმდეგის ახლოს მიშვებასა და დარტყმას, მერე კი ისევ უკუგდებას ასწავლიდა, რის მერე

უბრალო სპარინგი ბავშვების გართობას აგონებდა ყმაწვილ ქოულმენს. დოქტორი ქოულმენისგან მოითხოვდა, დილაადრიანად ადექი, გამოდი და აჩრდილებს ესპარინგეო. ქოულმენიც უკვე გამთენიის ხუთ საათზე რუხი კაპიუშონიანი ქურთუკით ქუჩაში იყო დარსა თუ ავდარში და სამსაათ-ნახევარს უწყვეტად დარბოდა სკოლის პირველ ზარამდე. ქუჩაში კაციშვილი არ ჭაჭანებდა, იმხანად სირბილი და მუშტების ქნევა ვარჯიშის მიზნით უჩვეულო მოვლენა იყო, ამიტომ ქოულმენს ზოგჯერ შეჩერება უწევდა ხოლმე, რომ გზად შეხვედრილი მერძევის ქურანა არ დაეფრთხო თვალებზე ჩამოფხატული კაპიუშონით, რადგან ასეთი ჩაცმულობით მანტიამოსხმულ ბერს ჰგავდა. ყოველდღიური სირბილი უკვე ყელში ჰქონდა ამოსული, მაგრამ დღე არ ჩაუგდია.

* * *

შაბათი დღე იყო, ფენსტერმანის ცნობილ ვიზიტამდე ოთხიოდე თვით ადრე, ჩიზნერმა მანქანაში რომ ჩაისვა ქოულმენი და უესთ-ფოინთში წაიყვანა, სადაც კურსანტებსა და პიტსბურგის უნივერსიტეტის ბიჭებს შორის გასამართი მატჩისთვის უნდა ემსაჯა. დოქტორი უნივერსიტეტის მწვრთნელს იცნობდა და უნდოდა, ქოულმენი რინგზე ეჩვენებინა. ჩიზნერი დარწმუნებული იყო, რომ ქოულმენისათვის, მისი სკოლის ნიშნების გათვალისწინებით, ოთხწლიანი პიტსბურგის სტიპენდიის გაჩალიჩებას მოახერხებდა. ეს სტიპენდია კი იმაზე გაცილებით მეტი იქნებოდა, ვიდრე მძლეოსნობით გამომუშავებული თანხა, თან თავისი საყვარელი კრივით იქნებოდა დაკავებული და პიტსბურგისთვის გავიდოდა რინგზე.

ჩიზნერმა გზაში ქოულმენი დაარიგა, პიტსბურგელ მწვრთნელს უთხარი, თეთრკანიანი ვარ და საერთოდ არ ახსენო, რომ შავკანიანი ხარო.

– თუ არაფერს გკითხავს, – ურჩია მან, – თავად არაფერი თქვა. არც თეთრკანიანი ხარ და არც ფერადი. უბრალოდ «სილქი სილქი» ხარ და მორჩა. გასაგებია? ჰოდა, მოკვარახჭინდა საქმე.

«მოკვარახჭინდა საქმე» – ეს მისი საყვარელი გამოთქმა იყო. აი, ქოულმენის მამა კი ამისთანა სიტყვებს საერთოდ ვერ იტანდა.

– გგონიათ, ვერ შემამჩნევს? – ჰკითხა ქოულმენმა.

– როგორ შეგამჩნევს, ძალიან მაინტერესებს. ისთ-ორინჯის საშუალო სკოლის საუკეთესო მოსწავლე ხარ და ვისთან ერთად მიდიხარ? დოქტორ ჩიზნერთან ერთად! და თუ იცი, რას იფიქრებს, თუკი ამ საქმეს ხელს მოჰკიდებს?

– რას?

– იმას, რომ შენს ფერს ყურადღებასაც არ მიაქცევს, მთავარია, ჩემ გვერდით იქნები და ჩათვლის, რომ ჩემი ბიჭებიდან ერთ-ერთი ხარ, ანუ ებრაელი.

მართალია, ჩიზნერის იუმორის დამფასებელი არ იყო, განსხვავებით მაქ მაქროუნის იუმორისგან, რომელიც პოლიციური იწილო-ბიწილოს მოყოლით შეიქცევდა ხოლმე ბიჭებს და გულიანადაც აცინებდა, მაგრამ ქოულმენს სიცილი მაინც აუტყდა. მერე ფრთხილად ჩაურთო:

– ჰაუარდში უნდა ჩავაბარო, სხვა რა გზა მაქვს. პიტსბურგისაში ცხვირს ვინ შემაყოფინებს.

რაც ქოულმენს თავი ახსოვდა, მამამისი მას, როგორც ყველაზე ნიჭიერ შვილს, ჰაუარდის კოლეჯში უპირებდა შეყვანას, რადგან ისტორიულად ეს სასწავლებელი შავკანიანი ბავშვებისთვის იყო გათვლილი და ყველაზე ელიტური შავკანიანი ოჯახების შვილები სწორედ იქ იღებდნენ განათლებას.

– ქოულმენ, თავი რინგზე უნდა წარმოაჩინო და საქმეც მოკვარახჭინდება. მერე კი ყველაფერი თავისი დინებით წავა.

ქოულმენი ნიუ-ჯერსის შტატს არც კი იყო გაცილებული, თუ ოჯახურ მინი-ვოიაჟებს არ ჩავთვლით ნიუ-იორკში, რასაც საგანმანათლებლო დატვირთვა ჰქონდა, ასე რომ, დღის პირველი ნაწილი მშვენივრად გაატარა უესთ-ფოინთში სეირნობით, – თავი იმ ჩამოსულად წარმოიდგინა, რომელიც აქვე აპირებს ჩაბარებას, – საღამოს კი პიტსბურგის მწვრთნელმა მის წინააღმდეგ ერთი ყმაწვილი გამოიყვანა რინგზე, რომელმაც «პითიას რაინდებიდან» ერთ-ერთი მოყვარული მოკრივე გაახსენა. მეტოქე ნელი აღმოჩნდა, თან იმდენად ნელი, რომ ქოულმენი ეგრევე მიხვდა, მართალია, ოც

წელზე მეტისაცაა და კოლეჯის სახელით იბრძვის, მაგრამ მე მაინც ვერაფერს დამაკლებსო. ღმერთო, – პირველი რაუნდის შემდეგ გაიფიქრა ქოულმენმა, – მთელი ცხოვრება ამისთანებთან კრივს რეი რობინსონთან შერკინება მირჩევნიაო. საქმე არც ის იყო, რომ ქოულმენი «პითიას რაინდებში» ბრძოლის შემდეგ მთელი ათი გირვანქით იყო მომატებული. რაღაც გაუცნობიერებელი ეწეოდა არა მარტო გამარჯვებისკენ, არამედ უფრო მეტისკენ – ძალასა და მრისხანებას მატებდა წინანდელთან შედარებით და მხოლოდ გამარჯვება როდი გახდა მისი მიზანი. ის ხომ არ იყო მიზეზი, რომ პიტსბურგელმა მწვრთნელმა არ იცოდა, ქოულმენი რომელ რასას ეკუთვნოდა? ან ის, რომ მისი ვინაობა მხოლოდ და მხოლოდ მისივე საიდუმლო იყო. საიდუმლოებები კი უყვარდა, გაგიხარიათ! თავის აზრებსა და გეგმებს არავის აცნობდა, გულში იმარხავდა ყველაფერს. სხვა ბიჭები კი ენას ვერ აჩერებდნენ და ნახევარ წუთში იფქვებოდნენ. რა მუღამს იჭერდნენ ამ ენის ტარტარში, ქოულმენი ვერაფრით ხვდებოდა. ძალაუფლება და სიამოვნება – მხოლოდ ამ ორ რამეს უჭერდა ქოულმენი მუღამს. ის რინგზეც და ცხოვრებაშიც თავდაცვით პოზიციაში ამჯობინებდა ყოფნას, მართალია, ამას არავინ ურჩევდა, მაგრამ გუმანით გრძნობდა, რომ ასე უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში იყო. აჩრდილებთან კრივი და «მსხლით» ვარჯიში იმიტომ მოსწონდა, რომ ასე უფრო განმარტოებულად გრძნობდა თავს. მძლეოსნობაც ამავე მიზეზით მოსწონდა, მაგრამ ეს უკეთესად ეჩვენებოდა. ბიჭების უმეტესობა რობოტებივით უქნევდნენ მუშტებს «მძიმე მსხალს», მაგრამ ქოულმენი გაუაზრებლად არაფერს აკეთებდა: ის სავარჯიშო დარბაზშიც კი ფიქრობდა, აზროვნებდა, ყველაფერს იაზრებდა, ისევე როგორც სკოლაში ან სარბენ ბილიკზე. ყოველგვარი ზედმეტისგან ითავისუფლებდა გონებას, მხოლოდ დასახულ მიზანში, გადასაჭრელ პრობლემაში იძირებოდა ფიქრებით, იმის მიუხედავად, შეჯიბრება იყო ეს თუ საგამოცდო თემა. რა საქმესაც მოჰკიდებდა ხელს, იმ საქმის ნაწილი ხდებოდა თვითონაც. ამ პრინციპით უდგებოდა კრივსაც, ბიოლოგიასაც და სპრინტსაც. ამასთან, ვერც გარე ფაქტორი უშლიდა ხელს და ვერც შინაგანი. რინგს იქიდან რაც უნდა ეძახონ, სულერთია, მისთვის, გინდ თავად რინგზე მისი ძმაკაცი იდგეს – სულერთია. ასპარეზობის მერე ჩაუძმაკაცდება ხელახლა, რა უჭირს მერე... გრძნობებისგანაც იოლად თავისუფლდებოდა, შიში იქნებოდა, ეჭვი თუ მეგობრული დამოკიდებულება. ამ

გრძნობებს განცალკევებით ინახავდა. როდესაც აჩრდილებს, – წარმოსახვითი მოწინააღმდეგე დავარქვათ, – ესპარინგებოდა, ეს მხოლოდ გავარჯიშება-მოთელვა კი არ იყო, არამედ ნამდვილ მოწინააღმდეგეს წარმოიდგენდა და საიდუმლოდ იწყებდა მასთან ბრძოლას. რინგზეც, როდესაც მის წინ იდგა ნამდვილი, კუნთმაგარი, ოფლით აქოთებული მეტოქე, რომლის დარტყმებიც მეტისმეტად რეალური იყო, მაშინაც კი ისე განცალკევებით ინარჩუნებდა გრძნობებსა და შეგრძნებებს, რომ გულთან ახლოს არაფერს უშვებდა. აქ სხვა სისტემა მოქმედებდა, განსხვავებით საკლასო ოთახისგან, სადაც მასწავლებელი სვამს კითხვებს და მან უნდა უპასუხოს; აქ თავში მოსული ყველა კითხვა საიდუმლოდ უნდა შეინახოს კაცმა, ხოლო საიდუმლოს გათქმას თუ დააპირებს, საქმეში ენა კი არა, სულ სხვა რამ ერთვება.

ასე რომ, მითურ და მაგიურ უესთ-ფოინთშიც კი, სადაც იმ დღეს ის შეგრძნება ჰქონდა, თითქოს დროშის ყოველ კვადრატულ დუიმში, უესთ-ფოინთის ფლაგშტოკზე რომ ფრიალებდა, უფრო მეტი ამერიკა იყო, ვიდრე ნებისმიერ იმ დროშაში, რომელიც კი ოდესმე ენახა ცხოვრებაში, სადაც კურსანტების ფოლადის გამომეტყველება რაღაც გმირული საქციელისკენ უბიძგებდა, – აქაც კი, ამ პატრიოტულ ცენტრში, ქვეყნის გულისგულში, სადაც თექვსმეტი წლის მოზარდის მიერ განცდილი ადგილის შეგრძნება ზუსტად შეესაბამებოდა ოფიციალურ სახეს და ყოველივე დანახული სიყვარულს უძლიერებდა არა მხოლოდ საკუთარი თავისადმი, არამედ სრულიად გარე სამყაროსადმი, სადაც ყოველი – მზე, ცა, მთები, მდინარე, ხეები – მისივე საკუთარი არსებობის განსახიერება იყო, მისი – ქოულმენ-ბრუტუსისა, «სილქი სილქისა», მემილიონედ ხარისხში აყვანილისა, – აქაც კი მისი საიდუმლო ყველასათვის ფარული იყო და პირველ რაუნდში გამოსული სულაც არ მოიქცა ისე, როგორც მაქ მაქროუნის შეუდარებელი კონტრშემტევი. ეგრევე წინ გაიჭრა და მეტოქის ბეგვას შეუდგა. ერთი დონისა რომ ყოფილიყვნენ, ქოულმენი გონებას ჩართავდა, მაგრამ მსუბუქ მოწინააღმდეგესთან ის მუშტებითაც იოლად გადიოდა ხოლმე, თუმცა კი ნებისმიერ დროს შეეძლო ტაქტიკის შეცვლა. სწორედ ეს მოხდა უესთ-ფოინთში. ახალი დაწყებული ჰქონდათ, რომ ორივე თვალი ამოულურჯა ტიპს და ცხვირიც დაუზილა. მერეც ასე განაგრძო. ბოლოს კი ის მოხდა, რაც არასდროს მომხდარა, – ჰუკი ხეთქა

და ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს მუშტის მოქნევიდან გზის სამი მეოთხედი მეტოქეს გულ-მუცელში გაუტარა. ქოულმენი გაოგნდა, რამსიღრმეზე შევედიო, მაგრამ წარმოიდგინეთ, მის მეტოქე პიტსბურგელ ბიჭს ეს როგორ გააკვირვებდა. ქოულმენი სულ რაღაც ას ოცდარვა გირვანქას იწონიდა და ნოკაუტერსაც არაფრით ჰგავდა. ფეხებსაც კი ვერ დგამდა ისე, რომ ერთი კარგი დარტყმა ყოფილიყო მისგან მოსალოდნელი, რადგან მას სულ სხვა სტილი ჰქონდა. ასე იყო თუ ისე, დარტყმა ისეთი ძლიერი მოუვიდა, რომ მოწინააღმდეგე ორად მოკეცა, არადა, კოლეჯის გუნდის მოკრივე იყო, თან უკვე ოცი წლისა, ქოულმენმა კი ისეთი ხია, რომ ლამის მუცლის ფარი შეუხია, დოქტორ ჩიზნერის თქმისა არ იყოს. ჰო, ზუსტად ასე მოხდა და ქოულმენს წამიერად მოეჩვენა, რომ ორად მოკეცილ მეტოქეს სადაცაა ამოაღებინებდა, ამიტომ დრო იხელთა და მარჯვენა გაუქანა, რადგან ამ თეთრკანიანისაგან სულის ამორთმევა უნდოდა, მაგრამ ამ დროს პიტსბურგელმა მწვრთნელმა, რომელიც მსაჯობდა კიდეც, შეუყვირა: «არ ქნა, სილქი!» – და მოქნეულ ხელზე ხელი სტაცა. ორთაბრძოლა შეწყდა.

– ისე, ის ბიჭი, – დაიწყო დოქტორმა უკანა გზაზე, – ვინმე დოყლაპია არ გეგონოს. უბრალოდ, კუთხეში რომ მიიქციე, ვერ გაიაზრა, რა მოხდა, ამიტომაც მოგიწია, ძალით მიგეხვედრებინა. მაგარია! ტიპი შუაზე გაკეცე და აზრზე ვერ მოვიდა, რა მოხდა.

გამარჯვებისა და უკანასკნელი დარტყმის მაგიურობითა და ექსტაზით თავბრუდახვეულმა ქოულმენმა, სიშმაგის თბილი ტალღები რომ ეხეთქებოდა მის გონებას და «შუაზე გაკეცილ» ბიჭზე ნაკლებად არ იყო გაოგნებული, თითქოს ორთაბრძოლას სიზმრად ხედავსო, ამოილაპარაკა:

– მგონი, დოქ, მისთვის ზედმეტად ხელსწრაფი აღმოვჩნდი.

– თან როგორი! არა, აქამდეც ვიცოდი, რომ ხელი სწრაფი გქონდა, მაგრამ ძლიერიც ყოფილხარ. ამაზე მაგარი ჰუკი შენგან არ მახსოვს, სილქი. მართლაც მეტისმეტად ძლიერი აღმოჩნდი მისთვის.

მართლა, არა? უფრო ძლიერი, ხომ?

* * *

და მაინც, ქოულმენმა ჰაუარდში ჩააბარა. ასე რომ არ მოქცეულიყო, მამამისს ვერ გადაურჩებოდა, მისტერ სილქი უბრალოდ სიტყვებით, ინგლისური ენით მოუღებდა ბოლოს. ოჯახის უფროსს ხომ მრავალწლიანი გეგმა ჰქონდა დასახული: ქოულმენს ჰაუარდში უნდა ჩაებარებინა სამედიცინო ფაკულტეტზე, იქ ღიაფერკანიანი ზანგის გოგო გაეცნო წესიერი ოჯახიდან, ცოლად შეერთო და სახლი ეყიდა. მოკლედ, ოჯახს მოჰკიდებოდა. მერე, მათი შვილები რომ გაჩნდებოდნენ და გაიზრდებოდნენ, ისინიც ჰაუარდის გზას დაადგებოდნენ. შავკანიანთა კოლეჯში ქოულმენი თავისი საოცარი ნიჭისა და გარეგნობის წყალობით უეჭველად გაიბრწყინებდა და ისეთ სიმაღლეს მიაღწევდა, რომ უბატონოდ ხმას ვერავინ გასცემდა. მაგრამ ჰაუარდში ჩაბარებიდან ერთი კვირის თავზე შემდეგი რამ მოხდა: შაბათ დღეს ოთახის მეგობართან, ნიუ-ბრანზუიქელი იურისტის ვაჟთან ერთად, ხალისით გაემგზავრა ჯორჯ ვაშინგტონის მონუმენტის სანახავად. გზად «ბულვორსთში» შეიარეს ჰოთდოგებით წასახემსებლად, სადაც ზანგი უწოდეს. ცხოვრებაში პირველად. არც ჰოთდოგი მისცეს. ვაშინგტონის შუაგულში, მაღაზიაში, დღისით-მზისით, ასეთი ფორმით მიღებულმა უარმა და გასვლისას მიძახებულმა «ზანგომ» ისე დარია ხელი, რომ საკუთარ გრძნობებს აგრერიგად იოლად ვერ მიუჩინა განცალკევებული ადგილი, როგორც რინგზე ახერხებდა ხოლმე ამას. ისთ-ორინჯის საშუალო სკოლაში ფრიადოსანი, თითით საჩვენებელი ბიჭი იყო, აქ კი, სეგრეგირებულ სამხრეთში, უბრალოდ ერთ-ერთი მორიგი შავტრაკა.

სეგრეგირებულ სამხრეთში ცალკეული პიროვნების ცნება არ არსებობდა. ამ მხრივ არც ქოულმენი და მისი ოთახის მეგობარი წარმოადგენდნენ გამონაკლისს. არავითარი დახვეწილობა აქ არ ჭრიდა. რამხელა დარტყმა მიაყენეს, ზანგი უწოდეს.

ისთ-ორინჯშიც, რასაკვირველია, არავინ იყო დაზღვეული რასიზმისაგან, მაგრამ თქმასაც გააჩნდა და მოქცევასაც. თვითონ ხომ შავკანიანთა ოჯახიდან იყო და იმ პატარა საზოგადოებას ეკუთვნოდა, რომელიც თეთრკანიანთა ბევრად მრავალრიცხოვანი პუბლიკისგან მაინც ერთგვარად გამიჯნული იყო. ამგვარ მოვლენას მამამისი ნეგროფობიას უწოდებდა. ქოულმენმა ისიც კარგად იცოდა, რომ

პენსილვანიის რკინიგზაზე მომუშავე მამამისს ვაგონ-რესტორანში ბევრი შეურაცხყოფის გადაყლაპვა უწევდა. იმისდა მიუხედავად, იყო თუ არა პროფკავშირის წევრი, კომპანიის არაერთ ქმედებაზე უწევდა თვალების დახუჭვა. ახლა კი რამხელა შეურაცხყოფა იგემა, ისთ-ორინჯში რომ ვერც კი წარმოიდგენდა, ისეთი, ამ საზრიანმა, ფრიადოსანმა, სპორტსმენმა ბიჭმა, რომელსაც გული ენთუზიაზმით ჰქონდა სავსე, ხოლო კანი ჩვეულებრივ ზანგზე ბევრად ღია ფერისა მიეცა ბუნებას. ხშირად ხედავდა ხოლმე, სამსახურიდან შინ დაბრუნებულ მამამისს სული კბილით ეჭირა, რომ არ აფეთქებულიყო, რადგან ისეთი რამ ჰქონდა განცდილ-გადატანილი, რაც მის პიროვნებას შეურაცხყოფდა. არადა, რა ექნა, ადგილი რომ შეენარჩუნებინა, «დიახ, სერ» უნდა ეთქვა მხოლოდ. ღიაფერისკანიან ზანგებს ხშირად არცთუ ადამიანურად ექცეოდნენ. «ყოველთვის, როდესაც თეთრი გელაპარაკება, – ეტყოდა ხოლმე მამამისი, – რაოდენ კარგი ზრახვაც უნდა ჰქონდეს, მაინც გრძნობ, რომ თავის ინტელექტუალურ უპირატესობაშია დარწმუნებული. ასე თუ ისე – სიტყვით, სახის გამომეტყველებით ან ტონით, ან გაღიზიანებით, ან პირიქით, ღიმილიანი მოთმინებითა და თავისი ბრწყინვალე ჰუმანურობით – მუდამ გაგრძნობინებს, რომ ჩლუნგი და თავცარიელი ხარ, ხოლო თუ ეს ვერ აღმოაჩინა, ნეტავ განახვათ, როგორ გაოცებულ სახეს იღებს». როცა კი ქოულმენი ჰკითხავდა ხოლმე, რა მოხდა ასეთიო, მამამისი თავს არიდებდა პასუხს, ოღონდ არა იმდენად პატივმოყვარეობის, რამდენადაც ზიზღისა და გულისრევის გამო. პედაგოგიური მიზნებისათვის ამ მომენტის გამოყენებაც საკმარისი იყო. «რაც მოხდა, შვილო, – ეტყოდა ხოლმე დედა, – იმაზე მამაშენს ლაპარაკიც კი ეთაკილება».

ისთ-ორინჯის სკოლაში რამდენიმე მასწავლებელი იყო, რომელთა მიკერძოებულობასაც ქოულმენი გრძნობდა: გასაგებია, რომ თვითონ ნიჭიერი იყო, მაგრამ ბევრი ჭკვიანი თეთრკანიანიც სწავლობდა მასთან ერთად, რაც, სიმართლე ითქვას და, არასდროს უშლიდა შედეგის მიღწევაში ხელს. დისკრიმინაციის უმნიშვნელო გამოვლინებებს ისე გადააბიჯებდა ხოლმე, როგორც რინგზე დაბალ ბარიერებს. თავს ისე იჭერდა, თითქოს არაფერი სტკენდა გულს და ყველაფერი ფეხებზე ეკიდა, თუმცა ამავეს მისი ძმა უოლთერი ვერ ახერხებდა. არათუ ვერ ახერხებდა, არც სურდა თავის ისე

დაჭერა, თითქოს არაფერი ხდებოდა. უოლთი სკოლის საფეხბურთო გუნდში თამაშობდა, კარგად სწავლობდა, კანიც ზუსტად, ძმასავით, ზანგისათვის უჩვეულო ფერისა ჰქონდა, მაგრამ გასაღიზიანებლად ელემენტარულიც ჰყოფნიდა. მაგალითად, თუ რომელიმე თეთრკანიანი ბიჭის მშობლები სახლში არ შეიწვევდნენ და გარეთ აცდევინებდნენ, ანდაც რომელიმე ქერა ბიჭი, რომელსაც უოლთი მეგობრად მიიჩნევდა, დაბადების დღეზე არ მიიპატიჟებდა, მთელ თვეს სალაპარაკოდ ჰქონდა ხოლმე. ძმებს ერთ ოთახში ეძინათ, ამიტომ ქოულმენს არაერთხელ მოუსმენია გულდაწყვეტილი უფროსი ძმის საყვედურები. ერთხელ ტრიგონომეტრიაში უმაღლესი ნიშანი არ დაუწერა მასწავლებელმა, უოლთერი წამოდგა მერხიდან, პედაგოგთან მივიდა, თეთრ სახეში ჩახედა და მიახალა: «მგონი, დიდი შეცდომა დაუშვით». ამ უკანასკნელს ჟურნალის გადაშლამ მოუწია, რომ მისი ნიშნები ენახა საკონტროლოებში და აღიარა კიდეც შეცდომა, თუმცა აქვე მეორე შეცდომაც დაუშვა დაუფიქრებლად გაცემული პასუხით: «ვერც კი წარმოვიდგენდი, ასეთი კარგი შედეგები თუ გექნებოდა», თუმცა კი შეფასება «კარგი» შეფასება «ფრიადით» გადაუსწორა. ქოულმენი კი ფიქრშიაც ვერ წარმოიდგენდა, რომ მასწავლებლისათვის ნიშნის შეცვლა მოეთხოვა, მაგრამ ეს ხომ არც არაფერში სჭირდებოდა. იქნებ იმიტომ, უოლთივით ფხიანი ვერ იყო, ან იმიტომ, რომ უმართლებდა, ანდაც ისედაც სულ «ფრიადს» უწერდნენ და თავის ატკივებაც არ სჭირდებოდა, ანდაც იქნებ იმიტომ ხდებოდა ასე, რომ უოლთივით თავის დაკვლა არ უწევდა გაკვეთილების მომზადებისას. როდესაც მეშვიდე კლასში უკვე ქოულმენი არ მიიპატიჟეს თეთრკანიანი მეგობრის სახლში დაბადების დღეზე, – ეს მეგობარი მისივე უბანში, მრავალბინიან კორპუსში ცხოვრობდა და ამავე კორპუსის კომენდანტის შვილი იყო (საბავშვო ბაღიდან ერთად მოდიოდნენ ის და ქოულმენი და სკოლაშიც ერთად დადიოდნენ), ჩვენმა გმირმა, როგორც კი გულისტკენამ გაუარა, ეს ამბავი აღიქვა არა როგორც საზოგადოდ თეთრკანიანების, არამედ როგორც დიქი უოთქინის იდიოტი მშობლების უსამართლო საქციელი. როდესაც ჩიზნერის კლასში კრივს ასწავლიდა, ხედავდა, რომ ბევრ თეთრკანიან ბიჭს მშობლები უნერგავდნენ ზიზღს, ბევრი თავსაც არიდებდა (ფიზიკურ კონტაქტს გაურბოდნენ, მის ოფლის სუნს ერიდებოდნენ, ზოგჯერ საერთოდ ტოვებდნენ კიდეც კრივის გაკვეთილებს)

და ქოულმენის ღრმა რწმენით დამნაშავეები ისევ და ისევ მშობლები იყვნენ, რომელთაც არ სურდათ, მათ თეთრ-ყირმიზ ბიჭებს მუქკანიანებთან ერთად რამე ესწავლათ. თუმცა, უოლთისგან განსხვავებით, რომელსაც იარად აჩნდებოდა ყოველი წყენა, ქოულმენი ბოღმიანი არ იყო და იოლად ივიწყებდა გულისტკენას, ან თავი ეჭირა ისე, თითქოს ყველაფერი დავიწყებული ჰქონდა. ერთხელ მორბენალთა გუნდის ერთ-ერთი ბიჭი, თეთრკანიანი, ავარიაში მოყვა. ამხანაგები, მათ შორის ქოულმენიც, მაშინვე გაიქცნენ და გადასასხმელად სისხლი შესთავაზეს მის მშობლებს, მაგრამ ქოულმენს სისხლის გაღებაზე თავაზიანი უარი უთხრეს. უბრალოდ, მადლობა გადაუხადეს და უთხრეს, სისხლი ისედაც გვყოფნისო. ნეტავ რა ეგონათ, ვერაფერს მიხვდებაო? არადა, საკმარისად გონიერი იყო, რომ მიმხვდარიყო და კარგადაც ჩასწვდომოდა ყველაფერს. სარბენ ბილიკზე ხომ უამრავ თეთრკანიან ბიჭთან ერთად უწევდა ვარჯიში – ბარინდჯერელ იტალიელებთან, ისთ-საიდელ პოლონელებთან, სენთრალელ ირლანდიელებთან, უიქუეიქელ ებრაელებთან. ნებსით თუ უნებლიეთ რაღაცას თვალს მოჰკრავდა, რაღაცას ყურს... ხვდებოდა, რაც ხდებოდა და რაც არ ხდებოდა, ყოველ შემთხვევაში, თავის ცხოვრებაში განვითარებულ მოვლენებს ნათლად აღიქვამდა. მშობლების დაცვა, უფროსი ძმის მფარველობა, რომელიც აგერ უკვე ექვსი გირვანქითა და ორ-ნახევარი დუიმით მომატებულიყო, თავად ქოულმენის შინაგანი რწმენა, აშკარა მიმზიდველობა და სირბილში სიმარდე («ყველაზე ფეხმარდი ბიჭი სამივე ორინჯში»), კანის ფერიც კი, რომელიც ხალხს ასე აბნევდა, – ეს ყოველივე იმ შეურაცხყოფას უქარწყლებდა, რაზეც უოლთს ელეთმელეთი მოსდიოდა. აქ ხასიათთა განსხვავებაც უნდა მივიღოთ მხედველობაში: უოლთი თავისებური იყო, განსხვავებული, ქოულმენი კი ქოულმენი იყო და არა უოლთი, ჰოდა, რეაქციაც შესაბამისად სხვადასხვაგვარი ჰქონდათ.

* * *

მაგრამ «ზანგიო», მასზე თქვან? ამან სულ გააოგნა. მაგრამ თავზევით ძალა არ იყო, უსიამოვნება რომ აერიდებინა თავიდან, მაღაზიიდან უხმოდ გამოსვლამ მოუწია. აქ «პითიას

რაინდების» სამოყვარულო ტურნირი კი არ იყო კრივში. ეს ვაშინგტონში, ქვეყნის დედაქალაქში მდებარე «ვულვორთსი» იყო. აქ მუშტების ან ფეხების სიმარდე და სისხარტე ან მრისხანება არაფერს წყვეტდა. არა, მამამისს ან უოლთერს რომ უწევდა მსგავს რაღაცებზე თვალის დახუჭვა და გულისხეთქა, გასაგები იყო, მაგრამ მას, ცხოვრებაში აზრადაც რომ არ მოუვიდოდა ასეთი რამ, ახლა პირისპირ მოუწია შეჩეხებამ. ახლა უკვე ესმოდა, რამხელა ძალისხმევა სჭირდებოდა მამამისს ვაგონ-რესტორანში. წინათ ვერც იფიქრებდა, ვერც დაუფიქრდებოდა, რაოდენ დაცული ყოფილა მისი ცხოვრება; ვერც იმაზე ფიქრით შეიწუხებდა თავს, რამხელა ძალის პატრონი ყოფილა მამამისი, რომ ძალისხმევას არ იშურებდა და გამოსდიოდა კიდეც შეურაცხმყოფელი გამოხდომების უსიტყვოდ ატანა. აი, თვითონაც იწვნია იგივე, რისი მოთმენაც მამამისს უწევდა ხოლმე. ამით ისიც დაინახა, რარიგ დაუცველი ყოფილა მამამისი, რომელიც თავისი ავტორიტეტული, მკაცრი ხასიათითა და ზოგჯერ აუტანელი მოთმინების უნარით სრულიად უვნებელი ეგონა, რადგან მისტერ სილქი თავს ისე იჭერდა, თითქოს ვერაფერი გატეხდა და მოდრეკდა. მხოლოდ ახლაღა მიხვდა ქოულმენი, ზანგი როცა უწოდეს, როგორ ფარად ედგა მამამისი მასაც და მის ოჯახსაც დიდი ამერიკული საფრთხისგან დასაცავად.

თუმცა ჰაუარდშიც არ ყოფილა ყველაფერი ია-ვარდით მოფენილი. განსაკუთრებით მაშინ გაუჭირდა, როდესაც საერთო საცხოვრებლის მეზობლებმაც სხვანაირად დაუწყეს ცქერა როგორც ზანგს, არადა, მათ არც ფული აკლდათ და არც კარგი ტანსაცმელი, ზაფხულობითაც გავარვარებული ქალაქის ქუჩებიდან შეეძლოთ თავის გარიდება და ნამდვილ ბანაკში წასვლა, ისეთში კი არა, ნიუ-ჯერსის ბოისკაუტურ ბანაკში რომ დადიოდნენ ღარიბები, არამედ მაგარ, კეთილმოწყობილ დასასვენებელ ადგილას, სადაც ჩოგბურთსაც თამაშობდნენ, ცხენებითაც დაჯირითობდნენ და წარმოდგენებსაც დგამდნენ. ან «კოტილიონი» რა ჯანდაბა იყო ან ჰაი-ლენდი სად მდებარეობდა? ბიჭებს სულ ეს სიტყვები ეკერათ პირზე. პირველ კურსზე ყველაზე ღია ფერისა იყო კოლეჯში, თავის ოთახის მეგობარზეც კი, რომელსაც ჩაისფერი კანი ჰქონდა, მაგრამ კოლეჯის ბიჭებმა იმდენი რამ იცოდნენ, რომ მათ ფონზე პლანტაციის ნახშირა ზანგი უფრო ეთქმოდა. ჰაუარდი პირველივე დღიდან შესძულდა, ვაშინგტონი კი პირველივე

კვირიდან, ამიტომაც იყო, რომ ოქტომბრის დამდეგს, როდესაც მამამისი ვაგონ-რესტორანში დაეცა და ვეღარც ადგა ფეხზე, დაკრძალვაზე სახლში ჩამოსულმა დედას განუცხადა, კოლეჯში აღარ დავბრუნდებიო. დედა მაშინვე შეუდგა გადარწმუნებას, კიდევ ერთხელ უნდა სცადო, იქაც იქნება ვინმე შენსავით მოკრძალებული ოჯახიდან, ვისაც უეჭველად დაუმეგობრდებიო, მაგრამ დედის ვერც ერთმა სიტყვამ ვერ გადააფიქრებინა, რაოდენ გულწრფელადაც ყოფილიყო ნათქვამი. მხოლოდ ორ ადამიანს შესწევდა მისი გადარწმუნების ძალა – მამამისსა და უოლთერს, თუმცა ისინიც ვერ მოახერხებდნენ დიდი სჯა-ბაასის გარეშე მის დაყოლიებას. მაგრამ უოლთი იტალიაში იბრძოდა, სიტყვამახვილი და ენამჭევრი მამა კი ამქვეყნად აღარ იყო.

ქოულმენი დაკრძალვაზე ცრემლებს ვერ იკავებდა, რადგან დანაკარგის მნიშვნელობა მეტისმეტად კარგად ესმოდა. როდესაც ბიბლიური ტექსტების შემდეგ მღვდელმა ნაწყვეტი ამოიკითხა «იულიუს კეისრიდან», – მისტერ სილქისთვის ასე ფასეული შექსპირის ერთ-ერთი ტომი ეკავა, ტყავისყდიანი წიგნი, რომელიც ბავშვობაში ქოულმენს კოკერ-სპანიელის ყურებს ახსენებდა ხოლმე – მამამკვდარმა ბიჭმა მკაფიოდ იგრძნო მამის კეთილშობილება და სიდიადე მისი აღზევებისა. გაისიგრძეგანა დაცემა, რომლის სიდიდის აღქმაც ქოულმენმა მაშინ დაიწყო ბუნდოვნად, როდესაც ლამის მთელი თვე გაატარა კოლეჯში, ანუ ისთ-ორინჯის ოჯახური კერიდან შორს.

«ლაჩარი სიკვდილს ბევრჯერ გემობს თვით სიკვდილამდე,

მამაცს კი იგი მხოლოდ ერთხელ შეხვდება წილად.

რომ დამეკითხო, გასაოცრად ის მიმაჩნია,

კაცთ ეშინიანთ სიკვდილისა, თუმცა იციან,

ეს ბოლო ერთ ჟამს უსათუოდ ყველას მოგველის».[14]

პასტორმა სიტყვა «მამაცი» რომ წარმოთქვა, ქოულმენს ვაჟკაცური სტოიციზმის და ფხიზლად თავდაჭერის ჯავშანი ჩამოჰგლიჯა. მასში ბავშვურმა წუხილმა გაიდგა ფესვი უახლოესი ადამიანის დაკარგვის გამო, რომელსაც ვეღარასოდეს ნახავდა, მამის გარდაცვალების გამო, რომლის ომახიანი ხმაც მისივე განცდებს ფარავდა, თავანკარა ინგლისურით მეტყველება კი იმაში ეხმარებოდა, რომ

ქოულმენისათვის კოლოსალური მწვერვალების დაპყრობის სურვილი აღეძრა. ქოულმენი ცრემლებს ვეღარ იკავებდა, რადგან ყველაზე ფუნდამენტურ და ამოუწურავ გრძნობას მოეცვა მისი არსება, გრძნობას, რომლის გაძლება არც ისე იოლი იყო. მოზარდობისას, როდესაც მეგობრებს მამაზე ეწუწუნებოდა, თავის სიტყვებში გაცილებით მეტს დებდა, ვიდრე უბრალოდ ზიზღია, ვიდრე გრძნობდა და შეეძლო, ეგრძნო; მამას განსჯიდა და პრეტენზიაც ჰქონდა, რომ პირუთვნელად მსჯელობდა, რაც მას ერთგვარ დაცვით ფარს უქმნიდა და რის გასაჯაროებასაც არასდროს ერიდებოდა. ახლა კი, როდესაც ის ადამიანი გამოეცალა ხელიდან, ვინც მას კონტურს ავლებდა და სიტყვიერ აღწერილობას აძლევდა, მისთვის თითქოს ყველა საათი გაჩერდა სამყაროში და დროის გაგება შეუძლებელი გახდა. სანამ ვაშინგტონში ჩავიდოდა ქოულმენი და ჰაუარდში შეიტანდა საბუთებს, სწორედ მამამისი ქმნიდა ვაჟის უკითხავად მის ისტორიას, მისი ცხოვრების ისტორიას... ახლა კი საკუთარი ცხოვრების ისტორია თავად უნდა შეექმნა. ეს კი შიშის ზარს სცემდა ყმაწვილს. სამი საშინელი დღე გავიდა, მძიმე კვირაც მიილია და, როგორც იქნა, ორი გაუსაძლისი კვირაც გადაიშალა ოჯახის მწუხარების კალენდარზე – უეცრად კი თითქოს არსაიდანო, სიხარული ეწვია.

«როგორ ავირიდოთ ბედი ძლევამოსილ ზეციერთა მიერ ნაბოძი?» – «იულიუს კეისარში» ამოკითხულ ამ სიტყვებს მამა ხშირად უმეორებდა ხოლმე, მაგრამ ახლა, როდესაც მამა უკვე კუბოში იწვა, ეს სიტყვები ცხადად ჩაესმა და გონებაში განადიდა. «ზეციერთა მიერ ნაბოძი»; სილქი სილქის თავისუფლება. განწმენდილი მეობა. «აბრეშუმის სილქად» ყოფნის სინატიფე.

ჰაუარდში აღმოაჩინა, რომ ვაშინგტონური გაგებით, ის არა მხოლოდ ზანგი იყო, არამედ «შავტრაკაც» – ჰაუარდელი შავტრაკა. უეცრად განწმენდილი მეობა, ანუ საკუთარი «მე» რაღაც მასობრივ «ჩვენში» გადავიდა, მას კი ამ «ჩვენთან» საერთო არაფერი ჰქონდა და არც სურდა; ისევე როგორც არავისთან და არაფერთან. მაგრამ ოჯახური «ჩვენის» მიტოვებასთან ერთად, ურიდან[15] გასული აბრაამისა არ იყოს, სულ სხვა «ჩვენ» აღმოაჩინა. ნუთუ სახლის შემცვლელი ადგილი იყო? ისთ-ორინჯშიც ზანგი იყო, ცხადია, მაგრამ იქ პატარა, ასე 4-5 ათასკაციანი საზოგადოების წევრი იყო, მაგრამ

კრივის დროს, სირბილისას თუ სკოლაში წარმატებების სერიის მიღწევისას, ან სამივე ორინჯში სეირნობისას დოქტორ ჩიზნერთან იქნებოდა თუ მის გარეშე, ნიუარკის საზღვრის გადაკვეთისას სულაც არ ფიქრობდა ამ საკითხზე ან კიდევ სხვა რამეზე. ის ქოულმენი იყო, უდიდესი პიონერი საკუთარი «მესი» უდიდესთა შორის.

მერე ვაშინგტონში წავიდა, სადაც გაირკვა, რომ ზანგიც იყო და ნიგერიც.[16] არა! არა! ნურას უკაცრავად! რომ დაინახა, რა ბედიც ელოდა იქ, გულში შეუკურთხა ყველგანმდევარს. ბედთან უმცირეს შეხებაზეც კი ტანში ჟრუანტელი უვლიდა. დიდი «ისინი» მას დაჯაბნას უქადდნენ თავიანთი მოუთმენლობით, უფლება არ უნდა მიეცა არც პატარა «მათთვის», რომ საკუთარი ეთიკა მოეხვიათ თავზე. ქოულმენი უკვე ვერავითარი «ჩვენის» ტირანიას ვეღარ მოითმენდა მთელი თავისი სიტყვის კონით. არავითარი ტირანია იმ «ჩვენისა», რომელიც გალურსულა, მაგრამ შთანთქმას უქადის ადამიანს ყოვლისმომცველი, ისტორიულად მოცემული, ზნეობრივად აუცილებელი მზაკვრული E pluribus unum-ით;[17] აღარავითარი ვულვორთსული «ისინი» და აღარავითარი ჰაუარდული «ჩვენ», არამედ განწმენდილი «მე» მთელი თავისი სიმარდით. თვითაღმოჩენა – აი, მისი პასუხი ყველას, აი, მისი დარტყმა მუცელში. მისი თვითმყოფადობა. გაცხარებული ბრძოლა ამ თვითმყოფადობისათვის. არავითარი უძრაობა. სლიკინა შეხება მთელ სამყაროსთან. არავითარი უძრავად ყოფნა, არამედ სხლეტა. თავის შეცნობა, ოღონდ ფარული. აი, ძლევამოსილების ნამდვილი წყარო.

«მარტის იდებს ერიდეთ». სისულელე! ნურაფერსაც ნუ მოერიდებით. სრული თავისუფლება. ორი ბასტიონი გამოეცალა – უფროსი ძმა ევროპაში იბრძოდა, მამა უკვე სამარეში ეწვა, – ქოულმენმა უეცრად ძალის მოზღვავება და თავისუფლება იგრძნო: ვინც გაუხარდება, ის გახდება, უმაღლესი მწვერვალების დაპყრობასაც შეძლებს, თავის განუმეორებელ «მესაც» დაამტკიცებს. ისეთი თავისუფლება შეიგრძნო, მამამისს აზრადაც რომ არ მოუვიდოდა. იმდენად იყო თავისუფალი, რამდენადაც მამამისი იყო ჩაკეტილი. თავისუფალი გახდა არა მხოლოდ მამისგან, არამედ იმისგანაც, რისი ატანაც მისტერ სილქს უწევდა. ჭაპანწყვეტისგან. დამცირებისაგან. ბარიერებისგან. ჭრილობების, ტკივილისა და თავის მოჩვენებისაგან, სირცხვილისაგან – დაცემისგან

გამოწვეული შინაგანი ტანჯვისაგან. ცხოვრების არენაზე გამოსასვლელად უკვე მზად იყო.

სრულიად თავისუფლად შეეძლო წინსვლა და კოლოსალური წარმატების მოპოვება. შეეძლო მთავარი როლი ეთამაშა ადგილის ნაცვალსახელთა «ჩვენ», «ისინი» და «მე» უსაზღვრო დრამაში.

ომი მიდიოდა და სადაცაა გამოძახება უნდა მოსვლოდა. თუკი უოლთერი იტალიაში ჰიტლერს ებრძვის, მაშ, რატომ მანაც არ უნდა გაივარჯიშოს მკლავი იმ ნაბიჭვრის წინააღმდეგ? 1944 წლის ოქტომბერი იდგა, თვრამეტი წლის შესრულებამდე ერთი თვეღა ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ ამ თარიღის დამალვა და 12 ნოემბრის 12 ოქტომბრამდე გადმოწევა იოლზე იოლი იყო. დედამისი ისე წუხდა და განიცდიდა, განსაკუთრებით შვილის კოლეჯიდან წამოსვლა აღელვებდა, რომ მისი დარდით გულმოკლულმა ქოულმენმა დროულად ვერ მოისაზრა, რომ თავისი რასობრივი წარმომავლობის დამალვაც შეეძლო. უპრობლემოდ შეეძლო, საკუთარი თავისთვის თეთრკანიანიც ეწოდებინა და შავკანიანიც. მაგრამ ეს თავში აზრად არ მოსდიოდა, სანამ ნიუარკის ფედერალურ დაწესებულებაში იჯდა და საბუთების მთელი წყება ჰქონდა შესავსები, რომ სამხედრო-საზღვაო ფლოტში ჩარიცხულიყო. საბუთებს ისე ეცნობოდა, თითქოს სასკოლო გამოცდებისთვის ემზადებაო. იმხანად იმწუთიერი პრობლემებით ცხოვრობდა და უფრო მნიშვნელოვანზე გონების გადართვა უჭირდა. ასე რომ, ეს აზრი იმ დროს თავში არ მოსვლია. თავდაპირველად მხოლოდ რაღაც ჭია უღრღნიდა გულს, თითქოს ცხოვრებაში პირველი დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგებსო.

* * *

ორმოცდაექვს წელში, როდესაც ქოულმენი უკვე დემობილიზებული იყო, ერნესტინი ნიუ-ჯერსის შტატის მონტკლერში პედაგოგიურ კოლეჯში დაწყებითი სწავლების ფაკულტეტზე სწავლობდა. უოლთი ამავე კოლეჯს ამთავრებდა და და-ძმა დაქვრივებულ დედასთან ერთად ცხოვრობდა. მაგრამ ქოულმენმა ერთმნიშვნელოვნად გადაწყვიტა, რომ მარტოს ეცხოვრა, უნივერსიტეტში ჩაბარა

და ჰუძონის მეორე მხარეს, ნიუ-იორკში დაიდო ბინა. იმაზე უფრო მეტად, ვიდრე ესწავლა და ნიუ-იორკის უნივერსიტეტის დიპლომი მიეღო, პოეტობა ან დრამატურგობა და გრინვიჩ-ვილიჯში დასახლება სურდა, მაგრამ ლუკმაპურისთვის ნებისმიერი სამუშაოს შესრულება ეთაკილებოდა, ამიტომ მობილიზებულთათვის განკუთვნილ სტიპენდიას დასჯერდა. მაგრამ პრობლემა ის გახლდათ, რომ სწავლის დაწყება და სტუდენტური წინსვლა ერთი იყო, მუდამ უმაღლეს ქულებს იღებდა და მეორე კურსის ბოლოსთვის «ფი-ბეტა-კაპას»[18] საზოგადოებაში გაწევრების გზას დაადგა, ანტიკურ სიტყვიერებაში დიპლომის ასაღებადაც ბევრი ჯაფა აღარ დასჭირდებოდა. სხარტმა გონებამ, კარგმა მეხსიერებამ და უზადო მეტყველებამ ლიდერის პოზიციები განუმტკიცეს, რასაც ნაჩვევიც იყო, შედეგად კი, იმან, რისთვისაც ნიუ-იორკში დასახლდა, გზა სხვას დაუთმო – იმას, რაშიც არც წახალისება აკლდა და რაშიც, ყველას აზრით, შეუსვენებლად უნდა ემეცადინა და კიდევ უფრო წინ წასულიყო, მით უმეტეს, რომ ეს ახალი გზა თავიდანვე ია-ვარდით მოეფინა და წარმატებას წარმატებაზე აღწევდა. წარმატება რეგულარული გახდა, თითოეულ საგანში მწვერვალს იპყრობდა. ცხადია, ამის მოთმენა შეიძლებოდა, რადგან საყოველთაოდ მოწონებულ ასპარეზზე გამოდიოდა და არცთუ ურიგოდ, მაგრამ გულისგულში ხომ მაინც სულ სხვა მიზანი ჰქონდა. სკოლაში სწავლისას ლათინურსა და ბერძნულში ბრწყინავდა და ჰაუარდის სტიპენდიაც მიიღო, თუმცა ერჩივნა «ოქროს ხელთათმნის» ტურნირში კრივით გაეკვლია გზა. ბრწყინვალება არც ახლა აკლდა, მაგრამ პედაგოგებს რომ თავისი ლექსები წარუდგინა, აღფრთოვანება არ გამოუწვევია. გარდა წიგნებისა, სირბილითა და კრივითაც იქცევდა თავს – თავიდან მხოლოდ გასართობად, მერე კი, ერთხელ, სპორტდარბაზში ვარჯიშის დროს, ოცდათხუთმეტი დოლარი შესთავაზეს ოთხრაუნდიან ბრძოლაში სენთ-ნიქსში, სადაც წასული მოკრივის ადგილს სთავაზობდნენ. ისიც ადგა და დათანხმდა, «ოქროს ხელთათმანში» არყოფნაც ხომ უნდა აენაზღაურებინა საკუთარი თავისთვის, ჰოდა, მოკლე ხანში ფარული პროფესიონალი დადგა.

მაშ, ასე, სწავლა, პოეზია, პროფესიული კრივი და გოგონები... გოგონები მართლაც ბევრნი იყვნენ, რომელთაც სიარულიც მოხდენილად გამოსდიოდათ და კაბის ჩაცმაც; დიახ, კაბებში

გამოპრანჭულებს მოხდენილად გავლა-გამოვლა მართლაც კარგად შეეძლოთ და იმედისმომცემი მომავლითაც აღელვებდნენ სან-ფრანცისკოდან, სადაც სამხედრო სავალდებულო სამსახური მოიხადა, ნიუ-იორკში გადასახლებულ ქოულმენს. გოგონებმა მის თვალში გრინვიჩ-ვილიჯის ქუჩები და ვაშინგტონ-სქუერისკენ მიმავალი ბილიკები გააფერადეს და აახმიანეს. გაზაფხულის თბილი დღეები იდგა და ომის შემდგომ მოზეიმე ამერიკაში ქოულმენს წინ მიმავალი უცნობი გოგონას ფეხებიდან მზერას ვერავინ გადაატანინებდა სხვა რამეზე. ომიდან ჩამოსულთაგან ასე ბევრი იქცეოდა. იმხანად გრინვიჩ-ვილიჯში ყოფილ სამხედროებს უკეთესი თავშესაქცევი ვერც კი წარმოედგინათ, კაფეებსა და ყავის სახლებში იკრიბებოდნენ და დროს სახეზე აფარებული გაზეთების ზემოდან ქუჩაში მიმავალი გოგონების ფეხებისკენ თვალის გაპარებით კლავდნენ, თან დანახულის შეფასებასაც არ დაგზარდებოდნენ. რატომ ხდებოდა ასე, დაე, სოციოლოგებმა იმტვრიონ თავი, მაგრამ ორმოციანების ბოლო წლები ამერიკისათვის აღმგზნები ფეხების ეპოქად უნდა მოინათლოს. არც ჩვენი ქოულმენი იყო გამონაკლისი – დღეში ერთი-ორჯერ მაინც აედევნებოდა ხოლმე ლამაზფეხება ქალიშვილს და თვალს ატკბობდა. შეეძლო, უბან-უბან ევლო გოგონას კვალში, ოღონდ კი ფეხი ლამაზი, მოხდენილად მოძრავი და თლილი ყოფილიყო. ბოლოს, როცა საკმაო მანძილი აღმოჩნდებოდა გავლილი, ანუ უკვე საკმარისი იმისათვის, რომ წარდგომოდა და სიტყვიერად მოეხიბლა, გაუსწორდებოდა და გამოელაპარაკებოდა; თუ გაუმართლებდა, სახელს დასტყუებდა და პაემანსაც დაუნიშნავდა. თუმცა ამ დროს ერთი რამ იყო თავისებური: ვაჟი ასეთ დროს ქალით კი არა, მისი ფეხებით იხიბლებოდა.

გოგონებიც, თავის მხრივ, ქოულმენის ფეხებს აქცევდნენ ყურადღებას. სტინა პალსონმა, თვრამეტი წლის მინესოტელმა სკანდინავიელმა, ქოულმენს ლექსი მიუძღვნა, სადაც მისი ფეხებიც ახსენა. რვეულიდან ამოხეულ ცალხაზიან ფურცელზე დაწერა, ხელმოწერისას «ს» აღნიშნა და მერე ოთხად გაკეცა ფურცელი, რათა ქოულმენის ნახევარსარდაფის თავზე, მოფილაქნებულ იატაკიან სადარბაზოში ჩამოკიდებულ საფოსტო ყუთში ჩაეცურებინა. მეტროსადგურში გაცნობიდან უკვე ორი კვირა გასულიყო; კვირადღეს დაწყებული ოცდაოთხსაათიანი მარათონიდან უკვე ერთი დღე გავიდა.

ქოულმენი დილის მეცადინეობაზე იყო წასული, რომ სტინა ჯერ კიდევ სააბაზანოში იდგა და იპრანჭებოდა. რამდენიმე წუთში სამსახურში მიდიოდა, მაგრამ ჯერ ლექსის დატოვება გადაწყვიტა, თუმცა ფურცლის ხელში მიცემა მოერიდა, მიუხედავად წინაღამეს სხეულის გამძლეობისა და ვნებიანობის ურცხვი ურთიერთდამტკიცებისა. მეცადინეობის მერე ქოულმენი ბიბლიოთეკაში წავიდა, იქიდან კი ჩაინათაუნს მიაშურა სპორტდარბაზში კრივში სავარჯიშოდ, ასე რომ, წერილი საფოსტო ყუთიდან მხოლოდ ღამით, თორმეტის ნახევრისთვის ამოიღო.

მას აქვს სხეული,

ლამაზი სხეული –

მკვრივი კუნთები ფეხის,

ზანტი კუნთები კისრის...

ჭკვიანია და სხარტი.

ჩემზე ოთხი წლით უფროსია,

თუმც ზოგჯერ უმცროსი მგონია.

ნაზია და რომანტიკოსი,

თუმც ამას სასტიკად უარყოფს.

ამ ბიჭისთვის თითქმის საშიში ვარ.

ვერაფრით გადმომიცია,

რასაც მასში ვხედავ.

ნეტავი გამაგებინა, მერე რას იზამს,

მთლიანად რომ გადამსანსლავს?

ვესტიბიულის მკრთალ შუქზე გადაიკითხა ლექსი და სიტყვა «ზანტი» უცებ «ზანგში» აერია. «რაო, ზანგის კუნთებიო? ეს რა დაუწერია?» – გაიფიქრა ქოულმენმა. აქამდე გაოცებული იყო, როგორ იოლად გამომდის ყველაფერიო. ის, რაც რთული და გარკვეულწილად სამარცხვინო და დამანგრეველი ეგონა, არა მარტო იოლი, არამედ ყოველგვარ შედეგს მოკლებული აღმოჩნდა. ოფლმა დაასხა. ციებიანივით კითხულობდა

სტრიქონებს და გააზრებას ვერ ახერხებდა. «ზანტი კუნთები კისრის»... ეს რაღა უნდა იყოს? დედიშობილებმა მთელი დღე-ღამე გაატარეს ერთად. ქოულმენის ცხოვრებაში ასეთი რამ პირველად ხდებოდა, რაც წამოიზარდა, არც ერთ მის ნაცნობს ამდენი ხნით გახდილი არ უნახავს. ოცდაოთხი საათის განმავლობაში მის წინ სრულიად შიშველი იწვა ქალის გრძელი, თეთრი სხეული; ქოულმენს ერთი ბეწო ადგილიც არ დარჩენია თვალშეუვლებ-აღუქმელი, რომელსაც ფერმწერის თავდაჯერებულობით ვერ აღიდგენდა მეხსიერებაში, მგზნებარე საყვარელივით ვერ შეიგრძნობდა, ამიტომ მთელი მეორე დღე ცხვირში სტინას არომატს გრძნობდა, წარმოსახვით კი მის გადაშლილ ფეხებს ხატავდა; ასე რომ, ქალის მსგავსი დამოკიდებულებაც სრულიად სამართლიანი იყო, ანუ ქოულმენის სხეულის ყველაზე მცირე ნაწილიც კი სტინას ხარბ მზერას არ გამოჰპარვია – სხეულის ზედაპირზე არსებული სხვადასხვა კიდური და ნაკვთი, რომელთაც ევოლუციური უნიკალურობის ნიშნები ჰქონდა და მამაკაცის სხეულს აყალიბებდა: კანი, ფორები, წვერი, კბილები, ხელისგულები, ცხვირი, ტუჩები, ენა, ქუსლები, სასქესო ორგანოები, თმა, ღინღლი მკერდზე, სუნი, სიცილის მანერა, ძილი, სუნთქვა, მოძრაობა, ორგაზმის დროს შეკანკალება, – ქალის საკუთრებად იქცა და მის გონებაში დარჩა კიდეც.

მაგრამ ასე მაინც რამ დააახლოვა მასთან? სექსუალურმა აქტმა, როდესაც კაცი სხვის სხეულში იჭრება და იმავდროულად, ის სხეული მას გარს მჭიდროდ ეხვევა? სხეულის სიშიშვლემ? ტანთ გახდა და სხვასთან დაწოლა ხომ წინა პირობაა იმისა, რომ ყველაზე ფარული და მალულიც კი გამოავლინო. ეს კი სირცხვილის გრძნობას ბადებს. საწოლში, უფრო სწორად, სარეცელზე, კაცისა ყველაფერი გამოვლინდა, გამომჟღავნდა. ახლა უკვე სტინამ კარგად იცოდა ქოულმენის სხეული და ზანგ კისერსაც ხედავდა, მიუხედავად იმისა, რომ ასე სულაც არ დაუწერია.

და მაინც როგორ? რა ნახა ამისთანა? რა დეტალი აქვს სტინას ნანახი, რასაც ქოულმენი ვერ ხვდება? რა იხილა ამ ქერათმიანმა ისლანდიელ-დანიელმა გოგომ, რომელსაც ოჯახშიც და გვარშიც ყველა ქერა და თავთუხისფერთმიანი ჰყავდა, შინაც, კარშიც, ეკლესიაშიც და სანაცნობოშიც მხოლოდ სკანდინავიური სამყარო ერტყა გარს? რა? უეცრად ქოულმენი მიხვდა, «გ» კი არა, «ტ» ეწერა, ანუ ზანგი კი არა, ზანტი... ღმერთო, კისრის

მეტი რა ახსენა ასეთი?! «მკვრივი კუნთები ფეხის, ზანტი კუნთები კისრის»...

მაგრამ ეს რაღას უნდა ნიშნავდეს: «ვერაფრით გადმომიცია, რასაც მასში ვხედავ»... ასეთი გაუგებარი და ბუნდოვანი რა ნახა ნეტავ? რომ დაეწერა, «არავის გადავცემო», უფრო გასაგები იქნებოდა? კიდევ და კიდევ კითხულობდა ამ ხაზს და უფრო მეტად იკარგებოდა გაურითმავი პოეზიის ლაბირინთში, მაგრამ გული უგრძნობდა, სტინა ბოლომდე ჩასწვდა პრობლემასო. ეს პრობლემა კი მის ცხოვრებაში თავად ქოულმენის შეტანილი იყო. იქნებ «რასაც მასში ვხედავ» მხოლოდ და მხოლოდ ის სიტყვებია, რასაც სკეპტიკოსები შეყვარებულებს ეკითხებიან ხოლმე, «რა ნახე ასეთი მასშიო?»

ეს «ვერაფრით გადმომიცია» რაღას უნდა ნიშნავდეს? ანუ ვერავისთვის გადმოუცია? საიდუმლოდ ინახავს? ან იქნებ «გადმოუცემელს» გულისხმობდა? საშიში ვარო, წერს და რა გაგებით ხმარობს ამ სიტყვას? რაშია ეს საშიშროება?

ლექსის რომელი ნაწილის მიხვედრაც უნდა ეცადა, აზრი ეფანტებოდა. ვესტიბიულში ორი წუთი გაჩერდა და აცახცახებულმა მხოლოდ საკუთარი შიში გააცნობიერა. გაოგნდა. ქოულმენს ჩვევად ჰქონდა, როცა მოუმზადებელი რაღაც პრობლემას გადააწყდებოდა, სირცხვილის გრძნობა ეუფლებოდა ხოლმე, ამიტომ თავს შეუძახა, სიგნალმა SOS-მა მთელ სხეულში დაუარა და თვითკონტროლისკენ მოუწოდა თავს.

სტინა, თავისი სილამაზის, სითამამისა და ხალისიანობის მიუხედავად, სულ რაღაც თვრამეტი წლის გოგონა იყო, რომელიც მინესოტის შტატის ფერგუს-ფოლსიდან იყო ნიუ-იორკში ჩამოსული, მაგრამ ქოულმენისთვის შიში მაინც მოეგვარა – მის ოქროსფერ ბრწყინვალებას დაეხვია მისთვის თავბრუ – რინგზეც არ ყოფილა ასეთი თავრეტდასხმული და დაშინებული. მსგავსი შეგრძნება მხოლოდ ერთხელ ჰქონდა განცდილი, როდესაც ნორფოლკის საროსკიპოში, ფორმას რომ იხდიდა, საწოლზე მწოლიარე მეძავმა – დიდმკერდა, ტანსრულმა და არც მთლად თეთრკანიანმა დედაკაცმა, და საკმაოდ გაიძვერამაც – ერთი შეუბღვირა და პირში მიახალა: «აი, შე შავტრაკა შენა, ზანგის ბიჭი არ შემრჩა ხელში». ამის მერე ორმა გორილამ ხელით გაიყვანა გარეთ და კარი მიუჯახუნა ცხვირწინ. მხოლოდ მაშინ დაემართა ასეთივე რაღაც, რაც

სტინას ლექსმა გაახსენა.

საინტერესოა: ნეტავი გამაგებინა,

მერე რას იზამს,

მთლიანად რომ გადამსანსლავს?

ესეც კი არ ესმოდა. თავის ოთახში საწერ მაგიდასთან დილამდე იჯდა და ბოლო ხაზებზე იმტვრევდა თავს, სხვადასხვა მახვილგონივრულ ვერსიას ერთიმეორეზე ცვლიდა, სანამ გამთენიისას ერთ მყარ დასკვნამდე არ მივიდა, რომ განუმეორებელი სტინას ყურადღებას ისიც კი არ გამოჰპარვია, რისგანაც თავად ცდილობდა დამალვას.

რა სისულელეა. ეს ლექსი განსაკუთრებულს არაფერს ნიშნავდა, ან რა ლექსი ეს იყო. შხაპის მიღებისას აწეწილ-დაწეწილი აზრები უტრიალებდა თავში სტინას, ამიტომაც ქოულმენის ერთ-ერთი რვეულიდან (რომელიც პირველი მოხვდა ხელში) ფურცელი ამოხია და რაც პირველად მოუვიდა თავში აზრად, მყისვე ქაღალდზე გადმოიტანა. ლექს-წერილი საფოსტო ყუთში ჩაჩურთა და სამსახურში გაიქცა. უბრალოდ, რაღაც უნდა ექნა სიახლით მოგვრილი განცდისათვის. პოეტობა დაიწყო? გაეცინა: კარგი, რა! უბრალოდ ალმოდებულ რგოლში ხტება და ეგ არის.

გაცნობიდან პირველი ორი წლის განმავლობაში ყოველ უქმეებზე ერთ საწოლში იწვნენ და ერთმანეთით ისე ხარბად იკვებებოდნენ, როგორც მარტოხელა პატიმარი მიაძღება ხოლმე შეწოდებულ საკვებს. ერთ-ერთ შაბათდღეს სტინამ ქოულმენი გააოცა – მოკლე ქვედაკაბით კუშეტზე შეხტა და სექსუალური ცეკვა შეასრულა, თან ქოულმენი თითივით გააშიშვლა. რადიოდან გადმოღვრილი ჰანგების ფონზე იხდიდა: პროგრამის პირველ ნომრად, გასახურებლად, ქაუნთ ბეისის ჯაზი აჟღერდა, ცოცხალი ჩანაწერი იყო თემაზე «ლედი, წესიერად მოიქეცით», არანორმალური იმპროვიზაციით, მერე გერშვინი ახმიანდა, «კაცი, ვინც მე მიყვარს» არტი-შოუს შესრულებით, სადაც ენერგიული როი ელდრიჯი ბრწყინავდა. კუშეტზე სანახევროდ მიწოლილი ქოულმენი კი საყვარელი საქმიანობით იყო დაკავებული, რომლითაც შაბათობით იქცევდა ხოლმე თავს მეთოთხმეტე ქუჩიდან დაბრუნებული, სადაც ხუთ დოლარად კიანტის, სპაგეტისა და კანოლის მიირთმევდნენ; ის სიამოვნებით შესცქეროდა სტინას – ამ

დროს ქალი იხდიდა. უეცრად ელდრიჯის საყვირით აღგზნებულმა სტინამ სექსუალური მოძრაობები დაიწყო; ამას ქოულმენმა ყველაზე ურცხვი როკვა უწოდა, რომელიც კი ოდესმე ენახა ფერგუს-ფოლსიდან ნიუ-იორკში ორი წლის ჩამოსული გოგონას შესრულებით. სტინა გერშვინსაც კი ააყენებდა საფლავიდან თავისი მოძრაობებითა და ვოკალით. შავკანიანი მესაყვირის ზემოქმედებით, რომელიც ზანგების სასიყვარულო მელოდიას ასრულებდა, სტინამ თავისი სითეთრის მთელ სიძლიერეს გაუხსნა გზა. თეთრ საწყისს. «ერთხელაც გამოჩნდება... ჩემი საყვარელი... ვნებას დამიცხრობს... ჩემი საყვარელი»... – სიტყვები მარტივზე მარტივი იყო, მაგრამ როგორც კი მუსიკა მიწყდა, სტინას ნახევრად ხუმრობით შერცხვა და სახეზე ხელები აიფარა. განა რისგან დაიცავდა ეს მოძრაობა? არც არაფრისგან, გარდა იმისა, რომ ქოულმენს უფრო გაახელებდა.

– სად გიპოვე, ვოლუპტატ? – ჩურჩულებდა ვაჟი, – როგორ გიპოვე? ვინ ხარ?

ერთხელაც, იმ მათრობელა პერიოდში, ქოულმენმა ჩაინათაუნში საღამოს ვარჯიშსაც მიანება თავი, ხუთ მილზე გარბენაც შეამოკლა და პროფესიულ სპორტზეც შეწყვიტა სერიოზული ფიქრი. სულ ჩატარებული და მოგებული ჰქონდა ოთხი პროფესიული ორთაბრძოლა – სამი ოთხრაუნდიანი და ბოლო ექვსრაუნდიანი, რომლებიც ორშაბათსაღამოობით სენთ-ნიქსის დარბაზში ტარდებოდა ხოლმე. სტინასთვის ამის შესახებ ისევე არაფერი ჰქონდა ნათქვამი, როგორც სხვებისთვის. სტუდენტობის პირველ ხანებში ეს მისი საიდუმლო იყო, თუმცა კი შედეგები მეორე დღეს სპორტულ ტაბლოიდებში პეტიტით იბეჭდებოდა, სადაც სილქი სილქად იხსენიებოდა. პირველივე ოცდათხუთმეტდოლარიანი ოთხრაუნდიანის შემდეგ თავი სულ სხვანაირად იგრძნო, ვიდრე სამოყვარულო რინგზე. მართალია, არც მოყვარულობის დროს სურდა წაგება, მაგრამ პროფესიონალებში გადასვლით თავს გაცილებით მეტ ძალას ატანდა, რომ დაემტკიცებინა, თუ მოვისურვებ, ამ სფეროშიც კარგად მოვიკიდებ ფეხსო. ყველა ორთაბრძოლა ნაადრევად ჰქონდა დასრულებული, მხოლოდ ბოლო, ას დოლარად შეფასებული ექვსრაუნდიანი ბრძოლა, სადაც ფსონს «ლამაზო ჯექზე» დებდნენ, ორ წუთსა და დათვლილ წამებში გაუსწორდა ამ უკანასკნელს, თან ისე, დაღლაც რომ არ უგრძნია. რინგზე გამოსვლისას ნებსით თუ

უნებლიეთ სამოკრივეო აგენტ სოლი თაბაქის წინ უნდა ჩაევლო, რომელიც პირდაპირ თოკებთან იჯდა და ათწლიან კონტრაქტს უფრიალებდა თვალწინ. ფურცლების თანახმად, მას მხოლოდ საპრიზოებიდან შემოსული თანხის მესამედი უნდა რგებოდა. სოლიმ მხარზე წამოარტყა ხელი და უჩურჩულა: «სილქი, პირველ რაუნდში წაათაქებინე თავში ერთი-ორი მაგ ზანგს, ხალხმა დადებული ფულის გემო გაიგოს». ქოულმენმა თაბაქს თავი კი დაუქნია და გაუღიმა, თუმცა რინგზე ასვლისას გაიფიქრა: «წადი ერთი შენიც! ას დოლარზე ვიღაცას ცხვირ-პირი ვაზელინო, რომ ხალხი ფულის სანაცვლოდ ვახალისო? ვიღაც სირები უნდა მაღელვებდნენ სადღაც მეთხუთმეტე რიგში? ის ას ორმოცდახუთ გირვანქას იწონის, მე – ას ოცდაცხრამეტს, ის სიმაღლით ხუთი ფუტი და ათი დუიმია, მე კი ხუთი ფუტი და რვა-ნახევარი დუიმი. ჰოდა, კიდევ მე წავათაქებინო თავში, რომ სირების გროვა ვახალისო და ფულის ყადრი გავაგებინო? წავიდნენ ერთი მაგათიც! თითსაც არ დავაკარებინებ».

ორთაბრძოლის დამთავრების შემდეგ უკმაყოფილო სოლიმ ქოულმენს უსაყვედურა, ბავშვურად მოიქეციო.

– მაგ შავტრაკას მაინცდამაინც პირველივე რაუნდში რომ უღებდი ბოლოს, მეოთხემდე ვერ მოიცდიდი? ხალხს ფული აქვს გადახდილი. კაცურად გთხოვე, არა? მერე ეგ რა საქციელი იყო?

– მაგის ტრაკის ფერი სულ არ მადარდებს და ეგ იყო.

აი, ასე მიახალა ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სტუდენტმა, რომელიც ანტიკურ ლიტერატურას სწავლობდა, სკოლაში ფრიადოსანი გახლდათ და ცხონებული ქლარენს სილქის, ოპტიკოსის, ვაჟი იყო. საცოდავი მამამისი კი საქმის ჩაფუშვის შემდეგ ვაგონ-რესტორანში შოულობდა პურის ფულს, არადა, მოყვარული ლიტერატორი და გრამატიკოსი გახლდათ, თან როგორი პეწენიკი და შექსპიროფილი ბრძანდებოდა. მოკლედ, ასეთი ჯიუტი ვინმე იყო ეს ისთ-ორინჯელი სკოლადამთავრებული, რისთვისაც უნდა მოეკიდა ხელი, ყველაფერს სერიოზულად უდგებოდა.

კრივს სტინას გამო მიანება თავი. მის ლექსში საშიშ აზრებს კი ტყუილად ეძებდა, მაგრამ ერთ რამეში მაინც დარწმუნებული იყო, – ერთხელაც იდუმალი ძალა, რომელიც მათ სექსუალურ

ღადარს აღვივებდა და იმდენად უთავჟამო საყვარლებად აქცევდა, რომ თავად სტინამ, ნეოფიტურად რომ შეუერთა თვითქირდვა თვითსაოცრებას, «ქარაფშუტა წყვილი» უწოდა, მის ნიღაბსაც გააქარწყლებდა ამ ქალის წინაშე. ნეტავ, თუ შეიძლებოდა ამისათვის ხელის შეშლა? არ იცოდა. მაგრამ კრივი რომ ზედმეტი იყო, ამას კი ხვდებოდა. სტინას რომ სილქი სილქის შესახებ გაეგო რამე, იმდენ კითხვას დააყრიდა, რომ უნდა, არ უნდა, სიმართლეს გამოარკვევდა. ქერა ლამაზმანმა მხოლოდ ის იცოდა, რომ ქოულმენს ისთ-ორინჯში დედა ჰყავდა, დიპლომიანი ექთანი და მრევლის პატიოსანი წევრი; გარდა ამისა, უფროსი ძმა უოლთერი, რომელიც ასბერი-ფარქის სკოლაში მეშვიდე-მერვე კლასებს უტარებდა გაკვეთილებს, და უმცროსი და ერნესტინი, რომელიც სულ მალე მონტკლერის კოლეჯში პედაგოგის დიპლომს აიღებდა; ისიც იცოდა, რომ მათი საკვირაო სიყვარული სალივან-სთრითზე ძალიან მალე უნდა დასრულებულიყო, რადგან ქოულმენს ისთ-ორინჯში სადილად ელოდნენ. იცოდა, რომ ვაჟის მამა ოპტიკოსი იყო, მეტი არაფერი; ჰო, კიდევ ის, რომ ქლარენს სილქი ჯორჯიაში იყო დაბადებული. ქოულმენი ცდილობდა, სტინას მის ნათქვამში ეჭვის შეტანის საბაბი არასდროს გასჩენოდა, ჰოდა, კრივის მიტოვებით მისი მოტყუების შანსი ნულზე დაიყვანა. ისე, გოგონასთვის ერთხელაც არ უთქვამს ტყუილი. მხოლოდ ერთ დარიგებას ითვალისწინებდა, რომელიც უესთ-ფოინთში გამგზავრებისას ჩიზნერმა მისცა: თუ არაფერს გკითხავენ, თავად არაფერი თქვა. ამ ტაქტიკამ ფლოტშიც გაუწია სამსახური.

* * *

სტინას ისთ-ორინჯში ჩაყვანა ერთ-ერთ საკვირაო სადილზე, ისევე როგორც მისი ახლანდელი გადაწყვეტილებები, – სოლი თაბაქის მოცილებაც და იმ ტიპის პირველივე რაუნდში ძირს გაგორებაც – მისი და მხოლოდ მისი, დამოუკიდებელი ნაფიქრის შედეგი იყო. უკვე ორი წელი გასულიყო მათი შეხვედრიდან და ისევ ერთად იყვნენ; გოგონა ოცისა იყო, თვითონ ოცდაოთხისა და უკვე ვეღარ წარმოედგინა, მერვე ქუჩაზე იქნებოდა თუ ცხოვრებაში, სტინას გარეშე როგორ უნდა ევლო. მისი არაფრით თვალში საცემი ქცევა სადაგ

დღეებში, რომელიც უქმეებზე ბობოქარი ვნებით იცვლებოდა, მისი ამერიკული, ელექტრონათურასავით მოჩახჩახე ქალწულური სინათლე, მისი ზებუნებრივი სხეულებრივი სხივოსნობა ქოულმენის თავისუფალ ნებას უწყალოდ თრგუნავდა. სტინამ არა მარტო კრივისგან იხსნა, არამედ იმ დამოკიდებულებისგანაც, რამაც ეს ყმაწვილი დაუმარცხებელ სილქი სილქად აქცია; თან სხვისკენაც აღარ გაურბოდა თვალი.

მაგრამ იმაში გამოტყდომას, რომ შავკანიანი იყო, ვერ ბედავდა. ის სიტყვები რომ ეთქვა სტინასთვის, რასაც გულში ამბობდა ხოლმე, ეგონა, ყველაფერს გააფუჭებდა, თავსაც უარეს მდგომარეობაში ჩაიგდებდა. ქოულმენის ნათქვამის მიხედვით რომ დაესურათებინა სტინას მისი ოჯახი, აშკარად არასწორ შედეგს მიიღებდა. რაკი ზანგებს პირადად არ იცნობდა, ალბათ, იმისთანა რამეს წარმოიდგენდა, რასაც ფილმებში უჩვენებდნენ, რადიოთი გადმოსცემდნენ ან ანეკდოტებს ჰყვებოდნენ. და რაკი რასობრივი ფობიები არ აწუხებდა სტინას, საკმარისი იყო, ერნესტინი, უოლთი ან დედამისი ენახა, რომ მაშინვე გაუგებდა და მიხვდებოდა, რამდენი საერთო ჰქონდა ქოულმენის ჯალაბობას მის რესპექტაბელურ, მაგრამ მოსაწყენ ოჯახთან ფერგუს-ფოლსში, საიდანაც უკანმოუხედავად იყო გამოქცეული. «არასწორად ნუ გამიგებ, მაგრამ მართლაც საოცარი ქალაქია, – აჩქარებით აუხსნა სტინამ ქოულმენს, – ძალიან ლამაზია. თან უჩვეულოა – აღმოსავლეთიდან ოთერ-თეილის ტბა აკრავს, გარდა ამისა, მდინარე ოთერ-თეილიც ქალაქში მიედინება, ჩვენი სახლი კი თითქმის მის ნაპირზე დგას. ჩემი აზრით, ჩემი დაბა-ქალაქი სხვა მსგავს ქალაქებზე საინტერესოა, რადგან მის შემოგარენში ორი სტუდქალაქი გვაქვს – ფარგო და მურჰედი». მამამისი კავეულის მაღაზიის მფლობელი იყო და ხეტყითაც ვაჭრობდა.

– არაჩვეულებრივი მამიკო მყავს. ვეებერთელა ახმახია! დევივით არის! კლდის ნატეხია, შეუძლია საღამოთი მთელი ყუთი სპირტიანი სასმელი მუცელში ჩაიცალოს, თან სულ არ აღელვებს, რას სვამს. ვერც აქამდე ვხვდებოდი, ამას როგორ ახერხებდა და ახლაც ვერ წარმომიდგენია, მაგრამ ფაქტია. მოკლედ, თავისას აბურებს რა! ყველაფერში ასეა. ფეხში რომ რამე შეერჭოს, არათუ ამოღებას არ ეცდება, არც კი მოიბანს ჭრილობას. ჯილა ისლანდიელია რა! აი, პიროვნულად კი მართლაც საინტერესო ვინმეა. დიდებული ადამიანია. ხმას რომ ამოიღებს, მთელი ოთახი სმენად იქცევა ხოლმე. დედ-მამაც

ასეთი ჰყავდა, საერთოდ, პალსონებს გვარში მოგვდგამს, ეტყობა.

– ისლანდიელები! ჰმ, არც კი ვიცოდი, ამერიკაშიც თუ ცხოვრობდნენ, – უთხრა ქოულმენმა, – მათზე საერთოდ არაფერი ვიცოდი აქამდე. მინესოტაში დიდი ხანია ცხოვრობენ?

სტინამ სიცილით აიჩეჩა მხრები.

– კარგი კითხვაა. მგონი, დინოზავრების ეპოქიდან.

– შენ კი მამას აეთესე ხომ?

– აბა, რას ვიზამდი, მაგ ურჩხულის ქალიშვილობა იოლი როდია. მთრგუნავდა.

– დედა? მასაც თრგუნავს?

– დედა დანიელი ქალია, რასმუსენია გვარად. დაუმორჩილებელი ქალია, მისი დათრგუნვა შეუძლებელია. თან როგორი პრაქტიკულია, რომ იცოდე. რა გითხრა, დანიელები, და პრინციპში, ნორვეგიელებიც, მხოლოდ ნივთებზე ფიქრობენ – სუფრები, თეფშები, ლარნაკები. სულ იმაზე საუბრობენ, რა რა ღირს. დედაჩემის მამაც ასეთია და მთელი მათი სანათესავოც, ზედმეტად პრაქტიკულები არიან, ოცნება მათი ხელობა არ არის. პირზე სულ ნივთები აკერიათ და მხოლოდ ის ადარდებთ, რომელში რა მისცეს. დედა რომ სტუმრად მიდის, ჯერ მასპინძლის ვიტრინებს ათვალიერებს, თან ზეპირად იცის, სად რა ნივთია ნაყიდი და რა ფასად, მერე მოურიდებლად ეუბნება, ამას აქა და აქ ბევრად უფრო იაფად იყიდდიო. ტანსაცმლის მიმართაც ასეთივე დამოკიდებულება აქვს. პრაქტიკულობა, მგონი, რასმუსენებს სისხლში აქვთ. ყველაფერს ელოლიავებიან, ყველაფერს აკრიალებენ. სკოლიდან რომ მოვდიოდი, მელნის პაწაწა წინწკალიც რომ სადმე მქონოდა, ეგრევე შეამჩნევდა. შაბათ საღამოს რომ სტუმრები ყოფილიყვნენ მოსასვლელი, სუფრას პარასკევს ხუთ საათზე გააწყობდა. ყველაფერი თავ-თავის ადგილზე უნდა ჰქონოდა დაწყობილი – ყოველი ჭიქა, თითოეული ვერცხლის დანა-ჩანგალი. მერე ზედ დოლბანდს აფარებდა, მტვერი რომ არაფერს დასდებოდა. იდეალური უყვარს ყველაფერი. მერე როგორ უყვარს მზადება! – ოღონდ ყველაფერს უმარილოდ და უსანელებლოდ ამზადებს. მოკლედ, უგემურად. აი, ასეთი მშობლები მყავს. დედა კიდევ

უარესია, სიღრმისეული არაფერი გააჩნია. ძალიან ზედაპირულია. დედას ორგანიზება უყვარს, მამას დეზორგანიზება, მე კი ამდენს ვეღარ გავუძელი – თვრამეტისა რომ მოვიყარე, აქეთ გამოვწიე. მურჰედში ან ჩრდილოეთ დაკოტის უნივერსიტეტში რომ ჩამებარებინა, სახლში მომიწევდა ცხოვრება, ამიტომაც დავკარი ფეხი და ნიუ-იორკს შემოვაფარე თავი. აი, ასეთი სტინა ვარ.

ამგვარად აუხსნა ქოულმენს, საიდან იყო წარმოშობით და რატომ ჩასულიყო ნიუ-იორკში. ქოულმენისთვის კი იმავეს გაკეთება უფრო ძნელი იყო, ამიტომ იფიქრა, მოგვიანებით ავუხსნი ყველაფერს და ვთხოვ, გამიგოს, რატომ ვერ დავუშვებდი იმას, რომ რასობრივ საკითხს ჩემთვის ფრთები მოეკვეცაო. ნეტავ მშვიდად მოუსმენდეს სტინა და მიხვდებოდა, რატომ არ მიჰყვა ქოულმენი ბედის დინებას და რატომ გადაწყვიტა, რომ თავისი ცხოვრება თვითონვე წარემართა. რატომ არ დამორჩილდა საზოგადოებისგან თავს მოხვეულ გარემოებას, სადაც, მონობის გაუქმებიდან ოთხმოცდაშვიდი წლის შემდეგაც კი, ყველგან რასისტები ხვდებოდნენ. უნდოდა, მისთვის დაემტკიცებინა, რომ თავის თეთრკანიანად გასაღება ცუდი მიზნით სულაც არ ყოფილა ნაკარნახევი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ჯანსაღი ცხოვრებისეული ამბიციით, რომ კანის ფერისა და მსგავსი სისულელეების მიუხედავად, თავისუფალი ყოფილიყო, რაც ასე ეწადა ბავშვობიდან. არც შავკანიანობა სურდა და არც თეთრკანიანობა, არამედ უბრალოდ დამოუკიდებლობა, თავისუფლება სწყუროდა. თავისი არჩევანით არც არავისი შეურაცხყოფა ჰქონდა გამიზნული და არც არავის ჰბაძავდა, მით უმეტეს, არანაირი პრეტენზია არ ჰქონდა არც თავის და არც სტინას ქათქათა რასათან. ესმოდა, რომ კონსერვატიულად განწყობილ ადამიანებს, რომელთაც ირგვლივ არსებული გარემოს ურღვევობა და უშეცდომობა მყარად სწამდათ, მისი ქცევა მართებულად არ მოეჩვენებოდათ. თუმცა ვინმეს თვალში მართალი ყოფილიყო, არც ყოფილა მისი თვითმიზანი. მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა – არა ბნელ და სამყაროს სიძულვილით ნაკვებ ზრახვებს ემართათ მისი ცხოვრება, არამედ თავად მას, შეძლებისდაგვარად ჰუმანურად და ცივილიზებულად წარემართა თავისი ბედი. ან რატომ უნდა შეჰგუებოდა ცხოვრებას სხვა პირობებით?

აი, სწორედ ასე უნდოდა, სტინასთვის აეხსნა. ნეტავ ლიტონ

სიტყვებად და ამბიციაშეფარულ სიცრუედ ხომ არ მოეჩვენება ქოულმენის ნათქვამი? სანამ სტინა თვითონ არ გაიცნობდა მის ოჯახს, სანამ თავისი თვალებით არ დაინახავდა, რომ ისინიც იმდენადვე იყვნენ ზანგები, რამდენადაც ქოულმენი, მანამდე იქნებ მთელი ეს ახსნა-განმარტება სიმართლის დაფარვად მოსჩვენებოდა? მტკიცედ გადაწყვიტა: სანამ სტინა ერნესტინთან, უოლთსა და დედასთან სადილად არ დაჯდება, სანამ მისი ოჯახი ყოველდღიურ წვრილმანებზე არ ჩამოაგდებს სიტყვას და ადამიანურად არ გაიცნობენ ერთმანეთს, ქოულმენის ნებისმიერი სიტყვა ყალბად აღსაქმელად არის განწირული. თან ვინ იცის, სირცხვილნარევ თავის მართლებად ან განდიდების მცდელობადაც ჩამოართვას თეთრკანიანმა გოგომ. არა, ამ სისულელეებს არასოდეს დაიწყებს. ღირსებას არ შეილახავს. თუკი სტინას ხელში ჩაგდება უნდა, მაშინ გამბედაობაა საჭირო და არა ზედმეტი ლაი-ლაი, გინდ ქლარენს სილქივით ორატორი იყოს.

ვიზიტამდე ერთი კვირით ადრე, რომლისთვისაც არავინ შეუმზადებია განსაკუთრებულად, ქოულმენი შინაგანად ემზადებოდა, ისე იკრებდა სულიერ მხნეობას, როგორც ორთაბრძოლის წინ. კვირადღეს მატარებლიდან რომ გადმოვიდნენ ბირქ-ჩერჩის სადგურზე, ის ჯადოსნური სიტყვები წარმოთქვა, რინგზე გასვლამდე რომ ამბობდა ხოლმე: «ამოცანა, მხოლოდ ამოცანა. ამოცანის პირისპირ. დანარჩენი ყველაფერი ზედმეტია». ბოლოს, კარს რომ მიადგა და ზარისთვის უნდა ჩამოეკრა, საბრძოლო ყიჟინასავით წარმოთქვა გულში: «წავიდა!»

ერთი ოჯახისთვის განკუთვნილ ამ სახლში სილქები 1925 წლიდან ცხოვრობდნენ, ანუ ქოულმენის დაბადებამდე გადასულიყვნენ. მთელ ქუჩაზე იმხანად მხოლოდ თეთრები ცხოვრობდნენ თურმე, ამიტომ ეს პატარა კარკასული სახლი მეზობელზე წაკიდებულ ერთ-ერთ ოჯახს მიუყიდია, რათა შავკანიანების დასახლებით გაემწარებინა ისინი. დასახლდნენ და ყველასთან კარგი დამოკიდებულებაც დაამყარეს, მართალია, ახლო მეგობრობა არავისთან გამოსვლიათ, მაგრამ ქუჩის იმ ნაწილზე, რომელიც საეპისკოპოსო ეკლესიითა და მღვდლის სახლით სრულდებოდა, მათზე აუგის მთქმელს კაცი ვერ ნახავდა. არადა, ამ ამბებამდე რამდენიმე წლით ადრე ახალმა მღვდელმა ეკლესიაში რომ მიიხედ-მოიხედა და ბევრი შავკანიანი ოჯახი იხილა უკანა სკამებზე ჩუმად ჩამომსხდარი –

ისინი ვესტ-ინდოეთიდან იყვნენ და ამავე ქუჩაზე თეთრკანიანთა სახლებში მოახლე-მოსამსახურეებად მსახურობდნენ, – საკვირაო ქადაგების წინ უეცრად თქვა: «მრევლში ბევრ შავკანიანს ვხედავ. დაფიქრებაა საჭირო, რა უნდა მოვუხერხოთ ამ საკითხსო». ნიუ-იორკის სემინარიაში კონსულტაციის გავლის შემდეგ, საეკლესიო ჩვეულების საწინააღმდეგოდ, ისე მოაწყო საქმე, რომ საკვირაო სკოლებში სწავლება და მსახურება შავკანიანებს სახლში ჩასტარებოდათ. მოგვიანებით ადგილობრივ საშუალო სკოლაში აუზი დაცალეს, რათა თეთრკანიან ბავშვებს შავკანიანებთან ერთად არ ეცურავათ. დიდი აუზი იყო და ოდითგანვე ფიზიკურ ჯანმრთელობას ემსახურებოდა. ამავე აუზში ემზადებოდა სკოლის მოცურავეთა გუნდი, მაგრამ თეთრკანიანი ბავშვების მშობლებმა საყვედურები დაიწყეს და აუზი გააუქმეს. ზანგი ბავშვების მშობლები ხომ მათ სახლებში მოსამსახურეებად, დამლაგებლებად, მძღოლებად და მებაღეებად მუშაობდნენ; ჰოდა, აუზსაც ბოლო მოეღო.

ნიუ-ჯერსის ამ ოთხ კვადრატულ მილზე გაშენებულ ქალაქში, რომლის მოსახლეობაც სამოცდაათი ათასს არ აღემატებოდა, ისევე როგორც ქოულმენის სიყრმის წლებში მთელი ქვეყნის მასშტაბით, მკვეთრი კლასობრივი და რასობრივი ბარიერები არსებობდა საზოგადოებაში, რომელსაც ეკლესია ხოტბას ასხამდა, სკოლა კი ბავშვებს უნერგავდა. მაგრამ იმ პატარა, ხეებით გამწვანებულ გვერდითა ქუჩაზე, სადაც ქოულმენები სახლობდნენ, რიგითი მოქალაქეები ღვთისა და სახელმწიფოს წინაშე სულაც არ გრძნობდნენ მსგავს შემბოჭავ პასუხისმგებლობას, ისევე როგორც ისინი, ვისი მოვალეობაც იყო საცურაო აუზებისა და სხვა საზოგადოებრივი მონაპოვრის მოვლა-პატრონობა, ამდენად მეზობლები გულკეთილად იყვნენ განწყობილი ღიაფერკანიანი სილქების მიმართ, მართალია, მაინც ზანგების – რომელთაც, როგორც ქოულმენის ბაღის დროინდელი თანაჯგუფელის დედამ თქვა, კაკაგარეული გოგლიმოგლისფერი კანი ჰქონდათ, რაც მეტისმეტად სასიამოვნო იყო სახილველად, – მაგრამ ფრიად პატივსაცემი ადამიანების მიმართ. კეთილგანწყობა იმაშიც გამოიხატებოდა, რომ მეზობლები ზოგჯერ რამე ხელსაწყოს ან კიბესაც კი ეთხოვებოდნენ ხოლმე სილქებს, ხანდახან კი, როცა მანქანა არ იქოქებოდა, შეიძლებოდა, რომელიმე მათგანს ხელიც კი წაეკრა ღიმილიანი სახით. კუთხეში მდგარი დიდი და

მრავალბინიანი სახლი ომის დასრულებამდე თეთრი იყო. 1945 წლის დამლევს, როდესაც ქუჩის იმ ნაწილში, რომელიც ორინჯთან უფრო ახლოს მდებარეობს, შავკანიანებმა დაიწყეს დასახლება, უმეტესობა განათლებული ადამიანი იყო – მასწავლებლები, ექიმები, დანტისტები, – კუთხის სახლთან ლამის ყოველდღიურად მიდიოდა ავეჯმზიდი ფურგონი, შედეგად, თეთრკანიანთა თითქმის ნახევარი პირველივე თვეებში სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად. მალე ყველაფერი დალაგდა. სახლის მფლობელი, ოღონდ კი ბინები გასაქირავებელი არ დარჩენოდა, შავკანიანებსაც მიაქირავებდა საცხოვრებელ ფართს, თუმცა ახლომახლო მცხოვრები თეთრკანიანებისათვის ამას გადასვლისკენ არ უბიძგებია. გარკვეული ხნის შემდეგ მათ სრულიად განსხვავებული მიზეზით, და არა ნეგროფობიის გამო, დატოვეს აქაურობა.

წავიდა! კარზე ზარი დარეკა, შეხსნა და გამოაცხადა:

– აქ ვართ!

უოლთმა იმ დღეს ასბერი-ფარქიდან ჩამოსვლა ვერ შეძლო, მაგრამ ერნესტინი და დედა შინ დაუხვდნენ – აი, ოჯახობა, რომელიც სამზარეულოდან დერეფნისკენ მოემართება და აი, მისი გოგონაც. ასეთად წარმოედგინათ მათ ერთმანეთი თუ სხვანაირად, ქოულმენისთვის ეს გაუგებარი იყო. დედას ხომ არავითარი შეკითხვა არ ჰქონდა მისთვის დასმული. მას მერე, რაც არავისთვის უკითხავს რჩევა, ისე გაასაღა თეთრკანიანად თავი და ფლოტში ჩაეწერა, დედამისი უკვე კითხვების დასმას ერიდებოდა. ახლა, როდესაც საავადმყოფოში დოქტორ ფენსტერმანის დაუხმარებლად მიაღწია განყოფილების უფროს ექთანობას, თავის საკუთარ და საოჯახო საქმეებში უფრო უოლთის იმედად ერჩივნა ხოლმე ყოფნა. არა, მართლაც არაფერი უკითხავს მაშინაც კი, როდესაც ქოულმენმა გოგონაზე გადაუკრა სიტყვა. დედის შემხედვარე ერნესტინმაც არაფერი ჰკითხა. ენა არც ქოულმენს უსწრებდა წინ. და აი, მათ თეთრ-ყირმიზა გოგონა წარუდგინეს, ქათქათა კანითა და თავთუხისფერი თმით, ხელში ცისფერი ჩანთა ეჭირა, ფეხსაცმელიც ფერთან შეეხამებინა, ტილოს კაბა ეცვა და ხელთათმანებიც არ დავიწყებოდა, თავზე კი პატარა მრგვალი ქუდი ეხურა. გოგონა მეტისმეტად კორექტული და უზადო იყო, თან იმდენად, რამდენადაც 1950 წელს შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთი სამაგალითო ახალგაზრდა ქალი. სილქების

წინაშე იყო სტინა პალსონი, ისლანდიურ-დანიური წარმოშობის ამერიკელი გოგონა, რომლის საგვარეულო ხე მეფე კნუტამდე აღწევდა და ცოტათი სცილდებოდა კიდეც.

ქოულმენმა თავისი გეგმა შეასრულა, ყველაფერი ისე მოაწყო, როგორც სურდა. წარბიც არავის შეუხრია. სახეობათა ურთიერთშეგუების სამაგალითო გაკვეთილი გამოუვიდა. არავის დაჰბმია ენა, არავის გასწყვეტია საუბრის ძაფი, არც უადგილოდ ამოუოხრავს ვინმეს და არც მხრები აუჩეჩიათ. სტინა ტყუილად კი არ იყო ოთერ-თეილის სანაპიროზე გაზრდილი: მსგავსი საუბრების წარმართვა მისი ხელობა იყო. ქოულმენს შეხვედრამდე სამივე ქალისათვის თვალები რომ აეხილა და ისე დაესვა მაგიდასთან, საუბარი ზუსტად ისევე წარიმართებოდა, როგორც ახლა მიმდინარეობდა, არც მეტი და არც ნაკლები, არადა, ერთ მაგიდასთან ისხდნენ და თვალებში შესცინოდნენ ერთმანეთს. ქვეტექსტიც ისეთივე იქნებოდა: «თუ საწყენს არაფერს მეტყვი, არც მე ვაპირებ აუგის თქმას». რესპექტაბელურობა უპირველეს ყოვლისა – ამაში სილქებიცა და პალსონებიც ერთსულოვანნი იყვნენ.

სტინას სიმაღლეზე საუბრისას კინაღამ ზედმეტი წამოსცდათ ქალებს. მართლაცდა, ეს სკანდინავიელი ქალბატონი ხუთი ფუტი და ათი დუიმი იყო სიმაღლით, ქოულმენზე სამი დუიმით მაღალი, მის დედასა და დაზე კი მთელი ექვსით. თუმცა ქოულმენის მამა მსხვილი და მაღალი კაცი იყო– ექვსი ფუტი და დუიმი, უოლთი კი მამას დუიმ-ნახევრით სჯობდა, ასე რომ, მაღალი ტანადობა სილქებს არ ეუცხოებოდათ, მაგრამ მაინც მოულოდნელობა იყო, როდესაც გოგონა ვაჟზე მაღალი აღმოჩნდა. ამ სამი დუიმის გამო სხეულის ანომალიებზე დაწყებული საჩოთირო საუბარი სამზარეულოდან წამოსულმა დამწვრის სუნმა შეაწყვეტინა ენააქავებულ ქალებს. სუნი ქოულმენმა იგრძნო და სამივე ქალი სამზარეულოში გავარდა ბისკვიტის გადასარჩენად.

ამის შემდეგ უკვე, სადილის დასრულებამდე, სანამ წყვილის ნიუ-იორკში დაბრუნების დრო არ დადგა, ყველაფერი გემრიელად წავიდა. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი კვირადღე იდგა, ყოველი კეთილსინდისიერი ოჯახისთვის სანატრელი დღე, რომელსაც ცხოვრებასთან თითქოს საერთო არაფერი ჰქონდა, მაგრამ ოჯახის ყველაზე პატარა წევრმაც კი გამოცდილებით იცოდა, რომ ამ დღეს ბუნებრივი

მდინარებიდან ვერაფრით ამოაგდებდა, რათა რაიმე წინასწარგანზრახულისთვის მიეახლოებინა.

როდესაც ნიუ-იორკისკენ მიმავალი მატარებელი პენსილვანიის სადგურის ბაქანს მიუახლოვდა, სტინამ თავი ვეღარ შეიკავა და აქვითინდა.

მანამდე მთელი გზა ქოულმენის მხარზე თავმიდებულს თითქოს ღრმად ეძინა – რამხელა ძალისხმევა დასჭირდებოდა, რომ სადილობის დროს თავი ასე მოეჩვენებინა!

– სტინა, რა მოგივიდა?

– არ შემიძლია! – იყვირა გულამოსკვნით და ასლუკუნებული უსიტყვოდ გაიქცა მატარებლიდან, თან ისე სწრაფად, რომ ქოულმენის მუხლებზე დატოვებული ქუდიც არ გახსენებია. ისე გარბოდა ვაგონში, თითქოს მოძალადეებს გაურბისო. ის წასვლა იყო და ის – მას მერე სტინას არც დაურეკავს და არც შეხვედრის სურვილი გასჩენია.

ოთხი წლის შემდეგ, ორმოცდათოთხმეტში, სადგურ გრანდ-სენთრალთან შეეჩეხნენ ერთმანეთს. შედგნენ, ხელი ჩამოართვეს და ზუსტად იმდენი დრო დაუთმეს საუბარს, რამდენიც იმ გაოცების გამოსაწვევად იკმარებდა, თვრამეტისას და ოცდაორისას რომ ეუფლებოდათ ხოლმე. ერთმანეთს ერთგვარად გულდამძიმებულები დასცილდნენ, რადგან ორივემ კარგად იცოდა, რომ სტატისტიკა მეორეჯერ მსგავს სასიამოვნო შეხვედრას აღარ განუმზადებდა. ქოულმენს უკვე ცოლი ჰყავდა, სადაცაა მამა უნდა გამხდარიყო და ადელფი-კოლეჯში ანტიკურ ლიტერატურას ასწავლიდა, ქალაქში კი იშვიათად თუ გამოჩნდებოდა. სტინა კი ლექსინგთონ-ავენიუზე სარეკლამო სააგენტოში მუშაობდა, არ გათხოვილიყო, მაგრამ წინანდებურად მშვენიერი ეთქმოდა, თუმცა უკვე არა ქალწულებრივ, არამედ ქალურ სილამაზეს ასხივებდა – ნამდვილი ნიუ-იორკელივით მოდურად ეცვა და ისე შეცვლილიყო, ისთ-ორინჯში ასეთი სტინა რომ ჩაეყვანა, ოჯახური შეხვედრა სულ სხვა შედეგით დასრულდებოდა.

მაგრამ როგორ უნდა დასრულებულიყო, რეალობას თავისი განაჩენი რომ არ გამოეტანა – ეს აზრი არ ასვენებდა ქოულმენს. თავბრუდასხმული იყო იმით, რაც აღმოაჩინა – განშორების იარა ორივეს ზუსტად ერთნაირად განუახლდა შეხვედრისას, რამაც ქოულმენს ფიქრები აუწეწა. ასეთი თავგზააბნეული

მიაბიჯებდა ქუჩებში და იმას ისიგრძეგანებდა, რასაც მანამდე, ანტიკური სიტყვიერების სწავლებისას, ვერაფრით მიმხვდარიყო – როგორ შეეძლო ცხოვრებას სულ მარტივად გადასულიყო ერთი კალაპოტიდან მეორეში, და რომ ბედის შემოქმედი შემთხვევითობა იყო და მეტი არაფერი... მეორე მხრივ კი ერთი შეხედვით შემთხვევითობა სწორედ გარდაუვალი ბედის გამოვლინება იყო. უფრო ზუსტად რომ მოგახსენოთ, სრულიად გონარეული მიაბიჯებდა და გარკვევით ვერაფერს ხვდებოდა, თან აცნობიერებდა კიდეც იმას, რომ ილუზიებით ინუგეშებდა თავს. იმ აზრამდე მივიდა, რომ რაღაც მეტაფიზიკურად ღირებულს, კოლოსალურად მნიშვნელოვანს რომ ჩამხვდარიყო, როდესაც საკუთარი ცხოვრების ბატონ-პატრონად დაისახა თავი, აუცილებლად... მაგრამ ამდენის ჩაწვდომისა და აღქმის უნარი ადამიანის გონებას არ ხელეწიფება.

ერთი კვირის თავზე კოლეჯის სახელზე მისული ორგვერდიანი წერილი, სადაც სტინა სწერდა, სალივან-სთრითზე შეხვედრებისას «მშვენივრად პიკირებდიო» და მტაცებელ ფრინველსაც კი ადარებდა, რომელიც ზღვაზე ან ხმელეთზე პიკირებისას მოჰკრავს თუ არა რაიმე მოძრავს თვალს, შურდულივით ეშვება ძირს და ნისკარტს სტაცებს, ასე იწყებოდა: «ძვირფასო ქოულმენ! მიხარია, ნიუ-იორკში რომ შევხვდით ერთმანეთს. ხანმოკლე საუბრის შემდეგ რომ დავშორდით, შემოდგომის სევდა დამეუფლა. ალბათ, იმიტომ მოხდა, რომ ჩვენი პირველი შეხვედრიდან უკვე ექვსი წელიწადი გასულა, ანუ უამრავი დღე და ღამე ჩვენი ცხოვრებისა უკვე განვლილია. მშვენივრად გამოიყურებოდი, გამიხარდა, ბედნიერი რომ ხარ». წერილი გაწელილი მთრთოლარე გამოსათხოვარი ექვსიოდე წინადადებით მთავრდებოდა, რომლებშიც მრავალჯერ გადაკითხვის შემდეგ ქოულმენმა დანაკარგით გამოწვეული ქალის სინანული და შეფარული მობოდიშება იგრძნო: «კმარა. თავი აღარ უნდა მოგაბეზრო მეტად. გპირდები, მეტს აღარ ვიზამ. ბედნიერებას გისურვებ, დიდ ბედნიერებას. სინაზით, სტინა».

წერილს ინახავდა, თუმცა რამდენიმე წელი არც კი გახსენებია მისი არსებობა, მაგრამ ქაღალდებში ქექვისას რომ წააწყდა შემთხვევით და გადაიკითხა, ისევ ის გრძნობა დაეუფლა, ფიქრებაწეწილი ქუჩაში რომ მიაბიჯებდა იმ შორეულ წარსულში და აზრებს თავს ვერ უყრიდა. იმ დროს ხომ სტინას

გამოთხოვებისას ლოყაზე ნაზად მოუთათუნა ხელი, არადა, ცოლად რომ შეერთო აირისის მაგივრად, რაც სურდა კიდეც თავდაპირველად, მისი ცხოვრება სულ სხვაგვარად წარიმართებოდა, სხვანაირად წარიმართებოდა მათი შვილების ცხოვრებაც. საკმარისი იყო, სტინას ეთქვა, ყველაფერი კარგადააო, რომ სულ სხვაგვარი გზით წაიყვანდა თავის ცხოვრებას.

«არ შემიძლია», – ასე ჟღერდა სტინას პასუხი, რაშიც თავისებური სიბრძნე იყო, უჩვეულო სიბრძნე ოცი წლის გოგონასთვის. არადა, სწორედ ეს არ ხიბლავდა თავის დროზე სტინაში – საფუძვლიანი, ფხიზელი და საღი მსჯელობა. მაგრამ მას რომ... მას რომ სხვა პასუხი გაეცა, მაშინ არც სტინა იქნებოდა და არც ქოულმენს ენდომებოდა ცოლად.

ისევ იმ გამოუსადეგარი მსჯელობის გუნებაზე დადგა. გამოუსადეგარიო, ვიტყვით, რადგან სულ ცოტა სოფოკლე უნდა იყოს ადამიანი, რომ იმაზე იმტვრიოს თავი, შემთხვევითობა ქმნის ბედს თუ გარდაუვალი ქმნის შემთხვევითობას.

* * *

აირის გიტელმანი, როგორც მან ქოულმენს პირველად წარუდგინა თავი, თავნება, ჭკვიანი და შინაგანად მეამბოხე გოგონა იყო პატარაობიდანვე. უკვე მეორეკლასელი ოცნებობდა ავტორიტარული ოჯახიდან გაქცევაზე. მის სახლში ყოველგვარი სოციალური ძალადობა სძულდათ, განსაკუთრებით კი რაბინთა ძალადობა და მავნებლური სიცრუე. მამამისი, რომელიც იდიშს კი ფლობდა, მაგრამ იმდენად ანარქისტი და ერეტიკოსი ყოფილა, რომ უფროს ვაჟებს თურმე წინადაცვეთა არც კი გააკეთებინა; აირისის მშობლებს არც ვინმეს ნებართვა და არც სამოქალაქო ცერემონია ჩაუთვლიათ დასაქორწინებლად საჭიროდ. ორი გაუნათლებელი ათეისტი-ემიგრანტი თურმე რაბინის დანახვაზე იფურთხებოდა; თავს ამერიკელებს კი უწოდებდნენ, თუმცა არც ებრაელობას მალავდნენ. ისინი «ბუნებრივისა და კარგის ფარისეველ მტერს» უწოდებდნენ ყველა იმ უკანონოდ პოსტზე მყოფ ბიუროკრატს, რომელიც

აირისის მამას ეზიზღებოდა. მერთლ-ავენიუზე მათი პაწაწინა, გადავსებული ოჯახური საკონდიტროს გაქუცულ და ჭუჭყიან კედელზე, პირდაპირ გაზიანი სასმელების დახლს უკან, გაზეთებიდან ამოჭრილი და ჩარჩოში ჩასმული საკოსა და ვანცეტის ფოტოები ეკიდათ. როგორც აირისი ეუბნებოდა, ისეთი პატარა მაღაზია იყო, რომ ადგილი იმისათვისაც კი არ გამოინახებოდა, ხუთივე რომ გვერდიგვერდ დავმარხულიყავითო. ყოველი წლის 22 აგვისტოს, 1927 წლის ამავე დღის მოსაგონებლად, როდესაც, – როგორც აირისსა და მის ძმებს უნერგავდნენ თავში, – ფოტოებზე გამოსახული ადამიანები ჩაუდენელი დანაშაულის გამო სიკვდილით დასაჯეს, ოჯახი მაღაზიის თავზე მდებარე პაწაწინა ბინაში იკრიბებოდა და უქმობდა. ბინაში კი იმაზე მეტი ქაოსი სუფევდა, ვიდრე საკონდიტროში. ეს რიტუალი, გნებავთ, კულტმსახურება, აირისის მამამ თავად მოიგონა და სულელურად ებრაულ განსჯის დღეს დაამთხვია. რასაც ის თავის იდეებს უწოდებდა, ცხადია, ამისთანა დასახელებას არ იმსახურებდა, რადგან სინამდვილეში მას გულს სასოწარკვეთილი უმეცრება, მწარე უიმედობა და უძალო რევოლუციური ზიზღი უწამლავდა. ყველაფერი, რაც ითქმებოდა, ითქმებოდა ბრალმდებლური ტონით და მუშტების შეკვრით. მამამისმა ისეთი გვარებიც იცოდა, როგორიც იყო კროპოტკინი და ბაკუნინი, თუმცა მათი თხზულებებისთვის თვალიც არ ჰქონდა მოკრული და «ფრაიე არბაითერ შტიმედან» – ანარქისტული ყოველკვირეული იდიშურ ენაზე, რომელიც რეგულარულად მოჰქონდა ოჯახის თავს სახლში – იშვიათად თუ ამოიკითხავდა რამეს, თუ იმ ფრაზებს არ ჩავთვლით, ძილის წინ თავს რომ ებრძოდა ხოლმე და ძალისძალად ცდილობდა ამოკითხვას. მისი მშობლები – აირისმა ემოციურად აუხსნა ბლიქერ-სთრითზე კაფეში ჯდომისას, რომლითაც დაგვირგვინდა მათი პირველი შეხვედრა, როდესაც ვაშინგტონ-სქუერზე აეტორღიალა ქოულმენი – უბრალო ხალხი იყო, არც გასაგებად აღწერა შეეძლოთ და არც რაციონალურად დასაბუთება იმ ბოდვისა, რასაც არსად ერიდებოდნენ და მეგობარი იქნებოდა, ნათესავი თუ ბიზნესი, კეთილმეზობლობა თუ საკუთარი შვილების სულიერი მდგომარეობა, ყველასა და ყველაფერს მსხვერპლად სწირავდნენ. «ამასთან ჩვენ არაფერი გვაქვს საერთო» – ეს სიტყვები ეკერათ მუდამ პირზე, თუკი ვინმე ან რამე თვალში არ მოუვიდოდათ, მოზარდ აირისს კი ეგონა, რომ მათ არც

მასთან და არც არაფერთან ამ ცხოვრებაში საერთო მართლაც არაფერი ჰქონდათ. მრავალგვარ ძალთა უწყვეტი მოძრაობა, ფარულ ინტერესთა რთული და დაძაბული ჩახლართულობა, პირველობისათვის მარადიული ბრძოლა, უწყვეტი დამონება, კოლექტიური უთანხმოებანი და შეთქმულებები, მორალი ოდენ სიტყვიერი სისხარტით, საყოველთაოდ მიღებული ნორმები მათი ზომიერი დესპოტიზმითურთ, ურყეობის მერყევი ილუზია, – მოკლედ, არსებული საზოგადოება, რომელიც ასეთი სახით იყო ჩამოყალიბებული, სახეს არ იცვლიდა და არც შეიცვლიდა, მათთვის მუდამ ისეთივე უცხო იყო, როგორც მარკ ტვენისეული იანკისთვის მეფე ართურის სამეფო კარი. არადა, ვერც იმას ვიტყვით, რომ სულ სხვა დროიდან და სივრციდან ამოგლეჯილები და ჩვენს დროში ხელოვნურად ჩარგულები იყვნენ. არა, ისინი უფრო ისეთ ადამიანებს ჰგავდნენ, რომლებიც აკვნიდან პირდაპირ სიჭაბუკეში გადავიდნენ და გამოტოვებულ შუალედში არავინ ასწავლა ადამიანის საწყისში მოუცილებლად ჩაბუდებულ ცხოველურ საწყისთან ურთიერთობა. აირისს პატარაობიდანვე უჭირდა, ეთქვა, თუ ვინ ზრდიდა – იდიოტები თუ ვიზიონერები, ან ის უცნაური უარყოფა რაღა იყო, რომელიც მასაც უნდა გაეზიარებინა – საზარელი ჭეშმარიტების გამოცხადება თუ შესაძლო სასაცილო სიგიჟე.

იმ დღეს კიდევ დიდხანს უყვებოდა აირისი თავისი ოჯახის ფოლკლორულ-მომაჯადოებელ ამბებს, რომელთა თანხლებით განვითარდა მისი ბავშვობა და სიყმაწვილე პასეიკში მდებარე საკონდიტროში, რომელიც ისეთ აშკარად შებინდებულ ინდივიდუალისტებს ეკუთვნოდა, როგორიც იყვნენ მორისი და ესტელ გიტელმანები. ისინი ისეთ შავბნელ თავგადასავლად იყვნენ წარმოდგენილნი, რომ რუსულ ლიტერატურაში კი არა, უფრო რუსების თემაზე შექმნილ კომიქსებში წააწყდება ადამიანი, გიტელმანები თითქოს გადარეული მეზობელი ოჯახი იყო საკვირაო ნომერში სურათებად დაბეჭდილი მოთხრობიდან «კარამაზოვების ბავშვები». ეს ყველაფერი ძლიერ და შთამბეჭდავ წარმოდგენას ჰგავდა, რომლის ავტორიც ცხრამეტი წლის გოგონა იყო ნიუ-ჯერსიდან ჰუძონის მეორე ნაპირზე გამოქცეული, – ქოულმენის ყველა გრინვიჩ-ვილიჯელი ახლობელი სადღაციდან იყო გამოქცეული, მათ შორის ისეთი შორეული ადგილიდან, როგორიცაა ამარილო. ეს გოგონაც ოჯახიდან იყო ათესილი, თუმცა კი არაფერი ჰქონდა

გადაწყვეტილი, რა უნდა დამდგარიყო მისგან, ოღონდ გათავისუფლებულიყო და ჯიბეცარიელმა მერვე ქუჩის ფიცარნაგზე «მოღვაწეობით» მოინდომა იოლად გასვლა; დაუდგრომელი იყო, ჯიბეში ორი დოლარიც არ უჭყაოდა, მაგრამ თეატრალურად მსხვილი ნაკვთები და როგორც იმ დროს იტყოდნენ, «მეტყველი» მზერა ჰქონდა. სწავლის ფულს ცენტრიდან დაშორებულ სტუდენტურ ხელოვნების ლიგაში ნაწილობრივ იმით შოულობდა, რომ გახდილი პოზიორობდა – ქალთა იმ კატეგორიას ეკუთვნოდა, რომელთაც მიაჩნიათ, რომ არაფერი აქვთ დასამალი და საზოგადოებრივ ადგილას აურზაურის გამოწვევას იმაზე მეტად არ ერიდებოდა, ვიდრე მუცლით მოცეკვავე ქალი არ უშინდება პუბლიკის კრიტიკას. მისი შავი თმა ცალკე თემა იყო – ლაბირინთი, მჩქეფარე ზღვა, შმაგი სპირალებისა და მძვინვარე კლაკნილებისგან შემდგარი კონა, ხუჭუჭა გროვა, საშობაო მორთულობასავით ხშირი. თითქოს ბავშვობის დროინდელი დომხალი ამ კლაკნილებში აისახაო. დაუმორჩილებელი თმა ჰქონდა. ამ თმით თუნდ სპილენძის ქვაბები წმინდე, მის სტრუქტურას არაფერი დააკლდება, თითქოს მელნის ზღვის სიღრმიდან იყოს ამოტანილი როგორც მარჯნისა და ჯაგების ჰიბრიდი, რომელსაც შესაძლოა, სამკურნალო თვისებაც ჰქონდეს.

მთელი სამი საათი ქოულმენი მოჯადოებული იყო მისი კომედიით, მისი აღტყინებით, მისი თმით, თვითაღგზნების მისეული უნარით, მისი შმაგი, მოზარდის გაუწვრთნელი ინტელექტითა და მისი მსახიობური მზადყოფნით, ნებისმიერ დროს აფეთქებულიყო და საკუთარი გადაჭარბებული შეფასებებისა თვითონვე დაეჯერებინა. მასთან შედარებით ქოულმენს, რომელიც თვითონაც საკმაოდ ცბიერი პროდუქტი იყო, რომლის დამზადების რეცეპტიც მის მეტმა არავინ იცოდა, საკუთარი თავი პიროვნების კონცეფციის სრულიად უქონელი ადამიანი ეგონა.

მაგრამ საკმარისი იყო, იმავე საღამოს აირისი სალივან-სთრითზე, თავისთან მიეყვანა, რომ ყველაფერი ძირფესვიანად შეიცვალა. აღმოჩნდა, რომ ქალი საკუთარ თავს სულ არ იცნობდა, არც ის იცოდა, რა უნდოდა ცხოვრებაში. ხშირი თმის ბუჩქის მიღმა აირისი სრულიად მოწყვლადი ჩანდა. სრული ანტითეზა იყო იმ ისრისა, რომელიც ცხოვრებას უმიზნებდა და რომელსაც ოცდახუთი წლის ქოულმენ სილქი წარმოადგენდა. ისიც თავისუფლებისათვის მებრძოლი იყო, მაგრამ სხვა

ყაიდისა, უფრო ანარქისტული მიმართულების, თან ცხოვრების გზის პოვნასაც ლამობდა.

რომც გაეგო, ქოულმენი შავკანიანთა ოჯახში იყო დაბადებულ-გაზრდილი და ბოლო პერიოდებამდეც თავს ზანგად მიიჩნევდა, წარბიც არ შეუტოკდებოდა და არც საიდუმლოდ შენახვა გაუჭირდებოდა ამ ამბისა, ქოულმენს რომ ეთხოვა. რა-რა და, მოთმინების ჭარბი უნარი კი ჰქონდა აირისს მიმადლებული – მას ის უფრო ეუცნაურებოდა, რაც სისწორედ მიაჩნდათ. ჰმ, ერთის მაგივრად ორ ადამიანად ყოფნა? ერთის მაგივრად, კანის ორი ფერის ქონა? ქუჩებში ინკოგნიტოდ ან გადაცმულად სეირნობა, ამ დროს კი არც იმად ყოფნა და არც ამად, არამედ რაღაც შუალედურად? გაორება, გასამება, გაოთხება? აირისს ეს, ერთი შეხედვით, ანომალიები, როგორც იტყვიან, სულაც არ აშინებდა. მისი გონებაგახსნილობა იმ ზნეობრივ ხარისხად როდი მიიჩნეოდა, რომლითაც ლიბერალები და ლიბერტარიანელები ამაყობენ; ეს უფრო ანტითეზად, იდიოტური მოუთმენლობის გიჟურ ანტითეზად იყო მიღებული. ყოველგვარი მოლოდინი, ურომლისოდაც ადამიანებს ცხოვრება ვერც კი წარმოუდგენიათ, მნიშვნელობის ჰიპოთეზა, ავტორიტეტების რწმენა, წესრიგისა და მართებულობის გაღმერთება, – ეს ყოველივე გაუგონარ სისულელედ ეჩვენებოდა. განა ასე იქნებოდა, კაცობრიობის განვითარების გზაზე რომ ყველაფერი ნორმალურად ყოფილიყო? განა მსოფლიო ისტორია ასეთი იქნებოდა?

და მაინც, ქოულმენმა გაბედა და გამოუტყდა, ებრაელი ვარო. ქოულმენის მამა თურმე ზილბერცვაიგი ყოფილა და კუნძულ ელისზე გულმოწყალე მებაჟეს გვარად სილქი უბოძებია მისთვის. ქოულმენს ბიბლიური ნიშანი – წინადაცვეთაც კი ჰქონია, განსხვავებით მისი თანატოლი შავკანიანი ბიჭებისაგან. დედამისს, რომელიც უმეტესწილად ებრაელებით დაკომპლექტებულ საავადმყოფოში მუშაობდა, მედიკოსთა მიერ ჰიგიენის თვალსაზრისით ფრიად მიღებული წინადაცვეთის უპირატესობა დაუჯერებია და სილქებსაც ორივე ვაჟისათვის დაბადებიდან ორი კვირის შემდეგ გაუკეთებიათ ხსენებული ოპერაცია (ამ პრაქტიკამ, სხვათა შორის, ნელ-ნელა მოიკიდა ფეხი არაებრაულ ოჯახებშიც).

ქოულმენი რამდენიმე წლის განმავლობაში გარშემომყოფთ სრულიად გაცნობიერებულად აგრძნობინებდა, რომ ებრაელი

იყო, მით უმეტეს, რაც მიხვდა, რომ უნივერსიტეტშიცა და კაფეშიც, სადაც კი ფეხს შედგამდა, უმეტესობა დაუფიქრებლად მაინც ამ ერს მიაკუთვნებდა. ფლოტის ცხოვრებამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ერთგვარად ცხადი და თანამიმდევრული გეზით უნდა ევლო და არც არავინ ჩაყოფდა მის საქმეში ცხვირს და არც არავინ ჩაეკითხებოდა რამეს, რადგან ეს არავის აღელვებდა. არადა, მის უნივერსიტეტელ და გრინვიჩ-ვილიჯელ ამხანაგებს ის თავისუფლად შეიძლებოდა ახლოაღმოსავლელი არაბი ჰგონებოდათ, მაგრამ რაკი იმხანად ებრაელების საკუთარი თავით მონუსხულობამ და თვითკმაყოფილებამ ვაშინგტონ-სქუერელ ინტელექტუალებს შორის ომის შემდგომ პიკს მიაღწია, როდესაც დაუცხრომელმა წადილმა, საკუთარი თავი დიდმნიშვნელოვანდ შეეგრძნოთ და წარმოეჩინათ, რაც ებრაულ გონებრივ კადნიერებას კვებავდა, უკვე უმართავი სახე მიიღო, როდესაც ებრაელთა კულტურული უპირატესობის აურა არანაკლებ გამოსჭვიოდა, ვიდრე ჟურნალებიდან «კომენტარები», «მიდსტრიმი» და «პარტიზან რევიუ», იგრძნობოდა მათ ღადაობებში, ანეკდოტებში, სიცილსა და ხუმრობებში, ენამახვილობასა და დასკვნებში, გინებაშიც კი – ქოულმენი რა ქოულმენი იქნებოდა, ეს ხელსაყრელი ვითარება არ გამოეყენებინა, მით უმეტეს, რომ დოქტორ ჩიზნერის ასისტირებით კრივის გაკვეთილებზე, სადაც მეტწილად ებრაელი მოზარდები ემზადებოდნენ, მშვენიერი, ნიუჯერსულ-ებრაული წარმოშობის ბავშვობა დაესაბუთებინა, ვიდრე სირიულ-ლიბანური წარმოშობა. აგრესიულად მოაზროვნე, რეფლექსური და უპატივცემულო ებრაელის მზა პრესტიჟის გამოყენება, თავისი მარგინალური მანჰეტენური არსებობის ნიღაბს ასე გატაცებით რომ დასცინოდა, როგორც გაირკვა, არანაკლებ სარისკო აღმოჩნდა, ვიდრე ამ ნიღბის ხანგრძლივი გაშალაშინება, ამასთან, მისდა გასაოცრად, თავბრუდამხვევი რისკის შეგრძნებასაც მატებდა, ხოლო, როდესაც დოქტორი ფენსტერმანი ახსენდებოდა, რომელიც მის მშობლებს სამი ათას დოლარს სთავაზობდა, იქნებ ქოულმენმა ცოტა მოიკოჭლოს გამოსაშვებ გამოცდებზე და ჩემი ბერთი დაასახელებინოს პირველ ფრიადოსნადო, ქოულმენს ასეთი გარდასახვა საშინლად სასაცილოდ ეჩვენებოდა, გრანდიოზულ და კომიკურ ანგარიშსწორებად მიაჩნდა. ეს რამხელა სამყაროსეულ ჩანაფიქრში ვყოფილვარ ჩართულიო, დაასკვნა ბოლოს. ნეტავ სამყაროს შექმნის ტოლფასი ხომ არ იქნებოდა,

ფენსტერმანის შვილად რომ ქცეულიყო. გულის სიღრმეში მუდამ განუმეორებლობისაკენ მიიწევდა, ჰოდა, მიიღო კიდეც.

აქ უკვე სერიოზულად იყო საქმე. აირისი, ეს ყველაზე არაებრაელი ებრაელი, მოურჯულებელი, მოუდრეკელი ქალი, რომელიც სტინას არაფრით ჰგავდა, შუამავლად ექცა ქოულმენს ძველსა და ამჟამინდელ მდგომარეობას შორის. როგორც იქნა, წერტილში მოახვედრა. წარსულს ჩაჰბარდა ათასჯერ გაზომვა და ერთხელ გაჭრა, ცხოვრებისათვის უსასრულო მომზადება, ქანცგამწყვეტი წვრთნა. მაგრამ აი, ისიც, მისი საიდუმლოს გასაღები, თუმცა თუკი მაინც კომიზმთან იქნება გაზავებული, რა გაეწყობა, ცოტაოდენ დამამშვიდებელ და მაცოცხლებელ კომიზმს ცხოვრება ხომ ადამიანის გადაწყვეტილებებს მუდამ უმატებს ხოლმე.

როგორც ამერიკის ისტორიისათვის აქამდე უცნობმა და არასასურველმა ეთნიკურმა ნარევმა, მან, როგორც იქნა, არსებობის აზრი მოიპოვა.

თუმცა, ინტერლუდიის გარეშეც არ ჩაუვლია. სტინასა და აირისს შორის ხუთთვიანი ინტერლუდია აღმოცენდა, რომელსაც ელი მაგი ერქვა. ელი ტანმორჩილი, კოხტა ზანგის გოგონა იყო, მოყვითალო-ყავისფერი კანით, ცხვირსა და ლოყებზე ჭორფლიც კი ჰქონდა შეუმჩნევლად, სახეზე არც მოზარდს ჰგავდა ბოლომდე, არც ზრდასრულს, უფრო ნახევრად ქალი ეთქმოდა და მაღაზია «გრინვიჩ-ვილიჯის კარებში» მუშაობდა მეექვსე ავენიუზე, სადაც აზარტულად ყიდდა წიგნის სტელაჟებსა და ყბადაღებულ კარებს – საწერი მაგიდასავით მაღალ ფეხებზე შეყენებულსა და საწოლივით დაბალფეხება კარებს. მაღაზიის მფლობელმა, დაღლილმა და ბებერმა ებრაელმა, განაცხადა, ელის მოსვლამ საქონელბრუნვა ორმოცდაათი პროცენტით გაზარდაო. «ლამის ხელი ავიღე ყველაფერზე, – გამოუტყდა ბერიკაცი ქოულმენს, – თავი ძლივს გამქონდა. ელის მოსვლის მერე კი ჩვენთან ჯელი არ დარჩა, რომ ფეხიანი კარი არ დასჭირვებოდა; ყველა აქ დაერჭო. ვინც უნდა ფეხი შემოდგას, მე კი არ მიკითხავს, ელის კითხულობს. ტელეფონი თუ რეკავს, მასთან უნდათ გასაუბრება. ამ კნაჭა გოგომ ყველაფერი შეცვალა აქ». გოგონა ყველას იზიდავდა და ამ მხრივ არც ქოულმენი აღმოჩნდა გამონაკლისი; ჯერ მისმა ფეხებმა მიიქცია ყურადღება, მაღალქუსლიანი ქოშები ეცვა ხოლმე, მერე მისმა უშუალობამ მიიპყრო ვაჟის გონება.

უნივერსიტეტების სტუდენტებს შორის არც შავკანიანს სწყვეტდა გულს და არც თეთრკანიანს, პირიქით, ეს ოცდასამი წლის მხურვალე არსება ყველას იზიდავდა. გულგატეხილობისა ჯერ არაფერი იცოდა, ვილიჯში იონქერსიდან გადმოსულიყო, სადაც დაიბადა და გაიზარდა კიდეც, მაგრამ გრინვიჩ-ვილიჯის თანამედროვე ცხოვრებას აჰყოლოდა, როგორც მასზე ამბობდნენ ხოლმე. ნაღდი აღმოჩენა იყო – ქოულმენიც ადგა და საწერი მაგიდა შეიძინა, რაც არაფერში სჭირდებოდა, და იმავე საღამოს ელი ბარში მიიწვია. სტინას შემდეგ, ამ დარტყმის შემდეგ, იმ დანაკარგის შემდეგ, რაც ცხოვრებაში მართლა ესაჭიროებოდა, როგორც იქნა, თავი კარგად იგრძნო. აი, ისევ ცოცხალი იყო, ეს გრძნობა იმ წუთშივე დაეუფლა, როდესაც მაღაზიაში გაეარშიყა პირველად. ნეტავ ელის რომელი ეგონა, შავი თუ თეთრი? ქოულმენი ვერაფერს ხვდებოდა. გამოცანაც ეს იყო. საღამოს კი ცბიერად თვალებმოწკურულმა ელიმ ჰკითხა:

– აბა, რომელი ფერისა ბრძანდები? – ეტყობა, პირველივე დღეს ისქესა ელიმ და ხელსაყრელი შემთხვევა გამოიყენა შეკითხვის დასასმელად, თუმცა ქოულმენისათვის ახლა ოფლს აღარ დაუსხამს, როგორც იმ ღამით, სტინას წერილი რომ წაიკითხა.

– რა ფერისა? – კითხვა გაიმეორა, – შენ რომელიც მოგწონს, იმ ფერისა ვიქნები.

– უყურე შენ!

– მიყურე.

– ანუ თეთრკანიან გოგონებს შენც თეთრი ჰგონიხარ?

– რაც უნდათ, ის ვეგონო, ფიქრის უფლებას ვერავის ჩამოვართმევ.

– ჩემთანაც ამავე მეთოდით აპირებ? – ჰკითხა ელიმ.

– ჰო, დაახლოებით, – უპასუხა ქოულმენმა. ამ ორმაგმა თამაშმა ორივე მოხიბლა.

ქოულმენი ზედმეტად არავის უახლოვდებოდა ხოლმე, ამიტომ უნივერსიტეტელი ამხანაგები ფიქრობდნენ, შავკანიანი გოგო შეაბაო, ელის საახლობლომ კი იფიქრა, თეთრი ბიჭი გამოიჭირაო. სახალისოა, როცა ვინმეს აოცებს კაცი, ჰოდა, სწორედ ასე აოცებდნენ ერთად ჩავლილები მნახველს. 1951

წელი იყო. ძმაკაცებმა ქოულმენს ჰკითხეს, აბა, როგორიაო? მან კი უპასუხა, მხურვალეო და როგორც იმ დროს იტალიელებს სჩვეოდათ ისთ-ორინჯში, ხელისგულზე ხელი გაისვა. ამ ყოველივეში იმწუთიერი აღტაცება გამოსჭვიოდა, პაწაწინა კინოვარსკვლავობა იგრძნობოდა: საზოგადოებაში ის და ელი ხომ თავს ისე გრძნობდნენ, როგორც სცენაზე. მერვე ქუჩაზე ვერავინ ხვდებოდა საქმის ვითარებას და ქოულმენს ეს ძალიან ახარებდა. მაგარი ფეხები კი ჰქონდა ელის, თან როგორი ტიკტიკი იცოდა! გაუჩერებელი! მისი ბუნებრიობა, მისი ძალდაუტანებლობა, მისი სინორჩე ქოულმენს თავბრუს ახვევდა. ელი რაღაცით სტინას ახსენებდა, თუმცა სხვა ფერის კანი ჰქონდა, ამიტომაც ქოულმენს ხელი არ უტაცია და შინ არ გაუქცევია ოჯახის გასაცნობად. ან რად უნდოდა? გრინვიჩ-ვილიჯში ხომ ერთად ცხოვრობდნენ, მეტი რაღა უნდოდათ? ელისთან ერთად ისთ-ორინჯში გამგზავრება თავში აზრადაც არ მოსვლია. იქნებ ეს იმიტომ ხდებოდა, რომ შვებით არავის ამოესუნთქა გოგონას დანახვაზე და არ ეთქვათ, სწორად იქცევიო. ნეტავ სტინა რატომღა ჩავიყვანეო, ფიქრობდა ქოულმენი. პატიოსნად რომ მოვქცეულიყავიო? კი მაგრამ, რა შედეგი მერე? არა, არა, იმხანად ოჯახობანას დრო ნამდვილად არ ჰქონდა.

მაგრამ იმდენად კარგად გრძნობდა მასთან თავს, რომ ერთ საღამოს სიმართლე თავისთავად დასცდა ბაგეთაგან. კრივზეც კი მოუყვა, რაც სტინასთან ვერც კი წარმოედგინა. ელისთან კი ნებისმიერ რამეზე შეეძლო საუბარი. გოგონა არასოდეს განსჯიდა მის საქციელს, რაც ვაჟის თვალში კიდევ უფრო ამაღლებდა. ასეთი თანამედროვე და იმავდროულად, ასეთი მოაზროვნე – იშვიათი კომბინაცია გახლდათ. როგორც აღმოჩნდა, საკმაოდ ფართო თვალსაწიერის მქონე გოგონასთან ჰქონია საქმე დაჭერილი. ქოულმენის მშვენიერ გულის სწორს ყველაფრის მოსმენა სურდა. ვაჟიც ალაპარაკდა, როცა საიდუმლო არ ზღუდავდა, მუდამ თავისუფლად გამოსდიოდა საუბრის წარმართვა, რაც ელის ერთობ ხიბლავდა. ფლოტზეც მოუყვა. ოჯახზეც უამბო, რომელიც ელის ოჯახისგან ბევრით არაფრით განსხვავდებოდა, თუმცა მამამისი ცოცხალი და ჯანმრთელი იყო და ჰარლემში აფთიაქარად მუშაობდა. თუმცა უკმაყოფილო ყოფილა ქალიშვილის აქ გადმოსვლით, მაგრამ თავს თურმე ვერაფერი მოუხერხა და წინანდებურად აღმერთებდა ელის; ეს კი გოგონას ძალიან ახარებდა.

ქოულმენს არც ჰაუარდის შესახებ დაზარებია მოყოლა, აუხსნა, რატომაც ვერ დარჩა იქ. ჰაუარდზე სიტყვა გაუგრძელდათ, რადგან ელიც იქ ჩააბარებდა, მშობლებისათვის რომ დაეჯერებინა. მოკლედ, რაზეც უნდა ესაუბრათ, ქოულმენს ელის გამხიარულება და გაცინება სულ იოლად გამოსდიოდა. «ჩემს დღეში ამდენი შავკანიანი არსად მინახავს, სამხრეთ ნიუ-ჯერსიში ნათესავების შეკრებაზეც კი. ერთი ბეწო ადგილზე შავკანიანთა წარმოუდგენლად დიდი თავშეყრა – აი, ესაა ჩემთვის ჰაუარდი. ათასი ჯურის ხალხი იყო, საერთო ენას კიდევ ვინმესთან გამოვნახავდი, მაგრამ ჩემს გულს ეს მალამოდ არ ედებოდა. იქ არაფერი მესაქმებოდა. ისე იყო ირგვლივ ყველაფერი კონცენტრირებული, რომ თუკი რამ სიამაყის ნატამალი გამაჩნდა, თვალსა და ხელს შუა მიქრებოდა. ამ ყალბი, ხელოვნურად კონცენტრირებული გარემოცვის გამო ვგრძნობდი ამას». «გადამტკბარი სოდიანი წყალივით, არა?» – ჰკითხა ელიმ. «არც მთლად, – შეუსწორა ქოულმენმა, – რაღაც კი არ იყო ზედმეტი, პირიქით, ყველაფერი არასაკმარისად იყო». როდესაც ელისთან ასე გულწრფელად საუბრობდა, ქოულმენს სიმშვიდე ეუფლებოდა. მართალია, უკვე გმირი აღარ ეთქმოდა, მაგრამ ვერც იმას იტყოდით, ანტიგმირიაო. ეს კნაჭა გოგო კი უშრეტი ბრძოლის უნარით დაჯილდოებული ყოფილა. როგორ მოიპოვა თავისუფლება, როგორ იქცა გრინვიჩ-ვილიჯელ ტურფად, ან მშობლებთან როგორ დაიჭირა თავი, – აი, ზრდაც ასე უნდა.

ერთ საღამოს ელიმ ხელკავი გაუკეთა და ერთ მყუდრო საოქრომჭედლოში წაიყვანა, რომელიც ხელმარჯვე თეთრკანიან ოსტატს ეკუთვნოდა. უბრალოდ, შეიარეს, თვალი შეავლეს ნატიფ სამკაულებს და გამოსვლისას რატომღაც ასეთი რამ უთხრა ქოულმენს:

– იცი, ამის პატრონი ზანგია.

– რას ამბობ, ალბათ, გეშლება, – უპასუხა ქოულმენმა, – წარმოუდგენელია.

– მე კი ნუ მეუბნები, გეშლებაო, – ელიმ გაიცინა, – კარგად გაახილე თვალები.

მეორე ჯერზე, შუაღამით, ელიმ ჰუძონ-სთრითზე მდებარე ბარში მიიყვანა, სადაც მხატვრები ტრიალებდნენ.

– აბა, იმ სიმპო ბიჭს შეხედე, – უთხრა და მიუთითა ასე

ოცდახუთიოდე წლის თეთრკანიან ბიჭზე, ბარში ყველა გოგონას რომ ხიბლავდა, – ისიც.

– კაი რა, – გაეცინა ქოულმენს.

– ქოულმენ, შენ გრინვიჩ-ვილიჯში ხარ, ეს კი მთელ ქვეყანაში ყველაზე თავისუფალი ოთხი კვადრატული მილია. აქ ლამის ყველა უბანში ნახავ ამისთანას. ნუ გიკვირს, პირველი კი არა ხარ, – აუხსნა ელიმ. რაკი თვითონ უკვე სამ ამისთანას იცნობდა, უეჭველი იყო, კარგა ათიც უნდა ყოფილიყო მათნაირი, ან იქნებ მეტიც, – მთელი ამერიკიდან თავქუდმოგლეჯილი ყველა მერვე ქუჩას აწყდება. შენც ხომ შენი პატარა ისთ-ორინჯიდან აქ აღმოჩნდი.

– მე კი, – გამოტყდა ქოულმენი, – ვუყურებ და ვერავის ვხედავ, – ამის თქმაზე ორივე ისევ ახარხარდა, ახორხოცდა, ლამის წაიქცნენ, იმდენი იცინეს. არა, აშკარა იყო, რომ ქოულმენს ელისთანა გიდი სჭირდებოდა, რომ გზა გაეგნო.

თავიდან პრობლემის ამგვარად გადაჭრის გადაწყვეტილება მოეწონა, რაკი საიდუმლო აღარ ჰქონდა, ისევ პატარა ბიჭად იგრძნო თავი. ისევ ის უდარდელი ლაწირაკი გახდა, რომელსაც არავითარი საიდუმლო არ გააჩნდა. ელის უშუალობა გადაედო, რამაც ხალისი შემატა. ვისაც რაინდობა უნდა, აბჯარიც უნდა აისხასო, იტყვიან, ქოულმენმა კი პირიქით, ყველანაირ საჭურველზე თქვა უარი, რაც მის ნამდვილს მეს მალავდა. ბედნიერი ხარო, უთხრა ერთხელ ელის უფროსმა. «ბედნიერი», – გაიმეორა თვითონაც და დაეთანხმა. ელის წყალობით მისმა საიდუმლომ მოქმედების უნარი დაკარგა. საქმე მხოლოდ ის კი არ იყო, გოგონას დაუფარავად რომ უყვებოდა ყველაფერს, არამედ ის, რომ ახლა უკვე შინისაკენ მიმავალ გზაზე აღარაფერი ეღობებოდა. აგერ, უკვე ძმასთანაც შეიძლებოდა ურთიერთობის აწყობა, თორემ არსებული დამოკიდებულებით მისი იმედი ვერ ექნებოდა. უკვე იმ ძალდაუტანებელი სითბოს დაბრუნებაც შეიძლებოდა, რომელიც დედასთან აკავშირებდა მუდამ. მაგრამ ცოტა ხანში აირისს შეხვდა და ყველაფერი შეიცვალა. ელისთან ყოფნა ეხალისებოდა, მაგრამ რომელიღაც განზომილება აკლდა. სიმართლე რომ მოგახსენოთ, ეს განზომილება მისი ამბიცია იყო და მეტი არაფერი. ამბიცია, რომლითაც მთელი ცხოვრება საზრდოობდა. აირისის გამოჩენით კი ისევ რინგზე იგრძნო თავი. მამამისს ხომ ჰქონდა მისთვის ნათქვამი, დაუმარცხებელმა დატოვე რინგიო. მაგრამ

ისევ ძველმა ჟინმა დარია ხელი და თითქოს მართლაც საბრძოლველად აპირებდა გასვლას, თავისი კუთხიდან ისევ ამოიღო მიზანში მომავალი ცხოვრება და საიდუმლოც ისევ თავისად დაიგულა. არა მხოლოდ საიდუმლო, არამედ მიმალვის ნიჭიც, რომელიც ბევრს არ გააჩნია. მერე რა, თუ ვილიჯში მისნაირებიც არიან, მაგრამ მისთანა უნარი მათაც ხომ ვერ ექნებათ. ან თუ აქვთ, ალბათ, მცირე დოზით, რაც მხოლოდ ტყუილების თქმაში გამოიხატება. სად შეუძლიათ ისე ოსტატურად შენიღბვა, როგორც ქოულმენს. არა, ზედმეტი გულღიაობით ვეღარ გააგრძელებს. ფარულობის ელექსირი ისევ მის ხელთაა, ეს რაღაცით უცხო ენის ფლობას ჰგავს, თითქოს ისეთ ადგილას იმყოფება ადამიანი, სადაც მუდმივი სინორჩეა. ამის გარეშე ცხოვრობდა და ყველაფერი კარგად მიდიოდა, საწუწუნო ნაღდად არაფერი ჰქონდა. ხალისობდა კიდეც. სრულიად გულწრფელად ხალისობდა, მაგრამ სხვა დანარჩენი აკლდა. მართალია, ელის წყალობით თითქოს უცოდველობა დაუბრუნდა, საიდუმლოებებისგან გათავისუფლდა, მაგრამ ამით რა ხეირი? აირისისგან ბევრად მეტია მოსალოდნელი. ის სრულიად სიმაღლეზე აიყვანს ყველაფერს. აირისი ქოულმენს იმ ცხოვრებას უქადის, რომელიც კაცს სურს.

* * *

გაცნობიდან ორი წლის შემდეგ დაქორწინება გადაწყვიტეს. მაშინ ამხელა თავისუფლებისათვის, რომლის სიღრმეებსაც უკვე ჭვრეტდა, ამ გაბედული არჩევანისათვის – ან კი შეეძლო მეტი ჭკუა და ფანტაზია მოეხმო საკუთარი მეს ჩამოყალიბებაში, სადაც მისი პატივმოყვარეობა ჩაეტეოდა და რომელიც ისეთი მტკიცე იქნებოდა, რომ სამყაროს ძალას გასტოლებოდა? – სწორედ მაშინ ამ ყველაფრისათვის პირველი დიდი საფასურის გადახდამ მოუწია.

ქოულმენი ისთ-ორინჯში გაემგზავრა დედასთან დასალაპარაკებლად. მისის სილქმა აირის გიტელმანის არსებობის შესახებ არაფერი იცოდა, მაგრამ არ გაჰკვირვებია, ვაჟმა რომ უთხრა, თეთრკანიან გოგონას ვირთავო. არც ის გაჰკვირვებია, გოგონამ ქოულმენის ზანგური წარმოშობის შესახებ რომ არაფერი იცოდა. ვისაც მაშინ გაკვირვება

დაეუფლა, ეს თვითონ ქოულმენი იყო. ის იყო, ხმამაღლა გამოაცხადა ეს, რომ უცებ ჩაფიქრდა, ცხოვრებაში ეს უსერიოზულესი ნაბიჯი ნეტავ სრული სისულელით, აირისის თმის ბუნებით ხომ არ არის განპირობებულიო. აირისის თმა ხომ წყალმცენარესავით სქელი და მოუხეშავი იყო, თან გაცილებით ნეგროიდულიც, ვიდრე თავად მისი თმა. აირისის თმა ერნესტინის თმას უფრო ჰგავდა. პატარაობისას ერნესტინს ერთი კითხვა ჰქონდა აკვიატებული, მეც დედიკოსნაირად ქარივით თმა რატომ არა მაქვსო? ერნესტინი იმას გულისხმობდა, რომ მისი თმა ქარის დროს არ ფრიალებდა, როგორც დედამისისა და დედის მხრიდან ყველა ნათესავი ქალის.

ქოულმენი დედის პირდაპირ იჯდა, როცა მის მზერაში შემზარავი შიში ამოიკითხა: იქნებ აირის გიტელმანს მხოლოდ იმიტომ ირთავს, რომ მათი მომავალი შვილების თმის შემადგენლობის ახსნისას ნამდვილი პასუხის გაცემა არ გაუჭირდეს?

თუ ესაა მოტივი, მაშ, ამდენი ხანი ასე გაუცნობიერებელი რატომ დარჩა? იქნებ ეს ოდენ წარმოსახვის ბრალია? მაგრამ დედის გატანჯული სახის შემხედვარე (შვილის გადაწყვეტილებამ მას ერთიანად დარია ხელი, მაგრამ თავისი ვაჟისა არ იყოს, ბოლომდე აპირებდა მოთმენას) ამ ახალაკვიატებულ აზრს აგრერიგად იოლად ვეღარ მოიცილებდა. დედის პირდაპირ იჯდა და თავის თავში დარწმუნებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ გულის სიღრმეში აცნობიერებდა, რომ საცოლე ამქვეყნად ყველაზე სულელური მიზეზით ჰყავდა ამორჩეული და დედამიწის ზურგზე მისნაირი ცარიელი ადამიანი არ დადიოდა.

– და ჰგონია, რომ მშობლები აღარ გყავს, ქოულმენ? ასე უთხარი?

– სწორედ ასე.

– არც ძმა მყავს, არც დაო, ასე უთხარი? გამოდის, არც ერნესტინი ყოფილა, არც უოლთი...

ქოულმენმა თავი დაუქნია.

– კიდევ რა გაქვს ნათქვამი?

– შენი აზრით, რა მექნება ნათქვამი?

– ნებისმიერი რამე, რაც გაწყობდა, შვილო.

იმ დღეს ამაზე მკვახედ დედამისს მისთვის არაფერი უთქვამს. გაბრაზების მისეული ფორმა ქოულმენზე არც წინათ ვრცელდებოდა და არც მომავალში გავრცელდება. ქოულმენის ამქვეყნად მოვლენის დღიდანვე მისდამი ისეთი გრძნობა დაეუფლა, რომელსაც ვერაფერს მოუხერხებდა და რაც ბავშვის ქცევა-დამსახურებაზე სულაც არ იყო დამოკიდებული.

– შვილიშვილებს ვერასოდეს გავიცნობ, – თქვა მისის სილქმა.

მომზადებული იყო ჩასული. მხოლოდ ერთი რამ აფიქრებდა, როგორმე დაევიწყებინა აირისის თმა და დედისთვის სათქმელი ეთქმევინებინა. დაე, ისე ამეტყველებულიყო ქალი, რომ შვილისთვის აპოლოგია შეეთხზა სიტყვათა ნიაღვრისგან.

– ჩემი ნახვის უფლებას არ მისცემ, – განაგრძო ქალმა, – ჩემზე არაფერს მოუყვები. ალბათ, დამირეკავ და მეტყვი, «დედიკო, ჩამოდი ნიუ-იორკში, სადგურის მოსაცდელ დარბაზში დაჯექი, თორმეტის ოცდახუთ წუთზე ჩამოვატარებ საკვირაოდ გამოწყობილ ჩემს ბავშვებს და თვალი შეავლე, ოღონდ არაფერი თქვაო». ასე, ალბათ, ხუთიოდე წლის შემდეგ დაბადების დღეს მომილოცავ. მშვენივრად იცი, რომ მოვალ და ვიჯდები მოსაცდელში. ვიჯდები ზოოპარკშიც. ვიჯდები ცენტრალურ პარკშიც. სადაც მეტყვი, იქ დავჯდები, აბა, რა თავში ქვას ვიხლი. თუკი მეტყვი, შვილიშვილები რომ ნახო, მისის ბრაუნი დაირქვი და ჩემს სახლში მოახლედ ან ბავშვების აღმზრდელად დაიწყე მუშაობაო, ამასაც გავაკეთებ. რაც უნდა მითხრა, ყველაფერს გავაკეთებ. უკან არაფერზე დავიხევ, მხოლოდ ის მითხარი, რა ვქნა, როგორ მოვიქცე?

– არჩევანი გაქვს.

– მაქვს? მითხარი, ქოულმენ, რა ვქნა?

– უარმყავი.

მისის სილქმა დამცინავად შეხედა, თითქოს მართლაც დაფიქრდა ამ წინადადებაზე.

– ასეთი სისასტიკე როგორ გამოვიჩინო, შვილო? ან რომ დაგთანხმდე, გამოვიჩენ-მეთქი, საიდან მოვიტანო ამხელა

სისასტიკე?

ბავშვობის გახსენებისთვის ახლა ქოულმენს არ სცხელოდა. არც იმის გუნებაზე იყო, რომ დედის სხარტი გონებით, სარკაზმითა და უშიშრობით აღტაცებულიყო. სად ჰქონდა იმის დრო, რომ მისის სილქის ლამის ფენომენურად პათოლოგიური, დედობრივ სიყვარულად წოდებული გრძნობის წინაშე მოეხარა ქედი. სად ეცალა მის სიტყვებში გაჟღერებული ფარული აზრის აღსაქმელად. ვერც იმ აზრებს მისცემდა დაჯაბნის უფლებას, რაც წინასწარ დაგეგმილ განზრახვას ეწინააღმდეგებოდა. მართლაც, სად ჰქონდა იმის დრო, რომ ქადაგად დავარდნილიყო და ახსნა-განმარტება დაეწყო, ასეთი გადაწყვეტილებით ხეირს მეტს ვნახავ, ვიდრე ზარალსო, ან კიდევ იმის ახსნას მოჰყოლოდა, მხოლოდ ლოგიკის კარნახით ვიქცევი ასე და გულისხმას აქ წილი არ უდევსო. იმ ბოროტებას, რასაც იმ წუთებში სჩადიოდა, მაინც ვერავითარ ახსნას ვერ უპოვიდა. მხოლოდ იმის დრო ჰქონდა, რომ გონების კონცენტრაცია ცხოვრების ჩანაფიქრზე მოეხდინა. თუკი დედამისი მას არ უარყოფდა, მაშინ დარტყმის მისაღებად მოუწევდა მომზადება. თვითონ კი ხმა უნდა გაეკმინდა, აირისის თმა ცოტა ხნით დაევიწყებინა და დედისათვის მიეცა საშუალება, ბოლომდე გამოეთქვა გულისტკივილი და როგორმე შვილის საშინელი საქციელიდან მაინც აეღო სისასტიკე, რათა წინ აღსდგომოდა ამავე საქციელით მიყენებულ დარტყმას.

თავისი საქციელით ის დედას კლავდა. მამის მოკვლა კი არ დასჭირდებოდა, სამყაროს უკვე თავად ეზრუნა ამაზე. სამყარო ბევრ რამეს იკისრებდა, ისევე როგორც მისტერ სილქის შემთხვევაში მოხდა. მხოლოდ ისღა რჩებოდა, რომ მშობელ დედას გასწორებოდა, ჰოდა, აკეთებდა კიდეც ამას – აკეთებდა იმ სიყვარულის პასუხად, რომლითაც ეს ქალი მუდამ ექცეოდა სათაყვანებელ ვაჟს. მკვლელობა დამათრობელი, მიმზიდველი თავისუფლების სახელით! დედა რომ არა, ყველაფერი რამდენად იოლი იქნებოდა. თუმცა მხოლოდ ამ გზის გავლით მიაღწევს სასურველს – ის გახდება, ვინც ყოველთვის სურდა, რომ გამხდარიყო, ადამიანი, რომელიც ხელს ჰკრავს ყველაფერს, რაც კი რამ დაბადებითვე ერგო და ყველასათვის ნანატრი თავისუფლებისათვის მებრძოლი თავისუფალი კაცი გახდება. ამ ცხოვრებისგან რომ სასურველი მიიღოს, ანუ ბედი სრულიად ახალი პირობებით, ის უნდა გააკეთოს, რაც

გასაკეთებელია. განა ხალხის უმეტესობა ასე არ არის – ცხოვრებისგან ბოძებულ პირობებს არ გაურბის? მაგრამ ვერსად გაურბიან ან არსად გაურბიან, ამიტომ იმად არიან ქცეულნი, რადაც მათ ვხედავთ, მას კი, მას, – ქოულმენს – საშუალება ეძლევა იმად იქცეს, ვისად ქცევის უნარი და ნიჭიც დაჰყოლია დაბადებიდან. ხეთქე ერთი მარჯვენა დაუცველ ადგილას და სამუდამოდ გაიხურე კარი! მიუხედავად დიდი ტკივილისა, დედა სიყვარულით შეეგება ამოგებულ მახვილს, მაგრამ ქოულმენმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაასრულოს ეს ტკივილიცა და ეს სიყვარულიც. გაუჭირდება, მაგრამ ამ საშინელებით მოუწევს ცხოვრება. ამის ჩადენით მოუშუშებელ ჭრილობას მიაყენებდა, მაგრამ მასაც ეს უნდოდა. ის წუთები გაახსენდა უესთ-ფოინთის რინგზე ბრძოლისას, როდესაც მისმა მეტოქემ წაქცევა დაიწყო. მხოლოდ მსაჯმა იხსნა ის უბედური იმისგან, რაც ქოულმენს შეეძლო, მისთვის ექნა. ქოულმენმა მაშინ მებრძოლის ჟინი გამოავლინა, ახლაც იმავეს იმეორებდა. ეს კიდევ ერთ გამოცდას ჰგავდა – ამ უარყოფაში სისასტიკის ჭეშმარიტ და შეუქცევად ადამიანურ საზრისს დებდა. ფხიზელი გონებით ლამობდა იმ მომენტის აღქმას, როდესაც მისი ბედი რაღაც უზარმაზარს უნდა გადაეკვეთა. აჰა, გამოცდაც! კაცი და დედამისი. ქალი და მისი საყვარელი შვილი. თუკი საკუთარი თავის გამოსაძერწად რამე საზარელი უნდა ჩაედინა – აი, საშუალებაც მიეცა, ერთი ის იყო, დანა არ აუღია და მშობელი დედა არ აუკუწავს. გულის სიღრმით იგრძნო საქმის არსი. ეს ხომ მის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო და რა გასაკვირია, მთელი სიცხადით რომ შეეგრძნო.

– ვერ ვხვდები, ქოულმენ, ასე ცუდად მომზადებული რატომ შევხვდი ამ ამბავს, – უთხრა დედამ, – შენ ხომ ლამის დაბადებიდანვე მამზადებდი ამისათვის. ძუძუს წოვაზეც კი უარს აცხადებდი, ცოცხალი თავით არ წოვდი. ჰო-ჰო, ახლა უკვე ვხვდები მიზეზს. ამით შენი გათავისუფლება დაყოვნდებოდა. ჩვენს ოჯახში, იმდენად კანის ფერი არა, რამდენადაც სხვა რაღაც, სულ გეჩხირებოდა ყელში. პატიმარივით აზროვნებ. მერწმუნე, ასეა. თოვლივით თეთრი ხარ, მონასავით კი აზროვნებ.

სად ჰქონდა დედის სიტყვებში ჭეშმარიტების დანახვის დრო, მით უმეტეს, სიტყვებს მიღმა გაჟღერებული სიბრძნის აღქმის თავი. დედა ისედაც სულ ისე ლაპარაკობდა, რომ კაცს

დააფიქრებდა, თითქოს სხვაზე მეტი იცისო. ორატორის როლს ქმარს უთმობდა ხოლმე, თვითონ კი იშვიათად თუ ჩაურთავდა სიტყვას, მაგრამ ერთი მოკლე ფრაზითაც ახერხებდა მკაფიოდ და გონივრულად გამოეთქვა აზრი.

– ცხადია, შემეძლო მეთქვა, თავს ვერ დააღწევ-მეთქი, მაგრამ ყოველგვარი მცდელობა მაინც იქ დაგაბრუნებს, საიდანაც დაიწყე. მამაშენიც ამასვე გეტყოდა. «იულიუს კეისარში» ამ საკითხზე რაღაც წერია... მაგრამ თუ მაინც არად აგდებ, რა აზრი აქვს? ახალგაზრდა ხარ, ყველას თვალი რჩება შენზე. სილამაზე, აღნაგობა, ხიბლი, გონება, გამბედაობა, გამჭრიახობა – ყველა ამ თვისებით ხარ შემკული. მწვანე თვალები და გრძელი, მუქი წამწამებიც გაქვს. დედასთან ასეთი რამის სათქმელად მოსვლა უმძიმესი ნაბიჯი უნდა იყოს ცხოვრებაში, მაგრამ ვატყობ, შენ ეს არად მიგაჩნია, რადგან იცი, რომ შენს საქციელს ახსნა და მიზანი აქვს. მეც კარგად ვხვდები ამას; აბა, სხვა შემთხვევაში, მსგავს რამეს ხომ არ ჩაიდენდი. რასაკვირველია, იმედგაცრუება გელის. ცხადზე ცხადია, რომ ამ წამოწყებიდან ბევრი არაფერი გამოგივა. განსაკუთრებული ბედი გექნება, თან როგორი! მაგრამ იქნება კი სახარბიელო? ოცდაექვსი წლისას ამაზე წარმოდგენა არა გაქვს და არც მიკვირს. ნუთუ ასეთი რამის ჩაუდენლად არ შეგეძლო განსაკუთრებულად წარგემართა შენი ცხოვრება? მგონია, რომ ცხოვრებაში ყველაზე დიდი ცვლილების დროსაც არსებობს ის, ვისაც ეუბნებიან, მე შენ არ გიცნობო.

მისის სილქი თითქმის ორი საათი ცდილობდა სხვადასხვა ფაქტორის ჩამოთვლით ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა მიღებული დარტყმა, რისი იმედიც არ ჰქონდა, მაგრამ შეგუების დაწყებას კი ცდილობდა. იხსენებდა ქოულმენის ადრეული ბავშვობიდანვე ჩამოყალიბებულ მისწრაფებას განსაკუთრებულობისაკენ, ხოლო ქოულმენი შეძლებისდაგვარად აცილებდა თვალს ყველა იმ ნიშანს, რაც დედამისს დამჩნეოდა როგორც შეჭაღარავებულ თმაში, დასივებულ კოჭებში, მუცლის გასუქებაში, წინა კბილებს შორის წარმოქმნილ ღრეჩოებში, რასაც სტინას ჩაყვანიდან, როდესაც მისის სილქი ყველანაირად ცდილობდა, რომ უცხო გოგონას მათზე გული არ აჰყროდა, ამ დღემდე ასე მიეახლოებინა სიკვდილისათვის. ქოულმენს წამიერად მოეჩვენა, თითქოს დედამისი იმ ზღვარს გადასცდა, სადაც მოხუცი არსება უფრო მეტად მოკუნტული და

დეფორმირებული ჩანს ხოლმე და რაც უფრო მეტს ელაპარაკებოდა მისის სილქი, მით უფრო უმძაფრდებოდა ეს შეგრძნება. ცდილობდა, იმ სენზე არ ეფიქრა, რომელიც დედამისს მოუღებდა ბოლოს, არ ეფიქრა პანაშვიდზე, გასვენებასა და დაკრძალვისას წარმოსათქმელ ლოცვებზე. თუმცა ცდილობდა, არც იმაზე ეფიქრა, რომ ცოცხალ დედას ტოვებდა, რომელსაც წლობით უნდა ეფიქრა უძღებ შვილზე, მის მონაგარზე, მის ცოლსა და კიდევ იმაზე, რომ რაც უფრო შორს იქნებოდა თვალი, მით უფრო დაშორდებოდა გულიც.

* * *

ვერც დედის დღეგრძელობის შესაძლებლობას და ვერც მისი ადრეული გარდაცვალების ალბათობას ქოულმენის დასახულ გეგმებზე გავლენა ვერ უნდა მოეხდინა, ისევე როგორც მისის სილქის ლონსაიდში გატარებული გაჭირვებული ბავშვობა ვერ იქონიებდა გავლენას. დედამისი ხომ ამ დასახლებიდან იყო წარმოშობით, სადაც შვიდ წლამდე დედასა და ოთხ ძმასთან ერთად ცხოვრობდა სიღატაკეში. სწორედ შვიდი წლისა იყო გოგონა, როდესაც მამა გარდაეცვალა. ის და მისი ნათესავებიც ნიუ-ჯერსის შტატის ლონსაიდში 1855 წლიდან სახლობდნენ. ისინი გაქცეული მონები იყვნენ, რომლებმაც კვაკერების ხელშეწყობით «მიწისქვეშა რკინიგზით» მერილენდიდან ნიუ-ჯერსის სამხრეთში მოახერხეს გადაპარვა. თავდაპირველად ზანგებს ამ ადგილისათვის ფრი-ჰეივენი («თავისუფალი თავშესაფარი») დაერქმიათ. თეთრკანიანებს იმხანად იქ საერთოდ არ უცხოვრიათ, ახლაც კი, ორიათასსულიან ქალაქში ერთ მუჭა თეთრკანიანს თუ წააწყდები, ისიც გარეუბნებში, სადაც ყველას მონური წარმოშობა აქვს. მონები ჰედონფილდის კვაკერებმა აიყვანეს დაცვის ქვეშ, მათ შორის მერი, სახანძრო დაცვის უფროსი, პოლიციის უფროსი და ბეგარის ამკრები, გარდა ამისა, მასწავლებლები და მოსწავლეებიც. მაგრამ არც ლონსაიდის უნიკალურობას ჰქონია რაიმე წონა და არც ნიუ-ჯერსის სამხრეთში, ქეიფ-მეის კონცხთან, გაშენებული გულდთაუნის უნიკალურობას. იმ დაბაში დედამისის სანათესავო ცხოვრობდა და მარჩენლის დაკარგვის შემდეგ ოჯახი იქ გადავიდა. ეს კიდევ ერთი ზანგური ნათესაური ანკლავი იყო, სადაც დიდი უმეტესობა, მათ შორის ბებიაც, ღია

ფერის, თითქმის თეთრი, კანით გამოირჩეოდნენ. «დიდი, დიდი ხნის წინ, – ასე უხსნიდა ხოლმე დედამისი, როდესაც ქოულმენი პატარა ბიჭი იყო, – ერთ ჯარისკაცს მონა ჰყოლია, თვითონ ჯარისკაცი კი ფრანგებსა და ინდიელებთან ომში (იგულისხმება ამერიკის ომის ერთ-ერთი მონაკვეთი ინგლის-საფრანგეთს შორის ჩრდილოეთ ამერიკაში არსებული კოლონიების ხელში ჩასაგდებად) დაღუპულა. მონა თურმე ჯარისკაცის ქვრივს ემსახურებოდა. დილიდან დილამდე მუხლჩაუხრელად მუშაობდა, რომ ქალბატონისთვის გაჭირვება არ ეგრძნობინებინა: შეშას ჭრიდა, მოსავალს იღებდა, კომბოსტოს შესანახად ორმოც კი ამოუჭრია და გადაუხურავს, სადაც კარტოფილი, თალგამი, გოგრები და ვაშლებიც კი მოუმარაგებია საზამთროდ, ჭვავი და ხორბალი ბეღელში დაუბინავებია, საქონელი და ღორი დაუკლავს და დაუმარილებია – ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს ეს ქვრივი ამდგარა და ცოლად გაჰყოლია. სამი ვაჟი შესძენიათ. ბიჭებს იქაური გოგონები შეურთავთ ცოლად, რომელთა ოჯახობის ისტორია გულდთაუნის დაარსების პერიოდიდან, ანუ მეჩვიდმეტე საუკუნიდან იღებდა სათავეს. ისინი ჯერ კიდევ რევოლუციამდე დანათესავებოდნენ ერთმანეთს. ერთი-ორი მათგანი, შეიძლება, სამივეც, დედის მონათხრობით, დიდი დასახლების მკვიდრი ინდიელის შთამომავლები იყვნენ და ლენი-ლენაპეს ტომს ეკუთვნოდნენ. ინდიან-ფილდსის მახლობლად მცხოვრებ ამ ინდიელს შვედი ქალი ჰყოლია ცოლად (ჰოლანდიელი პირველმოსახლეების შემდეგ იქ შვედები და ფინელები ჩასახლდნენ), რომელთანაც ხუთი შვილი შესძენია. ერთი, ორი თუ სამივე გოგონა მულატი ძმების შვილები იყვნენ, რომლებიც, თავის მხრივ, სავაჭრო ხომალდით იყვნენ ჩამოყვანილი ვესტ-ინდოეთიდან. ეს ხომალდი გრინვიჩიდან მდინარეს აჰყოლია ბრიჯთონამდე, სადაც მათ ადგილობრივი მიწათმოქმედებისთვის გზის გაჭრა მოუხდათ; ცოტა მოგვიანებით კი ამ გზის გასავლელად ორი ჰოლანდიელი დის მგზავრობის საფასური თავად გადაიხადეს და ცოლადაც შეირთეს. ამათგან, სავარაუდოდ, სამივენი ინგლისელი ბარონეტის ვაჟის, რომელიც კრომველის ჯარში ოფიცერი იყო, მერე კვაკერი გახდა და მალევე გარდაიცვალა უკვე ნიუ-ჯერსად წოდებულ ქალაქში,[19] ჯონ ფენვიქის შვილიშვილმა მოავლინა ამ ქვეყანას. ფენვიქი 1683 წელს გარდაიცვალა; ის მათ მიერვე შეძენილი კოლონიის ცენტრში დაკრძალეს. მისი სამფლობელო ჩრდილოეთში ბრიჯთონიდან სეილემამდე,

ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთში მდინარე დელავერამდე იყო გადაჭიმული, რომელსაც თავადვე მართავდა.

ფენვიქის ცხრამეტი წლის შვილიშვილი ელისაბეთ ადამსი ცოლად ზანგ გულდს წაჰყვა. «შავკანიანმა» ელისაბეთი დამიღუპაო, – ასე მოიხსენია ბაბუამისმა გულდი თავის ანდერძში, სადაც გოგონას ყველანაირი უფლება ჩამოართვა მემკვიდრეობაზე, სანამ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, «უფალი მოიღებდა მოწყალებას და აუხელდა ელისაბეთს დავსებულ თვალებს, რათა ბიწიერი დანაშაული დაენახა თვისი». გადმოცემის თანახმად, გულდისა და ელისაბეთის ხუთიდან ერთადერთ ვაჟს მიუღწევია სრულწლოვანებამდე; გადარჩენილს ბენჯამინი რქმევია, რომელსაც ფინელი ენი შეურთავს. თავად ბენჯამინი 1777 წელს გასცლია ამ სამყაროს, დელავერის მეორე ნაპირზე, ფილადელფიაში, დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე ხელმოწერიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ და დატოვა ქალიშვილი სარა და ოთხი ვაჟი – ენთონი, სემიუელი, აბიჯა და ელაიშა, რომელთა მიერაც იქნა სახელდებული დასახლება გულდთაუნი.

დედისგან ჰქონდა ქოულმენს მოსმენილი ოჯახური ისტორიის ლაბირინთის შესახებ. ეს ლაბირინთი არისტოკრატ ჯონ ფენვიქამდე აღწევდა, რომლის ოჯახისა და მონაგარის დაარსებული იყო გულდთაუნი. ეს ადამიანი ნიუ-ჯერსის დასავლეთ რაიონისთვის იმავე მნიშვნელობას ატარებდა, რასაც უილიამ პენი პენსილვანიის იმ ნაწილისათვის, რომელიც ფილადელფიას მოიცავდა. ეს ისტორია მერეც არაერთხელ სმენია ქოულმენს, თუმცა კი განსხვავებული დეტალებით. ამ ამბავს ბებიები და ბაბუები, პაპიდები და დიდედები ჰყვებოდნენ – ზოგიერთის ასაკი ლამის ასი წელი იყო – გულდთაუნში გამართულ ყოველწლიურ სანათესავო შეკრებებზე, სადაც ქოულმენიც, უოლთიცა და ერნესტინიც უკლებლად დაჰყავდათ ხოლმე მშობლებს, რათა სხვადასხვა კუთხიდან – ნიუ-ჯერსის სამხრეთ-დასავლეთიდან, ფილადელფიიდან, ატლანტიკ-სითიდან, ბოსტონიდანაც კი – ჩამოსული შორეული ნათესავები ეჩვენებინათ და შემწვარი ლუფარი,[20] შებოლილი და დაბრაწული წიწილები, შინაური ნაყინი, დაშაქრული გარგარი, ღვეზელები, კექსები – მოკლედ, ყველა სახის შინნაკეთი კერძი დაეგემოვნებინათ, ბეისბოლი ეთამაშათ, ძველი სიმღერები ემღერათ და გული ეჯერებინათ ძველი ამბების გახსენებით. მოიგონებდნენ ხოლმე გარდასულ

დროს, როდესაც ქარგავდნენ, ქსოვდნენ და კერავდნენ, ქონიან ღორის ხორცს ხარშავდნენ და დიდრონ პურებს აცხობდნენ, რათა კაცებისთვის მინდორში გაეტანებინათ საგზლად. გარდა ამისა, ჭებიდან წყალი ამოჰქონდათ, ოჯახური წამლეულობით მკურნალობდნენ ავადმყოფს, – იქნებოდა ქერქის ნაყენი თუ მელასას ან ნივრის სიროფი ყივანახველასთვის. ჰყვებოდნენ ტრადიციული შესანიშნავი ყველის ამომყვანი ქალების ისტორიებს, სითბოთი იგონებდნენ იმათაც, ვისაც ფილადელფიაში უწევდათ სიარული და იქ შინამოსამსახურედ დადგომა ან მკერავად, ანდაც მასწავლებლად მოწყობა. არც ის ქალები ავიწყდებოდათ, რომლებიც შინ იყვნენ დარჩენილნი და საარაკო სტუმართმოყვარეობით გაეთქვათ სახელი. იხსენებდნენ იმ მამაკაცებს, რომლებიც დღეცისმარე ტყე-ღრეში დადიოდნენ, ნადირს მახეებს უგებდნენ და ნადირობდნენ კიდეც, რომ ზამთრისთვის დაშაშხული ხორცი არ მოჰკლებოდა მათ ოჯახებს. იმ ფერმერებზეც ჰყვებოდნენ, ვინც მიწის დამუშავებით არჩენდა ოჯახს, აქებდნენ იმათაც, ტყისმჭრელობით, ვაჭრობით, საქონლის დაკვლით, საქმოსნობით, ხელოსნობით, ტრენტონის კერამიკული ფაბრიკისთვის საფუთად გამოსადეგი მდინარისა და უბის ნაპირებზე მოთიბული ჩალის ტონობით გაყიდვით, ერთი სიტყვით, მუხლჩაუხრელი შრომითა და ჭაპანწყვეტით რომ გაჰქონდათ თავი და სხვისი ხელის შემყურეები არ იყვნენ. იქვე მოისმენდით იმ მამაკაცების ამბავსაც, ტყე, ფერმები, კედრებიანი ჭაობები და ჭანჭრობები რომ დაეტოვებინათ, რათა გინდ თეთრები ყოფილიყვნენ, გინდ შავები, ჩრდილოეთის არმიაში ჩაწერილიყვნენ. იმათაც მიაგებდნენ პატივს, ვინც საომარი წლების ბლოკადის მიუხედავად, ზღვაში გადიოდნენ, ფილადელფიაში მიემგზავრებოდნენ, რათა დამკრძალავი ბიუროს აგენტებად დაეწყოთ მუშაობა, სტამბის მუშებად ეშოვათ სადმე ადგილი ან დალაქებად დამდგარიყვნენ რომელიმე კუთხის სალონში, ზოგიც სიგარების დამზადებას იწყებდა; იყვნენ ისეთებიც, ვინც აფრიკის მეთოდისტურ-საეპისკოპოსო ეკლესიის მღვდელი ხდებოდა; ერთ-ერთი კაცი კუბაშიც კი გაჰყოლია თედი რუზველტსა და მის «აწყვეტილ მხედრობას»,[21] რამდენიმე კი ხათაბალას გადაჰყრია და უკან აღარ დაბრუნებულა. იგონებდნენ ქოულმენის, უოლთერისა და ერნესტინის ტოლი ბავშვების ამბებს, რომლებიც თურმე ზამთრის სუსხიან ყინვაში თხლად ჩაცმულები, ზოგჯერ ფეხშიშველნიც, უბადრუკ ქოხმახებში რომ სიცივისგან

კანკალებდნენ, ან ზაფხულის ხვატში ოფლში გაწურულები უფროსების მხარდამხარ იქნევდნენ ფიწლებს, ტვირთავდნენ და გადაჰქონდათ თივა, მაგრამ შინ საკმაოდ კარგ განათლებას იღებდნენ, პრესვიტერიანულ სკოლაში წერა-კითხვასა და კატეხიზმოს ეუფლებოდნენ და იმ ძნელბედობის ჟამსაც კი საკმაოდ მსუყედ იკვებებოდნენ – ღორის ხორცით, ნანადირევით, კარტოფილითა და პურით – რათა ძლიერები, ჯანმრთელები და პატიოსნები დაზრდილიყვნენ.

მაგრამ ერთია გულდთაუნში ნათესავთა შეკრებები, საგვარეულო ხის ტოტების სიმრავლე, მეორე კი სურვილი, მეტიც, წადილი, გახდე მოკრივე ან ანტიკური ლიტერატურის მასწავლებელი, ან ნებისმიერი სხვა ვინმე, სრულიად სხვა. ლონსაიდი ერთია, გულდთაუნი – მეორე, გენეალოგია – მესამე, აი, ქოულმენი კი – მეოთხე. ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში ქოულმენი ერთადერთი როდი იყო, ვისაც ტრენტონის კერამიკული ფაბრიკისთვის ჩასაფენ-შესაფუთად ჩალის შეგროვების ამბებს უყვებოდნენ ან გულდთაუნში გამართულ შეკრებებზე ლუფარითა და დაშაქრული გარგარით უმასპინძლდებოდნენ, მერე კი ყმაწვილი იკარგებოდა იმავენაირად, როგორც მისი წინამორბედნი იკარგებოდნენ. «დაიკარგაო, – იტყოდნენ ხოლმე ოჯახში, – კვალსაც კი ვერსად მივაგნებთო». «თავისიანებს მოსწყდაო» – ასეთ რამესაც ხშირად მოისმენდა კაცი.

წინაპართა გაღმერთება – ამ ორი სიტყვით აფასებდა ხოლმე ხსენებულ ფუსფუსს საკუთარ თავთან დარჩენილი ქოულმენი. წარსულისათვის პატივის მიგება მისთვის გასაგები იყო, მაგრამ წარსულის კერპად ქცევას კი ნამდვილად ვერც იგებდა და ვერც იღებდა. ჯანდაბას ამისთანა ტყვეობაო, – იტყოდა ხოლმე.

იმ ღამეს, როდესაც ქოულმენი შინ დაბრუნდა, მას ასბერი-ფარჭიდან ძმამ დაურეკა. ამ ზარმა მოვლენათა განვითარება ერთობ დააჩქარა. «მასთან ფეხი აღარ მიადგა!» – გაისმა უოლთის შიშის მომგვრელად დამთრგუნველი ხმა, თუმცა ამ ხმის გამომცემიც დათრგუნვილი ჩანდა. მსგავსი რამ ქოულმენს მამის გარდა სხვა არავისგას გაეგო. ახლა კი ოჯახში ახალ ძალას წამოეყო თავი – ძალას, რომელიც გარეთ უპირებდა გაძახებას. დიდი რამე, თუ 1953 წელს ვიღაც თავხედმა ახალგაზრდა კაცმა რაღაც ჩაიდინა გრინვიჩ-ვილიჯში და ამის

გამო ახლა ბორტს მიღმა უნდა აღმოჩენილიყო? თანაც სამუდამოდ?! აი, თურმე სად მარხია ძაღლის თავი: თავისუფლება საშიში და სახიფათო ყოფილა. საკუთარი პირობებით თუ იწყებს კაცი საქმეს, წაბორძიკებასაც უნდა ელოდოს. «არც კი გაბედო მისი ნახვა, არავითარი შეხვედრები, არავითარი ზარი! მაგ შენს ლილისფერ-თეთრ სიფათს ამ სახლში ფეხი აღარ მოადგმევინო!»

3. რა უნდა ვუყოთ ისეთ ბავშვს, ვინც წერა-კითხვა არ იცის?

– ტრაკში უნდა მოეტყნა ქლინთონს და ისე გაეკმენდინებინა ენა. მაგ კაცზე სულ სხვა წარმოდგენა გვქონდა, სინამდვილეში კი დონდლო აღმოჩნდა. ოვალურ დარბაზში უნდა გადაეკუზა და უკნიდან გაეყარა, აი, მერე კი ნაღდად არ მოხდებოდა, რაც მოხდა.

– მასზე არასდროს გაბატონებულა, ხომ იცი, რა ფრთხილია.

– ბატონობას მაშინვე მიანება თავი, რაც თეთრ სახლში მოხვდა. აღარ გამოუვიდა. უილიზეც[22] არ უცდია ბატონობა. ეტყობა, მაგიტომ გაწიწმატდა ეგ ქალი. თეთრ სახლში მოხვედრა და თავის არკანზასელ ქალებზე ბატონობის უნარის დაკარგვა ერთი იყო. სანამ მეორეხარისხოვანი შტატის გენპროკურორი და გუბერნატორი იყო, ყველაფერი ჯიგრულად მისდიოდა.

– ცხადია. ჯენიფერ ფლაუერსი.[23]

– არკანზასში, ხომ? მერე რა, თუ ჩამოვარდა, საშუალო სიმაღლიდან მაინც ჩამოვარდა, დიდი სიმაღლიდან ხომ არ მოადინა ზღართანი?

– ასიანი ხარ. თან როცა მისგან მექალთანეობას არიან ნაჩვევი. ტრადიციულად, რა...

– მაგრამ თეთრ სახლში მოხვედრამ ბატონობის უნარი სულ დააკარგვინა. ქალებსაც მეტი რა უნდოდათ, ჯერ მის უილი შესდგა, მერე მის მონიკა. არადა, ერთი გადაკუზვა იყო საკმარისი და ენას ვერ დაძრავდნენ. ნაღდი პაქტი იქნებოდა. ამით ქალბატონს ხელ-ფეხი შეებორკებოდა. უმაგისოდ კი არც პაქტი და არც არაფერი.

– არა, მთლად იმასაც ვერ ვიტყვით, რომ ქალს არ ეშინოდა. იქნებ ბოლომდეც არ უნდოდა თქმა, მაგრამ სთარმა[24] ამოჩიჩქნა ყველაფერი. მონიკა და თერთმეტი ბუღა სასტუმროს ნომერში! თან ყველა აყენებულით! ჯგუფური სექსი რა. სთარმა იქ ჯგუფური გაუპატიურება მოუწყო ფორმალურად.

– მართალი ხარ, მაგრამ ლინდა თრიფთან რომ მოაღო პირი?

– ეგრე იყო.

– მოიცა ერთი რა, ვისთან არ ილაქლაქა. მოაღო პირი და ყველაფერი დაფქვა. მაგ სირული კულტურის პირმშოა ეგეც. ენა ატარტარებინე მარტო. ზედაპირული თაობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია. მაგისთანასთვის მთავარია, პირში არაფერი გაიჩეროს და მერე ამას გულწრფელობა დაარქვას. გულწრფელობა და უცარიელესი სიცარიელე. უსაზღვრო გულღიაობა კი მოუვიდა.

გულწრფელობა, გნებავთ, გულღიაობა, რომელიც ნებისმიერ სიცრუეზე უარესია, უცოდველობა, რომელიც ნებისმიერ გარყვნილებას ჩამოიტოვებს უკან. ამ გულწრფელობის მიღმა, როგორც წესი, დიდზე დიდი სიხარბე იმალება ხოლმე. უკვე ლამის ჟარგონად იქცეს ეს სიტყვა. საოცარი ენა აქვთ რა, ისეთი შთაბეჭდილება გექმნება კაცს, თითქოს საკუთარი «დაბალი თვითშეფასებისა» მართლა სჯერათ, სინამდვილეში კი მიაჩნიათ, რომ ყველაფრის უფლება აქვთ. თავიანთ უსირცხვილობას სასიყვარულო გულღიაობას უწოდებენ, შეუბრალებლობას – «საკუთარი თავისადმი დაკარგული პატივისცემის» აღდგენისკენ სწრაფვას. ჰიტლერიც ხომ ამავე პრობლემის გადაჭრას ცდილობდა. საკუთარი თავისადმი დაკარგული პატივისცემის აღდგენას ლამობდა. ახლა ყველა ამას იხვევს ხელზე. ყველაზე მდარე განცდების ზედრამატიზაციაა რა. «ურთიერთობები; ჩემი ურთიერთობები; ამ ურთიერთობების გარკვევა», – ყველას ეს აკერია პირზე. მოკლედ, კაი მსახიობები კი გამოვიდოდნენ. ბოლოს ორმოცი წლის იდიოტიზმი რომ ერთ კონად შევკრათ, მათ ლექსიკონს მივიღებთ. «შეწყდა კამათი!» კაი ერთი რა! მეტი არაფერი ვიცით. ჩემს სტუდენტებს კოჭებშივე ემჩნევათ, რომ სადაც ტვინის განძრევაა საჭირო, იმ სფეროს არ ეტანებიან, ურჩევნიათ, კამათი შეწყვიტონ, ვიდრე თავში შეუშვან რამე. ბანალური სიუჟეტის მეტს, რომელსაც თავი, შუალედი და დაბოლოება აქვს, ვერაფერს იგებენ. ნებისმიერი ადამიანის

გამოცდილება, გინდ ორაზროვანი იყოს, გინდ ჩახლართული, ამათ ტრადიციულ კლიშეებს უნდა დაუქვემდებარონ. გამოცდაზე ყველას ვჭრი ხოლმე, თუკი ვინმე კამათის შეწყვეტას ლამობს. ეცდებიან, რომ კამათი შეწყვიტონ? ჰოდა, კაი ჩიტს იჭერენ, მერე მართლა ვწყვეტ კამათს და აუდიტორიიდან დავახვევინებ ხოლმე. მიყარონ კაკალი, რამდენიც უნდათ.

– ვინც უნდა ყოფილიყო – აბსოლუტური ნარცისისტი, ვერაგი ძუკნა თუ ბევერლი-ჰილზის ისტორიაში ყველაზე ექსჰიბიციონისტი ებრაელი ქალი, თან პრივილეგიებით განებივრებული, – მგონია, რომ ის ქლინთონი თავიდანვე ყველაფერს ხედავდა. ესმოდა კიდეც ქალის. მონიკას მზაკვრობას თუ ვერ მიხვდება კაცი, სადამ ჰუსეინის ჩანაფიქრს როგორ უნდა ჩასწვდეს? მონიკასთანებსაც თუ ვერ აჯობა ჭკუით, მაშინ პრეზიდენტობის ღირსიც არ ყოფილა. ასეთ შემთხვევაში იმპიჩმენტი და მისი ჯანი. არა, მგონია, ყველაფერს კარგად ამჩნევდა. იმასაც არჩევდა, როგორი წაბილწული და იმავდროულად, უბიწო იყო მონიკა. მაგრამ მისი ფასადით ისე იყო მოხიბლული, რომ ბევრ რამეზე ყურს არ იბერტყავდა. უკიდურესი უბიწოება სწორედ მისი ბიწიერება გახლდათ, თუმცა არა მხოლოდ ბიწიერება, არამედ სიგიჟე და კიდევ, ცბიერებაც. ამ კომბინაციაში მდგომარეობდა მისი ძალა. სიღრმე კი საერთოდ არ გააჩნდა; ალბათ, ეს იყო იმის მიზეზი, რომ მხედართმთავრის პოსტზე ყოფნის ბოლო დღეებში მიიპყრო ყურადღება. ხიბლი – მიმზიდველი თავთხელი. თან ჯიუტი კვეხნა საარაკო თავნებობისა: «სამი წლისა მე უკვე პიროვნება გახლდით», – აცხადებს ქალბატონი. არადა, დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტს ესმოდა, რომ მისი ნებისმიერი ქმედება, რომელიც მონიკას ილუზიებს არ ეთავსებოდა, ქალის თვითშეფასებისათვის დიდზე დიდ დარტყმას წარმოადგენდა. მხოლოდ ერთ რამეს ვერ მიხვდა ჩვენი ბუღა, – ტრაკიდან უნდა ეხმარა დედაკაცი. რატომო, იკითხავთ, რატომ და იმიტომ, რომ პირის გაღების მიზეზი მოესპო მისთვის. უცნაურად, მაგრად უცნაურად მოიქცა ჩვენი პრეზიდენტი. პირველად ხომ ეს შესთავაზა ქალმა, პირდაპირ მიახალა თავისი სურვილი. ბილმა კი არ იმოქმედა. ნეტავ რაზე ფიქრობდა იმ დროს? გაეკეთებინა უკნიდან და როგორ გადაუშლიდა მერე გულს ლინდა თრიფს, ამასაც ვნახავდით. მერე ხომ მაინც დააჭერდა ენაზე კბილს.

– სიგარაზე ხომ მაინც იტყოდა რამეს.

– ეგ სხვა საქმეა. სიგარა ბავშვობა იყო. ბილს ისეთი რამე უნდა ეკეთებინა მისთვის, თან რეგულარულად, რაზეც ხმის ამოღების სურვილი არ ექნებოდა. ისეთი რამე, რაც კაცს ენდომებოდა, ქალს კი – არა. აი, აქაა შეცდომა.

– უკნიდან ერთგულებას აიძულებდა?

– არა, არა ვარ დარწმუნებული, რომ მერე მაინც ჩაიგდებდა ენას. მეტიც, არა მგონია, ადამიანურ ძალას შეეფერხებინა მისი საქციელი. ბოლოს და ბოლოს, ღრმად თუ არ იგდებდა ხახაში, პირს ხომ მაინც იტენიდა.

– კი, მაგრამ, დამეთანხმე, რომ ამ გოგომ უფრო მეტად აღმოაჩინა ამერიკა, ვიდრე სხვა ნებისმიერმა დოს პასოსის[25] მერე. თავის ტრაკს კი მოუფრთხილდა, მაგრამ სამაგიეროდ ქვეყანას გასთხარა ზუსტად მაგ ადგილში საკაიფო თერმომეტრი. აი, მონიკას «აშშ».[26] ინებეთ.

– უბედურება ის იყო, ქლინთონმა ზუსტად ის მიართვა, რასაც ნაჩვევი იყო მონიკა; ქალს კი სულ სხვა რამე უნდოდა. ის პრეზიდენტი იყო, მონიკა კი სარეცლის ტერორისტი. ქალს სურდა, ბილი იმ მასწავლებლისგან განსხვავებული ყოფილიყო, რომელთანაც მანამდე ჰქონდა რომანი.

– ჰო, სიფაქიზემ უტირა დედა პრეზიდენტს. მაგარია, არა? უხეშობის მაგივრად, სიფაქიზე. კაცს თავის ჭკუაზე ატრიალებდა. კაცი რომ ქალს თავზე წამოისვამს, სხვას არც უნდა ელოდოს. არადა, სხვაგვარად არ შეეძლო. იცით, კენედი რას ეტყოდა, ეგ ქალბატონი რომ მისდგომოდა და სამუშაო ეთხოვა? იცი, ნიქსონი რას უპასუხებდა? ან ჰარი ტრუმენი რა პასუხს გასცემდა, ან თუნდაც ეიზენჰაუერი? გენერალმა, რომელიც მეორე მსოფლიო ომს უძღვებოდა, კარგად იცოდა, როგორ არ უნდა ყოფილიყო ფაქიზი. ყველა მათგანი გარკვევით უპასუხებდა, სამუშაოს კი არ მოგცემთ, ისე ვიზამთ, მთელი ცხოვრება უმუშევრად დარჩეთო. მისთანას ნიუ-მექსიკოში, ჰორს-სფრინგსში ტაქსისტობის უფლებასაც კი არ მისცემდნენ. ეგ არაფერი, მამამისიც უნდა გაეძევებინათ პრაქტიკის მიუხედავად და მშრალზე დაეტოვებინათ. დედამისზეც უნდა დამუქრებოდნენ, ძმაზეც, ოჯახის ყველა წევრზე უნდა ეთქვათ, სამსახურებიდან გავყრითო, მერე კი იმ თერთმეტ მოწუწვნაზე ხმას აღარ ამოიღებდა. წარმოგიდგენიათ?

თერთმეტჯერ აუღია პირში. ბარემ დუჟინამდე მიეყვანა. ორ წელიწადზე მეტი ცდილობდა და თერთმეტჯერ ჩაიდო პირში. გარყვნილებისთვის რომ იყოს რამე ჯილდო, აშკარად ვერ აიღებდა.

– სიფრთხილემ, სიფრთხილემ დაღუპა. წყალი არ გაუვა. იურისტივით იქცეოდა ყველაფერში.

– სამხილების დატოვება არ უნდოდა, ამიტომაც არ უთავებდა.

– მართალიც იყო ამ მხრივ. გაუთავებდა პირში და მერე მას გაათავებდნენ. ნივთიერი მტკიცებულება გაჩნდებოდა. ცხელი, ოხშივარავარდნილი თესლი. უკნიდან რომ მისდგომოდა და გაერჭო, ერს სასტიკი ტრავმისგან იხსნიდა.

სიცილი აუტყდათ. სამნი იყვნენ.

– ისე, გულით ერთხელაც არ უქნია, მგონი. სულ კარისკენ გაურბოდა თვალი. თავისი ჭია ღრღნიდა, მონიკა კი თავის დაფასებას ცდილობდა.

– მაფიაც ასე არ იქცევა? ადამიანს იმას ახვევს თავს, რასაც ეს უკანასკნელი ვერ იტყვის. ამ მეთოდით ნებისმიერს ატრიალებ შენს ჭკუაზე.

– ნორმათა ერთობლივ დარღვევაზე დაყოლიება და გარყვნა. კლასიკაა რა.

– ბილის უბედურება ისაა, რომ საკმარისად გარყვნილი არ იყო.

– აბა, რა! ცხადია. არც საკმარისად გამოცდილი.

– ბრალი უზნეო საქციელში კი არა, მეტისმეტად ზნეობრივში ედება.

– სწორია. თუ დაიწყო, ბარემ ბოლომდე მიეყვანა საქმე. რაღაც ხელოვნურად კი შეჩერდა.

– როცა კაცი ჩერდები, ესე იგი, რაღაცას უფრთხი. საკმარისია, შიში შეგამჩნიონ და მორჩა, გაბაწრული ხარ. შენი დაცემა უფრო ახლოსაა, ვიდრე მონიკას ფიჭური ტელეფონი.

– თვითკონტროლის დაკარგვა არ უნდოდა კაცს. გახსოვთ მისი სიტყვები მონიკას პირით: არ მინდა, მოგეჩვიო, არ მინდა, ჩემს ნარკოტიკად იქცე? სიმართლედ მეჩვენება, ხომ იცით...

– მე კი – მლიქვნელობად.

– არა მგონია. როგორც მან დაიმახსოვრა ბილის სიტყვები, ეს უფრო მლიქვნელობად ჟღერს, მაგრამ მოტივაცია... არა, მართლაც, რაში ენდომებოდა სექსუალურად დამოკიდებული გამხდარიყო. მესმის, ევასებოდა მონიკა, მაგრამ შეცვლასაც ხომ ექვემდებარებოდა ეს ქალი.

– შეცვლას ყველა ექვემდებარება.

– რა ვიცით, ბილს რა გამოცდილება აქვს. როგორც ჩანს, ბოზებთან მანამდე არ ჰქონია საქმე.

– კენედის კი ჰქონდა.

– თან როგორ! იქ სულ სხვა რამ ხდებოდა. ქლინთონი იმასთან შედარებით საბავშვო ბაღია.

– არკანზასში რომ გუბერნატორობდა, ბაღის ბავშვს სულაც არ ჰგავდა.

– ჰო, არკანზასში თავის ზომა და წონა იცოდა. აქ კი ყველაფერი თავში აერია. ეს კი, ალბათ, აცოფებდა. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ერთი შეხედვით ყველაფერზე მიუწვდებოდა ხელი, მაგრამ ვერაფერს კი ვერ აკარებდა ამ ხელს. ჯოჯოხეთში ყოფნასავით არის. მით უმეტეს, თუკი ასეთი ცოლი ჰყავს კაცს, ნამდვილი დიასახლისი.

– გგონია, ძაან დიასახლისია?

– აბა, რა იქნება?

– ვინს ფოსთერი[27] დაგავიწყდა? – ახლა, შეყვარება სხვა საქმეა და სისულელის ჩადენა – სხვა, მით უმეტეს, ცოლიანი კაცი იყო. თუ ღმერთი გწამთ, რა! ჰილარი ადიულტერსაც კი თავს მოაბეზრებს. ნამდვილი ანტიტრანსგრესორია.

– გგონია, ფოსთერთან არ ჟიმაობდა?

– აბა! რატომაც არა.

– ეტყობა, მთელი ქვეყანა გადაირია დიასახლისებზე. ასიანს გეუბნები.

– ვინს ფოსთერისთვის ვაშინგტონში სამსახურის გამონახვა ქლინთონის გენიალური სვლა იყო. თავის ადმინისტრაციაში

მიიღო და რაღაც პატარა განყოფილება ჩააბარა. გენიალურია. აქ ქლინთონი ისე მოიქცა, როგორც ნაღდი მაფიოზი, დონი, და ქალის წინააღმდეგაც იარაღი ჩაიგდო ხელში.

– ჰო. რაც მართალია, მართალია. მაგრამ მონიკასთან მაინც სხვაგვარად გამოვიდა. ვერნონ ჯორდანის[28] მეტს ვის გაუმხელდა მონიკას ამბავს. ყველაზე საიმედო ადამიანი იყო, ვისაც მსგავს თემაზე დაელაპარაკებოდა. მაგრამ გათვლაში მოუვიდათ იაღლიში, ეგონათ, მონიკა თავის კალიფორნიელ დაქალებს ელაქლაქებაო. მოკლედ, ნებაზე ჰყავდათ ქალი მიშვებული. ვისი რა საქმე იყო? მაგრამ უეცრად ლინდა თრიფი გამოტყვრა, ეს კაბიანი იაგო, რომელსაც სთარმა თეთრ სახლში შეაყოფინა ცხვირი...

ამ დროს ქოულმენი ძელსკამიდან ადგა და კამპუსისკენ წავიდა. სანამ იჯდა და იმაზე ფიქრობდა, რა ექნა და როგორ ყოფილიყო, ეს ხმები ანტიკური ქოროსავით ჩაესმოდა ყურში. ეს ადამიანები ზურგით ისხდნენ, არც ხმები ეცნო და ვერც სახეები გაარჩია, რადგან ხე ეფარებოდათ. როგორც ჩანდა, ეს სამნი ახალგაზრდა პედაგოგები უნდა ყოფილიყვნენ, რომელთაც ქოულმენის წასვლის შემდეგ ჰქონდათ მუშაობა დაწყებული – ისხდნენ, წყალს ან უკოფეინო ყავას წრუპავდნენ ჩოგბურთის თამაშის შემდეგ და ისვენებდნენ, თან დღის სიახლეებზე ბჭობდნენ, სანამ თავიანთ ცოლ-შვილს დაუბრუნდებოდნენ. სექსუალურ თემებს, ქოულმენის აზრით, საკმაოდ აზრიანად და ცოდნით უდგებოდნენ, იმ ცოდნით, რომელსაც ასე იშვიათად ამჩნევდა ხოლმე ახალგაზრდა ასისტენტებს, განსაკუთრებით კი «ათინაში». პედაგოგთა ლაყბობისთვის მეტისმეტად ხისტად და მსუყედ კი ჟღერდა მათი საუბარი. რა დასანანია, რომ ამ ბიჭების მიღებას ვერ მოესწრო. იქნებ გვერდში ამოსდგომოდნენ... ეჰ, არა! კამპუსში მხოლოდ ჩოგბურთის მეგობრობა იციან, სერიოზულ საკითხებზე კი ან ხუმრობით დააფიქსირებენ აზრს, ან საერთოდ პირზე კლიტეს დაიდებენ. საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, იმაზე მეტად ვერ გამოიდებდნენ თავს, ვიდრე ეს სხვებმა, უფრო ძველებმა გააკეთეს. ასეა თუ ისე, არც იცნობდა ამ ახალგაზრდებს და არც უნდოდა, სცნობოდა. «მოჩვენებებზე» მუშაობის დაწყებით ხომ დიდი ხნის ნაცნობ კოლეგებზეც აიღო ხელი და ახლობლებზეც, დღეს კი (ეს სწორედ იმავე დილას მოხდა, ნელსონ ფრაიმუსს რომ შეხვდა და მათი საუბარი უშვერი სიტყვებით დასრულდა,

მეტისმეტად უშვერითაც კი, რამაც უპირველესად თავად ქოულმენი გააოგნა) ბოლო ორი წლის განმავლობაში პირველად ისე ახლოს იყო იმ ადგილთან, სადაც მთავარი ქუჩიდან გადაუხვევდა, დაბის სამხრეთ ნაწილს გადაკვეთდა, სამოქალაქო ომის მოსაგონებლად ამართულ ძეგლამდე მივიდოდა და კამპუსის გზას დაადგებოდა, როგორც არასდროს. ალბათობა იმისა, რომ ვინმე ნაცნობს შესჩეხებოდა, ერთობ მცირე იყო, თუ იმათ არ მივიღებთ მხედველობაში, საივლისო ორკვირიანი «ელდერჰოსთელის» პროგრამით პენსიონერებს რომ ასწავლიდნენ ხოლმე. ეს პროგრამა თანგლვუდის კონცერტებზე[29] გამგზავრებასაც მოიცავდა, სთოქბრიჯის[30] ფერწერულ გალერეაში მოხვედრასაც და ნორმან როქველის მუზეუმის[31] დათვალიერებასაც.

ბორცვის თავზე რომ ავიდა, სწორედ ამ სტუდენტებს შეხვდა, გვერდი აუარა ძველ ასტრონომიულ კამპუსს და მზის სხივებით გაჩახჩახებულ კოლეჯის ოთხკუთხა მთავარ მოედანზე გავიდა, რომელიც იმ წუთებში უფრო ლამაზი იყო, ვიდრე «ათინას» ბუკლეტის გარეკანზე. ორ ჯგუფად გაყოფილი მოხუცები კოლეჯის სასადილოში ლანჩზე მიიჩქაროდნენ ხეებით დაბურული ბილიკით. წყვილთა პროცესიას ჰგავდა: ცოლქმრული წყვილები, ქმრების წყვილები, ცოლების წყვილები, ქვრივების წყვილები – ყოველ შემთხვევაში, ქოულმენს ასე მოეჩვენა, – რომელთაც ერთმანეთი ამ კოლეჯში გაეცნოთ. ყველა შილიფად, საზაფხულოდ იყო გამოწყობილი – თხელი, ღია ფერის პერანგები და ბლუზები, ყველაფერი პასტელის ფერებში გადაწყვეტილი – თეთრი ან ღია ყავისფერი, შარვლებიც სიფრიფანა კუბოკრული ქსოვილისგან იყო შეკერილი და «ბრუქს ბრაზერსის» ბრენდის. მამაკაცების უმეტესობას სხვადასხვაგვარი საბეისბოლო მაისურები ეცვა, რომლებზეც სპორტული გუნდების ემბლემები ჰქონდათ ამოქარგული. არავითარი ინვალიდის სავარძლები, ხელჯოხები, ყავარჯნები და როლატორები არ ჩანდა. მისივე ასაკის მხნე ხალხი იყო, არც მასზე უარეს ფორმაში იყვნენ, ზოგს უფრო ახალგაზრდაც ეთქმოდა, ზოგს აშკარად მასზე უხნესი, მაგრამ ყველას ემჩნეოდა, რომ იმ თავისუფლებით სარგებლობდნენ, რომელსაც პენსია იძლევა, თუკი, რასაკვირველია, ადამიანს არც სუნთქვა უჭირს, არც ტკივილი აწუხებს სიარულისას და ელემენტარულად, საღი აზროვნებაც შერჩენია. აი, სად იყო მისი ადგილი – გონივრულად შერჩეული წყვილის შემადგენლობაში,

რათა ყველაფერს სათანადო სახე ჰქონოდა.

სათანადოობა. აი, დღევანდელი კოდური სიტყვა სწორი გზიდან გადახვევის საწინააღმდეგოდ, ჯადოსნური სიტყვა, რომელიც საყოველთაო «კომფორტს» ინარჩუნებს. სიტყვა, რომელიც ქოულმენს იმას აკეთებინებს, რაც მას კი არ სურს, არამედ ეთიკის სფეროში ჩვენს ავტორიტეტებს მოეწონებათ – ჰო, მართლა, საერთოდაც, ვინ არიან ისინი? ბარბარა უოლთერსი?[32] ჯოის ბრაზერსი?[33] უილიამ ჯონ ბენეთი? «დეითლაინ ენ-ბი-სი»?[34] ისევ აქაური პროფესორი რომ ყოფილიყო, ალბათ, სალექციო კურსს «სათანადო საქციელი ძველ ბერძნულ დრამატურგიაში» წაიკითხავდა – კურსს, რომელიც დაწყებამდე დასრულდებოდა.

* * *

ლანჩზე მიმავალ პენსიონერებს ჰორთ-ჰოლის დანახვა შეეძლოთ – კოლონიური ხანის კარგად შენახული აგურის შენობისა, რომელსაც ლამაზად დახვეული სურო ამშვენებდა, სადაც ქოულმენს დეკანობისას ათ წელიწადზე მეტი რექტორის მისაღების წინ ეკავა კაბინეტი. როდესაც საათმა შუადღე ჩამოჰკრა – საათი ნორთ-ჰოლის ექვსკუთხა, დროშით დამშვენებულ კოშკზე იყო მოთავსებული, კოშკი კი კოლეჯის ხუროთმოძღვრების დომინანტას წარმოადგენდა, – კოშკზე, რომელიც ათინადანაც ისე მოჩანდა, როგორც ევროპული ქალაქებისკენ მიმავალი გზებიდან ჩანს ხოლმე დიდებული ტაძრები – ის ისევ სკამზე იჯდა ყველაზე ცნობილი და ძველისძველი მუხის ქვეშ და შეძლებისდაგვარად ცდილობდა, მშვიდად შეეფასებინა სათანადოობისა და შესაფერისობის გავლენა და ტირანია. 1998 წლის შუახანებში მასაც კი წარმოუდგენლად ეჩვენებოდა სიმტკიცისა და ძლიერების ამერიკული გაგება, არადა, ბევრი რომ არ ვეძიოთ, ქოულმენი თვითონვე გახდა ამ ტირანიის მსხვერპლი. აქ წინანდებურად იყო გამეფებული აღვირამოდებული საჯარო რიტორიკა და პირადი პოზიორობისათვის აუცილებელი შთაგონების ულევი წყარო, თან საყოველთაო, ტრიბუნაზე გამომსვლელ კეთილისმყოფელთა ძალდატანებითი ვაჭრობა, რომელსაც ჰ. ლ. მენქენმა[35] ბუბიზმი[36] უწოდა, ხოლო ფილიპ უაილიმ[37] მამიზმი, რომელსაც ევროპელები ისტორიულად ამერიკულ

პურიტანიზმს უწოდებენ და რომელსაც რონალდ რეიგანი და ძმანი მისნი ამერიკის ძირითად ფასეულობებად ნათლავენ და რომელიც დღემდე დიდი იურისდიქციით სარგებლობს, რადგან რეალურად სულ სხვა რამით ინიღბება, უფრო სწორად კი რამით კი არა, რამის ქვეშ აფარებს თავს.

როგორი ცვალებადია სათანადოობისა და შესაფერისობის საზოგადოებრივი ძალა – ეს მათუსალას ხნის ქალბატონი, რომელიც, თუ დასჭირდა, სამოქალაქო პასუხისმგებლობად, თეთრ-ანგლოსაქსურ-პროტესტანტულ ღირსებად, ქალთა უფლებებისათვის ბრძოლად, ზანგთა სიამაყედ, ეთნიკური კუთვნილების შეგრძნებად და ემოციურად დახუნძლულ ებრაულ ეთიკურ მგრძნობელობადაც კი მოგვაჩვენებს თავს. თითქოს არც მარქსი ყოფილიყოს, არც ფროიდი, არც დარვინი, არც სტალინი და არც ჰიტლერი, არც მაო და ასე განსაჯეთ, არც სინქლერ ლუისი! ჰო, თითქოს არც «ბებითი» იყოსო დაწერილი, ფიქრობდა ქოულმენი. თითქოს შემოქმედებით აზროვნებას ამ უმარტივეს დონეზეც კი გზა ეღობებოდა მათ გონებამდე მისასვლელად, რათა მათივე სიმყუდროვე არ დაერღვია. კაცობრიობას უმაგალითო უბედურებათა და საზარელ კატასტროფათა ასწლეული ერგო – ათობით მილიონი ყველაფრის ნაკლებობას ნაკლებობაზე განიცდიდა, ითმენდა სიმხეცეს, სისაძაგლეს, ნახევარმა მსოფლიომ, თუ მეტმა არა, პათოლოგიური სადიზმის ხელისუფლება იწვნია თავისი «სოციალური პოლიტიკითურთ», ხალხმრავალი საზოგადოებები შენდებოდა რეპრესიების შემბორკავი შიშით, ინდივიდუალური ცხოვრების დეგრადაციამ ხელისუფლების გამოისობით უპრეცედენტო მასშტაბს მიაღწია, ხალხები ნაწევრდებოდნენ და იდეოლოგიურ ბოროტმოქმედებს ემონებოდნენ, რომლებიც ყველაფერს ართმევდნენ, შედეგად კი მთელი ერები აღმოჩნდნენ დემორალიზებულნი, თან ისე, რომ დილით გაღვიძებულები ახალ დღესთან შეხვედრის იოტისოდენა სიხარულსაც კი არ გრძნობდნენ. რამდენი ამისთანა საზარელი მაგალითი გვიბოძა გასულმა საუკუნემ და ამ ხალხს ეს კი არ აღელვებს, ფაუნია ფარლი არ აძლევს მოსვენებას! ფაუნია და მონიკა ლევინსკი – აი, ამერიკის ორი საზრუნავი. ხალხის აღუშფოთველი ცხოვრება ქლინთონისა და სილქის შეუფერებელ ცხოვრებას დაურღვევია! აი, თურმე ის ბოროტება, რომელიც მათ 1998 წელს დაატყდა თავს. ხედავთ, საიდან ჰქონია სათავე წამებას, წვალებას, სულიერ კვდომას.

აი, სად ყოფილა ზნეობრივი სასოწარკვეთილების თავიდათავი – ქოულმენისა და ფაუნიას სარეცელი ყოფილა ყველა ამ უბედურების სათავე. მარტო იმიტომ კი არ ყოფილა ქოულმენ სილქი ნაძირალა, რომ სიტყვა «მოჩვენებები» თეთრკანიანი სტუდენტების ჯგუფის წინაშე წარმოთქვა, – წარმოთქვა, ყურადღება მიაქციეთ, არა მონობის მემკვიდრეობის საკითხის განხილვისას ან «შავი პანტერების»[38] ინვექტივებზე, მალქოლმ იქსის[39] მეტაფორებზე, ჯეიმზ ბოლდუინის[40] რიტორიკაზე, «ეიმოსისა და ენდის»[41] რადიომსმენელებში პოპულარობაზე, არამედ რუტინული ამოკითხვისას... ის არა მარტო იმიტომ არის ნაძირალა, რომ...

ეს ფიქრები იმ ხუთი წუთის განმავლობაში აეშალა და ფრთა გაშალა, როდესაც ძელსკამზე იჯდა იმ სიმპათიური შენობის წინ, რომელშიც ოდესღაც დეკანად მუშაობდა.

თუმცა შეცდომა უკვე დაშვებული იყო. დაბრუნდა. ისევ იმ ბორცვზე აღმოჩნდა, რომლიდანაც თავით გადაუძახეს; და ისევ ზიზღი იგრძნო ყოფილი მეგობრების მიმართ, რომელთაც მის დასაცავად არაფერი თქვეს, კოლეგების მიმართ, რომელთაც მის დასახმარებლად სიტყვაც არ დაუსველებიათ, მტრების მიმართ, რომლებმაც მის ამდენწლიან ღვაწლს სულ იოლად აქციეს ზურგი. სურვილი გაუჩნდა, უფრო სწორად, სურვილმა აავსო, რომ მათი სასტიკი და უსამართლო იდიოტიზმისთვის მოეღო ბოლო. რისხვით აღვსილი ავიდა ამ ბორცვზე. რისხვამ აზროვნება დაუბინდა და დაუყოვნებელი ქმედებისკენ უბიძგა.

დელფინა რუ.

ადგა და დელფინა რუს კაბინეტისკენ გაეშურა. ამ ასაკში იმას არ უნდა ვაკეთებდე, რასაც ვაკეთებო, გაიფიქრა. ამ ხნის კაცს ზომიერება, დათმობა და ერთგვარად კაპიტულაციაც კი უნდა შეეძლოს. ამ ასაკში ჯობია, ძველი წყენა წარსულს მისცეს კაცმა და ცეცხლთან თამაში არ წამოიწყოს, მით უმეტეს, კეთილისმყოფლებთან. მაგრამ დანიშნული როლით შემოფარგვლა, მოცემულ შემთხვევაში, პენსიონერის როლით, ქოულმენს არ ეჭაშნიკა – ამას კი მოგეხსენებათ, შესაფერისობა გვკარნახობს, თუმცა, როცა საქმე საქმეზე მიდგა, ქოულმენმა დედამისთანაც კი აუცილებელი შეუბრალებლობა გამოიჩინა, რადგან არჩევანი ჰქონდა გაკეთებული.

არა, გაბოროტებული ანარქისტიაო, ვერ იტყოდით, მით უფრო, გიტელმანისთანა, აირისის გიჟი მამის მსგავსი არ ყოფილა. არც წამქეზებლურ-აგიტატორული თვისებები ჰქონდა. არც უჭკუო ყოფილა. არც რადიკალი ეთქმოდა, არც რევოლუციონერი სუფთა ინტელექტუალური და ფილოსოფიური გაგებით, თუკი რევოლუციურ დარწმუნებულობას არ მივიღებთ მხედველობაში იმ მხრივ, რომ უარყოფდა საზოგადოებაში დამკვიდრებულ ნორმებს, არ ეპუებოდა გავლებულ საზღვრებს და საკუთარი ნება-სურვილით ირჩევდა ცხოვრების გზას, ცხადია, კანონიერების ფარგლებში, რადგან ეს ადამიანის ერთ-ერთი უფლებათაგანი იყო. აქ, რა თქმა უნდა, რევოლუციური უსურვილობა იმ კონტრაქტზე ხელის მოწერისა, ადამიანის დაბადებისთანავე რომ იქნა შედგენილი, სათვალავში ჩასაგდები არ არის.

ქოულმენმა ამასობაში ნორთ-ჰოლს მოუარა და გრძელ, ბურთის სათამაშოს მსგავს მდელოს გაუყვა დელფინას კაბინეტისკენ. რას ეტყოდა, თუკი სამუშაო მაგიდასთან დაუხვდებოდა, მით უმეტეს, ამ მშვენიერ ზაფხულის დღეს, სწავლის დაწყებამდე თვე-ნახევარი რომ იყო დარჩენილი, არ იცოდა და ვერც ვერასოდეს გაიგო, რადგან აგურით მოკირწყლულ ფართო ბილიკამდე არ იქნებოდა მისული, ბართონ-ჰოლს რომ ერტყა გარს, რომ ნორთ-ჰოლის უკანა მხარეს, ბუსნოზე, ჩრდილში, სარდაფის კართან, კოლეჯის ხუთი სპეცფორმიანი დამლაგებელი დაინახა; მათი ტანისამოსი – პერანგები და შარვლები – საფოსტო ქაღალდის ფერისა იყო. ისინი შიმშილს იკლავდნენ კოლოფში ჩადებული პიცით და რაღაც ხუმრობაზე გულიანად იცინოდნენ. ამ ხუთეულში ერთადერთი ქალი, რომელმაც ეს ხუმრობა შეაგდო და რომელიც ყველას ყურადღებას იქცევდა, თან სხვებზე ხმამაღლა ხარხარებდა, როგორც ჩანს, რომელიღაც მამაკაცი აეგდო, ფაუნია ფარლი გახლდათ.

მამაკაცების ასაკი ოცდაათის ფარგლებში იქნებოდა. ორი წვერიანი იყო, ამათგან ერთ-ერთს გრძელი კიკინა ეკეთა და ხარს ჩამოჰგავდა აღნაგობით. მხოლოდ ის იდგა, უფრო სწორად, ფაუნიას ისე ედგა თავზე, თითქოს ზედ უპირებს გადამხობასო, ამ დროს კი ქალს გრძელი ფეხები გამოეშალა და სიცილისას თავი უკან გადაეწია. ქოულმენი მისმა თმამ გააკვირვა, ანუ უფრო ზუსტად იმან, რომ ქალს თმა გაშლილი ჰქონდა. მანამდე ფაუნიას თმა მუდამ უკან ჰქონდა ხოლმე

შეკრული ელასტიკური რგოლით და მხოლოდ ლოგინში ჩაწოლისას თუ იშლიდა. ამ დროს თმა შიშველ მხრებზე ეფინებოდა ხოლმე.

ის და კაცები. «ბიჭები» – ასე უწოდებდა ხოლმე თვითონ. ერთ-ერთი ახალი განქორწინებული იყო, წინათ ავტომექანიკოსად მუშაობდა, მაგრამ ხელმოცარული იყო და საჭიროებისას ფაუნიას «შევროლეში» თუ ჩაძვრებოდა თავით, როცა ძრავა ვირივით ჯიუტდებოდა და არაფრით არ იქოქებოდა. გარდა ამისა, სამსახურიდან სახლშიც დაჰყავდა ზოგჯერ და უკანა გზაზეც არ ამადლიდა გაქროლებას. მეორემ, – როცა მისი ცოლი ღამის ცვლაში მუშაობდა მუყაოს ტარის ბლექუელის ფაბრიკაში, რამდენჯერმე შესთავაზა პორნოფილმზე წაგიყვანო; ერთ-ერთმა უბიწო ყმაწვილმა კი ისიც არ იცოდა, ჰერმაფროდიტი რას ნიშნავდა. როდესაც ფაუნია «ბიჭებზე» იწყებდა საუბარს, ქოულმენი მშვიდად უსმენდა და მათ გამო აღელვებას საჭიროდაც არ თვლიდა, თუმცა კი ისე უყვებოდა ხოლმე, რომ ნამდვილად ღირდა დაფიქრებად. ვერ ვიტყვით, რომ სულ ისინი ეკერა პირზე, თან არც ქოულმენი ეკითხებოდა არაფერს, მაგრამ ლესთერთან რომ ამდენი ელაპარაკა ვინმეზე, საეჭვიანო მიზეზს ნამდვილად მისცემდა. ცხადია, ფაუნიას შეეძლო მათთან ნაკლებად ელაპარაკა მამაკაცებზე და ფანტაზიაც არ გაემძაფრებინა მათთვის; ქოულმენსაც დაეუფლა ერთხელ სურვილი, რომ მსუბუქ შენიშვნასავით მიეცა მისთვის, მაგრამ ეს სურვილი მყისიერად მოიკლა გულში. იფიქრა, ვისაც უნდა, იმას ელაპარაკოს და რაც უნდა, ის საკითხები არჩიოს, ბოლოს და ბოლოს, ზრდასრულია და თავის საქციელზე თვითონვე აგებს პასუხსო. ბოლო-ბოლო, მისი ქალიშვილი ხომ არ იყო?! მისი «გოგონაც» კი არ ეთქმოდა. უბრალოდ, ის იყო, ვინც იყო.

მაგრამ ახლა, როდესაც ნორთ-ჰოლის კედელს ამოფარებულმა შეავლო ამ პურობას თვალი, ასე უემოციოდ და დიდსულოვნად ვეღარ მიიღო დანახული. რადგან ახლა ის უკვე ჩვეულებრივზე მეტს ხედავდა – ხედავდა ცხოვრებაში მიღწეულმა არარაობამ რა დღეში ჩააგდო და იმასაც ამჩნევდა, როგორ მცირე რამ იყო მიღწეული. სულ რაღაც თხუთმეტიოდე ნაბიჯის იქით მიკროსკოპული სიზუსტით ხედავდა, რომ მის არყოფნაში ფაუნია უუხეშეს და უუბრალოეს რამეზეც კი არ დაიხევდა უკან, ოღონდ კი იქვე ყოფილიყო ის რაღაც; არც მის პრიმიტიულ თვითშეგნებას მიაქცევდა ყურადღებას. რამეთუ

ჭკვიანი იყავი თუ უჭკუო, განათლებული თუ გაუნათლებელი, ვოლუპტატისთვის სულერთი იყო, მისი შესაძლებლობები კი არათუ მკვეთრად არ იყო გამოხატული, არამედ ბუნდოვნადაც კი არ ემჩნეოდა ფორმა, შესაბამისად, თავისი ვოლუპტატის შესაძლებლობების შეფასების ძალა მას არ შესწევდა. ჩრდილს შეფარებულმა კარგად გაარჩია, რომ უეცარი ხარხარის შეტევისას (ნეტავ რა ახარხარებდა, ჰერმაფროდიტიზმი ხომ არა?) ფაუნია ზურგზე გაწვა ბალახზე და მუხლებში მოხრილი ფეხები ოდნავ გაჩაჩხა, თან ცალ ხელზე პიცის ნაჭრიდან ყველი დაეცა, მეორით კოკა-კოლის ქილა ეჭირა, თავზე კი ხეპრე მუშები დასდგომოდნენ, ქოულმენმა გაისიგრძეგანა რაოდენ დაშორებული იყო მისი ცხოვრება იმ უმაქნისთა ცხოვრებისგან, ფაუნიას რომ უქმნიდნენ კომპანიას. მორიგი ლეს ფარლი? იქნებ მთლად ასეც არ იყოს, მაგრამ მაინც ფარლისთვის უფროა ეს ღალატი, ვიდრე მისთვის.

კამპუსში გათამაშებული სცენა, რომელიც დეკანობის წლებში, ისედაც მრავლისმნახველს, უმნიშვნელოდ, მეტიც, სასიამოვნოდ მოეჩვენებოდა, – განა რა იყო, ზაფხულის მშვენიერ დღეს სუფთა ჰაერზე გაშლილი პურმარილი – ახლა დიდი მნიშვნელობის მატარებლად აღიქვა. ვერც ნელსონ ფრაიმუსის დარიგებამ, ვერც ლიზას სიცივემ, ვერც დელფინა რუს ანონიმურმა ბრალდებამ ვერაფერი შეაგონა – ამ, ერთი შეხედვით, უვნებელმა სცენამ კი, ბუსნოზე რომ განვითარდა, თავისი შერცხვენის მთელი სიღრმე დაანახვა.

ლიზა. ლიზა და მისი მოწაფეები. პაწაწინა კარმენი. აი, რა ამოუტივტივდა მეხსიერებაში – ექვსიოდე წლის კარმენი, ლიზას თქმით, განვითარებაში გვარიანად ჩამორჩენილი. «მაგარი გოგოა, – უთხრა ლიზამ, – მაგრამ ჯერ კიდევ პატარა ბავშვივითაა». კარმენი რომ მართლაც მაგარი იყო, ეს თავადაც ენახა: ძალზე ღია ყავისფერი კანი და ორი მუგუზალივით შავი ნაწნავი ჰქონდა, თვალები კი – მსგავსი რამ სხვაზე არ ენახა, – ორი ნახშირივით უბზინავდა და შიგნიდან თითქოს ცისფერი ცეცხლის ალი უკიაფებდა; ბავშვის სხარტი და მოქნილი ტანი ჰქონდა, მშობლებს მოტკეცილი ჯინსი და სპორტული ფეხსაცმელი, ასევე ჭრელი წინდები და ვიწრო თეთრი მაისური ჩაეცმიათ, – ცოცხალი და მკვირცხლი გოგონა იყო, ერთი შეხედვით, ყველაფრისადმი იჩენდა ყურადღებას, განსაკუთრებით ქოულმენისადმი. «ეს ჩემი მეგობარი ქოულმენია», – ლიზამ საკლასო ოთახში შემოკუნტრუშებულ

კარმენს უთხრა, რომელსაც თვითკმაყოფილი ღიმილი და სასიამოვნო გაოცება აესახა ნორჩ სახეზე. «გამარჯობა, კარმენ», – უთხრა ქოულმენმაც. «იმის სანახავად მოვიდა, რომ გაეგო, აქ რას ვაკეთებთ», – აუხსნა ლიზამ. «კარგი», – მიუგო კარმენმა და უფრო მეტად შემსწავლელი მზერით ახედ-დახედა ქოულმენს, ვიდრე ამ უკანასკნელმა, – თან ღიმილი არ მოუშორებია სახიდან. «ჩვენ კი ჩვეულებრივად უნდა მივხედოთ ჩვენს საქმეებს», – უთხრა ლიზამ. «კარგი», – ისევ გაიმეორა გოგონამ და ფართოდ გაიღიმა. როდესაც კარმენს პატარა მაგნიტური დაფისკენ მოუწია შეტრიალებამ, რომელზეც პლასტმასის ასოები იყო მიკრული, ლიზას თხოვნით შემდეგი სიტყვების ამოკითხვა მოუხდა: «ვაშლი», «ვარდი», «ვარდნა» და «ველი» («გახსოვს, როგორ გასწავლე, – ეუბნებოდა ლიზა, – ყოველთვის პირველი ასოთი უნდა დაიწყო-მეთქი. აბა, პირველ ასოებს თითი გააყოლე და ამოიკითხე».), კარმენი ხან თავით და ხან მთლიანი ტანით მკვირცხლად ტრიალდებოდა და ქოულმენს თვალს თვალში უყრიდა, რათა კონტაქტი შეენარჩუნებინა. «ყურადღების გადასატანად ნებისმიერი მიზეზი ჰყოფნის, – რბილად უთხრა ლიზამ მამას, – აბა, მის კარმენ, შევუდგეთ საქმეს? ქოულმენი უხილავია, ყურადღებას ნუ მიაქცევ, – დაარიგა ლიზამ, – ვითომ ვერ ხედავ». კარმენს სიცილი აუტყდა. «კი მაგრამ, რომ ვხედავ?» «კარგი, მისმინე. პირველი ასოები სწორია. ყოჩაღ. ახლა კი მთელი სიტყვა წავიკითხოთ. კარგი? ჯერ პირველი ასო – მერე მთელი სიტყვა. ყოჩაღ! ვაშლი. ეს რაღაა? ამ სიტყვას უკვე იცნობ, აქამდეც გაქვს ამოკითხული. ვარდი. ესეც კარგია». ამ გაკვეთილამდე კარმენს ნახევარი წლის განმავლობაში ჰქონდა გავლილი პროგრამა «კითხვა ჩამორჩენილთათვის», მაგრამ ბევრით ვერაფრით იყო წინ წაწეული. ქოულმენს უცებ გაახსენდა, როგორ ებრძოდა ბავშვი სიტყვას «შენი» რომელიღაც ილუსტრირებულ სახელმძღვანელოში, რადგან წასაკითხად ჰქონდა მიცემული. როგორ ისრესდა თვალებს, ჭმუჭნიდა მაისურს და სკამის ფეხებს თავისი პატარა ფეხებით ეხებოდა და ცდილობდა, ტერფებით მოსჭიდებოდა. საბოლოოდ კი სკამიდან ძირს ცურდებოდა. ყველა ამ მცდელობის მიუხედავად, ვერც ამოკითხვას უხერხებდა სიტყვას და ვერც წარმოთქმას. «არადა, უკვე მარტია, მამა. ნახევარი წელია, რაც ვმეცადინეობთ. «შენი» უკვე განვლილი ეტაპი უნდა იყოს. ამ დროს სიტყვებს «ოთახსა» და «ოთხს» აღარ უნდა ურევდეს, მაგრამ... პროგრამა ოც კვირას მოიცავს, კარმენი კი ოცდახუთი კვირაა, რაც

მეცადინეობს. საბავშვო ბაღშიც დადიოდა და იქიდანვე უნდა ჰქონოდა რამდენიმე სიტყვა ათვისებული. მაგრამ სექტემბერში, როდესაც პირველ კლასში შემოვიდა, სიტყვების ჩამონათვალი ვუჩვენე და იცი, რა მკითხა? «ეს რა არისო?» ისიც კი არ იცოდა, სიტყვა რას ნიშნავს. ასოებთანაც ცუდად ჰქონდა საქმე, ზოგს სულ არ იცნობდა, ზოგიც სხვებში ერეოდა. მაშინ გასაგები იყო, გარეგნული მსგავსება აბნევდა, მაგრამ მას მერე ექვს თვეზე მეტია გასული. მაინც უჭირს კითხვა, თან ძალიან». «გატყობ, მის ამბავს ძალიან განიცდი». «ყოველდღე ნახევარი საათით ვამეცადინებ, ცოტა ხომ არაა. ამხელა სამუშაო გავწიე. იდეაში, შინ უნდა კითხულობდეს, მაგრამ მისმა თექვსმეტი წლის დამ ახლახან გააჩინა ბავშვი და როგორც ჩანს, არც მშობლებს ადარდებთ ბავშვი. ემიგრანტები არიან და გასაგებია, რომ ინგლისურად ვერ ასწავლიან კითხვას, თუმცა კარმენი ვერც ესპანურად კითხულობს. ყოველდღე ერთი და იგივე მეორდება. როცა მაინტერესებს ხოლმე, წიგნთან როგორი დამოკიდებულება აქვს ბავშვს, დასურათებულ წიგნს გავუწოდებ ხოლმე და ვთხოვ, დასაწყისი მიჩვენოს. შედეგი სავალალოა. სულ რამდენიმეს თუ შეუძლია, დასაწყისი მიჩვენოს. უმეტესობა აზრზე არ არის. ტექსტი მათთვის ნულის ტოლფასია. თან, იცი, რაშია საქმე? – ლიზას ღიმილი მოსწყინდა, თუმცა კარმენივით მომხიბლავად მაინც არ გამოსდიოდა, – ჩემი ბავშვები გონებრივად ჩამორჩენილებად არ მიიჩნევიან. როცა მე ვუკითხავ, კარმენი სიტყვებს არც უყურებს, მისთვის სულერთია. ამიტომაც არის ხოლმე, რომ დღის ბოლოს გამოწურულ ლიმონს ვგავარ. არც სხვა პედაგოგებს ულხინთ, მაგრამ კარმენისთანა ბავშვები რომ გეყოლება მთელი დღე, შინ უკვე დაქანცული და ძალაგამოლეული დაბრუნება გარანტირებული გაქვს. საღამოსკენ კითხვა ლამის მეც დამავიწყდეს. ტელეფონით საუბრის თავიც აღარ მაქვს ხოლმე. რაღაცას გაუაზრებლად ვჭამ და ლოგინს ვაფარებ თავს. რა ვქნა, გულითადი დამოკიდებულება მაქვს ამ ბავშვებთან. მიყვარს ჩემი კუდრაჭები, მაგრამ მათთან ურთიერთობა მარტო კი არ მქანცავს, ბოლოს მიღებს».

ფაუნია უკვე ბალახზე იჯდა და კოკა-კოლის დალევას ასრულებდა, ამ დროს კი ერთ-ერთი ყმაწვილი, სხვებზე ახალგაზრდა, რომელსაც ნიკაპზე მეჩხერი წვერი ჰქონდა მოსაპარსი, ყავისფერ უნიფორმაზე წითელი, უჯრულა ბენდენა

ეკეთა და კოვბოური მაღალქუსლიანი ჩექმა ეცვა, – სანაგვე ტომარაში ყრიდა ლანჩის ნარჩენებს, დარჩენილი სამი კი ბოლო ღერს ეწეოდა ჩეროს შეფარებული.

ფაუნია მარტო დარჩა. უკვე აღარ იცინოდა. სერიოზული გამომეტყველებით იჯდა კოკა-კოლის ქილით ხელში და რაღაცაზე ფიქრობდა. იქნებ იმაზე, ჩვიდმეტი-თვრამეტი წლისა რომ იყო და ფლორიდაში მიმტანად მუშაობდა, სადაც გადამდგარი ბიზნესმენები შედიოდნენ და ურცხვად ეკითხებოდნენ, ხომ არ გინდა ნორმალურ ბინაში გადახვიდე, ბალ-ჰარბორის მოდურ მაღაზიებში ანგარიში გაიხსნა და ახალთახალი «პინტოთი» იგრიალოო, არც საიუველირო მაღაზიისა და მაღალი დონის სილამაზის სალონის მისამართის თქმა ავიწყდებოდათ, სანაცვლოდ კი კვირაში ორ-სამჯერ, ზოგჯერ კი უქმეებზეც, დატკბობა და სიამოვნება ევალებოდა ასაკს გადაცილებული ამ ბატონებისა. პირველივე წელიწადში ოთხი ასეთი წინადადება მიიღო. მერე კუბელმა შესთავაზა გული. კლიენტს ასი დოლარი უჯდებოდა ეს წვივმაღალი და დიდმკერდა ქერა ქალი, მით უმეტეს, თუ მოკლე ქვედაკაბას, ტოპსა და მაღალქუსლიან ჩექმასაც ჩაიცვამდა, ათასი დოლარიც კი არ დაენანებოდა კაცს. ერთ-ორი წელიც და, თუ მოუნდებოდა, თამაშიდან გამოვიდოდა, ჯიბეგაფხეკილი მაინც აღარ იქნებოდა. «მერე, არ დათანხმდი? – ჰკითხა ქოულმენმა. «არა, მაგრამ არ გეგონოს, რომ არ დავფიქრდი, – მიუგო ფაუნიამ, – საზიზღარი სასადილო იყო, საძაგელი ხალხი შემოდიოდა, დარეხვილი მზარეულები გვყავდა და მენიუს ამოკითხვაც კი მიძნელდებოდა, მოკლედ, ყველაფერი უნდა დამემახსოვრებინა, ეს კი იოლი საქმე არ იყო. ორ წყალშუა ვიყავი. მაგრამ ანგარიში კი ვიცი გაუნათლებლობის მიუხედავად. მიმატება, გამოკლება... სიტყვებს ვერ ვკითხულობ, მაგრამ ვიცი, შექსპირი ვინც იყო. აინშტაინიც ვიცი. სამოქალაქო ომი ვინ მოიგო, ისიც ვიცი. სულელი კი არა ვარ. უბრალოდ, გაუნათლებელი ქალი ვარ. თითქოს არაფერიო, მაგრამ განსხვავება მაინც არის. ციფრებს კი სულ სხვანაირად ვუდგები. ეჭვი არ შეგეპაროს, მართლა კარგად ვიცი ანგარიში. ჰოდა, ამ პონტშიც ბევრი მიმზიდველი რამ იყო». ქოულმენს მისი მოსატყუებელი კბილი კარგა ხნის ამოღებული ჰქონდა. არა მხოლოდ ვარაუდობდა, თვრამეტი წლის გოგონასთვის მეძაობის პერსპექტივა რამხელა ცდუნების მატარებელი იყო, არამედ დარწმუნებულიც იყო, რომ ფაუნია პრაქტიკაში ცდიდა

ამ ხელობას და არცთუ წარუმატებლად.

«რა უნდა ვუყოთ ისეთ ბავშვს, ვინც წერა-კითხვა არ იცის? – ეკითხებოდა მაშინ სასოწარკვეთილი ლიზა, – კითხვა ყველაფრის გასაღებია, რაღაც ხომ უნდა ვქნათ? ჰოდა, ვაკეთებ, რაც შემიძლია. ქანცი მაქვს უკვე გაწყვეტილი. მეუბნებოდნენ, მეორე წელს გაგიიოლდებაო, მესამე წელს მთლად გაგიმარტივდებაო. ეს უკვე მეოთხე წელია და შვება არსაით ჩანს». «არ გაიოლდა?» «გაუარესდა. საშინლად რთულადაა საქმე. წლიდან წლამდე ყველაფერი უარესდება. ერთი-ერთზე ჩატარებული გაკვეთილიც რომ არაფერს მისცემს ბავშვს, მასწავლებელმა რაღა უნდა ქნას?» ფარლიმ, მაგალითად, უწიგნური გოგონა ცოლად დაისვა და თან მოკრივის «მსხლად» აქცია, კუბელი თავისებურად მოიქცა და ერთ-ერთ ხარჭად გაიხადა. ნეტავ რამდენ ხანს იყო ფაუნია მისი ხარჭა? იქნებ სწორედ ამაზე ფიქრობდა, სანამ ადგებოდა და ნორთ-ჰოლის დერეფნების დასასუფთავებლად გაეშურებოდა. ან ეგებ ის აფიქრებდა, რამდენ ხანს გამიგრძელდა ეს ყველაფერიო? დედა, მამინაცვალი, მისგან გაქცევა, სამხრეთში გადახვეწა, ჩრდილოეთში თავის შეფარება, კაცები, ცემა-ტყეპა, გამომუშავებული ფული, გაკოტრება, საქონელი, გათხოვება, ბავშვები, დაღუპული ბავშვები. რა გასაკვირია, რომ ჰაერზე გატარებული ოცდაათი წუთი ამ ბიჭებთან ერთად მისთვის სამოთხისებური სიამოვნება ყოფილიყო.

– ეს ჩემი მეგობარი ქოულმენია, ფაუნია. უბრალოდ, ნახვა უნდოდა.

– კაი, – უპასუხა ფაუნიამ.

გოგოს მწვანე ველვეტის სარაფანი, ფეხზე – ქათქათა თეთრი წინდები და შავი ფეხსაცმელი აცვია. მთლად კარმენივით მკვირცხლი არ არის, სულ შებორკილივით დგას, მაგრამ სასიამოვნო გარეგნობის თეთრკანიანი გოგონაა, მაღალი და გრძელი ქერა თმით, საშუალო კლასიდან. თმაში მარცხნივაც და მარჯვნივაც დამჭერები აქვს გაკეთებული და კარმენისგან განსხვავებით ქოულმენისადმი ნულოვან ინტერესსაც კი არ ავლენს.

– გამარჯობა, – მოკლედ წარმოთქვამს და მორჩილად უბრუნდება მაგნიტურ ასოებს, ანაცვლებს მათ, აჯგუფებს, ერთ მხარეს თანხმოვნებს აქუჩებს, მეორე მხარეს – ხმოვნებს.

– ორივე ხელი გამოიყენე, – ეუბნება ლიზა და ისიც ემორჩილება.

– აბა, რომელი ასოებია? – ეკითხება ლიზა.

ფაუნია ასახელებს. ყველა ასოს სწორად კითხულობს.

– იქიდან დავიწყოთ, რაც იცის, – ეუბნება ლიზა მამამისს, – აბა, «ტყე» შეადგინე ამ ასოებით.

ფაუნიაც ადგენს სიტყვას «ტყე».

– ძალიან კარგი. ახლა ის შეადგინოს, რაც არ იცის. აბა, «ბრგე».

დიდხანს და დაძაბულად დასცქერის ასოებს, მაგრამ ვერაფერს ადგენს. ხელსაც არ ანძრევს. იცდის. აინტერესებს, ალბათ, რა მოხდება. მთელი ცხოვრება ასე არაა? – სულ იმის მოლოდინი აქვს, რა მოხდებაო? და ყოველთვის რაღაც ხდება კიდეც.

– მის ფაუნია, დასაწყისი შეცვალე. ჰე, მიდი. გამოგივა. რომელი ასოთი იწყება სიტყვა «ბრგე»?

– ასო «ბ»-თი, – ფაუნია ასო «ტ»-ს მოაცილებს და სიტყვის თავში ასო «ბ»-ს ათავსებს.

– მშვენიერია. ახლა გამიკეთე «თვე».

აკეთებს «თვეს».

– ძალიან კარგი, ახლა კი თითი გააყოლე და ისე წაიკითხე.

ფაუნია თითს გააყოლებს ასოებს და ყოველ მათგანს მკაფიოდ წარმოთქვამს:

– თ-ვ-ე.

– სხარტია, – ამბობს ქოულმენი.

– კი, მაგრამ აქ ისედაც სისხარტეა საჭირო.

დიდი საკლასო ოთახია. მასში პარალელურად მიმდინარეობს ოთხი ჯგუფისათვის კითხვის გაკვეთილი, ოთხივე ჯგუფი ჩამორჩენილთა კატეგორიას ეკუთვნის, ამიტომაც ქოულმენს ყოველი მხრიდან ესმის სიტყვების ამოკითხვის ხმები – ბავშვური ხმები, ხმამაღალი, ხმადაბალი და მასწავლებელთა ჩართვები პერიოდულად: «ხომ იცნობ უკვე ამ ასოს, ეს «უ»-ა, როგორც «უთო», «ურო»... ეს კი «პ»-ა, როგორც «პეპელა»,

«პინგვინი»... მშვენიერია, ყოჩაღ!» – ქოულმენი თვალს მოავლებს კლასს და ეჩვენება, რომ სამივე ჩამორჩენილი გოგონა ფაუნიაა. ყველგან ანბანები და ციფრებია ჩამოკიდებული, ზოგი პლასტმასის, ზოგიც მაგნიტური, თან ფერადებია, რომ სიტყვის შედგენისას ბავშვი არ დაიბნეს. ყველგან პატარ-პატარა წიგნებია დახვავებული, სადაც უმარტივესად არის სიუჟეტები გადმოცემული: «პარასკევს სანაპიროზე წავედით, შაბათს – აეროპორტში»; «მამა დათვო, დათუნია შენთან არის? – არა, – პასუხობს მამა დათვი»; «ამ დილას სარას ძაღლმა დაუყეფა. სარა შეშინდა, – გამბედავი გოგონა უნდა იყო, სარა, – უთხრა დედამ». გარდა ამ შინაარსის წიგნებისა, საკლასო ოთახში ოთხი მასწავლებელი იბრძვის, რომ ფაუნიას როგორმე აათვისებინონ კითხვის ტექნიკა, მაგრამ საჭირო დონეს ვერაფრით აღწევენ.

– პირველ კლასშია, – ეუბნება ლიზა მამას, – იმედი გვაქვს, რომ თუკი ყოველდღე ოთხივე ვიმუშავებთ მასთან, წლის ბოლოს თანატოლებს დაეწევა, მაგრამ მოტივაციის განვითარება გვიჭირს მასში.

– რა სათნო ბავშვია, – ეუბნება ქოულმენი.

– ასე გგონია? ანუ ასეთი ტიპი გხიბლავს? ესე იგი, აი, როგორი ტიპი ყოფილა შენი სისუსტე: სასიამოვნო გარეგნობის ქერა, გრძელთმიანი გოგონა, საფეთქლებთან თმის სამაგრი პეპლები რომ უკეთია და უნებისყოფოა.

– მე ეს არ მითქვამს.

– არც იყო საჭირო. დაგინახე, როგორ უყურებდი, – ლიზამ ხელი გაიშვირა ოთახში, სადაც ოთხივე ფაუნია მშვიდად ზის, წინ მაგნიტური დაფები ულაგიათ და სიტყვებს: «ტყე», «ბრგე» და «თვე» ადგენენ, – როდესაც პირველად წაიკითხა «თვე» დამარცვლით, თვალი ვერ მოაცილე. რაკი ეს ასე მოქმედებს შენზე, სექტემბერშივე უნდა ყოფილიყავი აქ. ანუ მაშინ, როცა საკუთარი გვარ-სახელის დაწერაც კი არ იცოდა. საბავშვო ბაღის შემდეგ ერთადერთი სიტყვა, რომელიც იცოდა, იყო «ტყე». ვერ ხვდებოდა, რომ ნებისმიერი ტექსტი შეტყობინებას მოიცავს. არც ის ესმოდა, რომ ჯერ მარცხენა გვერდს უნდა უყურო, მერე მარჯვენას. არ იცოდა «სამი დათვისა და ოქროსთმიანის» ზღაპარი. წარმოუდგენელია და დაუჯერებელი – ნეტავ რას აკეთებდა საბავშვო ბაღში, იქ ხომ ზღაპრებსა და ლექსებს მაინც

ასწავლიან. ახლა უკვე იცის «წითელქუდა», წინათ კი წარმოდგენაც არ ჰქონდა. სექტემბერში რომ გენახა ფაუნია საბავშვო ბაღიდან მოსული, ჭკუიდან აგწევდა.

რა უნდა ვუყოთ ისეთ ბავშვს, ვინც წერა-კითხვა არ იცის? ან ისეთ ქალს, რომელიც პიკაპში ვიღაცისგან პირში იღებს; გარაჟის თავზე მოთავსებულ პატარა ბინაში ნავთქურაა ანთებული, მის შვილებს კი წესით ამ დროს უნდა ეძინოთ. ისეთს, ვინც თოთხმეტი წლიდან საკუთარი ცხოვრებისგან გაქცევას ცდილობს. ისეთს, ვინც ელემენტარული სტაბილურობისა და უსაფრთხოების გამო ჭკუიდან გადასულ ომის ვეტერანს მიჰყვება ცოლად, იმ დონემდე გადარეულს, რომ თუ ძილში მკვეთრად იცვალე გვერდი, შეიძლება, ეჭვიანობის გამო ყელში გწვდეს; ისეთს, ვინც სინამდვილეს მალავს და სულ იტყუება, ცრუობს, თითქოს კითხვა არ იცოდეს, არადა, საკმაოდ კარგადაც იცის, მაგრამ განგებ იწებებს კითხვის უცოდინარის იარლიყს, რათა უკეთ გამოუვიდეს იმ ქვესახეობის გათამაშება, რომელსაც არ ეკუთვნის, თუმცაღა უნდა რომ ეკუთვნოდეს – რაც მისი შეცდომაა – და ცდილობს თავიც დააჯეროს და შენც დაგაჯეროს თავის სიმართლეში; ისეთს, ვისი არსებობაც რვა წლის ასაკში ჰალუცინაციად, თორმეტი წლის ასაკში – კატასტროფად იქცა, ხოლო თოთხმეტი წლიდან დაუსრულებელ უბედურებათა მორევში გაეხვია; ისეთს, ვისაც დაბედებული აქვს არა მიმტანად, მეძავად ან დამლაგებლად მუშაობა, არამედ ბილწი მამინაცვლის გერად და თვითკმაყოფილი დედის დაუცველ ქალიშვილად ყოფნა, თან საუკუნოდ. ისეთს, ვინც არავის უჯერებს, ვისაც არავისი სწამს, რომელიც ყველაში მატყუარას ეძებს და რომელიც არაფერშია დაზღვეული; ვისაც ბრძოლისა და დაუმორჩილებლობის კოლოსალური ნიჭი აქვს მოჭარბებული, თუმცა კი, იმავდროულად, ცხოვრებაში დასაყრდენი არ გააჩნია; ისეთს, ვისაც უბედურება შესჩვევია და ვინც ყველანაირ ხათაბალაში ყოფს თავს, ფიზიკურში თუ არა, გონებრივში მაინც; ისეთს, ვისი უბედური ვარსკვლავი თვალის ჩაპაჭუნებასაც არ აპირებს და ვინც, სტინასი არ იყოს, ერთადერთი აღაგზნებს ქოულმენს, – რომელიც მორალური თვალსაზრისით არარაობის ტოლია, ყველაზე მეტად არარაა, ვინც კი ოდესმე სცნობია ქოულმენს, მაგრამ სწორედ ამ თავისი უზნეობითა და უმიზნობით, როგორც საპირისპირო პოლუსი, ისე იზიდავს კაცს. ქოულმენში ამ დროს მიძინებული

სამართლიანობის გრძნობა იღვიძებს და იმისკენ უბიძგებს, ვინც მის სულს ავსებს, არა მარტო სულს – სხეულსაც სიამეს ჰგვრის. არადა, ეს ქალი მისთვის სათამაშოს ფუნქციას უფრო ასრულებს, რომელთანაც კვირაში ორჯერ ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეიძლება; მოკლედ, სულიერ, გნებავთ, ხორციელ ამხანაგად და უღლის გამწევად გადაჰქცევია კაცს.

აბა, რა უნდა უყოს ამისთანა ბავშვს? იპოვოს ტელეფონ-ავტომატი და რაც შეიძლება სწრაფად გამოასწოროს სულელური შეცდომა.

* * *

ქოულმენს ეგონა, ფაუნია ფიქრობდა, რამხელაზე გაიწელა ეს ყველაფერიო – დედა, მამინაცვალი, მისგან გაქცევა, სხვადასხვა ადგილი სამხრეთში, სხვადასხვა ადგილი ჩრდილოეთში, ნაშოვნი ფული, ცემა-ტყეპა, გათხოვება, გაკოტრება, საქონელი, ფერმა, შვილები, დაღუპული შვილები... იქნებ მართლაც ამას ფიქრობდა ფაუნია. შესაძლოა, როდესაც ბიჭები დგანან და ეწევიან, ზოგიც ლანჩის ნარჩენებს აგროვებს, ქალი ზის და ყვავებზე ფიქრობს. ეს ყრანტალა ფრინველები ხომ ყველგან არიან. როცა მას სძინავს, ისინი ახლომახლო ტყეში ტოტებზე სხედან ხოლმე. როდესაც ძროხებს უშვებს საძოვარზე, ყვავები მიწაზე არიან მოფენილნი. დღეს რაღაც აქტიურად დასჩხავიან ეს ოხრები კამპუსს, იქნებ ფაუნია იმას ფიქრობს, რაც ქოულმენს ჰგონია, ან იქნებ ის მამალი ყვავი ახსენდებოდა, რომელიც მის გარაჟს დასტრიალებდა თავს, როდესაც მისი შვილები იგუდებოდნენ. ის მამალი ყვავი, ავტოსადგომთან ახლოს ფოსტისა და მაღაზიის სიახლოვეს რომ ფრენდა. ჯერ კიდევ ბახალობაში უნდა ყოფილიყო ის ყვავი შეფარებული, როგორც ფაუნიას ახსოვდა, ერთ-ერთ მეზობელს აეყვანა პატარა ბახალა, როდესაც დედა ყვავი მოჰკვდომოდა თუ დაჰკარგოდა პატარა ფრთოსანს. ახლა კი მეორეჯერ მიტოვებულმა შავფრთოსანმა ავტოსადგომის თავზე ფრენას უხშირა, სადაც დღეგამოშვებით სილი-ფოლსის მოსახლეობის უმეტესობა იყრის თავს. ამ ყვავმა ზოგს თავიც მოაბეზრა – ფოსტაში მიმავალი ხალხისკენ აიღებდა ხოლმე გეზს და გოგონებს თმიდან სამაგრებს და თვლიან სარჭებს აძრობდა, –

ან რა გასაკვირია, მინის ბრჭყვიალა საგნები ხომ ყვავების ინტერესს იწვევს. ამიტომ ფოსტის უფროსმა, როცა რამდენიმე კეთილისმყოფლის აზრი იკითხა, გადაწყვიტა, ეს ფრინველი ოდიუბონის საზოგადოებისათვის[42] მიებარებინა, სადაც ყვავს გალიაში უკრეს თავი და იშვიათად თუ უშვებდნენ საფრენად. თუმცა ბოლომდე თავისუფლად მაინც არ აძლევდნენ ფრთების გაშლის საშუალებას, რადგან ფრინველი, რომელსაც ავტოსადგომის თავზე უყვარს ფრენა, მთლად თავის ნებაზე არ უნდა დაფრინავდეს. მისი ყრანტალი ფაუნიას სულ ესმოდა – ღამით თუ დღისით, ფხიზელს თუ მძინარეს ან თუნდაც უძილობით გატანჯულს. უცნაური ჩხავილი იცოდა, სხვებისას არ ჰგავდა, – ალბათ, იმიტომ, რომ ბახალობიდან ხალხთან იზრდებოდა. ხანძრის შემდეგ ერთხანს ოდიუბონის საზოგადოებაში მის სანახავად დავიწყე სიარული; როცა გამოსვლას დავაპირებდი, ამ თავისი ხმით მეძახდა თითქოს, დაბრუნდიო. კი, გალიაში ეჯდათ, მაგრამ რაკი ასე გამოვიდა, ისევ გალია ჯობდა სხვა რამეს. იქ სხვა ფრინველებიც ჰყავდათ გალიებში, მეტწილად ისეთები, რომელთაც დამოუკიდებლად ცხოვრება აღარ შეუძლიათ. ორი პატარა ბუც ვნახე – კოპლიანები და ისეთი გაფუყულები, სათამაშო გეგონებოდათ. მათთანაც ხშირად მივდიოდი ხოლმე. ერთი ალალიც მყავდა შემჩნეული – ან როგორ ვერ შევამჩნევდი, ისეთი გამჭოლი ყვირილი იცოდა. მოკლედ, საყვარელი ფრინველები იყვნენ. მერე აქეთ გადმოვედი და ამ ჩემი მარტოობით შევიცანი ყვავები. სულ სხვანაირები აღმოჩნდნენ. მათაც შემიცნეს. იუმორის გრძნობაც კი აქვთ, თუ შეიძლება, ასე ითქვას. იქნებ ეს იუმორის გრძნობაც არ იყოს, მაგრამ მგონია, რომ ზუსტად ეგაა. ნეტავ განახვათ, როგორ ბატონკაცურად დააბიჯებენ ან თავს როგორ მალავენ. როგორ მიჩხავიან, თუ პურს არ გამოვუტან, აბა, ჩქარა პურიო! თან სოლიდურები და სერიოზულები არიან. უნდათ, ყველა ფრინველზე ბატონობდნენ. ერთ შაბათს ნორთამბერლენდთან იამაიკურ წითელკუდა ჭინოსთან გავაბი საუბარი. შინ რომ დავბრუნდი, ვხედავ, უკანა ეზოში მოკალათებულა ეს ორი ყვანჩალა. რაღაც მთლად ისე არ იყო, ეგრევე შევამჩნიე. ყვავების განგაში! უფრო სწორად, ორი კი არა, სულ სამი ფრინველი იყო – ორი ყვავი ჭინოს უტევდა და გაძევებას ცდილობდა. შეიძლება, ზუსტად იმას ეშარებოდნენ, რომელსაც რამდენიმე წუთით ადრე მე ველაპარაკებოდი. ჰოდა, შეუტიეს. ცხადია, არც ჭინოა უკან დამხევი. მაგრამ რაც უნდა იყოს, მაინც შევარდნისებრია და

მასთან შეხუმრება ცუდად დაუჯდებოდათ. მესმის, ყვავების გუნდი რომ ყოფილიყო იქვე, მაგრამ ორი ერთზეც კი ცოტაა. რას დააკლებდნენ? რასაც ჰქვია, საძაგელი ვინმეები არიან რა. ბოროტები. ალბათ, მათთვის ასეც ჯობია. ერთი ფოტო მაქვს ნანახი, ყვავი არწივთან მიფრენილა და უჩხავის. არწივს კი ფეხებზე ჰკიდია. ვერც კი ამჩნევს. მაგრამ ყვავი უკან მაინც არ იხევს. მერე როგორ დაფრინავენ! არა, მთლად ყორნებივით ვერ დასრიალებენ ჰაერში, მაგრამ მაინც ლამაზები არიან. დიდი კორპუსი აქვთ და ადგილიდან მოწყვეტა არ გამოსდით, მაგრამ არც გაქცევას საჭიროებენ ასაფრენად. რამდენიმე ნაბიჯიც ჰყოფნით. მიდევნებია თვალი. აქ უფრო ძალისხმევა, დიდი ძალისხმევაა მთავარი. ერთი გაქანება და ჰაერში არიან. იმ დროს ვადევნებდი ხოლმე თვალს, ბავშვები «ფრენდლისში» სავახშმოდ რომ დამყავდა. ოთხი წლის წინ. ალბათ, მილიონობით იქნებოდნენ. «ფრენდლისთან» ისთ-მეინ-სთრითზე ბლექუელში. საღამოობით, შებინდებულზე, ავტოსადგომი დაფარული იყო ხოლმე. ყვავთა შეკრება «ფრენდლისთან». ნეტავ რა მოსწონთ ასე ამ ავტოსადგომებზე? რა აზრი უტრიალებთ თავში? ჩვენ ხომ ვერასოდეს მივხვდებით ვერც ყვავების აზრს და ვერც სხვებისას. სხვა ფრთოსნები თითქოს მოსაწყენი მეჩვენება. ცისფერ ჩხიკვებს, ცხადია, მშვენიერი ნახტომი აქვთ. როგორც ბატუტზე, ისე ხტიან. მართლა, მაგარია. მაგრამ ყვავებს მარტო ნახტომი კი არა, მკერდის წინ წამოგდებაც მაგრად გამოსდით. მაგარი სანახავები არიან. რომ განახვათ, კისერს როგორ ატრიალებენ, რომ სახსრებში გაიშალონ. არა, ყვავები სულ სხვა ძალაა. მაგარი ჩათლახები არიან. მარტო მათი ჩხავილი და ყრანტალი რად ღირს. ამას უნდა უსმინოს კაცმა! საშინლად მევასება. ასე ერთიმეორეს ეკონტაქტებიან. საფრთხეს ატყობინებენ გულსაკლავი ჩხავილით. ძალიან მიყვარს. გავიგონებ თუ არა, ეგრევე შინიდან გამოვრბივარ. გინდ დილის ხუთი იყოს, არა აქვს მნიშვნელობა. სასოწარკვეთილი ჩხავილი თუ გაისმის, ესე იგი, სახლიდან უნდა გავვარდე თავქუდმოგლეჯილი – სპექტაკლი იწყება. სხვანაირ ყრანტალზე ან ჩხავილზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი, მაინცდამაინც კარგად არ მესმის. იქნებ არც არაფერს ნიშნავს სხვანაირი ჩხავილი. ზოგჯერ მოკლე ბგერებს გამოსცემენ ხოლმე. ხან ხორხისმიერს. ყორნის ხმაში არ უნდა აგვერიოს. ყვავები ყვავებთან ქუჩდებიან, ყორნები – ყორნებთან. უცნაურია, მაგრამ ერთიმეორის თავყრილობაში არასდროს გაერევიან, როგორც მე ვიცი. ვინც იმას იტყვის,

ყოველგვარ სისაძაგლეზე ნადირობენო, – არადა, ბევრი ამბობს ასე, – გარტყმაში არ არის ამის მთქმელი. ჩემი აზრით, მშვენიერები არიან. ჰო, მშვენიერები! როგორი გლუვი ბუმბული აქვთ. ან რა ელფერი დაჰკრავთ. იმდენად შავები არიან, რომ იისფერიც კი გადაჰკრავთ. მერე თავები – საიდანაც ნისკარტები ეზრდებათ. წვერებიც კი აქვთ, მართალია, ბუმბულისავე, მაგრამ მართლაც, სხვაგვარი წანაზარდია. ალბათ, სახელიც ექნება, მაგრამ მე არ ვიცი. ან რა მნიშვნელობა აქვს. მნიშვნელოვანი ისაა, საერთოდ რომ აქვთ. რატომ აქვთ, კაციშვილმა არ იცის. ამქვეყნად იმდენი რამეა აუხსნელი, რომ... თვალები შავი აქვთ. სხვა ფერის არ არსებობს. სულ მაინტერესებდა, ფრენა რა შეგრძნებაა? ყორნებს ფარფატიც შეუძლიათ, ყვავები კი მხოლოდ მიზნისკენ მიფრინავენ. არ მინახავს, რომ უაზროდ შეეკრათ კამარა. ფარფატი ისევ ყორნებს დავუტოვოთ, თავში ქვა უხლიათ, გინდ ჯილდო მისცეს ვინმემ ფარფატში. ყვავები ერთი ადგილიდან მეორისკენ მიილტვიან. ერთი ხმა თუ გავარდა, რომ პური გადავუყარე, ეგრევე ჯგროდ მოფრინდებიან. პურის ნაჭრებს რომ ვუფშვნი ხოლმე, ერთი უეჭველია, საყარაულოდ დგას და შემომცქერის, მეორე კი მოშორებით ჯდება და სხვებს გასჩხავის – სიგნალს აწვდის მოვლენის შესახებ. ძნელი დასაჯერებელია, ერთმანეთზე რომ ზრუნავენ, მაგრამ ფაქტია. ბავშვობაში დაქალმა საოცარი რამ მიამბო, მისთვის დედამისს მოუყოლია, დღემდე მახსოვს. ისეთ ჭკვიან ყვავებსაც უცხოვრიათო ამქვეყნად, რომ მოპარულ კაკლებს, რომლებსაც ვერ ამტვრევდნენ, გზაზე აწყობდნენ. ჯერ შუქნიშანს უყურებდნენ, ფერის მიხედვით იმასაც ხვდებოდნენ, როდის დაიძვრებოდა მანქანები, ჰოდა, წითელ შუქზე კაკლებს პირდაპირ საბურავების წინ აწყობდნენ, რომ ზედ გადავლილ მანქანას გაეპო ნაჭუჭი, მერე კი მეორე წითელ შუქს უცდიდნენ, რომ ისევ ჩამოფრენილიყვნენ მანქანებთან და დამტვრეულნაჭუჭიანი კაკლები აეღოთო. მოფიქრება არ უნდა?! მაშინ მჯეროდა ამ ამბის. მაშინ ყველაფრისა მჯეროდა. ახლაც კი მჯერა ამ ამბის. მე და ყვავები. მაგრებია რა. ეგენი მეყოლებოდნენ კარგად! ისიც კი მსმენია, ერთმანეთს ბუმბულს უსუფთავებენო. თვითონ არასდროს შემიმჩნევია. ერთმანეთს მიხუტებულებს რომ ვხედავ, სულ ვფიქრობ ხოლმე, ნეტავ რას აკეთებენ-მეთქი? მაგრამ არასდროს გარკვევით არ დამინახავს, ამას როგორ აკეთებენ. არათუ სხვებს როგორ უსუფთავებენ, საკუთარ ბუმბულს რომ

ისუფთავებენ, არც ეგ მინახავს. მათ გუნდთან ახლოს კი ვარ, მაგრამ გუნდში ხომ არა ვარ. ეჰ, როგორ მინდა, მათ გუნდში ვიყო. ნეტავ მეც ყვავი ვყოფილიყავი. ასიანს გეუბნები. თავსაც უკეთ ვიგრძნობდი – ვინმესთან ან რამესთან განშორება არ შემაწუხებდა მაინც. ავფრინდებოდი და მორჩა. საზრუნავი არაფერი მექნებოდა, ისინიც ხომ არაფერზე ზრუნავენ, აიწევიან ჰაერში და სიშორეს მისცემენ თავს. თუ რამეს შეეჯახებიან – დედა ეტირებათ. ფრთა გაეხევათ – დედა ეტირებათ. ფეხი მოსტყდებათ – დედა ეტირებათ. ჩვენსავით კი არ არიან. იქნებ ყვავად მაინც დავბრუნდე. ეტყობა, წინა ცხოვრებაში ვიყავი ყვავი და ღმერთს ვთხოვე: ღმერთო, მიწაზე მინდა ცხოვრება, დიდძუძუება გოგოდ მაქციე-მეთქი! სურვილიც ამისრულდა.. მაგრამ ახლა ისევ ყვავად მინდა ყოფნა, ჩემი სტატუსი უნდა დავიბრუნო. სტატუსი. ყვავისთვის ზედგამოჭრილი სიტყვაა. ყველაფერს შვენის, რაც დიდია და შავი. სტატუსი. ბავშვობაში ჩემს თვალს არაფერი გამოეპარებოდა. ჩიტები მიყვარდა ძალიან. განსაკუთრებით კი ყვავები, შევარდნები და ბუები. ახლაც კი ვხედავ ხოლმე ბუებს, ქოულმენისგან რომ ვბრუნდები გვიან. მაშინვე გადმოვდივარ მანქანიდან და ვესაუბრები. არადა, ვიცი, თავს ხიფათში ვიგდებ – ჯობია სახლში დავაწვე, ვიდრე ამ დარტყმულმა გამომიჭიროს სადმე და სული გამაფრთხობინოს. როცა ყვავს სხვა ჩიტების ჟღურტული ესმის, იცი, რას ფიქრობს? ფიქრობს, სულელები ხართო. მართალიც არის. ჩხავილი და მეტი არაფერი. ფრინველს, რომელიც ასე დააბიჯებს, გალობა ნაღდად არ მოუხდება. არა, მხოლოდ ჩხავილი ხმის ჩახლეჩამდე. მარტო ჩხავილი და საკვების აკენკვა, თუკი რამეს იპოვიან, მეტი რა უნდათ. თუკი მათსავით შეგიძლია ფრენა, გზებზე ათას ნაყარს იპოვი, სადაც მუცლის ამოვსება შეიძლება. ლეშს არც კი გაათრევენ გზიდან, ეგრევე ძიძგნიან, სანამ მოახლოებულ მანქანას არ შენიშნავენ, აი, მერე კი გაგიხარია – აფრინდებიან და უცდიან ავტომობილის ჩავლას, რომ ისევ საქმეს შეუდგნენ. შუა გზაზე ქეიფობენ რა. დამპალ ხორცს რა მოსდის ნეტავ? იქნებ მძორიჭამიებს ეს საკითხი არც აწუხებთ. ასეთი სამუშაო აქვთ ყვავებსა და სვავებს და რა ქნან? გზებსა და ტყეებში ყველაფერს შთანთქავენ, რასთან შეხებაც კი გვეზარება. ყვავი ამქვეყნად მშიერი არ მოკვდება. საკვების ნახვას რა უნდა. სადმე თუ ხორცი ლპება, ყვავი გვერდს როგორ აუვლის. სადმე სიკვდილია და ყვავიც იქვეა. მძორი იყოს და ყვავი კილომეტრიდან მოფრინდება. მომწონს კიდეც მათი საქციელი.

ენოტმა თუ ფეხები გაჭიმა, უნდა გადაისანსლოს, როგორც უნდა გამოიყურებოდეს. ჯერ დაიცდიან, რომ ტვირთმზიდმა გადაუაროს გვამს და ხერხემალი ჩაულეწოს, მერე დააფრინდებიან და ნისკარტებით ყველაფერს გამოსწოვენ და გამოსრუტავენ, რომ მშვენიერი შავი კარკასი ისევ ცად ააფრინონ. რა თქმა უნდა, ზოგჯერ უცნაურადაც იქცევიან. ხეზე რომ შემოსხდებიან ხოლმე და ბოლო ხმაზე გასჩხავიან – ეგრევე ვხვდები, რომ რაღაც ვერ არის რიგზე. თუმცა რა, ამას ვერასოდეს გავიგებ. რაღაც დიდი ბჭობა აქვთ ხოლმე გამართული. ისე, ვერც იმას დავიჩემებ, გინდა თუ არა, ესმით ყველაფერი ამ აურზაურში და რამეს ხვდებიან-მეთქი. იქნებ ჩვენსავით დომხალი მოსწონთ და მეტი არაფერი. მაგრამ არა, დარწმუნებული ვარ, მათ ერთ შეკრებას მილიონჯერ მეტი აზრი აქვს, ვიდრე აქ ჩვენს ათასგვარ ხლაფორთსა და ფაფხურს. იქნებ ვცდები კიდეც. რა ვიცი, შეიძლება ასე არც უნდა გავიგოთ მათი შეკრება და სულ სხვა აზრის მატარებელია ეს თავყრილობები? გენეტიკური მოთხოვნილებაც შეიძლება იყოს. საინტერესოა, როგორი იქნებოდა სამყარო, საჭესთან ჩვენ კი არა, ისინი რომ იყვნენ? ნუთუ ასეთივე სანაგვეთი? პრაქტიკულობა – აი, მათი მთავარი თვისება. ფრენის დროსაც, ჩხავილის დროსაც. შეფერილობაშიც კი. როგორი შავები არიან. სიშავის მეტი არაფერი აქვთ. არ ვიცი, ოდესღაც მართლა ვიყავი თუ არა ყვავი, მაგრამ მეჩვენება, რომ ახლა ვხდები. თვეებია ეს საკითხი მაფიქრებს – ხან მჯერა, ხან – არა. ისე, კაცმა რომ თქვას, რატომაც არა, თუკი არსებობენ ქალის სხეულში გამოკეტილი მამაკაცები და კაცის სხეულში გამომწყვდეული ქალები, მაშინ მე რატომღა ვერ ვიქნები ამ სხეულში მოქცეული ყვავი? ან ექიმი თუა სადმე, რომელიც რამეს მიშველიდა და ამ სხეულისგან გამათავისუფლებდა? არსებობს კი ისეთი ქირურგია, რომელიც ჩემს თავს დამიბრუნებს? ვის მივმართო? ვის შევჩივლო? რომელ ოხერ კარზე მივაკაკუნო? მითხარით და მივაბრახუნებ კიდეც, ოღონდ ამ ტიალი სხეულისგან გავთავისუფლდე და ჩემს თავს დავუბრუნდე.

ყვავი ვარ. ვიცი, რომ ყვავი ვარ. ვიცი!

* * *

სტუდკავშირის შენობასთან, ნორთ-ჰოლიდან ნახევარგზაზე,

ქოულმენმა ტელეფონ-ავტომატი შენიშნა. მოპირდაპირე მხარეს, კაფეტერიაში, «ელდერ-ჰოსთელის» მონაწილენი უკვე ლანჩს შესდგომოდნენ. ორსაგდულიანი მინის კარის მიღმა გრძელი მაგიდები შეამჩნია, რომლებსაც მხიარულად შემოსხდომოდნენ მოხუცი წყვილები.

ჯეფი შინ აღარ იყო – ლოს-ანჯელესში დილის ათი იქნებოდა უკვე; ქოულმენს ავტომოპასუხემ უპასუხა, ამიტომ სამისამართო წიგნი აიღო და მისი საუნივერსიტეტო კაბინეტის ნომრის ძებნას შეუდგა, თან ლოცულობდა, ნეტავ ჯეფი მეცადინეობაზე არ დამიხვდებოდეს გასულიო. რაც მამას უფროსი ვაჟისთვის ჰქონდა სათქმელი, დაუყოვნებლივ უნდა ეთქვა. ასეთივე მდგომარეობაში დაურეკა ვაჟს, როდესაც აირისი გარდაიცვალა. «მათ მოკლეს. მე დამიმიზნეს და მას მოახვედრეს». ყველას ამას ეუბნებოდა, და არა მხოლოდ პირველ ხანებში. ეს მისი დაცემის დასაწყისი იყო, მრისხანებამ ყველაფერი გაუნადგურა. მაგრამ ახლა დაცემას ბოლო მოეღო. მოეღო! აი, რა უნდა ეხარებინა ვაჟისთვის. და თავისი თავისთვისაც. წინა ცხოვრებიდან გამოდევნა დასრულდა. იმაზე ნაკლებად გრანდიოზულით დაკმაყოფილება, ვიდრე თვითიზოლაციაა თავისი დატვირთვითურთ. კრახის ხელახალი განცდა, თუმცა კი მწირი ღირსებით, მერე ყველაფრის ისევ ერთარსად შეკოწიწება, მომწამვლელი შფოთის დასრულება. თუ ურჩობაა საჭირო, ჩუმად მაინც იურჩოს. მშვიდად იცხოვროს. ღირსეული თვითდამღუპველობა, აი, საკაიფო ბილეთი, როგორც ფაუნია იტყოდა. ისეთი ცხოვრებით ცხოვრება, რომ ფილოქტეტეს[43] ცხოვრებას არ დაემსგავსოს. არ დაემსგავსოს ამ სვედავსილ პერსონაჟს. ამ გადაწყვეტილებით თითქოს ახალი არაფერი გაუკეთებია, რადგან უკვე ნაცადი იყო. სულ ასე ხდებოდა. სურვილი ყველაფერს გარდაქმნის. ესაა პასუხი ყოველგვარ დანაკარგსა და ნგრევაზე. მაგრამ სკანდალის გაგრძელება რაღა საჭიროა, პროტესტის უკვდავსაყოფად? ჩემი მარადიული სისულელე. ჩემი ყველგანმყოფი უგუნურება. განუკურნებელი სენტიმენტალობა. ჰმ, იდიოტი, სტინაზე მელანქოლიურ მოგონებებში გადავარდა. გამოქლიავებული – ნათან ცუკერმანთან ხუმრობით მოუნდა წაცეკვება. თან გულიც გადაუშალა. წარსულზე ესაუბრა. თავისი ჭკუით სატყუარა გადაუგდო, მწერლური ჟინი გაუღვივა. რომანისტის ამოუვსებელი მუცლის ამოვსება მოინდომა თავისი ამბებით.

ნებისმიერი კატასტროფა, რაც უნდა მოხდეს, დაწერასა და ყბადაღებას ექვემდებარება. მწერლისთვის კატასტროფა ხომ პურია არსობისა. მაგრამ მე რა მოვუხერხო ამ ამბავს, გავიჭედე და ეგ არის. არც ენა აქვს, არც ფორმა, არც სტრუქტურა და არც აზრი. ან დრამატული ერთობა სადაა, ან კათარზისი? დაუმუშავებელი წინდაუხედაობაა. ისე, ვის რად უნდა უნდოდეს? საკითხავია. მაგრამ ქალი, სახელად ფაუნია, ყველაზე დიდი წინდაუხედაობაა. ორგაზმის დროსაც წინდაუხედაობასთანაა წილნაყარი, ნორმებს ვერ იტანს საერთოდ. ხაზგასმული პრინციპები ყელში ეჩხირება. ერთადერთ პრინციპად სხეულებრივი კონტაქტი აქვს დასახული. მეტად არაფერი აღელვებს. ის კი მისი შხამიანობის ფესვია. ვალდებულება გაუჩნდა, რომ თავისი ცხოვრება მისი ცხოვრების ყველა ქარტეხილს დაუქვემდებაროს. მაწანწალობას. თავის დაძვრენებს. უცნაურობებს. ამ სტიქიური ეროსით ტკბობას. აიღე ფაუნიას ურო და თუკი რამ განვლილია და ყავლგასული, ყველაფერი დალეწე, რათა გზა გაიკაფო თავისუფლებისაკენ. მაგრამ რისგან თავისუფლება? საკუთარი სიმართლის იდიოტური სიამაყისგან. განდიდებისკენ სასაცილო მისწრაფებისგან. ლეგიტიმაციისათვის დაუსრულებელი ომისაგან. თავისუფლების შეტევა სამოცდაათი წლის ასაკში – წინანდელი ცხოვრებისათვის ზურგის შექცევა. «აშენბახის სიგიჟე» – ასე უწოდებენ ხოლმე ზოგჯერ. «და, აი, იგივე დღე, – გვაუწყებს უკანასკნელი ფრაზა რომანში «სიკვდილი ვენეციაში», – შეძრულმა და პატივდებულმა სამყარომ შეიტყო მისი გარდაცვალება». არა, არაფერში სჭირდება ტრაგიკული პერსონაჟის გზის განმეორება.

– ჯეფ! ეს მამიკოა. მამაშენია.

– გამარჯობა. როგორ ხარ?

– ჯეფ, ვიცი, რატომაც არ მეხმიანებით შენ და მაიკლი. მარკისგან მაინც არაფერს ველოდი. ლიზას რაც შეეხება, ბოლოს რომ დავურეკე, ყურმილი დაკიდა.

– ვიცი, მომიყვა.

– ჯეფ, ამ ქალთან ჩემი რომანი დასრულებულია.

– ჰო? როგორ მოხდა? და რატომ?

ისე მოხდა, რომ არასაიმედოაო, გაიფიქრა ქოულმენმა. იმიტომ, რომ კაცებმა ზედ გადაუარესო; იმიტომ, რომ შვილები კვამლში დაეგუდაო; იმიტომ, რომ დამლაგებელიაო; იმიტომ, რომ განათლება არა აქვს და ამბობს, კითხვა არ ვიციო; იმიტომ, რომ თოთხმეტი წლიდან იდევნებაო; იმიტომ, რომ არც კი მკითხა, რას მიშვრებითო, რადგან მშვენივრად იცის, რასაც კაცები უშვრებიანო; იმიტომ, რომ ათას სირზე გადამხტარია და არც არაფრის იმედი აქვსო.

მაგრამ შვილს მაინც ეს უთხრა:

– იმიტომ, რომ შვილების დაკარგვა არ მინდა.

ჯეფმა რბილად ჩაიცინა და უპასუხა:

– რაც უნდა ეცადო, ეს მაინც არ გამოგივა. ჩემზე ასიანს გეუბნები. მაიკლსა და ლიზასაც, მგონი, ვერასოდეს დაკარგავ. მარკი სხვა საქმეა. მას ისეთი რამე სჭირდება, რისი მიცემაც არც ერთ ჩვენგანს არ ძალუძს. მარკი ერთი სევდიანი ამბავია და მეტი არაფერი. მაგრამ თუ დაკარგვაზე მიდგა საქმე, ჩვენ უფრო გკარგავთ. ჯერ კიდევ იმ დროიდან, დედა რომ გარდაიცვალა და კოლეჯი დატოვე. ეს ყველამ განვიცადეთ. ადგილს ვეღარ ვპოულობდით. რაც კოლეჯს ომი გამოუცხადე, სათოფეზე ვეღარ გეკარებოდით.

– ჰო, უკვე ვაცნობიერებ, – უთხრა ქოულმენმა, – კარგად ვხვდები, – მართალია, ვაჟთან საუბარმა ორიოდ წუთამდე თუ გასტანა, მაგრამ უკვე აუტანელი შეიქნა. ზეკომპეტენტური ჯეფის გაკიცხვის მოსმენა, რომელიც დედმამიშვილებს შორის უფროსი და ცივსისხლიანი გახლდათ და სულ მარტივად შეეძლო ოჯახური პრობლემების შესახებ საკუთარი ხედვის წარმოდგენა, მით უმეტეს, რომ ეს პრობლემა თავად ქოულმენი იყო, იმაზე ნაკლებად რთული როდი იყო, ვიდრე ირაციონალური მარკის, ყველაზე უმცროსისა და იმავდროულად, დარეხვილის ზიზღი. ისე გამოვიდა, რომ ქოულმენი შვილებისგან გადამეტებულ თანაგრძნობას მოითხოვდა.

– ვხვდები-მეთქი, – გაუმეორა ქოულმენმა, მაგრამ ერჩივნა, სულ ვერაფერს მიმხვდარიყო.

– იმედია, იმ ქალს რამე საშინელება არ დამართნია, – უთხრა ჯეფმა.

– მას? არა. უბრალოდ, მეტისმეტი მომდიოდა და შევწყვიტე.

გაგრძელებისა შეეშინდა, რამე არ წამომცდესო.

– კარგია, – მიუგო ჯეფმა, – რასაც ჰქვია, გულზე მომეშვა. კიდევ კარგი, უშედეგოდ ჩაიარა ყველაფერმა. მართლა მიხარია.

– უშედეგოდ? რას გულისხმობ? – ჰკითხა ქოულმენმა.

– თავისუფალი კაცი ხარ, ხომ? ისევ ძველ ქოულმენად იქეცი, არა? ხმით თუ ვიმსჯელებთ, ისევ შენს თავს ჰგავხარ, არადა, ბოლო წლებში სხვანაირი იყავი. თვითონ დამირეკე, აი, ესაა მნიშვნელოვანი. გელოდი, იმედს არ ვკარგავდი და აი, ზარის ხმაც გაისმა. რა გითხრა მეტი, ისევ ჩვენთან ხარ. ჩვენ ამის მეტი კი არაფერი გვადარდებდა.

– რაღაც არ მესმის, ჯეფ. გამარკვიე ერთი, რას გულისხმობ შედეგებში?

ჯეფმა უხალისოდ უპასუხა მცირე პაუზის შემდეგ:

– აბორტს. თვითმკვლელობის მცდელობას.

– ფაუნიაზე ამბობ?

– კი.

– აბორტი გაიკეთა? თავის მოკვლა სცადა? კი მაგრამ, როდის?

– მამა, ათინაში ეს ყველამ კარგად იცის, აბა, ჩვენ საიდან გავიგეთ?

– ყველამ? ვინ ყველამ?

– მამა, რაკი შედეგი არ მოჰყოლია...

– შედეგი რას მოჰყვებოდა, როცა არაფერი ყოფილა? არც აბორტი და არც თვითმკვლელობის მცდელობა, რამდენადაც მე ვიცი და რამდენადაც მან იცის, არ ყოფილა. მაინც ვინ იგულისხმე ყველაში? ამის დედა ვატირე, ამისთანა ჭორებმა თუ მოაღწია შენამდე, ერთი როგორ არ გადმომირეკე ან როგორ არ ჩამოხვედი?

– შენი ასაკის ადამიანთან რა ჩამომიყვანდა, რა მესაქმება...

– რა გესაქმება? გასაგებია. შენ მხოლოდ ის გესაქმება, რომ ჩემი ხნის კაცზე ვინც აუგად მოაბრუნებს ენას, ყველაფერი

დაიჯერო.

– ჰო, ეს მართლაც ჩემი შეცდომაა, ვნანობ. მართალი ხარ, რა თქმა უნდა. მაგრამ ჩვენც გაგვიგე, ძალიან დაგვშორდი. ხომ გაგიგია, როგორც თვალი შორს, ისე გული შორსო.

– მითხარი, ვინ გითხრა?

– ლიზამ. პირველად მან გაიგო.

– ვისგან?

– წყარო რამდენიმეა. ნაცნობებისგან.

– გვარები მჭირდება. მაინტერესებს, ყველაში ვის გულისხმობთ? ვინ არიან ის ნაცნობები?

– ძველი ნაცნობები ჰყავს «ათინაში», დაქალები.

– აჰა, დობილები, არა? ჩემი კოლეგების მონაგარი, ალბათ... მათ ვინღა უთხრა ნეტავ?

– ესე იგი, თვითმკვლელობა არ უცდია?

– არა, ჯეფრი, არც უფიქრია. რამდენადაც მე ვიცი, არც აბორტამდე მისულა საქმე.

– აჰა. მშვენიერია.

– და რომ ყოფილიყო? ანუ ორსულად რომ დარჩენილიყო ჩემგან, აბორტიც გაეკეთებინა და მერე თავის მოკვლა ეცადა, მაგით რა? ვთქვათ, მცდელობა გამოსვლოდა კიდეც, მერე რა, ჯეფ? მამაშენის საყვარელს რომ თავი მოეკლა, მერე რას იტყოდი? ამიმხედრდებოდი? ბოროტმოქმედ მამას აუმხედრდებოდი? მოიცა ერთი, მოდი, ცოტა უკან დავბრუნდეთ – თვითმკვლელობის მცდელობას დავუბრუნდეთ. სიტყვები არ მყოფნის! გადასარევია! ნეტავი გამაგებინა, ეს მცდელობის ამბავი ვინღა მოიგონა? აბორტის გამო ცხოვრებაზე ხელი ჩაიქნიაო, არა? იმის გაგებას ვცდილობ, ლიზას აქაურმა დაქალებმა ამისთანა რა მელოდრამა მოუჩმახეს? ააა, აბორტი არ უნდოდაო, ხომ? ძალით გააკეთებინაო, არა? გასაგებია. რა სისასტიკეა! ორშვილმკვდარი ქალი საყვარლისგან დაფეხმძიმდა. აღტაცება. ახალი შანსი. ახალი ცხოვრება. ახალი ბავშვი დაკარგულების გამო სანუგეშოდ. მაგრამ აქ სასტიკი საყვარელი უცხადებს, არა,

ამაზე ფიქრიც არ მინდაო, თმაში სწვდება ქალს და სამშობიაროში მიათრევს ხომ? მერე კი სისხლმდინარე, შიშველი სხეული უკავია...

ამასობაში ჯეფს უკვე დადებული ჰქონდა ყურმილი.

* * *

თუმცა ქოულმენს უკვე აღარც სჭირდებოდა ჯეფი. ისიც საკმარისი იყო, კაფეტერიაში ასაკიანი წყვილები რომ დაინახა ყავის სმაში. ყური მოჰკრა, როგორ საუბრობდნენ კლასებში დაბრუნებამდე, იგრძნო, როგორი კმაყოფილი ხმებით ლაპარაკობდნენ. შესაფერი სიბერე ჟღერადობითაც და თვალსაჩინოდაც ისეთია, როგორიც უნდა იყოს კიდეც. ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა ქოულმენი, რომ იმ საქმეებმაც კი არაფერი მისცა, რაც თავის დროზე სათანადო ნორმების ფარგლებში ჰქონდა გაკეთებული. პროფესორობით, დეკანობით, რთულად ასატანი ცოლის ატანით, ოთხი გონებაგაახსნილი შვილის ქვეყნად მოვლინებით, მაინც ვერ ეღირსა იმას, რაც სურდა. თუ სხვის შვილებს შესწევთ მამის გაგების უნარი, რაღა მის შვილებს არ ესმით მამის? რამდენს ამეცადინებდა სკოლამდელ ასაკში, რამდენ წიგნს უკითხავდა. რამდენ საბავშვო ენციკლოპედიას ყიდულობდა! საკონტროლოებისთვის ამზადებდა. მაგიდასთან საუბრებს მართავდა. რამდენჯერ უსაუბრიათ მას და აირისს ყოფიერებაზე. ენობრივი კლიშეების კრიტიკული გარჩევები და სხვა მრავალი... და ამ ყოველივეს შემდეგ ასეთი გონება ჩამოუყალიბდათ? თან ამხელა მომზადების, ამდენი წიგნის, ამდენი სიტყვის, ჩასაბარებელ ტესტებში ამდენი უმაღლესი შეფასების შემდეგ? წარმოუდგენელია. მათდამი ასეთი სერიოზული დამოკიდებულების შემდეგ. ნებისმიერ სისულელეზე უფროსების სერიოზული პასუხის შემდეგ. გონების, თანაგრძნობისა და წარმოსახვის განსავითარებლად მიქცეული ამხელა ყურადღების მერე. მერე სკეპტიციზმს აღარ იტყვით მთელ ამდენ ცოდნაში? თავად იფიქრე, მალემრწმენი ნუ იქნებით-მეთქი, აკი ვუნერგავდი. და ამის შემდეგ, პირველივე ყურით მოთრეული ჭორი ირწმუნეს? ამხელა ძალისხმევა დამჭირდა სწავლის მიცემაზე და ყველაფერი ფუჭად? აზროვნების უმდაბლესი დონე! საკუთარ თავს არც

ჰკითხეს, იზამდა კი ამას მამაჩვენიო? განაჩენი დაუფიქრებლად გამოიტანეს. მთელი ბავშვობა ტელევიზორის ყურებას ვუკრძალავდით და აჰა, საპნის ოპერის მენტალიტეტი მთელი თავისი სიცხადით. ხელში მხოლოდ ბერძნებს ან მათივე დონის მწერლებს ვაჩეჩებდით, მათ კი ვიქტორიანული ეპოქის საპნის ოპერად გადაიქცეს ცხოვრება. პასუხგაუცემელი კითხვა არ დამიტოვებია მათთვის. თავი არაფრისთვის ამირიდებია. მეკითხებოდი, ბებია და პაპა ვინ იყვნენო? მშვენიერია, გიპასუხებდი: ისინი ჯერ კიდევ ჩემს სიყმაწვილეში გარდაიცვალნენ, პაპა – სკოლას რომ ვამთავრებდი, ბებია – ფლოტში რომ ვმსახურობდი. შინ რომ დავბრუნდი, სახლის პატრონს ყველაფერი ქუჩაში ჰქონდა უკვე გადაყრილი. აღარაფერი დამხვდა. უსირცხვილოდ მომახალა, ბინის ქირა მჭირდება, საქველმოქმედო ფონდი კი არა მაქვს გახსნილიო. თავი ძლივს შევიკავე, რომ იქვე არ მივაძაღლე ის ნაბიჭვარი. ფოტოალბომები, წერილები. ჩემი ბავშვობის, მათი ახალგაზრდობის ყველა სამახსოვრო ნივთი გაქრა, განადგურდა. სულ ცარიელზე დავრჩი. მეკითხები, «სად დაიბადნენ? სად ცხოვრობდნენო?», გიპასუხებ: დაიბადნენ ნიუ-ჯერსიში. თავიანთ ოჯახებში ამერიკაში დაბადებულ პირველ თაობას წარმოადგენდნენ. პაპა ბარის მფლობელი იყო. რამდენადაც მე ვიცი, მისი მამაც, ანუ შენი დიდი ბაბუა, ამავე საქმით იყო დაკავებული რუსეთში. რუსებს სპირტიანი სასმელებით ჭყეპდა. «ბიძები და დეიდები არ გვყოლია?» მამაჩემს უფროსი ძმა ჰყავდა – თავის დროზე კალიფორნიაში გაემგზავრა, მაშინ მთლად ბავშვი ვიყავი, დედა კი ჩემსავით დედისერთა იყო. ჩემ მერე შვილების გაჩენა ვეღარ შეძლო – არ ვიცი, რატომ. მამაჩემის უფროსი ძმა ზილბერცვაიგად დარჩა – გვარი არ გამოუცვლია, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია. ჯექ ზილბერცვაიგი. ის ევროპაში იყო დაბადებული და გვარიც დაიტოვა. ფლოტში რომ მოვხვდი, სან-ფრანცისკოში გაცურვამდე, კალიფორნიის სატელეფონო წიგნები ლამის გადავღეჭე, მაგრამ ვერსად მივაგენი. მამაჩემთან ცუდი დამოკიდებულება ჰქონდა, მამას უვარგისად და ზარმაცად მიაჩნდა, სურვილიც არ ჰქონდა მასთან ურთიერთობისა, ამიტომაც იყო, ალბათ, რომ ზუსტად არ ვიცოდით, რომელ ქალაქში ცხოვრობდა ბიძაჩემი ჯექი. ყველა სატელეფონო ცნობარი გადავქექე, მინდოდა, მეცნობებინა, ძმა გარდაგეცვალა-მეთქი. ნახვაც მინდოდა მისი. მამის მხრიდან ერთადერთი ცოცხალი ნათესავიღა იყო. დიდი რამე ახლა, თუ

ზარმაცი იყო. მინდოდა, მისი შვილები, ანუ ჩემი ბიძაშვილები, გამეცნო, ცხადია, თუ ჰყავდა საერთოდ ვინმე. ვეძებდი ზილბერცვაიგზე, სილქზე, ზილბერზე. იქნებ კალიფორნიაში ზილბერად იყო დაწერილი, ვინ იცის... მაშინაც ისევე არ ვიცოდი, როგორც ახლა არ ვიცი. წარმოდგენაც არა მაქვს. მერე ძებნა შევწყვიტე. ხალხი ამისთანა ნათესაობას მაშინ ეძებს, როცა საკუთარი ოჯახი არ გააჩნია. მერე თქვენ მეყოლეთ და ბიძაჩემი და მისი ოჯახი უკვე ნაკლებადღა მადარდებდა... – ყველა ბავშვი ამ ისტორიას ისმენდა. მაგრამ მხოლოდ მარკს არ აწყობდა ასეთი გენეალოგია. უფროსებმა ჩაძიება არ იცოდნენ, ტყუპი კი, ჩაციებას ვინღა ჩივის, ისე იწყებდა ჩაკირკიტებას, რომ ქოულმენი ჭკუიდან გადაჰყავდათ: «ჩვენს წინაპრებს თუ ჰყოლიათ ტყუპი?» როგორც მე მახსოვს-მეთქი, ვეუბნებოდი, ვითომ ბავშვობაში განაგონს, ჩემს ერთ-ერთ დიდ ბაბუას თუ საერთოდაც პაპის პაპას ტყუპი ჰყოლია. ქოულმენისგან აირისიც ამავე ისტორიით იკვებებოდა. სწორედ მისთვის იყო ეს ამბავი შეთხზული. ქოულმენს ეს ყველაფერი ჯერ კიდევ სალივან-სთრითზე ჰქონდა მისთვის მოყოლილი. პირველადი ხაზიდან მას არასდროს გადაუხვევია. დაუკმაყოფილებელი მხოლოდ მარკი დარჩა. «ჩვენი დიდი ბებიები და პაპები სადღა ცხოვრობდნენ?» რუსეთში. «რომელ ქალაქში?» მშობლებისთვის კი მაქვს ეს კითხვა დასმული, მაგრამ დაზუსტებით არც მათ იცოდნენ; ხან ერთ ადგილს ასახელებდნენ, ხან მეორეს. ებრაელებს მთელი თაობა ჰყავდათ ასე აღზრდილი-მეთქი. მოხუცებს წარსულზე საუბარი არ უყვარდათ, ამერიკაში დაბადებული ბავშვები კი დიდ ცნობისწადილს არ იჩენდნენ, რადგან მათთვის უმთავრესი ამერიკელობა იყო. ასე რომ, ჩემს ოჯახშიც, ისევე როგორც სხვა ბევრში, ებრაელთა გეოგრაფიული ამნეზია სუფევდა-მეთქი. ჩემს ყველა კითხვაზე, – უხსნიდა ქოულმენი, – ისინი ერთი სიტყვით მპასუხობდნენ და ეს სიტყვა იყო «რუსეთი». მაგრამ მარკს ამ პასუხით ვერ დაიყაბულებდი. «რუსეთი უზარმაზარი ქვეყანაა, კერძოდ, სად ცხოვრობდნენ?» რა უნდა ექნა? სულ «რატომ?», «რატომ?»-ს გაიძახოდა. მარკს დაზუსტებით უნდოდა, სცოდნოდა, ვინ იყვნენ მისი წინაპრები და სად ცხოვრობდნენ, – იმის მიღება სურდა ქოულმენისგან, რასაც ეს უკანასკნელი ვერ მისცემდა. ვითომ ამის გამო გახდა ორთოდოქსი ებრაელი? ბიბლიურ სიუჟეტზე დაფუძნებულ პოემებსაც ამიტომ თხზავს? ამიტომ ეჯავრება ასე მამამისი? წარმოუდგენელია. გიტელმანების მხრიდან ხომ ბებიაც ჰყავდა

და პაპაც. დეიდებიც და ბიძებიც. ბიძაშვილი გიტელმანებიც ხომ მთელ ნიუ-ჯერსიში არიან დასახლებულნი? განა ეს ცოტა იყო? მაინცდამაინც ეს სილქები და ზილბერცვაიგები რას ჩაიხვია! წყენისათვის სულელურზე სულელური მიზეზი. გაუგონარი! როგორც უნდა ყოფილიყო, ქოულმენს ზოგჯერ შავბნელი ეჭვები აღეძვრებოდა ხოლმე, მარკის ამხელა სიძულვილი ჩემს საიდუმლოსთან ხომ არ არის დაკავშირებულიო. მას მერე, რაც მარკი აუჯანყდა, პერიოდულად უბრუნდებოდა ხოლმე ეს ეჭვები, ახლა კი, როდესაც ჯეფმაც კი ისე დაუკიდა ყურმილი, რომ ბოლომდე არ მოუსმინა, ყველაზე მტკივნეულად შეუჩნდა და გაუწამა სული ამ გრძნობამ. რაკი მისი გენების მატარებელმა შვილებმაც კი, რაც შთამომავლობას უნდა გადასცენ, ასე იოლად შეიტანეს ფაუნიასადმი მის სასტიკ მოქცევაში ეჭვი, მაშინ სადღა უნდა ეძიოს სამართალი? წინაპრების შესახებ რომ დაუმალა სიმართლე, მაგის ბრალი ხომ არ არის? მშობლის ეს მოვალეობა რომ არ შეასრულა პირნათლად და სიმართლე დამალა? სისულელეა. განა ასე უნდა მიზღვოდა? ასე უნდა მიგებოდა? წარმოუდგენელი იყო. მაგრამ ვაჟთან საუბრის შემდეგ, კამპუსიდან გამოსულს, თვალზე ცრემლი მოადგა და სახლამდე მთელი გზა ვერ მოიცილა ეს გრძნობა.

გზად ქოულმენს ის მომენტიც გაახსენდა, როდესაც კინაღამ გამოუტყდა ცოლს. ეს ტყუპის შეძენის შემდეგ მოხდა. ოჯახი ხომ უკვე ჩამოყალიბებული იყო. ყველაფერი რიგზე იყო – ტყუპმა არ გასცა. საიდუმლოს მცირე კვალიც კი არ ემჩნეოდა ტყუპს, თითქოს საიდუმლოც აღარ არსებობდა. გახარებულს ცოლისთვის გულის გადაშლის სურვილი დაებადა. მართლაც უდიდესი სიურპრიზი იქნებოდა ეს ცოლისთვის: თავისი ოთხი შვილის დედას უამბობდა, ვინ იყო თვითონ სინამდვილეში. ტყუპის დაბადებამ ისეთი სიმსუბუქე აგრძნობინა, ისე მყარად დაიგულა თავი ამ ქვეყანაზე, რომ სიმართლის გამხელაც აღარ ეჩვენებოდა წინანდებურად საშინლად. ჯეფსა და მაიკლს ხელი დაავლო, სამშობიაროში წაიყვანა პატარა და-ძმის სანახავად და ყველაზე დიდი საფრთხე გადავლილად ეჩვენა.

თუმცა აირისს ეს სიურპრიზი მაინც არ გაუკეთა. ქოულმენისთვის ან გადამრჩენი აღმოჩნდა, ან დამღუპველი ის უბედურება, რომელიც აირისის კოლეგასა და დაქალს, სამხატვრო ასოციაციის წევრს, სასიამოვნო გარეგნობის რაფინირებულ ქალს, მოყვარულ აკვარელისტ კლაუდია

მაქჩესნის დაატყდა თავს. მის ქმარს, ყველა ადგილობრივი მსხვილი სამშენებლო ფირმის მფლობელს, როგორც გამოირკვა, გამაოგნებელი საიდუმლო – მეორე ოჯახი ჰქონია. თურმე ბატონ ჰარვი მაქჩესნის რვა წლის განმავლობაში კლაუდიაზე ახალგაზრდა ქალთან – ტაკონიკთან ახლომდებარე ავეჯის ფაბრიკის ბუღალტერთან – ჰქონია ურთიერთობა, რომელსაც მისთვის ორი შვილი გაუჩენია – უკვე ექვსი და ოთხი წლისა ყოფილან. ისინი ნიუ-იორკის შტატის დაბაში ცხოვრობდნენ, მასაჩუსეტსის საზღვართან, ჰარვი კი მათთან ყოველკვირა ჩადიოდა და მატერიალურად უმართავდა ხელს, მეტიც, ოჯახს ინახავდა. აი, მის პირველ ოჯახში კი იქამდე ვერავინ ვერაფერს ხვდებოდა, სანამ რომელიღაც, სავარაუდოდ, მისმა კონკურენტმა ანონიმურად არ დარეკა. ამ ზარმა კლაუდიასა და მის სამ მოზარდ შვილს, როგორც იტყვიან, თვალები აუხილა იმაზე, თუ რას აკეთებდა ოჯახის მამა-მარჩენალი მოცალეობისას. სასოწარკვეთილმა კლაუდიამ იმავე საღამოს გადაიჭრა ვენები, ხოლო აირისმა ღამის სამ საათზე ნაცნობი ფსიქიატრის დახმარებით სამაშველო ოპერაცია ჩაატარა და კლაუდია სთოქბრიჯის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსებინა ოსთინ-რიგსში. ისევ და ისევ აირისი იყო ის, რომელიც ახალშობილ ტყუპსაც თავს დასტრიალებდა, ორ უფროს შვილსაც მწყემსავდა და ფსიქიატრიულში მოთავსებულ დაქალსაც ყოველდღიურად ნახულობდა, ამხნევებდა, ქოთნის ყვავილები და ხელოვნებაზე დაწერილი წიგნებიც მიჰქონდა, რომ კლაუდიას საზრუნავი გასჩენოდა, სანამ ხუთიოდ კვირაში ცალკერძ საავადმყოფოს წყალობით და ცალკერძ აირისის ძალისხმევით, კლაუდია ფეხზე არ წამოდგა, რომ ოჯახში დაბრუნებულიყო და ამისთანა რამის ჩამდენ ქმართან განქორწინების საქმე წამოეწყო. აირისმა რამდენიმე დღეში ადვოკატიც გამოუნახა, რომელიც განქორწინების საქმეებზე მუშაობდა. მას კანტორა ფითსფილდში ჰქონდა. ჰოდა, ჩვენმა დაუდგრომელმა აირისმა მოჰკიდა შვილებს ხელი, ძუძუმწოვარ ტყუპს უკანა სავარძელზე მიუჩინა ადგილი, ჩაისვა დაქალი საკმაოდ ფართო ავტომობილში და იმ ადვოკატთან გააქანა, რათა ადრე და მალე დაეწყოთ ჰარვი მაქჩესნისგან გათავისუფლების პროცედურა. უკანა გზაზე კი დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა დაქალისთვის თავდაჯერებულობა შეემატებინა, – სიმართლე ითქვას და, შთაგონების საქმე აირისს არ ეშლებოდა, – ოღონდ კი კლაუდიას უკან არ დაეხია ამ ბინძური არამზადისთვის

ზურგის შექცევისას გარე ფაქტორებისა და პრობლემების გამო.

– ამისთანა მზაკვრობა ჩაიდინო, – უთხრა აირისმა ქოულმენს, – მაინცდამაინც საყვარლის მომენტს არ ვგულისხმობ. ესეც საშინელებაა, მაგრამ ხდება ხოლმე; არც იმ ბავშვებზე ვამბობ, რაოდენ მტკივნეულიც უნდა ყოფილიყო კლაუდიასთვის მათი ამბის გაგება. საიდუმლო – აი, რამ მოუღო ბოლო, რამ გააცოფა. ამიტომ აიღო ქალმა სიცოცხლეზე ხელი. სულ თვალცრემლიანი იმეორებს, ამხელა საიდუმლოს ფონზე ჩვენს ოჯახს ოჯახი ერქვაო? ხომ შეეძლო ვაჟბატონს საიდუმლოს გამხელა, მაგრამ შენც არ მომიკვდე, რომ არა ის ანონიმური სატელეფონო ზარი, კრინტსაც არ დაძრავდა. აი, ამან მოცელა კლაუდია, ამის გამოა, რომ სიცოცხლე აღარ უნდა. მეუბნება ხოლმე, ეს გვამის აღმოჩენას ჰგავსო; თითქოს სამი გვამი იპოვეს ჩვენს იატაკქვეშო.

– ჰო, – უპასუხა ქოულმენმა, – აქ რაღაც ბერძნული სიუჟეტივით ყოფილა, «ბაკქელი ქალების»[44] მსგავსი.

– უარესი, – მიუგო აირისმა, – რადგან ეს ბერძნული «ბაკქელი ქალები» კი არა, ჩვენი კლაუდიას ცხოვრებაა.

როდესაც ერთწლიანი ამბულატორიული მკურნალობის გავლის შემდეგ კლაუდია ქმარს შეურიგდა და ეს უკანასკნელიც მათ ათინას სახლში დაბრუნდა, ცოლს ერთგულებას, ხოლო უკანონო შვილებს ღირსეული მამობის გაწევასა და დახმარებას დაჰპირდა, კლაუდიას აირისზე მეტი სურვილი აღარ გამოუვლენია მეგობრობისა; ხოლო მას მერე, რაც კლაუდია სამხატვრო ასოციაციიდან წავიდა, ქალები ერთმანეთს შეკრებებზეც კი ვეღარ ნახულობდნენ ხოლმე, სადაც აირისი ღერძის როლს ასრულებდა.

ქოულმენმაც, მართალია, ტყუპის შეძენის შემდეგ საზეიმო განწყობილება ჰქონდა დაუფლებული, აირისისთვის სიმართლის თქმა გადაიფიქრა. ფიქრობდა, ცხოვრებაში ყველაზე სენტიმენტალურ-ბავშვური საქციელის ჩადენას გადავრჩიო. არადა, გარემოს სულ სხვა თვალით დაუწყო ყურება, სულელივით; უცებ ყველასა და ყველაფერში კარგის შემჩნევას შეუდგა, უცებ უნდობლობა და საფრთხე მიივიწყა, მათ შორის საკუთარი თავის მიმართაც, იფიქრა, ყველა სიძნელე უკან მოვიტოვეო, უცებ ის გადაწყვეტილებაც კი მიავიწყდა და ამ გადაწყვეტილების შესრულების ფორმაც;

უცებ საკუთარი ყოფის, დისციპლინის, ნებისმიერი სიტუაციის ფხიზლად შეფასების შეცვლა მოუნდა... თითქოს იმ ბრძოლაზე შეიძლებოდეს ხელის აღება, რომელსაც ადამიანის სული აწარმოებს, თითქოს საკუთარი სურვილითა და უსურვილობით შეიძლებოდეს საკუთარი თავის შეცვლა, საკუთარ განუმეორებელ და უცვლელ მე-ზე უარის თქმა, რომლის გამოც არის სწორედ ეს ბრძოლა. იმ ფაქტმა, რომ მისი ტყუპი ლამის იდეალურად თეთრკანიანი გაჩნდა, ლამის იმაზე ააღებინა ხელი, რაც კი ყველაზე ძლიერი და ჭკვიანური ჰქონდა. მაშ, რამ უშველა? ბრძნულმა წესმა: «არაფერი გააკეთო!»

თუმცა, სიყრმისშვილის დაბადების შემდეგაც რაღაც ამისი მსგავსი სისულელის ჩადენას ბეწვზე გადაურჩა. ადელფის კოლეჯში ანტიკური სიტყვიერების მასწავლებლად მუშაობდა მაშინ და პენსილვანიის უნივერსიტეტში «ილიადას» თემაზე გამართულ სამდღიან კონფერენციაზე იყო ჩასული. მოხსენება გააკეთა და სასარგებლო ნაცნობობაც დაამყარა, ერთ-ერთმა ცნობილმა სპეციალისტმა კი რჩევა მისცა, პრინსტონში ვაკანსია გამოჩნდა და იქნებ განცხადება შეგეტანაო. შინისაკენ მომავალი თავს იმხელა ცხოვრებისეულ მწვერვალზე გრძნობდა, რომ ლონგ-აილენდში ნიუ-ჯერსის გზატკეცილით საკუთარ სახლში წასვლის მაგივრად, ლამის სამხრეთით გადაუხვია და სეილემისა და ქემბერლენდის გზებით კინაღამ გულდთაუნისკენ აიღო გეზი, სადაც მშობლებს ბავშვობისას დაჰყავდათ ხოლმე ტრადიციულ საჯალაბო შეკრებებზე. იმხანად ახალგაზრდა მამა იყო და იმ მსუბუქ სიამოვნებას წაეპოტინა, რომელსაც ხალხი მაშინ ეპოტინება, როდესაც აზროვნებას წყვეტს და სიცოცხლით ვხარობთო, მხოლოდ ამას ფიქრობს. მაგრამ ვაჟის დაბადება არ ყოფილა გულდთაუნის მონახულების ერთადერთი მიზეზი, რადგან ოდნავ მოგვიანებით ნიუ-ჯერსის ჩრდილოეთით გასწია, სადაც ნიუარკისკენ უხვევს გზა და ისთ-ორინჯშიც ამავე მიმართულებით მოხვდებით, რადგან დედის მონახულების სურვილი გაუჩნდა. თუმცა ამ სურვილის მოთოკვამაც მოუწია. არადა, როგორ უნდოდა, დედისთვის ეხარებინა, შვილიშვილი შეგეძინაო და ბავშვიც კი ენახვებინა. უკვე ორი წელიწადი გასულიყო, რაც დედამისს ასე სასტიკად მოექცა, უოლთერმა კი დედასთან სათოფეზე გაკარებაც კი აუკრძალა. არა, სრულიად გამორიცხული იყო. ასე რომ, არსადაც არ გადაუხვევია, ისე გასწია შინისაკენ, სადაც თეთრი ცოლი და თეთრი ბავშვი

ელოდნენ.

* * *

ახლა, როდესაც უკვე ოთხ ათწლეულზე მეტი იყო გასული, ურთიერთბრალდებებით ალყაშემორტყმული კოლეჯიდან ბრუნდებოდა სახლში და თავისი ცხოვრების არა მხოლოდ საუკეთესო მომენტებს – ბავშვების დაბადებას, სიხარულს, აღფრთოვანებას, თავის სიმტკიცეში ოდესღაც შეპარულ სისუსტეს, თან იმხელას, რომ ერთხელ კინაღამ ბოლო მოუღო ამ სიმტკიცეს, – იხსენებდა, არამედ ყველაზე საძაგელი და უარესი ღამეც ამოუტივტივდა, რომელიც ფლოტში ყოფნისას დაუღამდა. იმ ღამეს თეთრკანიანთა ცნობილი საროსკიპოდან – «ორისთან» – გამოაპანღურეს. «აი, შე შავტრაკა შენა, ზანგის ბიჭი არ შემრჩა ხელში», – ამის თქმა იყო და ორმა კუნთმაგარმა, მაგრამ ჭკუათხელმა ტიპმა დასტაცა ხელი და გაღებულ კარში გაუძახა, თან ისე, რომ საფეხურებსა და ტროტუარს გადააფრინდა და პირდაპირ ქვაფენილზე მოადინა ზღართანი. ქოულმენმა შუბლი დაარტყა და დარეტიანდა. «ლულუს მიაკითხე უორიქ-ავენიუზე; შენნაირი შავკანიანი საქონლის ადგილიც იქ არის!» – მიაძახეს მათ. გაჭირვებით წამოდგა და მოკურცხლა. მანამ ირბინა, სანამ ქუჩებს შორის გასაძრომს არ მიაგნო. სანაპირო პატრულის შიშით ვიწრო ხეივანს შეაფარა თავი, რადგან შაბათობით უკუნეთ სიბნელეში აკონტროლებდნენ ხოლმე ქალაქის უბნებს. ბოლოს ერთ-ერთი ბარის ტუალეტში აღმოჩნდა. ბარი შავკანიანთათვის იყო განკუთვნილი – მხოლოდ იქ თუ შევიდოდა ასეთი სახით – და «ორისიდან» ათი უბნით იყო დაშორებული, სამაგიეროდ ჰემფთონ-როუდზი და ბორანი, რომელსაც მატროსები ლულუსთან გადაჰყავდა ხოლმე, ასიოდე ნაბიჯში იყო. შავკანიანთა ბარში ბავშვობის მერე აღარ შეედგა ფეხი. უკანასკნელად მაშინ იყო, როდესაც მეგობართან ერთად «ბილის საღამოს კლუბში» საფეხბურთო ტოტალიზატორში მონაწილეობდა. სკოლის ბოლო ორ კლასში სწავლის პარალელურად არა მარტო კრივს მისდევდა, არამედ საღამოს კლუბების რეგულარული სტუმარიც გახლდათ, სადაც ის ცოდნა შეიძინა, რომლის შესახებაც ამბობდა, ებრაელი მამაჩემის ტავერნაში მაქვს ნასწავლიო.

უკვე მკაფიოდ იხსენებდა, როგორ ცდილობდა სახიდან წამოსული სისხლის შეჩერებას, რომელსაც მეზღვაურის თეთრი მაისურით ვერა და ვერ აჩერებდა. განავლით ამოვსებულ უნიტაზს დასაჯდომი არ ჰქონდა, ხის იატაკზე მოშარდული იყო, პირსაბანს კი, თუკი შეიძლებოდა, პირსაბანად წოდებულიყო, ფურთხითა და ამონახველით გაზუნტლული გობი უფრო ეთქმოდა; მაჯის ტკივილმა გული აურია, ღებინება რომ დაეწყო, სიბინძურის გამო დაბლაც კი ვერ დაიხარა, არამედ პირდაპირ იმ კედელს უმღერა ჩანჩქერო, რომელთანაც იდგა.

ყველაზე ბანძი დაწესებულება თუ სადმე იყო, ალბათ, ამას ვერც შეედრებოდა, მაგრამ რა ექნა, ისევ აქ უნდა დარჩენილიყო; მოლაყბე, შემთვრალ ნაძირალებს მაქსიმალურად გაერიდა და ერთ კუთხეში დაჯდა, რომ დამალვა მოეხერხებინა. გულგახეთქილი ნელ-ნელა წრუპავდა ლუდს და თან ცდილობდა, ტკივილი არ გამოხატოდა, რათა არავის შეემჩნია ასე აბუზულად მჯდარი. სხვათა შორის, ზედაც არავის შეუხედავს რამდენიმე თავისუფალი მაგიდის უკან, კუთხეში მიყუჟულისთვის. როგორც თეთრკანიანთა ბორდელში, აქაც ყველამ იმად მიიჩნია, ვინც იყო კიდეც სინამდვილეში.

ერთ კათხას რომ გააგდებინა ძირი, მეორე მოითხოვა – მშვენივრად ესმოდა, რომ შეუფერებელ ადგილას იყო, მაგრამ ის უფრო კარგად ესმოდა, რომ თუკი სანაპირო პატრულის ხელში მოხვდებოდა, ყველა გაიგებდა, რატომ გამოაძევეს «ორისიდან». შედეგად კი, ტრიბუნალი, მსჯავრი, იძულებითი სამუშაო ხანგრძლივი ვადით, მერე ფლოტის დატოვება ყოველგვარი უფლებისა და პრივილეგიის გარეშე – და ეს ყველაფერი იმის გამო, რომ ჩარიცხვისას თავისი რასა არ გაამხილა და ახლა კი ისეთ ადგილას შეყო ცხვირი, სადაც ზანგებს მხოლოდ თეთრეულის რეცხვისა და იატაკების ხეხვის უფლება ეძლეოდათ.

მორჩა და გათავდა. ხომ მოიხადა თეთრკანიანის სახელით სამხედრო სამსახური? არადა, ფიქრობდა, თავს ვერ გავართმევო. სადღაც სურვილსაც კი აღარ გრძნობდა. აქამდე არ იცოდა, რა იყო ნამდვილი დამცირება. არც ის იცოდა, რას ნიშნავდა პოლიციისგან დამალვა. ამ დღემდე ისე არავის გაელახა, რომ სისხლი ედინათ, – სამოყვარულო კრივის დროს

ხომ თმის ღერიც არ ჩამოვარდნია არასდროს – ახლა კი ესეც იწვნია. მისი მატროსულა ისე იყო სისხლით გაჟღენთილი, როგორც მძიმედ დაჭრილისთვის გადახვეული ბანდი, შარვალზე კი ალაგ-ალაგ უკვე შემხმარი სისხლი ემჩნეოდა, გარდა ამისა, მუხლებზე გადახეოდა, რადგან დაცემისას ტროტუარისპირა არხში ჩავარდა. ხელი, რომელიც დაცემისას დაიშავა, მაჯაში სტკიოდა, იქნებ მოტეხილიც ჰქონდა – მტევანს ვეღარ ამოძრავებდა და უმცირეს შეხებაზეც კი სტკიოდა. კათხა რომ დალია, კიდევ ერთი შეუკვეთა, იქნებ ალკოჰოლმა მაინც გამიყუჩოს ტკივილიო.

აი, რა ხდება, როდესაც მამის იდეალების უარყოფას განიზრახავს ადამიანი, მის დარიგებას დაივიწყებს და ხსოვნას შეურაცხყოფს. მამასავით, ან თუნდაც უოლთერივით, რომ მოქცეულიყო, ყველაფერი რიგზე იქნებოდა. თავიდანვე დაარღვია კანონი, როდესაც ფლოტში მიღებისას იცრუა, თეთრკანიანი ვარო, ახლა კი თეთრ კახპასთან დაწოლის სურვილმა ამხელა შარში გააყოფინა თავი. «ოღონდ კი სამსახური დამასრულებინა პირნათლად და მერე სულ წავალ ჯარიდან; აღარაფერს მოვიტყუებ. სამოქალაქო ცხოვრებას დავუბრუნდები და მორჩა!» პირველად დაელაპარაკა მამას მას შემდეგ, რაც მისტერ სილქი ვაგონ-რესტორანში დაეცა და ვეღარც ადგა.

ასე თუ გააგრძელებდა, მის ცხოვრებას ჩირის ფასიც აღარ ექნებოდა. ეს როგორ გაიგო? მამისგან, რომელიც წინანდებურად მედიდურად და დამრიგებლურად ჩასძახოდა ყურში, როგორც ყოველი პატიოსანი და პრინციპული ადამიანი, რომელმაც თავისი ფასი კარგად იცის და არაფერს უშინდება სიმართლის სათქმელად. ასე თუ განაგრძობ, რომელიმე თხრილში დაასრულებ ცხოვრებას ყელგამოჭრილი. აბა, დახედე, რას ჰგავხარ და სად ხარ! მერე რისთვის ეს ყველაფერი? რა გჭირს დასამალი? რა და ის, რომ შენი აკვიატებული კრედო არ გაძლევს მოსვენების საშუალებას: «მე თქვენისთანა არა ვარ, ვერ გიტანთ, მე თქვენს ზანგურ «ჩვენს» არ ვეკუთვნი!» დიდი ბრძოლა გაგიჩაღებია ამ «ჩვენის» წინააღმდეგ, მაგრამ რა მიიღე? გაცხოველებულად იბრძვი განუმეორებლობისათვის. მარტოსულ ამბოხს აწყობ ზანგური სვე-ბედის წინააღმდეგ, თუმცა რა ხეირი დაგეყარა, მარტოსულო მეამბოხევ? სად ამოყავი თავი? აი, ხომ ხედავ, სად ჩაგითრია ყოფიერების სიღრმისეული აზრის ძიებამ.

სიყვარულის სამყაროს კარი შენთვის მუდამ ღია იყო, მაგრამ შენ ამაზე გაცვალე! ამ უგუნურებაზე, «ტრაგიკულ უგუნურებაზე» მარტო შენს თავს კი არა, ეს დარტყმა ყველა ჩვენგანს მიაყენე. ერნესტინს. დედას. უოლთერს. მეც კი მომაყენე – საფლავშიც არ დამასვენე. აბა, ქოულმენ ბრუტუს, კიდევ რა გრანდიოზული გეგმები გაქვს? ახლა ვის მოატყუებ, ვის უღალატებ და შეაქცევ ზურგს?

ქუჩაში კი ვერა და ვერ გამოდიოდა – სანაპირო პატრულისა ეშინოდა. ეშინოდა ტრიბუნალისა, ხომალდის საპატიმროსი და დათხოვნისა, რომელიც მუდმივ სამარცხვინო ლაქად დაემჩნეოდა. ღელვამ და შფოთვამ მოცელა ქოულმენი, ამიტომ სასმელს მიეძალა: სვამდა და სვამდა, სანამ ცოტა ხნის შემდეგ მეძავი არ მიუჯდა, რომელიც, აშკარა იყო, მისივე რასას ეკუთვნოდა.

დილით რომ მიაგნო პატრულმა და მის დასისხლიანებულ ტანსაცმელს და მოტეხილ მაჯას შეხედა, იფიქრა, ეტყობა, თეთრ ბიჭს ღამით შავი ხორცისკენ გაუწია გულმა და ზანგების უბანში შეხლა-შემოხლა მოუხდაო. ტვინი უბურღეს, ცხელ ორთქლში გაატარეს და დაასვირინგეს – ბოლოს კი ნავმისადგომთან დამსხვრეული შუშებით მოფენილ მოედანზე დატოვეს და მოხვეტა დაავალეს.

U. S. Navy – გვაუწყებდა ფლოტის სვირინგი. დუიმის მეოთხედი სიმაღლის ცისფერი ასოები ორდუიმიანი ცისფერივე ღუზის ნიჩბებს შორის ეწერა. ეს უპრეტენზიო სამხედრო ნიშანი მარჯვენა მკლავზე, მხრის ოდნავ ქვემოთ დაასვეს. დამალვაც არ გაუჭირდებოდა. მაგრამ როგორც კი გაახსენდა, რა ფორმით შეიძინა ეს ნიშანი, იგივე უსიამოვნო შეგრძნება და მღელვარება დაეუფლა, როგორც ხსენებულ ღამეს. ეს ნიშანი მთელი მისი ცხოვრების სიმბოლოს წარმოადგენდა, სადაც უსინდისობა და გმირობა განუყოფელი იყვნენ. ცისფერი სვირინგი ქოულმენის ნამდვილ მიმოხილვასა და აღწერილობას მოიცავდა. ამ წარუშლელ ასოებში ადამიანის ბიოგრაფიის კვალამოუშლელი შტრიხები იმზირებოდა. აი, ჩადენილის შედეგი, აი, გარეგან ძალთა მოქმედება. არც გაუთვალისწინებლობათა ჯაჭვის გარეშე ჩაუვლია ამ ყველაფერს და არც მხილების საფრთხის, პირიქით, ცხოვრების უაზრობაზეც კი დააფიქრა, – ყოველივე ამას კი ამ პაწაწინა სვირინგში მოეყარა თავი.

როდესაც პედაგოგის საქმიანობას დაუბრუნდა, დელფინა რუსთან შეტაკება პირველივე სემესტრში მოუხდა. საქმე ის გახლდათ, რომ პროფესორ რუს საყვარელი ერთ-ერთი სტუდენტი გოგონა ამ უკანასკნელთან საყვედურით გამოცხადდა, რადგან ევრიპიდეს ტრაგედიებში, რომელთაც ანტიკურ ლიტერატურაში ქოულმენი კითხულობდა, ჰიპოლიტესა და ალკესტიდას პერსონაჟები არ მოსწონდა, რადგან მათ «ქალის დამამცირებლად» მიიჩნევდა. დელფინა რუს პირველივე სემესტრში შეეჯახა, როდესაც პედაგოგის საქმიანობას დაუბრუნდა. ამ სტუდენტს ელენა მიტნიკი ერქვა.

– კი მაგრამ, რას მიბრძანებთ, ევრიპიდე ამოვიღო პროგრამიდან თუ რა ვქნა, რომ მის მიტნიკის გული მოვიგო?

– რა ბრძანებაა. აქ საქმე იმას ეხება, თუ როგორ აწვდით ევრიპიდეს ახალგაზრდებს.

– და სწავლების რამე სხვაგვარი მეთოდიც არსებობს ჩვენს დროში?

ჰკითხა, მაგრამ გაცნობიერებულად იცოდა, რომ ამდაგვარი კამათის წარსამართად მას არც მოთმინება ეყოფოდა, არც თავაზიანობა. დელფინა რუ რომ უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენებინა და შეეცბუნებინა, საუკეთესო მეთოდი იყო, საერთოდ არ გაეჩაღებინა მასთან პოლემიკა. რაოდენ მაღალი თვითშეფასებითაც უნდა ყოფილიყო დელფინა გამორჩეული, ის სულ რაღაც ოცდაცხრა წლის იყო და არც სწავლების პრაქტიკა ჰქონდა მაინცდამაინც ხანგრძლივი და არც ცხოვრებისეული გამოცდილება, თან არა მხოლოდ ათინა-კოლეჯში, არამედ ამერიკაში ცხოვრების სტაჟითაც ვერ დაიკვეხნიდა. რუსთან ურთიერთობამ ერთი რამ ასწავლა, მასთან მხოლოდ და მხოლოდ გულგრილი დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა, რადგან მხოლოდ ასე მოახერხებდა დელფინასთვის გულის გახეთქას და მისი ხელოვნური ფრაზები, როგორიცაა «ყველასათვის ნათელია, რომ სათანადო მეთოდით არ ხდება საგნის მიწოდება». უბრალოდ, ჩირადაც არ უნდა ჩაეგდო. ყოფილ დეკანში, ბევრი რამის პარალელურად, დელფინა იმას ვერ იტანდა, რომ ამ უკანასკნელს, კოლეგების უმეტესობისგან განსხვავებით, ქალის აკადემიური მიღწევებით არც აღფრთოვანება გამოუხატავს და არც იმედგაცრუება. ქოულმენი ამგვარი გულგრილობით დელფინას საკუთარი თავისადმი ერთგვარად რწმენასაც კი აკარგვინებდა,

თან ხუთიოდე წლის წინ მან არცთუ მთლად გულღიად მიიღო იელის ასპირანტურადამთავრებული გოგონა, რაზეც მერე ინანა კიდეც, რაც არც სხვებისთვის დაუმალავს, რადგან კათედრაზე არსებულმა უმაქნისებმა ამ ზრდადაუსრულებელ ამბიციურ და ტვინარეულ არსებას მმართველი პოსტი ლამის ლანგრით მიართვეს.

ქოულმენ სილქის პიროვნება დელფინა რუს მუდამ აწუხებდა და აცბუნებდა, ამიტომაც იყო, რომ მისი წონასწორობიდან გამოყვანა ასე გულით სურდა. მის წინაშე მუდამ ბავშვობაში ბრუნდებოდა, როდესაც ასაკთან შეუფერებლად გაზრდილ გოგონას ათასნაირი შიში აწვალებდა: ერთი შიში ის გახლდათ, რომ ეგონა, ისეთი გამჭვირვალე ვარ, ყველა გამჭოლ მხედავსო, მეორე კი, საერთოდ ვერავინ მამჩნევსო. დილემის წინაშე იდგა, აღარ იცოდა, უფლისათვის რა ეთხოვა: ნეტავ სულ არავინ შემამჩნიოსო თუ ნეტავ ყველას მთლად შეუმჩნეველი არ დავრჩეო. ქოულმენთან საუბრისას ზოგჯერ ინგლისური ენის ცოდნაშიც კი ეპარებოდა ხოლმე ეჭვი, არადა, სავსებით გამართულად საუბრობდა ამ ენაზე. ერთმანეთის პირისპირ აღმოჩენისას სულ ისეთი განცდა ეუფლებოდა, რომ ქოულმენს მისთვის ხელების გადაგრეხა და ზურგზე შეკვრა უნდოდა.

რამ განაპირობა ნეტავ ეს განცდა? ქოულმენის მამაკაცურმა შემფასებლურმა მზერამ ხომ არა, რომლითაც მის კაბინეტში გასაუბრებაზე შესულ დელფინა რუს შეხედა? ან იქნებ პირიქითაც იყო და არავითარი მამაკაცურ-შემფასებლური მზერა არ ყოფილა? რას ხედავდა ასაკოვანი მამაკაცი ამ ახალგაზრდა ქალში, ვერა და ვერ გაარკვია, არადა, დილის ენერგიით აღჭურვილს, ეგონა, თუ დამჭირდა, მთებს შევძრავო. რუს სურდა, გამაოგნებლად გამოპრანჭულიყო, და გამოიპრანჭა, სურდა, ისე ესაუბრა, როგორც ინტელექტუალს შეჰფერის, და საუბრობდა კიდეც, სურდა, მჭევრმეტყველი და ლაკონიური ყოფილიყო, და ლაკონიურად კაზმავდა კიდეც სათქმელს... ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ქოულმენი მას მაინც ისე უყურებდა, როგორც სკოლის მოწაფეს, მისტერ და მისის ულოგიკობის პირმშო-არარაობას.

იქნებ ყველაფერში დამნაშავე ის შოტლანდიური ქვედაკაბა იყო, მას რომ ეცვა? ნაკეცებიანი მოკლე ქვედაკაბა, შესაძლოა, სკოლის ფორმაც ჰგონებოდა ქოულმენს, მით უმეტეს, რომ ეს

სამოსი ტანმორჩილ შავთმიან გოგონას ამშვენებდა, რომელსაც ისეთი პატარა სახე ჰქონდა, რომ ცარიელი თვალებიაო, იტყოდა მნახველი. თან ისეთი სიფრიფანა ჩანდა, კაცი იფიქრებდა, ას გირვანქაზე მძიმე არ იქნებაო. ქვედაკაბა, ქიშმირის მაღალსაყელოიანი შავი სვიტერი, შავი ფერის კოლჰოტი და მაღალქუსლიანი შავი ჩექმა – ის სამოსი ემოსა, რომ უსქესო არსებას არ ჰგვანებოდა (ამერიკის უნივერსიტეტებში მანამდე ნანახი ქალები ამ პრინციპის მიმდევრებად მიაჩნდა), მაგრამ არც მაცდუნებლის შთაბეჭდილება დაეტოვებინა. ქოულმენი, ეს ზუსტად იცოდა, სამოცს გადაცილებული იყო, თუმცა მის ორმოცდაათი წლის მამაზეც ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. დეკანმა მას მამამისის ერთ-ერთი ახალგაზრდა თანაშემწე გაახსენა საინჟინრო ფირმიდან, რომელიც არც პირველი იყო და არც უკანასკნელი, ვინც სხვა თვალით შესცქეროდა დელფინას, როგორც კი მან თორმეტ წელს გადააბიჯა. როდესაც მის წინ დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო, რასაც ქვედაკაბის ზედმეტად აწევა მოჰყვა, თუმცა მაშინვე როდი სცადა კაბის ბოლოს დაწევა, არამედ წუთი შეიცადა და ისე მოუხერხებლად დაქაჩა ქვედაკაბა, თითქოს საქაღალდეს ხურავდა, – ის ხომ მართლა სკოლის მოსწავლე არ იყო, რომ სკოლის პერიოდის რიდი და შიში ჰქონოდა უცნობი მამაკაცის წინაშე, არამედ უკვე ჩამოყალიბებული ქალი გახლდათ, რომელსაც, მისი ჭკუით, გარკვეული სიტუაციების გაკონტროლება შეეძლო. რაკი არ სურდა, ბავშვის შთაბეჭდილება დაეტოვებინა, არც მთლად გამოუდვია თავი ქვედაკაბის გასწორებაზე, ამით კი მამაკაცის მზერა მის სწორ, შავ კოლჰოტში გამოკვართულ ფეხებზე მიმართა. სამოსით გინდა თუ ქცევით, დელფინა, ეს ოცდაოთხი წლის არსება, ყველა იმ ძალის დემონსტრირებას ცდილობდა, რაც კი გააჩნდა.

ერთადერთი მორთულობა, ერთადერთი ძვირფასეულობა, მარცხენა ხელის შუათითზე გაკეთებული ბეჭედი იყო, რომლითაც კიდევ უფრო მეტად უსვამდა თავის ინტელექტუალურ სიმსუყეს ხაზს, რასაც, როგორც წესი, ახასიათებს სიცოცხლის ესთეტიკური ზედაპირულობით აშკარა და შეუნიღბავი სიამოვნება, ერთგვარი ჰუმანურობა, ერთგვარი გემოს ჩატანებაც კი, რომელიც სამეცნიერო ჭეშმარიტების, როგორც უდიდესი დავალების შესრულებას, ცხოვრებისეულ მსახურებას ექვემდებარება. მამაკაცის თითზე გათვლილი ბეჭედი XVIII საუკუნის რომაული ბეჭდის ასლის სახით იყო

დამზადებული. ჰორიზონტალურად ჩასმულ ოვალურ აქატზე, რომელიც მამაკაცურ მასიურობას სძენდა ბეჭედს, დანაეს მიერ ოქროს წვიმად მოვლენილი ზევსის მიღება იყო გამოსახული. ეს იყო ოთხი წლის წინ სასიყვარულო საჩუქრად ბოძებული ბეჭედი, რომელიც ოცი წლის დელფინასთვის თავის პედაგოგს მიერთმია. იმ ერთადერთ პედაგოგს, რომელმაც დელფინას თავი დააკარგვინა და რომელთანაც მჩქეფარე რომანი გააჩაღა. იმ ბატონის სპეციალობაც, – ცხადია, დამთხვევაა, – ანტიკური ლიტერატურა გახლდათ. მის კაბინეტში პირველი საუბრისას ის ისეთი მკაცრი და განდეგილი მოეჩვენა, რომ ლამის შიშით აკანკალდა, მაგრამ მერე მიხვდა, რომ ასეთი მეთოდით მამაკაცი მხოლოდ მის მოხიბვლას ლამობდა. მაგრამ დეკანი სილქი რაღას მიელტვოდა?

რაოდენ თვალშიც უნდა შესჩხირვოდა დეკანს მისი დიდთვლიანი ბეჭედი, ერთხელაც არ უთხოვია, იქნებ ახლოდან გეჩვენებინათ აქატზე ამოტვიფრული ოქროს წვიმაო. ჰოდა, ასე უმჯობესიაო, გაიფიქრა დელფინამ. მართალია, ბეჭდის მიღების ისტორია მის ზრდასრულ ნაბიჯზე მეტყველებდა, მაგრამ შესაძლო იყო, ასაკოვან დეკანს ეს ამბავი ქალის ფრივოლურობად უფრო შეერაცხა, რაც მის ბავშვურობაში კიდევ უფრო დაარწმუნებდა. საერთო ჯამშიც, თუკი იმედის რამდენიმე ნაპერწკალს გამოვაკლებთ, შეიძლება ითქვას, რომ კაცი ზუსტად ასე ფიქრობდა მასზე. ქოულმენს ისეთი აზრი დაეუფლა, რომ დელფინა რუ მეტისმეტად ახალგაზრდა იყო და მასში ჯერ კიდევ ბევრი ურთიერთგამომრიცხავი რამ იყო კალაპოტმისაცემი, გარდა ამისა, მის თვალში დელფინა რუს თვითშეფასება ერთობ გადამეტებული იყო და იმავდროულად, ინფანტილიზმიც არ აკლდა, – იმ ბავშვივით იქცეოდა, რომელსაც ფაქიზი სული აქვს და საკუთარ თავს ვერ ფლობს, უმცირეს გაკიცხვას კი მტკივნეულად იღებს; დეკანის აზრით, ქალურად ნაზი თვითრწმენის ფონზე დელფინას, მიწაზე მყარად რომ მდგარიყო, წარმატებები, თაყვანისმცემლები და გამარჯვებები ესაჭიროებოდა. თავის ასაკთან შეუფერებლად ცქმუტავდა, აშკარა იყო, ემოციურობის თვალსაზრისით, მთლად მტკიცედ ვერ უნდა ჰქონოდა საქმე; თან ჯერ კიდევ ზრდადაუსრულებელი იყო ბევრ რამეში.

* * *

დელფინა რუს ვინაობის გასაგებად მისი CV-ც იკმარებდა, რომელსაც თხუთმეტგვერდიანი ესეიც ახლდა, სადაც ინტელექტუალური განვითარების მთელი გზა იყო აღწერილი ექვსი წლის ასაკიდან. ფორმალური თვალსაზრისით, დელფინა რუს მიღწევები მართლაც დიდებული იყო, მაგრამ გინდ ეს შედეგები და გინდ სხვა მონაცემები, სრულიადაც არ ეჩვენებოდა იმად, რაც მყუდრო ათინა-კოლეჯს ესაჭიროებოდა. პარიზის ელიტურ მეთექვსმეტე უბანში, დე ლონშანის ქუჩაზე გატარებული ბავშვობა. მესიე რუ – ფირმის მფლობელი ინჟინერი, რომელსაც თავდაპირველად ორმოცი კაცი ჰყავდა დასაქმებული. მადამ რუ – ქალიშვილობისას დე ვალენკური, დაიბადა ძველ პროვინციულ-არისტოკრატიულ ოჯახში. სამი შვილის დედამ ზედმიწევნით იცის შუა საუკუნეების ფრანგული ლიტერატურა; კლავესინისტიცაა, უზადოდ იცის კლავესინური ლიტერატურა, ლამის ზეპირად იცის პაპობის ისტორია და ა.შ. რამდენად მრავალმნიშვნელოვნად ჟღერს ეს «ა. შ.»! ერთადერთ ქალიშვილსა და რიგით მეორეს დედმამიშვილებს შორის, დელფინას, ჟანსონ დე საიის კოლეჟი აქვს დამთავრებული, სადაც ფილოსოფია და ინგლისური, გერმანული, ფრანგული და ლათინური ლიტერატურა აქვს ნასწავლი: «სრულიად კანონიკურ ყაიდაზე აქვს გავლილი მთელი ფრანგული კლასიკა». შემდეგ ანრი IV-ის ლიცეუმი: «...ფრანგული ლიტერატურისა და ფილოსოფიის დამქანცველ-დეტალური შესწავლა და ინგლისური ენისა და ინგლისური ლიტერატურის ისტორიის დაუფლება». ოცი წლის ასაკში, ანრი IV-ის ლიცეუმის დასრულების შემდეგ, უმაღლესი ნორმალური სკოლა ფონტენე-ო-როზში: «ფრანგული ინტელექტუალური საზოგადოების ნაღები... წელიწადში მხოლოდ ოცდაათ კაცს თუ იღებენ». სადიმპლომო ნაშრომის თემა – «თვითაღკვეთა ჟორჟ ბატაისთან» რატომ ბატაი? ოღონდ ეს არა! იელის უნივერსიტეტის ყველაზე მაგარი ასპირანტი ახლა ან მალარმეს ირჩევს, ან ბატაის. რისი გაგებინებაც სურდა რუს, რთული მისახვედრი არ გახლდათ, მით უფრო, რომ ქოულმენმა პარიზი მხოლოდ წიგნებიდან არ იცოდა – ახალგაზრდობაში, პროფესორის წოდება მაშინ ახალი მიღებული ჰქონდა, ოჯახთან ერთად ფულბრაითის სტიპენდიით ერთი წელიწადი გაატარა ამ ქალაქში და იცხოვრა პატივმოყვარე ახალგაზრდა ფრანგების გარემოცვაში, რომელთაც ელიტური ლიცეუმები

ჰქონდათ დამთავრებული. მშვენივრად მომზადებულნი, ფართო ინტელექტუალური თვალსაწიერით, ძალზე საზრიანი და იმავდროულად, ძალზე პირზე რძეშეუშრობელი ახალგაზრდობა, რომელსაც ყველაზე სნობური ფრანგული განათლება ჰქონდა მიღებული და მზად იყო, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შურის ობიექტად დარჩენილიყო. ისინი შაბათსაღამოობით ერთ-ერთ ვიეტნამურ, ხელმისაწვდომ რესტორანში იყრიდნენ ხოლმე თავს სენ-ჟაკის ქუჩაზე, სადაც ოდენ მნიშვნელოვან, ზოგადსაკაცობრიო თემებზე საუბრობდნენ, არავითარი ყოფით-ყოველდღიური – არამედ იდეები, პოლიტიკა, ფილოსოფია! სხვა საკითხზე კრინტის დაძვრასაც არ იკადრებდნენ. საკუთარ თავთან დარჩენილებიც კი მხოლოდ მაღალ მატერიებზე ფიქრით იყვნენ დაკავებული – მეოცე საუკუნის ფრანგული გონის მიერ ჰეგელის აღქმა. ინტელექტუალს ქარაფშუტობა არ შეჰფერის. მოაზროვნე ადამიანმა სიცოცხლე იდეებს უნდა მიუძღვნას. ნებისმიერი იდეოლოგიური წყობილებისას – აგრესიულად მარქსისტული იქნება თუ აგრესიულად ანტიმარქსისტული – ისინი ყოველგვარი ამერიკულისადმი ზიზღს გრძნობენ. ამ ყოველივესა და კიდევ ბევრი რამისგან წავიდა დელფინა იელში სტუდენტებისთვის ფრანგულის სასწავლებლად და დისერტაციის დასაცავად. როგორც თავად წერდა ბიოგრაფიაში, საფრანგეთიდან მის გარდა მხოლოდ ერთი ადამიანი აიყვანეს. «იელში ფრიად კარტეზიანულად განწყობილი მივედი, იქ გაცილებით პლურალისტურად და პოლიფონიურად დამიხვდა ყველაფერი». იელის სტუდენტებმა ძალიან გაახალისეს. სად იყო მათი ინტელექტუალური შემადგენელი? გართობის მათმა სტილმაც კი გააოგნა. წარმოგიდგენიათ, ასეთი ქაოსური და ანტიიდეოლოგიური აზროვნება ცხოვრების წესად აქვთ! კუროსავას არც ერთი ფილმი არ ჰქონიათ ნანახი – სად შეგვიძლია! მათ ასაკში მას უკვე სრულად ჰქონდა ნანახი კუროსავაც, ტარკოვსკიც, ფელინიც, ფასბინდერიც, ვერტმიულერიც, სატიაჯიტა რეიც, რენე კლერიც, რომერიც, რენუარიც, ვიმ ვენდერსიც, ტრიუფოც, გოდარიც, შაბროლიც. ამ ღლაპებს კი «ვარსკვლავური ომების» მეტი არაფერი უნახავთ. იელში დელფინამ სერიოზულად მოჰკიდა ხელი ინტელექტუალურ საქმიანობას, უთანამედროვესი და უმოდურესი ლექტორების ლექციებს ისმენდა. თუმცა, ოდნავ დაბნეულიც იყო. ბევრი რამ აფიქრებდა და თავგზას უბნევდა, უპირველესად კი ასპირანტები. აქამდე მხოლოდ იმ ხალხთან

იყო საუბარს მიჩვეული, ვინც მისნაირად ინტელექტუალური ენით საუბრობდა, ეს ამერიკელები კი... თან მაინცდამაინც ყველასაც არ ეჩვენებოდა ზესაინტერესოდ. არადა, რატომღაც ეგონა, რომ ფუროორს მოახდენდა და დემოკრატიის სამშობლოში ერთი გამიშვი-გამაკავე ატყდებოდა: «ღმერთო, ის ხომ normalienne-ია.[45]

მაგრამ აქ, აბა, ვის შესწევდა იმის უნარი, რომ შეეფასებინა და დაეფასებინა მის მიერ საფრანგეთში განვლილი პრესტიჟული გზა. ფრანგული ელიტის შევსების გამო ქათინაურებს ნაჩვევს ამერიკაში ერთი მაქებარიც არ გამოუჩნდა. ვერც ვერავინ გააოგნა, რასაც ასევე ნაჩვევი იყო. იპოვა ხელმძღვანელი და დისერტაცია დაწერა. დაიცვა კიდეც. დოქტორი გახდა – უჩვეულოდ სწრაფად კი მიაღწია ამ საფეხურს, მაგრამ ზურგს უკან საფრანგეთის გამოცდილება ჰქონდა. კოლოსალური შრომა ჰქონდა გაწეული, კოლოსალური ცოდნა ჰქონდა მიღებული და შინაგანად მზად იყო, რომელიმე პრესტიჟულ უნივერსიტეტში – პრინსტონის, კოლუმბიის, ქორნელის ან ჩიკაგოს ლექტორატში დაეკავებინა მაღალი და საპასუხისმგებლო თანამდებობა. თუმცა უმცირესი პოსტიც რომ არავინ შესთავაზა, გაოგნდა. დროებითი თანამდებობა ათინა-კოლეჯში? სად მდებარეობს ან საერთოდ რას ნიშნავს? ცხვირი აიბზუა. ბოლოს, როგორც იქნა, ხელმძღვანელმა აუხსნა: «დელფინა, შრომის ამ ბაზარზე ერთი საფეხური მეორის წინამორბედად მიიჩნევა. დროებითმა თანამდებობამ გაგაკვირვათ ათინა-კოლეჯში? შესაძლოა, თქვენც არც არაფერი გსმენიათ ათინა-კოლეჯის თაობაზე, მაგრამ ჩვენ გვსმენია. ძალიან სასიამოვნო და დახვეწილი სასწავლო დაწესებულებაა, რაც დამწყებისთვის ფრიად მისაღები და მოსაწონია». არადა, სხვა უცხოელი ასპირანტები ეუბნებოდნენ, მაგ კოლეჯისთვის მეტისმეტად კარგი ხარ, ეგ შენი დონე არ არისო, ამერიკელი ასპირანტები კი, რომლებიც მზად იყვნენ, მეტოქე დაეხრჩოთ, ოღონდ მაღაზიის საქვაბეში მაინც მიეღოთ პედაგოგის ადგილი, დელფინას დიდგულობასა და ყოყოჩობაში უთვლიდნენ ყოყმანს. ადგა და მიაკითხა კოლეჯს, მინი-ქვედაკაბით შევიდა დეკანის კაბინეტში და ფეხი ფეხზე გამომწვევად გადაიდო. მორიგი უკეთესი პოსტის მისაღებად ამჯერად ათინა-კოლეჯის ვაკანსიაც იკმარებს, მაგრამ მთელი საათი ისეთი რამე ასმენინა დეკან სილქს, რომ ამ უკანასკნელს მისი აყვანის სურვილი სულ დაეკარგა. თხრობითი სტრუქტურა და დროებითობა.

ხელოვნების ნიმუშის შინაგანი წინააღმდეგობრიობა. რუსო იმალება, მაგრამ რიტორიკა გასცემს (მისი დეტალური ავტობიოგრაფიის კითხვისას დაეუფლა ეს აზრი ქოულმენს). კრიტიკოსის ხმაც ისეთივე ლეგიტიმურია, როგორც ჰეროდოტესი. ნარატოლოგია, დიეგეტიკა. განსხვავება დიეგესისსა და მიმესისს შორის. დაჯგუფებული გამოცდილება. ტექსტის პროლეპტიკური ხარისხი. ქოულმენს იმის კითხვა არ სჭირდება, ეს რას ნიშნავსო. ბერძნულ მნიშვნელობებს ისედაც კარგად ხვდება, რომ იელისა და უმაღლესი ნორმალური სკოლის სიტყვების გაგება არ გაუჭირდეს. ნეტავ თავად ეს გოგო თუ იგებსო, გაიფიქრა. თვითონ უკვე ოცდაათ წელზე მეტია ამ სისტემაშია და სულაც არ ეპიტნავება ეს ახალმოდური ლაი-ლაი. ერთი კითხვა გაუჩნდა: ნეტავ რად უნდა ასეთ ლამაზ გოგოს, რომ თავისი გამოცდილების ადამიანურ ნაწილს ამ ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს მიღმა მალავსო? იქნებ ამაში სწორედ ეს სილამაზე იყო დამნაშავე? ჰმ, ამისთანა თვითშეფასება და ასეთი თვითმოტყუებაო, – დაასკვნა ბოლოს.

ფორმალურად და ერთი თვალის შევლებით, ცხადია, დელფინას არაფერი დაეწუნებოდა, მაგრამ ქოულმენისთვის ის მაინც იმ პრესტიჟულ-ყოყლოჩინურ ფუჭსიტყვაობას წარმოადგენდა, რომელიც «ათინას» სტუდენტებს ისევე სჭირდებოდათ, როგორც ძაღლს მეხუთე ფეხი. აი, მომავალ კოლეგებს შორის კი ნამდვილად გამოიწვევდა ვნებათაღელვას.

როდესაც ქოულმენმა მისი აყვანა გადაწყვიტა, ფიქრობდა, მისი ფართო აზროვნების გამო ამყავსო, მაგრამ უფრო იმიტომ კი მიიღო სამსახურში, რომ საოცრად ქალური, ნაზი და მიმზიდველი იყო – და მამობრივ გრძნობებს უღვიძებდა.

დელფინამ კი არასწორად აღიქვა მისი შემოხედვა და მელოდრამატიზმის გავლენით, რაც მის გლუვ სრიალს ერთგვარად ხელსაც უშლიდა ხოლმე როგორც ნაჩქარევი დასკვნებისაკენ მიდრეკილების გამწვავებით, ასევე ეროტიკულ-მელოდრამატული წარმოდგენების თავს მოხვევით, და იფიქრა, აშკარად უნდა ზურგს უკან ხელები გამიკოჭოსო. ქოულმენში შემბოჭავ-შემბორკავი ძალა დაინახა, რომელსაც მისი თავისუფლების შეზღუდვა სურდა. სამუშაოდ კი აიყვანა, მაგრამ მათ ურთიერთობას მაინც ვერ მოეფინა

კეთილი ნათელი.

ახლა კი თვითონ გამოიძახა ქოულმენი სასაუბროდ. 1995 წელს, როდესაც ქოულმენმა დეკანის პოსტი დატოვა და მასწავლებლობა განაგრძო, დელფინას ხიბლმა, პარიზელი გამენის[46] მისეულმა ხალისმა, რომელიც ფარულ მგრძნობელობას აღძრავდა, – ამას თან დართულმა უმაღლეს ნორმალურ სკოლაში გამოზრდილისთვის მახასიათებელმა ქლესაობამ (რასაც ქოულმენი «მუდმივ თვითგაბერვას» უწოდებდა), როგორც ქოულმენს ეჩვენებოდა, ყველა ტუტუც პროფესორზე იმოქმედა, თუ რამდენიმე შეუვალ პიროვნებას არ ჩავთვლით. გარდა ამისა, დელფინა, რომელსაც ჯერ ოცდაათი წელიც არ შესრულებოდა, როგორც ჩანდა, შორსმიმავალი გეგმით მოქმედებდა და დეკანის სავარძელსაც კი უმიზნებდა, ამიტომაც დათანხმდა მცირე კათედრის ხელმძღვანელობას, რომელსაც ათ წელზე მეტი ხნის წინ ჰქონდა ყველა ფილოლოგიური კათედრა გადაყლაპული, მათ შორის, ანტიკური სიტყვიერების კათედრაც, საიდანაც ქოულმენმა დაიწყო კარიერული წინსვლა. ენებისა და ლიტერატურის ახალ კათედრაზე თერთმეტი კაცი მუშაობდა: ერთი პროფესორი რუსულის სპეციალისტი იყო, ერთი იტალიურის, ერთი ესპანურის, ერთიც გერმანულის, დელფინა რუ – ფრანგულის, ხოლო თავად ქოულმენ სილქი კლასიკური ენების – ძველი ბერძნულისა და ლათინურის სპეციალისტი გახლდათ. მათ გარდა, კიდევ ხუთი ადამიანი სამუშაოში ყურებამდე ჩაფლული ადიუნქტ-პროფესორი იყო; გარდა ამისა, ახალგაზრდა ინსტრუქტორები და ადგილობრივი უცხოელები დაწყებით კურსებს უძღვებოდნენ.

– ელენა მიტნიკმა ეს ორი პიესა, ალბათ, იმიტომ ვერ გაიგო, – აუხსნა ქოულმენმა დელფინას, – რომ მისი აზროვნება ერთობ შეზღუდულ პროვინციულ ჩარჩოებშია მოქცეული და რაც უნდა ვეცადოთ, მაინც ვერას გავხდებით.

– ამით ხომ მის სიტყვებს ადასტურებთ, ანუ არც კი გიცდიათ მისი დახმარება.

– იმ სტუდენტს, ვინც ჩემზე ამბობს, «გენდერულად მაწვებაო», ვერაფრით დავეხმარები.

– ესე იგი, – რბილი ტონით თქვა დელფინამ, – პრობლემა გვქონია.

ქოულმენს გაეცინა – სპონტანურადაც და განგებაც.

– რაში ხედავთ პრობლემას? ჩემს ინგლისურში ხომ არა, რომელიც არც მთლად დელიკატურია მის მიტნიკისთანა გონებაგახსნილი არსებისათვის?

– ქოულმენ, სასწავლო აუდიტორიებში უკვე დიდი ხანია აღარ გიმუშავიათ.

– თქვენ კი ამ აუდიტორიებიდან არასდროს გამოსულხართ, გენაცვალე, – გამაღიზიანებელი ღიმილით მიუგო ყოფილმა დეკანმა, – მე ამ პიესებს მთელი ცხოვრება ვკითხულობ და ვფიქრობ კიდეც მათზე.

– მაგრამ არა ფემინისტური თვალსაზრისით.

– არც მოსეს ებრაული თვალსაზრისით. არც მოდური ნიცშესეული თვალსაზრისების მრავალფეროვნების თვალსაზრისით.

– ქოულმენ სილქი, მთელ პლანეტაზე ერთადერთი ადამიანი, რომელსაც არავითარი თვალსაზრისი არ გააჩნია, გარდა წმინდა ობიექტური ლიტერატურული თვალსაზრისისა.

– ჩვენი სტუდენტები, ლამის ერთის უკლებლივ, გენაცვალე, – (ისევ «გენაცვალე»? და რატომაც არა?) – უზრდელები და უვიცები არიან. მათი განათლების დონე ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მათი ცხოვრება ინტელექტუალური ყამირია. სრული უმეცრები აბარებენ და ასეთივე მდგომარეობაში ამთავრებენ კოლეჯს. ჩემთან ისე შემოდიან აუდიტორიაში, რომ აზრზე არ არიან, როგორ უნდა წაიკითხონ ანტიკური პიესები. ათინა-კოლეჯში ასწავლიდე ოთხმოცდაათიან წლებში, როდესაც ამერიკის მთელ ისტორიაში ასეთი ჩლუნგი თაობა წამოვიდა, – იგივეა, რაც ნიუ-იორკში ბროდვეიზე მიდიოდე და საკუთარ თავს ესაუბრებოდე, განსხვავება ისაა, რომ თვრამეტიოდე ადამიანი მაინც გეყოლება მსმენელი, გინდ ქუჩაში და გინდ შენობაში. არაფერი რომ მათ არ იციან! ამისთანა სტუდენტებს აგერ უკვე ორმოც წელიწადზე მეტია, ვასწავლი – თამამად მოგახსენებთ, რომ მისის მიტნიკი ერთი რიგითი ეგზემპლარია, – და ევრიპიდეს თვალთახედვითა და თვალსაზრისით ჯერ არ დაინტერესებულა. ყველაზე მიამიტი ფემინისტური თვალსაზრისის მქონე მკითხველებისთვის ევრიპიდესეული თვალთახედვების გაცნობა, საუკეთესო

საშუალებაა, მანამდე შეწყვიტო მათი აზროვნება, სანამ თავად დაიწყებდეს უტვინო «მოწონებებისგან» გათავისუფლებას. იცით, დაჯერებაც კი მიკვირს, რომ საფრანგეთში ამისთანა სკოლაგავლილმა განათლებულმა ქალმა ევრიპიდეზე რაღაც ფემინისტური თვალსაზრისების არსებობა შეიძლება ირწმუნოს და მეტიც: გაიზიაროს! ეს ხომ აშკარა სისულელეა. სწრაფად კი დაუმუშავებიხართ. თუ ეს უბრალოდ ჩვეულებრივი კარიერიზმია, რომელიც მოცემულ შემთხვევაში კოლეგა ფემინისტების შიშზეა დაფუძნებული? რადგან ეს თუ მხოლოდ კარიერიზმია, გული საგულეს მექნება. ეს ადამიანური სისუსტეა, რომლის გაგებაც იოლად ძალმიძს. მაგრამ თუკი ეს ინტელექტუალური კაპიტულაციაა იდიოტიზმის წინაშე, მაშინ მართლაც გამაოცეთ, რადგან ვინ-ვინ და, იდიოტი ნამდვილად არ მგონიხართ, მშვენივრად მოგეხსენებათ ყველაფერი; რადგან იმ თქვენს უმაღლეს ფრანგულ სკოლაში არც კი დაესიზმრებათ, რომ მსგავსი სისულელის სერიოზულად მიღება შეიძლება. იქნებ ვცდები? ისეთი პიესების წაკითხვა, როგორიცაა «ჰიპოლიტე» და «ალკესტიდა» და მერე თითოეულის განხილვის მოსმენა კვირაობით, უკვე ყველანაირ საბაბს უსპობს ადამიანს, ქალის დამცირებაზე ილაპარაკოს. ეს, უკაცრავად და, თვალსაზრისი კი არა, პირის აქაფებაა. გნებავთ, პირის აქაფების ახალი წესი.

– ელენა სტუდენტია. ოცი წლისაა და ახლა სწავლობს.

– სტუდენტების ამგვარი გულშემატკივრობა არ გშვენით, გენაცვალე. უფრო სერიოზულად უნდა მიუდგეთ. ის კი არ სწავლობს, არამედ სხვის აზრებს იმეორებს. რაღაც საეჭვოდ გამოიქცა თქვენთან, თან ეგრევე. ვგონებ, სწორედ თქვენს აზრებს უნდა იმეორებდეს.

– სიცრუეა! თუმცა, თუკი ამ ჩარჩოში კულტურულად განმიხილავთ, ნება თქვენია, ეს მოსალოდნელიც იყო. თუკი ასეთ ჩარჩოში ჩემი მოთავსებით დამამშვიდებელ უპირატესობას გრძნობთ, ასევე განაგრძეთ, გენაცვალე, – ამ სიტყვებით თითქოს ხურდა დაუბრუნა დელფინამ, – ელენას უდიერად მოჰქცევიხართ, ამიტომაც გამოიქცა ჩემთან, როგორც თქვენ ამბობთ. ლამის გული გაუხეთქეთ. რა გასაკვირია, რომ გაბრაზდა.

– ჰმ, თქვენი სამსახურში აყვანის გადაწყვეტილება რომ მახსენდება, არადა, საკუთარი შეხედულებების წინააღმდეგ

წავედი, უსიამოვნო სიტყვიერი ერთეულები მადგება ენის წვერზე.

– აი, ჩვენს სტუდენტებსაც სულ უსიამოვნო სიტყვიერი ერთეულები ადგებათ ენის წვერზე, – იმავე ფორმით მიუგო დელფინამ, – როდესაც დრომოჭმულ პედაგოგიკასთან უწევთ შეხება. თუკი თქვენთვის ჩვეული მოსაწყენი მეთოდით განაგრძობთ ლიტერატურის წაკითხვას, თუკი აწიც დაიჟინებთ, რომ ბერძნულ ტრაგედიებს ჰუმანისტურად უნდა მიდგომა, რომელიც ჯერ კიდევ 50-იანი წლებიდან გაქვთ ჩაბეჭდილი, მსგავსი კონფლიქტები მუდამ თავს იჩენს და ბოლო არ ექნება.

– რას ვიზამ, დაე, იჩინოს თავი.

თქვა და გავიდა. ამიტომაც, როდესაც მომდევნო სემესტრში ლამის აცრემლებული და მეტყველების უნარწართმეული თრეისი ქამინგზი მივიდა დელფინა რუსთან და შესჩივლა, პროფესორმა სილქმა ჩემს არყოფნაში თანაჯგუფელებთან დახასიათებისას დამამცირებელი, რასისტული სიტყვა გამოიყენაო, დელფინამ გადაწყვიტა, ქოულმენის კაბინეტში გამოძახებითა და მისთვის წაყენებული პრეტენზიის გაცნობით მხოლოდ დროს თუ დავკარგავო. დარწმუნებული იყო, რომ სილქი იმაზე კეთილშობილურად ნამდვილად არ მოიქცეოდა, ვიდრე წინა ჯერზე მოიქცა, როცა სტუდენტმა გოგონამ მასზე სამდურავი თქვა, ამიტომ თუ გამოიძახებდა, ის აქეთ დაუწყებდა ზევიდან ყურებას და მფარველურ-მენტორული ტონით საუბარს. მისთვის ხომ სრულიად გაუგებარ-მიუღებელია, რომ ეს ვიღაც, სადღაციდან «მობრძანებული» ქალბატონი, მის კომპეტენციას აყენებდა კითხვის ნიშნის ქვეშ. დელფინა ხომ მისთვის მორიგი გოგონა იქნებოდა, რომლის პრობლემებსაც გააუბრალოებდა, თუკი, რა თქმა უნდა, ნებას იბოძებდა და მათზე საუბარს იკადრებდა. დელფინაც ადგა და იოლად ხელმისაწვდომ დეკანთან, ქოულმენის შემცვლელთან გადაამისამართა ეს საქმე. ამის მერე კი თრეისის დამშვიდება და ნუგეში დაიწყო და არ მომერიდება, თუ ვიტყვი, რომ უფროსადაც დაუჯდა. ეს შავკანიანი ობოლი გოგონა ისე იყო დემორალიზებული, რომ მომხდარიდან პირველ კვირებში, როდესაც უკანმოუხედავად უნდოდა გაქცევა, თუმცა სად, თვითონაც არ უწყოდა, დელფინა გაისარჯა და ნებართვის მიღება მოახერხა, რომ გულნატკენი და სულაწეწილი

გოგონასთვის თავის ბინაში გამოეყო მეორე ოთახი და დროებით მაინც გამხდარიყო მასზე მზრუნველი. თუმცა ქოულმენ სილქმა სასწავლო წლის მიწურულს თავისი ნებაყოფლობითი წასვლით კოლეჯიდან არსებითად აღიარა წაყენებული ბრალდება ამ კონფლიქტში, თრეისისთვის მიყენებული სულიერი დარტყმა კი ისეთი სიძლიერის აღმოჩნდა – არადა, თურმე არც მანამდე გამოირჩეოდა მტკიცე ნერვებითა და კარგი გამძლეობით, – რომ ყველა საგანში ჩაიჭრა; ამის ასახსნელად კი განაცხადა, სწავლას გულს როგორ დავუდებდი, როცა სულ მეშინოდა, პროფესორ სილქს ჩემს წინააღმდეგ არ აემხედრებინა სხვა პედაგოგებიო. ამის შემდეგ თრეისიმ არა მხოლოდ კოლეჯი, არამედ დაბა ათინაც კი მიატოვა, სადაც დელფინას მისთვის სამუშაოს პოვნა, კერძო გაკვეთილების ორგანიზება და თვალყურის დევნება სურდა, სანამ თავად არ დაუბრუნდებოდა სწავლის პროცესს. ერთ მშვენიერ დღესაც ეს ჩვენი თრეისი ამდგარა, ავტობუსში ჩამჯდარა და თითქოს ოკლაჰომაში წასულა, სადაც ტალსაში მისი ნახევარდა ცხოვრობდა; ბევრი ეძება დელფინამ თუ ცოტა, ვერც მის კვალს მიაგნო და ვერც რამე შეიტყო ამ ფაქიზი სულის პატრონ გოგონაზე.

ამის შემდეგ დელფინამ ქოულმენ სილქისა და ფაუნია ფარლის ურთიერთობის ამბავი შეიტყო, რასაც ბატონი სილქი საგულდაგულოდ მალავდა. თავიდან ყურებს არ უჯერებდა, კაცი სამოცდათერთმეტი წლისაა, აქედან ორი წელია უკვე, რაც პენსიაზეა და მაინც არ იშლისო?! რაკი იმ სტუდენტების ალაგმვა აღარ შეეძლო, ვინც მის თვალსაზრისებსა და მოსაზრებებს გაბედავდნენ და მორჩილად არ მიიღებდნენ, რაკი შავკანიანი სტუდენტების დაცინვის საგნად ქცევა აღარ ხელეწიფებოდა, რაკი ახალგაზრდა პროფესორი ქალების დაშინებისა და თავის გადამეტების ბერკეტები აღარ ჰქონდა ხელთ, ადგა ვაჟბატონი და კოლეჯის ყველაზე დაბალ საფეხურზე დაიწყო დასამორჩილებელი ობიექტის ძებნა, რომელსაც უკამათოდ შეიძლება ეწოდოს ქალური დაუცველობის სიმბოლო. ის ხომ ყოფილი ქმრის ნამდვილი ცხოველური საქციელის მსხვერპლი იყო. დელფინა კადრების განყოფილებას ეწვია და ფაუნიას ყველაფერი მოიძია, რაც კი შეძლო: თურმე საწყალ ქალს ორი შვილი დაღუპვია ტრაგიკულად ხანძრის დროს, რომელიც, როგორც ბევრი ეჭვობდა, თავად ლესთერის მიერ უნდა ყოფილიყო

მოწყობილი. გაიგო, რომ ფაუნია უწიგნური ყოფილა, მეტიც, წერა-კითხვაც კი არ სცოდნია, ამიტომაც ყველაზე პრიმიტიულ საქმეს აკეთებდა კოლეჯში. ამ ყველაფრის ფონზე დელფინამ დაასკვნა, რომ ქოულმენ სილქს ფაუნიას ხელში ჩაგდებით ქალთმოძულის სანუკვარი ოცნება ასრულებოდა. ფაუნია ფარლი ელენასა და თრეისიზე კიდევ უფრო დაუცველად მიიჩნია, – აი, ვისი გათელვა იყო იოლზე იოლი! ქოულმენს, ეტყობა, გადაწყვეტილი აქვს, «ათინაში» ყველა «მტრის» მაგივრად აგებინოს პასუხი, ვინც კი გაბედა და ხმა აიმაღლა მის გარყვნილ კაცურ პრეროგატივებზე.

აწი ვეღარაფერი შეაჩერებსო, გაიფიქრა დელფინამ, გზას ვეღარავინ გადაუღობავსო.

რაკი აცნობიერებდა, რომ ქოულმენი კოლეჯის იურისდიქციას აღარ ექვემდებარებოდა და თავის სამაგიეროს გადახდაშიც არ იყო შეზღუდული, – დიახ, სწორედ მას, დელფინას, უხდიდა სამაგიეროს, რადგან მან მოახერხა მისი ფსიქოლოგიური ტერორისგან შევიწროებული სტუდენტი გოგონების დაცვა და მეტიც, საერთოდაც ამოაკვეთინა ამ აფრახებულ ბერიკაცს სასწავლო დაწესებულებიდან ფეხი. რისხვას ძლივს იოკებდა. ფაუნია ფარლი მის შემცვლელად ჩაიგდო ხელში. სწორედ ფაუნიათი აყენებს მას საპასუხო დარტყმას. აბა, ვისი, თუ არა ჩემი, სახისა და სქესის, ფორმისა და სახელის მქონე აირჩიე სამიზნედ? ჩემს თუმცა მცირე, მაგრამ სარკისებურ გამოსახულებას ჩაავლე კლანჭები და გამოიჭირე. იმ ქალის გაბმით მახეში, ვინც ჩემი არ იყოს, ათინა-კოლეჯში მუშაობს, თან ჩემსავით ორჯერ ახალგაზრდაა შენზე, მაგრამ სხვა მხრივ ჩემი სრული ანტიპოდია, შენ ოსტატურად ნიღბავ და იმავდროულად, უსაძაგლესი ხერხებით ცდილობ, გამოჭენებას, თუ ვის განადგურებას აპირებ. არც იმდენად სულელი ხარ, რომ ეს არ გესმოდეს, და შენს საპატიო მდგომარეობაში საკმარისად ულმობელი ხარ, რომ გიხაროდეს. მაგრამ არც მე ვარ იმდენად უტვინო, რომ უმარტივესი რამ ვერ დავინახო: ეს სიმბოლური ანგარიშსწორება ჩემკენაა მომართული.

ისეთი სისხარტითა და სპონტანურ-ფეთქებადი გამოხატულებით მოხდა პრობლემის აღქმა, რომ გვარიც რომ აღენიშნა კონვერტზე, მისამართიც «მოკითხვამდეო» დაეწერა, გასაკვირი არ იქნებოდა, რადგან მღელვარების პიკზე იყო. არადა, წერილის გაგზავნა გადაიფიქრა. თავიდან ვერ იგდებდა

იმ თავაშვებულ, აღვირახსნილ ბოროტებას, რომელიც ამ უბედურ ქალს შეჰყარა ქოულმენმა, რომელსაც უმისოდაც ყველაფერი დაკარგული ჰქონდა, და სათამაშოდ აქცია მხოლოდ იმიტომ, რომ მას, დელფინას, გასწორებოდა. კი მაგრამ ეს როგორ იკადრა, თუნდაც მისნაირმა როგორ იკადრა ასეთი სულმდაბლობა? არა, დაწერილში ერთ სიტყვასაც არ შეცვლის და გადაბეჭდვაზეც არ მოიკლავს თავს. სულაც არ სურს, ამ გზავნილმა ამით ძალა დაკარგოს – დაე, კარგად ნახოს და დააკვირდეს წინ გაჭრილი ხელნაწერი ასოების შეუკავებელ დახრილობას. დაე, შეაფასოს დელფინას გამბედაობა: ახლა ხომ მისთვის იმაზე მნიშვნელოვანი არაფერია, ვიდრე ქოულმენ სილქის მხილება.

მაგრამ ოცი წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ წერილი ნაფხრეწებად აქცია. სწორადაც მოიქცა. დიახ, სწორადაც! როდესაც იდეალისტური ტალღა უტევდა ხოლმე, საღად და ფხიზლად აზროვნების უნარი ღალატობდა. ეს მტაცებელი ნაძირალა კი მაინც იმსახურებდა სერიოზულ საყვედურს. მაგრამ გაიაზრა, ისე ღრმად შეტოპილ ქალს, როგორიცაა ფაუნია ფარლი, როგორ ვუშველო, როცა თრეისი ქამინგზსაც ვერ ვუშველეო? წარმოიდგინა, შეძლებდა კი ეს ავისმქმნელი ბერიკაცი დაეჯაბნა, რომელიც ახლა უკვე არა მხოლოდ სამსახურებრივი შეზღუდვებისგან იყო თავისუფალი, არამედ, მისივე «ჰუმანიზმის» გათვალისწინებით, ადამიანობის უმარტივესი გაგებისგანაც კი? უიდიოტურესი ილუზიაა, თუკი ჰგონია, რომ ქოულმენ სილქის მზაკვრობას რამეს დაუპირისპირებს. ეს წერილი კი, ასე ცხადად რომ გამოხატავს მის რისხვას, არაორაზროვნად მიუთითებს, შენი საიდუმლო ამოხსნილია, ნიღაბი ჩამოგლეჯილი გაქვს და მხილებულიც ხარო, მის ხელში შესაძლოა, თავად დელფინას მაკომპრომეტირებელ სამხილად იქცეს, რომლითაც, თუკი სილქს მოუნდება, ადვილად დაუბრუნებს დამღუპველ პასუხს ბუმერანგივით.

ქოულმენი უწყალო პარანოიკია და მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, საქმის პრაქტიკული მხარეც უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, რომელზეც დელფინა სულაც არ ფიქრობდა, როცა მარქსისტი ლიცეუმელი გოგონა იყო და უსამართლობასთან შეგუების უნარი საერთოდ არ გააჩნდა; ეს კი ხშირად ძალიან აწვალებდა ხოლმე. მაგრამ ახლა უკვე დიდია, კოლეჯის პროფესორია, თან მუდმივ თანამდებობაზე საკმაოდ ადრე

დანიშნეს, კათედრის გამგის პოსტი არგუნეს, აქედან კი პირდაპირ პრინსტონის, კოლუმბიის, ქორნელის ან ჩიკაგოს უნივერსიტეტისკენ უნდა აიღოს გეზი. ან იქნებ იელსავე დაუბრუნდეს ტრიუმფით? ის წერილი, რომლის ბოლოშიც საკუთარი ხელმოწერაც კი დასვა, ქოულმენისთვის რომ გაეგზავნა, მისგან კიდევ ვინმეს ჩაუვარდებოდა ხელში და საბოლოოდ, როცა ისედაც ამდენი მოშურნე ჰყავს ასეთ ახალგაზრდასა და წარმატებულს, ვინმე მისივე წინააღმდეგ გამოიყენებდა. ჰო, ასეთი წერილი თავისი კადნიერებითა და შეუწყნარებლობით მართლაც ქოულმენის წისქვილზე დაასხამს წყალს და ისევ თვითონ დაზარალდება. შეიძლება მმართველისთვის შეუფერებლადაც გამოაცხადონ. მაგ კაცს კავშირები აქვს, ჯერ კიდევ იცნობს ვიღაც-ვიღაცებს, თან ყველაფერზე ხელის მომწერია. მართლაც არაფერზე დაიხევს უკან, ოღონდ კი დელფინა გასრისოს.

ქალმა სწრაფად გადაფხრიწა წერილი და წამებში ნაკუწებად აქცია, სამაგიეროდ, სხვა ქაღალდი აიღო და წითელი, ბურთულიანი კალმით, რომლითაც წერილები არასდროს დაუწერია, მსხვილი ბეჭდური ასოებით, რომ არავის ეცნო მისი ხელწერა, შემდეგი ტექსტის წერა დაიწყო:

ყველამ იცის

ეს იყო და ეს. აქ შეჩერდა. სამი დღის შემდეგ კი, მას მერე, რაც შუქი ჩააქრო და დაწვა, უმალვე წამოდგა და საწერი მაგიდისკენ წავიდა, რათა დაეკუნჭა, დაეხია და სამუდამოდ გაექრო სიტყვები ყველამ იცის, მაგრამ ამის მაგივრად, მაგიდასთან არც კი დამჯდარა, უბრალოდ, დაიხარა, – ეშინოდა, რომ დავჯდე, გამბედაობას დავკარგავო – და კიდევ ათი სიტყვა შემატა წერილს, რაც ქოულმენს უნდა ჰყოფნოდა, რომ მიმხვდარიყო, გამომააშკარავესო. ანონიმურ წერილს მისამართიც დააწერა, დააწება და მარკაც დააკრა – მაგიდის ნათურა გამორთო და იმით კმაყოფილი, რომ ყველაზე ძლიერ და ეფექტურ მოქმედებაზე გადავიდა, რომელიც სიტუაციის მიერ ნაკარნახებ პრაქტიკულ შეზღუდვებს არ არღვევდა, საწოლს დაუბრუნდა მორალურად სავსებით კმაყოფილი და მშვიდი ძილისათვის შემზადებული.

მაგრამ მანამდე როგორმე უნდა დაეძლია გულისხმა, რომ არ ამდგარიყო და წერილი არ გადაეწერა – ძალიან ცოტა ხომ არ დავწერე ან შიში ხომ არ მემჩნევაო. იქნებ მეტისმეტი იყო?

ცხადია, ეს მისი სტილი არ იყო. არც მის რიტორიკას ჰგავდა. ამიტომაც მიმართა ასეთ ფორმას – ამ ვულგარული, მყვირალა და გამომწვევი ტონით ეჭვს მის გარდა ნებისმიერზე მიიტანდნენ. მაგრამ ასეთი ფორმით დაწერილი რომ ნაკლებად დამაჯერებლად გამოიყურებოდეს? უნდა ადგეს და ნახოს, იმ წუთის გავლენით ხელწერის შეცვლა ხომ არ დაავიწყდა, ან საერთოდ როგორ გამოიყვანა ასოები? უნდა დარწმუნდეს, შემთხვევით მის ავტორობას ხომ არ ადასტურებს რამე. თუმცა, დაე, ადასტურებდეს კიდეც. სახელიც კი უნდა მიეწერა. მთელი მისი ცხოვრება ქოულმენ სილქისთანებთან ბრძოლაა – ებრძვის ყველა იმ ადამიანს, ვინც სხვების თავის ჭკუაზე ტარებას ცდილობს. დიახ, მისნაირებთან საუბარი ეხერხება. არც უკან დაიხევს რამეზე, გინდ უფროსთან ჰქონდეს საქმე და გინდ უმცროსთან. იცის, როგორ არ უნდა უფრთხოდეს მათ ავტორიტეტსა და ვითომ სიბრძნეს. იცის, როგორ უნდა დაამტკიცოს, რომ ჭკუა მასაც უდევს თავში. ქედს არავისთან მოიხრის. თუკი რამეს დაასკვნის, რომელიც არ გაჭრის, შეუძლია ლოგიკის, ცივსისხლიანობისა და რწმენის მოხმობით კაპიტულაციის ცდუნებას სძლიოს და შეუპოვრად განაგრძოს კამათი, რომ ვერავინ მოაკეტვინოს. იცის, პირველ ნაბიჯს მეორე როგორ მიაყოლოს, ზეწოლას როგორ გაუძლოს და არ გატყდეს. ისიც იცის, თუ დასჭირდა, შემოვლითი გზით როგორ იაროს დასახულ მიზნამდე. ქოულმენი იქნება თუ სხვა ვინმე, ქედს არავის მოუხრის. მართალია, თავის დროზე მან მიიღო სამსახურში, მაგრამ ახლა ხომ აღარ არის დეკანი. კათედრასაც ის კი არა, თვითონ უდგას სათავეში. დეკან სილქს ახლა ნულის ფასი აქვს. ჰოდა, უნდა გახსნას კონვერტი და სახელიც მიაწეროს. ნულის ფასი აქვს. დამამშვიდებელი წყევლასავით კი ჟღერს.

ეს დაწებებული კონვერტი არაერთ კვირას ატარა ჩანთით, – მოვაწერო ხელი თუ ხელმოუწერლად გავუგზავნოო, იჭყლეტდა ტვინს. მაინცდამაინც ის ქალი ჰყავს ქოულმენს ნაპოვნი, ვისაც წინააღმდეგობის გაწევის უნარი არ გააჩნია. წელში გატეხილი გასაცოდავებული ქალი მას რას დააკლებს. ის ხომ ინტელექტუალურად არც კი არსებობს. მაინცდამაინც იმას მიაგნო, ვინც ინტელექტუალურად მასზე რამდენიმე ნაბიჯით დაბლა დგას და თავის დღეში წინააღმდეგობა არავისთვის გაუწევია, – მიაგნო, რათა დაემორჩილებინა, დაემონებინა, გამონახა ორი ნათელზე ნათელი მიზეზით: რადგან ქალები

მდაბალ არსებებად მიაჩნია და მოაზროვნე ქალები კი შიშის ზარს სცემენ. რადგან მე საკუთარი აზრის დაფიქსირება არ მერიდება, რადგან ვერაფრით შემაშინა, რადგან წარმატებებს ვაღწევ, რადგან დამოუკიდებლად ვაზროვნებ, რადგან უმაღლესი კლასის განათლება მაქვს მიღებული, რადგან უმაღლესი დონის დისერტაცია მაქვს დაცული...

მერე, ნიუ-იორკში ჯექსონ ფოლოქის გამოფენაზე ჩასულმა, ხელჩანთიდან ამოაძვრინა წერილი და ასე ხელმოუწერლად, ავტობუსიდან ჩამოსვლისას, ლამის გაჩერებაზე დამონტაჟებულ პირველივე საფოსტო ყუთში ჩააგდო. მეტროში ჩასვლისას ისევ ხელში ეჭირა, მაგრამ მატარებლის დაძვრასთან ერთად მიავიწყდა კიდეც, უკანვე ჩაიდო ჩანთაში და მიწისქვეშა ტრანსპორტის სიმდიდრეზე მიეცა ფიქრებს. ნიუ-იორკის მეტრო წინანდებურად აოცებდა და აღელვებდა, პარიზის მეტროში კი მსგავსი შეგრძნება არ ეუფლებოდა. ნიუ-იორკელ მგზავრთა მელანქოლიური სახეები უფრო უმტკიცებდა რწმენას, რომ სწორად მოიქცა, ამერიკაში რომ ჩამოვიდა. ნიუ-იორკის მეტრო იყო გამოხატულება იმისა, რატომაც ჩამოვიდა – არ უნდოდა სინამდვილეს დამალვოდა.

ფოლოქის გამოფენამ ემოციურად ისე აღავსო, რომ ერთი გამაოგნებელი სურათიდან მეორეზე გადასვლისას სიდიადის ისეთი ჟIნი მოეძალა, მხოლოდ ავხორცობის მანია რომ შობს და როდესაც ერთ-ერთ დამთვალიერებელ ქალს მობილური აუწკრიალდა, თან სწორედ იმ დროს, როდესაც სურათის «ნომერი 1A, 1948» მძლავრი ქაოსი სივრცის იმ ნაწილისკენ მიისწრაფოდა, რომელიც შარშან, გუშინ და ამ კონკრეტულ დღესაც მხოლოდ და მხოლოდ მისი სხეული იყო, დელფინა ისე განრისხდა, რომ შეტრიალდა და უყვირა: «მადამ, სიამოვნებით მიგახრჩობდით ახლა!»

ამის შემდეგ ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკას მიაკითხა ორმოცდამეორე ქუჩაზე. იქაურობას ყოველ ვიზიტზე სტუმრობდა ხოლმე. დადიოდა მუზეუმებში, გალერეებში, ესწრებოდა კონცერტებს, უყურებდა ფილმებს, რომელთა ჩატანასაც ვერასოდეს დააყენებდნენ საშველს შტატგარეშე დარჩენილ «ათინაში», და ბოლოს, რა მიზნითაც უნდა ყოფილიყო ამ ქალაქში ჩასული, ორიოდ საათს მაინც გამონახავდა, რომ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გაეტარებინა თან მიტანილ ამა თუ იმ წიგნზე თავდახრილს.

აგერ, კითხულობს. დროდადრო დარბაზს ავლებს თვალს. აკვირდება. აქაური მამაკაცები სულ ოდნავ თუ იქცევენ მის ყურადღებას. პარიზში ერთ-ერთ ფესტივალზე ფილმი «მარათონელი» ჰქონდა ნანახი (არადა, ვინ გაიგებდა, რომ კინოდარბაზებში ემოცია ისე ერეოდა, რომ ტირილსაც კი იწყებდა ხოლმე). ფილმში გოგონა სტუდენტად ასაღებს თავს და ნიუ-იორკის ბიბლიოთეკაში ატარებს დროს, სადაც დასთინ ჰოფმანის გმირს ხვდება. როცა რომანტიკული განწყობა ეუფლებოდა, სულ ეს ადგილი ახსენდებოდა ხოლმე. თუმცა მას აქ არავინ გაუცნია, თუ სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტს არ ჩავთვლით, ძალიან ახალგაზრდასა და პირტიტველს, რომელსაც რაღაც სისულელე დასცდა. მან აქცენტზე მიანიშნა, რითაც დელფინასთვის მყისიერად აუტანელი გახდა. ამ ბიჭუნას ცხოვრებისა არაფერი გაეგებოდა. თავი მის ბებიად იგრძნო. მის ასაკში იმდენი სიყვარული ჰქონდა განცდილი, იმდენი რამ ჰქონდა გადატანილი და გადავიწყებული... ოცისას, ანუ მასზე ახალგაზრდას, უკვე ორი სასიყვარულო დრამა ჰქონდა გადატანილი. მისი ამერიკაში ჩამოსვლაც ხომ ერთგვარი გაქცევა იყო სიყვარულისგან (სცენიდანაც, რომელზეც მეორეხარისხოვანი როლი ერგო გაჭიანურებულ სპექტაკლში სახელწოდებით «და ა.შ». – სპექტაკლში, რომელშიც დედამისის კრიმინალურად წარმატებული ცხოვრება იყო დომინანტი). აი, ახლა ეულია, მინდვრის თაგვივით მარტო, გასაცნობად ვარგისი მამაკაცი კი ჯერ ვერ უპოვია.

სხვები კი, ვინც საუბარს გაუბამდნენ, ზოგჯერ მისაღებსაც ამბობდნენ, რაღაც ირონიულსა და სახალისოსაც, რათა როგორმე დაეინტერესებინათ, მაგრამ მერე – იმის გამო, რომ ახლოდან უფრო ლამაზი აღმოჩნდებოდა ხოლმე დელფინა, ვიდრე ერთი შეხედვით ეგონათ, საუბარში კი მეტისმეტად გულზვიადი ასეთი ტანმომცრო ქალისთვის – შეცბუნებული და დამცირებული იყვნენ. დელფინას ჩრდილის მიყენება ნებისმიერისთვის შეეძლო. ისინი კი, ვინც თვალებით დაუწყებდნენ ჭამას, დელფინა მუდამ თავ-თავიანთ ადგილს მიუჩენდა ხოლმე. აი, კითხვაში გართულები, საოცრად გაფანტულები და აღმაფრთოვანებლად სასურველნიც კი... ისინიც კითხვაშივე რჩებოდნენ ჩაძირულნი. მაშ, ვისღა ეძებდა? ადამიანს, რომელიც ამოიცნობდა. დიდ ამომცნობს.

* * *

დღეს ფრანგულად იულია კრისტევას კითხულობს, – შესანიშნავ ტრაქტატს მელანქოლიაზე, – მეზობელ მაგიდასთანაც ახალგაზრდა ბატონია მოკალათებული და ასევე ფრანგულად ეცნობა, აბა, თუ გამოიცნობთ ვის წიგნს? ფილიპ სოლერსის – ქრისტინას ქმრის წიგნს. სოლერსის გიჟმაჟობას უკვე სერიოზულად ვეღარ უდგება, როგორც წინათ, ინტელექტუალური განვითარების ადრეულ ეტაპზე აღიქვამდა ხოლმე; თამამი ფრანგი ავტორები, განსხვავებით თამამი აღმოსავლეთევროპელი ავტორებისგან, ვთქვათ, კუნდერასგან, მას უკვე ვეღარ აკმაყოფილებენ. მაგრამ ამ სამკითხველო დარბაზში ეს როდია მნიშვნელოვანი. აქ მთავარი დამთხვევაა, ავბედითი დამთხვევა. თავის მშფოთვარე, მწყურვალე მდგომარეობაში ათას რამეს ფიქრობს ამ კაცზე, სანამ თვითონ კრისტევას კითხულობს და არა მხოლოდ გაცნობის გარდაუვალობას, არამედ რომანის უეჭველობასაც გრძნობს. ამ მუქთმიან, ორმოცი-ორმოცდაორი წლის მამაკაცში იმ სერიოზულობას ხედავს, რომელსაც ათინაში ვერ იქნა და ვერ შეხვდა. მისი შემხედვარე – როგორ კითხულობს, როგორ ზის და მის იმედს ფრთების გაშლაში როგორ ეხმარება უნებლიეთ – მხოლოდ იმას გრძნობს, რომ რაღაც ამბავი იბადება.

ამბავიც იწყება: კაცს გოგონა უახლოვდება, – დიახ, გოგონაა, დელფინაზე ახალგაზრდაც კი ეთქმის, – და დაწყვილებულნი გადიან დარბაზიდან, რის შემდეგაც ჩვენი პროფესორი თავის გუდა-ნაბადს აიკრავს, გარეთ გადის და პირველივე საფოსტო ყუთთან ჩანთიდან იმ წერილს იღებს, რომელიც თვეზე მეტი თან ატარა და ისეთივე მრისხანებით აგდებს ყუთის ნაპრალში, როგორითაც ფოლოქის გამოფენაზე უთხრა უცნობ ქალს, სიამოვნებით მოგახრჩობდიო. აჰა, გაგზავნილია! ესეც ასე! გადასარევი!

მთელი ხუთი წამი დასჭირდა, რომ დაშვებული შეცდომის გრანდიოზული სიმძიმე დასწოლოდა მხრებზე და ლამის მუხლები მოეკვეთა. «ღმერთო!» ხელის მოუწერლად და მისთვის უჩვეულო, ვულგარული რიტორიკის გამოყენებითაც კი არა აქვს არავითარი გარანტია, რომ წერილის ავტორობას ვერ დაადგენენ, მით უმეტეს, ქოულმენ სილქისთანა ადამიანი, რომელიც ასეა ჩაციებული.

ახლა კი სილქი აღარასოდეს მოეშვება.

4. ეს ვინ მანიაკმა მოიგონა?

იმ ივლისის შემდეგ ცოცხალი ქოულმენი ერთხელღა ვნახე. თავად არასდროს მოუყოლია ჩემთვის კოლეჯში მისვლისა და სტუდკავშირიდან თავის ვაჟთან, ჯეფთან, დარეკვის ამბავი. კოლეჯში მისი მისვლის შესახებ მისივე ძველი მეგობრისგან, ჰერბ ქიბლისგან, გავიგე, რომელსაც თავისი კაბინეტის ფანჯრიდან შემთხვევით შეემჩნია კამპუსში შემავალი, თუმცა ქოულმენის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში ოდნავ გადათქვა და ნორთ-ჰოლის კედელთან, ჩრდილში მდგარი დავინახეო, ასე მოიხსენია. თან დასძინა, ჩემთვის უცნობი მიზეზით თითქოს ჩასაფრებული იყოო. ზარის შესახებ კი ჯეფის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან გავიგე, რომელმაც დაკრძალვაზე მისი საუბარი გაიხსენა და ცოტა გაუტიაო, ასე შეაფასა მამამისის რეაქცია. ქოულმენის ნელსონ ფრაიმუსთან შეხვედრის ამბავი კი, რომელიც ასევე მისი გაფიცხებით დასრულებულიყო, ადვოკატისგან შევიტყვე. ამის შემდეგ აღარც ფრაიმუსს და აღარც ჯეფს ქოულმენთან დიალოგი აღარ ჰქონიათ. ქოულმენი აღარც მათ და აღარც ჩემს ზარებს აღარ პასუხობდა – და როგორც შემდგომ გაირკვა, თურმე არავის პასუხობდა საერთოდ, ბოლოს ავტომოპასუხეც კი გამოერთო: რომ ვურეკავდი, ზარი გადიოდა გაუთავებლად.

მაგრამ მთელი ეს დრო შინ იყო. ამას იქიდან მივხვდი, რომ აგვისტოს დასაწყისში, დაკავშირების ორკვირიანი უშედეგო მცდელობის შემდეგ, საღამოს პირზე მის სახლთან მივედი მანქანით. უკვე ბინდი იყო. სახლში სულ რამდენიმე ნათურა ჰქონდა ანთებული და როგორც კი ძველ, ტოტებგაფარჩხულ ნეკერჩხლებს გავუსწორდი, ძრავა გამოვრთე და მოასფალტებულ გზაზე, ტალღოვანი ბორცვის ძირას, მანქანაში მყოფმა, მიყურადება და თვალთვალი დავიწყე, შეფიცრული სახლის ღიად დატოვებული შავ-თეთრდარაბებიანი ფანჯრებიდან ჩემამდე აშკარად მოაღწია საცეკვაო მუსიკის ჰანგებმა – ისევ ის პროგრამა გადიოდა რადიოს მოკლე ტალღაზე, შაბათსაღამოობით რომ უშვებდნენ ხოლმე, რაც ქოულმენს სტინა პალსონსა და სალივან-სთრითზე მდებარე ნახევარსარდაფის ტიპის ოთახს ახსენებდა ომის შემდგომ

წლებში. სახლში იყო, თან მარტო არა – ფაუნიასთან ერთად – ერთიმეორეს იცავენ სხვებისაგან და იმავდროულად, ერთიმეორეშივე მოიცავენ ამ სხვებსაც. ცეკვავენ, რა გასაკვირია, რომ შიშვლებიც იყვნენ, – განცდილი განსაცდელის მიღმა, მიწიერი ჟინის არამიწიერ სამოთხეში, სადაც თავიანთი ცხოვრების მთელ ჭირ-ვარამს ხორციელი თანაყოფის დრამად აქცევენ. ფაუნიას სიტყვები მომაგონდა ამ დროს, ქოულმენისგან მქონდა მოსმენილი, ერთ-ერთი სანთლის შუქით განათებული საღამოს დამლევს რომ გაჟღერდა, როდესაც გრძნობდნენ, რომ მათ შორის ბევრი რამ ხდებოდა. ქოულმენს ეთქვა: «ეს სექსზე მეტიაო», რაზეც ფაუნიას ეპასუხა: «არა, ეტყობა, სულ დაგვიწყებია, სექსი რას ნიშნავს. სხვა რამედ ნუ წარმოიდგენ ამ ურთიერთობას, თორემ სულ წაახდენო».

ნეტავ ახლა რანი არიან? ალბათ, საკუთარი თავის უმარტივესი ვარიანტები. ერთადერთობის კვინტესენცია. ყველაფერი მტკივნეულ ვნებაშია გადაწრთობილი. იქნებ სულაც არ ნანობენ, რომ ყველაფერმა ასეთი სახე მიიღო და არა სხვაგვარი. მეტისმეტად ღრმაა მათი ზიზღი ამისათვის. რაც კი რამ სიმძიმე ბორკავდა მათ, ყველაფერი მოიცილეს მხრებიდან. ამქვეყნად არა ადარდებთ, გარდა ამ სიახლოვისა და არაფერი ასე არ დრეკს მათ სიძულვილს სიცოცხლისადმი. ვინ არიან საერთოდ ეს ერთიმეორისგან მკვეთრად განსხვავებული ადამიანები? ვინაა ეს ორი ადამიანი, ასე გაუაზრებლად რომ შეჰკავშირებია ერთმანეთს სამოცდათერთმეტი და ოცდათოთხმეტი წლის ასაკში? ისინი თავად იმ უბედურებას წარმოადგენენ, რომელსაც მიეკუთვნებიან. დედიშობილა ცეკვა თომი დორსის ორკესტრისა და ახალგაზრდა ფრენკ სინატრას მსუბუქი მისამღერების ფონზე დაღუპვისკენ აღებული გეზია. ყოველი ჩვენგანი ხომ საკუთარ აღსასრულს თავისებურად ასრულებს; ეს ორნი კი ასე ასრულებენ. იქნებ დროულად გავჩერებულიყავითო, დარწმუნებული ვარ, აზრადაც არ მოსდით. საქმე მოთავებულია.

მარტო მე არ ვუსმენ გზაზე ამ მუსიკას.

* * *

რაკი ზარებზე აღარ მპასუხობდა, ვიფიქრე, ქოულმენს ჩემთან ურთიერთობა აღარ უნდა-მეთქი. მაგრამ რაღაც მაინც არ იყო ისე, როგორც მეგობრობის უეცარი შეწყვეტის დროს ხდება ხოლმე – მით უფრო, თუკი ეს მეგობრობა ახალი დაწყებულია, – თავი ვიგრძენი დამნაშავედ, ვფიქრობდი, ან რამე დამცდა, ან უბრალოდ ჩემმა პიროვნებამ გააღიზიანა და იმედი გაუცრუა-მეთქი. ქოულმენი ხომ, თავის დროზე, როგორც გახსოვთ, თავად მომადგა სახლში, თან სრულიად უსაფუძვლოდ იყო დარწმუნებული, რომ კოლეჯის მიერ მისი მეუღლის მკვლელობის შესახებ წიგნის წერის საქმეში ჩამითრევდა; თუმცა, იმავდროულად, არა მგონია, ნდომებოდა, რომ მწერალს მის პირად ცხოვრებაში ეფათურებინა ხელები. მხოლოდ ის შემიძლია ვივარაუდო, რომ ფაუნიასთან ურთიერთობის დეტალების დაფარვაში ის უფრო მეტ აზრს ხედავდა, ვიდრე ვინმესთვის გულის ხელახლა გადაშლაში.

ცხადია, მე მაშინ მის წარმოშობაზე სიმართლე ვერ მეცოდინებოდა – დაკრძალვისასღა გავიგე – და ვერც მივხვდებოდი, რომ ამიტომ არ ვიცნობდით ერთმანეთს აირისის სიკვდილამდე, რომ სულაც არ სურდა გამოცნაურება, რადგან ისთ-ორინჯიდან რამდენიმე მილში ვიყავი გაზრდილი და რაკი ადგილებიც კარგად მახსოვდა, შემეძლო კირკიტი დამეწყო და მისი ნიუჯერსული ფესვებისთვის მიმეკვლია. იქნებ მეც ერთ-ერთი ის ებრაელი ბიჭი აღმოვჩენილიყავი, მოზარდობისას დოქტორ ჩიზნერის კრივის კლასში რომ დადიოდა. ჰო, მართლა, იმ კლასში მეც მივლია, ოღონდ ორმოცდაექვს და ორმოცდაშვიდ წლებში, როდესაც სილქი ჩიზნერს უკვე აღარ ეხმარებოდა ჩემნაირებისთვის დგომის, გადაადგილების და დარტყმის სწავლებაში, რადგან უკვე ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო.

მე სწორედ იმ დროს დამიმეგობრდა, როდესაც თავის «მოჩვენებებს» თხზავდა და სიმართლე გითხრათ, ძალიან სულელურად მოუვიდა, როდესაც გული გადამიშალა. თუნდაც სამოცი წლის შემდეგ მასში იმ შავკანიანი ბიჭის ამოცნობა მაინც შეიძლებოდა, სკოლის ფრიადოსანთა შორის პირველი რომ იყო და მოყვარულ მოკრივედ გამოდიოდა მორთონ-სთრითის ვაჟთა კლუბში. შუა ზაფხულში ჩემთან კავშირის გაწყვეტა კი სავსებით გონივრული იყო, თუმცა მიზეზები მე იმ დროს არ ვიცოდი.

* * *

ახლა კი ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის შესახებ გიამბობთ. აგვისტოს ერთ შაბათ საღამოს მარტოობით დაღლილი თანგლვუდში წავედი მეორე დღეს გასამართი კონცერტის ღია რეპეტიციაზე დასასწრებად. ქოულმენის სახლის მონახულებიდან კარგა ერთი კვირაც გასულიყო, მაგრამ მე არა მხოლოდ ის მაკლდა, არამედ საზოგადოდ ადამიანური ურთიერთობის ნაკლებობაც მახსენებდა თავს – ჰოდა, მეც გადავწყვიტე, რაკი ხმის გამცემი არავინ მყავდა, საღამოს იმ მცირერიცხოვან პუბლიკაში გავრეულიყავი, რომელიც ასეთ რეპეტიციებზე მეოთხედ ადგილს მაინც იჭერს, – ვგულისხმობ ღია ცის ქვეშ მოწყობილ საკონცერტო დარბაზებს, სადაც მელომანები და კონსერვატიულად განწყობილი ჩამოსული სტუდენტები არიან, მაგრამ მეტწილად მაინც მოხუცი ტურისტები ჭარბობენ სასმენი აპარატებითა და ბინოკლებით ხელმომარჯვებულნი, რაც ბერქშირში ავტობუსით ერთი დღით აქვთ ჩამოტანილი და «ნიუ-იორკ თაიმზის» გადაფურცვლით იქცევენ თავს.

არ ვიცი, რატომ, იქნებ ჩემი საზოგადოებრივ არსებად ხანმოკლე გადაქცევით (ან ვითომ გადაქცევით), ან წამიერი შეგრძნების გამო თითქოს აქ შეკრებილი მთელი ასაკოვანი საზოგადოება მუსიკასთან ერთად ელოდა გაცურვას მხცითმოსილთა ლამის ხელშესახები, თუმცა შეზღუდული საცეკვაო მოედნიდან, – ამ საჩრდილობლიანმა საზაფხულო დარბაზმა, გვერდებიდან სრულიად ღიამ, ჰუძონის ოდესღაც შორს გატყორცნილი მისადგომები გამახსენა, რომელთაც ფოლადის ნივნივებზე დადებული სახურავი ჰქონდა: კაცი იფიქრებდა, რომ ერთ-ერთი ამ პირთაგანი, ჯერ კიდევ იმ დროს გვარიანად აღჭურვილი, საოკეანო ლაინერები პირდაპირ მანჰეტენთან რომ მიდიოდნენ, უზარმაზარი ზომის მიუხედავად წყლიდან ამოუგლეჯიათ და ჩრდილოეთით ას ოც მილზე გადაუტანიათო თანგლვუდის ტბაში – სხვათა შორის, დასაჯდომად მშვენიერ ადგილას, რომელიც მაღალი ხეებითა და ახალი ინგლისის შორეული გორაკებიანი პეიზაჟებით არის შემორაგული.

თავისუფალი სავარძლისკენ გზის გაკვლევისას – პირველ რიგში სულ რამდენიმე იდგა, რომელზეც არც არავინ იჯდა და

არც არაფერი იდო, – იმავე საკითხზე ვფიქრობდი: მაინც სადღაც მივცურავთ ერთად, თან არა მხოლოდ გავემგზავრეთ უკვე, არამედ მივედით კიდეც ადგილზე და თითქოს წარსულიც უკან მოვიტოვეთ... არადა, იმის მოსმენას ვაპირებდით, ბოსტონის სიმფონიური ორკესტრი როგორ გადიოდა რახმანინოვის, პროკოფიევისა და რიმსკი-კორსაკოვის რეპეტიციას. ფეხქვეშ აქ დატკეპნილი ყავისფერი მიწაა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ხმელეთზე ვართ: ზევით, საჩრდილობლის ქვეშ, ჩიტები სხდებიან, რომელთა ჟღურტულიც ნაწილებს შორის ჩამოვარდნილი სიჩუმის დროს ისმის, – მერცხლები და ნიბლიები, რომლებიც საქმიანად მოფრენილან აქ ტყიდან და უკანვე მიიჩქარიან – ნოეს კიდობნიდან კი რომელი ფრინველი გაბედავდა გამოფრენას? ატლანტიკიდან აქამდე სამი საათის გზაა, თუმცა მიმდინარე მოვლენის ორბუნებოვანობას მაინც ვერ დავაღწიე თავი: მე იქ ვიყავი, სადაც ვიყავი, და იმავდროულად, დანარჩენ ასაკოვანებთან ერთად დავიძარი რაღაც იდუმალი წყლის მისტერიისკენ.

როცა ამ გაცურვაზე ვფიქრობდი, ნეტავ ოდენ სიკვდილი მაგონდებოდა? სიკვდილი და ჩემი თავი? სიკვდილი და ქოულმენი? თუ სიკვდილი და ხალხის ეს თავყრილობა, რომელთაც ჯერ კიდევ შესწევთ იმის ძალა, სიამოვნება იგრძნონ ამ საზაფხულო ტურიზმით და თან ზედმეტი ჟინისგან თავისუფალი იყვნენ – ვგულისხმობ ცოცხალი ხორცისა და წითელი, თბილი სისხლისგან შემდგარ ხალხის მასას, ადამიანების თავყრილობას, – საერთოდაც განცალკევებულია თავდავიწყებისგან ცხოვრების სიფრიფანა ფენით?

ჩემი მისვლა და რეპეტიციისწინა პროგრამის დასრულება ერთი იყო. ორკესტრანტთა ცარიელი სკამების წინ ხაკისფერ შარვალსა და სპორტულ ზედატანში ჩაცმული მკვირცხლი ლექტორი იდგა და მოსალოდნელ მუსიკალურ ნომრებს წინასწარ აცნობდა მსმენელს, მაგნიტოფონზე კი რახმანინოვის ფრაგმენტებს უკრავდა და მისი «სიმფონიური ცეკვების» «ბნელ, რიტმულ ხარისხზე» გვიამბობდა სიხარულით. როგორც კი გამოსვლას მორჩა და მხურვალე ტაშიც დაიმსახურა, კულისებიდან დამხმარე გამოვიდა, დაფდაფებს ზეწრები ააცალა და პიუპიტრებზე ნოტების გაწყობა დაიწყო. სცენის შორეულ ნაწილში ორი არფიანი გამოჩნდა, მათ უკან ლექტორივით ჩაცმული მუსიკოსები გამოჩნდნენ და მშვიდი

საუბრით დაიწყეს თავის შექცევა: ჰობოისტს კაპიუშონიანი რუხი თბილი პერანგი ეცვა, ორ კონტრაბასისტს გახეხილი ლევისები, მათ უკან მევიოლინეები მოჰყვნენ – ქალებიც და კაცებიც, – რომელნიც, ჩაცმულობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომელიღაც ბანანის რესპუბლიკის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ. როდესაც დირიჟორმა სათვალე გაიკეთა (მოწვეული გახლდათ – რუმინელი იყო, ასაკში შესული, სერჯიუ კომისიონა ერქვა, თეთრი თმის ბუჩქი მაღალ საყელოზე გადმოეყარა, ფეხზე ლურჯი სანდლები ეცვა). ბავშვურად გულღია პუბლიკამ მის დანახვაზე კიდევ ერთხელ დასცხო ტაში და ამ ხმაურში უცებ ქოულმენსა და ფაუნიას მოვკარი თვალი – გასასვლელისკენ მიიკვლევდნენ გზას და ორ თავისუფალ ადგილს ეძებდნენ.

მუსიკოსები მშვიდი დამსვენებლებიდან მძლავრ და იმავდროულად, ხათრიან მუსიკალურ მანქანად გადაქცევამდე თავ-თავიანთ ადგილებზე დასხდნენ და ინსტრუმენტების აწყობას შეუდგნენ, ამასობაში კი მაღალმა, თხელსახიანმა ქერა ქალმა და მასზე ბევრად ასაკიანმა, სანდომიანმა, თუმცა კი შესამჩნევად ტანდაბალმა ჭაღარა მამაკაცმა სპორტული ნაბიჯით რომ მიიწევდა წინ, ორი თავისუფალი სავარძელი დაიკავეს და ჩემგან სამი რიგით წინ და ოციოდე ფუტით მარჯვნივ მოხვდნენ.

რიმსკი-კორსაკოვის ნაწარმოები ჰობოებმა და ფლეიტებმა მელოდიურ ზღაპრად ააჟღერეს, რამაც მსმენელზე წარუშლელი კვალი დატოვა; როგორც კი ორკესტრმა ბოლო აკორდები აიღო, ხანში შესულმა პუბლიკამ ბავშვური გულწრფელობით იხუვლა და ტაში დასცხო. მუსიკოსებმა ადამიანური მისწრაფებებიდან ყველაზე ნორჩი და უზაკველი ამოასურათეს, – ის, რისკენაც მივისწრაფვით, თუმცა კი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობდი ჩემი ნაცნობისა და მისი შეყვარებული ქალის შემხედვარე, რაც ასპროცენტიან წინააღმდეგობაში მოდიოდა იმ წარმოდგენებთან, რაც თავდაპირველად დამეუფლა, როგორც კი ქოულმენმა ჩემთან შეხვედრებზე უსიტყვო უარი თქვა. ნეტავ რა იყო აქ უჩვეულო ან სამყაროს კონტექსტიდან ამოვარდნილი? სრულიად თავდაჭერილი ადამიანების შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, განსაკუთრებით, ფაუნია, რომლის ქანდაკი სახე, ტიპური იანკისთვის დამახასიათებელი, ნებსით თუ უნებლიეთ, პატარა, სარკმლებიან, მაგრამ უკარო

ოთახს მახსენებდა. ვერავინ იტყოდა, რომ ცხოვრებაზე დამდურებული იყვნენ, რადგან არც შემტევი მზერა ჰქონდათ და არც თავდაცვითი იერი. ფაუნია რომ მარტო მოხვედრილიყო აქ, შესაძლოა, არც ასე გამბედავად ყოფილიყო და ვერც ბუნებრივად დაეჭირა თავი, მაგრამ ქოულმენის გვერდით გარემოსა და თავის თანმხლებთან სრულ უნისონში იმყოფებოდა. სასოწარკვეთილ წყვილს სულაც არ ჰგავდნენ – პირიქით, უფრო შინაგანად ამაღლებულ-კონცენტრირებული სიმშვიდის პატრონებს მოაგონებდნენ მნახველს, რომელთაც სრულიად არ ადარდებთ, რა სახისა და რაოდენობის ფანტაზიას აღუძრავდნენ მნახველს.

ნეტავ წინასწარ თუ ჰყავდა შემზადებული ფაუნია, როგორ უნდა მოქცეულიყო საზოგადოებაში? თუ ასეა, უსმენდა კი ქოულმენს? ან საერთოდ, რად უნდოდა ინსტრუქტირება? ან თანგლვუდში მისი მოყვანა რამ გადააწყვეტინა? უბრალოდ, მუსიკის მოსასმენად მოიყვანა? თუ იმისათვის, რომ ცოცხალი მუსიკოსების დაკვრა ეჩვენებინა? აფროდიტეს ეგიდით, პიგმალიონის სახით, თანგლვუდის გარემოში, კლასიკოსმა პროფესორმა ეს გარემოსთან შეუსაბამო არსება იმიტომ მოიყვანა, რომ მასში ცივილიზებული და კულტურული გალატეა შთაებერა? ნუთუ მის განათლებას შეუდგა, რათა ტრაგიკული უჩვეულობისგან ეხსნა? ნუთუ თანგლვუდი ის ადგილია, რომელიც ყველა გზას აცდენილმა უნდა გაიაროს? კი მაგრამ, ასე მალე მოყვანა ღირდა? ან ღირდა საერთოდ მოყვანა? ნუთუ ყველაფერი, რაც ერთად ყოფნისას გადაიტანეს, ბნელი და უხეში საიდუმლოებების ქვესკნელში იყო შობილი? ან კი რა საჭირო იყო ამ კავშირის მეტ-ნაკლებად ნორმის ფარგლებში მოქცევა და ხალხის ყბაში ჩავარდნა? გასაჯაროებით ზეწოლას შეამცირებდნენ, მაგრამ უნდოდათ კი ეს? ქოულმენს მაინც აძლევდა რამეში ხელს? ნუთუ დაოკების დრო არ დაუდგათ, თუ მათ აქ ყოფნას სულ სხვა დანიშნულება და სარჩული აქვს? იქნებ ეს ხუმრობაა ან გამოხდომა, ან დაგეგმილი პროვოკაცია? იქნებ ერთმანეთს შეჰღიმიან ეს ავხორცი არსებები ან უბრალოდ მუსიკას უსმენენ?

ანტრაქტისას, როდესაც სცენაზე პროკოფიევის მეორე საფორტეპიანო კონცერტისთვის როიალი შემოაგორეს, ქოულმენი და ფაუნია არ წამომდგარან წელის გასამართად, შესაბამისად, მეც ადგილზე დავრჩი. საჩრდილობლის ქვეშ, ცოტა არ იყოს, გრილოდა. უკვე შემოდგომის სიო უბერავდა,

ზაფხულისას არ ჰგავდა, თუმცა კი ზაფხულის მზე ისე კაშკაშებდა, რომ ტბასაც ანათებდა და მუსიკით დამტკბრებს სულსაც უთბობდა; გარეთ კი მეტწილად ახალგაზრდა წყვილები ისხდნენ – დედები და ბავშვები, ან ის წყვილები, რომელთაც კალათებიდან სასუსნავის ამოღება დაეწყოთ პიკნიკზე. ჩემგან სამი რიგის იქით ქოულმენს ფაუნიასკენ დაეხარა თავი და სერიოზულად ეუბნებოდა რაღაცას – რას ეუბნებოდა, ცხადია, მე ვერ გავიგე.

ჩვენ არაფერზე გვაქვს წარმოდგენა, ასე არ არის? ყველამ იცის... რატომ ხდება ის, რაც ხდება, თან ზუსტად ისე, როგორც ხდება? რა ლიანდაგზე მოძრაობს ანარქიულ მოვლენათა მატარებელი თავისი ბუნდოვანებით, კაზუსებით, არაერთიანობით, გამაოგნებელი უწესრიგობითურთ – ანუ იმ ყველაფრით, რაც ადამიანის ყოველდღიურობას გულისხმობს? არავინ იცის, პროფესორო რუ. თქვენი ყველამ იცის ერთი უბრალო კლიშეა და გამოცდილების გაბანალურებისკენ გადადგმული ნაბიჯი – ყველაზე აუტანელი კი ავტორიტეტულობა და ფორმალობაა, რომლითაც ამ კლიშეების მქონე ხალხი სარგებლობს. ჩვენ ის ვიცით, რომ კლიშეებს იქით არავინ არაფერი იცის. არც შეგვიძლია, რამე ვიცოდეთ. რა «ვიცით», ისიც არ ვიცით. განზრახვა? მოტივი? შედეგი? აზრი? გამაოგნებელია – რამდენი რამ ვიცით. უფრო მეტად გამაოგნებელი კი ის გახლავთ, რამდენ რამეზე გვგონია, რომ ვიცით.

მაყურებლები ადგილებს დაუბრუნდნენ, ამასობაში კი მე მულტიპლიკაციურად წარმომიდგა თვალწინ ის უხილავი მომაკვდინებელი სნეულება, რომელიც ყოველ ჩვენგანში ჩაბუდებულა: კეპიან ქუდებს შორის ტვინის სისხლძარღვები იგმანება, ჭაღარა თმის ქვეშ კი ავთვისებიანი სიმსივნეები ვითარდებიან, ორგანოები განილევა, ასობით მილიონი ავთვისებიანი უჯრედი აუცილებელი კატასტროფისკენ მიერეკება დარჩენილ ორგანოებს. ვეღარ გავჩერდი. უზარმაზარი სასჯელი, სახელად სიკვდილი, რომელიც არავის ინდობს. ორკესტრი, დამსწრენი, დირიჟორი, დამხმარენი, მერცხლები, ნიბლიები – თანგლვუდში მათი ოდენობა წარმოვიდგინე ჩვენს დროსა და ვთქვათ, 4000 წელს შორის. მერე კი ყველა მსოფლქმნაზე გადავამრავლოთ. უსასრულო დაღუპვა. და აზრი? ვინ ოხრის მოფიქრებულია ეს ყველაფერი? თუმცა, ეგ რა მაგისი პასუხია და, დღეს მართლაც კარგი ამინდი დაიჭირა. ამინდი კი არა, ნამდვილი საჩუქარია მასაჩუსეტსის ამ

დასასვენებელ-მოსასვენებელ ადგილას, რომელზე უმჯობესიც, ვგონებ, დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება.

ამ დროს ბრონფმანი გამოჩნდა. ბრონტოზავრი ბრონფმანი! მისტერ ფორტისიმო! გამოჩნდა და პროკოფიევის დაკვრას შეუდგა ისეთი ტემპითა და ყოყოჩობით, რომ ჩემმა ყველა სნეულმა ფიქრმა რინგი თავქუდმოგლეჯილმა დატოვა. მეტისმეტად ვეება აღნაგობა აქვს, ტორსი და ფართო მხრები, რომელსაც სასცენო სამოსი უფარავს, მაინც იმას აფიქრებინებს კაცს, რომ პირდაპირ ცირკიდან უნდა იყოს მოსული, სადაც ძალოსნის როლში გამოდის ხოლმე. ფორტეპიანო და გარგანტუელი? ეს ხომ სასაცილოა. ეფიმ ბრონფმანი როიალზე დამკვრელს კი არა, როიალის გადამტანს უფრო ჰგავს. აქამდე ინსტრუმენტზე მსგავსი შეტევა არ მინახავს. როდესაც ამ რუსმა ებრაელმა დაკვრა დაასრულა, ისეთი განცდა დამეუფლა, რომ როიალი გადასაგდები იყო უკვე. ბრონფმანმა სრულად დაიქვემდებარა ინსტრუმენტი და, ალბათ, მთელ შიგნეულობას გამოაყრევინებდა. სწორედ ასეთი განცდა მქონდა, როდესაც ადგა და წავიდა, ამოსუნთქვის საშუალება დაგვიტოვა. ხელი მხიარულად დაგვიქნია და თვალს მიეფარა, თან მთელი თავისი პრომეთესეული ცეცხლიც წაიღო, თუმცა ჩვენში ანთებული სიცოცხლე რატომღაც უქრობად გვეჩვენებოდა. არავინ კვდება, არავინ – სანამ ბრონფმანს ამ საკითხზე რამე ეთქმის!

მეორე ანტრაქტის დაწყებისას ქოულმენი და ფაუნია წამოდგნენ და გასვლა დააპირეს, მეც რაღა დამაყენებდა და მათ მივბაძე. შევიცადე, სანამ გაივლიდნენ, არ ვიცოდი, ქოულმენს როგორ გამოვლაპარაკებოდი ან – რაკი იმაზე მეტად არ ვჭირდებოდი, ვიდრე რომელიმე სხვა დამსწრეთაგანი, – ღირდა კი გამეცა ასეთ დროს ხმა? მაგრამ რომ მაკლდა? თან აშკარად. ბოლოს და ბოლოს, რა ვაწყენინე ასეთი? ეს მიზიდულობა, საჭიროება მეგობრისა ზუსტად ისევე გამომიმჟღავნდა, როგორც ჩვენი გაცნობის დღეს და ქოულმენის მაგნეტიზმმა, ხიბლმა, რომელსაც ჯეროვნად ვერასდროს ვხსნიდი, თავისი გაიტანა: მე თავი ვეღარ შევიკავე.

მოზუზუნე მწკრივში, რომელიც ნელა მიიწევდა მზით გაბრწყინებული მდელობისკენ, ოდნავ დამრეც აღმართზე, ქოულმენისა და ფაუნიასაგან ათიოდე კაცი თუ მაშორებდა; მან ფაუნიას ზურგზე მიადო ხელი და რაღაც გადაულაპარაკა,

აშკარად ისეთი რამ, რაც ქალმა არ იცოდა. საჩრდილობლიდან გამოსულები მდელობისკენ აუყვნენ, სავარაუდოდ, მთავარი გასასვლელისკენ, რომლის იქითაც მიწატკეპნილზე მანქანები იყო გაჩერებული. უკან მივიხედე და საჩრდილობლის ქვეშ ლამპებით განათებული რვა მშვენიერი ვიოლონჩელი დავინახე, რომლებიც გვერდულად დაეწყოთ. საიდან სადაო, მაგრამ ამ სურათმაც ჩვენს გარდაუვალ სიკვდილზე ამიშალა ფიქრები. ინსტრუმენტთა სასაფლაო? რაღა მაინცდამაინც სიკვდილთან ასოცირებული ადგილი, იქნებ ვეშაპების ან ზვიგენების კრებული ჯობდა?

ცოტა ხანს მდელობზე შევჩერდი, მზემ ზურგი გამითბო, მერე ჩემს ადგილს დავუბრუნდი რახმანინოვის მოსასმენად და უეცრად თვალი მოვკარი, უკან როგორ ბრუნდებოდნენ. ესე იგი, უბრალოდ გასეირნება ნდომებიათ და ქოულმენმაც, ალბათ, სამხრეთის წარმტაცი ხედები დაათვალიერებინა, ახლა კი სარეპეტიციო პროგრამის უკანასკნელი ნომრისთვის – «სიმფონიური ცეკვებისთვის» – პატივის მისაგებად ბრუნდებიან. ვიფიქრე, რაც იქნება, იქნება-მეთქი და მათკენ გავწიე, ისინი კი წინანდებურად ჩაკეტილი ჩანდნენ. ქოულმენს ხელი ავუწიე და ამ მისალმებით წინ გადავუდექი.

– მგონი, ხალხში დაგლანდეთ, – მითხრა ქოულმენმა, რაც ვერ დავიჯერე, მაგრამ მიმაჩნია, რომ უკეთესს იმ წამებში მაინც ვერაფერს მეტყოდა. გარდა დეკანის იერისა და ფხიზელი გამომეტყველებისა, გარეგნულად არაფერი დამჩნევია ჩემი უეცარი გამოჩენით. მშვიდად განაგრძო:

– აბა, როგორი იყო ბრონფმანი? ახლა ფაუნიასაც სწორედ ამას ვეუბნებოდი, ბრონფმანმა ამ როიალს ათი წელი მაინც ჩამოაკლო-მეთქი.

– მეც რაღაც მასეთი გავიფიქრე.

– ეს ფაუნია ფარლია, – მომმართა მე, მერე ქალს შეხედა, – ეს კი ნათან ცუკერმანი გახლავს. ფერმაში გყავთ ერთმანეთი ნანახი.

უფრო ჩემი სიმაღლისა ეთქმოდა, ვიდრე ქოულმენისა. პირხმელი, სწორნაკვთა სახე ჰქონდა. მზერით ვერაფერს მიუხვდებოდი. სახითაც არაფერ გადამწყვეტს არ გამოხატავდა. მგრძნობელობა? ნულოვანი. მსგავსი არაფერი მენახა. თუკი რამ მომხიბლავი ჰქონდა, ყველაფერი საწველ ნაკვეთურში დაეტოვებინა. აშკარად შეუძლია ისეთი სახე მიიღოს, თითქოს

საერთოდ არ არსებობდეს. რაღაცას თრგუნავს – ცხოველურს ან მხეცურს, ან იქნებ მსხვერპლის სახესაც.

ორივეს გაცრეცილი ჯინსები და მოკასინები ეცვათ. ფაუნიას პერანგზე მკლავები აეკაპიწებინა; ამ სამოსის მფლობელის ამოცნობა არ გამჭირვებია.

– ასე უნდა მომანატროთ თავი? – ვუთხარი ქოულმენს, – იქნებ ერთ რომელიმე საღამოს სადმე წავსულიყავით სამივენი და გვევახშმა? მე გპატიჟებთ.

– მშვენიერი აზრია. ძალიანაც კარგი. ასე მოვიქცეთ.

ფაუნიას ყურიც არ შეუბერტყავს. მზერა ხეების კენწეროებისთვის ჰქონდა მიპყრობილი. ფოთლებს სიო არხევდა, ის კი ისე უმზერდა მათ, თითქოს ელაპარაკებაო. უეცრად ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ რაღაც აშკარად აკლდა, რაღაც უბრალოდ არ გააჩნდა, ოღონდ მაინცდამაინც საუბრის წარმართვის უნარს არ ვგულისხმობ. რასაც მე ვგულისხმობდი, რომ შემძლებოდა, დავასახელებდი. არც გონებას ვგულისხმობ. არც თავდაჭერილობასა და არც წესიერებაზე მოგახსენებთ, რადგან ამ ნიღბის გაკეთება, ალბათ, არც გაუჭირდებოდა. არც სიღრმეზე ვამბობ – უამისობასაც არ განიცდიდა. არც შინაგანი სამყაროს ნაკლებობა ემჩნეოდა, პირიქით, საკმაოდ ბევრი რამეც უნდა ჰქონოდა სათქმელ-საფიქრალი. სულიერ სიჯანსაღეზეც ვერაფერს გეტყვით, რადგან საკმაოდ ჯანსაღად გამოიყურებოდა, თუმცა კი ამ ამაყი თავდაჭერილობის მიღმა განცდილ-გადატანილ ვაებაზე გამარჯვებაც ემჩნეოდა. მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად, რაღაც მაინც აკლდა, რაც საკმაოდ თვალში საცემი იყო.

მარჯვენა ხელის შუათითზე რძისფერი ოპალისთვლიანი ბეჭედი შევნიშნე. მივხვდი, ვისი ნაჩუქარიც იქნებოდა.

უტყვი ფაუნიასგან განსხვავებით, ქოულმენი ენამჭევრობდა – მომეჩვენა-მეთქი, ვერ ვიტყვი, რადგან ფაქტი სახეზე იყო. ვიცოდი, რომ ცოცხალი თავით ფაუნიას არც ჩემთან და არც ვინმე სხვასთან სავახშმოდ არ წაიყვანდა.

– «მადამასკა-ინზე» რას იტყვით? – ვთქვი მე, – გარეთ ვივახშმებდით.

ქოულმენი იმაზე უფრო დახვეწილი არასდროს მენახა, ვიდრე ამ ცბიერი პასუხის გაცემისას:

– «ინში»? მაგარია! ვივახშმოთ, აბა, რა! მაგრამ იქნებ ჯობდეს, რომ ჩვენ დაგპატიჟოთ? ნათან, მოდი, ეს საკითხი ოდნავ მოგვიანებით განვიხილოთ, – უცებ აჩქარდა, ფაუნიას ხელზე ხელი მოჰკიდა და თავით სავარძლებზე მიუთითა, – მინდოდა, ფაუნიას რახმანინოვი მოესმინა.

შეყვარებული წყვილი გამცილდა – «ქარს მისცეს თავი», – როგორც ქითსი იტყოდა.

ორიოდე წუთიც არ გასულა და იმდენი რამ მოხდა – ან იმდენი რამ მომეჩვენა, რამეთუ ცალკე აღებული, ფაქტობრივად, მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, – რომ საკუთარ სავარძელს აღარ დავბრუნებივარ, მთვარეულივით აქეთ-იქით დავიწყე სიარული. სრულიად უმიზნოდ გადავკვეთე მდელობი, სადაც აქა-იქ დამსვენებლები ისხდნენ, საკონცერტო საჩრდილობელს ნახევრად შემოვუარე და იქით გავწიე, სადაც ბერქშირის სამხრეთის თვალწარმტაცი ხედები იშლებოდა, რომლებიც სილამაზით, ალბათ, კლდოვან მთებსაც[47] არ უდებდა ტოლს. საჩრდილობლიდან რახმანინოვის რომანტიკული ცეკვების ჰანგებმა გამოაღწია, თუმცა ჩემი გონება თვალუწვდენელი სივრცეების იქით ქროდა, თითქოს მე ამ კლდეთა ნაოჭებში ვიყავი ჩამალული. ბუსნოზე ჩამოვჯექი – გაოცებული გახლდით და შთაბეჭდილებებში ვერ გავრკვეულიყავი. მისი საიდუმლო მაფიქრებდა. ამ ადამიანს, თითქოს ყველაზე დამაჯერებელი, სარწმუნო ემოციური ნახაზებით შექმნილს, ამ ძალას, ძალის სახით საკუთარი ისტორიის მქონეს, ამ კეთილისმსურველ-ცბიერ, საკმაოდ მომხიბვლელ, მიზანმიმართულ მამაკაცს მამაკაცთა შორის, ასე იყო თუ ისე, უშველებელი საიდუმლოთი ჰქონდა მხრები დამძიმებული. ეს როგორ დავასკვენი? ან საიდუმლო საიდან მოვიტანე? იქიდან, რომ ფაუნიასთან მისი დანახვა ისედაც ფარდას ხდიდა ამ საიდუმლოს. თუმცა, როცა მარტოა, მაშინაც იგრძნობა მისი საიდუმლო, რაც მისივე მაგნეტიზმშია ფესვგადგმული. მაგრამ ნაკლული რგოლი – აი, რა მიზიდავდა მასში, – ეს ისაა, რაც მას აკლდა და იმავდროულად, მიმზიდველსაც ხდიდა. ეს ნაკლული რგოლი მისი კუთვნილებაა, რასაც არავის უჩვენებს. მთვარესავით გვევლინება – ნახევრად ხილული. ბოლომდე ვერც მე ვჭვრეტ

მას. ნაკლული რგოლი არსებობს და ამას კარგად ვგრძნობ. სიცარიელე – აი, რას ვამბობ. ორივე მათგანს თითო სიცარიელე აქვს. ფაუნიასაც და ქოულმენსაც, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად მიწაზე მყარად მდგარი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, გარდა ამისა, ჯიუტი, მიზანმიმართული მებრძოლის, გოლიათი პროფესორისას, რომელმაც მრისხანედ გაიჯახუნა კარი, რათა განავლის სუნი აღარ ესუნთქა; თუმცა მასშიც მოიძებნებოდა ფუღურო ადგილი, სიცარიელე, მაგრამ კონკრეტულად რაში იყო ან რას წარმოადგენდა, აზრზე არ ვიყავი. არ ვიცი, არის კი ამ ხატოვან გამოცანაში, რომელიც მე სხვა ადამიანზე უცოდინარობას მაგრძნობინებს, სიმართლის მარცვალი მაინც.

მაგრამ უკვე სამი თვე იყო გასული, რაც ეს საიდუმლო შევიტყვე და წიგნის წერას შევუდექი, – წიგნის, რომლის დაწერაც თავად ჰქონდა ჩემთვის დავალებული, და ცხადია, მთლად ისე ვერ გამომდიოდა, როგორც მას ესიამოვნებოდა, – ჩემთვის აშკარა გახდა მათ შორის არსებული შეთანხმების ნეგატიური მხარე: ქოულმენმა თურმე ყველაფერი დაფქვა ფაუნიასთან. ფაუნიამ, ერთადერთმა მის სანაცნობო წრეში, მისი ნამდვილი წარმოშობა-წარმატების საიდუმლო იცოდა. მე საიდანღა გავიგე? არც არსაიდან. არც ეს და არც სხვა რამ არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე. ახლა, როცა ამქვეყნად აღარ არიან, დაწვრილებით რაიმეს ცოდნა წარმოუდგენელია. კარგია თუ ცუდი, მეც იმის გაკეთება მომიწევს, რასაც სხვები აკეთებენ ხოლმე, როცა ჰგონიათ, რაღაც ვიცითო. წარმოვიდგენ... წარმომიდგენია... ასეთი პროფესია მაქვს და რა ვქნა? ამის მეტი რაღა დამრჩენია.

* * *

მას მერე, რაც ლესი ვეტერანთა საავადმყოფოდან გამოეწერა და ურთიერთდახმარების ჯგუფს მიეკედლა, რათა მთლად არ გაეფრინა და გასაკოჭი არ გამხდარიყო, ლუი ბორერომ სტრატეგიული დავალება მისცა – კედელი ენახა, მომლოცველივით გამგზავრებულიყო კედლის სანახავად. თუ ვაშინგტონში აღმართულ ვიეტნამის ვეტერანთა მემორიალურ კედლამდე ვერ მიაღწევდა, მაშინ ფითსფილდში მოძრავი კედელი მაინც ენახა, რომელსაც ნოემბერში დგამდნენ ხოლმე.

ვაშინგტონი თავიდანვე გამოირიცხა, რადგან განაცხადა, ფედერალური მთავრობა ისე მეზიზღება, იქ ფეხის დამდგმელი არა ვარო; ეს სიძულვილი ოთხმოცდათორმეტის მერე უფრო გაუღვივდა, როდესაც თეთრ სახლში ეს ცბიერი და არაკაცი ჩასახლდა. თუმცა მასაჩუსეტსიდან ლესის ვაშინგტონში წაყვანა ძალით წათრევის ტოლფასი იქნებოდა, რადგან ამხელა გზებზე ავტობუსით ჯაყჯაყითაც დაქანცული იყო და სულიერადაც გადაღლილი.

მოძრავი კედლის სანახავად მომზადება ლუიმ ისევე დაგეგმა, როგორც ლესამდე ასობით ადამიანისთვის ჰქონდა დაგეგმილი, – ჩინური რესტორანი ოთხი-ხუთი ამხანაგის თანხლებით, თან რამდენჯერაც გახდებოდა საჭირო, იმდენჯერ უნდა მისულიყვნენ, – ორჯერ, ხუთჯერ, ათჯერ, თხუთმეტჯერ თუნდაც, სანამ ყველა კერძის დაგემოვნებას არ შეძლებდა წვნიანით დაწყებული და დესერტით დამთავრებული, თან სველი პერანგისა და აკანკალებული ხელის გარეშე, რათა კოვზი როგორმე მიეტანა პირთან, ყოველ ხუთ წუთში ჰაერის ჩასასუნთქად გამოუსვლელად და ტუალეტის კაბინაში ღებინების გარეშე, საიდანაც უარს არ განაცხადებდა გამოსვლაზე, – ცხადია, არც უნდა გაცოფებულიყო და ჩინელ მიმტანს საყელოში არ სწვდომოდა.

ლუი ბორერო კი, ვისთან გნებავთ, რომ დაკავშირებული არ ყოფილიყო; უკვე თორმეტი წლის გადაგდებული ჰქონდა ნარკოტიკი და წამლებზე იჯდა, ვეტერანების დახმარებას კი თვითთერაპიას უწოდებდა. მართალია, ოცდაათი წელიც გასულიყო და ვიეტნამის ვეტერანებიც მიმოფანტულიყვნენ, მაგრამ თავისი ფურგონით შტატის გზატკეცილებს ზომავდა დილიდან საღამომდე, ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების ჯგუფებს ედგა სათავეში, ყველა გაჭირვებულს ექიმს გამოუნახავდა ხოლმე და საჭიროების შემთხვევაში «ანონიმურ ალკოჰოლიკთა» შეკრებებზეც დაჰყავდა. მზად იყო, ყველას სატკივარი მოესმინა საოჯახო, ფინანსურ თუ სულიერ საკითხებზე; დაუზარებლად აძლევდა რჩევებს, ვისაც კი ვეტერანთა საქმეების მმართველობასთან პრობლემა შეექმნებოდა, რეგულარულად დაჰყავდა მსურველები ვაშინგტონის კედელთან.

ეს კედელი ლუისთვის ღვიძლი შვილივით იყო. ყველაფერს თვითონვე აკვარახჭინებდა: უკვეთდა ავტობუსებს, საკვების

საქმეს აგვარებდა, მეგობრულად ედგა ყველას მხარში, ვისაც კი ეშინოდა, ცრემლებად არ დავიღვაროო. ზოგს მუცლის ტკივილის შიში კლავდა, ზოგს გულის გაჩერებისა ეშინოდა. თავიდან ყველა უკან იხევდა და სასოწარკვეთილი გაიძახოდა: «არასგზით! კედელთან ფეხსაც არ მივადგამთ. რა, მივიდეთ და ნაცნობის გვარი ამოვიკითხოთ? არა! ჯობია, თავად წახვიდე. ვერ შეგვაცდენო». ლესმა კი ასე უპასუხა: «გგონია, არ ვიცი, წინა ვიზიტზე რა მოხდა? გგონია, ვერ გავიგე, რა სირობა გამოგივიდათ? ავტობუსი ოცდახუთი დოლარი დაუჯდა კაცს. ლანჩის ფულიც ამაში შედისო, კი გითქვამთ, მაგრამ ყველა იფურთხებოდა, საჭმლის გარდა ყველაფერი იყოო. ორი დოლარიც კი დაგენანებოდაო. იმ ჩემისას კი, ნიუ-იორკელ მძღოლს, თურმე მოცდაც არ ნებავდა. ასე არ იყო, ლუ? ადრე ნდომებია დაბრუნება, რომ ატლანტიკ-სითიში დაეხვია. მაგის დედაც! ხალხი ლამის ფეხით ატარა და მერე დამატებითაც მოითხოვა ჯიბის ფული. მე გამომრიცხე, ლუ. ასი წელი არაფერში მჭირდება. ჩემ თვალწინ რომ ვიღაცები ერთმანეთს ჩაეხვიონ და ცრემლების ღვრა დაიწყონ, გული ამერევა».

მაგრამ ლუმ კარგად იცოდა ამ გამგზავრების აზრი. «ლეს, დავიჯერო, დაგავიწყდა რომელი წელია? ათას ცხრაას ოთხმოცდათვრამეტი. მეოცე საუკუნე სადაცაა ხელს დაგვიქნევს, ძმაო. დროებას თვალი უნდა გაუსწორო. გასაგებია, რომ ყველაფერს ერთდროულად ვერ იზამ, ან ვინ გთხოვს ამას. მაგრამ პროგრამა, პროგრამაა, ძმაო. მოქმედების დროა. კედელი – მერე იყოს. უფრო მცირედით დავიწყოთ. ჩინური რესტორანიც იკმარებს დასაწყისისთვის».

მაგრამ განა ლესისთვისაც მცირედი იყო ასე დაწყება? მაშინაც კი, როდესაც ათინაში ცხოვრებისას ცოლთან ერთად მიდიოდა რამის საყიდლად, ფაუნიას გადაუშვებდა ხოლმე, თვითონ კი მანქანაში იცდიდა. შიგნით რომ შესულიყო და ყვითელკანიანები დაენახა, ყველას გადაცხრილვა მოუნდებოდა. «ისინი ხომ ჩინელები არიან, – უხსნიდა ფაუნია, – ვიეტნამელები კი არა». «მერე რა ჩემი სირის განსხვავებაა! წვრილთვალება წვრილთვალებაა! მაგათ დედასაც გავარტყი!»

თითქოს მთელი ოცდაექვსი წელი უძილობას არ ეწამებინოს, ჩინურ რესტორანში წასვლამდე მთელი კვირა თვალი არ მოუხუჭავს. ერთი ორმოცდაათჯერ მაინც გადაურეკა ლუის და უთხრა, ვერ წამოვალო, თან უმეტესად ღამის სამი-ოთხი

საათისთვის ურეკავდა. მაგრამ ლუი რუდუნებით უსმენდა, დროის მიუხედავად, თავს უქნევდა ხაზის მეორე ბოლოში და ზოგჯერ ეთანხმებოდა კიდეც თანაგრძნობის ნიშნად და სათქმელის ბოლომდე ამოთქმას აცლიდა... «უჰ-უჰ», – ამასღა ეუბნებოდა ხოლმე, მაგრამ საუბრის ბოლოს მაინც თავისი გაჰქონდა: «მხოლოდ ერთი დავალება გაქვს, იმდენ ხანს იჯდე, რამდენსაც მოახერხებ. მორჩა და გათავდა. რამაც უნდა დაგრიოს ხელი, სევდამ, რისხვამ თუ გაბოროტებამ, გახსოვდეს, რომ გვერდიდან არ მოგცილდებით, ოღონდ კი ეცადე, მეტხანს იჯდე და არსად გაიქცე». «მერე მიმტანები, ისინი ხომ, – თავისას გაიძახოდა ლესი, – იმ ჩემისებთან როგორღა დავიჭირო თავი? არა, შანსი არ არის, ვერ გავქაჩავ. ლუ, დამიჯერე, გავრეკავ». «ოფიციანტი ჩემზე იყოს, მე მივხედავ. შენ მარტო იჯექი და მეტი არაფერი ქნა». ლესის ნებისმიერ ჩივილზე, გინდა ის ეთქვა, მიმტანი შემომაკვდებაო, ლუი მშვიდად მიუგებდა ხოლმე, შენ მხოლოდ იჯექი და დანარჩენი ჩემზე იყოსო. თითქოს რამე განსხვავება იყოს ჯდომა-დგომაში, როცა თვალწინ მტერი გიტრიალებს!

ლუის ფურგონში ხუთნი ისხდნენ, როდესაც ლესის გამოწერიდან ორი კვირის თავზე, საღამო ხანს, ბლექუელში გაემგზავრნენ. ლუი ბორერო დედ-მამაც იყო და ძმა-ლიდერიც, თან მელოტი გახლდათ. წვერს მუდამ სუფთად გაპარსულს ატარებდა, კოხტად ჩაცმა უყვარდა, გაპიწკინებული სამოსი ეცვა ხოლმე, ვეტერანის კეპი ეხურა და ხელჯოხი ეკავა; დაბალი ტანისა იყო და პინგვინს წააგავდა ლამის ყელიდან დაწყებული ღიპისა და ვიწრო მხრების გამო, თან როგორ დაკელანობდა, – ძლივს დაიხლართებოდა – დაშავებული ფეხებით. მის გარდა ორი ახმახიც იყო, – ზედმეტს არ იტყოდნენ – ჩეთი, საზღვაო ძალების ყოფილი თანამშრომელი, სამჯერ განქორწინებული, მღებავი, კიკინიანი, მის სამივე ცოლს იმისთანა შიში ჰქონდა ნაჭამი, რომ ლამის ჭკუიდან შეცდნენ, და ფოცხვერა, ყოფილი მსროლელი, ცალი ტერფი ნაღმზე რომ დაეკარგა, ამჟამად ფირმა «მაიდას მაფლერში» მუშაობდა; მეოთხე – ლესი იყო, მეხუთე – სვიფთი. ეს უკანასკნელი უცნაური შესახედაობისა იყო, დისტროფიულის იერით, კბილები არ ჰქონდა, ცოტა შექანებული იყო და ასთმაც სჭირდა. გვარი სვიფთი ახალი აღებული ჰქონდა სრულიად კანონიერად. მაშინვე შეეცვალა, როგორც კი ფლოტიდან წამოსულიყო. მისი საქციელით ისე გამოდიოდა, თითქოს ბილ

გრინი, ჯო ბრაუნი ან ვინმე მსგავსი თუ აღარ ხარ საბუთებით, ყოველდილა საწოლიდან ბედნიერი უნდა წამოხტე და ცხოვრებით იხარო. ვიეტნამის ომის შემდეგ სვიფთი კანის, სასუნთქი გზებისა და ნერვული დაავადებების ყველა სახეობით დაიხუნძლა, ახლა კი სპარსეთის ყურეში მებრძოლთა სიძულვილი აწვალებდა, თან ისე აწვალებდა, რომ ლეს ფარლის გასაჭირი ამასთან სახსენებელიც არ იყო. მთელი გზა, როდესაც ლესს კანკალმა და გულისრევამ არ მისცა მოსვენება, სვიფთს, შეიძლება ითქვას, ენა არ გაუჩერებია. მისი ხიხინა ხმა ყველას ყურში ჰქონდა. «უდიდესი პრობლემა აქვთ იმ უდღეურებს – ნაპირზე ვერ გადადიან. ეტყობა, ქვიშა ეხამუშებათ. ქვეშაფსიები. ვაიმებრძოლები. აბა, ერთი ნაღდ დავალებაზე გაუშვან – ჩაისვრიან! ბოლომდე არ სჯერათ, რომ საქმეზე გაუშვებენ, თუ მართლა გაუშვეს, ხომ მორჩა მაგათი ბაირამობა. საქმე კი მართლა სხვაგვარად არის. ვერ ხვდებიან, რა არის ომი. ოთხდღიანი სახმელეთო ოპერაცია მაგათ ნამდვილი ომი ჰგონიათ. ნეტავ რამდენი ჰყავთ მოკლული? ქლიავები, სადამ ჰუსეინი კი ცოცხალია და... ერთი მოწინააღმდეგე ჰყავს მაგდენ სირს და იმისთვის ვერ მოუვლიათ. არა რა, ამის ატანა აღარ შემიძლია. თვითონ მაგ ჩემისებში კი არ არის პრობლემა, უბრალოდ, სირები არიან და მეტი არაფერი, ხელის გაუნძრევლად სურთ ფულის ჩაჯიბვა. ეტყობა, გამონაყარი აექავათ. იცით, რამდენჯერ მქონია გამონაყარი ნარინჯისფერი ნივთიერებისგან? მე სამოც წლამდე ვერ მივატან, ისინი კი რაღაც მქავანაზე დარდობენ!»

ჩინური რესტორანი ბლექუელის ჩრდილოეთ გარეუბანში მდინარისკენ ზურგით დგას, ქაღალდის ყოფილი ფაბრიკისკენ მიმავალ გზატკეცილზე. ბეტონის ბლოკებით ნაგები რესტორანი მიწისპირზეა, ვარდისფრად არის შეღებილი და წინიდან დიდი ფანჯრები აქვს. სანახევროდ აგურისფრად – მოვარდისფრო-აგურისფრად – შეუღებავთ. წინათ აქაურობას ბოულინგის სათამაშოდ იყენებდნენ. დიდ ფანჯარაში ნეონის მოციმციმე, ჩინურ ყაიდაზე დაკლაკნილი ასოებით «ჰარმონიის სასახლე» გამოუყვანიათ.

ლესისთვის ამ ნაწერის დანახვაც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რომ იმედის უმცირესი ნაპერწკალიც ჩაჰქრობოდა. ვერა, თავს ვერ გავართმევო, გაიფიქრა. ვერც დღეს და ვერც ხვალ. სულ მთლად გავუტევო, დაასკვნა ბოლოს.

მონოტონურად უმეორებდა ამ სიტყვებს თავის თავს და დიდ ძალისხმევას მიმართავდა, რომ შიში დაეძლია. სისხლის მდინარის გადაკვეთის ტოლფასი იყო მისთვის რესტორანში შესვლისას კართან მდგარი წვრილთვალება ნაბიჭვრისთვის აევლო გვერდი და მაგიდას მისჯდომოდა საჭმელად. მაგრამ ჯერ სადა ხართ – წინ კიდევ უარესი ელოდა, – ხელში მენიუმომარჯვებული წვრილთვალება მიმტანი. დაცინვას აღარ იკითხავთ? ეს ყვითელკანიანი, თვალებმოჭუტული ნაბიჭვარი თავისი ხელით უსხამს ჭიქაში წყალს. ჭიქაში წყალს! ეს წყალი მისი უბედურების გამომწვევი შხამი უფრო იყო. სრული ბოდვა, სრული აბსურდულობა – რესტორანში ყოფნისას აუტანელი ფიქრები მოეძალა.

– ყოჩაღ, ლეს, მშვენივრად გიჭირავს თავი. ყოჩაღ! – გაამხნევა ლუიმ, – ასე განაგრძე. მშვენივრად ართმევ თავს. მოდი, ახლა მენიუს მივხედოთ, მენიუს და მეტს არაფერს. აბა, გადაშალე და წვნიანებიდან აირჩიე რომელიმე. ახლა მხოლოდ ერთი რამ გევალება: აირჩიო რომელიმე წვნიანი. თუ გაგიჭირდება, ჩვენ აგირჩევთ. აქ მშვენიერი ვონტონებიანი[48] სუპი აქვთ.

– დედამოტყნული მიმტანი, – კბილებში გამოცრა ლესმა.

– მიმტანი არ არის, ლეს. მფლობელია, ჰენრი ჰქვია. ჯობია, წვნიანს მივხედოთ. ჰენრი აქ ყველაფერს უძღვება. რამე რომ არ აირიოს, ხომ უნდა მეთვალყურე. სხვა საქმეებში არ ერევა. აბა, რა ქენი, შეარჩიე რამე?

– თქვენ რაღას შეჭამთ, ბიჭებო? – კითხვითვე მიუგო ლესმა. ხედავთ, ამ დრამის უღრანიდან თავის დაღწევა და ყურადღების სხვა საკითხზე გადატანაც მოახერხა.

– ვონტონებს, – უპასუხეს თანამესუფრეებმა.

– კარგი. ვონტონები იყოს.

– მშვენიერია, – ჩაერთო ლუი, – ახლა მეორე კერძიც ავირჩიოთ. გავიყოთ თუ თითო დავათოხლაოთ? ლეს, მთელ ულუფას მოერევი თუ გებევრება? ჰე, მიდი, რას ირჩევ? ქათმის ხორცს, ბოსტნეულს თუ ღორის ხორცს? იქნებ ლო მეინი[49] გინდა? ლო მეინი ატრიით.

ლესმა იფიქრა, მოდი, ვცდი, იქნებ გამომივიდესო.

– კაი, ბიჭები რას იღებენ?

– ზოგი ღორის ხორცს, ზოგიც ძროხისას...

– ჩემთვის სულერთია!

სულერთი იმიტომ არის, რომ თვითონ თითქოს სხვა პლანეტაზეა და იქიდან უკვეთს ამ ჩინურ კერძს. თითქოს ეს ყველაფერი მირაჟია.

– ღორის ხორცის ორმაგი სოტე? ლეს, ორმაგი სოტე! მშვენიერია. ახლა კი, ლეს, ყურადღება მოიკრიბე: ჩეთი ჩაის დაგისხამს. წინააღმდეგი ხომ არა ხარ? ძალიან კარგი.

– ოღონდ ნაბიჭვარი მიმტანი არ ჩაეჩხიროს საქმეში.

რადგან გვერდითი მხედველობით რაღაც მოძრაობა შენიშნა.

– მოიცათ, მოიცათ! – გასძახა ლესმა მიმტანს, – სერ, აქ ნუ მოხვალთ. ჩვენ თვითონ მოვალთ და ისე მოგცემთ შეკვეთას, თუ წინააღმდეგი არა ხართ. შეკვეთას თავად მოგიტანთ, თქვენ კი მოშორებით დარჩით.

მაგრამ მიმტანმა, ეტყობა, ვერ გაიგო და ისევ მათი მაგიდისკენ განაგრძო სვლა, ამ დროს კი ლესი წამოხტა და ავადმყოფ ფეხებზე დადგა.

– სერ! თავად მოგიტანთ-მეთქი შეკვეთას! თავად! გასაგებია? ჰოდა, დარჩით ადგილზე, – სამი-ოთხ ნაბიჯზე მიახლოებული მიმტანი იატაკში ჩალურსმულივით გაჩერდა, – აი, ეგრე იდექით, სერ. მშვენიერია.

«ჰარმონიის სასახლეში» ბნელოდა, გრძელი დარბაზის კედლები მაგიდებთან ცოცხალი მცენარეებით იყო მორთული. მაგიდების უმეტესობა ცარიელი იყო, დაკავებული მაგიდები კი იმდენად შორს, რომ საეჭვოა, იქ მსხდომთ რამე შეემჩნიათ იმ ინციდენტისა, რაც ხუთკაციან მაგიდასთან მოხდა. სიფრთხილის მიზნით ლუი ჰენრის ყოველთვის სთხოვდა ხოლმე, რომ მისი მხლებლებისთვის მოშორებით დაეთმო ადგილი. ასეთი შემთხვევა ხომ მათთვის პირველი არ იყო.

– მოიცა, ლეს, ეს პრობლემა უკვე მოგვარებული გვაქვს; მენიუ არაფერში გჭირდება. დადე მენიუ, ლეს. აბა, მარჯვენა ხელი გაუშვი. ახლა მარცხენა, ჰო, ასე! აი, ასე ჯობია, ჩეთ, დახურე მენიუ.

ჩეთი და ფოცხვერა, ეს ორი ახმახი, მრგვალ მაგიდასთან ლესს

გვერდებიდან უმშვენებდნენ მხარს. ლუის დღეს მათთვის სამხედრო პოლიციის მოვალეობა დაეკისრებინა, ასე რომ, კარგად იცოდნენ, რა უნდა ექნათ, თუკი ლესი აშარდებოდა. ლუი მის პირდაპირ დაჯდა, სვიფთი კი – ლუის გვერდით. თითქოს მამიკო შვილიკოს ველოსიპედზე ჯდომას ასწავლისო, ისეთი გამამხნევებელი ტონით გაუბა მან ლესს საუბარი:

– მახსოვს, პირველად რომ მოვედი აქ. დარწმუნებული ვიყავი, რომ საამქვეყნოდ აღარ ვვარგოდი. შენ კი მშვენივრად გამოგდის. პირველ ჯერზე მენიუც კი ვერ წავიკითხე. ასოები ირეოდა ერთმანეთში. ვფიქრობდი, ფანჯრიდან გადავუძახო-მეთქი. ბიჭებს ჩემმა გაყვანამ მოუწიათ, რადგან ადგილზე ვეღარ ვჩერდებოდი. აშარებას ბევრი აღარაფერი მაკლდა. შენ კი, ლეს, თვალი არ გეცეს და მართლა ჯიგრულად გამოგდის.

ლესს რომ საკუთარი ხელების კანკალის გარდა სხვა რამისთვისაც მიექცია ყურადღება, იმას შეამჩნევდა, რაზეც წინათ ვერც კი დაფიქრდებოდა: სვიფთი თითქმის არ ინძრეოდა. არ ინძრეოდა, არც ცქმუტავდა და არც წუწუნებდა. ლუისაც ეტყობა, ამიტომ ჰყავდა თან წამოყვანილი. მას ხომ ჩინურ საკვებთან გამკლავებაში ადამიანის დახმარება სხვაზე უკეთ შეეძლო. აქ, «ჰარმონიის სასახლეში», სვიფთს ყველაფერი იმაზე ცხადად ახსენდებოდა ხოლმე, ვიდრე სხვაგან სადმე. თუმცა სწორედ აქ ყველაზე რთული იყო მასში იმ ადამიანის დანახვა, რომელიც ამ ცხოვრების გზას ფეხით კი არ მიუყვება, არამედ ფოფხვითა და ფაფხურით. დიახ, სწორედ აქ იღვიძებდა ამ ავადმყოფ არსებაში ის, რასაც ოდესღაც გამბედაობას უწოდებდნენ.

– ყოჩაღ, ლეს! საკაიფოდ ართმევ თავს. ახლა კი, ჩემო ძმაო, დროა, ჩაისაც გაუსინჯო გემო, – უთხრა სვიფთმა და მერე ჩეთს მიუბრუნდა, – ჩეთ, ერთი ფინჯანი შეუვსე.

– მთავარია, ისუნთქო, – ურჩია ლუიმ, – აი, ასე. აი, ასე! ისუნთქე, ლეს. წვნიანი თუ ვერ გიპოვის გულს, ავდგებით და გავალთ. მაგრამ პირველი ჯერი ხომ უნდა გაგეკეთებინა და გადაგელახა. ღორის ხორცს თუ ვეღარ მოერევი, არც ეგაა პრობლემა. თუმცა, წვნიანს კი უნდა მოუგრიხო კისერი. მოდი, რამე პაროლი დავთქვათ, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში გამოვიყენებთ. ვიტყვით და წავალთ აქედან; მოდი, სიტყვა კოდი «ჩაის ფოთოლი» იყოს. მოკლედ, ამ სიტყვის თქმა და ჩვენი აქედან გაკრეფა ერთია, მოსულა? ოღონდ მაშინ თქვი,

როცა მართლა გაუსაძლისი გახდება გაძლება.

გარკვეულ მანძილზე მიმტანი გამოჩნდა სინით ხელში, რომელზეც ხუთი თეფში ეწყო წვნიანით. ჩეთი და ფოცხვერა წამოხტნენ, მიეგებნენ, წვნიანით სავსე თეფშები გამოართვეს და მაგიდასთან მიიტანეს.

ლესს უკვე მოუნდა ეთქვა, «ჩაის ფოთოლი» და აედო დარბაზიდან. მაშ, რაღამ შეუკრა ფეხები და რაღას უჯდა? უნდა დაეხვია, აეცვა სასწრაფოდ.

გულში იმეორებდა: «ავუდო, ავაცვა აქედანო», მაგრამ თავს ძალა დაატანა და წარმოიდგინეთ, წვნიანსაც კი გაუსინჯა გემო. ნელ-ნელა კუჭშიც ჩაუშვა ეს ბულიონი. «ავაცვა» – ამ სიტყვით მიმტანსა და მეპატრონეს ანეიტრალებს, მაგრამ კედელთან მდგარ მაგიდასთან მჯდომ ქალებს ვერაფერს უხერხებს. ქალები ბარდას ჩურჩნიან და გამოჩურჩნილს ქვაბში ყრიან. ისინი ათიოდე ნაბიჯში მაინც სხედან, მაგრამ ლესმა მათი იაფფასიანი ტუალეტის წყლის სურნელი იგრძნო, რომელიც თავიანთ ყვითელ ყურებზე აქვთ წაცხებული. ეს სურნელი მისი ნესტოებისთვის სველი, ნესტიანი მიწის სუნივით მკვეთრია. ეს ის ბუნებრივი, გადამრჩენი უნარია, რომლითაც ბუნებამ დააჯილდოვა და რომლის წყალობითაც არაერთხელ გადარჩენილა ტანდაუბანელი სნაიპერის მიახლოებისას, როცა ეს უკანასკნელი ვიეტნამის უსიერ ჯუნგლში ცდილობდა, უჩუმრად მიახლოებოდა და ტყვია დაელევინებინა. დიახ, მახვილი ყნოსვა ჰქონდა, მაგრამ ამ უნარმა ახლა ისე გააღიზიანა, რომ მაგიდასთან მჯდომ ქალებს ადგილზევე დაკლავდა. ნეტავ დიდხანს ისხდებიან კიდევ ასე? ორივე ახალგაზრდაა. ორივე წვრილთვალა ნაბიჭვარია. ნეტავ რას ჩამოსხდნენ და დიასახლისობენ? ააცვას! მაგრამ რომ ვერც ინძრევა – მთელი ყურადღება ამ ყვითელკანიან არსებებზე აქვს გადატანილი.

– რატომ სხედან ის ქალები მაგიდასთან? – ლესი ლუის ეკითხება, – აღარ მორჩებიან? სანამ არ დაიხოცებიან, ასე უნდა ისხდნენ? მთელი საღამო მაგათ უნდა ვუყურო? რაღას უსხედან-მეთქი? იქნებ დამავალოთ და გამირკვიოთ? იქნებ შეაწყვეტინოთ როგორმე, – ხმას აუწია ლესმა.

– დამშვიდდი, ლეს, – უთხრა ლუიმ.

– მეტი რაღა დავმშვიდდე? უბრალოდ, ის მაინც გამაგებინა,

სადამდე უნდა ავიტანო მათი ცქერა? ან რატომ არავინ მიხედავს? შეაწყვეტინოს ვინმემ! შეუძლებელია თუ რა?!

ლესის ხმა ყვირილამდე აიწია. მისი შეჩერება ქალების შეჩერებაზე იოლი არ ჩანდა.

– ლეს, რესტორანში ვართ. ისინი უბრალოდ ლობიოს არჩევენ.

– ბარდაა, – შეუსწორა ლესმა, – ბარდაა-მეთქი!

– ლეს, წვნიანისთვის პირი არ დაგიკარებია, არადა, სადაცაა მეორე კერძს მოიტანენ. ჯერ სუპი მიირთვი, მერე მეორე თავი და მორჩა. ღორის ხორცის სოტე და თავისუფალი ხარ. ცოტა სოტესაც გაუსინჯავ გემოს და წინ აღარაფერი გეღობება.

– ეს სუპი ყელში ამომივიდა.

– ყელში ამოგივიდა? – გაიოცა ფოცხვერამ, – რა, პირს აღარ დააკარებ?

მოახლოებული უბედურებით ყოველმხრივ შემოჯარულია – დაუსრულებლად ხომ ვერ გააგრძელებენ წამების ვახშმად გადაქცევას, – როგორც იქნა, ამოღერღა:

– წაიღეთ.

ამ დროს მიმტანმა ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს ცარიელი თეფშები უნდა აეღო.

– არა! – იღრიალა ლესმა და ლუი ისე წამოხტა, როგორც ლომების მომთვინიერებელი ცირკში. ლესი დაიძაბა, თითქოს შეტევისთვის ემზადებაო, ლუიმ კი მომთვინიერებლის ჯოხის აქნევასავით უჩვენა მიმტანს, ადგილზე დარჩიო.

– ნუ მიეკარებით, – უთხრა მიმტანს, – დარჩით, სადაც დგახართ. თეფშებს ჩვენ თვითონ მოგიტანთ.

ქალებმა ბარდის გამოჩურჩვა შეწყვიტეს – ასე რომ, ლესს ნამდვილად აღარ მოუწია, ამდგარიყო, მისულიყო მათთან და გასაგებად აეხსნა.

აქ უკვე ჰენრიც ჩაერთო. ეს ტანადი, გამხდარი, მოღიმარი ჰენრი, ჯინსის შარვალსა და სპორტულ ფეხსაცმელში გამოწყობილი, მეპატრონე რომ ჰქვია და წყალიც რომ დაუსხა, კარიდან რომ თვალს არ აცილებდა. ახლაც იღიმის, მაგრამ თან

უკვირდება, რაც საფრთხის შემცველია. გასასვლელს ღობავს. უნდა მოსცილდეს კარს.

– ყველაფერი მშვენივრად არის! – გასძახა ლუიმ ჰენრის, – უგემრიელესი საჭმელია. თითებს ჩაიკვნეტს კაცი. უფრო ხშირად უნდა გესტუმროთ ხოლმე, – მერე მიმტანს მიმართა, – როგორც გეუბნებით, ისე მოიქეცით.

ჯოხი დაუშვა და დაჯდა. ჩეთმა და ფოცხვერამ დაცარიელებული თეფშების აკრეფას მიჰყვეს ხელი; ერთმანეთზე დაალაგეს და მიმტანს სინზე დაუწყვეს.

– აბა, ვისი რიგია? – კითხულობს ლუი, – ვინ გაიხსენებს კიდევ აქ თავის პირველ მოსვლას?

ჩეთმა უარყოფის ნიშნად გადააქნია თავი, ფოცხვერა კი ლესის წვნიანის სვლეპას შეუდგა.

ამჯერად მიმტანი სამზარეულოს გამოსასვლელში შეამჩნიეს და სანამ ეს წვრილთვალა დებილი ისევ მაგიდისკენ დურთავდა თავს, ბიჭები უცებ წამოხტნენ და მაგიდიდან მოშორებით შეეგებნენ.

აი, საჭმელიც მოიტანეს და წინ დაუდვეს. საჭმელი კი არა, აგონიაა. ლო მეინი – საქონლის ხორცი კრევეტებით. მუ გუ გაი პანი – საქონლის ხორცი წიწაკით. ღორის ხორცის სოტე. ნეკნები, ბრინჯი. ბრინჯის აგონია. ორთქლის აგონია. აგონია სუნებით. და ეს ყველაფერი იხსნის დაღუპვისგან? ახლანდელი ლესი ჭაბუკ ლესთან უნდა დააკავშირონ? ეს სიზმარი უკვე მეათასეჯერ მაინც აქვს ნანახი: გაუტეხელი ყმაწვილი ფერმაში.

– მაგრად გამოიყურება!

– გემო უფრო მაგარი აქვს!

– ჩეთმა გადმოგიღოს თეფშზე თუ თავად გადაიღებ, ლეს?

– არ მშია.

– ეგ არაფერი, – უთხრა ლუიმ. ჩეთმა კი ლესს თეფშზე დაუხვავა საჭმელი, – მერე რა, თუ არ გშია? შეთანხმება აღარ გახსოვს?

– მეტისმეტია, ბიჭებო, – უთხრა ლესმა, – უნდა ავაცვა აქედან. მართლა გეუბნებით: უნდა დავახვიო! მორჩა, მეტი აღარ

შემიძლია. იცოდეთ, ჩემს თავზე პასუხს აღარ ვაგებ. მორჩა უკვე რა! ხომ მითხარით, როცა გინდა, წახვალო. ჰოდა, მივდივარ.

– სიტყვა-კოდი რომ არ გამიგონია, ლეს, – დაანამუსა ლუიმ, – ასეთ შემთხვევაში უნდა დავრჩეთ.

ხელები ისე უკანკალებს, ლამის სახსრებიდან ამოუცვივდეს. ბრინჯსაც კი ვერაფერს უხერხებს. ყველაფერი ეყრება ჩანგლიდან, ისე ცახცახებს.

და, ღმერთო დიდებულო, საიდან სადაო, უცებ ოფიციანტი ეცხადება წყლით სავსე დოქით. თითქმის მიწიდან ამოძვრაო, ლესთერის ზურგს უკან გაიჩითა, ოღონდ ეს უკვე ახალი იყო, წინას არ ჰგავდა. ნახევარი წამიც და, ლესი, ალბათ, ყელში სწვდებოდა და წყლიან დოქს ფეხებში აუფეთქებდა.

– სდექ! – აყვირდა ლუი, – უკან დაიხიეთ!

ორივე წვრილთვალება ქალმა იწივლა.

– არ უნდა წყალი! – ფეხზე წამოხტა და ისე იღრიალა, ჯოხიც აიქნია; ქალებმა, ალბათ, იფიქრეს, ლუიმ გააფრინაო. თუ მართლა ასე იფიქრეს, მაშინ არ სცოდნიათ, ნამდვილი გაფრენილი რა არის. წარმოდგენაც არ ჰქონიათ.

სხვა მაგიდებთანაც რამდენიმე კაცი ადგა, ჰენრი კი გაიქცა და ჩუმად ეცადა ვითარების ახსნას, მაგრამ ყველა მაშინვე არ დამჯდარა. მეპატრონემ განუმარტა კლიენტებს, რომ მოჩხუბრები ვიეტნამის ომის ვეტერანები არიან და როცა უნდა გამოჩნდნენ მის დაწესებულებაში, თავის პატრიოტულ ვალად მიაჩნია გულთბილი მასპინძლობა გაუწიოს და მათ ალიაქოთზეც დახუჭოს თვალი.

რესტორანში სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა. ლესმა რამდენჯერმე აიძულა თავი, რამესთვის მაინც დაეკარებინა პირი, როცა ამ დროს დანარჩენებმა უკვე თეფშები მოასუფთავეს, მხოლოდ ლესის თეფშზე დარჩა საჭმელი.

– აბა, ვინ დაასრულა? – იკითხა ფოცხვერამ, – მეტს აღარ შეჭამ?

ამჯერად ისიც ვერ მოახერხა, წაიღეთო, ეთქვა. ეს ერთი სიტყვა რომ დასცდენოდა, ყველა, ვინც კი რესტორნის იატაკქვეშ იყო დაკრძალული, წამოდგებოდა და შურისძიებას განიზრახავდა.

ერთი სიტყვა და, ვისაც არ გინახავთ ამ სიტყვის თქმამდე რა მოხდა, ახლა ყველანი დაინახავდით.

რიგში ბედის კვერები იდგა, რაც ჩვეულებრივ ყველას უყვარს ხოლმე. კვერიდან პატარა ქაღალდის ნაგლეჯს იღებენ, სადაც ადამიანის მომავალი ბედი წერია – კითხულობენ, იცინიან, ხალისობენ, ჩაის სვამენ – აბა, ვის არ მოეწონება ასეთი ხალისობა? მაგრამ ლესი მაინც გაჰყვირის: «ჩაის ფოთოლი!» – და ადგილიდან წყდება. ლუი კი სვიფთს მიმართავს:

– მიდი, სვიფთი, გაქუსლე და დაეწიე. იცოდე, თვალი გეჭიროს. წამითაც არ მოაცილო. ჩვენ კი გადავიხდით და გამოვალთ.

უკანა გზაზე მანქანაში სიჩუმეა. ფოცხვერა დუმს, რადგან მაგრად არის გამაძღარი. ჩეთიც არ იღებს ხმას, რადგან გამოცდილებით იცის, ალიაქოთის გამოცდილებით, რომ მისნაირი მაჩანჩალასთვის დუმილი ოქროა, რომელიც რისხვას არ იწვევს. სვიფთსაც კლიტე ადევს პირზე; მწარედ დუმს, დამარცხებულივით შეუკრავს კრიჭა, რადგან რაც უფრო შორდება «ჰარმონიის სასახლის» ნეონის მოციმციმე წარწერას, საკუთარ გმირულ მოგონებებსაც სცილდება, რომლებიც იქ ყოფნისას ლამის წარსულ სიმამაცეს უბრუნებენ. სვიფთს ტკივილი უახლდება.

ლესიც უბრად ზის. ათი დღის უძილობის შემდეგ, როგორც იქნა, გაითიშა.

ლუიმ ყველა თავ-თავის ადგილებზე გადასვა მანქანიდან და მხოლოდ ლესიღა შერჩა, რომელმაც ეს-ესაა გაიღვიძა.

– ლეს! გესმის ჩემი? მშვენივრად გაართვი თავი. გესმის, ლესთერ? რომ დაგინახე, ოფლი გდიოდა წურწურით, ვიფიქრე, ჩემი ფეხები გამოუვა-მეთქი. ნეტავ შენი სიფათი დაგენახა. იცი, რა ფერი გედო? ვიფიქრე, მიმტანს სულს გააფრთხობინებს-მეთქი.

ლუის, რომელმაც ომიდან დაბრუნების შემდეგ პირველი ღამეები გარაჟში გათბობის ბატარეაზე მიბმულმა გაატარა (თორემ დის ქმარს მოკლავდა, იმის მიუხედავად, რომ მან ჯუნგლიდან ორიოდე დღის დაბრუნებულისადმი გულკეთილობა გამოიჩინა და შინ წაიყვანა), ლუის, რომელმაც სიფხიზლის საათებიც კი ისე დაგეგმა, რომ სხვათა პრობლემებისთვის შეელია და ვერავითარმა ეშმაკეულმა

განრისხებამ ვეღარ აიყოლია, ლუის, რომელსაც თორმეტწლიანმა სიფხიზლემ და სისუფთავემ, მრავალსაფეხურიანმა აღმდგენმა პროგრამამ და რელიგიური რიტუალივით დაურღვეველმა წამლების მიღებამ – შფოთის, დეპრესიის დამთრგუნველი თუ კოჭების, მუხლებისა და დუნდულების ტკივილის გამაყუჩებელი წამლებისამ, რომლებიც მეტწილად მუცლის გვრემასა და ფაღარათს იწვევდნენ, – საშუალება მისცა, შინაგანი ნაგავი გამოეხვეტა, რათა ადამიანებთან საერთო ენის გამონახვა აღარ გასჭირვებოდა, რათა, სულ ცოტა, მტკივანი ფეხების გამო მაინც აღარ ეგრძნო ჭკუიდან გადამყვანი სიმწარე – იმ ფეხებისა, რომლებითაც უნდა ეჩანჩალა ამ წუთისოფელში, მიუხედავად იმისა, რომ ფხვიერ ქვიშაში წელგამართულ დგომას უკვე ვეღარასოდეს მოახერხებდა, – სწორედ ამ ლუის ახლა ბაგეზე ღიმილი დასთამაშებდა.

– ვიფიქრე, შანსი აღარ აქვს-მეთქი. თუმცა, შევცდი. მარტო წვნიანის დროს კი არ იჯექი, იმ დედააფეთქებული ბედის კვერების მოტანამდეც კი გაქაჩე. იცი, მე რომელ მისვლაზე მივაღწიე კვერებამდე? მეოთხე მისვლაზე. პირველად ტრაკში წიხლების რტყმით გავიქეცი ტუალეტში და თხუთმეტი წუთის მერე ძალით გამოსათრევი გავხდი. სახლში რომ მივალ, იცი, ჩემს დედაკაცს რას ვეტყვი? ყოჩაღ ლესს-მეთქი! მაგარი ვინმე ყოფილა, ამდენს რომ გაუქაჩა-მეთქი.

მაგრამ როდესაც მეორეჯერ წასვლის დრო დადგა, ლესმა უარი განაცხადა.

– ის არ იკმარებს, იმდენი ხანი რომ ვიჯექი იქ?

– არა, საჭიროა, რომ რამე შეჭამო კიდეც, – აუხსნა ლუიმ, – წვნიანიც უნდა შეხვრიპო და მეორე კერძიც. იარე მიწაზე, ილაპარაკე, რაც კი აზრად მოგივა, მიირთვი, რაც მაგიდაზე დაინახო. ახლა სხვა მიზანი გვაქვს, ლეს.

– მეყო მიზნები. მე ჩემი მოვიხადე. ხომ არავინ მომიკლავს. ეს ცოტაა? – მიახალა ლესთერმა, მაგრამ ერთი კვირის თავზე ისევ «ჰარმონიის სასახლისკენ» მიმავალ გზას ადგნენ. იქ ისევ ის ადამიანები დაუხვდნენ, ისევ წყლის ჭიქა დაუდგეს, რესტორნის აზიელი ქალების კანიდან წამოსული იაფფასიანი ტუალეტის წყლის სურნელიც იქვე დაუხვდა – სურნელი ან სუნი, მათრობელა, მოტკბო, დამმუხტავი, წამიერი, რომლის

საშუალებითაც ლესს დათვლილ წამებში შეუძლია ნადავლის მოხელთება. მეორე ჯერზე უკვე ყველაფერი მიირთვა. მესამეზე – მიირთვა და შეუკვეთა კიდეც, თუმცა არც ამჯერად უშვებენ მიმტანს მაგიდასთან; მეოთხე ჯერზე კი მიმტანსაც დასდეს პატივი და მომსახურების ნება დართეს, – ლესი კი დამშეულივით ეცა კერძეულს, მუცელი აივსო, უნახავივით იქცევა.

«ჰარმონიის სასახლიდან» გამოსული ყველა მას შემოეხვია და ლამის ერთხმად გაიძახიან: «ხუთიანი!»; იმ დონეზე გახალისდნენ, რომ ჩეთი «სემპერ ფისს»[50] გაჰყვირის.

– შემდეგ ჯერზე, ლუი, – სიხარულით მკვდრეთით აღმდგარი ლესი ეუბნება ლუის, – შემდეგ ჯერზე უნდა მომთხოვო, რომ მომეწონოს კიდეც!

მაგრამ ახლა უკვე კედლის ჯერია. კედელზე ლესმა სახელი «ქენი» უნდა წაიკითხოს. არადა, არ შეუძლია. ერთხელ ეს სახელი ვეტერანთა სამმართველოში ნაპოვნ წიგნში ამოიკითხა. მას მერე მთელი კვირა ცუდად იყო, მაგრამ ვერც თავიდან ამოგდება მოახერხა ამ სახელისა. ქენი, მოჭრილ თავთან დასვენებული ქენი. გონებიდან არ ამოსდიოდა – რატომ მაინცდამაინც ქენი? რატომ ჩიფი? რატომ ბადი? რატომ ეს ბიჭები და არა თვითონ? ხანდახან ფიქრობს ხოლმე, მათ გაუმართლაო. მათთვის ხომ ყველაფერი დამთავრებულია. არა, შანსი არ არის, კედელთან მივიდეს. მაგარ ხათაბალად კი ექცა ეს კედელი. არც სურვილი აქვს, რომ მივიდეს, არც თავი და საერთოდაც არ უნდა, მორჩა. ნუღარ გაუტრაკებენ რა!

* * *

იცეკვე ჩემთვის.

უკვე ნახევარი წელია ერთად არიან და მხოლოდ ახლაღა, ამ საღამოს სთხოვს, იცეკვე ჩემთვისო და საძინებელ ოთახში კომპაქტ-დისკს რთავს. კომპოზიციას ჰქვია «ის, ვინც მიყვარს» – ართი შოუს არანჟირებით; საყვირის პარტია როი ელდრიჯისა. გულში ჩაკრულს კიდევ ერთხელ ეუბნება, იცეკვე ჩემთვისო, ხელებს უშვებს და საწოლის ბოლოს, იატაკზე მიუთითებს. ქალი უყოყმანოდ დგება იმ ადგილიდან, სადაც ქოულმენის

გარუჯული სხეულის სუნს ისუნთქავდა, იქიდან, სადაც კაცის შიშველ გვერდში ლამის მთლიანად ჰქონდა თავი ჩამალული, ენის წვერზე მისი სპერმის გემოს გრძნობდა, ხოლო ხელი მუცელს ქვემოთ გაზიპულ თმოვან ამონაზარდში შეეყო კაცისთვის. ფაუნია მამაკაცის მწვანე თვალების მწველ მზერას გრძნობდა, თვალებისა, რომელთაც გარს მუქი ფერის წამწამები შემოსჯარვოდნენ და დაქანცული ადამიანის მზერით კი არა, იმ მზერით უცქერდნენ, რომლითაც 1948 წელს მისჩერებოდნენ იატაკზე მოცეკვავე სტინას; ფაუნიას მთლად სტინასავით კეკლუცად ვერ გამოსდიოდა, მაგრამ მთავარი იყო, კაცისთვის ესიამოვნებინა და ამ სიამოვნებით თვითონაც კმაყოფილების გრძნობა დარჩენოდა; თავს უმეორებდა, ცეკვას რა უნდა, როგორმე მაინც გავართმევ თავს, თუკი ასე უნდაო. არა, ასეთი მოკრძალებულ-მოშვებული ცეკვა რად უნდოდა ქოულმენს, არამედ უფრო ბიწიერი, ღილების შეხსნით და ვნების მოგვრით. ფაუნიას შეუძლია, თან როგორ, თუმცა კი გაზაფხულის ყვავილობა აღარ იგრძნობა მასში და არც ქალწულებრივ თვითიდეალიზაციას ახდენს მისთვის ან საერთოდ ვინმესთვის. ქოულმენი ეუბნება, მიცეკვეო და ისიც პასუხობს, მაგას რა უნდაო. ამის თქმა და, მოძრაობას იწყებს, ქვედაკაბაზე ისე ისვამს ხელებს, თითქოს დაჭმუჭნილ კაბას ისწორებდეს, თითქოს ამოწმებდეს, რომ ყველაფერი ადგილზე აქვს: ძვლებიცა და ამობურცული ადგილებიც; საკუთარ სურნელს გრძნობს, ასე კარგად ნაცნობსა და შეთვისებულს. გრძნობს თითებიდან, რომელთაც საფეთქლიდან ყურებისკენ, იქიდან კი ლოყებზე ჩამოსმით ბაგეზე ისვამს, მერე საკუთარი ქერა, ჭაღარაშეპარული თმით იწყებს თამაშს, – თმით, რომელიც სასიყვარულო აქტის შემდეგ ასე გასჩეჩვია და გაზიპვია. თმით ისე ერთობა, როგორც წყალმცენარით, რომელიც ზღვის მარილითაა სავსე. და განა რთულია ამაში რამე? სულაც არა. წინ. მხურვალებისკენ. რაკი მას ასე სურს, ფაუნიაც დაათრობს, დაბანგავს და გააბრუებს. პირველად ხომ არ იქცევა ასე?!

ფაუნია გრძნობს ხოლმე, როდის იწყებს გაჩენას ეს – ეს ახალი კავშირი მათ შორის. საწოლის ბოლოსთან, იატაკზე, რომელიც მის სცენად ქცეულა, ის მოძრაობს მომხიბვლელად, თმადაუვარცხნელი და გაოფლილი ჯერ კიდევ პირველი წარმოდგენიდან. მოძრაობს ეს ქერათმიანი, ქათქათა კანის მქონე ქალი, – კანი იქ უქათქათებს, სადაც არ გარუჯულა ფერმაში, – შიშველ სხეულზე ათზე მეტი ნაიარევი ემჩნევა და

მუხლის თავიც პატარა ბავშვივით აქვს გადაქლეტილი, რადგან საძროხეში აუსხლტა ფეხი და დაეცა. საძოვრის მავთულის ღობის გადაწევა-გადმოწევისგან ხელ-ფეხი სულ პატარ-პატარა ნაკაწრებით აქვს სავსე. ხელისგულები გაუხეშებია და გასწითლებია, რადგან ღობის მინაბოჭკოვანი სექციის შეტრიალებაც ხშირად უწევს ხოლმე. წითელი სისხლჩაქცევისმაგვარი კისრის არეშიც ემჩნევა, რაც, ალბათ, ან ქოულმენის დამსახურებაა, ან რომელიმე საწველი ხელსაწყოსი; ბარძაყების შიდა მხარეს ჩალურჯებები და მოწითალო ნაკბენები ილანდება. ფაუნია ისევ მოძრაობს, ქოულმენი კი უკვე კარგად არჩევს მის ყოველ ნაკვთს, მთრთოლარე, რიტმულად მოძრავ კიდურებს, გრძელ, თხელ სხეულს, რომელშიც იმაზე ბევრად მეტი ძალაა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ხედავს მის გასაოცრად სავსე მკერდს, ხედავს, როგორ იხრება ეს ტანკენარი ქალი მისკენ. ქოულმენი გაუნძრევლად წევს დაჭმუჭნილ ზეწარზე, კეფის ქვეშ დასრესილი ბალიშების ტალღოვანი ნამქერი მოჩანს, თავი ქალის დუნდულებისა და მუცლის, მოძრავი მუცლის დონეზე აქვს, ამიტომაც დეტალურად ხედავს მისი სხეულის ყოველ ნაკვთს; უცქერის და ხვდება, რომ ქალი მის მზერას გრძნობს. მათი კავშირი მყარდება. ფაუნიამ იცის, რომ ქოულმენს გაუხარდებოდა, თუკი რამეს მოსთხოვდა მას. მისი აზრით, ქოულმენი მართლა მოხარული იქნებოდა, თუ ამ ცეკვა-ცეკვისას კაცს თავის საკუთრებაზე წაუყენებდა პრეტენზიას. მაგრამ რა საკუთრებაზე? რაზე და თავად ქოულმენის სხეულზე. კაცი თავს სთავაზობს ქალს. ეჰ, საკმაოდ რთული შეთავაზებაა, ყველა კი ვერ გადალახავს ამ წინაღობას, მაგრამ ცდად მაინც ღირს. და აი, ისედაც ფეხმაღალი, კენარი ქალი მწოლიარეს ზევიდან დასცქერის გამჭოლი მზერით და ძალაუფლების გადაცემაც იწყება. ფაუნიას სიამოვნებს, ამ ჰანგზე რომ ცეკვავს, სრულიად იმორჩილებს კაცს, საკმარისია, თითების ერთი გატკაცუნება – როგორც მიმტანს მოიხმობენ ხოლმე, – რომ ქოულმენი საწოლიდან გამოძვრება, გამოხოხდება და ფეხებს აულოკავს. ცეკვა კი მხოლოდ დასაწყისია – ქოულმენი მზადაა, გაფცქვნას და ხილივით გადასანსლოს. უკვე სრულიად გაუფერულდა ფაუნიას დამამცირებელი საქმიანობა, უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს, რომ არაერთხელ უთეთქვიათ, რომ კოლეჯის ტუალეტებს ხეხავს და სხვის ჩასვრილს თვითონ წმენდს, – სხვისი ნაგვის ხვეტა და მსგავსი სამუშაო კი ადამიანს

სასტიკსა და უგრძნობს ხდის და არავინ უთხრას ფაუნიას, დედამიწაზე ამაზე უზრუნველ-უპრობლემო საქმიანობა არ მოიძებნებაო. მაგრამ რეალურად ხომ ამ საქმეს აკეთებს. ფაუნია სულ სამი სამუშაოთია დაკავებული: აქედან ურთულესი ის ჯაბახანაა, რომლითაც ძლივს დაჯაყჯაყებს და ერთ კვირაში გაუხდება გამოსაცვლელი, შესაბამისად, იაფფასიანი მანქანის ყიდვა მოუწევს... ფერმაში კი, – იოლი სათქმელია, ძროხებს უვლისო, – მთელი ჯანი შეალია საქონლის მოვლას. ამას ჰქვია წელებზე ფეხის დადგმა. მაგრამ აგერ ისევ ოთახშია, მის წინ საწოლზე თითივით გაშიშვლებული ქოულმენი წევს – მამაკაცური ღირსება და ფლოტში გაკეთებული სვირინგი მოუჩანს. ოთახში სიმშვიდეა, ყველგან სიმშვიდეა, ფაუნიას ცეკვა კი მის მყუდროებას ნამდვილად არ არღვევს, არადა, მასაც ხომ კარგად მოხვდა ამ ცხოვრებისგან. ცოლი დააკარგვინეს, სამსახური დაატოვებინეს, რასისტი პროფესორი უწოდეს; ისე, ეს რასისტი პროფესორი რაღაა? რასისტ პროფესორად ხომ უცებ ვერ იქცევა კაცი?! რაკი ადამიანი გამოააშკარავეს, ესე იგი, მთელი ცხოვრება რასისტი ყოფილა. ეს ხომ არასწორად გადადგმული ნაბიჯი არ არის. გამოდის, თავიდანვე მავნებელი ყოფილა. ეს ეპითეტი მას შუბლზე ამოტვიფრული დამღასავით დაასვეს, მიუხედავად იმისა, რომ სიმართლის მარცვალიც არ ერია ამ ბრალდებაში. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ახლა ქოულმენი მშვიდადაა. ფაუნიას გამოსდის მისი დამშვიდება, ქოულმენს კი – ფაუნიასი. ეუბნება, ჩემთვის იცეკვეო, ქალი კი ფიქრობს, რატომაც არაო. იმედია, კაცი არ იფიქრებს, რომ ფაუნია ამას ყალბად აკეთებს. ასეც რომ იყოს, დაე, მანაც გაითამაშოს, თითქოს მთელი ქვეყანა თავისი ჰგონია. რატომაც არა? ცეკვა ხომ შეუძლია ფაუნიას... დაე, არასოდეს დაავიწყდეს ქოულმენს. ფაუნია კი ცეკვას განაგრძობს, დედიშობილა ცეკვავს, ტანს არაფერი უფარავს, თუ თითზე გაკეთებულ ოპალისთვლიან ბეჭედს არ ჩავთვლით, რომელიც ქოულმენისავე ნაჩუქარია. დიდი და ბევრი არც არაფერი ხდება, უბრალოდ, შუქანთებულში საყვარლის წინ ცეკვავს. არადა, რამდენი რამ აქვს კაცს გამოვლილი, ბავშვი ხომ აღარაა, რამდენი რამ უნახავს, თუმცა კი თავად ფაუნიას ამ ნანახ-გამოვლილთან მცირედი კავშირიც კი არა აქვს. მაგრამ ახლა ერთად არიან და ქოულმენი მის წინაშეა, როგორც მამრი მდედრის წინაშე. ქალი მას ეძლევა. ეს ცოტა როდია, თუმცა ამის მეტი არც არაფერი ხდება. მთავარია, შუქანთებულში

ტიტლიკანა ცეკვავს და კაციც დედიშობილა შესცქერის საწოლიდან. სხვა ყველაფერი მოსატანიც არ არის. აქ მხოლოდ უმარტივესი მოქმედება ვითარდება – მარტივი და ბუნებრივი. თუკი კაცი იმას იფიქრებს, აქ რაღაც არაჩვეულებრივი ხდება და ეს უბრალო კავშირზე მეტიაო, ყველაფერს ჩასვრის. ეს ორმხრივი დამოკიდებულება უნდა იყოს, თუკი კაცი არ იქნება ამ მარტივი, უბრალო კავშირის ერთი ნაწილი, მაშინ არც ქალი იქნება. მეტი არც არაფერი სჭირდებათ. არადა, ქოულმენს უკვე მოხარშულს იცნობს.

რაც გულში გაიფიქრა, ხმამაღლაც თქვა ფაუნიამ:

– იცი, ქოულმენ, უკვე მოხარშულს გიცნობ.

– მართლა? – ეკითხება კაცი, – ვაი, დედა, ახლა დაიწყება!

– მგონი, შენ ახლა იმას ფიქრობ, ღმერთი არსებობს თუ არა? იმაზეც ფიქრობ, მე რას ვაკეთებ ამ წუთისოფელში? რისთვის ვარ გაჩენილი? აი, ამისათვის. ანუ იმისათვის, რომ შენ ახლა აქ ხარ და მე შენთვის ვცეკვავ. რად გვინდა ახლა ზედმეტი, რომ შინაგანად სხვა ხარ, ან სხვაგან ხარ და ეგეთები. წარმოიდგინე, რომ ქალი ხარ და საწოლში წევხარ ქმართან ერთად, ოღონდ იმიტომ კი არა, რომ სიამოვნების გამო უნდა მისცე, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ასეა მიღებული. ან ვთქვათ, კაცი ხარ და ცოლს ჟიმავ, მაგრამ ფიქრობ, ნეტავ ახლა აქ ეს კი არა, ფოსტის დამლაგებელი მეწვესო.

ქოულმენმა ჩუმად გაიცინა.

– მერე, ამით მტკიცდება უფლის არსებობა?

– ამითიც თუ არ მტკიცდება, სხვა რამით ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

– მიდი, ცეკვა განაგრძე, – პასუხობს კაცი.

– როცა მკვდარი ხარ, – ეკითხება ქალი, – განა სულერთი არ არის, ვინ გყავდა ცოლად?

– ეგ მაშინაც სულერთია, როცა ცოცხალი ხარ. ცეკვა განაგრძე.

– აბა, რა არ არის სულერთი?

– ეს.

– ყოჩაღ, ბიჭი! – შეაქო ფაუნიამ, – სწავლობ უკვე.

– ეგ როგორ, გამოდის, შენ მასწავლი?

– ოდესმე ვინმეს ხომ უნდა ესწავლებინა?! დიახაც, მე გასწავლი. მაგრამ ისე კი მიყურებ, თითქოს ამის გარდა სხვა რამისთვისაც ვვარგოდე. მეტს ვერ გავქაჩავ. უბრალოდ აქ იყავი, ჩემთან. არსად წახვიდე. ყურადღება არ გაგეფანტოს. რასაც კი ისურვებ, ყველაფერზე მზად ვარ. ბევრჯერ უთქვამთ ქალებს ეს სიტყვები გულწრფელად? რასაც კი ისურვებ, ყველაფერზე მზად ვარ. იცოდე, ამისთანა რამ ხელიდან არ გაუშვა, ქოულმენ. არც გადააადგილო სადმე. ჩვენ ხომ მხოლოდ ამ მიზნით ვართ აქ. ხვალინდელისთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ყველა ხიდი გადამწვარია, მომავლისაც და წარსულისაც. საჯაროდ და საზოგადოდ ფიქრს მოეშვი. ნეტავ საერთოდ რას გვერჩის ეს დიდებული საზოგადოება? რად გვაქცევს? «შენ უნდა, უნდა უნდა...» ჯანდაბას მაგათი თავი. ვინც უნდა იყო და რაც უნდა აკეთო, მაინც ბოლოს მოგიღებენ. თუ მხოლოდ ცეკვაა საჭირო, შემიძლია განვაგრძო. თუ მეტს არაფერს გულისხმობ, რაზეა ლაპარაკი, ეს ხომ ჩვენი საიდუმლო მომენტია. ეს შენი დროის ნაწილია. მეტი არაფერი. იმედია, გამიგე.

– განაგრძე ცეკვა.

– ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი, – ეუბნება ფაუნია, – მე რომ აღარ მეფიქრა...

– რაზე აღარ გეფიქრა? – სათქმელი არ დაამთავრებინა ქოულმენმა.

– ბავშვობიდან ფეხაშვერილი ბოზი ვიყავი.

– ბავშვობიდან?

– ისიც სულ უმტკიცებდა თავის თავს, ჩემი კი არა, მისი ბრალიაო.

– მამინაცვალი?

– ჰო. იქნებ მართალიც იყო. მაგრამ შვიდი-რვა წლისას რა არჩევანი მქონდა. სისასტიკე – აი, რა მიღებდა ბოლოს.

– მასეთ ასაკში როგორ უყურებდი ამ ამბავს?

– ისე, როგორც სახლი წამოიკიდო ზურგზე და ატარო.

– რას გრძნობდი, როცა ღამით შენი საძინებლის კარს აღებდა და შემოდიოდა?

– ალბათ, იმას, რასაც ბავშვები ომში გრძნობენ. ხომ გინახავს გაზეთებში დაბომბილ ქალაქებში მყოფი ბავშვების სურათები? ჰო, დიდი ბომბივით იყო ჩემთვის. მაგრამ მაინც ვიდექი გაუტეხლად, რაც უნდა ვებომბე. ამ გაუტეხლობამ დამღუპა ცხოვრებაში. მერე თორმეტი-ცამეტის რომ გავხდი, მკერდი ამომებურცა, თვიური დამეწყო. ტანიც უცებ ავიყარე... ეჰ, ზედმეტს ვჩმახავ. ცეკვა და მეტი არაფერი. არც წარსულის ხიდი გვინდა, ქოულმენ, და არც მომავლისა. მართლა მოხარშულს გიცნობ უკვე. სიყვარულზე ფანტაზიორობა გჩვევია. იცი, რა, შენზე ასაკიანი კაცი მჭირდება, რომელსაც სასიყვარულო იწილო-ბიწილო უკვე გადავიწყებული ექნება. შენ უკვე მეტისმეტად ახალგაზრდა ხარ ჩემთვის. იცი, ვის მაგონებ ახლა? მუსიკის მასწავლებელზე შეყვარებულ პატარა ბიჭს. ჩემზე ახლა სული მიგდის, მაგრამ ჩემამდე ჯერ კიდევ უნდა იზარდო და იზარდო. არა, მართლა უფრო ხნიერი მინდა, შენზე ბევრად უხნესი – ერთი, ასი წლისა მაინც რომ იყოს. ვინმე ინვალიდს ხომ არ იცნობ, მოტორიანი სავარძლით რომ იჩითებიან ხოლმე, ისეთს? ინვალიდის ეტლი – აი, რა მჭირდება: ხან გავაგორებ, ხან ვეცეკვები. იქნებ უფროსი ძმა გყავდეს სადმე? არა, მართლა სკოლის ბიჭივით მიყურებ. მიდი რა, გეხვეწები, ვინმე გეყოლება ყვავის ხნისა და იქნებ დაურეკო. მე კი ვიცეკვებ, გაუჩერებლად ვიცეკვებ, ოღონდ კი დამაკავშირე მასთან. უთხარი, შენთან გასაუბრება სურთ-თქო.

ფაუნიამ კარგად იცის, რომ ასეთი სიტყვებით თავს უფრო აყვარებს ქოულმენს. ასე, უმტკივნეულოდ. ეუბნება: «იცი, რამდენი კაცი მიმიღია, მთელი დარბაზი გაივსება. იცი, რამდენი აბრიქინებული გამისტუმრებია? ათას სირზე ვარ გადამხტარი, მაგრამ განა ყველას ესმოდა საქმე? ოთხმოცდაათი პროცენტი არაფრად ვარგოდა. თუმცა, სმოუქისა არ იყოს, ისეთი ბიჭებიც მყოლია, მართლა რომ უდგებოდათ და საქმეც ესმოდათ. თავდაყირა რომ დამკიდონ, მაინც ვიტყვი, რომ ბევრს არ ესმის, მე კი მესმის, რა არის ამ საქმეში საჭირო. კაცების უმეტესობამ მხოლოდ ის იცის, თვითონ რა უნდა, ქალს რა უნდა, ცოტა ფიქრობს მაგაზე... მოდიან ჩემთან, გამიფენენ და წავიდა... არადა, ამაზე ადვილი რა არის, მიცემაზე უარი არავისთვის

მითქვამს. ბავშვს უფრო რთულად წაართმევ მამალოს, ვიდრე მე ჩამიწვენ ლოგინში. ეჰ, რა დაგავიწყებს, ალბათ, ამისთანას, არა? ღმერთო! ორას სამოცი მინეტი მაქვს გაკეთებული. ოთხასამდე კაცი ტრადიციული სექსით დამიკმაყოფილებია, ასექვსჯერ ტრაკი მიმიცია და ახლა მეწყება ფლირტი? ეჰ, სულ ასე ხდება ხოლმე. ნეტავ ვინმეს ვინმე ჰყვარებია სექსამდე? ან მე მყვარებია ვინმე ჟიმაობის შემდეგ? იქნებ ეს პირველი შემთხვევაა, ჩავიფიქრო მაინც რამე»...

– გაინტერესებს, თავს როგორ ვგრძნობ? – ეკითხება ფაუნია.

– კი.

– ძალიანაც კარგად.

– აქედან როგორ გინდა, რომ ცოცხალმა დააღწიო თავი?

– ამიტომაც ვარ შენთან. მართალი ხარ, ქოულმენ. ამ საქმეს კარგი სუნი არ უდის. ამ ხნის კაცი ამისთანაში ეხვევი. ჯობია, ზედმეტს გაეცალო. გირჩევნია, უკანა გზას დაადგე.

– მიდი რა, იცეკვე, – ეუბნება ქოულმენი და საწოლთან დადგმულ «სონის» აჭერს დაკვრის ღილაკზე. ისევ «ის, ვინც მიყვარს».

– არა. არა. გეხვეწები, თორემ ჩემი, როგორც დამლაგებლის კარიერა, საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება.

– მიდი, მიდი.

– მიდი, მიდი – გამოაჯავრა ფაუნიამ, – მგონი, აქამდეც გამიგია ეს სიტყვები.

– მარტო ერთი «მიდით» რომ ამოიწურებოდეს საქმე. ყოველ შემთხვევაში, კაცისთვის, თუმცა არც ჩვენ ვართ განსხვავებული.

– სულ მეგონა, «მიდი, მიდი» ერთი სიტყვაა-მეთქი.

– ასეც არის. მიდი, ნუ ჩერდები.

– მაშ, არ დაკარგო. ქალი და კაცი ერთ ოთახში, ტიტვლები, მეტი რაღა გვინდა. სიყვარული არა, იხვი! თავი არ დაიმცირო, სენტიმენტალური ტუტუცი არ გახდე. კვდები, ისე გინდა, მაგრამ არ ღირს. მოდი, ნუ დავკარგავთ ამას. ქოულმენ, ეცადე,

რომ შეინარჩუნო.

«მას არასოდეს უნახავს ჩემი ასეთი ცეკვა. არც მსგავსი რამ გაუგონია ჩემგან. რამდენი დრო გასულა, რომ დავფიქრდები და რა უცნაურია, რომ ასეთ ლაპარაკს სულ არ გადავეჩვიე. ამდენი წელი მიმალული ვიყავი. ჩემგან ასეთი სიტყვები არავის მოუსმენია. მხოლოდ ქორებსა და ყვავებს თუ გავესაუბრებოდი ხოლმე ასე ტყეში, სხვას არავის. კაცებს ჩვეულებრივ, სხვანაირად ვართობდი ხოლმე. ასე წინდაუხედავად არასდროს მოვქცეულვარ. ჰმ, თავი ვერ შევიკავე».

– წარმოიდგინე, – ეუბნება ქოულმენს, – ეს ამბავი და ყოველდღე მოტრიალე ქალი ამ ოთახში. ქალი, რომელსაც არაფრის დაპატრონება არ უნდა. ქალი, რომელსაც ყველაფრის ხელში ჩაგდება არ სურს.

რამდენჯერ ყოფილა, რომ მართლაც მეტი არაფერი ნდომებია ფაუნიას.

– არადა, ქალების უმეტესობას ყველაფრის ხელში ჩაგდება უნდა ხოლმე, – უხსნის ქოულმენს, – შენი ფოსტისაც კი. შენი მომავალი. შენს ფანტაზიებსაც კი ეპატრონებიან. «ჩემ გარდა სხვისი გაჟიმვა როგორ მოგინდა, როცა შენი ფანტაზია მე ვარ. რატომ უყურებ პორნოს, როცა მე გყავარ?» ქალებს უნდათ, კაცი თავფეხიანად დაიქვემდებარონ. მაგრამ განა მათ დაპატრონებაში ან ფლობაშია სიამოვნება? არამედ ამაში: ოთახში ორნი არიან – ქალი და მამაკაცი, ანუ ორი მეტოქე. ქოულმენ, იცოდე, მოხარშულს გიცნობ. შემეძლო, მთელი ცხოვრება შენს ზურგს უკან მეგრიალა, მაგრამ შენთვის მაინც სათაყვანებელი ვიქნებოდი. ამისათვის ერთი ცეკვაც იკმარებდა, ასე არ არის? რა იყო, ვცდები? მოგწონს, ქოულმენ?

– რამხელა იღბალია, – პასუხობს მიშტერებული ქოულმენი, – წარმოუდგენელი იღბალი მხვდა წილად, არადა, ცხოვრებას სწორედ ეს ემართა ჩემი.

– ახლა აღარ მართებს?

– უბადლო ხარ, ტროელო ელენე.

– ტროელი კი არა, არსაიდან მოსული ელენე ან ელენე-არარაობა უნდა გეთქვა.

– მიდი, იცეკვე.

– მოხარშულს გიცნობ, ქოულმენ. გამჭოლ გხედავ და იცი, რას მოვკარი თვალი?

– რას?

– იმას, რომ ერთი სული გაქვს, გაიგო, ბებრუცუნას ვხედავ თუ არა. გეშინია, ბებერი აფრახი არ დავინახო და არ გავქუსლო. გეშინია, რომ შენსა და ახალგაზრდებს შორის განსხვავება არ შევამჩნიო – არ დავუკვირდე, რაში ხარ სუსტი და მათი სიძლიერე არ დავინახო, – და გეშინია, რომ ამით არ დამკარგო. შენივე წლებისა გეშინია. და იცი, მე რას ვხედავ?

– მიდი, მითხარი.

– პატარა ბიჭს, ბიჭუკელას. უბიწო ბიჭივით იცი შეყვარება. არადა, ასე არ უნდა იქცეოდე. იცი, კიდევ რას ვხედავ?

– ვიცი.

– ჰო, ახლა უკვე მართლა ბებრუცუნას ვხედავ. მომაკვდავსა და მიხრწნილს.

– აბა, მეც ამიხსენი.

– ყველაფერი დაკარგული გაქვს.

– ამას ხედავ?

– კი, ყველაფერი დაკარგული გაქვს, გარდა ჩემი ცეკვისა. მოგიყვე, რასაც მე ვხედავ?

– მიდი.

– ეს არ დაგიმსახურებია, ქოულმენ. აი, რას ვხედავ – განრისხებული ხარ. ასე თავს ბოლოს მოუღებ. გამძვინვარებული ბერიკაცი ხარ. არადა, ასე არ უნდა იყო. აი, რას ვხედავ – შენს განრისხებას, მძვინვარებას. ვხედავ სიბრაზესა და სირცხვილს. ვხედავ, რომ დროის მსვლელობა, – თუ მდინარება ჰქვია, – მხოლოდ სიბერეში გაიგე. ამას კი ბოლომდე ვერ იგებს ხოლმე ადამიანი. შენ კი გაიგე და ახლა შიშს ჰყავხარ შეპყრობილი. თავს ხომ ვერ დაიძვრენ, ანუ ხელიდან ვერ დაუძვრები. აწი ოცისა აღარ გახდები. უკან ვეღარაფერს დააბრუნებ. წუთია წუთისოფელი. მაგრამ

ყველაზე უარესი იცი, რა არის? – არა, ის არა, რომ მოკვდე და დალპე, – არამედ, როგორც ის ნაძირალები მოგექცნენ. ყველაფერი წაგართვეს. აგახიეს. ვატყობ, რომ ეს გაღელვებს, ქოულმენ. ვხედავ, რადგან უშენოდაც ვიცი, ეს რას ნიშნავს. ნაძირალები, თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებ, რომ ყველაფერს აგწაპნიან. სიცოცხლესაც კი ამოგართმევენ და სანაგვეზე გადაუძახებენ. შენ არაფერს გკითხავენ, აიღებენ და გადაისვრიან. ხედავ, ის მოცეკვავე ნაშა გყავს ნაპოვნი, რომელიც მართლა გჭირდება. ყველაფერს ისინი წყვეტენ – წყვეტენ, ვინ ნაგავია და ვინ არა. შენ კი რატომღაც ნაგვის კატეგორიაში მიგიჩინეს ადგილი. დაგამცირეს, არაფერზე დაიხიეს უკან, ოღონდ კი იმ მონაჩმახის გამო გადაეხადათ სამაგიერო, რომელიც ყველამ იცოდა, რომ მონაჩმახი იყო. ერთი უბრალო, ლიტონი სიტყვა, რომელიც არც ნიშნავდა არაფერს, მაგრამ ხელზე ხომ დაიხვიეს. გაგიჟდები კაცი, აბა, რა იქნება.

– არ მეგონა, ამ საკითხს თუ მიაქცევდი ყურადღებას.

ფაუნიამ ჩვეული თავისუფალი სიცილით გადაიკისკისა. ისევ ცეკვავს. იდეალიზმისა და იდეალიზაციის გარეშე, ნორჩი, გამოუცდელი არსების უტოპიური ზრახვების გარეშე; იმის გათვალისწინებით, რომ რეალობას იმდენად აცნობიერებდა, რამდენადაც რეალური იყო ყველაფერი, ამაოებაც და უაზრობაც, რისგანაც მისი ცხოვრება შედგება და არც მომავალში არ შეიცვლება რამე უკეთესობისკენ, ამასთან, არც ქაოსი და სისასტიკე ავიწყდება – უბრალოდ, ცეკვავს. თან ისეთ რამეებს ამბობს, რაც მამაკაცისთვის არასდროს უთქვამს. მისთანა ქალები ასეთ თემებს, როგორც წესი, ვერ ქაჩავენ ხოლმე – ყოველ შემთხვევაში, ასე უნდათ იმ კაცებს იფიქრონ, რომლებიც მისნაირებთან წვანან. იმ ქალებს კი, ვინც მასავით იოლად არ იძლევა, სწორედ ასე სურთ, რომ ფიქრობდნენ. ქარაფშუტა ფაუნია – აი, ასე აფიქრებინებს ყველას. იფიქრონ რა, არ კიდია?!

– ჰო, ქარაფშუტა ფაუნიამაც კი მიაქცია ამას ყურადღება, – ეუბნება კაცს, – აბა, სხვაგვარად ჩემნაირმა ქარაფშუტამ როგორ უნდა მიიღოს ცხოვრებისგან რამე? ქარაფშუტა ფაუნია – ჩემი მიღწევაა. ამ ქარაფშუტობით მე ყველაზე გამჭრიახი და ყველაზე ალღოიანი ვარ ხოლმე. ახლა ისე გამოდის, რომ მე უფრო ვუყურებ შენს ცეკვას, ვიდრე შენ ჩემსას. საიდან ვხვდები შენზე ამდენ რამეს? იქიდან, რომ ერთად ვართ. აბა,

რისხვით რომ არ ყოფილიყავი შეპყრობილი, ჩემნაირ ქალთან საქმეს დაიჭერდი? მშვენიერი მიზეზია საკაიფო ჟიმაობისთვის. მრისხანება ათანაბრებს. ასე რომ, ხელიდან არ გაუშვა ეს, ქოულმენ.

– მიდი, იცეკვე.

– დაცემამდე?

– დაცემამდე. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

– როგორც გენებოს.

– სად მოგაგენი, ვოლუპტატ? – ეკითხება ქოულმენი, – როგორ გიპოვე? ვინ ხარ საერთოდ?

ქოულმენი ისევ ღილაკს აჭერს თითს და ისევ იმ სიმღერას უშვებს – «ის, ვინც მე მიყვარს».

– ვინც გინდა, ის ვიქნები.

* * *

ის იყო, ქოულმენი საუზმისას კვირის გაზეთში რომელიღაც სტატიას უკითხავდა პრეზიდენტსა და მონიკა ლევინსკიზე, რომ უეცრად ფაუნია წამოხტა და იყვირა:

– მაგ დედამოტყნული სემინარების გარეშე ვერ გავალთ იოლად? იქნებ მე მაინც არ მიკითხო ლექციები? არაფრის სწავლა არ მჭირდება. ყველაფერი მკიდია. არ მინდა-მეთქი! გეყო ჩემი სწავლება! მაინც არაფერი გამოგივა.

ფაუნია ოთახიდან გავარდა.

არ უნდა დარჩენილიყო ღამით ქოულმენთან. შინ არ დაბრუნდა, ახლა კი დასანახად ვეღარ იტანს ქოულმენს. ნეტავ რას ვერ იტანს ყველაზე მეტად? იმას ხომ არა, ქოულმენს თავისი ტანჯვა ასეთი მნიშვნელოვანი რომ ჰგონია? ალბათ, მართლა თუ მიაჩნია ათინა-კოლეჯის მესვეურთა ლაი-ლაი ისეთ მნიშვნელოვნად, რომ ცხოვრებას იწამლავს. დიდი რამე ახლა, იქაურ სირებს თუ არ ევასებათ. მეტი საქმე არა აქვს, რომ ამაზე არ იმტვრიოს თავი? ამაში საშინელება რა არის? სისულელეა, საშინელება კი არა. ორი შვილის გაგუდვით

სიკვდილი – აი, რა არის ნაღდი საშინელება. სამსახურს თუ შეელია ისედაც საპენსიო ასაკის კაცი, რა დიდი ბედენაა. აი, რა ეჯავრება მასში – განცდისა და ტანჯვის პრივილეგირებულობა. მეტიც, ქოულმენი მიიჩნევს, რომ შანსი არ მისცემია. ირგვლივ იმდენი ტკივილი და გაჭირვებაა და უშანსობას თავის პრობლემას ეძახის? ფაუნია კი დილით ძროხებს რომ მოწველიდა და მერე ქმრისგან რკინის კეტს იღებდა თავში, მაშინ ამას რაღა დავარქვათ? ჰმ, თურმე ცხოვრებას ჰქონია მისი ვალი!

ეს ყოველივე ნათლად ამტკიცებს, რომ საუზმობისას არავითარი სწავლება მე არ მჭირდება. საწყალ მონიკას ნიუ-იორკში სამსახურის მოძებნა გაუჭირდება? ჩვენ შორის დარჩეს და სულ მკიდია. ერთი ის მითხარით, მონიკას ადარდებს, წელს რომ ძლივს დავათრევ, კოლეჯიდან საღამოს დაბრუნებული წველას რომ ვიწყებ? თურმე ქალბატონი თეთრ სახლში რეკავს, მაგრამ არ ეპასუხებიან. რამხელა საშინელებაა! პირდაპირ კატასტროფაა, რომ სამუშაოს ვეღარსად დაიწყებს! მე კი, მეგობარო, ისე დამიმთავრდა ყველაფერი, რომ დაწყებაც ვერ მოვასწარი. აბა, ერთი შენ გდრუზონ თავში რკინის კეტი. წუხანდელი საღამო? არ ვდაობ. მშვენიერი იყო. მეც მესაჭიროებოდა. მაგრამ მაინც სამი სამუშაო მაქვს. რა შეიცვალა? იმიტომაც იღებ ყველაფერს, რომ ეს არაფერს ცვლის. ჰოდა, მეც ვეტყვი დედაჩემს, შენი ქმარი საღამოობით მსტუმრობს და თითებს მიყოფს-მეთქი, – მაგრამ მაინც არაფერი იცვლება. დედაჩემმა ახლა რომც იცოდეს ყველაფერი და ჩემი დახმარებაც მოუნდეს, მაინც არაფერი შეიცვლება. იმ ღამეულმა ცეკვამ ორივეს ბოლო მოგვიღო, მაგრამ არაფერი შეუცვლია. ეს კიდევ დამდგარა და ვაშინგტონის ამბებს მიკითხავს. ნეტავ მაგით რა შეიცვლება? დედაქალაქის ჭორებს მიყვება, თურმე ვიღაცა ბილ ქლინთონს როგორ უწუწნიდა. ეგ რას მიშველის, როცა მანქანა ლამის შუა ტრასაზე გამიჩერდეს და ჩემი წასაღები გახდეს. მართლა გგონია, რომ ეს მსოფლიო მნიშვნელობის სიახლეა? რა მნიშვნელობა მაგასა აქვს? ჩალის ფასიც არა აქვს. ორი შვილი მყავდა. ორივე დამეღუპა. ასე რომ, თუ ბილსა და მონიკას ვერ თანავუგრძნობ, ეს ბავშვებს მიაწერე, კარგი? ღვთის გულისათვის, ჩემს ნაკლად მონათლე, თუ ასე გინდა. რა სირად მინდა ეს ვითომ მსოფლიო მნიშვნელობის ამბები.

ქოულმენთან დარჩენა მართლაც რომ შეცდომა იყო. ისიც

შეცდომა იყო, ასე რომ მოიხიბლა და ამჩატდა. წინათ გინდ თოვლბუქი ყოფილიყო, სახლში მაინც ბრუნდებოდა ხოლმე. მაშინაც კი, როცა გული უსკდებოდა, უკნიდან ფარლი არ დამაჯდეს კუდზე და სადმე ხრამში არ გადამჩეხოსო, მაინც შინ მიდიოდა. მაგრამ ამჯერად დარჩა. ყველაფერი ცეკვის ბრალია – დილით კი გული მოუვიდა წინაღამინდელზე. ქოულმენზეც აიყარა გული. დილა დამდგარა და მოდი, ერთი გაზეთი გადავფურცლოთო... ამისთანა ღამის შემდეგ კიდევ ის აინტერესებს, გაზეთებში რას წერენ?! მაგრამ იქნებ ღამით დარჩენაც არ იყოს შუაში და უბრალოდ, უხმოდ რომ ესაუზმათ და ფაუნია ეგრევე სახლში წასულიყო, არაფერიც არ მომხდარიყო? მაგრამ ამ სემინარის დაწყება რამ მოაფიქრა? ასე როგორ მოექცა? ეჭმია საჭმელი და გაეშვა სახლში. მაგრამ ცეკვამ თავისი ქნა. სად დავრჩი მე გამოტვინებული! ჩემნაირი ქალი რომ სხვაგან დაიღამებს, ფუ! ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ღამით დარჩენა უკვე რაღაცას ნიშნავს. ქოულმენისა და ფაუნიას ფანტაზიების დაწყება. ყველაზე ბილწი ფანტაზიები ამოქმედდნენ. რა იყო, წასასვლელი არ მქონდა? კუთხე არ გამაჩნდა? წავთრეულიყავი, რა! რამდენიც გინდა, იჟიმავე, მაგრამ მერე სახლში დაბრუნდი რა, ქალი არა ხარ? მაისში რომ დიდი ელვა-ჭექა იყო, ცამ რომ ტრაკი გახსნა და კოკისპირულად დაუშვა, ისეთი შეგრძნება მქონდა, ბერქშირს ზეციდან დაესხნენ-მეთქი თავს. მაგრამ ღამის სამი იყო, რომ მოვრჩით და ეგრევე წამოვხტი, ჩავიცვი და სახლისაკენ ჰერი-ჰერი. გინდ ქარი იყოს, გინდ ქარაშოტი, არც გრიგალს ვუშინდები და არც თავსხმას, ქვებიც რომ მოდიოდეს ციდან, მაინც შინ ვბრუნდები ხოლმე. ქარი თუ აძრობს ხეებს ძირიანად – ვბრუნდები. ბორცვიც რომ აიწიოს ჰაერში – ვბრუნდები. სახლსა და მანქანას შორის რომ მეხი დამცემოდა, მუგუზლად მაქცევდა, მაგრამ მაინც არ დავრჩი – დავბრუნდი. ახლა კი ამასთან მომინდა დილამდე ლოგინში გაბრტყელება. ბადრი მთვარე დაჰნათოდა ყველაფერს, მე კი ტრაკი არ ავწიე, რომ წავსულიყავი. ამისთანა ღამით ბრმაც კი გაიგნებდა შინისაკენ გზას, – მე კი დავეკარი მასთან და დავეწებე! მძინებოდა მაინც. თვალი ვერ მოვხუჭე. მეშინოდა, მძინარე არ მივეხუტო-მეთქი. მიკარებაც კი არ მინდოდა მასთან. გაფიქრებაც არ მინდოდა, რომ იმ კაცს მივეხუტებოდი, ვის პროჭსაც თვეობით ვლოკავდი. ის ღამე კეთროვანივით გავატარე საწოლის ბოლოზე მიკუნტულმა, მის ეზოში მთვარის შუქზე ხეების მცოცავ ჩრდილებსღა ვაკვირდებოდი. კი მითხრა,

დარჩიო, მაგრამ გულის სიღრმეში ვიცი, რომ ეს არ უნდოდა. ავდექი და ვუპასუხე, ახლა სიტყვაზე დაგიჭერ-მეთქი და დავიჭირე კიდეც. მეგონა, ერთ-ერთი მაინც შევინარჩუნებდით საღ აზრს და სწორ გადაწყვეტილებას მივიღებდით, მაგრამ ვერ გავარტყი. არადა, რამდენჯერ უთქვამთ ბოზებს, «კაცი იმიტომ კი არ გიხდის, რომ მასთან დაიძინო, არამედ იმიტომ, რომ სექსის მერე ადგე და წახვიდეო».

მართალია, ფაუნიამ მშვენივრად იცოდა, რა არ ეხატებოდა გულზე, მაგრამ არც ის ავიწყდებოდა, რაც ეხატებოდა. მისი დიდსულოვნება. სიმართლე რომ ვთქვათ, დიდსულოვან საქციელს არცთუ ხშირად წასწყდომია ცხოვრების გზაზე. თან როგორი ძალა ემატებოდა, როცა იმ ადამიანთან იყო, რომელიც რკინის კეტით არ მიიწევდა მისკენ. რომ მომწოლოდა, ალბათ, გამომტეხდა, სულელი რომ არა ვარ. ნეტავ ღამით ხომ არ დამცდა რამე? რაკი მისმენდა, ესე იგი, სულელი არ ვგონივარ. ზურგს არ მაქცევს, არ მღალატობს, არც არაფერს მაბრალებს. ერთხელაც არ შემიმჩნევია გაიძვერობა. მე კიდევ რას გადავეკიდე, სხვა თუ არაფერი, გულწრფელი მაინც არის ჩემთან. სერიოზულად მიყურებს. ამაზე თუნდაც ის მეტყველებს, ბეჭედი რომ მაჩუქა. თითივით გააშიშვლეს, ჰოდა, ჩემთან დედიშობილა მოვიდა. სიკვდილის პირას იყო კაცი. მისნაირი კი არ იყო ყველა, ვისთანაც კი რამე მქონია. ნება რომ მიმეცა, მანქანასაც კი მიყიდდა. ტკივილს არ მაყენებს. მარტო მისი ხმის გაგონება რად ღირს, როცა ადის და ჩადის ხოლმე – მამშვიდებს.

* * *

მერე რას გამოვექეცი? რა კინკლაობა დავუწყე? უბრალო შემთხვევითობაა, რომ მისთანა კაცი გეღირსა, შე ცალტვინა, და ვისზე ამბობ უარს?! მსგავსი შემთხვევა ცხოვრებაში არ მომცემია და არც მომეცემა. მე კი დავკარი ფეხი და უზრდელი ბავშვივით გავიქეცი. ასე მალე მომბეზრდა ნორმალური ცხოვრება? ისევ იმ წუმპეში მომინდა დაბრუნება?

ამ ფიქრებში ჩაფლული შინიდან გამოვიდა, ფარდულიდან მანქანა გამოიყვანა და ბორცვის იმ მხარეს გაეშურა, სადაც ოდიუბონის საზოგადოება ეგულებოდა – ყვავის სანახავად.

ხუთ მილში მკვეთრი მოსახვევი იყო დაგრუნტულ ვიწრო გასაყარზე, რომელიც კიდევ ოთხ მილზე გრძელდებოდა ხეებში მიმალულ, სოლყავრიან ორსართულიან სახლამდე, – ოდესღაც აქ ხალხი ცხოვრობდა, ახლა კი ტყესა და ტურბილიკებთან ახლოს საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება გაეხსნათ. ხრეშით მოფენილი სადარბაზო მისასვლელი მორის შლაგბაუმით სრულდებოდა; არყის ხეზე მიკრული დაფა ბოტანიკური ბაღისკენ მიმავალ გზას გიჩვენებდა. ერთი მანქანაც არსად ეყენა. გაჩერებისას კინაღამ შლაგბაუმს შეეხეთქა. ასეთი დაუდევრობით ბორცვის ციცაბო ფერდობიდანაც თავისუფლად გადაიჩეხებოდა.

სახლის შესასვლელთან ზანზალაკი ჩამოეკიდათ, რომელიც ნიავზე მინისებურ და სულშიჩამწვდომ ხმას გამოსცემდა და როგორც რომელიღაც რელიგიური ორდენი, მისულს დაცდისა და მედიტაციისკენ უბიძგებდა. თუმცა ფლაგშტოკზე დროშა ჯერ არ იყო აღმართული, აბრა კი დამთვალიერებელს აუწყებდა, კვირაობით ცამეტი საათიდან იწყება შესვლაო. ამის მიუხედავად, ფაუნიამ კარს ხელი ჰკრა და უფოთლო ბუჩქნარის ჩრდილიდან ჰოლში შეაბიჯა, სადაც ზამთრის მყიდველებს ელოდა სხვადასხვა ტომარაში დამარაგებული ფრინველების საკვები, პირდაპირ, ფანჯრების გვერდებზე, ჭერამდე იყო აყვანილი ფრინველების სხვადასხვა ზომის საკვებურები. სუვენირების მაღაზიაში, სადაც ამ საკვებურების გარდა იყიდებოდა წიგნები ბუნების შესახებ, ადგილობრივი რუკები, აუდიოკასეტები ჩიტების ხმით და ფაუნის თემაზე შექმნილი ათასგვარი ხარახურა, ჯერ კიდევ არ ენთო სინათლე, მაგრამ როდესაც შეტრიალდა და მეორე, უფრო ფართო საგამოფენო დარბაზში გადავიდა, სადაც ფიტულების სიუხვით ვერ დაიკვეხნიდნენ და სულ რამდენიმე ცოცხალი ექსპონატიც ბინადრობდა, – კუები, გველები, გალიაში ჩასმული ჩიტები, – უეცრად პუტკუნა, ცხრამეტი-ოცის წლის თანამშრომელ გოგონას მოჰკრა თვალი. გოგონა მიესალმა და ჯერ დაკეტილი ვართო, თავი არ გამოუდვია. ბერქშირ-ჰილის ასეთ შორეთში, პირველი ნოემბრისთვის, როდესაც ფოთოლცვენა თითქმის დასრულებული იყო, მნახველი იშვიათობას წარმოადგენდა, ამიტომაც თანამშრომელმა დილის ათის თხუთმეტ წუთზე მისული ქალის უკან გაშვება არ მოისურვა, თუმცა კი დამთვალიერებელს მეტად უცნაურად, – ბერქშირული ნოემბრისთვის სრულიად შეუფერებლად ეცვა: რუხი

სავარჯიშო შარვლის ზევიდან მამაკაცის ზოლიანი ქურთუკ-პიჟამა, შიშველი ფეხები კი საშინაო ფლოსტებში წაეყო. გრძელ ქერა თმაზე კი წუხანდელს აქეთ აშკარად არც სავარცხელი შეჰხებია, არც ჯაგრისი. მართალია, გაწეწილი და მოუწესრიგებელი კი მივიდა ამ მყუდრო ადგილას, მაგრამ არც მთლად ხელიდან წასულს ჰგავდა, ალბათ, ამიტომაც იყო, რომ თანამშრომელი მიესალმა, თან ყუთში ჩაწოლილი გველის თაგვებით კვება განაგრძო: მაშით იღებდა თაგვებს, გველს გაუწვდიდა, უხსენებელიც ამოხტებოდა, პირს სტაცებდა და იწყებდა გადამუშავების ხანგრძლივ პროცესს, – მიესალმა და თავის საკვირაო საქმეებს მიუბრუნდა.

მამალი ყვავი საშუალო ზომის, ასე, ტანსაცმლის კარადისოდენა, გალიაში იჯდა. ერთი მხრიდან ორი ახალშოტლანდიური ბუ, მეორე მხრიდან კი ალალი ემეზობლებოდნენ. აი, პრინციც. გულზე მოეშვა.

– პრინცს გაუმარჯოს, აბა, როგორ ხარ?

ენა გაუწკლაპუნა – ნტუ, ნტუ ნტუ.

მერე გოგონას მიუბრუნდა. წინა ვიზიტებისას ეს გოგონა არ ენახა აქ, ალბათ, ახალიაო, გაიფიქრა. როგორც ჩანს, ასე უნდა იყოს. ფაუნიას უკვე რამდენიმე თვეა, რაც ყვავი აღარ მოუნახულებია – უფრო ზუსტად, მას მერე, რაც ქოულმენთან დაიწყო შეხვედრები. გარკვეული ხნის შემდეგ ადამიანთა მოდგმისგან განცალკევებასაც უკლო. ბავშვების დაღუპვის შემდეგ აქაურობას დროდადრო სტუმრობდა, მანამდე კი ზოგჯერ კვირაში ოთხ-ხუთჯერაც კი ნახულობდა ხოლმე ყვანჩალას.

– შეიძლება ერთი წუთით გამოვუშვა?

– შეიძლება, – უპასუხა გოგონამ.

– ცოტა ხნით მინდა, მხარზე დავისვა, – აუხსნა ფაუნიამ და დაიხარა, რათა გალიის მინის კარზე ჩამკეტი კაუჭი გადაეწია, – ჩემს პრინცს გაუმარჯოს! როგორა მყავს დიდი ბიჭი?

როცა გალია გახსნა, პრინცი ქანდარიდან აფრინდა, კარის თავზე დასკუპდა და თავის აქეთ-იქით ტრიალი დაიწყო. ფაუნიამ რბილად გაუცინა.

– რა მაგარია! მამოწმებს, – აუხსნა გოგონას, – ნახე, რა მაქვს, –

პრინცს მიმართა და ოპალისთვლიანი ბეჭედი დაანახვა. ეს ბეჭედი ქოულმენმა უსახსოვრა აგვისტოს ერთ-ერთი შაბათ დღის დილას, თანგლვუდში რომ მიდიოდნენ მისი მანქანით, – ხედავ? კარგად ნახე! მოდი, მომიახლოვდი, – ჩურჩულით უთხრა ფრინველს და მხარი მიუშვირა.

მაგრამ პრინცმა შეთავაზება არად ჩააგდო – ისევ გალიაში შეხტა და ქანდარაზე მოკალათდა.

– დღეს უხასიათოდ გვყავს, – უთხრა თანამშრომელმა გოგონამ.

– სიხარულო! – თბილად უთხრა ფაუნიამ, – მოდი, რა. ნუ გამირბიხარ, შენი ფაუნია ვარ. მეგობრები არა ვართ? შენ ხომ კარგი ბიჭი ხარ, მოდი, აბა, ჩემთან.

ყვავი არც განძრეულა.

– თუ დაინახა, რომ ვინმე იტყუებს, ადგილიდან ფეხს არ მოიცვლის, – აუხსნა თანამშრომელმა და სინიდან მკვდარი თაგვი მაშით აიღო და გველს გაუწოდა – გველს უკვე გადაესანსლა პირველი ლუკმა, რომელიც მილიმეტრ-მილიმეტრ გადაუშვა კუჭში, – რომ ხედავს, როგორ ცდილობ მის დაჭერას, არ გემორჩილება, ყურადღებას თუ არ მიაქცევ, გაგიფრინდება.

ადამიანის მსგავსი საქციელის გამო ორივეს გაეცინა ყვანჩალაზე.

– კაი, – უთხრა ფაუნიამ, – ცოტა ხნით მოვეშვები, – გველის კვებით დაკავებულ თანამშრომელთან მივიდა, – ძალიან მიყვარს ყვავები. ყველაზე მეტად მიყვარს ფრინველებს შორის. ყორნებიც მიყვარს. წინათ სილი-ფოლსში ვცხოვრობდი, ამიტომაც პრინცს კარგად ვიცნობ. ჰაგინსონის მაღაზიის თავზე რომ დაფრინავდა ხოლმე, ჯერ კიდევ იმ დროიდან ვიცნობთ ერთმანეთს. გოგონებისთვის თმის სამაგრების ამოძრობა და გატაცება უყვარდა ხოლმე. თუ რამე ბრჭყვიალებდა და ფერადი იყო, ყველაფერს იტაცებდა. რასაც ჰქვია, სახელი გაითქვა ამ საქციელით. წინათ აქ გაზეთებიდან ამოჭრილი სტატიებიც იყო ხოლმე, სადაც მასზე ის ხალხი წერდა, ვინც გამოზარდა, როცა პრინცმა ბუდე დაკარგა; იმასაც ჰყვებოდნენ, მაღაზიას როგორ უვლიდა თავზე, თითქოს დიდი ვინმე ყოფილიყო. აქ იყო მიწებებული, – ოთახში შესასვლელთან განცხადებების დაფაზე მიანიშნა, – სად გაქრა ის ამონაჭრები?

– სულ ჩამოჰგლიჯა.

ფაუნიას ხარხარი აუტყდა.

– ამან ჩამოჰგლიჯა?

– ნისკარტით. თან სულ ნაკუწებად აქცია.

– წარსულის დამალვა მოუნდა? რცხვენოდა? პრინცო! – ისევ ყვავის გალიისკენ მიბრუნდა, რომელიც ისევ ყურთამდე ღია იყო, – წარსული გიტყდება, ბიჭო? ყოჩაღ, ნაღდი ყვანჩალა ყოფილხარ.

მერე აქა-იქ დადგმულ ფიტულებზე გადაიტანა მზერა.

– ეს წითური ფოცხვერია?

– ჰო, – უპასუხა თანამშრომელმა და ლოდინი განაგრძო, სანამ გველი მორიგი თაგვის ენით სინჯვას შეეშვებოდა და გადაყლაპვას ინებებდა.

– ადგილობრივია?

– არც კი ვიცი.

– ბერქშირ-ჰილში მინახავს ასეთები და... ერთი ამას ჰგავდა. იქნებ სწორედ ეს იყო.

ფაუნიას ისევ სიცილი აუტყდა. არა, ნასვამი არ იყო, ქოულმენიდან რომ გავარდა თავქუდმოგლეჯილი, ყავის დალევაც არ ჰქონდა დასრულებული, – მაგრამ ისე იცინოდა, თითქოს ნაკრავშიაო. უბრალოდ, გველთან, ყვავსა და ფოცხვერის ფიტულთან თავს მშვენივრად გრძნობდა: ისინი ხომ მას არაფერს ასწავლიდნენ და არც ცდილობდნენ. არც «ნიუ-იორკ თაიმზიდან» უკითხავდნენ ნიუსებს. კაცობრიობის ისტორიიდანაც არ აცნობდნენ ბოლო სამი ათასი წელიწადის განმავლობაში დაფიქსირებულ საინტერესო ფაქტებს. მან ისედაც საკმარისად იცოდა ამ ისტორიიდან, რაც უნდოდა – დაუნდობლები და დაუცველები. თარიღებსა და სახელებს კი რა თავში იხლიდა? დაუნდობლები და დაუცველები. მორჩა. მათ გარდა ყველაფერი ტვინის ჟიმვაა. აქ ხომ კითხვას არავინ უბიძგებდა, რადგან თანამშრომელი გოგონას გარდა კითხვა აქ არავინ იცოდა, არც გველმა, არც ყვავმა... ეს გოგონა მხოლოდ აუჩქარებლად აჭმევდა გველს და არც არსად ეჩქარებოდა.

– ეგ ვაჟკაცი რომელია? – გველზე ჰკითხა ფაუნიამ.

– შავი დიდთვალა მცურავია.

– მთლიანად სანსლავს?

– მაშ.

– ნაწლავებში გადაამუშავებს?

– ჰო.

– სულ რამდენს ჭამს?

– ეს მეშვიდე თაგვია. ნელა კი გამომართვა. ალბათ, მეტს აღარ შეჭამს.

– ყოველდღე ასე კვებავ?

– არა. კვირაში ერთხელ.

– სადმე უშვებთ ხოლმე თუ სულ მანდ ცხოვრობს? – ჰკითხა ფაუნიამ და იმ მინის გალიას შეხედა, საიდანაც გველი გამოსაკვებად პლასტიკის ყუთში გადაეყვანათ.

– მანდ ცხოვრობს. სად უნდა წავიდეს...

– მშვენივრად მოწყობილა, – ფაუნია ისევ ყვავისკენ შეტრიალდა, რომელიც წინანდებურად გალიის ქანდარაზე იჯდა, – ხედავ, პრინცო, ისევ აქ ვარ. შენ კი – მანდ. შენთან სულ არაფერი მესაქმება. არ გინდა, მხარზე დამაჯდე? ძალიან კარგი, მანდვე იყავი. ეს ვინღა ბრძანდება?

მეორე ფიტულზე ანიშნა თანამშრომელს.

– ეს შევარდნისებრთა ოჯახის თევზიჭერიაა.

ფაუნიამ თვალით გაზომა ბრჭყალებიანი ფრინველი და გულიანად გადაიკისკისა.

– ყოჩაღ მაგათ!

გველი გაილურსა, აღარ იცოდა, მერვე თაგვიც შთაენთქა თუ არა.

– ჩემი შვილებისთვის რომ შვიდ-შვიდი თაგვი მეჭმია, – შენიშნა ფაუნიამ, – ჩემზე ბედნიერი დედა არ ივლიდა დედამიწაზე.

გოგონას გაეღიმა:

– გასულ კვირას პრინცმა გარეთ დურთა თავი. სხვა ფრინველები ხომ არ დაფრინავენ, მხოლოდ პრინცი გვყავს ნამდვილი ფრთოსანი. თან როგორი მარდია.

– ვიცი, – მიუგო ფაუნიამ.

– წყლის გადასაღვრელად ვიყავი გასული და ამ ვაჟბატონმა როგორც კი კარი დაიგულა ღია, ეგრევე გამოფრინდა. ხეზე მოკალათდა. აზრზე ვერ მოვედი და უცებ სამი-ოთხმაც იქით არ დაადო თავი! ხეზე მჯდომს ალყა შემოარტყეს. კინაღამ გადაირივნენ, მიაფრინდებოდნენ, დასჩხაოდნენ, უნისკარტებდნენ. პრინცს ხომ უცნაური ხმა აქვს. საწყალმა ყვავების ენა სულ არ იცის. იცი, როგორ გაუბრაზდნენ ამის გამო? რამდენიმე წუთში ისევ ჩემკენ მობრუნება არჩია. მეც გარეთ გავჩერდი, ფეხი არ მოვიცვალე, თორემ მომიკლავდნენ საცოდავს.

– ხალხში რომ ზრდი, ამ შედეგს იღებ, – უთხრა ფაუნიამ, – მთელი ცხოვრება ჩვენ ირგვლივ ტრიალებს და აი, შედეგიც. ადამიანური ლაქა და შელახული რეპუტაცია.

ეს სიტყვები მან ზიზღის, სიძულვილისა და კიცხვის გარეშე წარმოთქვა. სინანულის გარეშეც კი. აი, ასეა საქმეები. მხოლოდ ეს უთხრა გოგონას: ჩვენ ლაქას, კვალს, ანაბეჭდს ვტოვებთ. სიბინძურე. სისასტიკე. ძალადობა, განავალი, თესლი – სხვანაირად, ალბათ, არც შეგვიძლია ცხოვრება. არც ისაა საქმის არსი, რომ დამორჩილებაზე ვაცხადებთ უარს. არც ღვთის წყალობა და მონანიებაა არაფერ შუაში. ეს ყველა ჩვენგანშია. მოუცილებელია. თანდაყოლილია. განმსაზღვრელია. ლაქა, რომელიც სულ გვემჩნევა, რომელიც ხილული ნიშნის გარეშეც არსებობს. ლაქა, რომელიც ისეა ჩვენში შესისხლხორცებული, რომ შეიძლება თვალსაფრივ არც კი ვლინდებოდეს. ლაქა, რომელიც წინ უსწრებს დაუმორჩილებლობასა და ურჩობას, რომელიც თავის თავშივე მოიაზრებს ამ ურჩობას და არავითარ ახსნას არ ექვემდებარება. ამიტომაც ნებისმიერი მცდელობა ამ ლაქის მოცილებისა, სიცილის მომგვრელია და მეტი არაფერი. ბარბაროსული სიცილის მომგვრელი. სიწმინდის ფანტაზია საზარელია. სიგიჟეა. სიწმინდის ძებნას რა ფასი ექნებოდა, რომ არა უწმინდურობა? დაღზე ფაუნიას სიტყვებს თუ დავეყრდნობით, მხოლოდ ერთ აზრს ჩავწვდებით: ამ დაღს

თავს ვერავინ დააღწევს. აი, როგორი წარმოდგენა ჰქონია ფაუნიას ჩვენს საზოგადოებაზე: დაღდასმული, უსაშველო არსებები, რომლებიც იძულებული ვართ, საზარელ, ფუნდამენტურ არასრულყოფილებას შევეგუოთ. ფაუნია თავს ბერძნებს – ქოულმენის ბერძნებს – თუ შეადარებდა. მათ ღვთაებებს. საცოდავებს თავიანთი კინკლაობებით, ჟინიანობით, ბრძოლებით, მკვლელობებით, სიძვით. მათ ზევსს ხომ ერთი წადილი კლავდა – თანაყოფისა, ოღონდ არა მხოლოდ ქალღმერთებთან, ქალებთან, არამედ ძროხებთან, ძუ დათვებთან, თან არა მარტო თავისი სახით, – მხეცების სახითაც, ეტყობა, ასე უფრო აღიგზნებოდა. შეეძლო, ხარად აღმართულიყო ქალზე ან თეთრი, ფრთაფარფატა გედის სახით შეეღწია მის წიაღში. არაფერი ჰყოფნიდა დიად მეუფეს – ხორციც ეცოტავებოდა და გარყვნილებაც. რამდენი სიგიჟე ახლავს ვნებას! რამდენი გარყვნილება, რაოდენი ბიწი. უხეში, ხისტი სიამე. და ყოვლისმჭვრეტი ცოლის რისხვა. იუდეველთა ღმერთივით კი არ იყო – ღმერთივით, რომელიც იყო, არის და მარად იქნება, მუდამ მარტოსული, ჩაფიქრებული და ნისლით მოცული, მონომანი და მონომანთა უფალი, რომლის საზრუნავიც ოდითგანვე ოდენ ებრაელობა იყო; არც ქრისტიანთა იდეალურად უსქესო ღმერთკაცივით თავისი უბიწო დედითა და არამიწიერი სრულყოფილებით, რომელიც ხალხს სირცხვილისა და დანაშაულის გრძნობას უნერგავს. არა, ბერძნების ზევსი ზღვარგადასულად ძუნწია, ექსპრესიული, ჭირვეული და მგრძნობიარე, თავდავიწყებით ჩაძირული საკუთარ მფეთქავ, ზღვარგადასულ არსებობაში, თანაც არც მარტოსული და თვალში საცემად ხილული. უფლის ლაქა. მისი რეპუტაცია. აი, დიადი, ფაუნიასთვის რეალობიდან შორს მიმავალი, რელიგია, თუკი ქოულმენის წყალობით საერთოდ რამე გაეგებოდა ამ საგნისა. დიახ, ხატად თვისად, როგორც ამპარტავანი ფანტაზია გვისურათებს, მაგრამ არა ამ უფლისა, არამედ იმისა. ბილწისა, აღვირახსნილისა – სიცოცხლის ღვთაებისა, თუკი არსებობს საერთოდ რაიმე მსგავსი. ღმერთისა, რომელიც ჩვენს ხატად არის შექმნილი.

– დიახ, ასეთი ტრაგედია შეგვრჩება ხოლმე ხელში, როცა ადამიანები ყვავის ბახალის აღზრდას ვიტვირთებთ, – დაეთანხმა გოგონა, რომელმაც მცირედი ნაწილი თუ გაიგო ფაუნიას ნათქვამიდან, – ფრინველი თავის სახეობასთან კავშირს კარგავს. პრინცი ამის ნათელი მაგალითია. ამას

იმპრინტინგი ჰქვია. ყვავი ყვავობას გადაეჩვია.

უეცრად პრინცმა ჩხავილი დაიწყო, მაგრამ არა ისე, როგორც ჩვეულებრივ ყვავებს სჩვევიათ, არამედ რაღაც უჩვეულოდ, თავისებურად, რაც ასე აცოფებდა ხოლმე მისი ჯიშის სხვა წარმომადგენლებს. კარის თავზე იჯდა და წივილ-წრიპინის მსგავსი ხმით ჩხაოდა.

ფაუნია ისევ მიუბრუნდა პრინცს და მაცდურად გაუღიმა:

– იცოდე, ამას ქათინაურად ვიღებ, პრინცო.

– ექსკურსიაზე ხშირად სკოლის ბავშვები მოდიან ხოლმე და მის გამოჯავრებას ცდილობენ, ჰოდა, ახლა ესეც თავისი ჭკუით იმათ აჯავრებს, – აუხსნა გოგონამ, – მათი ხმები, ეტყობა, ასეთ შთაბეჭდილებას უტოვებს. საკუთარი ენა აქვს გამოგონებული მათი მიბაძვით.

– მე კი ძალიან მომწონს ის უცნაური ხმა, რომელიც პრინცმა გამოიგონა, – თქვა ფაუნიამ და რატომღაც მისი ხმაც უცნაურად გაჟღერდა, თან გალიასთან ისე ახლოს მივიდა, რომ ლამის მიეკრო. ბეჭდიანი ხელი ასწია და ყვანჩალას უთხრა, – ნახე, ნახე, რა მოგიტანე სათამაშოდ, – ბეჭედი მოიხსნა და ფრინველს გაუწოდა, რათა ახლოდან დაენახვებინა, – ჩემი ოპალისთვლიანი ბეჭედი მოსწონს.

– ჩვენ კი გასაღებებს შევუყრით ხოლმე გასართობად.

– ცოტათი წინ წაწეულა. ჩვენი არ იყოს. სამასი დოლარი ღირს, მაგრამ აიღე, გამომართვი, – უთხრა ფაუნიამ, – აჰა! ითამაშე. დავიჯერო, ყოველდღე თვლიან ბეჭდებს გაძლევენ?

– გამოგართმევს, – გააფრთხილა გოგონამ, – და გალიაში შეიტანს. ტყის ომანივით[51] არის. რასაც დაიტაცებს, გალიაში მიარბენინებს და ნისკარტს ურტყამს.

პრინცმა ბეჭედს ნისკარტი სტაცა და თავი გააქნ-გამოაქნია. საბოლოოდ, ბეჭედი ძირს დავარდა.

ფაუნიამ აიღო ბეჭედი და ხელახლა გაუწოდა.

– კიდევ ერთხელ თუ ჩააგდებ, აღარ მოგაწვდი. გასაგებია? სამასდოლარიანია. სამასდოლარიან ბეჭედს გაძლევენ, შენ კი თავს იფასებ. თუ გინდა, გამომართვი, თუ არ გინდა, ნუ გინდა. გამიგე?

ყვავმა კიდევ ერთხელ გამოსტაცა ხელიდან ბეჭედი და ნისკარტი მოუჭირა.

– ყოჩაღ, – შეაქო ფაუნიამ, – გალიაში შეიტანე, – ისე ჩუმად უთხრა, რომ გოგონას არ გაეგონა, – შეიტანე, მიდი. შენია.

მაგრამ პრინცს ისევ ჩაუვარდა ბეჭედი.

– ძალიან გონიერია, – უთხრა გოგონამ, – იცი, ზოგჯერ როგორ ვეთამაშებით ხოლმე? ყუთში თაგვს ჩავუდებთ და ვხურავთ. ეს კი მაინც ხსნის და თაგვს იღებს, გასაოცარია.

ფაუნიამ კი ამასობაში ისევ აიღო იატაკზე დაგდებული ბეჭედი და ისევ გაუწოდა პრინცს, ფრინველმაც კიდევ ერთხელ გამოართვა, მაგრამ ისევ ძირს დააგდო.

– ეე, პრინც, ჯინაზე იქცევი ასე? მეთამაშები?

ყვა-ყვა-ყვა-ყვა! – გაეპასუხა ყვავი.

ფაუნიამ ფერება დაუწყო ნაზად, ჯერ თავზე უსვამდა ხელს, მერე თავიდან ბოლომდე ჩაჰყვა. ყვანჩალამ რატომღაც არ იუკადრისა მისი შეხება.

– ოჰ, პრინცო, რა ლამაზი და ბზინვარე ხარ. ნახეთ, კრუტუნებს! – ისეთმა გაოცებულმა წამოიძახა, თითქოს სამყაროს საიდუმლო ამოხსნაო, – კრუტუნებს, – და თვითონაც დაიკრუტუნა პასუხად, – მმმ... მმმ... მმმ... – სცადა ყვავის ხმისთვის მიებაძა, რომელსაც ფრინველი ფერების დროს გამოსცემდა. მერე კი უცებ ნისკარტით ტკაცანი დაიწყო.

– რა კარგია, – ჩუმად თქვა ფაუნიამ, თანამშრომელს შეხედა და გულიანად გადაიკისკისა, – არ იყიდება? ამ ტკაცუნით მომხიბლა. ვყიდულობ, – ბაგეები პრინცის ტკაცუნა ნისკარტს მიუტანა და უჩურჩულა, – გიყიდი, თან წაგიყვან...

– თვალები მოარიდეთ, არ ჩაგინისკარტოთ, – გააფრთხილა გოგონამ.

– ეგ არ გვეშლება. ერთი-ორჯერ უკვე ვიგემე. მაშინ ახალი გაცნობილები ვიყავით. სამაგიეროდ, საყვარლად ატკაცუნებს ნისკარტს. ნახეთ, ბავშვებო, როგორი ტკაცატკუცი გაუდის.

გაახსენდა, სიკვდილის როგორი ძლიერი სურვილი ჰქონდა დაუფლებული. ორჯერ ხომ სცადა კიდეც. იქ, სილი-ფოლსში,

სადაც ოთახი ჰქონდა ნაქირავები. პირველად ბავშვების დაღუპვის შემდეგ სცადა. მაშინ ლამის გამოუვიდა კიდეც. «ექთანისგან მახსოვს, მონიტორზე მიჩვენებდა ჩემს გულისცემას – ყველაფერი გათანაბრებული მქონდა. ასეთი მდგომარეობა, ჩვეულებრივ, ლეტალურად მთავრდებაო, მითხრა, მაგრამ ზოგს განსაკუთრებულად უმართლებსო. მერე როგორ ვცადე! თან შხაპიც მივიღე, ფეხები გავიპარსე, ჯინსის გრძელი ქვედაკაბაც მეცვა – ყველაზე უკეთესი. სუნამოც ვიპკურე. ბლათლბოროს ნაქარგიანი ბლუზაც ჩავიცვი. ჯინი და ვალიუმი კარგად მახსოვს, ფხვნილი კი – ბუნდოვნად. სახელწოდება დამავიწყდა. რაღაც თაგვის წამალივით იყო, მწარე გემო ჰქონდა, ჰოდა, ტკბილ ჟელეში ავურიე. ოღონდ აღარ მახსოვს, გაზქურა ჩავრთე თუ გამოვრთე. გალურჯებული ვიყავი თუ არა? დიდხანს ვიწექი თუ არა? როდის გადაწყვიტეს კარის შემომტვრევა? ახლაც არ ვიცი, ვინ შემოამტვრია. რაღაც ექსტაზში ვიყავი. ხანდახან საზეიმო მომენტებიც დგება ხოლმე ამ ცხოვრებაში. ტრიუმფალური მომენტები. ასეთ დროს გამოპრანჭული უნდა იყო. თავი გამოვიდე. თმაც დავიწანი. თვალებიც შევიღებე. დედაჩემსაც კი მოვეწონებოდი – თუ გამიხსენებდა, რა თქმა უნდა. ერთი კვირით ადრე მასთან უკვე დარეკილი მქონდა, ბავშვები დამეღუპა-მეთქი. თორმეტი წლის მერე პირველად დავრეკე. ფაუნია ვარ-მეთქი, დედა. უკაცრავად, მაგრამ ასეთს არავის ვიცნობო და ყურმილი დამიკიდა, წარმოგიდგენიათ?! ძუკნა. წაკლა. ჩემი გაქცევის შემდეგ თურმე ყველას ეუბნებოდა, მკაცრი ქმარი შემხვდა, ჩემმა ქალიშვილმა კი წესიერი ცხოვრება ვერ აიტანაო. წესი და რიგი მისთვის მუდამ უცხო იყოო. მტკნარი წყლის სიცრუე! პრივილეგირებული ოჯახის გოგონა მკაცრ მამინაცვალს გაექცეს, გაგონილა? თქმულა? სიმკაცრეს და წესებს კი არა, ბილწ მამინაცვალს გაექცა, შე ჩათლახო შენა! – ამის მეტი რა უნდა ვუთხრა დედაჩემს. მოკლედ, თავიდან ფეხებამდე გამოვიპრანჭე. აბა, მათხოვარივით ხომ არ მოვკვდებოდი? მეორე მცდელობაზე კი თმაც არ მქონდა დავარცხნილი. პირველი უშედეგო მცდელობის მერე გული სულ გაქვავებული მქონდა. მეორე ჯერზე ყველაფერი უეცრად, იმპულსურად და უხალისოდ მოხდა. პირველზე დიდი ხანი ვემზადე, დღე და ღამე თვალი ვერ მოვხუჭე, სულ იმაზე ვფიქრობდი, რა იქნება-მეთქი. გონებაში ვალაგებდი, რა ამეღო, სად რა მეყიდა. ფხვნილი ვიყიდე. ექიმთანაც კი მივედი, რომ აბები გამომეწერინებინა. მეორე ჯერზე კი ვჩქარობდი. არავითარი

შთაგონება. მგონი, გაგუდვას ვერ გავუძელი და ბოლომდე ამიტომ ვერ მივიყვანე საქმე. ისე მომიჭირა ყელში, ჰაერი აღარ მეყო, უცებ მოვიცილე სადენი, თორემ გაგუდვას აღარაფერი მაკლდა. პირველად სულაც არ ავჩქარებულვარ. სრული სიმშვიდით შევუდექი საქმეს, აღარც ბავშვები მყავდა, აღარც სანერვიულო იყო რამე, მკვდარზე მეტი დრო მქონდა. მთავარია, ყველაფერი სწორად გამეკეთებინა. მართლა ვისიამოვნე. ბოლოს, ერთი სული მქონდა, როდის დადგებოდა უკანასკნელი წამი – სიკვდილი წამი-წამზე უნდა მსტუმრებოდა, თან ჩემი პირობებით ვმოქმედებდი, ბოროტი პირობა კი იყო, მაგრამ თავად ბოროტება არ ყოფილა, მხოლოდ ფრენის მომენტი მახსოვს. ვერაფრით ვივიწყებდი, მთელი კვირა თავიდან ვერ ამოვიგდე. ის კი დგას და «ნიუ-იორკ თაიმზში» ქლინთონზე მიკითხავს, ამ დროს, იცით, რა მედო თავში? დოქტორ ქევორქიანის[52] გაზის მანქანა. უბრალოდ, ღრმად ისუნთქე, ღრმად ჩაისუნთქეო...

მან უთხრა: «ძალიან ლამაზი ბავშვები ყოფილან. ვერასოდეს იფიქრებ, რომ მსგავსი რამ ან შენ ან ვინმე შენიანს შეიძლება მოუვიდეს. ასეა თუ ისე, ახლა ფაუნია უკვე ღრმად არის დარწმუნებული, რომ მისი შვილები უფალთან არიან».

ერთმა გამოქლიავებულმა კი ნახეთ, რა უთხრა მეგაზეთეებს: ბავშვები ხანძრის დროს გაიგუდნენ. «სერჟანტმა დონალდსონმა განაცხადა, წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით ხანძარი გამათბობელი მოწყობილობის... ადგილობრივთა თქმით კი, ხანძრის შესახებ მაშინღა გაიგეს, როცა ქალ-ვაჟის დედამ...»

როდესაც ქალ-ვაჟის დედამ პირიდან პენისი გამოიღო, გამალებით რომ წუწნიდა.

«მეზობლების თქმით კი, ბავშვების მამამ, ლესთერ ფარლიმ, რამდენიმე წამით დაიგვიანა».

მზად იყო, ადგილზევე მოვეკალი, მაგრამ არაფერი მიყო. მერე მე მინდოდა თავის მოკვლა, მაგრამ არ გამომივიდა. სასწაულია პირდაპირ. სასწაულია, რომ დახოცილი შვილების დედას აქამდე ვერავინ გაუსწორდა.

– არ გამომივიდა, პრინცო, ისევე როგორც სხვა დანარჩენი ამ ცხოვრებაში. ჰოდა, რაკი ასეა, – ფაუნია ყვავს ეჩურჩულებოდა

და შავი ბუმბულის ქვეშ უყოფდა თითებს, თან ეჩვენებოდა, ამაზე თბილსა და რბილს არაფერს შევხებივარო, – ე. ი. ერთად უნდა ვიყოთ. შენ ის ყვავი ხარ, რომელსაც ყვავობა არ გამოსდის, მე კი ის ქალი, რომელმაც ქალად ვერ ივარგა. ჩვენ ერთმანეთისთვის ვართ შექმნილი. ცოლად შემირთე. ჩემი ბედი ხარ, შე საბრალოვ, – ნაბიჯით უკან დაიხია და გამოსათხოვრად დაიხარა, – მშვიდობით, პრინცო. აბა, კარგა მეყოლე.

პრინცმაც უპასუხა. მაღალი ხმით დაიჩხავლა: ყვა-ყვა-ყვა! ფაუნიას ისევ სიცილი აუტყდა. მერე გოგონას მიუბრუნდა და უთხრა:

– ქუჩაში რომ ბიჭებს ვხვდები, იმათზე ბევრად უკეთესია.

ბეჭედი კი ყვავს დაუტოვა. ქოულმენის ნაჩუქარი. წამი იხელთა, როდესაც თანამშრომელი არ უყურებდა და გალიაში შემალა. აი, უკვე მამალ ყვავზე იყო დანიშნული. საქმეც ეს არის.

– გმადლობ! – უთხრა ფაუნიამ.

– არაფრის. კარგად იყავი! – გამოსძახა გოგონამ; ფაუნია კი ისევ ქოულმენთან გაემგზავრა საუზმის დასამთავრებლად და იმის გასაგებად, თუ როგორ გაგრძელდებოდა დაწყებული. ბეჭედი კი პრინცის გალიაში დარჩა. სამასდოლარიანი.

* * *

მოძრავი კედლის სანახავად ფითსფილდში გამგზავრება ვეტერანთა დღეს დაემთხვა, როდესაც ბევრ ქალაქში დროშები ეშვება და აღლუმები ეწყობა. უნივერსალური მაღაზიებიც ამ დროს საქონლის ფასდაკლებით გაყიდვას იწყებენ. ვეტერანებს კი, მათ შორის ლესსაც, თანამოქალაქეების, სახელმწიფოსა და ხელისუფლების მიმართ უფრო მეტი ზიზღის გრძნობა ეუფლებათ, ვიდრე სხვა დღეებში. ახლა ამ სირულ აღლუმში მონაწილეობა და ორკესტრის თანხლებით გავლა-გამოვლაღა აკლდა, თან ვიღაც გამოთაყვანებულები ამ დროს ალმებს უფრიალებენ. აქეთ უნდა აუწყოს სხვას ფეხი, რომ თავი კარგად აგრძნობინოს? აი, ასეთები ვართ ვეტერანები. აქეთ ვიხდით ხარკს! ახლა ჩვენს იქით გზა არა აქვთ თითქოს, მაგრამ იქიდან რომ ახალი ჩამოსულები ვიყავით, ფურთხსაც კი

დაინანებდნენ ჩვენთვის. რამდენი ვეტერანი ათევს ხიდის ქვეშ ღამეს, ეგ ჩემისა კი, ჯარშიც რომ არის ნამყოფი, თეთრ სახლშია გამობრტყელებული. გაიძვერა ბილი, ჩვენი უმაღლესი მთავარსარდალი. ძაღლის გაგდებული. თვითონ იმ ებრაელი ჩათლახის ფაფუკ ძუძუებს სრესს, ვეტერანთა ბიუჯეტი კი თვალსა და ხელს შუა ილევა. ნეტავ ეს ხალხი რაღამ გააბრაზა, იმან თუ სექსის თაობაზე იცრუა? თითქოს ხელისუფალთაგან ეს ერთადერთი ტყუილი მოვისმინეთ. კმარა. საკმაოდ შეიწმინდეს ლესთერ ფარლიზე ფეხები, ვეტერანთა დღეს კი ვეღარ მივართმევ. მეტი საქმე არა მაქვს!

ასეთი ფიქრებით კი გაწამებული, მაგრამ ვეტერანთა დღეს ლუის ფურგონში მჯდარი მაინც მიემგზავრებოდა ფითსფილდში, რათა ნამდვილი კედლის ორჯერ დაპატარავებული ასლი ეხილა, – ასლი, რომელსაც ქალაქიდან ქალაქში აგერ უკვე თხუთმეტი წელიწადია, დაატარებენ. ათი ნოემბრიდან ერთი კვირით ააწყვეს ფითსფილდის სასტუმრო «რამადა-ინის» წინ მდებარე ავტოსადგომზე ადგილობრივ ვეტერანთა ფინანსური მხარდაჭერით. ლესთან ერთად ისევ ის ბიჭები ისხდნენ, ჩინური კერძების დაგემოვნებისას რომ ესხდნენ გვერდით. მარტოს ხომ არ გაგზავნიდნენ სადმე, მთელი გზაც ამას უმტკიცებდნენ: გიყარაულებთ, გიდარაჯებთ, წამით თვალს არ მოგაცილებთო. ლუიმ ისიც კი უთხრა, თუ გინდა, მერე ჩემთან გადმოდი, მე და ჩემი ცოლი რამდენიც დაგჭირდება, იმდენ ხანს მოგივლითო.

– მარტოს თუ არ მოგინდება შინ დაბრუნება, არც იდარდო მაგაზე. მე, მაგალითად, მარტო ფეხსაც არ გავადგამდი. მე და თესი რისთვის გყავართ? თესის ყველაფერი აქვს ნანახი, ასე რომ, კარგად ესმის. მოკლედ, ჩემი ქალი პრობლემა არ იქნება. მე რომ დავბრუნდი, თესი ჩემს მაშველ რგოლად იქცა. მხოლოდ ერთი რამე მაფიქრებდა: რას მასწავლიან, რას მიმითითებენ, რა ვაკეთო და რა არა-მეთქი. ყველაფერზე ვშარიანობდი. სადამდე ვიყავი მისული, ეს შენც კი იცი. მაგრამ, მადლობა ღმერთს, თესს არაფერი შეშლია, ბოლომდე მედგა მხარში. შენც ხომ უნდა დაგიდგეს ვინმე მხარში.

ლუიმ ნამდვილი ძმობა კი გაუწია, ძმა რომ ვერ გაუწევს ისეთი, მაგრამ თავისი ფანატიზმის გამო ისე ჩააცივდა, კედელთან წავიდეთო, რაც ლესისთვის აუტანელი იყო, რომ კინაღამ ყელში სწვდა ლესი ამ ტკიპას. მომცილდი რა, შე მაიმახო

მექსიკელო! ათი წელია მაგ დედააფეთქებულ კედელთან ვერ მივსულვარ და შენი ლაი-ლაი მინდა კიდევ?! აღარც იმის მოსმენა მინდა, შენი ცხოვრება როგორ შეცვალა მაგ კედელმა. ან მაიკის როგორ შეურიგდი. ან რაში მაინტერესებს, მაიკიმ მაინცდამაინც კედელთან რა გითხრა?! კრინტი აღარ დაძრა!

და მაინც, გაემგზავრნენ და მანქანაშიც ერთად სხედან. ლუი უხსნის:

– მაიკიმ რა მითხრა? ყველაფერი კარგადაა. ქენიც იმავეს გეტყვის: ყველაფერი რიგზეა და საკუთარი ცხოვრებით იცხოვრებო.

– მე ვერ გავქაჩავ, ლუი. უკან გავბრუნდეთ.

– ნუღარ ცქმუტავ, ლეს. ნახევარი გავლილი გვაქვს.

– მოატრიალე ეს დედამოტყნული მანქანა!

– ლეს, თუ იქ არ მოხვდი, რა იცი, გაქაჩავ თუ არა? აი, რომ ჩავალთ, – რბილად უპასუხა ლუიმ, – მერე გამოჩნდება.

– არაფრის გარკვევა არ მინდა!

– მოდი რა, კიდევ ორი აბი მიიღე. «ატივანი», «ვალიუმი». არ გაწყენს, მიდი. ჩათ, შენ წყალი მიაყოლებინე.

* * *

როდესაც ფითსფილდში ჩავიდნენ, ლუიმ ფურგონი «რამადა-ინის» გზაზე დააყენა, თუმცა ლესის მანქანიდან გადაყვანა იოლი საქმე არ აღმოჩნდა.

– ფეხს არ მოვიცვლი, – განაცხადა ლესმა, ამიტომაც სხვები გადავიდნენ და სიგარეტს მოუკიდეს, თან დასამშვიდებლად დროც მისცეს. ამასობაში «ატივანსა» და «ვალიუმსაც» უნდა დაეწყო მოქმედება. მთელი გზა თვალი არ მოაცილა ლუიმ. ირგვლივ პოლიციის მანქანებისა და ავტობუსების გროვა იყო. კედელთან ცერემონია იმართებოდა, მათ ყურამდე მიკროფონით მოსაუბრე რომელიღაც ადგილობრივი პოლიტიკოსის ხმა აღწევდა, – იქნებ ეს ვიღაც ამ დილისთვის უკვე მეთხუთმეტე იყო?! «ხალხი, ვისი გვარებიც ჩემს ზურგს

უკან, ამ კედელზეა ამოტვიფრული, – თქვენი ნათესავები, მეგობრები, მეზობლები არიან – ქრისტიანები, მუსლიმანები, ებრაელები, – თეთრები და შავები, ადგილობრივი ხალხების წარმომადგენლები, – ერთი სიტყვით, ამერიკელები. ჩვენი მადლიერებისა და აღფრთოვანების გამოსახატავად არავითარი ცერემონია და პატივყოფა არ იკმარებს. ერთი ლექსი მინდა წაგიკითხოთ, რომელიც რამდენიმე კვირის წინ ოჰაიოს შტატში ამავე კედელთან დატოვეს: «გვახსოვხართ მოღიმარნი, ამაყნი, ძლიერნი, / არადა, გვითხარით, არ იდარდოთო, / გვახსოვს გამოსათხოვარი ჩახუტება და კოცნა...»

ამ გამოსვლას მომდევნო მოჰყვა: «ჩემ უკან სახელებმიწერილი კედელია, თუმცა მე ახლა დამსწრეთ ვუყურებ და ვხედავ შუახნის ბიჭებს, ჩემი ხნისას, ანუ ზოგს მედალი ამშვენებს, ზოგსაც სამხედრო ფორმა ჩაუცვამს, მაგრამ ყველას თვალებში ვარჩევ შორეულ სევდას – ეს სევდა იქნებ იმ შორეთიდან არის გამოყოლილი, ოდესღაც ათასობით მილის მოშორებით სახლებიდან, უბრალო ფეხოსნები რომ ვიყავით და აქაურობა გვენატრებოდა. როდესაც ამ ყველაფერს ვხედავ, ოცდაათი წლით ვინაცვლებ წარსულში. მარადი კედელი, რომლის მიხედვითაც ეს მოძრავი კედელია შექმნილი, ვაშინგტონში 1982 წლის 13 ნოემბერს აღმართეს. ორ-ნახევარი წელიწადი – აი, ზუსტად ამდენი დრო დამჭირდა, რომ იქ ჩასვლა შემეძლო. წარსულის გახსენებისას ვხვდები, რომ მარტო მე კი არა, ვიეტნამის ომის ბევრი ვეტერანი იკავებდა თავს მარადიულ კედელთან მისვლისგან, რადგან იცოდნენ, რომ ბევრ ტკივილს განუახლებდა ნაცნობ-მეგობართა გვარების ამოკითხვა. მაგრამ ვაშინგტონში ყოფნისას, ერთ საღამოს, მზე უკვე ჩადიოდა, მახსოვს, გადავწყვიტე, კედლამდე მივსულიყავი – მარტომ გამოვიდე თავი. ცოლ-შვილი კი, დისნეი-ლენდიდან დაბრუნების შემდეგ, სასტუმროში დავტოვე და კედლის ყველაზე მაღალ წერტილთან მივედი, რომ მარტო ვმდგარიყავი; ისეთივე ადგილას, ახლა რომ ვდგავარ. მოგონებების კორიანტელი დამიტრიალდა. ისინი გამახსენდა, ვის გვერდითაც გავიზარდე, ვისაც ბეისბოლს ვეთამაშებოდი – ფითსფილდელი ბიჭები, რომელთა სახელებიც ამ კედელზეა მიწერილი. ჩვენი რადისტი სოლიც მომაგონდა. ვიეტნამში გავიცანით ერთმანეთი. მერე «სადაურობანა»[53] ვითამაშეთ. მასაჩუსეტსიდან ვარო, გვითხრა. მეც-მეთქი, ვუპასუხე. კონკრეტულად, საიდანო? მე ფითსფილდიდან-მეთქი; ის კი

სპრინგფილდიდან აღმოჩნდა. ჩემი წამოსვლიდან ერთ თვეში სოლი დაიღუპა. აპრილში შინ დავბრუნდი, ერთხელაც გაზეთი გავშალე და რას ვხედავ: დაღუპულა... ჩვენს სამშობლოში თითო ჭიქის აწევა უკვე აღარ გვეწერა. სხვებიც მახსოვს, ვისთან ერთადაც მომიწია სამსახურმა...»

ორკესტრი ახმიანდა, როგორც ჩანს, სამხედრო – «მწვანე ბერეტთა საბრძოლო ჰიმნი» დასცხო. ლუიმ იფიქრა, ჯობია, ცერემონიის ბოლომდე დასრულებას დავუცადო და მერე გამოვწიწკნო მანქანიდან ლესიო. არადა, იმედოვნებდა, ჩვენი ჩამოსვლისთვის აღარც გამომსვლელები იქნებიან და აღარც ეს ყურისწამღები მუსიკაო, მაგრამ, ეტყობა, ყველაფერი დანიშნულზე გვიან დაიწყეს. საათს დახედა – თორმეტი იყო, ე. ი. დასრულებას ბევრი აღარაფერი უკლდა. მართლაც, სულ მალე ხალხი აიშალა. მარტოხელა ბუკმა დამკრძალავი სიგნალი დააგუგუნა. დიდი ვერაფერი შვილი იყო. ამ ჰორნის დაცარიელებულ ავტობუსებსა და პოლიციის მანქანებს შორის მოსმენაში სასიამოვნო არაფერი იყო, ამას ზედ დამატებული კედელი და ამდენი ცრემლი ირგვლივ, უკვე აუტანელი გახლდათ. ჰორნი, მტანჯველი და საზარელი ნახმევი ჰორნისა... ახლა ეს ორკესტრი, რომელიც «ღმერთო, დაიფარე ამერიკას» უკრავს... ლუის ისიც ესმის, კედელთან მდგომები როგორ მღერიან, – წუთიც და, ყველაფერი მიწყნარდა.

ფურგონში ლესი ჯერ ისევ კანკალებდა, მაგრამ წამიც და, აქეთ-იქით აღარ აცეცებდა თვალებს, იშვიათად თუ აიხედავდა მაღლა, რამე ხომ არ მოფრინავსო, ამიტომ ლუი მოუხერხებლად შეძვრა მანქანაში და გვერდით დაუჯდა – ხვდებოდა, რომ ლესის მთელი ცხოვრება უკვე შიშისგან შედგებოდა და რომ ახლა მისი კედელთან მიყვანის დრო იყო, რათა ამ ტანჯვას წერტილი დასმოდა.

– ჯერ სვიფთს გავგზავნი, რომ ქენი გიპოვოს. კედელი ხომ გრძელია. რად გინდა ყველა გვარ-სახელის ყურება, სვიფთი და ბიჭები მოგიძებნიან და მიგიყვანენ. პანელებზე გვარები თარიღების მიხედვით წერია, ყველაზე ადრეულიდან ყველაზე გვიანამდე. შენი თარიღი ვიცით, შენ არ გვითხარი? ჰოდა, ხელადვე იპოვიან.

– ვერ წამოვალ.

სვიფთი დაბრუნდა, კარი ოდნავ გააღო და ლუის მიმართა:

– ქენის მივაგენით.

– აბა, ლესთერ, დროა. მოიკრიბე ძალა. ახლა კედლისკენ წავალთ. აქვეა, სასტუმროს უკან. იქ მარტონი არ ვიქნებით, ჩვენნაირი ბევრი დაგვხვდება. ახლა პატარა ოფიციალური ცერემონია გაიმართა, მაგრამ უკვე დასრულდა და სადარდებელიც არაფერია. აღარავითარი სიტყვით გამოსვლა. აღარავითარი მეტიჩრები. უბრალოდ, ბავშვებია მშობლებთან, ბებია-პაპებთან ერთად, და ყველა ერთ საქმეზეა მოსული. გვირგვინებს აწყობენ. ლოცულობენ. მეტწილად კი სახელების ძებნას უნდებიან. ერთმანეთში ილაპარაკებენ, ხომ იცი, ხალხს ლაპარაკი სჩვევია. ზოგიერთი ცრემლებსაც ვერ შეიკავებს. მორჩა და გათავდა. უბრალოდ, გითხარი, რომ შემზადებულიყავი. აჩქარება არ ღირს, მაგრამ წაუსვლელობაც არ იქნება.

ნოემბრისთვის უჩვეულოდ ცხელოდა, ამიტომ კედელთან მისულებმა ბევრი მამაკაცი – მხოლოდ თხელ პერანგებში, ქალები კი შორტებში გამოწყობილი დაინახეს. ნოემბრის შუა რიცხვებში ბევრს მზის სათვალეც ეკეთა, დანარჩენი კი ზუსტად ისე იყო, როგორც ლუი აფრთხილებდა, – ყვავილები, ხალხი, ბავშვები, მოხუცები. თავად მოძრავი კედელი ლესისთვის სიურპრიზი არ ყოფილა: ჟურნალებსა და მაისურებზე მანამდეც ნანახი ჰქონდა, ტელევიზორში კი ერთხელ ნამდვილი ვაშინგტონის კედელიც ნახა, თუმცა მაშინვე გამორთო. ავტოსადგომის მთელ პერიმეტრზე პანელები იყო გადაჭიმული – წამომართული შავი ფილების ვერტიკალური სასაფლაო, რომლებიც გვერდებზე დაბლდებოდნენ და თეთრი ასოებით ეწერათ დაღუპულთა სახელები. თითოეულ დაღუპულს მამაკაცის ნეკა თითის მეოთხედი სიგრძის მონაკვეთი რგებოდა. ყველას, 58 209-ის გვარის მოთავსება მოეხერხებინათ, რომლებიც უკვე დიდი ხანია, რაც სასეირნოდ აღარ დადიან, ვეღარც კინოში შევხვდებით მათ, მაგრამ ხორცი შავი ალუმინის კედელზე წარწერილი გვარებით შეუსხამთ, კედელზე, რომელსაც უკნიდან კარკასი აკავებს და აგერ, მასაჩუსეტსის შტატში დაუდგამთ სასტუმრო «რამადა-ინის» წინ მოთავსებულ ავტოსადგომზე.

როდესაც სვიფთი პირველად მივიდა კედელთან, ავტობუსიდან ჩამოსვლაც ვერ მოახერხა და ძალით მოუხდათ

მისი ჩამოყვანა და წათრევა, სანამ პირისპირ არ მიაყენეს კედელს. მერე ამბობდა, კედლის ტირილი მესმოდაო, ხოლო, როდესაც ჩეთი მივიდა კედელთან პირველად, მუშტები დასცხო და ყვირილი ატეხა: აქ ბილი კი არა, მე უნდა ვიყო აღნიშნულიო! როდესაც ფოცხვერმა მიბედა პირველად, ხელი მიადო კედელს და ვეღარ აუშვა. მიეწება ზედ. ვეტერანთა ექიმმა თქვა, ერთგვარი შეტევა ჰქონდაო. აი, ლუის პირველი მისვლა ოდნავ განსხვავებული აღმოჩნდა: მაშინვე აუღო ალღო აქაურობას და იოლადაც გაერკვა ყველაფერში, თან მისთვის არადამახასიათებელი მაღალი ხმით თქვა: «აჰა, მაიკი, აი, მეც აქა ვარ», რაზეც მაიკიმ ჩვეულებრივი ხმით უპასუხა: ყველაფერი კარგადაა, ლუი. ყველაფერი ნორმალურადააო.

ლესს არაერთხელ ჰქონდა ამ პირველ მოსვლებზე მოსმენილი ისტორიები, მაგრამ თვითონაც ხომ პირველად იყო, რატომ ვერაფერს გრძნობდა? თითქოს არაფერი ხდებოდა. ყველა ეუბნებოდა, არწმუნებდა, ერთი მისვლა ჭირს, თორემ ყველა შემდგომ მისვლაზე ყველაფერი გაგიიოლდებაო, მერე კი, როცა მიეჩვევი, ვაშინგტონშიც წაგიყვანთო... სადაც დიდ კედელზე ქენის იპოვი და ბოლოს... ეს, ძმაო, ნამდვილი სულიერი განკურნება იქნება, გრანდიოზული სახეცვლილებაო, მაგრამ რომ არაფერი ხდება? სიცარიელეა. სვიფთს კედლის ტირილიც კი ესმოდა, – ლესს კი არაფერი. არაფერი ესმის, ვერაფერს გრძნობს, ვეღარაფერს იხსენებს. მაშინდელივით არის, ორივე მკვდარი შვილი რომ იხილა პირველად. ამხელა მზადებისა და ღელვის შემდეგ სიცარიელის მეტი არაფერი აქვს დაუფლებული. გული უსკდებოდა, გრძნობების მოჭარბებას ვერ გავუძლებო, მაგრამ ერთი კინკილა გრძნობაც კი არ ეუფლება – რაც ბევრად უარესია. ესე იგი, ლუის ჯაფა ხომ წყალში გადაიყარა, არც ჩინურმა რესტორანმა, არც წამლებმა არაფერი უშველა; გამოდის, მთელი ეს ხანი მკვდარივით ყოფილა? ისე, მკვდარივით თუ მკვდარი? ჩინურ რესტორანში რაღაც მაინც შეიგრძნო და ამან თითქოს გზა-კვალი აურია, მაგრამ ახლა უკვე დარწმუნებულია, რომ აქაურებში აღარ წერია. ქენის გახსენებასაც კი ვერ ახერხებს. მოგონებებმა იმდენი ტანჯა და აწვალა, რომ ახლა უახლოეს მეგობარსაც კი ვეღარ იხსენებს.

რაკი ლესი პირველად არის, სხვები ლამის ფეხაკრეფით დადიან – მიაგებენ პატივს და გაეცლებიან, მაგრამ რომელიმეს მაინც თვალი უჭირავს მასზე. როგორც კი კედელს

მოსცილდებიან და გამობრუნდებიან, აუცილებლად დაადებენ მხარზე ხელს, მიუსამძიმრებენ და ეხვევიან. ყველას ეჩვენება, რომ დღევანდელმა დღემ ერთმანეთთან არნახულად დააახლოვა, თან ლესის მოღუშულ სახეს რომ ხედავენ, ფიქრობენ, სწორედ ის განცდები დაუფლებია, რისთვისაც მოვიყვანეთო. რა იციან, რომ იმ დროს, როდესაც ლესი ამერიკის სამივე დაშვებულ დროშას და მეოთხეს – დაშვებულ შავ დროშას ახედავს, რომელიც დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სიმბოლოა, ქენიზე ან თუნდაც ვეტერანთა დღეზე კი არ ფიქრობს, არამედ იმაზე, რომ თავისი სიკვდილი უკვე დადასტურებულ მოვლენად მიაჩნია და დაშვებული დროშებიც ამის გამოხატულება ჰგონია. ოფიციალურად დადასტურებულ ფაქტად, რომ მკვდარია, არა მხოლოდ სულიერად, არამედ სრულად. თუმცა სხვებს ამას არ უმხელს. ან რა საჭიროა? სიმართლე ერთია, რაც მშვენივრად ესმის. ლუიმ უჩურჩულა: «ვამაყობ შენით. ვიცოდი, რომ გაუძლებდი. ვიცოდი, რომ ყველაფერი ასე იქნებოდა». სვიფთმა უთხრა: «თუკი გულის გადაშლა მოგინდება...»

სიმშვიდე, რომელიც მას დაეუფლა, ყველას რატომღაც თერაპიულ მიღწევად მიაჩნია. «მკურნალი კედელი» – ეს სიტყვები წერია სასტუმროს წინ გაშლილ პლაკატზე და ყველას სიმართლედ მიაჩნია ეს შეფასება. ერთხანს ქენის სახელთან არიან გაჩერებული, მერე კედელს ჩაჰყვებიან და ამოჰყვებიან. ყველა ვიღაცის სახელს ეძებს, ამიტომაც მეგობრებმა გადაწყვიტეს, ლესს ამოსუნთქვისა და აღქმის საშუალება მივცეთო. «ამ კედელზე არ ძვრებიან, დედა გენაცვალოს», – მშვიდად უხსნის ქალი პატარა ბიჭს, რომელმაც კედლის დაბალი გვერდიდან მოისურვა აძრომა და უკან გაჰყავს. «რა გვარი იყო? სთივის გვარი შემახსენე», – ეუბნება ერთ-ერთ პანელთან ასაკიანი მამაკაცი ცოლს და თითოეულ გვარს თითის გაყოლებით კითხულობს. «აი!» – მოესმათ ქალის ხმა, რომელიც ახალფეხადგმული ბავშვისკენ იყო მიმართული. დედამ თავის შვილს გვარი უჩვენა: «აი, საყვარელო, ესაა ჯონი ბიძია». ქალმა პირჯვარი გადაიწერა. «დარწმუნებული ხარ, რომ ოცდამერვე ხაზია?» – ეკითხება ცოლი ქმარს. «სრულიად», – ისმის პასუხად. «მაშინ, სადმე აქ იქნება; აი, მეოთხე პანელი, ოცდამერვე ხაზი. ვაშინგტონშიც ასე არ ვნახეთ?» «რაღაც ვერ ვამჩნევ. ისევ გადათვლა მოგვიწევს». «ჩემი ბიძაშვილი იყო; კოკა-კოლის ბოთლის გახსნა დაუწყია და ხელში აფეთქებია.

ხაფანგი-ნაღმი. ცხრამეტი წლისა. ზურგში იყო. ღმერთო, ნათელში ამყოფე». ამერიკული ლეგიონის კეპიანი ვეტერანი საკვირაო ტანსაცმელში გამოპრანჭულ ორ ზანგის ქალს ეხმარება მუხლმოყრილი. «გვარი მითხარით», – ეუბნება უმცროსს. «ბეითსი. სახელი – ჯეიმზი». «აი ისიც», – უჩვენებს ვეტერანი. «დედა, ნახე!» – ეუბნება ახალგაზრდა.

რაკი მოძრავი კედელი ვაშინგტონისაზე ორჯერ მომცროა, გვარების ძებნა ბევრს მუხლმორილს უწევს, რაც ხანში შესულებისთვის პრობლემაა. ირგვლივ ცელოფანში გახვეული ყვავილებით არის ყველაფერი აჭრელებული. საწები ლენტით მიმაგრებულ ქაღალდის ფურცელზე ხელით ნაწერი ლექსები იკითხება. ლუი იხრება და კითხულობს: «კაშკაშა ვარსკვლავი, ნათელი ვარსკვლავი, ამაღამ აქ არის». ზოგიერთს ცრემლები ახრჩობს და თვალები ჩასწითლებია. ბევრი შავკეპიანი ვეტერანია მოსული, ლუისა არ იყოს, ზოგს კეპზე კამპანიის ლენტიც კი აქვს მიმაგრებული. ერთი ათიოდე წლის ჩასუქებული ბიჭუნა ჯიუტად მიტრიალდა კედლისკენ ზურგით. «არაფერსაც არ წავიკითხავ», – განუცხადა ქალს. სვირინგებით დახუნძლული მამაკაცი, პირველი ფეხოსანთა დივიზიის ემბლემით მაისურზე, გულხელდაკრეფილი დადის და ვერავის ამჩნევს გარშემო. ეტყობა, გული ეტანჯება. ლუი ჩერდება და ეხვევა მას. მერე რიგრიგობით ყველა გულში იხუტებს. ლესსაც კი მოუწია, გადახვეოდა. «ჩემი ორი თანასკოლელი ერთ დღეში ერთმანეთის მიყოლებით დაიღუპა, – ახლოდან ისმის ვიღაცის ხმა, – სახლში ერთდროულად მოუწყვეს პანაშვიდი. ქენსინგთონის საშუალო სკოლაში სამგლოვიარო დღე გამოცხადდა». «ჩვენზე ადრე ჩავიდა ვიეტნამში, – ამბობს მეორე ხმა, – და მარტო ის ვერ დაბრუნდა. მგონი, თავისი გვარის ქვეშ «ჯეკ დენიელსის» ბოთლის დანახვას ინატრებდა, რაც ვიეტნამში ყოფნისას სულ პირზე ეკერა ხოლმე. საწყალი ნატრობდა, ნეტავ საკაიფო ბათინკები მაღირსა და დიასახლისის გამოცხობილი შოკოლადის ნამცხვარიო».

შორიახლოს ოთხი კაცი დგას და ლაპარაკით იქცევს თავს. ლესმა მათ საუბარს რომ ყური მოჰკრა, შეჩერდა. მას დანარჩენებმაც მიჰბაძეს. ოთხივე მამაკაცი ჭაღარაა, ერთ-ერთს ვეტერანის კეპიდან სრულიად ჭაღარა კიკინა აქვს ჩამოშვებული.

– მექანიზებული იყავი იქ ყოფნისას?

– აბა! დაეხეტები უთავბოლოდ და ხვდები, რომ ადრე თუ გვიან მაინც შენს ორმოცდაათეულს უნდა დაუბრუნდე.

– იმდენი გვიხეტიალია, რომ ეშმაკიც კი დაიღლებოდა. მთელი ცენტრალური მთისწინეთი გადავკვეთეთ სიგრძე-სიგანით. ის წყეული მთები ახლაც მახსოვს.

– მექანიზებულებში თუ მოხვდი, ზურგში ცოცხალი თავით არ გაგგზავნიან. თერთმეტი თვე იქ გავატარე და მხოლოდ ერთხელ მეღირსა საბაზო ბანაკში ყოფნა და ერთხელაც დასვენება-აღდგენის ცენტრში გამიშვეს. მორჩა და გათავდა.

– ჩვენი ფეხის ხმა ბალახებშიც კი ესმოდათ და წინასწარ გველოდნენ, ასე რომ, B-40 რაკეტა გაპრიალებულიც გველოდა და ზედ ჩვენი სახელიც აღნიშნული გვხვდებოდა.

უეცრად ლუი ამ ოთხეულის საუბარში ჩაერია.

– აქ ვართ, – მიმართა მათ, – აქ ვართ, ხომ ასეა? ყველანი აქ ვართ. მოდი, მე ჩამოვწერ თქვენს ვინაობასა და მისამართებს.

უკანა ჯიბიდან პატარა წიგნაკს იღებს და ყველა მონაცემს იწერს, რათა შემდგომ საინფორმაციო ბიულეტენი დაუგზავნოს, რომელსაც თესი და თვითონ წელიწადში ორჯერ, თავიანთი ხარჯით, ბეჭდავენ და გზავნიან.

მერე ცარიელ სკამებს ჩაუარეს, თუმცა ვერც ერთმა ეს ვერ შეამჩნია, რადგან ყველა მათგანი იმით იყო გართული, როგორმე ლესი მიეყვანათ უსაფრთხოდ კედლამდე. ავტოსადგომის ნაპირას რუხ-ყავისფერი ფოლადის სკამები დგას, რომლებიც, როგორც ეტყობა, რომელიმე ეკლესიის სარდაფიდან არის ამოტანილი და დამრეც მწკრივად დაწყობილი, თითქოს გამოსაშვები საღამო ან დაჯილდოება მიმდინარეობდეს. სამ რიგში ათ-ათი ცალი დგას, ერთ-ერთში – თერთმეტი. აშკარაა, ვიღაცის გულმოდგინების დამსახურებით. თითოეული სკამის საზურგეს თეთრი ბარათი აქვს მიკრული გვარ-სახელის აღნიშვნით. ასე იცავენ თითო ადგილს, რომ არავინ დაჯდეს შეცდომით, გარშემო კი ლენტებით არის ეს ადგილი შემოფარგლული – შავი და მეწამული ლენტები გადაუგრეხიათ ერთმანეთში და ასეთი მოქანავე საზღვარი აქვს ოთხივე მხრიდან შემოვლებული.

აქვე კიდია მიხაკებისგან შეკრული დიდი გვირგვინი, რომლის წინაც ლუი ჩერდება – და რაკი უყურადღებოდ არაფერი რჩება ისედაც – ყვავილების დათვლას იწყებს; მისი ვარაუდი მართლდება: ორმოცდაერთი ცალია.

– რა არის? – ეკითხება სვიფთი.

– ფითსფილდელი დაღუპულებისთვის არის. მათთვის ცარიელი სკამები დადგეს, – უხსნის ლუი.

– დედამოტყნულები ეგენი! – განრისხდა სვიფთი, – მოვტყან მაგათი ომი. თუ ჩაერთვნენ ბრძოლაში, მოგებამდე უნდა ებრძოლათ. ნაბიჭვრები.

მაგრამ მათთვის ჯერ ეს შუადღე არ დასრულებულა. ოტელ «რამადა-ინის» წინ, ტროტუარზე, ვიღაც გალეული, სათვალიანი ტიპი გამოჩნდა ამინდისთვის შეუფერებლად თბილ პალტოში ჩაცმული. აშკარად ვერ უნდა იყოს: გამვლელებს უყვირის, თითს იქნევს, იფურთხება, აი, პოლიციელებიც გამორბიან უკვე მისკენ, რომ დაამშვიდონ როგორმე, სანამ ვინმესთვის დაურტყამს ან ჯიბიდან (ვინ იცის, აქვს კიდეც) პისტოლეტი ამოუღია. ხელში მხოლოდ ვისკის ბოთლი უჭირავს – თითქოს მეტი არაფერი. თითქოს.

– ყველამ შემომხედეთ! – ყვირის, – მძღნერი ვარ და ვინც მხედავს, ყველამ იცის, რომ მძღნერი ვარ! ნიქსონმა! იმან ჩამაგდო ამ დღეში! იმან დამმართა! ნიქსონმა მიკრა ვიეტნამში თავი!

ფურგონში სერიოზული სახეებით სხდებიან, მოგონებათა ტვირთი ამძიმებს ყველას, მაგრამ ლესის შემხედვარეებს თითქოს უმსუბუქდებათ ეს ტვირთი, რადგან იმ ტიპისგან განსხვავებით, ქუჩაში რომ ყვიროდა, ლესი უჩვეულოდ მშვიდი ჩანს. ასეთი არასდროს უნახავთ. მართალია, დიდად გულის გადაშლა და ამჩატება არ სჩვევიათ ერთმანეთთანაც კი, მაგრამ ლესის ყურებისას სწორედ მსგავსი გრძნობა ეუფლებათ. უკანა გზაზე ყოველი მათგანი შეძლებისდაგვარად გრძნობს სიცოცხლესთან კავშირს, თითქოს სიცოცხლის მდინარებასთან არიან დაკავშირებული.

* * *

მშვიდი ჩანდა, მაგრამ ეს კამუფლაჟი უფრო იყო. გადაწყვიტა. თავის პიკაპს გამოიყენებს იარაღად. ყველას მოუღებს ბოლოს – მათ შორის თავის თავსაც. მდინარესთან, სადაც ფაუნია უხვევს ხოლმე გზასთან ერთად, პირდაპირ მის სავალ ნაწილზე გადავა და შეეჩეხება.

გადაწყვიტა. დასაკარგი არაფერი აქვს, სამაგიეროდ, ბევრ რამეს მოიგებს. აქ უკვე საქმეში «თუ» ვერ ჩაერევა – ასე თუ მოხდა, ისე თუ მოხდა, იმას თუ დავინახავ, ასე თუ გადავწყვეტ... გადასაწყვეტი უკვე გადაწყვეტილია და გადაფიქრება აღარ განიხილება. თვითმკვლელობაზე მიდის და შინაგანად სრულ მზადყოფნას გრძნობს ამ ნაბიჯისთვის. რასაც ხედავს, ესმის, გრძნობს, სუნიც კი მოსდის – ეს სიბრაზე, ადრენალინი და განდეგილობაა. ის უკვე ვიეტნამში აღარ არის, არამედ ბევრად შორს.

(ერთი წლის თავზე, როდესაც ისევ ნორთჰემფთონის ვეტერანთა კლინიკაში უკრეს თავი, გამალებით ცდილობს ფსიქოლოგს გასაგები ინგლისურით აუხსნას იმ რაღაცის არარაობა, რაც არის და თან არც არის. სხვათა შორის, კონფიდენციალურად. ექიმი ქალი შეხვდა. სამედიცინო ეთიკა. მკაცრად მათ შორის. «რაზე ფიქრობდით?» «არ ვფიქრობდი». «რამეზე ხომ უნდა იფიქროთ»? «არაფერზე მაქვს საფიქრალი». «როდის ჩაჯექით პიკაპში?» «შებინდებულზე». «ნავახშმევს?» «არ მივახშმია». «კარგი. როცა მიდიოდით, რა მიზეზი გქონდათ?» «უბრალოდ, მიზეზი მქონდა». «იცოდით, სადაც მიდიოდით?» «მის მოსაკლავად.» – «ვის მოსაკლავად?» «ებრაელის. ებრაელი პროფესორისა». «რად გინდოდათ მისი მოკვლა?» «მინდოდა». «ასე იყო საჭირო?» «ასე იყო საჭირო». «კი მაგრამ რატომ?» «ქენის გულისათვის». «მისი მოკვლა?» «მისიც, ქალისაც და ჩემი თავისაც». «წინასწარ გქონიათ დაგეგმილი». «არ მქონია დაგეგმილი». «ხომ იცოდით, რასაც აკეთებდით?» «კი». «მაგრამ არ დაგიგეგმავთ?» «არა». «ისევ ვიეტნამში გეგონათ თავი?» «ვიეტნამში არა». «წარსულში დაბრუნების მომენტი გქონდათ?» «არავითარი დაბრუნების». «გეგონათ, ჯუნგლში იყავით?» «ჯუნგლში არა.» «იმედი გქონდათ, რომ თავს უკეთ იგრძნობდით?» «არაფრის იმედი არ მქონია». «შვილებზე ფიქრობდით? სამაგიეროს უხდიდით?» «სამაგიეროს არა». «დარწმუნებული ხართ?» «სამაგიეროს არა-მეთქი». «თქვენ ამბობთ, რომ ამ ქალმა შვილები დაგიხოცათ. იქნებ მას გადაუხადეთ სამაგიერო?» «არ გადამიხდია».

«დათრგუნვილი იყავით?» «არ ვყოფილვარ». «ორი ადამიანის მოსაკლავად გაემგზავრეთ და გაბრაზება არ გიგრძნიათ?» «არა, გაბრაზება აღარ მიგრძნია». «ესე იგი, პიკაპში რომ ჩაჯექით, უკვე იცოდით, სად იქნებოდნენ, და იმავე გზით წახვედით მათთან შესახვედრად; ახლა კი მიმტკიცებთ, რომ მათი მოკვლა განზრახული არ გქონიათ?» «მე არ დამიხოცავს ისინი». «აბა, ვინ დახოცა?» «თვითონ დაიხოცეს თავები».)

უბრალოდ, მანქანით მიდიოდა. მეტი არაფერი. გეგმავდა და არც გეგმავდა. იცოდა და არც იცოდა. შემხვედრი ფარები მოახლოვდა, მერე კი გაქრა. შეჯახება არ მომხდარა? ძალიან კარგი, თუ არ მომხდარა. მას მერე, რაც გზიდან გადაუხვიეს, თვითონ მარჯვენა ხაზზე გადავიდა და გზა განაგრძო. უბრალოდ, განაგრძო. დილით სამუშაო ადგილზე გასვლამდე, საგზაო ბრიგადასთან ერთად მზადებისას, ავტოფარეხში ახალი ამბავი შეიტყო. სხვებმა უკვე იცოდნენ.

შეჯახება არ ყოფილა, ამიტომ, – თუმცა კი უცნაური შეგრძნება აქვს, – საღამოს შინ დაბრუნებული პიკაპიდან რომ გადმოვიდა, არ იცოდა, ზუსტად რა მოხდა. დიდი დღე იყო მისთვის. თერთმეტი ნოემბერი. ვეტერანთა დღე. დილით ლუისთან ერთად კედლის სანახავად იყო, ნაშუადღევს დაბრუნდა, საღამოს კი მათ დასახოცად გაემგზავრა. დახოცა თუ ვერა? ეს ჯერ უცნობია, რადგან შეჯახება არ მომხდარა, ასე რომ, თერაპევტული თვალსაზრისით, მაინც დიდი დღეა. მისი მეორე ნაწილი უფრო თერაპევტულია, ვიდრე პირველი. ახლა უკვე მართლა დამშვიდდა. ახლა ქენისაც შეუძლია მასთან ლაპარაკი. თვითონ და ქენის გვერდიგვერდ ცეცხლი აქვთ გახსნილი, რიგრიგობით უშენენ და უეცრად მათი მეთაური ჰექტორი ყვირილით გასცემს ბრძანებას: «აკრიფეთ ყველაფერი და ავუდოთ აქედან!» მოულოდნელად ქენი დაეცა. მკვდარი დაეცა. რომელიღაც სიმაღლეზე. მტერმა შეუტია, მათ კი დაიხიეს უკან, მაგრამ ქენი მაინც დაიღუპა. წარმოუდგენელია. მისი ძმაკაცი, ისიც ფერმიდან, თუმცა მისურელი. როგორ უნდოდათ, რძის საქმე ერთად წამოეწყოთ. ექვსი წლისას დედა დაჰკარგოდა, თერთმეტისას – მამა, მერე ბიძამისთან გადასულიყო, რომელზეც სულ ჰყვებოდა და ჰყვებოდა, დიდი მეურნეობა და სარძევე ფერმა აქვსო, ას ოთხმოცი ძროხა ჰყავს, თორმეტაპარატიანი მოწყობილობა უდგას, სადაც ექვს ძროხას ერთდროულად წველიანო... – ამ დროს კი ქენის თავი წაეცალა. წამის წინ კაცი იყო, ახლა კი უთავო ცხედარი...

ახლა თითქოს ლესი ქენის ესაუბრება. დაუმტკიცა, რომ არ დავიწყებია მეგობარი. ქენის ხომ უნდოდა, რომ ეს გაეკეთებინა, ჰოდა, გააკეთა. ახლა უკვე იცის: რაც კი ჩაუდენია, – თუმცა დაზუსტებით არ იცის, რა, – ქენის გულისათვის ჩაუდენია ყველაფერი. ვინმე რომ მოკლული ჰყავდეს და ამის გამო ჩასვან კიდეც, მნიშვნელობა მაინც არ ექნება, რადგან უკვე მკვდარია. აი, ქენისაც უკანასკნელი ვალი გადაუხადა. ბოლო ცენტამდე გაუსწორდა. ახლა მას და ქენის ყველაფერი ჯიგრულად აქვთ.

(«კედელთან მივედი, სადაც მისი სახელი ეწერა მდუმარებაში. ვიცადე და ვიცადე, ვუყურე და ვუყურე – მან კი მიყურა. ვერაფერს ვგრძნობდი, არაფერი მესმოდა, ვერც ვერაფერი დავინახე, ამიტომაც მივხვდი, ქენი ჩემით უკმაყოფილოა-მეთქი. რაღაც უნდოდა ჩემგან. არადა, რა უნდოდა, ვერ ვხვდებოდი. მაგრამ ვიცოდი, რომ ასე იოლად თავს არ გამანებებდა. აი, რატომ არ მესმოდა ხმა. მე ხომ ქენისთვის ვალი მქონდა გადასახდელი. ახლა? ახლა ყველაფერი მოთავებულია. უკვე შეუძლია, მშვიდად განისვენოს». «მაგრამ თქვენ, თქვენ ჯერ კიდევ მკვდარი ხართ?» «მისმინე, შე ტრაკსაწმენდო! ეს იმიტომ გავაკეთე, რომ უკვე მკვდარი ვარ!»)

დილით რაც პირველად გაიგონა ავტოფარეხში, ის იყო, რომ ფაუნია და ის ურია ავტოავარიაში დაღუპულიყვნენ. ყველამ იფიქრა, ალბათ, გზაში მინეტს უკეთებდა და ამიტომაც საჭე გაექცაო. მანქანა სავალი ნაწილიდან გადასულა, ჯებირი გაუნგრევია და მდინარის მეჩეჩში ცხვირით ჩარჭობილა. ბებერმა ურიამ თურმე საჭე ვერ დაიმორჩილა.

არა, მათ სიკვდილს წუხანდელს ვერ დაუკავშირებს. გუშინ საღამოს უბრალოდ რაღაც უჩვეულოდ განსაკუთრებულ ხასიათზე მყოფი მიდიოდა გზაზე.

კითხულობს:

– ჰო? რა მოხდა? ვინ მოკლა ძუკნა?

– ებრაელმა, გზიდან გადავიდა მანქანით.

– ის ჩათლახი, ალბათ, შარვალზე ეჩალიჩებოდა და...

– ჰო, ეგრე ამბობენ.

მორჩა და გათავდა. ეს ამბავი სულ არ აღელვებს. ვერც ახლა

გრძნობს ვერაფერს. მხოლოდ ტანჯვა არ შორდება. ნეტავ რაში უნდა იტანჯებოდეს მომხდარის გამო, როცა ის ძუკნა ბებერ ებრაელებსაც კი მინეტს უკეთებდა? ტანჯვა მარტო მას ერგო, ის ძუკნა კი სამუდამოდ გაუჩინარდა და ყველაფერი დაიკიდა.

ყოველ შემთხვევაში, თვითონ ფიქრობდა ასე, როცა ქალაქის ავტოფარეხში დილით ყავას შეექცეოდა.

ყველანი რომ წამოდგნენ და მანქანებისკენ დააპირეს წასვლა, ლესმა თქვა:

– ეტყობა, შაბათსაღამოობით იმ სახლიდან მუსიკის ხმა აღარ გამოვა.

მართალია, ყველა ვერ მიუხვდა ნათქვამს, მაგრამ როგორც ხდება ხოლმე, გადაიხარხარეს და სამუშაო დღეც დაიწყო.

* * *

თუკი განცხადებაში ნათქვამი იქნება, რომ ქალი დასავლეთ მასაჩუსეტსში ცხოვრობს, რომელიმე კოლეგა, ვინც კი «ნიუ-იორკ რევიუ ოფ ბუქსს» იღებს, უეჭველად ამოიცნობს მას – განსაკუთრებით, თუკი ის საკუთარ გარეგნობასაც აღწერს და თავის თავზე კიდევ რამეს დაამატებს. მაგრამ თუკი თავის საცხოვრებელ ადგილზე კრინტს არ დაძრავს, მაღალია ალბათობა, რომ უახლოეს, ას, ორას ან სამას მილში მცხოვრები კაციშვილი არ გამოეხმაურება. «ნიუ-იორკ რევიუს» გადაფურცვლისას ნახა, რომ ყველა განცხადება მასზე ბევრად უფროს – 15 ან 30 წლით უფროს – ქალებს ჰქონდათ განთავსებული. ასე რომ, თუკი თვითონ ნამდვილ ასაკს მიუთითებდა, საფუძვლიანი ეჭვის აღსაძვრელად ესეც იკმარებდა. რაღაც აშკარად ისე არ არის, როგორც უნდა იყოს: რაღაცას აშკარად მალავს; ასეთი ახალგაზრდა, მიმზიდველი და მრავალმხრივ წარმატებული ქალი ვითომ რაში დაიწყებს კაცის ძებნას გაზეთის გაცნობათა განყოფილების დახმარებით? თუკი საკუთარ თავს «ვნებიანად» დაახასიათებს, ჟინიანი მამაკაცები გათვლილ პროვოკაციად ჩამოართმევენ და «ნიუ-იორკ რევიუ ოფ ბუქსის» მისი სააბონენტო ყუთიც ისეთი მამაკაცების შეტყობინებებით აივსება, რომელთაც ვერ იტანს. მაგრამ თუკი წიგნის ჭიად წარმოაჩენს თავს, რომლისთვის სექსზე

მნიშვნელოვანი პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობაა, მაშინ მხოლოდ იმ თავმდაბალი და მოკრძალებული მამრების მოზიდვას მოახერხებს, ვინც ტემპერამენტიანი ქალის გულის მოგებისას ღმერთმა უწყის, რა წარმატებას მიაღწევენ. თუ «სასიამოვნო გარეგნობას» ჩაწერს თავის აღწერისას, თავს ქალთა იმ ფართო კატეგორიას მიაკუთვნებს, ბუნდოვანსა და გაურკვეველს რომ ვუწოდებთ, ხოლო თუ პირდაპირ მიახლის «ლამაზი» ვარო და არ შეუშინდება სიმართლეს, თან ისეთ ფრაზას გამოიყენებს, რომელიც მის პარტნიორთაგან არავის მოსჩვენებია მანამდე გადაჭარბებად, პირიქით, ზოგი Eblouissante-ს[54] უწოდებდა კიდეც, – Eblouissante! თუ Tu as un visage de chat – მით უმეტეს, თუკი აღწერილობის სიზუსტისთვის დავძენთ, რაც სამი ათეული სიტყვისგან შედგებოდა ხოლმე, უფროსები მას ლესლი კარონსაც[55] კი ადარებდნენ, რომელზეც მამამისსაც უყვარდა ხოლმე მუსაიფი. აშკარა მეგალომანის გარდა სხვა მაინც ვერავინ გაბედავს მასთან მიახლოებას და ვერც ვერავინ მიიღებს მას როგორც ინტელექტუალურ ქალს. თუკი დაწერს: «გთხოვთ, თქვენს წერილს ფოტოც აახლოთ», ან «ფოტოსურათიც თან დაურთეთ», შეიძლება არასწორი წარმოდგენა შეიქმნას, თითქოს ის ფიზიკურ სილამაზეს გონებრივზე წინ აყენებს, ისე, რომ ერუდიციასა და კულტურას არად თვლის, თანაც, ფოტოები, რომლებიც მართლაც შეიძლება მიიღოს, შესაძლოა კორექტირებულ-შელამაზებული ან საერთოდაც ყალბი აღმოჩნდეს. გარდა ამისა, ფოტოს ხსენებამ შეიძლება ის მამაკაცები სულ დააფრთხოს, ვისი ყურადღების იმედიც ჰქონდა. მაგრამ მთლად ფოტოს უნახაობაც ხომ ვერ იქნება, თორემ ისე შეიძლება ნიუ-იორკის ან ბოსტონის რესტორანში ვიღაც შეუფერებელთან აღმოჩნდეს, როგორც არაფერი. თან შეუფერებელთან არა მხოლოდ გარეგნულად. იქნებ მატყუარა აღმოჩნდეს ან შარლატანი? შიდსიც რომ აღმოაჩნდეს? ფსიქოპათი რომ გამოდგეს? ხელების დაგრძელება რომ უყვარდეს ან გარყვნილი, ან ცოლიანი აღმოჩნდეს? ან იქნებ ავადმყოფი შერჩეს ხელში? სამუშაო ადგილი რომ დაუსახელოს და იმ ვიღაცამ მერე ჩამოსვლები, თვალთვალი და აკიდება დაუწყოს? მაგრამ თუნდაც პირველი შეხვედრისას გამოგონილ სახელს ხომ არ ეტყვის? თუკი გულწრფელ, მხურვალე სასიყვარულო ურთიერთობაზე ამყარებს იმედს, – რომლის შედეგადაც მყარი ოჯახი და ბედნიერი შვილები ჩნდებიან, – წესიერმა ადამიანმა სიცრუეზე ააგოს ეს ურთიერთობა? ისე,

ესეც ხომ გასათვალისწინებელია?! დიდსულოვნად ხომ არ დაწერს, «რასას მნიშვნელობა არ ენიჭებაო?» არადა, რომ ენიჭება! კარგი იქნებოდა, რომ არ ენიჭებოდეს, და, ალბათ, არც მიენიჭებოდა, რომ არა პარიზში განცდილი ფიასკო ჩვიდმეტი წლის ასაკში არათეთრკანიანი რასის წარმომადგენელთან – მიუწვდომელი პარტნიორი მისთვის მიუღებელია.

ის ახალგაზრდა და საზრიანი იყო, მაგრამ წინდახედული არ ეთქმოდა, ვაჟი კი ბრაზავილიდან გახლდათ, კარგი ოჯახიდან, უმაღლესი მოსამართლის შვილი – ყოველ შემთხვევაში, მისთვის ასე ჰქონდა ნათქვამი. საფრანგეთში სტუდენტური გაცვლითი პროგრამით მოხვედრილა. მას დომინიკი ერქვა და გოგონამ იფიქრა, სულიერი ნათესაობა გვაკავშირებს და ლიტერატურის სიყვარული გვაერთიანებსო. მილან კუნდერას ერთ-ერთ ლექციაზე გაიცნეს ერთმანეთი. ბიჭმა გამოიჩინა საუბრის დაწყების ინიციატივა, აუდიტორიიდანაც ერთად გამოვიდნენ მილან კუნდერას «ქალბატონ ბოვარიზე» მსჯელობით თავბრუდახვეულები და როგორც დელფინამ გაიფიქრა, ორივენი «კუნდერიზმით» შეპყრობილი. კუნდერა მათ თვალში შერისხული ჩეხი მწერლის სტატუსით დამკვიდრდა, რომელიც ჩეხოსლოვაკიის გათავისუფლების დიდი საქმისათვის იყო მავანთა მიერ უარყოფილი. კუნდერას გიჟმაჟობა სულაც არ ეჩვენებოდათ თავქარიანობად. მისი «სიცილისა და თავდავიწყების წიგნი» ორივეს სიგიჟემდე უყვარდა. მწერალს მათი ნდობა მოეპოვებინა რაღაცით. აღმოსავლეთევროპულობით. უშრეტი ინტელექტუალიზმით. ასევე იმითაც, რომ მისთვის ყველაფერი თითქოს რთული ჩანდა. გარდა ამისა, ორივეს კუნდერას თავმდაბლობა აოგნებდა – არავითარი ვარსკვლავური თავში ავარდნა, – და აზროვნებისა და ტანჯვის მწერლისეულმა კოდექსმა მათ გულებშიც პოვა ნახმევი. მთელი მისი ინტელექტუალური დარდი და მერე ამისთანა გარეგნობა. დელფინაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მებრძოლი პოეტის იერმა, რომელსაც გარეგნული ნიშნებითაც კი მიუხვდებოდა ადამიანი, თუ რამხელა შინაგანი ბრძოლები ჰქონდა გადატანილი.

მასა და დომინიკს შორის მომხდარი მხოლოდ და მხოლოდ ხორციელი ვნება იყო, რაც დელფინასთვის სრულიად ახალს წარმოადგენდა. ასე ხომ მხოლოდ სხეულთან ჰქონდა შეხება. უბრალოდ მაშინ ბევრი რამ დაუკავშირა კუნდერას ლექციას და მერე ეს კავშირი შეცდომით დომინიკზე გადაიტანა, მით

უმეტეს, რომ ისედაც დაჩქარებულად განვითარდა მათი ურთიერთობა. სხეული და არაფერი სხეულის გარდა. დომინიკს კი არ ესმოდა, დელფინას სექსზე მეტი სურდა. ქალს არ უნდოდა, რომ მხოლოდ შამფურზე წამოცმული მწვადი ყოფილიყო, რომელსაც ხან დაატრიალებენ და ხან რამეს დაასხამენ გემოს შესამატებლად. დომინიკი კი სწორედ ამას უკეთებდა და სიტყვიერადაც ადასტურებდა ხოლმე გულისწადილს. სხვა დანარჩენი, ლიტერატურის ჩათვლით, არაფერი მის გულს არ ეკარებოდა. მოდუნდი და გაჩუმდი, – მხოლოდ ეს სჭირდებოდა დომინიკს დელფინასგან და გოგონაც რატომღაც თავს ვერ აღწევდა მის ამ მოთხოვნას; ბოლოს ერთი საშინელი საღამოც დადგა, როდესაც დომინიკთან მისულ დელფინას ბოიფრენდის ძმაკაციც დაუხვდა მხოლოდ ერთი სურვილით. არა, ეს მისი მცდარი შეხედულება და წინასწარი განწყობა როდია, უბრალოდ, დარწმუნებულია, რომ თავისივე რასის წარმომადგენელთან რომ დაეჭირა ურთიერთობა, ასეთ რამეს უბრალოდ არ აკადრებდნენ. მართლაც დიდი წინდაუხედაობა გამოიჩინა დელფინამ, რისგანაც ძლივძლივობით მოახერხა გამომჯობინება. გამომჯობინებაში კი პროფესორთან გაჩაღებულმა რომანმა შეუწყო ხელი – იმ პროფესორთან, ბეჭედი რომ უსახსოვრა. სექსი, ცხადია, საოცარი სექსი, მაგრამ მეტაფიზიკის თანხლებით. სექსი და მეტაფიზიკა გამოცდილ და თავშესაქცევ ადამიანთან. ისე, კუნდერას კი ჰგავდა რაღაცით. ახლაც სწორედ ასეთს ეძებს.

პრობლემა, რომლის გამოც კომპიუტერთან გვიანობამდე მჯდომი ტვინს იჭყლეტდა და საკუთარი კაბინეტის დატოვების ძალაც არ შესწევდა – უნდა ითქვას, რომ ერთადერთი სულიერი შუაღამისას ბართონ-ჰოლში მხოლოდ თვითონ იყო, – იმაში მდგომარეობდა, რომ განცხადების წამკითხველისთვის როგორმე გაეგებინებინა, თუნდაც შეფარვით, არათეთრკანიანებმა თავი არ შეიწუხოთო. არადა, სახლში დაბრუნებას სიკვდილი ერჩივნა – კარს მომდგარ ღამეს მარტოდმარტო უკვე ვეღარ შეებრძოლებოდა, – სახლში კი ერთი უბრალო კატაც არ ჰყავდა. მაგრამ «ათინაში» რომ გაუგონ ოინი? არა, ადგილობრივი იერარქიის საფეხურებზე ასე სწრაფად ამავალ ქალბატონს ზედმეტი თავსატეხი არ სჭირდება. ასე რომ, ფოტოს მოთხოვნა მაინც მოუწევს, თუმცაღა ესმის – ესმის, რადგან მთელი ძალით ცდილობს

არაფერში ჩაიჭრეს, წინდაუხედავი და მიამიტი ნაბიჯი არ გადადგას; თან როგორმე გამოიცნოს კაცის სავარაუდო ნაბიჯი, რაშიც თავის მცირესტაჟიან ქალურ გამოცდილებას რთავს, – რომ გარყვნილსა და სადისტს ფოტოს გამოგზავნაში ხელს არაფერი შეუშლის, რომლითაც სწორედ რასის თვალსაზრისით შეიყვანს ქალს შეცდომაში.

არა. არა. ეს მეტისმეტად რისკიანი ნაბიჯია და თავმოყვარეობასაც ულახავს, – საგაზეთო სტატიით ეძებოს ისეთი მამაკაცი, რომელსაც «ათინაში» ვერასოდეს მიაგნებს, მით უფრო ამ პროვინციული კოლეჯის პედაგოგებს შორის. მაინც არაფერი გამოუვა და ჯობია შეეშვას. თუმცა გონებაში მაინც ატრიალებს ყველა იმ საფრთხესა და სიამეს, რასთანაც პოტენციურად შეიძლება იყოს მისი საგაზეთო განცხადება დაკავშირებული, არც ის ავიწყდება, რომ ენისა და ლიტერატურის კათედრის უფროსს კოლეგებისა და საზოგადოდ, საზოგადოების თვალში საკუთარი ვნებებისა და გასაჭირის გაშიშვლება არ შეჰფერის, რადგან სერიოზული სწავლულისა და პედაგოგის იმიჯი აქვს შექმნილი. ამ საქციელით კი ბევრს ენით ზურგს მოაფხანინებს და ამურმაც რომ დააღალატოს, ორივე ფრონტზე დამარცხებული დარჩება. ამ ფიქრებში გართული ადგა და ელექტრონული წერილები დაუგზავნა კოლეგებს, სადაც სადიპლომო ნამუშევრებზე თავისი მოსაზრებები ჩაწერა, იმავდროულად კი გონებაში ისეთი განცხადების შეთხზვას ცდილობდა, რომელიც «ნიუ-იორკ რევიუს» გაცნობათა განყოფილების სტანდარტებშიც ჩაჯდებოდა და თან ნათლად წარმოაჩენდა მისი პიროვნების ჭეშმარიტ მასშტაბს. საათზე მეტი იმტვრია თავი და ვერა და ვერ დაწერა თავისთვის მისაღები ტექსტი, რომელსაც, სულ ცოტა, ფსევდონიმით მაინც გაგზავნიდა გაზეთში.

დას. მას. 29 წლის ტანმორჩილი და ვნებიანი პარიზელი პროფესორი, რომელიც მოლიერსაც ისევე ასწავლის

გონიერი და ლამაზი ბერქშირელი აკადემიკოსი, რომელიც ხბოს მედალიონების[56] მომზადებასაც ისევე კარგად ართმევს თავს, როგორც ენების კათედრას, ისურვებდა გაეცნო

სერიოზული მეცნიერი ქალბატონი, გასათხოვარი, თეთრკანიანი, გაიცნობდა...

პარიზელი გაუთხოვარი მასწავლებელი, თეთრკანიანი, იელში

დოქტორის ხარისხმიღებული. მინიატიურული, ერუდირებული, წიგნისმოყვარე, ეშხიანი შავგვრემანი გაიცნობს

კოლეჯის მიმზიდველ და სერიოზულ მასწავლებელ ქალს სურს, რომ ფრანგს, გასათხოვარს, მეცნიერებათა დოქტორს, ჰუმანიტარს, მასაჩუსეტსში მცხოვრებს სურს გაცნობა

ჰო, მართლა, ვისი გაცნობა სურს? ნებისმიერის, ოღონდ კი ათინელ კაცებს – ახალგაზრდებს, უკბილოდ რომ ხუმრობენ, მოხუცებს, ბებერ ქალებს რომ დამსგავსებიან, მშვიდ, ოჯახის მუჭუჭ კაცუნებს, პროფესიონალ ვიგინდარებს, კაცობა რომ სულ დაუკარგავთ, აუფ! – არ ჰგავდეს. კაცუნები, იმით ამაყობენ, სახლის ნახევარ საქმეს ჩვენ ვაკეთებთო. გულისამრევია. აუტანელი! «იცით, ახლა ჩემი გაქცევის დროა, ცოლს უნდა შევენაცვლო, თორემ ზუსტად ერთი და იმავე რაოდენობის საფენები გამოვუცვალეთ პატარას და ახლა ჩემი ჯერია უკვე». როცა მამაკაცი ხელსაქმეში თავის მიღწევებზე იწყებდა საუბარს, დელფინას გულზიდება ეწყებოდა. ღმერთო, რამდენიც უნდათ, იმდენი ისაქმიანონ სახლში, ოღონდ ისე ნუ დაეცემიან, რომ მე მიამბონ ყველაფერი. ოჯახურ თანასწორობას ნუ გამომიჭენებენ ასე მოურიდებლად. რაც უნდათ, ის ქნან, ოღონდ კი არაფერი თქვან. ასეთი შეხედულებით დელფინა კოლეგებისგან მკვეთრად განსხვავდებოდა, რადგან ქალი პედაგოგების უმრავლესობა (თუ არა ყველა) მამაკაცის დახმარებას დიდად აფასებდა და მათ საქციელს «თანაგრძნობას» უწოდებდა. საკუთარი ცოლის ქება განა თანაგრძნობაა? «ჩემი სარა ლი იმისთანაა, რომ... უკვე ოთხ-ნახევარი სტატია აქვს გამოქვეყნებული...» მისტერ თანამგრძნობელი მის მიღწევებს მუდამ ახსენებს. მისტერ თანამგრძნობელი მეტროპოლიტენ-მუზეუმში გამართულ გამოფენაზე საუბარს მუდამ ასე იწყებს: «როგორც სარა ლი იტყოდა...» მაგისთანები ან ცოლს აქებენ, ან სულ ყლაპავენ ენას. მეტყველების უნარდაკარგულები დგანან და დათრგუნვილი სახით იმზირებიან – მსგავსი რამე სხვა ქვეყანაში არ უნახავს! თუკი სარა ლი მასწავლებელია, ოღონდ სამსახურს ვერ შოულობს, ხოლო ქმარი თუნდ გაჭირვებით ინარჩუნებდეს სამუშაო ადგილს, ოღონდ კი ცოლს გულნაკლულად არ აგრძნობინოს თავი და საკუთარი ნებით შეელევა სამსახურს. აი, საქმე თუ სხვაგვარად შებრუნდა და ქალს კი არა, კაცს მოუწია შინ ჯდომამ, ერთგვარი სიამაყის

განცდაც კი დაეუფლება. ფრანგი ქალიც ხომ სექსუალური და შინაგანად თავისუფალია, თან ინტელექტუალურიც, მაგრამ თუ კაცი მასზე მეტს ილაპარაკებს, რა უჭირს მერე, ამით რა დაშავდება. ან მთელი ეს ვნებათაღელვა რა შუაშია? «იცით, ის სრულიად ემორჩილება ქმრის უხეშ ძალას, ფრანგმა ქალმა რომ თავი ნამდვილ ქალად იგრძნოს, ამისათვის ხომ ქმრისგან სჭირდება მტკიცე ხელი. ხუთი წლის წინ არ იყო, რომ ათინაში ჩამოსვლასა და მტკიცე ხელისა და ხასიათის მქონე მამაკაცის გაცნობაზე ოცნებობდა? მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა – ჭაბუკი პედაგოგები ნაკლებსექსუალურები და ქალოიები აღმოჩნდნენ, ძილმოსაგვრელი აზროვნებითა და მოსაწყენი საუბრით. ყველა ერთ თარგზე იყო მოჭრილი – ყველა შინ მყოფ ცოლს აქებდა: ჩემი სარა ლი ასეთია, ჩემი სარა ლი ისეთია... – პარიზში გაგზავნილ წერილებში მათნაირებს «საფენებს» უწოდებდა ხოლმე გამწარებული დელფინა.

გარდა ამისა, აქ «ქუდებიც» დაუხვდა გასათვალისწინებელი. ისინი რაღაცით იმას ჰგავდნენ, «კოლეჯთან არსებული მწერლები» რომ ჰქვიათ ხოლმე. «ათინაში» კი, როგორც ეტყობა, მთლად წყალწაღებული ეგზემპლარები არ შეხვედრია, მაგრამ ვერც ამ ორმა მოიგო მისი გული. კვირაში ორჯერ ევლინებიან სტუდენტებს გაბადრული სახეებით, – თან ცოლიანები არიან და თან დელფინას შებმას ცდილობენ, – აუტანლები! «როდის ვისადილებთ ერთად, დელფინა?» სამწუხაროა, მაგრამ დელფინა აღფრთოვანებული არ არის მათით. რაც ყველაზე მეტად მოსწონდა კუნდერაში, როცა მის ლექციებს უსმენდა, ის იყო, რომ კაცი მუდამ ჩრდილში ამჯობინებდა დარჩენას, ცოტათი მაინც, ამ malgre lui[57] დიდმა მწერალმა იცოდა, როგორ უნდა დაეჭირა თავი.

ყოველ შემთხვევაში, ასე აღიქვამდა დელფინა მას და ასეთი მოსწონდა დიდი აღმოსავლეთევროპელი. თუმცა ამერიკული პოზა «იცით, მე მწერალი გახლავართ!» დელფინას არ ხიბლავდა და ვერც მოხიბლავდა, რადგან მსგავსი რამის ატანა არ ჰქონდა. არადა, როგორია, როცა ზევიდან გიყურებენ და ფიქრობენ, ფრანგი კი ბრძანდებით და ელიტური განათლებაც მიგიღიათ, ევროპელო ქალო, მაგრამ თქვენ მაინც ერთი უბრალო პედაგოგი ხართ, მე კი მწერალი გახლავართო.

კოლეჯთან არსებული ეს მწერლუკები, რამდენადაც დელფინას შეუძლია განსაჯოს, სულ იმის ფიქრში არიან, რა

დაიხურონ თავზე. ჰო, ორივეს ცოტა კრამიტი აქვთ დაცურებული ამ სფეროში – პროზაიკოსსაც და პოეტსაც – და ამიტომაც მონათლა დელფინამ ისინი თავის წერილებში. ერთ-ერთი სულ იმის ცდაშია, რომ ჩარლზ ლინდბერგს[58] ჰგავდეს და მთელი წელი ერთი თხელი, გაქუცული, ჩაფხუტიანი კოსტიუმით დადის, თუმცა რა კავშირია კოსტიუმსა და მწერლობას შორის, მით უმეტეს, კოლეჯში, დელფინა ვერა და ვერ ჩასწვდა. როცა პარიზელ ნაცნობებს აქაურ ამბებზე სწერს ხოლმე და ამ საკითხსაც ასე თუ ისე ეხება, იუმორის გარეშე ორ წინადადებასაც ვერ გადააბამს ერთმანეთს. ახლა მეორეს აღარ იკითხავთ? ერთი კოხტაპრუწა ტიპია გვერდებდაშვებული ქუდით, რომელიც სარკესთან რვა საათს ატარებს, რომ ხელოვნურად მიიღოს უდარდელი ტიპის იერი. ამპარტავანია, მუდამ გაუგებრობამდე ჩახლართულად საუბრობს, დაახლოებით ასოთხმოცდამეექვსე ცოლი ჰყავს და ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს მუდამ მნიშვნელოვანზე ლაპარაკობდეს. დელფინას ეს კაცი კი არ სძულს – უფრო ეზიზღება. თუმცა, ბერქშირის ამ მიყრუებულ დაბაში ყოფნისას, რომანზე რომ ფიქრობს ხოლმე, ზოგჯერ «ქუდების» მიმართაც კი უჩნდება ორგვარი დამოკიდებულება – იქნებ უფრო სერიოზულად შემეხედა მათთვის ეროტიკულ ვარიანტში მაინც? მაგრამ არა, მას მერე, რაც პარიზელ მეგობრებს მათზე მისწერა, ეს უკვე შეუძლებელია. ახლა მარტო იმიტომ არ უნდა დათმოს, რომ ორივემ მის ენაზე დაუწყო ლაპარაკი. ერთ-ერთი, უფრო ახალგაზრდა, შედარებით უფრო საინტერესოა: ბატაისაც კითხულობს და ჰეგელიც წაკითხული აქვს, დელფინამ რამდენჯერმე დასდო პატივი და გაისეირნა კიდეც მასთან ერთად, თუმცა ასე სწრაფად მამაკაცს მის თვალში ეროტიკული ხიბლი არ დაუკარგავს: რადგან კაცი იმავე ლექსიკონით ემასლაათებოდა, რომელსაც თავად დელფინა იყენებს, – ქალმა ლამის ეჭვი შეიტანა, ნეტავ მე რამდენად სწორად ვიყენებ სიტყვებსო – მის თვალში ისე დაკნინდა, რომ, როგორც იტყვიან, სამარე საკუთარი ხელით გაითხარა.

ხოლო რაც შეეხება ტვიდისკოსტიუმიან ჩამორჩენილ «ჰუმანისტებს»... კონფერენციებსა და სტატიებში დელფინამ ის უნდა წეროს, რაც მის პროფესიულ წრეშია მიღებული. თან ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს ეს «ჰუმანისტები» მისი პირადი მე-ს იმ ნაწილს წარმოადგენენ, რომელსაც, როგორც

ახლა ჰგონია, ღალატობს. ალბათ, ამიტომაც მიილტვის მათკენ: ისინი მუდამ იმად რჩებიან, ვინც იყვნენ, არიან და იქნებიან და მას ღალატის გამო აკრიტიკებენ. დელფინას ლექციებს წარმატება არ აკლია, მაგრამ ეს ხალხი ამ წარმატებას მოდურ ნიავქარად აღიქვამს. ამ ხანში შესული ჰუმანისტების, ყველაფერი წაკითხული რომ აქვთ, ამ ენთუზიასტი პედაგოგების ფონზე (ასე ფიქრობს მათზე და რა ქნას?) თავს თავცარიელად გრძნობს ზოგჯერ. მის პოპულარობაზე უბრალოდ ეცინებათ, სწავლულობას კი არაფრად უგდებენ. პედკოლექტივის შეკრებებზე იმას ამბობენ, რაც სურთ, თან სრულიად უშიშრად და ადამიანი უნებლიეთ ფიქრობს, სწორადაც იქცევიანო. აუდიტორიაშიც იმას ამბობენ, რაც მოუნდებათ და ამ დროსაც ფიქრობ, მართებულად იქცევიანო. შედეგად, დელფინა მათ წინაშე თავდახრილია. ე. წ. თეორიის დისკურსში მთლად დარწმუნებულია, რაც პარიზსა და ნიუჰეივენში შეითვისა, მაგრამ მაინც თავის დახრას ამჯობინებს. მაგრამ ეს ენა წინსვლისათვის ესაჭიროება. მარტოა უცხო ქვეყანაში, თან მარტოსულიც, წინსვლისთვის კი რამდენი რამ უნდა! წინ მიმავალ ნაბიჯებს კომპრომისზე მიმავალ ნაბიჯებსაც უნაცვლებს, რაც მის შინაგან მრწამსს აყალიბებს და რაც უნდა გაადრამატულოს ეს უსიამო სიტუაცია – და «ფაუსტისეულ გარიგებად» წარმოაჩინოს, – დიდ ნუგეშს მაინც ვერ პოვებს.

ხანდახან ისეთი გრძნობაც ეუფლება, რომ მილან კუნდერასაც ღალატობს, და ამიტომაც მარტოდ ყოფნისას, გონებრივად გამოიხმობს ხოლმე მის სახეს, ესაუბრება და პატიებას სთხოვს. კუნდერა თავისი ლექციებით ცდილობდა, მოაზროვნე მკითხველები ფრანგული ჭარბი სინატიფისგან გაეთავისუფლებინა, ისე წაეყვანა რომანზე საუბარი, რომ რეალურ ადამიანებთან დაკავშირებულ საკითხზე – ადამიანურ კომედიაზე – გადასულიყო; ცდილობდა, სტუდენტები სტრუქტურალიზმისა და ფორმალიზმის მომხიბლავი ხაფანგებისთვის აერიდებინა, თანამედროვეობის სენისგან ეხსნა, ტვინიდან ფრანგული თეორიები ამოერეცხა, რომელთაც ძალით უტენიდნენ სტუდენტებს; თვითონ დელფინა კი მის ლექციებს უდიდეს შვების მომგვრელად მიიჩნევდა, რადგან მისი პუბლიკაციებისა და ახალჩასახული სამეცნიერო რეპუტაციის მიუხედავად, თეორიის პრიზმაში ლიტერატურის აღქმა ყოველთვის უჭირდა. რაც მას მოსწონდა და რითიც უნდა

აღფრთოვანებულიყო – ამ ორს შორის დიდ უფსკრულს დაეფჩინა პირი, გარდა ამისა, მოღალატედ მიაჩნდა თავი კუნდერას წინაშე, როცა საკუთარ თავთან საყვარელ მწერლებზე ლაპარაკობდა, თუმცა ეს მისი ცხოვრების ყველაზე დიდი პრობლემა როდი იყო, მაგრამ არმყოფი შეყვარებულის – კეთილისა და მიმნდობის – მიმართ მაინც ერთგვარ სირცხვილსა და უხერხულობას გრძნობდა.

რაც ყველაზე უცნაურია, დელფინა ერთადერთ მამაკაცთან ატარებს დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთს, – აქაურ პერსონაჟთა შორის ყველაზე კონსერვატიულად განწყობილ, სამოცდახუთი წლის განქორწინებულ ართურ ზიუსმანთან; ართური ბოსტონის უნივერსიტეტის ეკონომისტია, რომელიც 1976 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში ფორდის გამარჯვების შემთხვევაში ფინანსთა მინისტრი უნდა გამხდარიყო. სიმსუქნისკენ მიდრეკილსა და მძიმე ნაბიჯით მოსიარულეს კოსტიუმის გარდა ვერაფერში იხილავს კაცი. ვერ იტანს «აფირმაციულ ქმედებასა»[59] და ქლინთონს, ბოსტონიდან კვირაში ერთხელ ჩამოდის, რაშიც აუარება თანხას უხდიან და როგორც ამბობენ, საუნივერსიტეტო სამყაროში «ათინას» სახეს განსაზღვრავს, რითიც ჩვენი კოლეჯი ამერიკის სასწავლებელთა რუკაზე აღინიშნება. აქაური ქალები ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ დელფინა მასთან წოლილა – წოლილა თუნდაც იმის გამო, რომ ზიუსმანი ოდესღაც ფრიად გავლენიანი გვამი გახლდათ. ხანდახან სასადილო დარბაზში ართური გვერდითაც მიუჯდება ხოლმე, რაც ეჭვს კიდევ უფრო ამყარებს. შემოდის თუ არა, – სახეზე მძიმე მოწყენილობა აქვს გამოხატული – დელფინას შენიშნავს და ეკითხება, «შეიძლება, შემოგიერთდეთ?» რაზეც ახალგაზრდა სწავლული გულღიად პასუხობს, «რამხელა პატივია, ჩვენთან ყოფნით რომ გვაბედნიერებთ, დაბრძანდით» ან რაიმე ამდაგვარს. ართურს მოსწონს დელფინას ასეთი მსახიობობა. ლანჩის დროს მათ შორის, როგორც ქალი უწოდებს, «ჭეშმარიტი საუბარი» იმართება ხოლმე. «ოცდაჩვიდმეტი მილიარდი დოლარი საბიუჯეტო მოგებაა და მთავრობა გადასახადების გადამხდელებს არაფერს უბრუნებს უკან, – ეუბნება ეკონომისტი ლიტერატორს, – თავისი ნაშოვნი ფული ხალხმა თვითონ უნდა მოიხმაროს, ბიუროკრატები კი არ უნდა განკარგავდნენ მათ მოგებას». ლანჩისას ართური დაწვრილებით უხსნის, თუ რატომ უნდა გადაეცეს

სოციალური დაზღვევის ფონდი ინვესტიციების კერძო სპეციალისტებს. «ყველამ, – ამბობს ართური, – საკუთარ მომავალში უნდა განახორციელოს ინვესტიცია. სახელმწიფოს როგორ უნდა მივანდოთ ხალხზე ზრუნვა, როცა სოციალური დაზღვევის ფონდს ამხელა მოგება მოაქვს, იმავდროულად კი, კაცმა ფასიან ქაღალდებში რომ დააბანდოს ფული, სულ ცოტა ორჯერ მეტ მოგებას ნახავდა?» ართურ ზიუსმანის ვარაუდები – პირადი სუვერენიტეტითა და პიროვნული თავისუფლებითაა განპირობებული, თუმცა არშემდგარ ფინანსთა მინისტრს ლიტერატორი დელფინა რუ შეკამათებას უბედავს და ახსენებს, სად აქვს ხალხს იმხელა ფული, რომ არჩევანი თვითონ გააკეთოს, ან იმხელა განათლება, რომ გაცნობიერებული გადაწყვეტილებები მიიღოსო? ბაზარი ხომ ხალხისთვის დახურული ზონაა. «თქვენი მოდელი, – გამალებით უხსნის დელფინა, – ეფუძნება პიროვნული რადიკალური თავისუფლების არსს, რომელიც თქვენი წარმოდგენით ბაზრის რადიკალურ თავისუფლებამდე დაიყვანება». ბიუჯეტის სიჭარბე და სოცდაზღვევა – ეს ორი თემა არა მარტო მას უკარგავს მოსვენებას, ამაზე ყოველდღე ისმის საუბარი. ეტყობა, იმიტომ უფრო შეიძულა ქლინთონი, რომ ამ უკანასკნელმა იმ ყოველივეს დემოკრატიული ვერსიები შესთავაზა საზოგადოებას, რაც ზიუსმანს სურდა. «მადლობა ღმერთს, – განაგრძობს ართური, – რომ ის კაცუნა ბობ რაიხი მაინც მოაცილეს იქიდან, თორემ ქლინთონს იმაზე დაახარჯვინებდა მილიარდებს, რომ ხალხისთვის იმ სფეროებში მიეცათ განათლება, რომლებშიც სამუშაო ადგილები სანთლით საძებარია. ასე მოუხდება, ხომ გააბუნძულეს კაბინეტიდან. კიდევ კარგი, იქ ერთი ნორმალური ადამიანი, ბობ რუბინი რომ დარჩა, შავსა და თეთრს მაინც არჩევს ერთმანეთისგან. ალანთან ერთად საპროცენტო განაკვეთების შენარჩუნება მაინც მოახერხა და ეკონომიკური გამოცოცხლებისათვის არ შეუშლია ხელი...»

ერთადერთი, რაც დელფინას ართურში მოსწონს, მარქსისა და ენგელსის ბრწყინვალე ცოდნაა. მართალია, ეკონომიკურ საკითხებზე ბუზღუნით იცის ლაპარაკი, მაგრამ მათ «გერმანულ იდეოლოგიასაც» კარგად იცნობს, ამ შემოქმედებაზე კი დელფინას მუდამ დიდი წარმოადგენა ჰქონდა და აღფრთოვანებას ვერასდროს ფარავდა. როდესაც ზიუსმანი რუს «გრეით ბარინგთონში» პატიჟებს ხოლმე

სავახშმოდ, ყველაფერი უფრო რომანტიკულ და ინტელექტუალურ ელფერს იძენს, ვიდრე კოლეჯის სასადილოში. ვახშმისას ზიუსმანს დელფინასთან ფრანგულად საუბრის საღერღელი აეშლება ხოლმე. მისი ერთ-ერთი გატაცება თურმე პარიზელი ქალი ყოფილა და ფრანგული ენით მასზე ოდინდელ მოგონებებში იძირება. დელფინა კი, როდესაც ართურის სასიყვარულო თავგადასავლების შესახებ ისმენს, თავბრუდახვეულივით ხდება და კრინტს ვერ ძრავს. ისე ტრაბახობს თავისი საგმირო საქმეებით ბატონი ართური, თუმცა ერთობ თავაზიანად, რომ გარკვეული ხნის შემდეგ დელფინას სულაც აღარ ეჩვენება თავაზიანად მისი ნაუბარი. აუტანელია, როცა სასიყვარულო ფრონტზე მიღწეული გამარჯვებების შესახებ მოყოლით ჰგონია, რომ დელფინაზე გავლენას ახდენს, მაგრამ დელფინას მოთმინების მეტი რა დარჩენია, როცა ამისთანა ინტელექტის პატრონთან ზის და ვახშმობს – ნაკითხთან, თავის თავში დარწმუნებულთან, მაღალი დონის ადამიანთან – ცოტათი მოსაწყენთან, მაგრამ მაინც ზეკულტურულ პიროვნებასთან. როდესაც ვახშმობისას მამაკაცი ხელს მოჰკიდებს ხელზე, ქალი ტაქტიანად მიანიშნებს, თუ ჩემთან ღამის გატარება განგიზრახავთ, ჭკუიდან გადასულხართო. ავტოსადგომზე ართური წელს ოდნავ ქვემოთ ნაზად ხვევს ხელებს და თავისკენ მიიზიდავს. ეუბნება: «სად შემიძლია, ასე ჟამიდან ჟამზე გხვდებოდეთ და ოდნავ მაინც არ ამიჩქროლდეს გული; ამისთანა სილამაზის ქალს ვახშმად ვეპატიჟებოდე, ვესაუბრებოდე, ვეკამათებოდე და ამას დავჯერდე? ეს ხომ ჩემს ძალას აღემატება». «საფრანგეთში ერთი გამოთქმა გვაქვს, – პასუხობს დელფინა, – რომელიც...» «რომელიც რა? – ეკითხება გულგახეთქილი ართური, ვაითუ, რამე ცუდს მოასწავებდესო ქალის პასუხი». დელფინა იღიმება: «არც კი ვიცი, იქნებ მერე გამახსენდეს», – ხმადაბლა პასუხობს და ნელა ითავისუფლებს მისი მოულოდნელად ღონიერი მკლავებისგან თავს. საერთოდაც, ცდილობს, რბილად მოექცეს ართურს, რადგან ეს მამაკაცზეც მოქმედებს და თან დარწმუნებულია, რომ კაცი ყველაფერს თავის ასაკს აბრალებს, არადა, დელფინა მანქანაში, უკანა გზაზე, უხსნის, ასაკი არაფერ შუაშიაო. აქ თავიდათავი აზროვნების ყაიდააო, რაც ბანალურზე ბანალურია. «საქმე ის არის, მე თვითონ ვინ ვარ», – ეუბნება ზიუსმანს და ამ სიტყვებით ორი-სამი თვით მაინც აფრთხობს ხოლმე, სანამ ხელახლა არ დაუწყებს ხოლმე ძებნას სასადილოში. ზოგჯერ

გვიან საღამოს ან დილაადრიანაც ურეკავს დელფინას. ბექ-ბეიში თავისი საწოლიდან მასთან რატომღაც სექსზე საუბრის სურვილი უჩნდება. ქალი კი პასუხობს, მარქსზე საუბარი მირჩევნიაო და კონსერვატორ ეკონომისტს იოლად იყოლიებს, რომ თემა დაახურვინოს. და მაინც, დელფინას არაკეთილისმსურველები დარწმუნებით აცხადებენ, საყვარლები არიანო, აბა, ამისთანა გავლენიან კაცს ხელიდან ხომ არ გაუშვებდაო. ის, რომ რაოდენ მოსაწყენი და ფერმკრთალი ცხოვრებითაც უნდა ცხოვრობდეს დელფინა, ართურ ზიუსმანის სასიყვარულო ნადავლად ქცევაში სახარბიელოს ვერაფერს რომ ხედავს, მოლაქლაქე ქალების თავში ვერაფრით შედის. გარდა მაგისა, ერთ-ერთმა ავყიამ მას სიმონ დე ბოვუარის პაროდია და «მოძველებული მოვლენაც» კი უწოდა. ალბათ, ის იგულისხმა, ჭკვიანი და ინტელექტუალური ქალი სარტრს ჯერ, რასაც ჰქვია, მიეყიდა და მერე ლამის მის მხევლად იქცა. ამ ქალებისათვის, რომლებიც დელფინას მაგიდასთან დროდადრო ჩამომჯდარ ზიუსმანს ხედავდნენ და არასწორი დასკვნები გამოჰქონდათ, ამქვეყნად ყველაფერი პრინციპული საკითხი, იდეოლოგიური წყობა, გამცემლობა და ღალატი იყო. ბოვუარი გაიყიდა, დელფინაც დახურდავდა, მსგავს საქციელს საზღვარი არ უჩანს. დელფინას რომ უყურებენ, სახეზე რატომღაც მწვანე ფერი ედებათ.

* * *

ეს კი მისთვის დამატებითი თავსატეხია. ამ ქალებთან წაჩხუბება არაფერში სჭირდება, მაგრამ ფილოსოფიურად რომ მივუდგეთ, დელფინა მათგანაც არანაკლებ დაშორებულია, ვიდრე მამაკაცებისგან. ეს ქალები უფრო ფემინისტები არიან, ამერიკული გაგებით, ოღონდ ამის თქმა მათთვის არ ღირს. იმიტომ არ ღირს, რომ დელფინასადმი მეგობრულად მაინც არ არიან განწყობილნი და სულ ზევიდან დაჰყურებენ, თან ისეთი მზერა აქვთ, თითქოს გამჭოლ ხედავენ მის აზრებსა და მიზნებს. დელფინა ახალგაზრდაა, მომხიბლავი, კოხტა ტანი აქვს და გემოვნებით იცვამს, სწრაფად განვლო წარმატების გზა და მისი რეპუტაცია უკვე კოლეჯის ფარგლებსაც სცილდება, ამასთან, მისი პარიზელი ახლობლებივით აქაური

ფემინისტური კლიშეებით არ სარგებლობს, სწორედ იმ კლიშეებით, რომლებითაც მისგან სახელდებულმა «საფენებმა» მთელი მამაკაცურობა დაკარგეს. დელფინამ მათ რიტორიკას მხოლოდ შეფარვით მიმართა ქოულმენისთვის გაგზავნილ წერილში, თან ეს უბრალო შემთხვევითობა ან გადამეტებული აღგზნების შედეგი კი არ იყო, ან გნებავთ, ანგარიში ან შენიღბვა კი არ გეგონოთ. ისე რომ ვთქვათ, ამ «ათინელ» ფემინისტებზე ნაკლებად ემანსიპირებული როდია თვითონ, თუ მეტად არა: სამშობლო მამაცურად დატოვა, ასწავლის, პატივცემულია, რაღაცის მიღწევას ლამობს; მარტოა ამხელა ქვეყანაში და სხვაგვარად ვერც იქნება. არავითარი მხარდაჭერა, არავითარი სახლი, არავითარი მამული. Dépaysée. ქვეყანადაკარგული. სრულიად თავისუფალია, მაგრამ თავს ხშირად ისე გრძნობს, როგორც dépaysée. ამბიციები? თვითონ ხომ ბევრად ამბიციურია, ვიდრე მთელი ეს ფემინისტური თავყრილობა, მაგრამ რამდენადაც მამაკაცები, თუნდაც ართურ ზიუსმანისთანა ცნობილი კაცი, ხშირად თვალებს უჟუჟუნებენ, და რაკი გართობის მიზნით მოტკეცილი ჯინსის ჩაცმაც შეუძლია და «შანელის» ძველმოდური ჟაკეტის შემოცმაც, ზაფხულობით კი ბრეტელებიან კაბასაც იხდენს, და რაკი ცხოველთა დამცველების ათასგვარი პროტესტის მიუხედავად, ქიშმირიც მოსწონს და ტყავიც, კოლეჯის ქალები მას ვერ და არ იწონებენ. თვითონ კი ოდნავადაც არ იმჩნევს დამოკიდებულებას მათი კოშმარული სამოსის მიმართ – მაშინ იმათ ვინღა აძლევს უფლებას, რომ მისი ჩაცმის სტილი აკრიტიკონ და «წარსულის გადმონაშთი» უწოდონ? არადა, მშვენივრად ხვდება, რასაც ამბობენ მასზე. იმავეს, რასაც ის მამაკაცები ამბობენ, რომელთაც უნებლიეთ სცემს პატივს, – შარლატანი და წაკლა�ო, – ეს კი უფრო მტკივნეულია მისთვის. ამბობენ, სტუდენტებს ეკეკლუცებაო; იმასაც ამბობენ, როგორ ვერ ამჩნევენ აქამდეო? ლამის ხმამაღლა თქვან, ეს ძველი ფრანგული, მამაკაცური შოვინიზმის ვარიანტი ქალის სახით არის მოვლენილიო. არც იმის თქმას ერიდებიან, რომ დელფინა მხოლოდ და მხოლოდ faute de mieux[60] დანიშნეს კათედრაზე. მის მეტყველებასა და ლექსიკონსაც დასცინიან. «მისი ინტერტექსტური ხიბლი მოწოდების სიმაღლეზეა, აბა, როგორ გინდათ? თან როგორი ურთიერთობა აქვს ფენომენოლოგიასთან! შეუდარებელია ამ სფეროში!» კარგად იცის, ვის რა წარმოდგენა აქვს მასზე, მაგრამ ისიც ახსოვს, როგორ ცხოვრობდა საფრანგეთსა და იელში; მშვენივრად

აცნობიერებს, რომ სწორედ ასეთი მეტყველებით უნდა ლაპარაკი და სწორედ ამ ლექსიკონს უნდა ფლობდეს კარგი ლიტერატურული კრიტიკოსი. ინტერტექსტურობის ცოდნა მას ჰაერივით სჭირდება – მერე ამის გამოა შარლატანი? ვერ მოგართვით! ეს იმას ნიშნავს, რომ კლასიფიკაციას არ ექვემდებარება. სხვა წრეში მის მისტიკურ ხიბლს უფრო შეიცნობდნენ. მაგრამ კაი დედის შვილი ხარ და, ამ სოროში კლასიფიკაციას არ დაექვემდებარო, მერე ნახე, რა დღეს დაგაყრიან. ართურ ზიუსმანსაც კი ამით აღიზიანებს. სატელეფონო სექსზე მაინც დასთანხმდებოდეს ამ კაცს. აქ ისეა საქმე მოწყობილი (ან აწყობილი), რომ თუ საერთო სქემას ვერ მოერგე, საკუთარ თავს უნდა დააბრალო. კლასიფიკაციას რომ არ ექვემდებარება, ეს იმ «აღმზრდელობითი რომანის» ნაწილია, რომლითაც აღიზარდა და ჩამოყალიბდა, თუმცა «ათინაში» ამის გაგების უნარიც არავის შესწევს.

განსაკუთრებით ყელში ჰყავს ამოსული ინტრიგან ქალთა სამეული – ფილოსოფიის პროფესორი, სოციოლოგიის პროფესორი და ისტორიის პროფესორი. სამეულის წევრებს კი მარტო იმიტომ ჰყავთ ათვალწუნებული, რომ მათნაირი ჩლუნგი და ზუთხია არ არის. რაკი მუდამ მოდურად გამოიყურება და გემოვნებით იცვამს, მასზე ფიქრობენ, ალბათ, სამეცნიერო ჟურნალებს ნაკლებად კითხულობსო. რამდენადაც მათი ამერიკული წარმოდგენა ქალურ თავისუფლებაზე ფრანგულისაგან განსხვავდება, ისინი გავლენიან მამაკაცთან დელფინას მოჩვენებითი არშიყის გამო მის შეჩვენებაზეც კი არ იტყოდნენ უარს. კი მაგრამ, ასეთი ვის რა დაუშავა? ან საზოგადოდ, რა დააშავა? ვის რა ავნო, რომ ამხელა უნდობლობა აღძრა ყველაში? რატომ არ უნდა ექცეოდეს მამაკაცებს ისე, როგორც ექცევა? დიახ, ართურ ზიუსმანისგან «გრეით ბარინგთონში» მიწვევაზე უარი არ უთქვამს, განა ეს იმაზე მეტყველებს, რომ მისი დონის ინტელექტუალად არ მიაჩნია თავი? თავად დელფინასთვის ეს საკითხიც კი გაუგებარია. ცხადია, თანაბარნი არიან. ართურის საზოგადოება მისთვის მაამებლობას სულაც არ ნიშნავს – უბრალოდ, მისი აზრის მოსმენა მოუნდა «გერმანულ იდეოლოგიაზე». და განა ამ ლანჩამდე დელფინა ხსენებულ სამეულთან არ დამჯდარა და მათ ქედმაღლურად არ დაუწყიათ მასთან ლაპარაკი? ცხადზე უცხადესია, პატივიც კი არ დასდეს, მისი ნამუშევრები ენახათ. არც ერთ მათგანს, რასაკვირველია, მისი ნაწერიდან

ერთი სიტყვაც კი არ წაუკითხავს. აქ მხოლოდ პიროვნული ფაქტორია, მეტი არაფერი. თითქოს დელფინა თავისი «მსუბუქი ფრანგული აურით» ლამობს მამრობითი სქესის წამყვანი პროფესორების მოთაფვლას. თუმცა, სულაც არ იწვის სურვილით, რომ მათთან როგორმე ააწყოს ურთიერთობა, ან მით უმეტეს, გულწრფელად უთხრას, ეგ ფრანგული აურა, მე რომ მწამებთ, სულაც არ მომწონს, თორემ საფრანგეთიდან ფეხსაც არ გამოვდგამდიო! რაც შეეხება მამრობითი სქესის წამყვან პროფესორებს, არავისაც არ თაფლავს და საერთოდ, ერთი ადამიანის მოთაფვლასაც კი არ ცდილობს. ასე რომ იყოს, ბართონ-ჰოლის თავის კაბინეტში ღამის თერთმეტამდე შემორჩებოდა? თითქმის ყოველკვირა იმის ცდაშია, რომ ამ ინტრიგან ქალებთან რაღაც საერთო ენა გამონახოს, – არადა, როგორ სასოწარკვეთილებაში აგდებენ! – მაგრამ ამ ქალებზე არაფერი მოქმედებს, არც ღიმილი, არც ხიბლი, არც პირფერობა. Les Trois Grвces – სამი გრაცია – პარიზში მიწერილ წერილებში ასე უწოდებს მათ და ზოგჯერ განგებ გადააკეთებს ხოლმე Grвces -ს grasses-ად, რაც სამი ქონიანი დედაკაცის მნიშვნელობას იძენს. ზოგიერთ ვახშამზე, ისეთზე, დელფინას დიდად რომ არ ეხატება გულზე, ეს სამეული უეჭველად სუფრის თავში გამოიჭიმება ხოლმე. როდესაც რომელიმე ფემინისტი ინტელექტუალი ჩამოდის და მიღებას მართავს, რაღა დასამალია და, დელფინასაც უჩნდება მოსაწვევის მიღების სურვილი, თუმცა ამაოდ. ლექციის მოსასმენად, რაზეა ლაპარაკი, მაგრამ ვახშმად, ოცნებაც კი ზედმეტია.

თავისი ფრანგობის წინააღმდეგ სანახევროდ ამხედრებული (და ამავე ფრანგობით შეპყრობილი), სამშობლოდან საკუთარი ნებით წამოვიდა, (თუ საკუთარ თავს გამოექცა), მათ თვალში მარკის აწევას ბევრიც ეცადა, – თუმცაღა არა საკუთარი მე-ს გადაფარვით და არა მცდარი წარმოდგენების შექმნით საკუთარ მიდრეკილებებზე, – მაგრამ სამეულმა მაინც არად ჩააგდო, რამაც გული გაუტეხა, თან ისე, რომ დროდადრო ლამის დაცემამდე კარგავდა წონასწორობას და იცით, კონკრეტულად რის გამო? ჯერ ერთი, როგორ უნდა მისდგომოდა ლიტერატურის სწავლების საკითხს, რომ პროფესიულ სარბიელზე არ გაყინულიყო და მეორე – საერთოდ, რატომ მოჰკიდა ლიტერატურას ხელი.. დელფინა ისევ პირდაფჩენილი უფსკრულის თავზე აღმოჩნდა და ვეღარ გაიგო, საით გადახრილიყო, თან სრულიად უცხო ქვეყანაში,

თან სრულიად იზოლირებული! განდეგილი, მარტოხელა, მარტოსული, იზოლირებულია და ცხოვრებისეულად მნიშვნელოვანი მიზნიდან აცდენილი, თან ავის მოსურნე ძალების გარემოცვაში, რომლებიც მას მტრად აღიქვამენ. და ეს იმის გამო, რომ დამოუკიდებელი არსებობის ძიებაში სამშობლოდან ათასობით კილომეტრზე გამოეშურა. გაკადნიერებულმა საკუთარ თავზე სხვათა შეხედულება არად ჩააგდო. ახლა უკვე ეჩვენებოდა, რომ თავისთავად საოცარმა მცდელობამ საკუთარი თავი შეექმნა, ახლა, პირიქით, სრულიად გაანადგურა. ცხოვრება ალბათ, თავისი არსით, ძალიან გათახსირებული რამ უნდა იყოს, რაკი ასე მოექცა მას. ძალიან გათახსირებული და ავზნიანი, თან ისეთი, რომ ადამიანებს ბედს ლოგიკის მიხედვით კი არ უწესებს, არამედ გულღრძო და მუხანათური ჟინით. საკმარისია, ადამიანმა თავის სასიცოცხლო ენერგიას მისცეს თავისუფლება და შეუბრალებელი მხეცის ხელში აღმოჩნდება. თავს ეუბნები: წავალ ამერიკაში და საკუთარი ცხოვრების ავტორი გავხდები, ოჯახის მართლმორწმუნეობისგან დავაღწევ თავს, შთამაგონებელ სუბიექტურობას ზღვრამდე მივიყვან, ინდივიდუალიზმს კი – სრულყოფამდე... და ისეთ დრამაში ამოყოფ თავს, სადაც მერე ვერაფერს გახდები. დრამაში, რომლის ავტორიც შენ სულაც არ ყოფილხარ. მერე რამდენიც უნდა ეცადო, რომ ვითარების სადავეები აიღო ხელში და მართო, პირიქით, ამ ვითარების მხევალი და მართული ხდები.

რატომ უნდა იყოს ასე რთული იმის ცოდნა, თუ რა ვაკეთოთ?

დელფინა რუს იზოლირებულობა, ალბათ, მართლა სრული იქნებოდა, რომ არა კათედრის მდივანი მარგო ლუცი – ოცდაათს გადაცილებული განქორწინებული, თაგვივით ჩუმი ქალი; ისიც მარტოხელა, მშვენიერი მუშაკი, საშინლად მორცხვი. მარგო მუდამ მზადაა დელფინასთვის ყველაფერი გააკეთოს, რაც საჭიროა, «ათინაში» მომუშავე ქალთა შორის კი ერთადერთია, ვინც მას ემეგობრება და ზოგჯერ შესვენებაზე კაბინეტშიც კი შეუვლის ხოლმე სენდვიჩის საჭმელად. ცხადია, არც კოლეჯთან არსებული (ან პირდაპირ კოლეჯის) მწერლები უნდა დაგვავიწყდეს. მათ, როგორც ჩანს, დელფინაში სწორედ ის მოსწონთ, რაც სხვებს აღიზიანებს. თუმცა ამაოდ, სამაგიეროდ, დელფინა ვერ იტანს მათ. ნეტავ როგორ ამოყო აქ თავი? ან როგორ დააღწიოს თავი აქაურობას? საკუთარი კომპრომისების ფაუსტისეულ გარიგებად წარმოსახვით

ვერაფერი შეიძინა – თუმცა ვერც კუნდერას «შინაგანი ემიგრაციის» ზონაში თავის წარმოდგენით დაიჭირა რამე ხელმოსაჭიდი.

* * *

«ეძებს». კაი, ჯანდაბას, იყოს «ეძებს». როგორც სტუდენტები ამბობენ, «ბოლომდე მიაწექი!» ახალგაზრდა, გასათხოვარი, მინიატიურული, ქალური, მიმზიდველი პარიზელი ქალი, ფრანგული წარმოშობის მასწავლებელი და ჰუმანიტარი მეცნიერი მშვენიერი პროფესიული პერსპექტივით, იელში დისერტაციადაცული და მასაჩუსეტსში მცხოვრები, ეძებს... მიდი, ამოღერღე! სიმართლეს ნუ ემალები, თქვი, ვინც ხარ და ვისაც ეძებ! თვალისმომჭრელი, ბრწყინვალე და ზესექსუალური ქალი ეძებს... ეძებს... ისე, ნართაულები იქით იყოს და, ვის ეძებს?

გამალებით წერდა.

ზრდასრულ კაცს, მტკიცე ხასიათით. განქორწინებულს ან ქვრივს. მახვილგონიერს. მკვირცხლს. კადნიერს. პირში მთქმელს. განათლებულს. მომხიბვლელს. კლასიკური ლიტერატურის მცოდნესა და მოყვარულს. გულახდილად საუბრის მცოდნესა და მოყვარულს. აღნაგს. 5/8 ფუტი ან 5/9 ფუტის სიმაღლისას. ხმელთაშუაზღვისპირული სახით. სასურველია, მწვანეთვალებიანი. ასაკს მნიშვნელობა არ ენიჭება. ინტელექტი აუცილებელია. ჭაღარათმიანი მისაღებია, სასურველიც კი.

მხოლოდ ასე მიიღო ამ მითურმა ადამიანმა ნაცნობი პიროვნების სახე. ბეჭდვა უცებ შეწყვიტა. ეს მხოლოდ ექსპერიმენტი იყო წინაღობის გადასალახად, შინაგანი შემაკავებლების მოსაცილებლად ახალი მცდელობის წინ. განცხადების დაწერის მცდელობის წინ, რომელიც ზედმეტი წინდახედულებით არ იყო გადაძეძგილი. და მაინც, შედეგმა შეაცბუნა და სურვილი დაეუფლა, ეს ორმოცდაათიოდე ლიტონი სიტყვა სამუდამოდ წაეშალა. დელფინა დაფიქრდა, რამდენი რამ, მათ შორის, სირცხვილის გრძნობაც, მიბიძგებს იმისკენ, რომ მარცხი მადლად მივიღო და ამ ზონიდან თავის დაღწევის საეჭვო ავანტიურაზე ხელი ავიღოო... საფრანგეთში

რომ დავრჩენილიყავი, განა მომიწევდა მსგავსი განცხადების გამოქვეყნება მამაკაცების მოსაძებნადო?.. იმაზეც ფიქრობდა, რომ ამერიკაში გადასვლით სიმამაცე გამოიჩინა, ოღონდ რამხელა სიმამაცე, მაშინ ამას ვერ ხვდებოდა. ეს მისი მორიგი ამბიციური ნაბიჯი გახლდათ, არა უხეშად ამბიციური, უფრო კეთილშობილურად ამბიციური, რომლის მიზანიც დამოუკიდებლობის მოპოვება იყო, ჰოდა, აი, ახლა შედეგებსაც იმკის. და მაინც რა იყო? პატივმოყვარეობა, გონიერება, გლამური. გამგზავრების გლამური. იმ ადამიანებზე ზევიდან დახედვის შესაძლებლობა, რომლებსაც ტოვებდა. ტოვებდა, რათა ერთ მშვენიერ დღეს შინ დაბრუნებულიყო წარმატებული – გამარჯვებული. ტოვებდა, რათა ოდესმე დაბრუნებულს მათგან გაეგონა... და რა გაეგონა? «ყოჩაღ, თავი რომ გამოიჩინე და საწადელს მიაღწიე!» – ესე იგი, შესძლებია და გამოუვიდა კიდეც. ეს თუ მოახერხა, წინ რაღა დაუდგება ამ ცხოვრებაში. ოცი წლისა წავიდა, ორმოცდაშვიდ კილოგრამს იწონიდა, სიმაღლით კი ორმოცდაჩვიდმეტი სანტიმეტრი იყო, სრულიად მარტოდმარტოს ვინაობა იქ არავის აღელვებდა, მაგრამ მაინც გაქაჩა. მოახერხა. არადა, იქ მართლა არავინ იცნობდა. სახელი კი მაინც გაითქვა ამერიკაში». და ვისგან მსურდა ნეტავ ამის მოსმენა? ან რად მინდოდა ამის მოსმენა? «ჩვენი ამერიკელი ქალიშვილი...» მსურდა, მათ ეთქვათ, რომ ისინი იძულებულნი გამხდარიყვნენ, ეთქვათ, «თავად გაითქვა ამერიკაში სახელიო». ვინაიდან საფრანგეთში ნამდვილი წინსვლა არ ეღირსებოდა, რადგან დედამისის ჩრდილიდან ვერ გამოვიდოდა – არა მარტო მისი მიღწევების ჩრდილიდან, არამედ რაც უფრო მნიშვნელოვანია, მისი ოჯახის – ვალენკურების ჩრდილიდან, რომელთაც გვარი იმ მამულის მიხედვით ჰქონდათ მიღებული, რომელიც XIII საუკუნეში წმინდა მეფე ლუის ებოძებინა მათთვის და იმავე ოჯახური იდეალების ერთგულად რჩებოდნენ, ხსენებულ საუკუნეში რომ იყო გავრცელებული. ოი, როგორ სძულს, როგორ ეზიზღება დელფინას ეს ადამჟამის დროინდელი ოჯახები და მათი პროვინციული აზნაურობა! ყველანი ერთნაირად გამოიყურებიან, ყველანი ერთნაირად აზროვნებენ, ერთსა და იმავე ყავლგასულ ფასეულობებს აღიარებენ, ერთი და იმავე დრომოჭმული რელიგიის მიმდევრები ბრძანდებიან. მაგრამ, რამდენად ამბიციურნიც უნდა იყვნენ ეს ადამიანები, რაოდენ დიდ იმედსაც უნდა ამყარებდნენ თავიანთ შვილებზე, უცვლელად და ურყევად უნერგავენ მათ ფესვგადგმულ ცნებებს – ქრისტიანულ

გულკეთილობას, თავგანწირვას, დისციპლინას, რწმენას, პატივისცემას – ოღონდ პატივისცემას არა ინდივიდუალიზმისადმი (ძირს ეს ინდივიდუალიზმი!), არამედ ოჯახური ტრადიციების მიმართ. გონებაზე, ხელოვნებაზე, დამოუკიდებელი პიროვნების შინაგან განვითარებაზე წინ ვალენკურების სულელურ ტრადიციებს აყენებდნენ! დელფინას დედა – აი, ვინ ასხამდა ხორცს ამ ფასეულობებს და ვინ ახვევდა თავს სახლეულს, აი, ვინ მიაჯაჭვავდა თავის ერთადერთ ქალიშვილს ამ ფასეულობებზე საფენებიდან თუნდაც სამარემდე, რომ არა თავად დელფინას სიძლიერე, რათა ჯერ კიდევ ყრმობიდან ეცადა დედის მარწუხებისგან თავის დაღწევა – რაც უფრო დააღწევდა თავს, მით უკეთესი დღე დაადგებოდა. მის თანატოლ ვალენკურებს ქცევის ორი ვარიანტი აღენიშნებოდათ: ან აბსოლუტური დამჯერნი იყვნენ, ან უხეში და ზღვარგადასული მეამბოხენი. დელფინას წარმატებას კი არც ერთთან უნდა ჰქონოდა კავშირი და არც მეორესთან. იმ გარემოდან, საიდანაც თავის დააღწევა ბევრს არავის გამოსდიოდა, დელფინა, თავის მხრივ, ერთადერთი იყო, ვინც გაქცევა მოახერხა. ამერიკაში ამ გადასახლებით, ჯერ იელში, მერე კი – ათინაში, დედასაც კი გადააჭარბა, რომელიც ახალგაზრდობის წლებში, ალბათ, საფრანგეთის დატოვებაზე ფიქრსაც ვერ გაბედავდა. დელფინას მამის ფული რომ არა, კატრინ ვალენკურს ისევ პიკარდიაში მოუწევდა ჯდომა და პარიზამდეც კი ვერ ჩააღწევდა. ვინაიდან ვინც უნდა ყოფილიყო პიკარდიისათვის, პარიზისთვის მისი სახელი მაინც არაფრისმთქმელად დარჩებოდა. იმიტომ წავედი, რომ წარმატების მიღწევა მინდოდა, იმ წარმატების, რომელსაც ვერავინ შემილახავდა, ანუ ჩემი საკუთარი წარმატების... ფიქრობდა, ამერიკაში ჩემთვის მისაღებ კაცს ვერასოდეს ვნახავ, ოღონდ არა იმიტომ, კაცთან ურთიერთობა არ ძალმიძს, არამედ იმიტომ, რომ ენა მაკლიაო. ინგლისური ენის საამაყო ცოდნის მიუხედავად, ენა მაინც მაკლია! მგონია, რომ მათი მესმის, მართლაც მესმის, მაგრამ ის არ მესმის, რასაც არ ამბობენ, ანუ რასაც გულისხმობენ და რაზეც მომანიშნებენ. განსხვავებით პარიზისგან, სადაც უმცირეს ნიუანსსაც კი იჭერდა, აქ ინტელექტის ოდენ ნახევარი ჰქონდა ამუშავებული. მაშ, რაღა აზრი ჰქონდა ჩემს აქ ჩამოსვლას, თუკი მაინც უცხოდ და ლამის ყრუ-მუნჯად დავრჩებოდიო?.. ფიქრობდა, ალბათ, მთელი ჩემი ინგლისური ენიდან, უფრო სწორად, ამერიკული ენიდან, მხოლოდ და მხოლოდ ამერიკული საუნივერსიტეტო

ენა ვიციო, რასაც ამერიკულიც არ ერქვა ბოლომდე და ვერც დაერქმეოდა, რადგან აქაური მამაკაცი ვერა და ვერ იშოვა, ე. ი. აშშ მისთვის სამშობლოდ ვერასოდეს იქცეოდა, მისი ინტუიციური მიხვედრილობა კი მცდარობის ზღვარს ვერ გასცდება, ინტელექტუალის მყუდრო ცხოვრება, რომლითაც ასე ბედნიერი პარიზში სტუდენტობისას არასოდეს დაუბრუნდებოდა და მთელი ცხოვრება განწირული იყო იმისათვის, რომ ამერიკა თერთმეტი პროცენტით აღექვა და გაეგო, ხოლო ამერიკელი მამაკაცები – ნული პროცენტით... ფიქრობდა, რომ მთელ მის გონებრივ უპირატესობას ის ანგრევდა და აცამტვერებდა, რომ თვითონ dépaysée – ქვეყანადაკარგული იყო... დარდობდა, გვერდითი მხედველობა დავკარგე და მხოლოდ იმასღა ვარჩევ, რაც ცხვირწინ მიდევსო, ეს კი ჩემი წრის ქალის, ჩემი გონების პატრონის ხედვა კი არა, უბრალო ემიგრანტის ფასადური ხედვააო, რომელიც არასწორ მისამართზე ჩამოსულიყო... დაფიქრდებოდა ხოლმე, რატომ წამოვედი საფრანგეთიდან, დედაჩემის გამო? და ამის გამო იმ ყველაფერზე ღირდა უარის თქმა, რაც მე მეკუთვნოდა, რაც ჩემი იყო, რაც მგრძნობიარე და ნაზ არსებად მხდიდა და ამ თვალში გაჩხერილ დირედ ვქცეულიყავი? უარი ვთქვა იმ ყველაფერზე, რაც მიყვარდა? მაგრამ ასე ხომ მაშინ იქცევიან, როდესაც ქვეყნის სათავეში ნაცისტების მოსვლის გამო სამშობლოში აღარ გეცხოვრება ადამიანს და არა იმის გამო, რომ დედის ჩრდილს ერიდებოდე... ლამის ნანობდა უკვე სამშობლოს დატოვებას. ჩემი მეგობრები, ჩვენი საუბრები, ჩემი ქალაქი, თაყვანისმცემლები, პარიზის ყველა ინტელექტუალური მამაკაცი. აფსუს, ჩვენი კაცები, საკუთარ თავშიც დარწმუნებულნი არიან და საუბრის წარმართვაც არ ეშლებათ; ზრდადასრულებულები, ჩემიც ესმოდათ... თან როგორი საიმედონი და ვნებიანები არიან, არც ვაჟკაცურობა აკლიათ. სიმხდალის ნატამალიც არ გააჩნიათ. ნაღდი ვაჟკაცები არიან, უკამათოდ კაცურები და ძლიერები. ფიქრობდა, რატომ არავინ შემაჩერა, რატომ არავინ არაფერი მკითხაო? ათი წელიც არ იქნება, რაც სამშობლო დატოვა და ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს ორი ცხოვრება ჰქონდეს გავლილი... ძველებურად კატრინ დე ვალენკურის პატარა გოგონა იყო ისევ და მისხალიც არაფერი შესცვლოდა... ალბათ, ათინა-კოლეჯში ფრანგი ქალი მართლაც ეგზოტიკურ არსებად მიაჩნდათ, მაგრამ დედის თვალშიც არც არაფერი შემატებია და ვინ იცის, არც არასოდეს შეემატებოდა... ჰო, სწორედ ამიტომ წამოვედი სამშობლოდან,

რათა სამუდამოდ გავცლოდი და თავი დამეღწია დედაჩემის უძრავი და ურყევი ჩრდილისაგან, ახლა კი დაბრუნებაშიც იგივე ჩრდილი მიშლის ხელს, ასე რომ, ვერც გავფრენილვარ, ვერც მოვფრენილვარ... თავისი ფრანგობით, თავისი ეგზოტიკური ფრანგობით კი მოჰქონდა თავი, მაგრამ არც თავისმა ფრანგობამ და არც ეგზოტიკურობამ ხეირი არ დააყარა, მეტიც, სწორედ ამ გამორჩეულობამ აქცია «ათინაში» ყველაზე აუტანელ ქალად... სამშობლოდან და საკუთარი კერიდან თვითგანდევნილია თუ გარემოების მიერ? ამ ფიქრებში იყო გართული, რომ გასაცნობი განცხადების ტექსტის სამისამართო ველში ავტომატურად იმ ადრესატების მონაცემები შეიყვანა, რომელთაც წინა მეილები დაუგზავნა სადიპლომო ნამუშევრების თაობაზე, ანუ «ნიუ-იორკ ოფ ბუქსის» მისამართის მაგივრად, კათედრის პედაგოგ-მასწავლებელთა მისამართები მიუთითა; თუმცა ეს კიდევ არაფერი, აქვე მეორე და უფრო მძიმე შეცდომა დაუშვა: იმის მაგივრად, რომ შეცდომით დამისამართებული მეილისთვის წაშლის ბრძანება მიეცა, გაგზავნის ბრძანება მისცა!

წერილი, რომლითაც ქოულმენ სილქის მსგავს მამაკაცს მოუხმობდა გასაცნობად, სულ სხვა მისამართებზე გაფრინდა.

* * *

ღამის პირველი საათი იყო, ტელეფონმა რომ დარეკა. კოლეჯიდან უკვე კარგა ხნის დაბრუნებული იყო თავის ბინაში – მხოლოდ ერთი რამ აფიქრებდა, პასპორტისთვის დაევლო ხელი და სასწრაფოდ გაფრენილიყო ამ ოხერი ქვეყნიდან, – და ძილის დროც კარგა ხნის ჩავლილი, ზარის ხმა რომ გაისმა და სიახლე შეიტყო. წერილის არასწორ მისამართებზე დაგზავნის გამო ისე იყო გამწარებული, რომ დანა პირს არ უხსნიდა, რომელ წყალში გადავარდნილიყო, არ იცოდა, სარკის წინ თავს ეჯღანებოდა და ხმამაღლა მოთქვამდა. სამზარეულოს მაგიდაზე იდაყვები დააყრდნო და ხელები სახეზე მიიფარა, – მისი აქამდე ზრდასრული ცხოვრება ხომ ერთგვარი სიზმარი აღმოჩნდა – მერე კი კივილით წამოხტა: «არა, ეს არ მომხდარა! ეს მე არ ჩამიდენია!» მაგრამ, აბა, ვინ ჩაიდინა? წინათაც გადაჰყრია ადამიანებს, რომელთაც მისი განადგურება, გათელვა სურდათ, სასტიკი ხალხი, ვისგანაც სასტიკ

თავდაცვას წინათვე შეეჩვია, მაგრამ ამღამინდელს ვიღას დააბრალებდა? გამანადგურებელი დარტყმა ხომ საკუთარი ხელით მიიყენა.

გამალებით ცდილობდა გამოსავლის პოვნას, უარესის თავიდან აცილებას, მაგრამ სასოწარკვეთილს მოვლენათა განვითარების ყველაზე საშინელი ვერსიები წარმოუდგებოდა გონებაში: აი, რამდენიმე საათიც გავიდა და გათენდა, აი, ბართონ-ჰოლის კარიც გაიხსნა, აი, მის კოლეგებს საკუთარი კაბინეტებისკენ გაუწევიათ, აი, უკვე კომპიუტერებსაც მიუსხდნენ და რა იხილეს მეილში? დილის ყავისთვის გემრიელი მისატანებელი! ჰოდა, გახსნეს მეილები და ქოულმენ სილქის ორეულის საძებნი წერილი აღმოაჩინეს, რომლის გაგზავნაც საბოლოოდ უკვე გადაფიქრებული ჰქონდა. კათედრის ყველა პედაგოგი, ალბათ, სამჯერ მაინც გადაიკითხავს, რათა დარწმუნდეს შინაარსში, მერე კი ასისტენტებით დაწყებული და სტუდენტებით დამთავრებული ყველას მისცემენ ტექსტის გაცნობის საშუალებას.

ყველა წაიკითხავს, ვინც მის ლექციას ერთხელ მაინც დასწრებია. მისი მდივანიც კი გაიგებს. დღესვე წაიკითხავენ კოლეჯის რექტორიც და სამეურვეო საბჭოს წევრებიც. რომც განაცხადოს, ვიხუმრეო, სამეურვეო საბჭოს წევრები ამისთანა ხუმარას კოლეჯში მაინც არ დატოვებენ. განსაკუთრებით მას მერე, რაც ეს «ხუმრობა» სტუდგაზეთის პირველ გვერდზე «გაიბრწყინებს». არადა, ტექსტს ადგილობრივ გაზეთში «გაბრწყინების» დიდი შანსიც აქვს. ცოტა ხანში ფრანგული გაზეთებიც დაინტერესდებიან სკანდალით.

თავის მოჭრა – დედამისისთვის! თავლაფის დასხმა და იმედგაცრუება – მამამისისთვის! რამხელა დარტყმაა მათი ოჯახისთვის, ვალენკურთა სანათესავოსთვის კი სიხარული! აჰ, ის კონფორმისტები! უაზროდ კონსერვატორი დედის ძმები, სიჩლუნგემდე ღვთისმოშიში დეიდები, რომლებიც წარსულს ხელშეუხებლად წმინდად ინახავენ, – ეკლესიის სკამზე გვერდიგვერდ დამსხდრები, როგორი კადნიერი სიხარულით გაიხარებენ ამ ამბის გამო! ვთქვათ, გაზეთში სალიტერატურო ფორმის ამ წერილის გაგზავნით მცირე ექსპერიმენტი ჩაატარა... იჯდა თავისთვის კაბინეტში და ტექსტით ირთობდა თავს, როგორც... როგორც ერთგვარი უტილიტარული ჰაიკუთი.[61] არა, აზრი არა აქვს. სისულელეა, ამაზე ვინ წამოეგება.

ვერაფერი დამეხმარება. დედა, მამა, ძმები, მეგობრები, მასწავლებლები – ამას ყველა შეიტყობს. იელი! იქაც ყველა გაიგებს ამ სკანდალურ ამბავს და მთელი ცხოვრება ასე სირცხვილნაჭამმა უნდა იაროს. კი მაგრამ ამ თავისი პასპორტით ვითომ სად გაიქცევა? მონრეალში? მარტინიკაში? და პურის ფულს როგორღა იშოვის? ვერც ვერანაირად – ყველაზე მიყრუებულ ფრანგულენოვან სასწავლებელსაც რომ მიაგნოს, ამ განცხადების შესახებ თუ გაუგეს, მასწავლებლის ადგილს არავინ შესთავაზებს. სუფთა, უმწიკვლო პროფესიული ცხოვრება, რომლისთვისაც აწყობდა ამდენ გეგმას და სამშობლო ქვეყანაც კი დატოვა... იქნებ ართურ ზიუსმანისთვის დაერეკა? ართური რამე გამოსავალს მაინც იპოვის. მას შეუძლია ყურმილი აიღოს და ნებისმიერს დაელაპარაკოს. ხისტი და გამჭრიახი კაცია, გავლენითაც სარგებლობს და ამა ქვეყნის საქმეებში გაცილებით უკეთ ერკვევა, ვიდრე ყველა ის ამერიკელი, ვისაც თვითონ იცნობს პირადად. ართურისთანა ადამიანებს, რაოდენ პატიოსნებიც უნდა იყვნენ, სიმართლის თქმის აუცილებლობის დროს ენაზე ძვალი არასდროს ადგებათ. ის მოიფიქრებს ამ ხაფანგიდან თავის დაღწევის საშუალებას. თუმცა, ამ ამბავს რომ შეიტყობს, საერთოდ რატომ გაუჩნდება დახმარების ხელის გაწვდენის სურვილი? ქოულმენ სილქი ჩემზე მეტად მოსწონებიაო, აი, რას გაიფიქრებს! თავმოყვარეობა მის მაგივრად მიიღებს გადაწყვეტილებას და მცდარ დასკვნამდე მიიყვანს. ისიც იმავეს იფიქრებს, რასაც სხვები: ქოულმენ სილქზე ელევა სული და არა ართურ ზიუსმანზე, რომ აღარაფერი ვთქვათ «საფენებსა» და «ქუდებზე». თუ იფიქრა, ქოულმენი შეჰყვარებიაო, ყურმილს დაუგდებს და შეიძულებს.

ჯობია, ყველაფერი ხელახლა აწონ-დაწონოს. უფრო ფხიზლად შეხედოს მომხდარს. გონივრულად შეაფასოს ვითარება და გამოსვლის პოვნა სცადოს. არადა, მართლა არ უნდოდა ამ ტექსტის გაგზავნა. დაწერით კი დაწერა, მაგრამ გაგზავნა. ეს უკვე მეტისმეტია. თან ხომ არც გაუგზავნია, წერილი თვითონ გაიგზავნა. ისევე როგორც ის ანონიმური წერილი, რომლის გაგზავნაც არ სურდა, უბრალოდ, ნიუ-იორკში წაიღო და იქიდან გაეგზავნინა. მაგრამ უკანასკნელი შემთხვევა გაცილებით უარესია. ახლა ისეა სასოწარკვეთილი, რომ შუაღამის ორის ოც წუთზე ერთადერთი გამოსავალი, რაც კი აზრად მოსდის, ართურ ზიუსმანთან დარეკვაა და დაე, ამ უკანასკნელმა რაც

უნდა, მერე ის იფიქროს. ართური უნდა დაეხმაროს. როგორმე უნდა დააძვრენინოს თავი ამ სიტუაციიდან. და, აი, ორის ოც წუთზე, ის იყო, ტელეფონთან მისვლა და ართურთან დარეკვა გადაწყვიტა, ტელეფონი თავისით აწკრიალდა და დელფინას ზარის ხმა შემოესმა. დავიჯეროთ, ართურს თვითონ მონდომებია მასთან დალაპარაკება?!

მაგრამ ხელში (ან უმჯობესი იქნებოდა, გვეთქვა, ხაზის მეორე ბოლოს) თავისი მდივანი შერჩა. «დაიღუპა», – ეუბნება მარგო და ისე მოთქვამს, რომ დელფინა დაფიქრდა, ყურმა ხომ არ მომატყუაო. «მარგო, რა გჭირთ?» «დაიღუპა-მეთქი!» «ვინ?» «ეს-ესაა გავიგე, დელფინა. საშინელებაა. იმიტომ დაგირეკეთ, რომ მოვალედ ჩავთვალე თავი, მეთქვა... მართლაც საშინელი ამბავია, თან ამ შუაღამისას... მესმის, რომ გვიანია...» «ღმერთო, ართური?» – ყვირილით ეკითხება დელფინა. «დეკანი სილქი», – პასუხობს მარგო. «დეკანი სილქი დაიღუპა?» «საშინელი უბედურებაა, ნამდვილი კატასტროფა». «რა კატასტროფას გულისხმობ, მარგო, რა მოხდა? თავიდან დაიწყეთ და ნელ-ნელა მითხარით. დამშვიდდით». «მდინარეში გადაცვივდნენ. ქალიც ახლდა. თავისი მანქანით ყოფილან». მარგომ გარკვევით ვეღარაფრის თქმა ვერ მოახერხა, გაოგნებულმა დელფინამ კი ისე დაკიდა ყურმილი, რომ ვერც გაიგო; ცრემლები წასკდა, აქვითინდა, საწოლზე პირქვე დაემხო და მისი სახელის გამეორებას მოჰყვა. ამაზე უარესი ცხოვრებაში თითქოს არაფერი განეცადა.

ამ განცხადების გამო შეიძლება ყველამ იფიქროს, რომ ქოულმენი მოსწონდა? უყვარდა კიდეც? ნეტავ რას იტყოდნენ, ასე ქვრივივით მოქვითინე რომ დაენახათ ახლა? თვალები არ უნდა დახუჭოს, თორემ ყოველ დახამხამებაზე მის მწვანე, ყურადღებიან თვალებს ხედავს. მისი თვალები თითქოს სკდებიან. დელფინას ეჩვენება, როგორ ვარდება გზიდან მანქანა, სილქის თავი წინ გამოიჩრება და წამში უკვე თვალები უსკდება. «არა! არა!» მაგრამ საკმარისია ქუთუთოები ასწიოს, რომ თვალწინ ჩადენილი უდგას – რასაც ვერ შეცვლის. გახელილი თვალებით თავის თავმოჭრას ხედავს, დახუჭულით – მის დაღუპვას და მთელი ღამე ასეთ გაწამაწიაშია.

ისეთივე შეძრულს ეღვიძება, როგორსაც მოერია ძილი. აკანკალებს. რატომ? არ ახსოვს. კოშმარი თუ მესიზმრაო, გაიფიქრა. ჰო, გამსკდარი თვალები ესიზმრებოდა. მაგრამ არა,

ეს ხომ მართლაც მოხდა – ქოულმენი ხომ მართლა დაიღუპა. ყველაფერი მოხდა და შეცვლასა და გამოსწორებას არაფერი ექვემდებარება. მინდოდა, რომ ეთქვათ... მაგრამ ახლა იტყვიან: «ჩვენი ამერიკელი ქალიშვილი? მასზე არაფრის გაგონება აღარ გვინდა. ჩვენთვის ის აღარ არსებობს». ცდილობს, დამშვიდდეს და მოქმედების რაიმენაირი გეგმა შეიმუშაოს, მაგრამ არ გამოსდის. მხოლოდ სიგიჟე, მხოლოდ სიჩლუნგისა და საშინელების სპირალის გახსნა. დრო – დილის ექვსია დაწყებული. თვალებს ხუჭავს, რომ დაიძინოს და დაისვენოს, მაგრამ დახუჭავს თუ არა თვალებს, მის თვალებს ხედავს. ყურადღებით უყურებენ ქოულმენის თვალები და სკდებიან.

ტანთ იცვამს. ზლუქუნებს. ქუჩაში გადის. ირიჟრაჟა. არავითარი კოსმეტიკა. არავითარი სამკაული. მხოლოდ კოშმარით შეცვლილი სახე. ქოულმენ სილქი დაღუპულა.

კამპუსში არავინაა. მხოლოდ ყვავები. ჯერ ისე ადრეა, დროშაც არ აუწევიათ. ყოველდილა შეავლებდა ხოლმე თვალს ამ დროშას, უყურებდა ნორთ-ჰოლის თავზე მის ფრიალს და წამიერ კმაყოფილებას გრძნობდა. ჰმ, სახლის დატოვება გაბედა და ამერიკაში ჩამობრძანდა! საკუთარი სიმამაცის გაცნობიერება და ამ ნაბიჯის სირთულის აღქმა... მაგრამ დღეს დროშა არ არის აწეული და ამას ვერც კი ამჩნევს. მხოლოდ იმას ხედავს, რაც უნდა გააკეთოს.

ბართონ-ჰოლის გასაღები თან აქვს, ამიტომაც იოლად შედის შიგნით. აგერ, უკვე თავის კაბინეტშია. ეს უკვე რაღაცას ნიშნავს. არ დანებდა. ფიქრის უნარიც დაუბრუნდა. კარგია, მაგრამ მათ კომპიუტერებამდე მისაღწევად მათივე კაბინეტებში უნდა შევიდეს. წუხელვე უნდა მოეგვარებინა ეს საქმე, პანიკაში კი არ უნდა ჩავარდნილიყო. თვითკონტროლის დასაბრუნებლად, რეპუტაციის გადასარჩენად და კარიერის გაცამტვერების თავიდან ასაცილებლად ფიქრის გაგრძელებაა აუცილებელი. მთელ მის ცხოვრებასაც ხომ ფიქრი შეადგენდა. სკოლის პირველი კლასიდან სწორედ ამას ასწავლიდნენ.

კაბინეტიდან გადის და დერეფანს მიუყვება. მიზანი ნათელია, აზრებიც უფრო მკაფიო. უბრალოდ, შევა და წაშლის. იმის წაშლის უფლება ხომ აქვს, რაც თვითონვე გაგზავნა. თანაც, არც კი გაუგზავნია – გაეგზავნა. წინასწარგანუზრახველად. რა მისი გადასახდელია. ასე მოხდა. მაგრამ ყველა კარი დაკეტილი დაუხვდა. თავისი გასაღებებით ცდილობს გაღებას, – ჯერ

შენობის გასაღებით, მერე კაბინეტის გასაღებით – მაგრამ ამაოდ. ცხადია, გასაღებები არ მიუდგა. ვერც წუხელ მიუდგებოდა, თუ ახლა არ უდგება. ფიქრს რაც შეეხება, აინშტაინიც რომ იყოს, ცარიელი ფიქრით კარებს ვერ გააღებს.

თავის კაბინეტში დაბრუნებულმა უჯრები გამოხსნა. რას ეძებს? ავტობიოგრაფიას? რად უნდა? ასეა თუ ისე, ავტობიოგრაფიას ბოლო მოეღო. ბოლო მოეღო «ჩვენს ამერიკელ გოგონას». და თუკი უკვე ბოლო მოეღო ყველაფერს, ყველა უჯრას იღებს და ძირს აგდებს. მთელი მაგიდა ძირს მოართხო. «არავითარი ამერიკელი ქალიშვილი არ გაგვაჩნია. ქალიშვილი საერთოდ არ გვყავს, მხოლოდ ვაჟები». უკვე იმაზე აღარ ფიქრობს, რაზეც უნდა ფიქრობდეს. მხოლოდ ქაღალდებს აფრიალებს ჰაერში. მერე საგნებზე გადავიდა – რაც კი რამ მაგიდაზე იყო, რაც კი რამ კედლებზე ეკიდა, ყველაფერი დასამსხვრევად გაიმეტა. სცადა და ფიასკო განიცადა. მორჩა, დამთავრდა უმწიკვლო ავტობიოგრაფია, რომლითაც ასე ამაყობდა. «ჩვენმა ამერიკელმა ქალიშვილმა ფიასკო განიცადა».

აქვითინებული დასწვდა ყურმილს, რომ ართურს დაურეკოს. ართური ლოგინიდან წამოხტება და პირდაპირ აქეთ გამოეშურება ბოსტონიდან. სამი საათიც არ გავა, რომ «ათინაში» იქნება. ათისთვის უკვე აქ დაუკრავს თავს! მაგრამ მის ნომერს კი არა, დაცვის ნომერს კრეფს, რომელიც ტელეფონზე მიკრულ ქაღალდზე წერია. აქაც წინასწარგანზრახულობაზე ისევე ზედმეტია ლაპარაკი, როგორც წინა შემთხვევაში, როცა წერილი გაეგზავნა. მაშინ გაეგზავნა – ახლა დაერეკა. მას მხოლოდ ერთი რამ ამოძრავებს – თვითგადარჩენის სურვილი.

არაფრის თქმის ძალა აღარ შესწევს.

– ალო! – მეორე ბოლოდან მამაკაცის ხმა ესმის, – დიახ, გისმენთ.

ძლივს წარმოთქვამს. ორი სიტყვა – ყველაზე უქცევადი სიტყვა ნებისმიერ ენაში. გვარ-სახელი. უქცევადი და უცვლელი. ანუ ვინც არის რეალურად. ან ვინც იყო... ახლა კი ეს ორი სიტყვა ამქვეყნად ყველაზე სასაცილოა.

– ვინ? რომელი პროფესორი? ვერ გაგიგეთ, პროფესორო.

– დაცვაა?

– ხმამაღლა ილაპარაკეთ, პროფესორო. დიახ, კოლეჯის დაცვა გახლავთ.

– გთხოვთ, მოდით, – ეუბნება მავედრებელი ხმით და ცრემლები ჩამოსდის, – ახლავე მოდით. საშინელება მოხდა.

– სად ბრძანდებით, პროფესორო? რა მოხდა?

– ბართონ-ჰოლში, – განმეორებით უხსნის, – ბართონ-ჰოლი. ოთახი 121. პროფესორი რუ.

– რა მოხდა, პროფესორო?

– საშინელება.

– შეუძლოდ ხართ? რამე დაგემართათ? ვინმე უცხო ხომ არ არის თქვენთან ერთად?

– არა, მარტო ვარ.

– და რა მოხდა?

– ვიღაც იყო შემოჭრილი.

– სად იყო შემოჭრილი?

– ჩემს კაბინეტში.

– როდის? როდის, პროფესორო?

– არ ვიცი. ეტყობა, წუხელ.

– ცუდად ხომ არა ხართ, პროფესორო? კოლეჯში ხართ? ბართონ-ჰოლში? დარწმუნებული ხართ?

ყოყმანობს. ცდილობს, დაფიქრდეს. «დარწმუნებული ვარ კი? ვარ თუ არა?»

– ცხადია, – პასუხობს და ქვითინი წასკდება, – ცოტა სწრაფად, გევედრებით. დაუყოვნებლივ მოდით აქ! ვიღაც შემოჭრილა ჩემს კაბინეტში. ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული. წარმოუდგენელია! საშინელებაა! ყველაფერი მიმილეწ-მომილეწეს, კომპიუტერიც ჩართული დამხვდა! სწრაფად, გესმით?

– ვინ შემოიჭრა, პროფესორო? ეჭვი გაქვთ ვინმეზე? სტუდენტი იყო?

– დეკანი სილქი, – ეუბნება დელფინა, – მოდით, რაღას აყოვნებთ!

– პროფესორო... გესმით ჩემი? პროფესორო რუ, დეკანი სილქი დაიღუპა.

– ვიცი, – უპასუხა, – საშინელი ამბავია, – ეს რომ უთხრა ყვირილი აღმოხდა, – ყვირილი იმის გაფიქრებაზე, რაც ქოულმენმა უკანასკნელად ჩაიდინა, თან სხვისა კი არა, მის წინააღმდეგ – დანარჩენი დღე კი დელფინასთვის ერთი დიდი ცირკი იყო.

* * *

დეკან სილქისა და კოლეჯის დამლაგებლის ავტოავარიაში დაღუპვის შემზარავი ამბავი, ალბათ, ყველა აუდიტორიამდე არ იყო მიღწეული, რომ ზედ მეორე ამბავი მოჰყვა: თურმე აწ განსვენებული სილქი სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე შეჭრილიყო პროფესორ რუს კაბინეტში და მისი კომპიუტერიდან დაეგზავნა რამდენიმე თანამშრომლისთვის ცრუ ელექტრონული შეტყობინება. ხალხს ამის დაჯერება გაუჭირდა და ზედ კიდევ ერთი ჭორ-მართალი დაერთო ქალაქიდან, რომელიც კატასტროფის ვითარებას ეხებოდა. საზიზღარი ცნობები, როგორც ირკვეოდა, სავსებით საიმედო წყაროსგან ვრცელდებოდა: ინფორმაცია შტატის პოლიციის იმ თანამშრომლის ძმამ გაავრცელა, რომელსაც პირველადი კვლევა ჩაეტარებინა ცხედრებისა, როდესაც ისინი მანქანის ნაწილებთან ერთად მდინარიდან ამოიღეს. თურმე დეკანმა საჭე იმის გამო ვეღარ დაიმორჩილა, რომ გვერდით მჯდომი დამლაგებელი ქალი სიამოვნებას ანიჭებდა. ამ დასკვნამდე პოლიციელი ქოულმენის ტანსაცმლისა და მანქანაში ქალის ჯდომის მდგომარეობის მიხედვით მისულა.

პედაგოგებმა, უფრო მეტად კი ხანში შესულებმა, რომლებიც ქოულმენ სილქს უკვე წლების განმავლობაში იცნობდნენ, თავიდან უარი განაცხადეს გავრცელებული ხმის დაჯერებაზე და გაოცდნენ კიდეც, რაოდენ მსუბუქად იკიდებდა ეს ინფორმაცია ფეხს საზოგადოებაში. დაღუპულზე მიტანილი იერიში მათთვის სრულიად მიუღებელი იყო, მაგრამ რაც უფრო ახალ-ახალი წვრილმანები ვრცელდებოდა, ახალ-ახალი ხალხი

ჩნდებოდა, ვინც ამტკიცებდა, სილქსა და დამლაგებელს მოვკარი თვალიო, არც საკუთარი აზრის გამოხატვას ერიდებოდა ვინმე, მით უფრო უძნელდებოდა კოლეჯის უხუცესობას თავისი აზრის გატანა, როგორც მეორე დღეს ადგილობრივმა გაზეთმა დაბეჭდა ფართო საზოგადოებისათვის ფრიად საინტერესო შენიშვნაში «გულგამგმირავი უარყოფა».

როდესაც ხალხმა თანდათან შეიგნო, რომ ორი წლის წინაც არავის უნდოდა დაჯერება იმისა, რომ ქოულმენმა თავისი შავკანიანი სტუდენტები შეურაცხყო – მათ «მოჩვენებები» უწოდა – ამ ამბის შემდეგ კი ყოფილ კოლეგებს საერთოდ ჩამოსცილდა და ქალაქში შემთხვევითი შეხვედრების დროს ლამის ხმას არავის სცემდა; როდესაც გაიხსენეს, რომ «ათინასთან» დაკავშირებულ ყველასა და ყველაფერს ზურგი აქცია და თავის ოთხ ზრდასრულ შვილსაც განერიდა... მაშინ უკვე, სამწუხაროდ, ისინიც კი, ვინც თავიდან სასტიკი წინააღმდეგი იყო, რომ მისი ცხოვრების მსგავსი დეტალები დაეჯერებინა, იძულებულნი გახდნენ, ეღიარებინათ, რომ ამისთანა გონების პატრონის, გამაოგნებელი ლექტორის, დინამიკური და გავლენიანი დეკანის, ხიბლისა და ენერგიის ამ წყაროს, სამოცდაათს გადაცილებული ჯანმაგარი და მხნე კაცის, ოთხი მშვენიერი შვილის პატრონის, პენსიაზე გასული კაცის ცხოვრებაში რაღაც საოცარი ცვლილება იყო მომხდარი: მან აიღო და ხაზი გადაუსვა იმ ყოველივეს, რასაც მანამდე აფასებდა და სიყვარულით ეკიდებოდა და შედეგად ასეთი სკანდალური და მისთვის შეუფერებელი სიკვდილით – ჭკუას გადაცდენილი განდეგილის სიკვდილით – გამოეთხოვა სააქაოს. თან ამ ყველაფერს არა ოდენ მისი დაღუპვა მოჰყვა, არამედ ფაუნია ფარლისაც – ოცდათოთხმეტი წლის უბედური, გაუნათლებელი ქალისა, რომელიც, როგორც უკვე ყველამ შეიტყო, სიბერის წლებში ჰყოლია ხარჭად დასმული.

5. განწმენდის რიტუალი

ორი დაკრძალვა.

ჯერ ფაუნია დაკრძალეს. მისი საფლავი ბათლ-მაუნთინის ბორცვზე მდებარე სასაფლაოზე გაჭრეს. ამ ადგილთან ჩავლა

მუდამ მიჭირდა ხოლმე; აქ შუადღის დროსაც კი მოწყენილობაა, რადგან საფლავების ძველი ფილები გაჩერებული დროის საიდუმლოს ინახავენ. წინათ აქ ინდიელები მარხავდნენ თავიანთ მიცვალებულებს; აქაურობას ტყის ნაკრძალიდან მომავალი ბინდბუნდიც თავისებურ იერს სძენს. უსიერი ნაკრძალი კაჭარით არის სავსე და ნაკადულებით დაღარულა, რომლებიც მინის ღვარად მოედინებიან ბექობებს შორის; აქ კოიოტები, ფოცხვრები, შავი დათვები და თქვენ წარმოიდგინეთ, ირმის ჯოგებიც კი ბინადრობენ, რომლებიც ისე დამრავლებულან, რომ ლამის კოლონიამდელ რიცხოვნობას აღწევენ. სარძევე ფერმის მფლობელმა ქალებმა ფაუნიასთვის პატარა ნაკვეთი შეიძინეს ტყის პირას და ერთი უპრეტენზიო, მოკრძალებული დაკრძალვა მოუწყვეს. ორთაგან უფრო მოლაპარაკემ, სალი მქვიაო, რომ გაგვეცნო, პირველი გამოსათხოვარი სიტყვა თქვა, სადაც ჯერ თავის დაქალ პარტნიორზე, მის ბავშვებსა და შემდგომ თავის ბავშვებზე გაამახვილა სიტყვა:

– ფაუნია ჩვენთან ერთად ცხოვრობდა ფერმაში და დღეს ჩვენ იმავე მიზეზით ვართ აქ მოსული, რა მიზეზითაც თქვენ: მივაგოთ უკანასკნელი მისაგებელი ადამიანის სიცოცხლეს.

სალის სუფთა და წკრიალა ხმა ჰქონდა – საშუალო ტანის, ჯანმრთელი იერის ქალს სისრულე შეჰპარვოდა; გრძელი კაბა ეცვა. საუბრისას ისეთ სიტყვებს არჩევდა, ეტყობა, გადაეწყვიტა, შეძლებისდაგვარად ვეცდები, ფერმაში მოზარდი ექვსი ბავშვის ნერვებს გავუფრთხილდეო. ბავშვები კი გამოპრანჭულები მოეყვანათ დაკრძალვაზე. მათ ყვავილები ეჭირათ, რათა ფაუნიას კუბოზე დაეწყოთ, სანამ მიწაში ჩაუშვებდნენ.

– არც ერთი ჩვენგანი, – ირწმუნებოდა სალი, – სიკვდილამდე არ დაივიწყებს მის გულიან და თბილ სიცილს. ფაუნიამ ისეთი გადამდები სიცილი და ხუმრობა იცოდა, რომ ზოგჯერ დაცემამდე გვაცინებდა ხოლმე. მაგრამ, გარდა ამისა, როგორც გვახსოვს, ფაუნია ძალიან სულიერი ადამიანი იყო. სულიერი პიროვნება, – ხაზი გაუსვა მან, – სულიერი საწყისის მაძიებელი. პანთეიზმი – ამ სიტყვით თუ გადმოვცემთ მისი რწმენის შინაარსს. მისი ღმერთი ბუნება იყო და ამ ღმერთისადმი მოწიწების ერთ-ერთი გამოვლინება ჩვენი პატარა ნახირისადმი სიყვარულიც გახლდათ. მაგრამ არა მხოლოდ ჩვენი ნახირის,

არამედ ყველა ძროხის მიმართ! ამ სათნო არსებების სიყვარული ამოძრავებდა ფაუნიას, არსებებისა, რომლებიც მთელი კაცობრიობის მკვებავებად შეგვიძლია მოვიხსენიოთ. ფაუნია დიდ მოწიწებას განიცდიდა საოჯახო ფერმის მიმართაც. ფეგთან, ჩემთან და ჩვენს ბავშვებთან ერთად მუხლჩაუხრელად, ჭაპანწყვეტამდე იღვწოდა, რათა ახალინგლისური საოჯახო სარძევე ფერმისთვის განადგურების საშუალება არ მიეცა, რათა ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის სიცოცხლისუნარიანი ნაწილი გადაერჩინა. მის ღმერთს ყოველივე ის წარმოადგენდა, რასაც კი კაცის თვალი იხილავს, თუ ჩვენი ფერმის სიახლოვეს ჩაივლის ან აქაურობას დაუკვირდება. შემთხვევით არ აგვირჩევია ეს ადგილი, რათა მიწისათვის სწორედ აქ მიგვებარებინა, რადგან ბათლ-მაუნთინი ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ გადაიქცა წმინდა ადგილად, როდესაც ჩვენი მხარის მკვიდრი მოსახლეობა აქ უკანასკნელ გზაზე აცილებდა თავისიანებს. ის საოცარი ამბები, ფაუნია რომ უყვებოდა ჩვენს შვილებს, – ბეღლის მერცხლებზე, მინდვრის ყვავებზე, ჩვენი საძოვრების თავზე მოლივლივე იამაიკურ კაკაჩებზე, – დაახლოებით ისეთივე იყო, როგორიც ის ამბები, რომელთაც ყვებოდნენ მანამდე, სანამ ბერქშირ-ჰილის ეკოლოგიური წონასწორობის დამრღვევები გამოჩნდებოდნენ აქ...

დამრღვევებში ვის გულისხმობდა ქალი, ისედაც გასაგები იყო. მისი საუბრის მომდევნო ნაწილი ენვირომენტალისტურ-რუსოისტული მსჯელობებისგან შედგებოდა, რაზეც ყურადღება არ გამიმახვილებია.

მეორემ, ვინც სიტყვის წარმოთქმა არ დაიზარა, სმოუქი ჰოლენბექი გახლდათ, – «ათინას» ყოფილი სპორტული ვარსკვლავი და კოლეჯის მეურნეობის გამგე, ფაუნიას უფროსი, და ერთხანს არა მხოლოდ უფროსი. მის ჰარამხანაში ფაუნია დამლაგებლად სამუშაოს დაწყების პირველივე დღეს მოხვდა; მოგვიანებით კი, როდესაც ლესმა ეს ამბავი იყნოსა, ამ ჰარამხანიდან აუხსნელად იქნა გაძევებული. სალისგან განსხვავებით, სმოუქის არ უსაუბრია ფაუნიას, როგორც ბუნებრივი არსების, პანთეისტურ სისპეტაკეზე. როგორც კოლეჯის წარმომადგენელმა, მან დაღუპულის სამსახურებრივ საქმიანობაზე გაამახვილა ყურადღება და სტუდენტებზე მისი გავლენის შესახებ დაიწყო საუბარი, რომელთაც ფაუნია საძინებელ ოთახებს ულაგებდა.

– ფაუნიას მოსვლით, – დაიწყო სმოუქიმ, – სტუდენტებმა მუდამ მოღიმარი დამლაგებელი მიიღეს, ვისაც არც სალამი ეზარებოდა და არც მოკითხვა. ყველას ჯანმრთელობით ინტერესდებოდა, ყველას გულშემატკივრობდა მეცადინეობასა და გამოცდებზე. სანამ საქმეს შეუდგებოდა, წუთს მაინც გამოძებნიდა ხოლმე, რომ სტუდენტებს გასაუბრებოდა, უკეთ გაეცნო ისინი. დროთა განმავლობაში ფაუნია სტუდენტებისთვის ვიღაც უსახელო დამლაგებელი კი არა, პატივსაცემი პიროვნება ხდებოდა. ფაუნიას გაცნობის შემდეგ ყველანი უფრო აკურატული ხდებოდნენ და ისე აღარ ანაგვიანებდნენ. შედარებისათვის ნებისმიერი სხვა დამლაგებელი გავიხსენოთ, რომელიც ერთხელაც არ შეხედავს სტუდენტს თვალებში და არ მოიკითხავს. ფაუნია კი ასეთი არასდროს ყოფილა. სტუდენტების საძინებლებში სისუფთავე, დარწმუნებული გახლავართ, დამოკიდებულია სტუდენტსა და დამლაგებელს შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე. რამდენი მინის ჩასმა გვიწევს, რამდენი კედლის ამოლესვა გვიწევს ხოლმე, როდესაც გაცხარებული სტუდენტები წიხლებითა და მუშტებით უმკლავდებიან თავიანთ ოთახებს, რომ ბრაზი ამოანთხიონ როგორმე... ათასგვარ სისაძაგლეს სჩადიან. გრაფიტი კედლებზე და ასე შემდეგ. იმ შენობაში, სადაც ფაუნიას უწევდა მუშაობა, მსგავსი არაფერი ყოფილა. პირიქით, სწავლისა და სრულფასოვანი ცხოვრებისათვის ფრიად მისაღები პირობები იყო და სტუდენტებსაც ჩვენი საზოგადოების ნაწილად აგრძნობინებდა თავს...

მშვენივრად გაართვა დავალებას თავი ამ მაღალ-მაღალმა, ლამაზმა, გრუზათმიანმა, ახალგაზრდა მეოჯახემ, რომელიც ქოულმენამდე ჰყვარობდა ფაუნიას. გრძნობიერი კონტაქტის დასურათება სანიმუშო დამლაგებელთან იმაზე იოლი როდი აღმოჩნდა, ვიდრე სალის მიერ აღწერილი პანთეისტი, ბუნებისმოყვარე და საინტერესო ამბების მთხრობელი ქალის წარმოდგენა.

– დილაობით, – განაგრძობდა სმოუქი, – ნორთ-ჰოლს აწესრიგებდა, სადაც ადმინისტრაციული შენობებია განლაგებული. მართალია, მისი მოვალეობები ხშირად იცვლებოდა ხოლმე, მაგრამ ძირითადი დავალებები, რაც ყოველდღე უნდა შეესრულებინა, თავზე საყრელად ჰქონდა, რასაც კარგადაც უმკლავდებოდა. სანაგვე კალათების დაცლა, ტუალეტების დახეხვა – არადა, შენობას სამი საპირფარეშო

აქვს. სადაც საჭირო იყო, სველი წესით უნდა დაელაგებინა. ყოველდღიური დამტვერსასრუტება იატაკის ყველაზე გათელილი ნაწილისა, ხოლო სადაც ფეხი იშვიათად ხვდება, იქ კვირაში ერთხელ მტვრის აღება ევალებოდა. წინა და უკანა მინის კარების წმენდას ფაუნია ლამის ყოველდღე უნდებოდა, რაც ხალხის ნაკადზე იყო დამოკიდებული. ფაუნია ყოველთვის ეფექტურად მუშაობდა და წვრილმანებსაც კი დიდ ყურადღებას უთმობდა. დამტვერსასრუტება ხომ დღის ნებისმიერ დროს ვერ მოხერხდება, არადა, ხმაურზე არავის დაუჩივლია. ერთი გადაბრუნებული სიტყვაც არ უთქვამს. დრო ისე ჰქონდა განაწილებული, რომ თანამშრომლებისთვის ხელი არაფერში შეეშალა...

საფლავთან შეკრებილი თოთხმეტ სრულწლოვანთაგან, კოლეჯიდან მხოლოდ სმოუქი და ჰალსტუხ-კოსტიუმებში გამოწყობილი ოთხკაციანი ჯგუფი იყო წარმოდგენილი – ფაუნიას თანამშრომლები სამეურნეო ქვეგანყოფილებიდან. დანარჩენები, როგორც ჩანს, ან ფეგისა და სალის ახლობლები უნდა ყოფილიყვნენ, ან ადგილობრივი მოსახლეობა, რომელთაც ფერმაში რძის შეძენისას გაეცნო ფაუნია. ერთადერთი კაცი, რომელიც ვიცანი, ფოსტის დირექტორი და მოხალისე მეხანძრეთა საძმოს უფროსი სირილ ფოსთერი იყო. ფაუნია ხომ პროვინციული ფოსტის პაწაწინა განყოფილებას კვირაში ორჯერ ალაგებდა, სადაც ქოულმენ სილქი პირველად ნახა.

სასაფლაოზე ფაუნიას მამაც იყო, ზორბა, ხანში შესული მამაკაცი, რომლის ვინაობის შესახებაც სალის გამოსათხოვარი სიტყვიდან გახდა ცნობილი. ინვალიდის სავარძელში იჯდა კუბოსთან ერთ ნაბიჯში; მისი თანმხლები ფილიპინელი საკმაოდ ახალგაზრდა ქალი – ან მომვლელი უნდა ყოფილიყო, ან მეგობარი, – ოდნავადაც არ შორდებოდა. მთელი ცერემონიის განმავლობაში სახეზე უძრაობის ნიღაბი ეკეთა, როცა მამაკაცი პერიოდულად სახეზე იფარებდა ხელებს, რომ ცრემლები დაეფარა.

მაგრამ დამსწრეთაგან ვერავისზე მივიტანდი ეჭვს ელექტრონული ნეკროლოგის ავტორობაში, რომელიც წინა ღამით აღმოვაჩინე კოლეჯის ახალი ამბების სადისკუსიო ჯგუფში – fac.discuss.

ვისგან: clytemnestra@houseofatreus.com

ვის: fac.discuss

თემა: ფაუნიას გარდაცვალება

თარიღი: 12 ნოემბერი, 1998, ხუთშ.

ამ ნეკროლოგს შემთხვევით წავაწყდი, როდესაც fac.discuss.-ზე ვიყავი შესული, რათა მენახა, იყო თუ არა კოლეჯის მოსალოდნელი ამბების კალენდარში ქოულმენ სილქის პანაშვიდისა და დაკრძალვის შესახებ რამე გამოქვეყნებული. და უცებ ეს ცრუ და შეურაცხმყოფელი ტექსტი. ხუმრობა? ოხუნჯობა? ბოლოს და ბოლოს, ღადაობა? თუ ვინმე უკუღმართის სადისტური გამოხდომა? ან იქნებ მოღალატის გათვლილი დარტყმა. ნუთუ ისევ დელფინა რუს ხელი ურევია. დავიჯერო მისი მორიგი ანონიმური წერილია? არა მგონია. კაბინეტში დაყენებული ალიაქოთის შემდეგ ნუთუ კიდევ რამეს წამოისროდა? ვინმეს რომ მიეკვლია, რომ clytemnestra@houseofatreus.com მისი პირმშო იყო, თავს უფრო უარეს მდგომარეობაში არ ჩაიგდება?! გარდა ამისა, როგორც ეტყობა, დელფინას არც მთლად ინტრიგანულად შეუძლია ჩაფიქრებული ხერხებით თამაში. მისი ინტრიგა, როგორც წესი, ნაჩქარები, ისტერიკული წვრილმანებით აღსავსე და ზემგრძნობიარე დილეტანტურობით გამსჭვალული უხეირო იმპროვიზაციაა ხოლმე, საიდანაც ექსცენტრიკულ გამოხდომებს უფრო უნდა ელოდოს კაცი, რომლებიც თვითონვე დაუჯერებლად ეჩვენება ხოლმე მომხდარის შემდეგ. რაოდენ საძაგელი შედეგებიც უნდა ჰქონდეს მის საქციელს, ცალკეულ ქმედებაში საბაბის სიმძიმეც აკლია და ოსტატური დახვეწილობაც.

არა, ეს მავნებლობა იყო, მართალია, დელფინას მავნებლობით პროვოცირებულიც შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ ბევრად დახვეწილი და დალაგებული ჩანდა, თან პროფესიული დემონიზმითაც გამოირჩეოდა. ბოროტების სულ სხვა დონე. და მერე? მერე რაღა? სადა აქვს დასასრული ამ საჯარო ჩაქოლვას? ან მალემრწმენობას სადღა აქვს სამანი? საინტერესოა, როგორ დააჯერებენ იმ ზღაპარს ერთიმეორეს, რომელიც დელფინამ დაცვას მოუყვა, საერთოდ, როგორ დაიჯერებს ამისთანა სიცრუეს ვინმე? რით მტკიცდება, რომ ქოულმენს რაიმე კავშირი აქვს კოლეჯში მომხდართან? ეს ხომ წარმოუდგენელია, მაგრამ მაინც სჯერათ. სრული აბსურდი – თურმე კაბინეტში შეჭრილა, გასაღებით ჩაკეტილი უჯრებიც

გამოუხსნია, კომპიუტერშიც შემძვრალა და ტექსტიც დაუგზავნია... მაგრამ სჯერათ ეს სისულელე, სწამთ, და ერთი სული აქვთ, კიდევ ვინმეს უამბონ ეს შეთითხნილი ამბავი. ვერანაირ კრიტიკას რომ ვერ უძლებს, ისეთი ამბავია, მაგრამ საჯაროდ კითხვის დასმის სურვილი რომ არავის უჩნდება?! ვითომ რაში დასჭირდებოდა კაბინეტში შეჭრილ ადამიანს ოთახის დარბევა და ამით უფრო მეტი ეჭვის გაჩენა? ან ამ განცხადებას რატომღა შეადგენდა? რამდენსაც უნდა წაეკითხა ეს ტექსტი, ოთხმოცდაათი პროცენტი ხომ აზრზეც ვერ მოვიდოდა, რომ ქოულმენ სილქზე იყო მინიშნება გაკეთებული. დელფინა რუს მეტს ვის შეეძლო ამ აღწერილობით სილქის ამოცნობა? ეს რომ მართლაც მას გაეკეთებინა, მაშინ გიჟი უნდა ყოფილიყო. მაგრამ სად არის მისი სიგიჟის დამამტკიცებელი საბუთი? მოქცეულა კი ოდესმე გიჟის შესაფერისად? ქოულმენ სილქი, რომელმაც მარტოდმარტომ მოახდინა ათინა-კოლეჯში გადატრიალება, ფსიქოპათია? სიმწარე, გაბოროტება, იზოლაცია – მაგრამ ფსიქოზი? კოლეჯის ყველა თანამშრომელმა ბრწყინვალედ იცოდა, რომ სიგიჟის არავითარი კვალიც არ არსებობდა, მაგრამ როგორც «მოჩვენებების» დროს, ახლაც პირში წყალი ჩაიგუბეს. ბრალდების წარდგენა ხომ დამტკიცების ტოლფასია. მოსმენა კი – დაჯერების. რა არის აქ რთული? აქ არავითარი მოტივი, ლოგიკა და დასაბუთება არ არის საჭირო. მხოლოდ იარლიყიც იკმარებს. თუკი იარლიყი მიაკერეს ვინმეს, მაშ, მოტივიც გამოიკვეთება, სახელებიც გამოჩნდება და ლოგიკასაც ნათელი მოეფინება. რატომ ჩაიდენდა ქოულმენ სილქი ამას? იმიტომ, რომ ის იმისთანა იყო, ამისთანა იყო, მოკლედ, ყველაფერში დამნაშავე ის ყოფილა! ჯერ რასისტი გამოიყვანეს, ახლა ქალთმოძულე. ერთი კომუნისტობაში ვერ დასდეს ბრალი, უბრალოდ, სხვა დრო შეუხვდათ, თორემ წინათ ასეც მოიქცეოდნენ. ახლა ქალთმოძულეობაზე მოჰყვნენ ლაპარაკს, რომელიც თურმე იმ ადამიანმა ჩაიდინა, რომელმაც არცთუ დიდი ხნის წინ ორი სტუდენტი გოგონა შეურაცხყო რასიზმის ნიადაგზე. ეს კი ყველაფერს ხსნის. ეს სიგიჟეზე მეტია.

და აი, «მიყრუებული ადგილის ჯადოქარიც»: ჭორები, შური, ღვარძლი, მოწყენილობა, ტყუილები. არა, პროვინციული შხამი აქ უძლურია. ხალხს ენატრება, შურს, როგორი ცხოვრებაც აქვთ, ისეთივე დარჩება, ამიტომაც არის, რომ ასეთ ამბებს წყალწაღებულებივით ეჭიდებიან, დაუსრულებლად ყვებიან,

კუდებს აბამენ, – ტელეფონით, ქუჩაში, კოლეჯის სასადილოში, სასწავლო აუდიტორიებში. ათასგვარი ინტერპრეტაციით უყვებიან შინ მისულები მეუღლეებს. საქმე ის კი არ არის, რომ საავტომობილო კატასტროფით დამტკიცდეს მთელი ამ ჭორების აბსურდულობა. რომ არა ეს კატასტროფა, მსგავსი ჭორი, ალბათ, არც არასოდეს გაჩნდებოდა. ქოულმენის დაღუპვა ამ ქალისათვის ბედის საჩუქრად იქცა. მაშველ რგოლად. მისი დაღუპვით ყველაფერი დაოკდა. ყოველგვარი ეჭვი სიკვდილის წნეხის – დიდი დამთრგუნველი ძალის – ქვეშ მოექცა.

ფაუნიას დაკრძალვის შემდეგ მარტოსული ვბრუნდებოდი მანქანაში და წარმოდგენა არ მქონდა, ვის შეეძლო ეს «კლიტემნესტრას გზავნილი» შეეთხზა კოლეჯში – ყველაზე ეშმაკეული ხელოვნების ნიმუში, ონლაინის ხელოვნების, ანონიმურობის გამო კი ყველაზე ავსულური და ეშმაკისეული ნამოქმედარი. იოტისოდენადაც ვერ წამოვიდგენდი, მორიგ ანონიმს სადამდე შეეძლო მისვლა. ერთი რამ ვიცოდი, დარწმუნებულიც კი ვიყავი, რომ აღვირახსნილი მიკრობი დათარეშობდა და ქოულმენთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხიდან ნებისმიერს შეეძლო, ენა მოეფხანა ავსიტყვაობით. «ათინაში» ეპიდემიამ იფეთქა – უკანასკნელმა მოვლენებმა მაფიქრებინა ეს, – და რით გინდა მისი გავრცელება შეაკავო? მით უმეტეს, მთავარი კერაც აქვეა. პათოგენური ვირუსი ეთერშიც გაბნეულია და კოსმოსშიც. სამყაროსეულ მყარ დისკზეა მარადი და წარუშლელი ნიშანი ადამიანური ბიწიერებისა.

ახლა ყველამ «მოჩვენებების» წერას მიჰყო ხელი, მე კი (ჯერჯერობით) ვპასიურობ.

* * *

მე ახლა მსურს თქვენი ყურადღება მოვითხოვო მცირეოდენი დაფიქრებისათვის (ასე იწყებოდა წერილი fac.discuss-ში) ერთგვარ უსიამოვნებაზე, რაზეც ფიქრს ვარიდებთ ხოლმე თავს. არა მარტო ოცდათოთხმეტი წლის სრულიად უდანაშაულო ქალის დაღუპვაზე, რაც თავისთავად საშინელებაა, არამედ ამ ტრაგედიის ირგვლივ ატეხილ მითქმა-

მოთქმასა და კაცზე, რომელიც ლამის არტისტულად მართავდა მოვლენათა კურსს იმისათვის, რომ ათინა-კოლეჯისა და მისი კოლეგებისათვის ბოლომდე გადაეხადა სამაგიერო.

ზოგიერთმა თქვენგანმა შესაძლოა, იცოდეს, რომ ცოტა ხნით ადრე მკვლელობა-თვითმკვლელობამდე (არადა, სწორედ ეს ჩაიდინა ქოულმენ სილქმა, როდესაც საღამო ხანს მანქანა სავალი ნაწილიდან გადაიყვანა, დამცავი ჯებირი გაანგრია და მდინარეში გადაეშვა მგზავრ ქალთან ერთად – ყოფილმა დეკანმა, ქოულმენ სილქმა, ბართონ-ჰოლის ერთ-ერთი კაბინეტის კარი შეამტვრია, ოთახი დაარბია და კომპიუტერიდან ელექტრონული ფოსტა გაგზავნა ჩვენი ერთ-ერთი პედაგოგის სახელით დანარჩენ თანამშრომლებთან, რათა ამით მისი კომპრომეტირება მოეხერხებინა. ქოულმენის მიერ მიყენებული ზიანი კოლეჯისთვის ბევრს არაფერს ნიშნავდა, მაგრამ ამ ბავშვური ვანდალიზმის ფაქტში, ამ ავ ფალსიფიკაციაში ნათლად იკვეთება ის ყველაფერზე ხელისმომწერობა და აღვირახსნილობა, რომელმაც, უფრო და უფრო გაზრდის შემდეგ, უკვე მოსაღამოებულზე მასში თვითმკვლელობისა და დამლაგებლის თან გაყოლების სურვილი გააღვივა, რომელიც რამდენიმე თვით სექსუალურ კავშირში ჰყავდა ჩაბმული და ცინიკურად სარგებლობდა მისი სხეულით.

წარმოიდგინეთ, თუ ინებებთ, ამ ქალის გაუსაძლისი მდგომარეობა – თოთხმეტი წლისას სახლიდან გაქცევამ მოუწია, მისი განათლება საშუალო სკოლის ორ კლასს ვერ ასცდა და თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე უმეცრად მიიჩნეოდა. წარმოიდგინეთ მისი უთანასწორო ბრძოლა ყოფილი პროფესორის ძალადობასთან, რომელმაც მმართველ პოსტზე მუშაობის თექვსმეტი წლის განმავლობაში დეკანთა შორის ყველაზე დიქტატორული ჩვევები გამოავლინა ათინა-კოლეჯში. ამ ხნის განმავლობაში ის რექტორზე მეტი ძალაუფლებით სარგებლობდა. კი მაგრამ, რა წინააღმდეგობის გაწევა ძალუძდა ამ არასმქონე და უპატრონო ქალს? მერე, როცა მის მონობაში ამოყო თავი, ამ ყოველმხრივ ძლიერ მამრს შორსმიმავალ, რევანშისტულ გეგმებს როგორ მიუხვდებოდა, რომელთა აღსრულებასაც მისი ნაგვემი სხეული ემსახურებოდა უნებლიე პლაცდარმად როგორც სიცოცხლეში, ისე სიკვდილით?

არც ერთი იმ სასტიკი, ულმობელი მამაკაცის, რომელიც კი ძალადობდა მასზე, არც ერთი იმ უწყალო, უპასუხისმგებლო, უგულო მამრის, ვინც ტანჯა და წელში გატეხა, გეგმაში არ ყოფილა ისეთი ანგარებიანი შურისძიება, როგორც ამ სულწაწყმედილი ადამიანის ზრახვებში, რომელსაც ათინა-კოლეჯის კედლების მიწასთან გასწორება ისე სურდა, რომ უბრალო თანამშრომელზე გადაწყვიტა შურისძიება და ჯოხის გადატეხა. თან საკმაოდ გამჭრიახად და მიზანმიმართულად დაგეგმა შურისძიება. მის სხეულზე შურისძიება. მის კიდურებზე. მის გენიტალიებზე. მის საშვილოსნოზე. სასტიკი აბორტი, რომლის გაკეთებაც აიძულა და რის გამოც ქალმა თვითმკვლელობაც კი სცადა, ერთ-ერთია იმ მრავალრიცხოვან შეტევათაგან, რომლებიც ქალის სხეულის საცოდავ ტერიტორიაზე ჰქონდა განხორციელებული. დღეს უკვე ვიცით, როგორი საზარელი პორნოგრაფიული «მკვდარი სურათი» მოხაზა მკვლელმა, როგორ პოზაში აიძულა ფაუნიას დაღუპვა, რომ სამუდამოდ აღბეჭდილიყო მისი მონური მორჩილება (ფართო გაგებით კი მთელი კოლეჯის დამორჩილება). ჩვენ ვიცით, უფრო სწორად კი, ნელ-ნელა ვიგებთ პოლიციის განყოფილებიდან გამოჟონილი ინფორმაციით, რომ ფაუნიას სხეულზე აღმოჩენილი ყველა ნაიარევი მანქანის გადავარდნის ბრალი როდია. მის ბარძაყებსა და თეძოებზე კორონერმა ავარიამდელი ლაქები აღმოაჩინა, – ბევრად ადრე და სულ სხვა მიზეზით მიღებული სისხლჩაქცევების კვალი. ეს ნატკენები ან ბლაგვი საგნით უნდა ყოფილიყო მიყენებული, ან მუშტით.

რატომ? პატარა და იმავდროულად, იმხელა სიტყვაა, რომ ჭკუიდან შეუძლია ჩვენი გადაყვანა. მაგრამ ის პათოლოგიური წყვდიადი, ფაუნიას მკვლელის სულში რომ გამეფებულა, გამოკვლევას რთულად ექვემდებარება. ამ ადამიანის შლეგურ ჟინს მძიმე ბნელეთში აქვს ფესვი გადგმული, რომლის გაგებაც არავის უწერია, ვისაც არც შურისმაძიებელი ბუნება აქვს და არც სასტიკი და მით უმეტეს, მას, ვისაც შინაგანი უხეშობისა და სიხისტის დათრგუნვა ცივილიზაციის მიერ ნაკარნახევი წესებით სჩვევია. ადამიანის სიბნელის გული მიუწვდომელია. მაგრამ გზაზე მომხდარი «უბედური შემთხვევა» სულაც არ ყოფილა შემთხვევითი – შემიძლია, დარწმუნებით მოგახსენოთ, რომ ფაუნია ფარლის დაღუპვით გამოწვეულ ტკივილს ყველა ათინა-კოლეჯელი გულშემატკივარივით ვიზიარებ. არა, შემთხვევითობა აქ არაფერ შუაშია – ქოულმენ

სილქი ამისაკენ მთელი სულითა და გულით მიისწრაფოდა. რატომ? ამ კითხვაზე პასუხს სიამოვნებით გაგცემთ:L რათა არა მხოლოდ საკუთარი თავი და ფაუნია გაენადგურებინა, არამედ სრულიად მოეშთო ყველა ის ტკივილი და ტანჯვა, რომელიც კი ქალს მიაყენა ერთად ყოფნის განმავლობაში, რათა ფაუნიას ოდესმე არ ემხილა იგი – აი, ამიტომაც ჩაითრია ქოულმენმა მდინარის ფსკერზე.

ახლა მხოლოდ უნდა ვივარაუდოთ, რაოდენ საძაგელი იქნებოდა ის დანაშაულებანი, რომელთა მიჩქმალვასაც ცდილობდა.

* * *

მეორე დღეს კი ქოულმენი მიაბარეს მიწას მეუღლის გვერდით წალკოტივით მოვლილ სასაფლაოზე, რომელიც კოლეჯის სპორტული მოედნებიდან ოდნავ მოშორებით არის, თუმცა იმავე სიმაღლეზე, და მუხიან ჭალაშია განთავსებული ნორთ-ჰოლის ბოლოს, სადაც ექვსკუთხა, საათიანი კოშკი წამომართულა და მთელი არემარიდან მოჩანს. იმ დილით უძილო ავდექი, წინაღამიდან ჯერ კიდევ გამოყოლილი მქონდა აღელვება და გაოცება, რაც მომხდარის აზრისა და შინაარსის გულმოდგინე დამახინჯებამ გამოიწვია; ფინჯანი ყავაც კი ვერ დავლიე მშვიდად. უკაცრავად და, ხომ ვერ მეტყვით, სიცრუის ამ მოზღვავებას როგორ გავუმკლავდეთ? ისეთ ადგილას, როგორიც ათინაა, სიცრუე ერთი თუ გაჩნდა, მერე თავიც რომ იმტვრიო, ველარსად გააქრობ და ვერც ვერაფრით გააქარწყლებ. ნერვიული ნაბიჯებით რომ არ მეზომა იატაკი, კოსტიუმ-ჰალსტუხში გამოვინასკვე და სანამ სასაფლაოზე ასვლის დრო დადგებოდა, მთავარ ქუჩაზე გავლა და გულის გადაყოლება გადავწყვიტე. ასე მეგონა, ქუჩაში მაინც გამიიოლდებოდა იმ ილუზიის შენარჩუნება, რომ ზიზღის გრძნობასთან გამკლავებას შევძლებდი.

ზიზღის გრძნობასა და შოკთან. მზად არ ვიყავი, მასზე, როგორც მკვდარზე, ისე მეფიქრა, მით უმეტეს, მისი დაკრძალვისთვის მეყურებინა. სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სამოცდათერთმეტი წლის ჯან-ღონით სავსე კაცის დაღუპვას თან განსაკუთრებული სიმწარე ახლავს, – უფრო ლოგიკური,

ალბათ, ის იქნებოდა, ინფარქტით, ინსულტით ან კიბოთი რომ მომკვდარიყო. გარდა ამისა, შევიტყვე თუ არა მისი დაღუპვის ამბავი, ეგრევე გავიფიქრე (და მყარად დარწმუნებულმაც), მის სიკვდილში ლეს ფარლის პიკაპი იქნება-მეთქი გარეული. ცხადია, რაც უნდა მოხდეს, მიზეზიც მოეპოვება და მიზანიც, მაგრამ როდესაც საქმეში ლეს ფარლიც შეიძლება იყოს ჩართული, აქ სულ სხვა მიზეზი და ახსნა შეიძლება მოიძებნოს. მეტისმეტად მოსახერხებელია, რომ ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკლა, ანუ მოძულე ცოლიცა და მისი საყვარელიც ერთი მცდელობით მოიშორო თავიდან, მით უფრო ისეთი მანიაკური დამოკიდებულებით, როგორიც ლეს ფარლის აქვს.

ამ დასკვნამდე სულაც არ მივსულვარ იმ მიზეზით, რომ აუხსნელის უკამათოდ მიღების სურვილი არ მქონდა, თუმცა მეორე დღეს, როცა შტატის პოლიციის განყოფილებაში მივედი იმ ორი პოლიციელის სანახავად, რომლებიც პირველად მივიდნენ შემთხვევის ადგილზე, სწორედ ეს შთაბეჭდილება შეექმნათ. მათთან საუბრისას გამოვარკვიე, რომ ჩემი ვარაუდის დამამტკიცებელი არაფერი ჰქონდათ ნანახი. ჩემი მონაყოლი: ლეს ფარლი ფაუნიას უთვალთვალებდა, დასდევდა, ერთ საღამოს ქოულმენთანაც კი მოუვიდა-მეთქი სამზარეულოს კართან შელაპარაკება, ისევე მშვიდად და მოთმინებით ჩაიწერეს, როგორც ჩემი ვინაობა, მისამართი და ტელეფონი. დახმარების შეთავაზებისათვის მადლობა გადამიხადეს და დამარწმუნეს, თქვენს თქმულ თითოეულ სიტყვას საიდუმლოდ შევინახავთ და აუცილებლობის შემთხვევაში, დაგიკავშირდებითო. თუმცა ეს აუცილებლობა დღემდე არ შეჰქმნიათ.

გასასვლელისკენ წასული უცებ შევჩერდი.

– ერთი რამ მინდა გკითხოთ. ცხედრების მდგომარეობა მაინტერესებს მანქანაში.

– რისი გაგება გნებავთ, სერ? – მკითხა შედარებით უფროსმა და ამომხედა. ბალიჩი იყო გვარად, ალბათ, ხორვატი, შეუვალი მზერა და იქაურობის პატრონის საქციელი ჰქონდა. როგორც გამახსენდა, მისი ოჯახი რესტორან «მადამასკა-ინის» მესაკუთრეა.

– რა დაინახეთ, როცა ისინი იპოვეთ? როგორ პოზაში იყვნენ? იცით, ხმა დადის, რომ...

– არა, სერ, – ბალიჩმა თავი გააქნია, – მსგავსი არაფერი ყოფილა. ცრუ ხმა დარხეულა, სერ.

– გესმით, რაზეც მიგანიშნებთ?

– დიახ, სერ. არა, ეს მხოლოდ ძალიან სწრაფი სვლის ბრალი იყო. იმხელა სიჩქარით იმ მოსახვევში ვერავინ გაივლიდა. ავტომრბოლელიც კი ვერ გაქაჩავდა. იმ ხნის კაცი რომ საჭესთან დაჯდება და თან ორი ჭიქაც თუ აქვს გადაკრული, და თავზე აიღებს ხელს...

– არა მგონია, ქოულმენს ოდესმე თავზე ხელაღებული მძღოლივით ემართოს მანქანა, ოფიცერო.

– რა გითხრათ... – ბალიჩმა ხელი ხელს გააშორა და ისე შემომხედა, თითქოს მეუბნებოდა, უკაცრავად, ნეტავ ვინ იცის, მანქანას როგორ ატარებდაო? თუმცა ეს კი მითხრა, – საჭესთან პროფესორი იჯდა, სერ.

აშკარად ის მომენტი დადგა, როდესაც ბალიჩის აზრით დეტექტივობანას უნდა მოვშვებოდი და პოლიციის განყოფილებას გავცლოდი. იმდენჯერ მომმართა «სერო», რომ არავითარი ეჭვი აღარ მქონდა, რომელი ჩვენგანი იძიებდა საქმეს. მეც გავბრუნდი და წავედი, და როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩემი და პოლიციის კავშირი ამით დასრულდა.

ქოულმენის დაკრძალვის დღეს, სხვა დღეებივით, უჩვეულოდ თბილი ამინდი დაიჭირა. ნოემბრის სინათლე მკვეთრი და კონტრასტული იყო. ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ ჩამოსცვენოდა ხეებს ფოთლები, ამდენად ბორცვიანი და კლდოვანი, გაშიშვლებული ლანდშაფტის მოხაზულობამ, თავისი ბექობებითა და ღარტაფებით, ძველი ოსტატის შტრიხებიანი გრავიურა გამახსენა. დილით ათინასკენ რომ მივდიოდი, ეს უხეში, უწყვეტი, ჭარბად განათებული შორეთი, რომლის დანახვაშიც გაზაფხულიდან ფოთლის სამოსი მიშლიდა ხელს, უადგილოდ მიჩენდა სიახლისა და პერსპექტივის განცდას. მიწის ზედაპირის რთულმა აგებულებამ, რამდენიმე თვით დამალულმა და ახლა ისევ გამოჩენილმა, რათა არ დაგვვიწყებოდა მისთვის ანგარიშის გაწევა, გამახსენა მყინვარის საშინელი, ყოვლისწამლეკავი ძალა, რომელმაც ოდესღაც ეს ბორცვები გასერა, სანამ ძლევამოსილ მსვლელობას სამხრეთის კალთაზე შეაჩერებდა. ქოულმენის სახლიდან სულ რამდენიმე მილში მოაფინა კაჭარი

რესტორნის მაცივრისხელაზე, თითქოს ფასტბოლის ავტომატურ მიმწოდებელ მანქანას დაეყაროს ბურთები. როდესაც ახლოს ჩავუარე «ქვათა ბაღად» სახელდებულ ამ ტერიტორიას, ზაფხულის ფოთლების სრიალა ჩრდილების სილუეტის გარეშე მკაფიოდ დავინახე დაყორილი გიგანტური ლოდები და დანგრეული სთოუნჰენჯის[62] ერთგვარი ვარიანტია-მეთქი, გავიფიქრე. ამ დაყრილ ლოდებს რომ შევხედე და დაზიანების კვალი ვერსად აღმოვუჩინე, უნებლიეთ ისევ მდინარეში გადავარდნა გამახსენდა, რომელმაც ქოულმენი და ფაუნია გაყარა ერთმანეთს, განაშორა ამ წუთისოფელს და მიწის წიაღში გაისტუმრა. ახლა ისინიც ისეთივე შორეულნი არიან ჩვენთვის, როგორც ხსენებული მყინვარი. როგორც დედამიწის შექმნის დღე.

ჰოდა, ამიტომაც გადავწყვიტე, პოლიციისათვის მიმემართა. იმავე დილით, ანუ დაკრძალვამდე, იმიტომ არ გავაკეთე ეს, რომ დაბის ცენტრში, ველობთან რომ შევჩერდი, რესტორან «პოლინის» ფანჯარაში ფაუნიას მამას მოვკარი თვალი, რომელიც მაგიდასთან იჯდა და ქალის თანხლებით საუზმობდა – იმ ქალის, წინადღეს მის უკან რომ იდგა ფაუნიას დაკრძალვისას. მეც დაუყოვნებლივ შევედი, მათთან ახლოს თავისუფალი მაგიდა მოვნახე, მოვკალათდი, შეკვეთაც კი მივეცი, «მადამასკა უიქლი გაზეთი» ავიფარე, ვითომ ვკითხულობდი, და მათ საუბარს მივუგდე ყური.

დღიურზე საუბრობდნენ, ფაუნიას დღიურზე, რომელიც სალისა და ფეგს სხვა ნივთებთან ერთად გარდაცვლილის მამისთვის გადაეცათ.

– არ გინდა მაგ დღიურის წაკითხვა, ჰარი. არ გინდა!

– უნდა წავიკითხო.

– რად გინდა? – მავედრებელი ხმით ჰკითხა ქალმა, – მერწმუნე, ეს შენთვის სრულიად ზედმეტია.

– რაც მოხდა, იმაზე საშინელება ხომ ვერ ეწერება...

– გეხვეწები, არ გინდა მისი წაკითხვა.

როგორც წესი, ხალხი ტრაბახაა და ჯერ მიუღწეველ წარმატებებს იკვეხნის. ფაუნია კი თავს იტყუებდა, როდესაც იმ ფუნდამენტურ უნარს უარყოფდა, რომელსაც წლიდან

წლამდე ნებისმიერი სკოლის ბავშვი იძენს ხოლმე.

ჭიქა წვენი არ მქონდა ბოლომდე დალეული, ეს რომ გავიგე. უმეცრება თავის მოსაჩვენებლად სჭირდებოდა, რადგან ასე მიაჩნდა საჭიროდ. მაგრამ რატომ? სიძლიერის წყარო? მაგრამ რა ფასადაა ნაყიდი სიძლიერე? დაფიქრებაა საჭირო. თითქოს სხვა დანარჩენი არ აკლდა, რომ უწიგნურობაც დაიმატა. ფაუნიას საკუთარი ნებით დათანხმდა. არა იმისათვის, რომ ბავშვურობა შეეძინა და ვიღაცის ხელის შემყურე გამხდარიყო, პირიქით, იმისათვის, რომ თავისი ბუნებრივი ბარბაროსული მე-სთვის მოეფინა ნათელი. სწავლას, როგორც ღირსეული ყოფისთვის აუცილებელ, მაგრამ სულშემხუთავ ფორმას კი არ უარყოფდა, უბრალოდ თავისი ინსტინქტური, პირველადი, ცოდნის კოზირით ჭრიდა ხალხთან ურთიერთობას. კითხვის, როგორც ასეთის, საწინააღმდეგო არც არაფერი ჰქონდა; მაგრამ სრულ უწიგნურად თავის მოჩვენება სწორ საქციელად მიაჩნდა. ასე უფრო აშკარად წარმოაჩენდა თავის მე-ს. შხამის გარეშე ვერ ძლებდა თითქოს – ყველაფერში შხამს ეძიებდა, ყველაფერს იშხამებდა და ეს ჰქონდა ცხოვრების წესად, მოსწონდა თუ არა ვინმეს მისი საქციელი.

– ვერ დავწვავ, – თქვა ფაუნიას მამამ, – ეს ხომ მისი დღიურია. ვერც სანაგვეზე გადავუძახებ.

– მე ვიზამ მაგას, – მიუგო ქალმა.

– არასწორი იქნება.

– მთელი ცხოვრება ამ დანაღმულ მინდორზე იარე. ახლა მაინც გეყოს.

– ამის მეტი მისგან არაფერი დამრჩა.

– რევოლვერიც ხომ დაგრჩა. ტყვიებიც, ჰარი.

– როგორც ის ცხოვრობდა...

მისი ხმა ისე გაისმა, თითქოს ტირილი უნდა წასკდესო.

– როგორც ცხოვრობდა, ისეც მოკვდა. შედეგს ვერ ხედავ?

– უნდა მომცე ეგ დღიური.

– არა. აქ არც უნდა ჩამოვსულიყავით.

– აბა, გაბედე და გაანადგურე, არ ვაგებ მერე ჩემს თავზე პასუხს.

– შენთვის უკეთესიც იქნება.

– რას წერს?

– გამეორებაც არ მინდა.

– ღმერთო!

– ჭამე. შენთვის შიმშილი არ შეიძლება. მშვენიერი მაჭკატები უნდა იყოს.

– ჩემი საცოდავი ქალიშვილი.

– რაც შეგეძლო, ყველაფერი გაუკეთე.

– ექვსისა რომ გახდა, მაშინვე უნდა წამეყვანა.

– რა იცოდი? როგორ იწინასწარმეტყველებდი?

– არ უნდა დამეტოვებინა იმ...

– არც ჩვენ უნდა ჩამოვსულიყავით აქ, – მიახალა მეგობარმა ქალმა, – სურათის დასასრულებლად ისღა გვაკლია, რომ შენც ავად გახდე აქ.

– მათი ფერფლი მჭირდება.

– ის ფერფლი მისთვისვე უნდა ჩაეტანებინათ. ვერ ვხვდები, ასე რატომ არ მოიქცნენ.

– მათი ფერფლი მჭირდება, სილ. ისინი ხომ ჩემი შვილიშვილები იყვნენ. ამ ფერფლის მეტი სხვა რა დამრჩენია.

– იმ ფერფლს უკვე მივუჩინე ადგილი.

– რას ამბობ?!

– შენ რად გინდოდა ის ფერფლი? გეყოს. არ დავუშვებ, რომ რამე დაგემართოს. თვითმფრინავით არანაირ ფერფლს არ წავიღებთ.

– რა გაუკეთე?

– რაც საჭირო იყო, – პირში მიახალა მოხუცს, – ნუ ღელავ, ჯეროვანი პატივით მოვეპყარი, მაგრამ ფერფლი აღარ

არსებობს.

– ღმერთო...

– ყველაფერი დამთავრდა, – ტონი შეცვალა ქალმა, – ყველაფერი მორჩა. შენ შენი ვალი მოიხადე, თან პირნათლად. გეყოფა ღელვა. ახლა ჯობია, მიირთვა. ბარგიც ჩავალაგე და ნომრის ფულიც გადავიხადე. ახლა დროა, გზას გავუდგეთ.

– ყოჩაღ, სილვია! ყოჩაღ!

– საკმარისად იტანჯე. შენს თავს აღარავის გავატანჯვინებ.

– ყოჩაღ.

– ჭამე. ისე გამოიყურება ყველაფერი, რომ გემრიელი უნდა იყოს.

– გაგიყო?

– არ მინდა. მინდა, რომ შენ მიირთვა.

– ამდენი არ მინდა.

– სიროფთან ერთად ჭამე შენც, ყელს ჩაიწმენდ. მოდი, დაგისხამ ცოტას.

მერე გარეთ გავედი, ველობზე, და იქ დავუცადე. როდესაც ქალმა რესტორნიდან გამოაგორა და ტროტუარზე გააგორა, მეც მათკენ გავწიე, დავეწიე, გავეცანი და საუბარი გავუბი.

აქაური კაცი ვარ, თქვენს ქალიშვილს ვიცნობდი, თუმცა შორიდან. სულ რამდენჯერმე შევხვედრივარ. გუშინ დაკრძალვაზეც ვიყავი და იქ დაგინახეთ. ნება მომეცით, თქვენი ტკივილი გავიზიარო და გულით მოგისამძიმროთ-მეთქი.

მსხვილი კაცი ჩანდა, მხარბეჭიანი, ბევრად მსხვილი, ვიდრე დაკრძალვაზე მომეჩვენა, სავარძელში გამწარებული სახით რომ იჯდა. სიმაღლით, ალბათ, ექვს ფუტზე ბევრად მეტი იქნებოდა, მაგრამ სახე სულ წაშლილი ჰქონდა (ფაუნიას უემოციო სახე მამისგან თუ ჰქონდა გამოყოლილი; თხელი ტუჩები, მკვეთრი ნიკაპი, კეხიანი ცხვირი, ცისფერი, ღრმად ჩამჯდარი თვალები, მკრთალი ფერის წამწამებს ზემოთ კი ისეთივე ამონაბურცი შევნიშნე, როგორიც ფაუნიას, ფერმაში

რომ ვნახე, იმ დროს და მის ერთადერთ ეგზოტიკურ შტრიხად რომ მომეჩვენა). სახეზე ეწერა, ინვალიდის სავარძელს რომ იყო მიჯაჭვული და სიცოცხლის ბოლომდე კიდევ რაღაც დამატებითი სატანჯველი უნდა აეტანა. ამ ვეებერთელა სხეულში შიშის გარდა სხვა აღარაფერი ბუდობდა. ეს შიში ეგრევე თვალებში მეცა, როდესაც ამომხედა.

– ძალიან კეთილი ბრძანდებით, – მითხრა მან.

დაახლოებით ჩემი ასაკისა იყო, მაგრამ მეტყველებაზე ემჩნეოდა, რომ ახალინგლისური პრივილეგირებული ბავშვობა ჰქონდა. ეს ჯერ კიდევ რესტორანში შევნიშნე: განსაკუთრებით ყურში მომხვდა კვაზიბრიტანული გამოთქმა, რომელსაც დიდძალი ფული და შორეული წარსული უმაგრებდა ნიადაგს და უნებურად ამშვენებდა სრულიად განსხვავებული ამერიკის ფონზე.

– თქვენ კი, ალბათ, ფაუნიას დედინაცვალი იქნებით.

მიმართვის ეს ფორმა, რომელსაც ყურადღების მიპყრობაც შეეძლო და შენელებაც, ისეთივე მისაღები მეჩვენა, როგორც ყველა სხვა ფორმა. აშკარა იყო, რომ შენობის კუთხეში მდებარე სასტუმრო «კოლეჯის გერბისკენ» გაეწიათ.

– ეს სილვიაა, – გამაცნო ჰარიმ.

– ხომ ვერ შეჩერდებოდით, – ისევ მივმართე სილვიას, – დალაპარაკება მინდა.

– თვითმფრინავზე გვეჩქარება.

რაკი ერთი სული ჰქონდა, როგორმე მოვეცილებინე ჰარისაგან, ნაბიჯის შეუნელებლად განვაგრძე:

– ქოულმენ სილქი ჩემი მეგობარი იყო. მდინარეში თვითონ არ გადავარდნილა. ეს გამორიცხულია. ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. სხვა მანქანამ გადააგდო გზიდან. ვიცი, თქვენი ქალიშვილის სიკვდილი ვის სინდისზეც არის. ქოულმენ სილქს არავითარი ბრალი არ მიუძღვის.

– სილვია, შევჩერდეთ. შევჩერდეთ-მეთქი.

– არა, – მოუჭრა ქალმა, – ეს გიჟის ნაბოდვარია. გეყოფა წამება.

– მისი ყოფილი ქმრის, – არც მე შევეპუე, – ლეს ფარლის

ბრალია.

– არა, – ძლივს გასაგონად თქვა მან, თითქოს ჩემმა სიტყვებმა გულში გაუარა, – არა... არა...

– სერ!

როგორც იქნა, შეაჩერა ეტლი, ერთი ხელი აუშვა სახელურს და საყელოზე დამწვდა. ახალგაზრდა ფილიპინელი ქალი იყო, დაბალი და გამხდარი, ღია ყავისფერი სახით. მის უშიშარ, ბნელი სიმამაცით აღსავსე თვალებში ჩანდა, რომ ადამიანთა წარმოქმნილ ქაოსს ახლოსაც არ გააკარებდა მას, ვისზეც ზრუნავდა.

– იქნებ წუთით მაინც შეჩერებულიყავით, – გავიმეორე თხოვნა, – აი, იმ მდელობზე შეგვიძლია დავსხდეთ და გავისაუბროთ.

– ეს ადამიანი მძიმე ავადმყოფია, თქვენ კი მის ამტანობას ბოროტად იყენებთ.

– ფაუნიას დღიური ხომ თქვენ გაქვთ.

– მსგავსიც არაფერი.

– მისი რევოლვერიც.

– წადით, სერ. დაანებეთ თავი. გაფრთხილებთ!

საყელოთი შემანჯღრია და უკან მიბიძგა.

– ეს იარაღი, – ვუთხარი მათ, – ფარლისგან დასაცავად ჰქონდა.

– საწყალი, – სარკასტულად მომიგდო სიტყვა.

რაკი არ შეჩერდნენ, მეტი რა გზა მქონდა, უკან გავყევი და სასტუმროს კარამდეც მივედით; ფაუნიას მამა უკვე ცრემლებს ვერ იკავებდა.

სილვია შემოტრიალდა და ისევ თვალში შევეჩეხე, ამიტომაც კბილებში გამოცრა:

– არ გეყოთ, რა ზიანიც მიაყენეთ? წადით, თორემ პოლიციას გამოვიძახებ.

რამდენი სიშმაგე იყო ამ პატარა ქალში. პრინციპში, გასაგებიც იყო: ზრუნვის ობიექტისთვის რომ სიცოცხლე შეენარჩუნებინა, ალბათ, ასეთი უნდა ყოფილიყო.

– ნუ გაანადგურებთ მაგ დღიურს, – ვუთხარი სილვიას, – იქნებ რამე ხელჩასაჭიდი მონაცემიც იყოს...

– სისაძაგლე და სიბინძურეა! გაწყობთ?

– სილ, სილვია!..

– ეს ქალბატონიც, მისი ძმაც, დედაც, მამინაცვალიც, მთელი ეს ხროვა ამ კაცს სულს უმწარებდა. ძარცვავდა. ატყუებდა. ამცირებდა. მისი ქალიშვილი კრიმინალი იყო. თექვსმეტისამ ბავშვი გააჩინა, მაგრამ უდედმამოთა თავშესაფარში დატოვა. არადა, იქნებ მამამისს მაინც გაეზარდა. ქუჩის ბოზი იყო. პისტოლეტები, ბუღები, ნარკოტიკები, სექსი – აი, მისი სამოქმედო არეალი. ეს უბედური რა ფულსაც აძლევდა, ნეტავ ის ძუკნა რას უშვრებოდა?

– არ ვიცი. პირველად მესმის ბავშვთა სახლის შესახებ. ფულზეც არაფერი მსმენია აქამდე.

– ნარკოტიკებზე! ნარკოტიკებზე ხარჯავდა!

– პირველად მესმის.

– მთელი ოჯახი საძაგლობა და სიბინძურეა! იქონიეთ ადამიანობა, გესმით?

ფაუნიას მამისკენ შევტრიალდი.

– მხოლოდ ერთი რამ მინდა: ორი ადამიანის სიკვდილში დამნაშავემ კანონის წინაშე აგოს პასუხი. ქოულმენ სილქს ფაუნიასთვის არაფერი დაუშავებია. მას არ მოუკლავს. მხოლოდ ერთი წუთი მომეცით დასალაპარაკებლად.

– დაგველაპარაკოს, სილვია...

– არა-მეთქი! წამსაც არავის მივცემ. აქამდეც ბევრი დრო გაქვს მათთვის დათმობილი!

სასტუმროდან უკვე ცნობისმოყვარეებმა დაიწყეს ცქერა, ზედა სართულის ფანჯრებიდანაც გამოჩნდა სახეები. ეს ხალხი იქნებ შემოდგომის ფოთოლცვენის შეგვიანებული დამფასებელიც იყო, რომელსაც ცეცხლისფერი დიდებულების ხილვა აკმაყოფილებდა. ან იქნებ ათინა-კოლეჯის კურსდამთავრებულები. აქაურობას ხომ ხშირად სტუმრობდა ხოლმე ბევრი მათგანი, ვისაც ჯერ კიდევ ახსოვდა, ან სურდა

გაეხსენებინა დაბა ათინა, რადგან ათას ცხრაას რომელიღაც წელს სწავლობდა ამ კოლეჯში და სიჭაბუკესთან შესახვედრად ჩამოდიოდა დაბაში. იქნებ ვიღაც კოლონიური ხანის შენობების რესტავრირებული ფასადების სანახავად მოდიოდა აქ, რომლებიც უორდ-სთრითის ორივე მხარეს არის ჩაყოლებული და ათინას ისტორიული საზოგადოება მათ სიძველის თვალსაჩინო ძეგლებად მიიჩნევს. მართალია, ამ სახლებს ნაკლებად ეფექტური ეთქმოდა, ვიდრე სეილემის ნაგებობებს, მაგრამ მნიშვნელობის თვალსაზრისით მასაჩუსეტსის შტატში არაფერს ჩამოუვარდებოდა «შვიდფრონტონიანი სახლის»,[63] დასავლეთით. ეს ხალხი იმიტომ კი არ იყო დაბინავებული ძველებურ ყაიდაზე ნაგები სასტუმრო «კოლეჯის გერბის» კლასიკურ ნომრებში, რომ ქუჩიდან შესულ ყვირილს გაეღვიძებინა ერთ დილას. ასეთ ფერწერულ ქუჩაზე, საუთ-უორდ-სთრითი რომ ჰქვია, მტირალი ინვალიდი, გაკაპასებული ტანმორჩილი აზიელი ქალი და კოლეჯის პროფესორის გარეგნობის ხანში შესული კაცი, რომელიც ამ ორს ატერორებდა, ალბათ, ბევრად უფრო მძიმე შთაბეჭდილებას მოახდენდა, ვიდრე ამავე სცენის დანახვა რომელიმე დიდი ქალაქის ხალხმრავალ მოედანზე.

– ამ დღიურისთვის ერთხელ მაინც რომ შემავლებინა თვალი...

– არავითარი დღიური არ არსებობს, – მომახალა გაცხარებულმა და ისღა დამრჩა, მეყურებინა, კიბის გვერდით ამავალ პანდუსზე როგორ ააგორა ეტლი და სასტუმროს ვესტიბიულში როგორ სწრაფად შეასრიალა.

რესტორან «პოლინში» დაბრუნებულმა ერთი ფინჯანი ყავა შევუკვეთე და ოფიციანტი გოგონას მიერ სალაროს ქვედა უჯრიდან მოტანილ საწერ ქაღალდზე ეს წერილი დავწერე:

მე ის კაცი ვარ, რომელიც ათინას მთავარ ქუჩაზე, რესტორნის წინ, დილის საათებში თქვენთან მოვედი ფაუნიას დაკრძალვის შემდეგ. მე სოფლის შარაზე ვცხოვრობ ათინას გარეთ, განსვენებული ქოულმენის, რომელიც როგორც აგიხსენით, ჩემი მეგობარი გახლდათ, სახლთან რამდენიმე მილში. ქოულმენთან შეხვედრისას თქვენი ქალიშვილიც რამდენჯერმე მყავს ნანახი. ისეც ხდებოდა, რომ თავად ქოულმენი მესაუბრებოდა ხოლმე მასზე. მათ ვნებიანი რომანი ჰქონდათ, მაგრამ სისასტიკეზე ლაპარაკიც ზედმეტია. პირველ ყოვლისა, ქოულმენი მისთვის საყვარელი იყო, მაგრამ მას მეგობრობაც

შეეძლო და მასწავლებლობაც. რაც უნდა ეთხოვა მისთვის ფაუნიას, ღრმად მწამს, უკამათოდ უსრულდებოდა. და თუკი რამ ჰქონდა ქალს მისგან მიღებულ-შეთვისებული, ასევე ღრმად მწამს, რომ ვერც მის სულს მოწამლავდა და ვერც მის ხორცს წაახდენდა.

მე არ ვიცი, რა მოისმინეთ აქ ასეთი საშინელი მათზე ან მათ თავს დატრიალებულ ტრაგედიაზე, თუმცა, მესმის, რომ ათინაში გრძელი ენები აქვთ. იმედია, არაფერი განსაკუთრებული თქვენს ყურს არ სმენია. თუმცაღა რჩება მართლმსაჯულების სფეროც, რომლის ფონზეც მთელი ეს იდიოტიზმი მნიშვნელობას კარგავს. ეს ორი ადამიანი მკვლელობის მსხვერპლია. ვიცი კიდეც, ვისი ხელიც ურევია მაგ ამბავში. დანაშაულის მომსწრე არ გავმხდარვარ, მაგრამ მჯერა, რომ სწორედ დანაშაულია ჩადენილი. აბსოლუტურად დარწმუნებული გახლავართ ამაში. მაგრამ პოლიციაში, გნებავთ, პროკურატურაში, სერიოზულად რომ მოსთხოვო ვინმეს პასუხი, სამხილები გესაჭიროება კაცს. თუკი თქვენ რაიმე მაინც გაგაჩნიათ, რაც კი ფაუნიას სულიერ მდგომარეობას, თუნდაც ბოლო თვეების განმავლობაში, შუქს მოჰფენდა, – თუნდაც უფრო ძველ პერიოდში, ვთქვათ, ქორწინებაში ყოფნისას, – გემუდარებით, შეინახეთ. ვგულისხმობ წერილს, რომელიც, შესაძლოა, ფაუნიას თქვენთვის ოდესმე მოეწერა და ისიც, რომელიც სალიმ და ფეგმა მის ოთახში მიაგნეს და თქვენ გადმოგცეს.

აი, ჩემი მისამართი და საკონტაქტო ტელეფონიც...

ამ წერილს მოვაბი თავი. ვაპირებდი, როგორც კი გაემგზავრებოდნენ, სასტუმრო «კოლეჯის გერბის» ადმინისტრატორისგან როგორმე გამეგო ფაუნიას მამის გვარი და მისამართი და ეს წერილი ელვა-დეპეშასავით მეფრინა მის მისამართზე. თუ სასტუმრო უარს მეტყოდა მისამართის მოცემაზე, სალისა და ფეგთანაც მივიდოდი. მაგრამ არც ერთი გავაკეთე და არც მეორე. სილვიას, ალბათ, უკვე განადგურებული ან გადაყრილი ექნებოდა ყველაფერი, რაც კი ფაუნიას ოთახში დარჩა, და მჯერა, ჩემს წერილსაც იმავე გზას გაუყენებდა. ეს ტანმორჩილი ქალი, რომელიც ასე გააფთრებით იცავდა ინვალიდ მამაკაცს, არასდიდებით არ დაუშვებდა, რომ ახალი სატანჯველისთვის გაემეტებინა კაცი, მით უმეტეს, წარსულისგან გამოწვეულ პრობლემებს აღარ მოახვევდა

თავზე. გარდა მაგისა, ბოლომდე ვერც ვამტყუნებდი. თუკი ამ ოჯახში ტანჯვა გადამდები დაავადებასავით გადადის წევრიდან წევრზე, ჯობია, როგორმე იზოლირებული იყო ნებისმიერი ინფექციისგან, თუნდაც იმ მეთოდით, ჩემს ბავშვობაში კეთროვანთა სახლებზე სპეცნიშნებს რომ კიდებდნენ ხოლმე: კარანტინი ან უბრალოდ შავ -კ-ს აწერდნენ. ეს ცეროდენა ქალი ზუსტად ის ავბედითი -კ- იყო, რომლისთვის გვერდის ავლა ადამიანის ძალას აღემატებოდა.

წერილი ნაკუწებად ვაქციე და ქალაქში გადავწყვიტე დაკრძალვაზე წასვლა.

ქოულმენთან გამომშვიდობების ორგანიზება მისმა შვილებმა ითავეს. ოთხივენი რისჰანგერის საყდართან ჩამწკრივებულიყვნენ და სამძიმარს იღებდნენ. იდეა, რომ პანაშვიდი კოლეჯის საყდარში მოეწყოთ, როგორც მივხვდი, მათვე ეკუთვნოდათ და ერთ მიზანმიმართულ შეთქმულებასაც ემსახურებოდა: ბოლო მოეღოთ მამის თვითგანდევნისათვის კოლეჯის სივრციდან და თუ ცოცხალს ვერა შეასმინეს, მიცვალებულის სახით მაინც დაებრუნებინათ იმ საზოგადოებაში, სადაც წლების განმავლობაში ყვაოდა მისი თვალისმომჭრელი კარიერა.

როდესაც მივუსამძიმრე და გავეცანი, ქოულმენის ქალიშვილი ლიზა გადამეხვია და გვერდით გამიყვანა რამდენიმე სიტყვის სათქმელად:

– თქვენ მისი მეგობარი ბრძანდებოდით, ერთადერთი მეგობარი, ვინც ხელი არ ჰკრა. იქნებ სწორედ თქვენ იყავით ის ადამიანი, ვინც უკანასკნელად ნახა ცოცხალი.

– ერთხანს მართლაც ვმეგობრობდით, – ვუპასუხე, თუმცა ის დეტალი, რომ უკანასკნელად აგვისტოს ერთ-ერთ შაბათ საღამოს ვნახე თანგლვუდში, რადგან სრულიად შეგნებულად ჰქონდა რამდენიმე თვე ჩემთან კონტაქტი გაწყვეტილი, არ ვახსენე.

– დავკარგეთ, – მითხრა მან.

– ვიცი.

– დავკარგეთ, – ისევ გაიმეორა და ამის მერე ცრემლების შეკავება გაუჭირდა.

ერთ წუთს შევიცადე და ვუთხარი:

– აღფრთოვანებული ვიყავი მისი საზოგადოებით, ნეტავ უფრო ადრე გამეცნო.

– რატომ უნდა მოსვლოდა ასეთი რამ?

– არ ვიცი.

– გაგიჟდა? ეს სიგიჟით აიხსნება?

– არა. არავითარ შემთხვევაში.

– მაშ, რაღა იყო?

პასუხს არ დალოდებია, ისე გამიშვა ხელები (ან რა უნდა გამეცა პასუხად? ჩემი პასუხი ეს წიგნია მხოლოდ) და რომ დავაკვირდი, მივხვდი: ზუსტად ისევე ჰგავდა ქოულმენს, როგორც ფაუნია – მამამისს. ისეთივე ლამაზი, თოჯინასავით პატარა, ნაკვთიანი სახე, მწვანე თვალები და მუქი კანი. მასში თითქოს ქოულმენის შედარებით ტანდაბალი, მაგრამ სხარტი ათლეტიზმი მოჩანდა, ცხადია, ნაკლებად მხარბეჭიან ვარიანტში. დედასთან გენეტიკური მსგავსება ვიზუალურად მხოლოდ შავი, ხშირი თმით შემოფარგლულიყო. ქოულმენს საოჯახო ალბომი ჰქონდა ჩემთვის ნაჩვენები და როგორც მახსოვს, აირის სილქის სახის ნაკვთები ფოტოებზე მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა, რადგან ხშირზე ხშირი თმოვანი საფარველი არა მარტო მის გარეგნობასა და თავნებობაზე მიუთითებდა, სულიერებასაც კი უსვამდა ხაზს. ლიზას ხასიათს კი, დედისგან განსხვავებით, ეს თმა უფრო ეწინააღმდეგებოდა, ვიდრე ეხამებოდა.

იმ რამდენიმე წამის განმავლობაში, რაც ჩემ წინ იდგა, მივხვდი, რომ კავშირი, რომელიც მამასთან ჰქონდა და აწ უკვე გაწყვეტოდა, მისი გონებიდან არასოდეს ამოვიდოდა. ქოულმენზე ფიქრი იქნება ლიზას მუდმივი თანმდევი, რასაც უნდა აკეთებდეს – გინდ წინსვლა ჰქონდეს ცხოვრებაში და გინდ გაჭირვება, ყველაფერს მაინც მამასთან დააკავშირებს. ძლიერი ბავშვური სიყვარულისა და მამაზე მიჯაჭვულობის შედეგი, რომელიც განდგომამ შეცვალა, რაც ქოულმენის სიკვდილამდე გაგრძელდა, ამ ქალს არასოდეს დაანებებს თავს.

სილქის სამივე ვაჟმა – ლიზას ტყუპისცალმა მარკმა და ორმა უფროსმა, ჯეფრიმ და მაიკლმა – სამძიმარზე მადლობის

გადახდისას თავდაჭერილობა ამჯობინა. მარკში მამაზე გადამტერების, წყენის ან ბოღმის ნატამალიც ვერ შევნიშნე; როდესაც სასაფლაოზე ქოულმენის ჩასვენებას უყურებდა გაშეშებული, მასში მხოლოდ ძლიერი დანაკარგით გამოწვეული სასოწარკვეთილება მჟღავნებოდა. ჯეფი და მაიკლი აშკარად უფრო მტკიცე სულის პატრონები ჩანდნენ, ვიდრე მარკი და ლიზა, მათში დედასთან მსგავსების გაცილებით მეტ კვალს დაინახავდა ადამიანი, ვიდრე ტყუპში. თმას რაც შეეხება, გვარიანად გამელოტებულიყვნენ, სამაგიეროდ სიმაღლე, ურყევი თვითრწმენა და მოურიდებელი უფროსობა აშკარად დედისგან ჰქონდათ გამოყოლილი. გარდა ამისა, აშკარად იმ კატეგორიას ეკუთვნოდნენ, საქმის ბოლომდე მიყვანა რომ სჩვევიათ. თუკი ეს ორი ძმა ერთმანეთს გვერდშიც დაუდგებოდა, საქმე ბევრს ვერ წაუვიდოდა კარგად. ისე, ქოულმენიც ზუსტად ასეთივე უნდა ყოფილიყო თავისი გაფურჩქნის წლებში, სანამ საკუთარი ბოღმისა და განდეგილობის საკანში ჩაიკეტებოდა, ყველასა და ყველაფერს გადაუვლიდა, თუკი ვინმე გადაუდგებოდა გზაზე, და იქნებ ამის გამოც იყო, რომ როგორც კი საშუალება მიეცათ, რასიზმში დადანაშაულებით მოეშორებინათ თავიდან, უკან არ დაიხიეს და აქეთ მას გადაუარეს უწყალოდ.

იმისდა მიუხედავად, ქალაქში რა ხმებიც დადიოდა, მის დაკრძალვაზე გაცილებით მეტი ადამიანი მოვიდა, ვიდრე მოველოდი ან თუნდაც ვიდრე თავად ქოულმენი წარმოიდგენდა თავის სიცოცხლეში. ექვს-შვიდ წინა სკამზე უკვე ადგილი აღარ იყო დარჩენილი, ხალხი კი ემატებოდა და ემატებოდა. საკურთხეველთან ახლოს თავისუფალი ადგილი შევნიშნე და დავჯექი; ჩემ გვერდით კი გუშინ ნანახი კაცი აღმოჩნდა – სმოუქი ჰოლენბექი. ნეტავ ამ კაცს თუ ესმოდა, რა ახლოს იყო ჯერ კიდევ ერთი წლის წინ იმასთან, რომ ახლა ქოულმენის კი არა, მისი პანაშვიდი ყოფილიყო რისჰანგერის საყდარში გამართული? შესაძლოა აქ ამ გაუმართლებლობის გამო უფრო იყო მოსული მადლობის გადასახდელად, ვიდრე თავისი ეროტიკული ადგილმონაცვლის სამძიმარზე დასასწრებად.

მის გვერდით ორმოციოდე წლის სასიამოვნო გარეგნობის ქერათმიან ქალს ჰქონდა ადგილი დაკავებული, როგორც ჩანს, მის ცოლს. თუ არ ვცდები, მისი თანაკურსელი იყო ეს ქალბატონი, ჯერ კიდევ სამოცდაათიან წლებში გაჰყვა ცოლად

და ხუთი შვილიც გაუჩინა. ჰოლენბექის მონაგარი და ქოულმენის შვილები ყველაზე ახალგაზრდები იყვნენ, ვინც საყდარში მოვიდა. მეტწილად «ათინას» უხუცესები მოსულან, მასწავლებლები და ადმინისტრატორები, რომელთაც ქოულმენი ლამის ორმოცი წელი იცნობდა. ახლა რომ დაენახა ცხონებულს, ნეტავ რას იფიქრებდა მათზე? ალბათ, იტყოდა, «მშვენიერი საშუალებაა საკუთარ თვალში გაზრდისა. ალბათ, მომიტევეს და საშინლად ამაყობენ ამ კეთილი საქციელითო!»

უცნაური იყო, მის კოლეგებს შორის ვიჯექი და ვფიქრობდი, ასე განათლებული და პროფესიონალი ადამიანები არიან და როგორ მოხდა, რომ ცდუნებას ვერ გაუძლეს და ყოველგვარ ადამიანურ უბედურებაში ბრალი მას დასდეს-მეთქი? რას ვიზამთ, მოთხოვნილება მოთხოვნილებაა. წინ ვერ აღვუდგებით.

როდესაც შემოსასვლელი კარი დაიხურა და სილქებმაც თავ-თავიანთი ადგილები დაიკავეს, შევათვალიერე და საყდრის ორი მესამედი აღმოჩნდა სავსე: სამასიოდე ადამიანი უცდიდა ამ ძველთაძველ ცერემონიას; ცერემონიას, რომელიც მაშინ ტარდება, როდესაც ადამიანი სიცოცხლის გზას ბოლომდე გაივლის და უკანასკნელადღა ვუყურებთ ამ ცისქვეშეთში. დავინახე, რომ მარკი, ძმებისგან განსხვავებით, არახჩინში[64] იყო.

მეც, ალბათ, როგორც უმეტესობა, ველოდი, რომ კათედრაზე ქოულმენის რომელიმე შვილი ავიდოდა და გამოსათხოვარ სიტყვას წარმოთქვამდა. მაგრამ ერთადერთი, ვინც თავი შეიწუხა ამ საქმით, ეს პოლიტოლოგი ჰერბ ქიბლი აღმოჩნდა – კოლეჯის პირველი შავკანიანი პროფესორი, რომელიც დეკან სილქს ჰყავდა სამუშაოდ აყვანილი. ქიბლი, გასაგებია, რომ დაღუპულის შვილებს ისევე ესაჭიროებოდათ, როგორც რისჰანგერის საყდარი, რათა მამის კეთილი სახელი აღედგინათ, აქაური საათების ისრები უკან გადაეწიათ და ქოულმენისთვის ჩვეული სტატუსი და პრესტიჟი დაებრუნებინათ. კარგად მახსოვს ის სიმკაცრე, რომლითაც ჯეფმა და მაიკლმა ჩამომართვეს ხელი და სახელითაც მომმართეს. მათი სიტყვებიც კი მახსენდება: «გმადლობთ, აქ რომ ხართ. ამას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს». ვგონებ, ყველა მოსამძიმრეს ამავე სიტყვებს ეუბნებოდნენ, ვისაც კი შორიდან მაინც იცნობდნენ; გავიფიქრე, აშკარად არ

დაწყნარდებიან, სანამ ადმინისტრაციულ კორპუსს «ქოულმენ-სილქ-ჰოლს» არ დაარქმევინებენ-მეთქი.

დამსწრეთაგან ყველა როდი იყო თავისი სურვილით მოსული. ჯეფსა და მაიკლს, ალბათ, მამის გარდაცვალება შეიტყვეს თუ არა, ყურმილი არ გაუგდიათ ხელიდან. ეტყობა, ხალხის გამოცხადება იმავე მეთოდით იქნა უზრუნველყოფილი, როგორითაც ჩიკაგოში არჩევნების დროს, როდესაც მერად ჯიგარი დეილი[65] იყო. იოლი წარმოსადგენია, როგორ ამუშავებდნენ ქიბლს, რომელიც ქოულმენს განსაკუთრებულად სძულდა. აბა, რა ბზიკი უკბენდა, რომ ახლა ეს პატივცემული ბატონი საკუთარი ნებით გამოსულიყო განტევების ვაცის როლში და მთელი «ათინას» ცოდვებზე ეგო პასუხი? რაც უფრო მეტს ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორ დაუწყებდნენ ჩალიჩს ქიბლს, – მიაწვებოდნენ, უყვირებდნენ, დაანამუსებდნენ, მამაჩვენმა გზა გაგიკვალა, შენ კი ორი წლის წინ ზურგი აქციეო, – მით უფრო მეტი პატივისცემა მეუფლებოდა ქოულმენის მიმართ, რომელმაც ეს ორი ვირეშმაკა ისე გამოზარდა, რომ ყოველგვარ ვითარებაში მოეხერხებინათ არა მარტო საკუთარი თავის, არამედ ახლობლის ინტერესების დაცვაც. ჰოდა, ვაჟებმაც არ დაუვიწყეს მამას ამაგი და ახლა მისი იმიჯის აღსადგენად უკან არაფერზე იხევდნენ. მათი იმედი გამიჩნდა, ვიფიქრე, ლეს ფარლის ესენი მაინც ჩამასმევინებენ-მეთქი ვირის აბანოში.

ყოველ შემთხვევაში, ასე მანამდე ვფიქრობდი, სანამ მეორე დღეს, გამგზავრების წინ, ისევე შეუვალი პოზიცია არ დაიკავეს ჩემთან საუბრისას, როგორც, ჩემი აზრით, ქიბლთან ლაპარაკისას დაიჭერდნენ თავს, და გასაგებად მომანიშნეს, რომ ლეს ფარლიც თავიდან ამომეგდო, კატასტროფის ვითარებაცა და ახალი პოლიციური გამოძიების დაწყების შესაძლებლობაც. ფრიად ერთმნიშვნელოვნად ამიხსნეს, რომ უკმაყოფილონი დარჩებოდნენ, თუკი მათი მამისა და ფაუნიას რომანი სასამართლო დარბაზში გასარჩევ თემად გადაიქცეოდა. ამ დედაკაცის სახელის გაგონებაც აღარ სურდათ, მით უმეტეს, სკანდალურ პროცესს რა თავში იხლიდნენ, თანაც ადგილობრივი გაზეთები იმისთანა ხმაურს ატეხდნენ ამ ამბავზე, რომ აქაურებს მაშინვე სალაპარაკო გამოუჩნდებოდათ, როდესაც «ქოულმენ-სილქ-ჰოლში» სხვა სალაპარაკო გამოილეოდა.

– ეგ დედაკაცი, რბილად რომ ვთქვა, მამაჩვენის მემკვიდრეობასთან დასაკავშირებლად საუკეთესო პერსონაჟი არ გახლავთ, – მითხრა ჯეფრიმ.

– მამის ირგვლივ მხოლოდ დედაჩვენის სახელი უნდა ფიგურირებდეს, – ამიხსნა მაიკლმა, – ეგ ძუკნა კი რა სახსენებელია!

– საერთოდ, ვინ მიგდია, – კვერი დაუკრა ჯეფრიმ.

ასეთ სიმტკიცესა და სიხისტეს რაკი წავაწყდი, გამიჭირდა დაჯერება, რომ ეს კაცები კალიფორნიაში სამეცნიერო საგნებს ასწავლიდნენ და თან პროფესორის წოდებებიც ჰქონდათ. ღმერთმანი, მათ კინოკომპანია «მეოცე საუკუნე – ფოქსის» ხელმძღვანელობა უფრო დაშვენდებოდათ.

* * *

ჰერბ ქიბლი გამხდარი, ძალიან მუქკანიანი კაცი იყო, თან საკმაოდ ასაკიანიც, რაც სიარულშიც ემჩნეოდა, თუმცა არც წელში იყო მოხრილი და არც კოჭლობდა; გაჭიმული დადიოდა, სერიოზული სახით, ხმა კი ისეთი ჰქონდა, ზანგი მოძღვარი ეგონებოდა კაცს. საკმარისი იყო, ეთქვა, ჰერბერთ ქიბლი მქვიაო, რომ მისი გავლენა მთელ შენობაში ვრცელდებოდა; საკმარისი იყო, კათედრაზე ასულიყო, უხმოდ მოევლო თვალი ქოულმენის კუბოსთვის და ბიბლიური ფსალმუნების დეკლამაციის მოსასმენად განაწყობდა დამსწრეთ. ენა ალესილი ხმალივით ჰქონდა, რომლითაც ნებისმიერ დაუდევრობას ძირშივე მოცელავდა. მოკლედ, გარეგნულადაც და საქციელითაც ძლიერ გავლენას ახდენდა, ასე რომ, გასაგებია, თუ რატომ ამოირჩია თავის დროზე ქოულმენმა სწორედ ის, რათა კოლეჯში რასათშორისი ბარიერი დაერღვია. ალბათ, იმავე თვისებებისთვის, რომელთა გამოც ბრანჩ რიკიმ ჯეკი რობინსონი აქცია ბეისბოლის უმაღლესი ლიგის ნომერ პირველ შავკანიან მოთამაშედ. იმის წარმოდგენა, თუ როგორ დაუმორჩილეს თავიანთ სცენარს ჯეფმა და მაიკლმა ჰერბ ქიბლი, ცოტა არ იყოს და, გამიჭირდა, მაგრამ მერე გამახსენდა, რაოდენ ძლიერია დრამატული მონოსპექტაკლის მიმზიდველობა, მით უფრო ქიბლისთანა კარიერისტისთვის, რომლისთვისაც ამ ადგილას ყოფნა დიდ სცენაზე გამოსვლას

უდრიდა და ყველაფერი გასაგები გახდა. მასში მკაფიოდ იკითხებოდა მეფის შემდეგ მეორე კაცის ავტორიტეტულობა.

– მე ჰერბერთ ქიბლი ვარ, – დაიწყო მან, – კოლეჯში პოლიტოლოგიის კათედრას ვუდგავარ სათავეში. 1996 წელს მეც იმათ შორის ვიყავი, ვინც ქოულმენისათვის მხარში ამოსადგომად არაფერი გააკეთა, როდესაც რასიზმში დასდეს ბრალი. მე თექვსმეტი წლით ადრე მოვედი კოლეჯში, თანამდებობაზე მხოლოდ ქოულმენ სილქის დეკანად არჩევის შემდეგ დავინიშნე, დავინიშნე მისი წყალობით. დიდი დაგვიანებით ვდგავარ აქ, რათა ჩემი ბრალი ვაღიარო მეგობრისა და ყოფილი უფროსის წინაშე, რათა ყველაფერი ვიღონო, – ვიმეორებ, დიდი დაგვიანებით-მეთქი, – შეურაცხმყოფელი და სამარცხვინო უსამართლობის გამოსასწორებლად, რაც ათინა-კოლეჯში მის წინააღმდეგ ჩავიდინე.

როდესაც ქოულმენს ბრალი წაუყენეს, ვუთხარი, მხარს ვერ დაგიჭერთ-მეთქი. ეს სიტყვები გაცნობიერებულად ვთქვი, ვთქვი, ვგონებ, არა ოდენ სიმხდალის გამო ან ოპორტუნისტული და კარიერისტული მიზნებით, რაც ეგრევე მომაწერა ცხონებულმა. მაშინ ვფიქრობდი, ქოულმენს კულისებს მიღმა ჩემი უხმო ქმედებებით უფრო ეფექტურად დავეხმარები, ვიდრე აშკარად თუ შევეკვრები და ყველას ავუმხედრდები-მეთქი; ასეთ შემთხვევაში ხომ, ღრმად მწამდა, უმალ განმაიარაღებდნენ უმეცართა უღალატო იარაღით – «ბიძია თომის» დაძახებით. მინდოდა, გონების ხმა გავმხდარიყავი, რომელიც შიგნით ჟღერს – მათ გულებში, ვისი აღშფოთებაც თითქოს ქოულმენის რასისტული შენიშვნის შემდეგ იქამდე მივიდა, რომ ორი შავკანიანი სტუდენტი გოგონას მთელი წარუმატებლობა ქოულმენის კისერზე დებულ ცოდვად შერაცხეს. იმედი მქონდა ჩემი გამჭრიახობისა და მოთმინებისა, რომელთა მეშვეობითაც განვიზრახე ქოულმენის ხმალამოწვდილი მოწინააღმდეგეების თუ არა, ჩვენი იმ აფროამერიკელი საზოგადოებისა და მასთან სოლიდარული თეთრკანიანთა ნაწილის გადარწმუნება, რომელიც თვალსაჩინო კეთილგონიერებითა და გაწონასწორებულობით გამოირჩევა – მოკლედ, იმათ ვგულისხმობ, ვისი ანტაგონიზმიც დროებითი და ეფემერული გახლდათ – და იმასაც კი მოველოდი, რომ მოკლე ხანში ქოულმენსა და მის ბრალმდებლებს შორის დიალოგის

წამოწყებას მოვახერხებდი, რომლის შედეგადაც ერთგვარი დეკლარაცია შეიქმნებოდა კონფლიქტამდე მისული გაუგებრობის გადასაჭრელად და ამით ეს სევდიანი ინციდენტიც მეტ-ნაკლებად სამართლიანად დასრულდებოდა.

თურმე ვცდებოდი. არ უნდა მეთქვა მეგობრისთვის, მხარს ვერ დაგიჭერთ-მეთქი. ასე ჯობდა თქმა: «შემიძლია თქვენი მხარდაჭერა და დაგიჭერთ კიდეც-მეთქი». სული არ უნდა ამეფორიაქებინა. აშკარად უნდა შევწინააღმდეგებოდი მის არაკეთილმოსურნეებს და მეგობრული მხარდაჭერით მისთვის ძალა შემემატებინა, მიტოვებულად კი არ უნდა მეგრძნობინებინა თავი, რამაც მოუშუშებელი ჭრილობა დაუტოვა, რასაც შედეგად კოლეგებისგან განდგომა, სამსახურის დატოვება, მოგვიანებით კი ის თვითგამანადგურებელი იზოლაცია მოჰყვა, რამაც, პირდაპირ რომ ვთქვა და არავის მოვერიდო, რაოდენ მტკივნეულიც უნდა იყოს ახლა ეს სიტყვები ჩემთვის, ერთმნიშვნელოვნად მიიყვანა ტრაგიკულ, უაზრო და სულელურ სიკვდილამდე. რისი თქმაც ახლა მინდა, მისი ყოფილი კოლეგების თანდასწრებით და რაც უფრო მნიშვნელოვანია, მისი ვაჟების – ჯეფისა და მაიკის წინაშე, – რომლებიც კალიფორნიიდან ჩამოვიდნენ, ასევე ნიუ-იორკიდან ჩამოსული მარკისა და ლიზას გასაგონად, მოგახსენებთ როგორც ათინა-კოლეჯის ერთ-ერთი უხუცესი, თან აფროამერიკული წარმოშობის მასწავლებელი:

ქოულმენ სილქს ათინა-კოლეჯში მუშაობის დროს, ამდენი წლის განმავლობაში, სტუდენტებთან პატიოსანი და სამართლიანი ურთიერთობის პრინციპი არ დაურღვევია. არასდროს და არანაირად.

არამართლზომიერი ქმედება, რომელშიც დასდეს ბრალი, მას არასდროს დაუშვია. არასდროს და არანაირად.

გამოძიება, რომელიც ამ ბრალდების საფუძველზე დაიწყო, ლახავდა და ლახავს ჩვენი კოლეჯის რეპუტაციას, რაც დღეს იმაზე უფრო ნათელია, ვიდრე ოდესმე. აქ, ახალ ინგლისში, რომელიც ისტორიულად ქვეყნის სხვა ნაწილებთან შედარებით ასოცირდება ამერიკული ინდივიდუალიზმის შეურიგებელ ბრძოლასთან შეუგნებელი საზოგადოების წინააღმდეგ – ახლა ისეთი გვარები მახსენდება, როგორიცაა ჰოთორნი, მელვილი, ტორო, – ამერიკელ ინდივიდუალისტს, რომელიც ცხოვრების

მთავარ მიზნად დადგენილი წესების ბრმად მიყოლას არ მიიჩნევს, ამერიკელ ინდივიდუალისტს, რომელმაც თავის დროზე უარი განაცხადა ჩვეული ჭეშმარიტებანი და დადგენილებანი ერწმუნა, ამერიკელ ინდივიდუალისტს, რომლის ცხოვრებაც უმრავლესობის აზრით არ მიედინებოდა აკრძალულისა და ნებადართულის მიღება-არმიღების საკითხში, – მოკლედ, ინდივიდუალისტს par excellence – მორიგ ჯერზე დასწამეს ცილი ახლობლებმა, რომელთა ზნეობრივმა სიბრმავემ მას დამსახურებული მორალური ავტორიტეტი შეულახა და თვითიზოლაციამდე მიიყვანა კაცი, რამაც მის სიკვდილამდე გასტანა. ქოულმენ სილქისთვის სახელის სამარცხვინოდ გატეხით ჩვენ თვითონ დავმცირდით და დახავსებულ საზოგადოებად, ზნეობრივად ბრმა საზოგადოებად გამოვავლინეთ თავი. პირველ ყოვლისა, მე ჩემზე და ჩემს მსგავსებზე მოგახსენებთ – ხალხზე, ვინც პირადი ნაცნობობის წყალობით იცოდა, რამხელა რამეს ნიშნავდა მისთვის «ათინა» და რაოდენ სპეტაკი იყო მისი პედაგოგიური ზრახვები. ყველამ ვიცოდით, მაგრამ მაინც ვუღალატეთ. ვიმეორე: ვუღალატეთ! ქოულმენსაც ვუღალატეთ და აირისსაც.

გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო, რომ იტყვიან, ისე დაემართა მას აირისის გარდაცვალებით...

სმოუქი ჰოლენბექის მეუღლე ცრემლებს ვერ იკავებდა, ისევე როგორც მის ახლომახლო მჯდომი რამდენიმე ქალი. თავად სმოუქი ისე იჯდა, კაცს ეგონებოდა, ლოცულობსო: წინ წახრილიყო, ხელები გადაეჭდო და ლამის შუბლით ეხებოდა თავის თითებს, რომლებიც წინა სკამის საზურგეზე ჩამოედო. ალბათ, ჩემთვის და პრინციპში, დანარჩენებისთვისაც უნდოდა, რომ ქოულმენ სილქის მიმართ გამოვლენილი უსამართლობით ძალიან შეწუხებული გამოჩენილიყო. მაგრამ რაკი ამ სამაგალითო მეოჯახის დიონისოსეული თავგადასავლების შესახებ ვიცოდი დარწმუნებით, ძალიან მიჭირდა მისი სევდა და გულისტკივილი დამეჯერებინა.

თუმცა, სმოუქისა და მის დამოკიდებულებას რომ შევეშვა, ქიბლის სიტყვებზე დანარჩენ დამსწრეთა ამოოხვრითა და სლუკუნით იოლად ვხვდებოდი, რომ მართლაც გული სტკიოდა ბევრს და მართლაც ეცოდებოდა ეს უსამართლოდ დასჯილი ადამიანი. მაგრამ ჩნდებოდა კითხვა: ქიბლის მიერ

ახსნილი მიზეზი, თუ რატომ არ დაუჭირა თავის დროზე სილქს მხარი, გულწრფელად მისეული იყო თუ თავად სილქის ვაჟების მიერ ნაკარნახევი? არადა, შეეძლო, მათი სცენარით ემოქმედა და იმავდროულად, ღირსებაც შეენარჩუნებინა. სულაც არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ეს განმარტება იმ მოტივებსაც ხსნიდა, რომელთა მიზეზითაც უთხრა ქოულმენს მაშინ, მხარს ვერ დაგიჭერო.

რატომ არ მსურდა, მის სიტყვებს ვნდობოდი? იმიტომ, რომ გარკვეულ ასაკში სკეფსისი ისე იწმინდება და მახვილდება, რომ აღარავისი დაჯერება აღარ უნდა კაცს. ორი წლის წინ, როდესაც ქიბლმა პირში წყალი ჩაიგუბა, იმის მაგივრად, რომ დახმარებოდა ალალ-მართალ კაცს, ეს ზუსტად იმავე მიზეზით გააკეთა, რა მიზეზითაც იგუბებენ ხოლმე პირში წყალს, – ეს მის ინტერესებს პასუხობდა. მიზანშეწონილობისთვის მართლა მძიმე საბურველია. ჰერბ ქიბლი კიდევ ერთი ნიმუში გახლდათ იმ ადამიანის, ვინც წინა რიცხვის მიწერით ცდილობს თავის დაძვრენას, თუმცა ამისათვის საკმაოდ მამაცი და საინტერესო ხერხი აქვს შერჩეული: თვითონ იტვირთოს მთელი ბრალეულობა. თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება, თან ჯიუტ ფაქტად – მაშინ არ გაანძრია ხელი, როცა საჭირო იყო. ამიტომაც იყო, რომ ქოულმენის სახელით გულში შევუკურთხე, წადი შენი-მეთქი.

კათედრიდან ჩამოსული ქიბლი მაშინვე არ დამჯდარა, ჯერ ქოულმენის შვილებს ჩამოუარა და სათითაოდ ჩამოართვა ოთხივეს ხელი, ამ უბრალო ჟესტმა კი ყველა ააღელვა იმისდა მიუხედავად, რომ მისმა ნაუბარმა ისედაც საკმაოდ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა იქ შეკრებილებზე. აწი რაღა იქნება? რამდენიმე წამი არც არაფერი მომხდარა. სიჩუმე, კუბო და ხალხი მოჭარბებული ემოციებით. მერე ლიზა წამოდგა და კათედრის კიბეზე ამავალმა განაცხადა: «მალერის მესამე სიმფონია, ბოლო ნაწილი». აი, ასე! მთელი ვაი-ვიში დავივიწყოთ და მალერი შევუბეროთ!

ამ კომპოზიტორს სხვა დროს კაცი ვერ მოუსმენს; ამ ჰანგებს ადამიანის გაშმაგება შეუძლია სიგიჟემდე. ბოლოს უკვე ყველანი ერთიანად დავტიროდით დაღუპულს.

მე რაც შემეხება, არა, მგონია, რამე სხვა მელოდიას აეჩქროლებინა ისე გული, როგორც სიმღერას «ის, ვინც მე მიყვარს» სტინა პალსონის შესრულებით და თან 1948 წელს,

მით უმეტეს, თუ ქოულმენის საწოლთან ეროტიკული ცეკვის თანხლებით იმღერებდა სალივან-სთრითზე.

* * *

სასაფლაომდე სამი უბანი უნდა გაგვევლო და მთელი ეს გზა იმით დამამახსოვრდა, რომ თითქოს არც გაგვივლია. აი, ვსხედვართ და ვერ ვინძრევით – რა ვუყოთ, ასეთია მალერის ადაჯოს სინაზე და უბრალოება, რომელშიც ვერანაირ ქვენა აზრს ვერ ამოიკითხავ. ისე იშლება და იფინება, რომ თითქოს რამე სტრატეგიას კი არა, გულისთქმას მიჰყვება და სიცოცხლეში დაგროვებულ მარაგსა და სიცოცხლის არდასრულების სურვილზეა დამოკიდებული... ადგილიდან ვერ ვიძვრით სულიერებისა და დახვეწილი სიდიადის ერთიანობით, რომელიც ამ ჟღერადი, მშვიდი, სიმების თავდაჭერილ-დაძაბული მელოდიისას ისმის, მერე ძლიერ ტალღებად იქოჩრება და მასობრივი ცრუ ფინალის გავლით ნამდვილი ფინალისკენ მიიწევს – სამარადჟამო და უკიდეგანო დასასრულისკენ... ფეხის მოცვლაც არ ძალგვიძს აბობოქრებული, ამოტყორცნილი, მწვერვალს მიღწეული და ისევ თავქვე დაშვებული ელეგიური ორგიის გამო, რომელიც გრძელდება, გრძელდება და გრძელდება ერთიან, უცვლელ ტემპში, მერე იყუჩებს, ამის შემდეგ კი ისე ბრუნდება, ვითარცა ტკივილი და ძლიერი ჭმუნვა... აგერ ქოულმენთან ერთად ვწევართ კუბოში მალერის ჰანგებზე და უნებლიეთ ვფიქრობთ, თუ როგორი აურიდებელია სიკვდილი და, იმავდროულად, როგორ გვეუფლება მწველი სურვილი, ავირიდოთ როგორმე თავიდან, – და უეცრად, გაურკვეველი მანქანებით, ჩვენგან კარგა სამოცი-სამოცდაათი სასაფლაოზე ისე ამოყოფს თავს, რომ აზრზე ვერ მოდის. აგერ უკვე უცქერის ყველა დაკრძალვას, ამ უბრალო და ურღვევ რიტუალს, რომელსაც ჯანსაღი მიდგომა სჭირდება, მაგრამ მაინც გამოუცნობი რჩება კაცთათვის. ეს რომ ადამიანმა ირწმუნოს, საკუთარი თვალით უნდა იხილოს.

არა მგონია, რომ საყდრიდან ბევრს სურდა სასაფლაოზე წამოსვლა. მაგრამ ქოულმენის შვილებს არა მხოლოდ ამაღლებული გრძნობების გაღვიძება შეეძლოთ ადამიანებში, არამედ უფრო გაღვივებაც. სწორედ ამ მიზეზს მივაწერდი

ქოულმენის სამარესთან ხალხის ამხელა თავყრილობას – სამარესთან, რომელიც ამ სიცოცხლით სავსე კაცისთვის მარადიულ ბინად უნდა ქცეულიყო. ვიდექით მის გარშემო, ზედ სამარის კიდესთან და ერთმანეთს ისე ვეხლებოდით, თითქოს რომელიმე ჩვენგანს საკუთარი თავის შეთავაზება და მის მაგივრად შიგ ჩასვლა უნდოდა როგორც სუროგატს ან სარიტუალო მსხვერპლს, ოღონდ კი ამით როგორმე დავხმარებოდით ამ სამაგალითო კაცის სიცოცხლის განახლებას, რომელიც, ქიბლის სიტყვებს თუ ვენდობით, ჯერ კიდევ ორი წლის წინ მოჰპარეს მის პატრონს.

ქოულმენი აირისის გვერდით დაასაფლავეს. მის საფლავის ქვაზე 1932-1996 ეწერა, ხოლო ქოულმენისაზე 1926-1998 იყო აღნიშნული. რა ალალი ციფრებია და რაოდენ ცოტას აუწყებენ მნახველს.

როდესაც კადიშის[66] ხმები გაისმა, მაშინვე ვერ მივხვდი, რომ მგალობელიც იქვე იდგა. ჯერ ვიფიქრე, ლოცვა სასაფლაოს მეორე მხრიდან მოისმის-მეთქი; მაგრამ ეს მარკ სილქი იყო, ახალგაზრდა და მუდამ უკმაყოფილო ვაჟი ქოულმენისა, რომელიც თავის ტყუპისცალ დასავით უფრო ჰგავდა მამას, ვიდრე მისი უფროსი ძმები. მარკი საფლავის მეორე მხარეს იდგა, ხელში წიგნი ეჭირა, თავზე არახჩინი დაეკოსებინა და ცნობილ ებრაულ ლოცვას ცრემლნარევი ხმით, წამღერებით კითხულობდა.

ისკადალ, ვ’ ისკადაშ...

ამერიკელების უმეტესობა, ჩემი ჩათვლით და, ალბათ, ქოულმენის დანარჩენი შვილების ჩათვლითაც, აზრზე არ იყო, ზუსტად რას ნიშნავდა ეს სიტყვები, მაგრამ მათი წყვდიადისეული მნიშვნელობა მაინც ყველა ჩვენგანისთვის გასაგები იყო: ებრაელი მოკვდა. კიდევ ერთი ებრაელი გაშორდა ამ მზისქვეშეთს. თითქოს სიკვდილი სიცოცხლის შედეგი კი არ იყო, არამედ იმის შედეგი და გაგრძელება, რომ კაცი ებრაელად მოვლენოდა ქვეყანას.

დაასრულა და წიგნიც დახურა მარკმა, ყველანი დაგვამწუხრა და დაგვადუმა, სამაგიეროდ, თვითონ დაემართა ისტერიკა. აი, რით დასრულდა ქოულმენთან დამშვიდობება: ისევ ვერ დავიძარით ადგილიდან მარკის შემხედვარეები, მან კი სულ დაკარგა კონტროლი, ხელები უსასოოდ აღაპყრო და

გულსაკლავად დაიწყო მოთქმა. ეს ველური გოდება, გაცილებით ძველი, ვიდრე მის მიერვე წაკითხული ლოცვა, უფრო და უფრო ხმამაღლა მოისმოდა, სანამ მარკმა მისკენ ხელგაწვდილი ტყუპი და არ დაინახა; დისკენ სახე მიაბრუნა, სილქის დეფორმირებული სახე, და ბავშვივით შესძახა:

– ვეღარასოდეს ვნახავთ!

პირველივე აზრი, რაც თავში მომივიდა, მაინცდამაინც დიდსულოვნებით ვერ დაიკვეხნიდა. დიდსულოვან აზრებთან იმ დღეს ჭაკად ვიყავი. გავიფიქრე, ახლა რომ ტყავიდან ძვრები, სანამ ცოცხალი იყო, მანამ გენახა-მეთქი.

მარკს ეგონა, მამა სულ გვერდით იქნება და იქამდე მეძულება, სანამ არ მომწყინდებაო. მერე კი, როდესაც სიძულვილით, სიძულვილით, სიძულვილით და კიდევ ცხრაგზის სიძულვილით საბოლოოდ მოვტეხ და წელში მოვდრეკ მამაჩემს, აი, მერე კი შეიძლება მის პატიებაზეც ვიფიქროო. ფიქრობდა, სად წამივა ქოულმენი, ამ პიესას მაინც ბოლომდე მივიყვანო, თითქოს ეს ყველაფერი ცხოვრებაში კი არა, ათენის ნეკროპოლის სამხრეთის კალთაზე, დიონისოსადმი მიძღვნილ სპექტაკლზე ხდებოდა, სადაც ათიათასობით მაყურებლის წინ დრამის ყველა წესის დაცვით მიმდინარეობდა წარმოდგენა, სადაც ყოველწლიურად ესხმებოდა ხორცი ტრაგიკულ-განმწმენდ ციკლს. ადამიანური მოთხოვნილება დასაწყისში, შუაგულსა და დასასრულში – დასასრული კი შუაგულისა და დასაწყისის თანაზომიერი გახლდათ, – ისე არსად იყო გამოხატული, როგორც იმ პიესებში, ქოულმენი თავის სტუდენტებთან ერთად რომ არჩევდა ხოლმე ათინა-კოლეჯში. მაგრამ ჩვენს ერამდე შექმნილი კლასიკური ტრაგედიის მიღმა დასრულებულობის მოლოდინი, რომ აღარაფერი ვთქვათ სამართლიან და სრულყოფილ დასასრულზე, ზრდასრული ადამიანისათვის სულელური თავის მოტყუება იქნებოდა.

ხალხი წავიდ-წამოვიდა. დავინახე, ჰოლენბექები როგორ გაუდგნენ საფლავებს შორის გზას უახლოესი ქუჩისკენ – ქმარმა ცოლს მხარზე დაადო ხელი. აგერ, მიჰყავს და თან იცავს მას... ნელსონ ფრაიმუსსაც მოვკარი თვალი, ახალგაზრდა ადვოკატს, რომელიც ქოულმენის ინტერესებს იცავდა «მოჩვენებებთან» დაკავშირებულ საქმეში; მას გვერდით ახალგაზრდა, ატირებული ფეხმძიმე ქალი ახლდა, ალბათ, ცოლი იქნებოდა. მარკიც დავინახე და ლიზაც – და ჯერ კიდევ

აწყნარებდა მას. იქვე იყვნენ ჯეფი და მაიკლი, რომელთაც ასე ყოჩაღად გაართვეს თავი ოპერაციას და ახლა ჰერბ ქიბლს ესაუბრებოდნენ, თან ეს ყველაფერი ჩემგან რამდენიმე ნაბიჯში ხდებოდა. მე თვითონ ლეს ფარლის გამო ვერ მივდიოდი. სადღაც ახლომახლო თავისუფლად დათარეშობდა – არც არაფერში ჰქონდა ბრალდება წაყენებული, – ყველაფერში თავის უხეშ რეალობას ერგებოდა: ადამიანი კი არა, ცხოველი იყო, რომელიც ნებისმიერ შეტაკებაზე დათანხმდებოდა და თან თავის საქციელს შინაგანი მიზეზებით ისე გაამართლებდა, წარბიც არ აუტოკდებოდა.

მე, რასაკვირველია, მესმოდა, რომ არავითარი სამართლიანი და სრულყოფილი დასასრული არ არსებობდა. ამის მიუხედავად, ახალგაჭრილ საფლავთან მდგარი ჯიუტად ვფიქრობდი, ასეთი ფინალი არ კმარა-მეთქი, თუნდაც ეს ფინალი მოვლენად ქცეულიყო, რომელიც ქოულმენს საუკუნოდ დაუბრუნებდა კოლეჯში შეძენილ პატიოსან სახელსა და ავტორიტეტს. და მაინც, ძალიან ბევრი სიმართლე იყო დამალული.

მე მისი დაღუპვის ნამდვილ მიზეზს ვგულისხმობდი. იმ სინამდვილეზე კი, რომელსაც რამდენი წამის წინ მოეფინა სინათლე, წარმოდგენაც არ მქონდა. ყოველთვის არსებობს სინამდვილე და არსებობს უფრო ღრმა სინამდვილე. მართალია, ირგვლივ უამრავი ხალხია, რომელსაც ჰგონია, რომ მოხარშულს გიცნობს ადამიანს, მაგრამ სინამდვილის ბოლომდე ცოდნა მაინც შეუძლებელია. ჩვენ შესახებ სინამდვილე ამოუწურავია. ისევე, როგორ სიცრუე. შუაში გაიჩხირეო, გული მეუბნებოდა. ზნემაღალთა მიერ გასამართლებულს, ალალ-მართლების მიერ შეგინებულსა და კრიმინალურად შეშლილის მიერ მოკლულს. ზნეკეთილთა მიერ მოკვეთილს, ჩვენი დროის მორალის ყველგანმსუფევი, რჩეული ევანგელისტების მიერ განდევნილსა და უწყალო დემონის მიერ მოკვდინებულ ქოულმენს ადამიანის ორივე უკიდურესი მოთხოვნილება დაატყდა თავს, – წმინდაც და უწმინდურიც, თუმცა ორივე მტრის ხატის ძიებით ნაკარნახევი. წუთისოფლის ყბებით დაღეჭილ-დაქუცმაცებულსა და ამავე წუთისოფლის ანტაგონიზმის მიერ მოსპობილს ვერ ასცდა ამქვეყნიური რისხვა.

პირდაფჩენილ სამარესთან, ჩემი არ იყოს, ერთი მარტოხელა ქალი იდგა. დუმდა და არც ცრემლები ემჩნეოდა სახეზე. ისე

ჩანდა, თითქოს მთლად ბოლომდე არ იყო აქ – გონებრივად მაინც – და ვერ აცნობიერებდა დაკრძალვას. კაცი იფიქრებდა, ქუჩის კუთხეში დამდგარა და, ალბათ, ავტობუსს თუ უცდისო. მგზავრია-მეთქი, ეს ფიქრი იმან უფრო გამიძლიერა, რომ ორივე ხელით ჩაბღუჯული ხელჩანთა შევნიშნე. მის ზანგურ წარმოშობას სახის ქვედა ნაწილის წყობა გასცემდა – სქელი ტუჩები, წინ გამოწეული ყბა და უხეში თმოვანი საფარველი. კანის ფერით ბერძენ ან მაროკოელ ქალზე შავგვრემანი არ ეთქმოდა, ამიტომ მხოლოდ ორიოდე ნიშნით ვერ მივაკუთვნებდი შავკანიანთა მოდგმას, რომ არა საფლავთან მცირერიცხოვან შემორჩენილებში მის ახლოს მდგარი ჰერბ ქიბლი. ქალი სამოცდახუთის ან სამოცდაათის იქნებოდა და ასაკიდან გამომდინარე, ქიბლის ცოლად მივიღე. თუ ასე იყო, მაშინ აღარც მისი გაოცებული სახის დანახვა გამიკვირდებოდა. ნეტავ, თუ გაუჭირდა იმის მოსმენა, რომ მისმა ქმარმა – რა მნიშვნელობა აქვს რა მიზეზით – თავი განტევების ვაცად გამოიყვანა? გასაგები იყო, რომ საფიქრალი ბლომად გასჩენოდა და გულს ქოულმენის დაკრძალვის დღეს ვერ მოიოხებდა. გონებრივადაც, ალბათ, რისჰანგერის საყდარში მოსმენილზე იქნებოდა კონცენტრირებული. მისი გამეხებული სახეც ამაზე მეტყველებდა.

მცდარი დასკვნა კი გამომივიდა.

შემთხვევით ერთდროულად დავადექით გზას და ერთმანეთის პირისპირ აღმოვჩნდით, თან სულ ორიოდ ნაბიჯში.

– მე ნათან ცუკერმანი გახლავართ, – წარვუდექი მე, – ქოულმენის მეგობარი ვიყავი მისი სიცოცხლის ბოლო ხანებში.

– მოგესალმებით, – ერთი სიტყვა გამოიმეტა ჩემთვის.

– დღეს თქვენმა მეუღლემ ყველაფერი შეცვალა.

ისე არ შემოუხედავს, რომ ეგრძნობინებინა, შეგეშალაო, თუმცა არც უარმყო, უბრალოდ, გზა განაგრძო. აშკარად გაურკვეველ სიტუაციაში აღმოჩნდა, მაგრამ არ მაგრძნობინა. ქოულმენის მეგობარი მისი სიცოცხლის ბოლო ხანებში? ხომ შეეძლო, ეთქვა, მისის ქიბლი არა ვარო, ზურგი შეექცია და წასულიყო?

მაგრამ არსად წასულა – იდგა ჩემ წინ არაფრისმთქმელი სახით, თუმცა კი მომხდარით შეძრული და ვერაფრით გამეგო, ვინ უნდა ყოფილიყო ქოულმენისა. მსგავსება, რომელიც უფრო და

უფრო იკვეთებოდა, თითქოს ტელესკოპით შორეული ვარსკვლავი საჭირო მანძილზე მოვაახლოეო, ისე იძენდა ნაკვთებს, მაგრამ არა ქოულმენისას. ბოლოს და ბოლოს, საიდუმლოს თითქოს ფარდა აეხადა და მის ნაკვთებში ლიზასთან მსგავსება დავინახე: რომელსაც მამიდის ძმისშვილი უფრო ეთქმოდა, ვიდრე მამიკოს გოგო.

ის ერნესტინი იყო – ქოულმენის დაკრძალვიდან რამდენიმე საათში უკვე ჩემთან სტუმრობდა სახლში, სადაც ცხონებულის ისთ-ორინჯში ცხოვრების შესახებ პრაქტიკულად ყველაფერი მაცნობა, რაც არ ვიცოდი: მაგალითად, დოქტორ ფენსტერმანის თხოვნა, ქოულმენმა გამოცდებზე მოიკოჭლოს და ჩემი ვაჟი გაიყვანოსო ფრიადზე; როგორ შეიძინა მისტერ სილქმა 1925 წელს ისთ-ორინჯში არცთუ დიდი კარკასული სახლი, სადაც ერნესტინი თურმე დღემდე ცხოვრობს და რომელიც მეზობლებთან წაჩხუბებულ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს მიუყიდია სილქებისთვის, რომ შავკანიანებისთვის სახლის მიყიდვით აბეზარი მეზობლებისთვის საბოლოოდ წაეხდინა გუნება. მითხრა, ისე ხშირად ვიყენებ სიტყვებს «შავკანიანსა» და «ზანგს», რომ ეგრევე მიხვდებით, რომელ თაობასაც ვეკუთვნიო. მისგან ისიც გავიგე, რომ დეპრესიის პერიოდში მამამისი ოპტიკის მაღაზიას გამოსთხოვებია, რასაც მისთვის დიდი სულიერი ჭრილობა დაუტოვებია.

– არა მგონია, რომ ოდესმე მოიშუშა ეს ჭრილობა, – მითხრა ერნესტინმა.

ისიც შევიტყვე, რომ უფროსი სილქი სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ვაგონ-რესტორანში მუშაობდა ოფიციანტად. მომიყვა, როგორ უწოდებდა მამამისი ინგლისურ ენას «ჩოსერის, შექსპირისა და დიკენსის ენას» და როგორ აძალებდა ბავშვებს, გამართულად იმეტყველეთ და აზრებიც გამართულად ჩამოაყალიბეთო. ასწავლიდა კლასიფიცირებას, ანალიზს, აღწერასა და ჩამოთვლას; სურდა, რომ ინგლისურის გარდა, ბერძნული და ლათინური ენები ესწავლათ ბავშვებს. გარდა ამისა, დაჰყავდა ნიუ-იორკის მუზეუმებში და ბროდვეის სპექტაკლებზე. ერნესტინმა ისიც მიამბო, მამამისს ქოულმენის ფარული გამოსვლების შესახებ რომ გაუგია ნიუარკის ვაჟთა კლუბში, როგორი ხმით უთქვამს, – არადა, თურმე ხმას არასდროს აუწევდა, – «მე რომ მამაშენი ვიყო, გეტყოდი: მოიგე წუხელ? ყოჩაღ, შეგიძლია დაუმარცხებელმა დატოვო რინგიო».

ისიც გავიგე, რომ დოქ ჩიზნერი თურმე, რომელთანაც მეც ვსწავლობდი კრივის ხელოვნებას, – ჩემამდე რამდენიმე წლით ადრე, ცხადია, – როგორ უფასებდა ქოულმენს ბრძოლის ნიჭს, როგორ უნდოდა, რომ მას პიტსბურგის უნივერსიტეტის სახელით გაეგრძელებინა რინგზე გამოსვლა, თან ჰპირდებოდა, სტიპენდიასაც დავანიშვნინებ შენთვის და თეთრკანიან სტუდენტადაც გაგასაღებო, მაგრამ ქოულმენმა მაინც ჰაუარდში ჩააბარა, რადგან მამას უნდოდა ასე. მერე კი მამამისი ვაგონ-რესტორანში უეცრად გარდაცვლილიყო სადილის ჩამორიგებისას და ქოულმენსაც მიეტოვებინა ჰაუარდი, სამაგიეროდ თეთრკანიანად თვითონ გაესაღებინა თავი და ფლოტში ჩაწერილიყო. საზღვაო ძალებში ვალდებულების მოხდის შემდეგ გრინვიჩ-ვილიჯში დასახლებულიყო და ნიუ-იორკის უნივერსიტეტში ჩაებარებინა. ერთ კვირა დღეს კი თურმე სახლში ჩავიდა მინესოტელი ლამაზი თეთრკანიანი გოგონას თანხლებით. იმ საღამოს ისე დაზაფრულა ყველა, რამე ზედმეტი არ წამოგვცდესო, რომ სამზარეულოში ორცხობილაც კი დასწვიათ. და რაკი იმ დროისათვის უოლთი უკვე ასწავლიდა ასბერი-კოლეჯში და ყველასთვის საბედნიეროდ ჩამოსვლა ვერ მოახერხა, ყველაფერს კარგად ჩაუვლია. ერნესტინმა ისიც კი მიამბო, როგორ თავაზიანად მოჰქცევია დედამისი იმ ვიღაც სტინას. როგორ ცდილობდნენ, რომ ყურადღება გამოეჩინათ უცხო გოგონასადმი, თუმცა, არც მას დაუკლია მასპინძლებისთვის ყურადღება და თავაზი. მომიყვა, როგორი შრომისმოყვარე დედა ჰყოლიათ და ქმრის გარდაცვალების შემდეგ კი როგორ გამხდარა ნიუარკის საავადმყოფოს მთავარი შავკანიანი ექთანი ყოველგვარი პროტექციის გარეშე. არც ის დაუმალავს, როგორ უყვარდა თურმე ქალბატონ სილქს თავისი ვაჟი ქოულმენი, როგორ განსაკუთრებულად უყვარდა, და რომ ვერავითარი საქციელით მის რჩეულ ბიჭუნას ვერ შეეძლო დედობრივი სიყვარულის მოსპობა. თურმე მას მერეც კი, როდესაც ქოულმენმა თავი სხვა ადამიანად გაასაღა და ოჯახს მოსწყდა, დედამისის გულში შეცთომილი შვილის მიმართ არაფერი შეცვლილა. მერე კი უოლთს დედისგან გაუგია, რომ მისი ძმა აირის გიტელმანზე აპირებდა დაქორწინებას, ისიც შეუტყვია, რომ დედამისი ვერასოდეს გახდებოდა აირისის დედამთილი, ვერც მათი შვილების ბებია და ვერც თვითონ გახდებოდა თავისი ძმის ცოლის მაზლი, დედისთვის მამისეული ფოლადისებური ავტორიტეტულობით

აუკრძალავს ქოულმენთან ყოველგვარი ურთიერთობა.

– ეჭვიც არ შემპარვია, რომ უოლთმა ეს დედის სიყვარულით გააკეთა, – მითხრა ერნესტინმა, – მისი აზრით, მხოლოდ ამ საშუალებით აარიდებდა დედას გაუსაძლის ტკივილს. ტკივილს, რომელთაც ქოულმენი ნებსით თუ უნებლიეთ მიაყენებდა ყოველ შობაზე, ყოველ ახალ წელს, ყოველ დღეობაზე. უოლთმა იფიქრა, ეს კავშირი რომ ძირფესვიანად არ ამოვძირკვო, ქოულმენი დედას ოჯახიდან გადახვეწის გამოცხადების დღეს არ აკმარებს და კიდევ ათასჯერ გაუტეხს გულსო. უოლთს გაცოფებას აღარაფერი უკლდა, როდესაც შეიტყო, რომ ქოულმენი ამისთანა სიახლით გვეწვია სახლში და ისე, რომ არავინ გაგვაფრთხილა, – იქნებ შევმზადებულიყავით მაინც როგორმე – თავისი გადაწყვეტილება პირში მიახალა ქვრივ დედას და ამით ფაქტის წინაშე დააყენა. მოგვიანებით ფლეთჩერმა, ჩემმა მეუღლემ, უოლთის ამ საქციელის ფსიქოლოგიური მოტივები ამიხსნა. მაგრამ მაინც ვერაფრით დავეთანხმე მას. დღემდე ვერ დამიჯერებია, რომ უოლთს ქოულმენისა შურდა იმ ადგილის გამო, რომელსაც ქოული დედის გულში იკავებდა. ვერ მივიღებ ასეთ ახსნას და რა ვქნა?! მე ვფიქრობ, რომ დედისა და მთელი ჩვენი ოჯახის გამო თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, გალანძღულად და შეურაცხყოფილად. უოლთი ოჯახში ყველაზე აზრიანი გვყავდა და როგორ არ ეწყინებოდა ძმის ამგვარი საქციელი? მე რაც შემეხება, მაშინაც და მერეც ბევრად მშვიდად მივუდექი ამ საკითხს, მაგრამ უოლთერისა მაინც მესმის. ყოველ დაბადების დღეზე ქოულმენს ათინა-კოლეჯში ვურეკავდი, უკანასკნელად სამი დღის წინ დავურეკე. სამი დღის წინ დღეობა ჰქონდა. სამოცდათორმეტი წელი უსრულდებოდა. ვფიქრობ, ალბათ, იმ დროს დაიღუპა, როდესაც საზეიმო ვახშმიდან ბრუნდებოდა შინ. ვრეკე, ვრეკე და რომ არავინ მიპასუხა, მერე მეორე დღესაც ვცადე ბედი. სამწუხაროდ, მისი დაღუპვის ამბავი შევიტყვე. არ ვიცი, ვიღაცამ აიღო ყურმილი და შემატყობინა. მერეღა მივხვდი, რომ ეს ერთ-ერთი ჩემი ძმისწული იქნებოდა. ქოულმენთან სახლში მხოლოდ მას მერე დავიწყე რეკვა, რაც ცოლი გარდაეცვალა და თვითონაც კოლეჯიდან წამოვიდა. მანამდე მხოლოდ სამსახურში ვურეკავდი. არასდროს ამის შესახებ არავისთან სიტყვაც არ დამცდენია. ან რა საჭირო იყო. უბრალოდ, დაბადების დღეებს ვულოცავდი ხოლმე. ჰო, კიდევ მაშინ დავურეკე, დედა რომ გარდაგვეცვალა. მახსოვს, ისიც

შევატყობინე, რომ გავთხოვდი. ვაჟი რომ შემეძინა, მაშინაც დავურეკე. მერე ჩემი ქმრის გარდაცვალებაც ვაცნობე. ყოველთვის კარგად მესაუბრებოდა ხოლმე. მუდამ ინტერესდებოდა ჩვენი ამბებით, უოლთერის წარმატებების შესახებაც სულ მეკითხებოდა. თვითონ კი თითოეული ბავშვის დაბადებას მატყობინებდა: ჯეფისაც, მაიკლისაც, ტყუპისაც მაცნობა. სკოლაში მირეკავდა ხოლმე. აირისის მშობიარობა მისთვის მუდამ უდიდეს გამოცდას უდრიდა. თითქოს ბედს ცდიდა. შვილები ხომ წარსულთან პირდაპირ არიან დაკავშირებულნი და ნებისმიერ დროს შეიძლებოდა, წინაპრების ნაკვთები გამოჰყოლოდათ. ეს კი ძალიან აღელვებდა. ხანდახან ასეც ხდება ხოლმე. მაგრამ შვილები ძალიან უნდოდა. ეს მის გეგმაში შედიოდა – სრულფასოვანი, ნაყოფიერი ცხოვრების გეგმაში. მაგრამ თავისი გადაწყვეტილება ზუსტად ვიცი, რომ ტანჯავდა, განსაკუთრებით კი ქორწინების პირველ წლებში, როდესაც შვილების გაჩენას სულმოუთქმელად და იმავდროულად, გულისფანცქალით ელოდა. ქოულმენს საკუთარ გრძნობებზე ხელი არასდროს აუღია. ჩვენგან თავის მოწყვეტა კი მოახერხა, მაგრამ თავისი გრძნობებისგან გათავისუფლება ვერასდროს. განსაკუთრებით შვილების მიმართ. მგონი, თვითონაც მიხვდა, რომ საშინელებაა, როცა ადამიანს მისი ვინაობის შესახებ სიმართლეს უმალავ. ყოველ ახალშობილს აქვს უფლება, საკუთარი გენეალოგიის შესახებ ჰქონდეს ინფორმაცია, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ საშიშროებაზე, რაც მის თავს ხდებოდა. აბა, წარმოიდგინეთ, მის რომელიმე შვილს რომ ბავშვი შეეძინოს და ზანგური ნიშნები გამოჰყვეს. მერე რა მოხდება? ჯერჯერობით, ღმერთმა დაგვიფარა – კალიფორნიაში მცხოვრებ მის ორ შვილიშვილს ვგულისხმობ. მაგრამ ლიზა ხომ ჯერ არ გათხოვილა... თეთრკანიანს რომ წაჰყვეს, რისი დიდი ალბათობაც არის და, ბუნებრივია, დაფეხმძიმდეს, ვაი და, ზანგი გაუჩნდეს? ამას როგორ აუხსნის ქმარს? ან ქმარი რას იფიქრებს? ეგონება, მე კი არა, ვიღაც შავკანიანია ბავშვის მამაო. არა, ბატონო ცუკერმან, ბავშვებისთვის სიმართლის დამალვა ცოდვა იყო ქოულმენის მხრიდან. ეს მხოლოდ უოლთერის აზრი არ გეგონოთ, მეც ასევე ვფიქრობ. თუკი ქოულმენს თავისი წარმომავლობის დამალვა სურდა, მაშინ სულ არ უნდა გაეჩინა შვილები. ეს თავადაც მშვენივრად იცოდა. უნდა სცოდნოდა კიდეც. მაგრამ ეს ნაღმი მაინც ჩადო, რომელიც ყოველთვის უკანა პლანზე იგრძნობოდა, როცა კი შვილებზე

იწყებდა ლაპარაკს. განსაკუთრებით კი, როცა უმცროს ვაჟზე, მარკზე, საუბრობდა, რომელთანაც სულ ცუდი ურთიერთობა ჰქონდა. ერთხელ მითხრა, რასაც უნდა მსაყვედურობდეს მარკი, მგონი, სიმართლე ის არის, რომ ჩემი წარსულიდან რაღაც იყნოსაო. მერე თვითონვე აღიარა, რაც დავთესე, იმას ვიმკი, ოღონდ გაუკუღმართებული სახითო. მარკს აწმყოს გამო კი არა, მგონი, წარსულის გამო უფრო ვძულვარ, რისი უფლებაც მე უკითხავად ჩამოვართვიო. მერე მე ვუთხარი, იქნებ სულაც არ შესძულებოდი-მეთქი ამის გამო. მან კი მიპასუხა, ვერ გამიგე, საქმე ის კი არ არის, რომ ზანგური წარსულის გამოისობით შემიძულებდა, არამედ სულ სხვა მიზეზით – იმით, რომ ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტი დავუმალე, რაც უნდა სცოდნოდაო. ეს საჩოთირო თემა აღარ განგვივრცია. მაგრამ ისედაც გასაგებია, რომ მუდამ ახსოვდა, რამხელა სიცრუე იყო მისი და მისი შვილების ურთიერთობის საფუძვლად დადებული, თან ხვდებოდა, რომ მარკმა რაღაც შეიტყო და გულს ესეც უმძიმებდა. მარკს ინტუიციამ უკარნახა, რომ მათში ჩადებულ მამის გენებს შთამომავლობას თვითონაც გადასცემდნენ და თან არა მხოლოდ გენეტიკურად, არამედ გარეგნული ნიშან-თვისებებითაც – გენებს, რომელთა წარმოშობაც დაზუსტებით არ იცოდნენ. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ, მგონი, ქოულმენი მარკს დედის წინაშე ჩადენილი ცოდვისათვის მოვლენილ სასჯელად მიიჩნევდა. თუმცა თავად მისგან, – დასძინა ერნესტინმა, – მსგავსი რამ არასდროს მომისმენია. რაც შეეხება უოლთერს, ვფიქრობ, მამის ადგილის დაკავება სურდა ოჯახში და ქოულმენს ჩამოსვლა იმიტომ აუკრძალა, რომ მშობელი დედისთვის ყოველ ჩამოსვლაზე ახალ-ახალი ტკივილი არ მიეყენებინა.

– და როგორ გადაიტანა დედათქვენმა ეს ყველაფერი? – ვკითხე მე.

– აქ, მისტერ ცუკერმან, საშველი არსაიდან ჩანდა. შეიძლება ითქვას, ვერც გადაიტანა ბოლომდე, ჭრილობა ვერ მოიშუშა. იცით, რას აბოდებდა საავადმყოფოში სიკვდილის პირას მყოფი? ექთანს მოუხმობდა – ალბათ, როგორც მას მოუხმობდნენ ხოლმე – და სთხოვდა, მატარებელში ჩამსვით, შინ ავადმყოფი შვილი მელოდებაო. სულ ეს ეკერა პირზე, შინ შვილი მიწევსო. მე კი გვერდით ვეჯექი, მისი ხელი მეჭირა და მშვენივრად ვხვდებოდი, ვინც იყო ის სახლში დატოვებული შვილი. უოლთერმაც იცოდა, რომ დედა ქოულმენის ნახვას

ნატრობდა. არ ვიცი, უკეთესი იქნებოდა დედასთვის თუ უარესი, უოლთს რომ მაშინ არ აეკრძალა ქოულმენისთვის გამოჩენა, არ ვიცი... უოლთი მტკიცე ხასიათის კაცია, ასეთი ბუნება აქვს. ქოულმენიც ასეთი იყო. საერთოდ, ოჯახში ყველა მამაკაცს ასეთი ხასიათი აღმოაჩნდა. მამაც ასეთი გვყავდა და პაპაც, თან ის მეთოდისტური ეკლესიის მღვდელი გახლდათ ჯორჯიაში. თუ რამეს გადაწყვეტდნენ, განხილვას აღარ ექვემდებარებოდა. ასეთ სიმტკიცეს კი საკუთარი ფასი აქვს, მოგეხსენებათ. იცით, კიდევ ერთი რამეც გავიგე; დღეს გავიგე. ამის გაგება მშობლებსაც გაუხარდებოდათ. ჩვენ პედაგოგების ოჯახი ვართ. ყველაფერი კი მამის მხრიდან ბებიისგან დაიწყო. ბატონყმობის დროს მისთვის სახლის პატრონის ცოლს ესწავლებინა კითხვა, ბავშვსაც იოლად აუთვისებია ანბანი. შემდეგ კი, გათავისუფლების მერე, ჯორჯიის შავკანიანთა ე. წ. პედაგოგიურ და სამრეწველო სასწავლებელში ჩაუბარებია და ფრიადზე დაუსრულებია კიდეც. აი, აქედან იღებს ის ყველაფერი სათავეს, რაც გაგვაჩნია. ამას მაშინვე მივხვდი, როგორც კი ქოულმენის შვილები დავინახე. ყველანი, ერთის გარდა, პედაგოგები არიან. ჩვენი თაობაც, მეც და ჩემი ორივე ძმაც პედაგოგები ვართ. ჩემი ვაჟი კი საერთოდ სხვა ისტორიაა, კოლეჯიც კი არ დაუმთავრებია. თავიდან ყველაფერი მშვენივრად გვქონდა, მაგრამ ახლა, როგორც იტყვიან, შემცილებელი გამომიჩნდა, გულის სწორი იპოვა, ჰოდა, უთანხმოებაც დაგვეწყო. იცით, უნდა მოგახსენოთ, რომ სანამ უოლთერი 1947 წელს პედაგოგად დაიწყებდა აისბერი-ფარქის სკოლაში მუშაობას, მის მისვლამდე არც ერთი შავკანიანი პედაგოგი იქ არ ყოფილა. ის იყო პირველი, მერე კი პირველი არათეთრკანიანი დირექტორიც გახდა. ამის შემდეგ კი პირველი შავკანიანი ინსპექტორი გახდა სკოლებისა. ამ ინფორმაციამ იქნებ უფრო სრული წარმოდგენა შეგიქმნათ უოლთზე. იმ ადგილას შავკანიანი მოსახლეობა საკმაოდ დიდი ხნის წინ იყო დამკვიდრებული, მაგრამ ცვლილებები ორმოცდაშვიდი წლის შემდეგ, ანუ უოლთერის მისვლით დაიწყო, რაშიც სწორედ მისმა სიმტკიცემ ითამაშა გადამწყვეტი როლი. ნიუარკში კი ყოფილხართ გაზრდილი, მაგრამ იქნებ არც იცოდეთ, რომ 1947 წლამდე ნიუ-ჯერსის სასწავლო დაწესებულებებში სეგრეგაცია შტატის კონსტიტუციით იყო ნებადართული. უბნების უმეტეს ნაწილში ცალ-ცალკე იყო თეთრკანიანთა და შავკანიანთა სკოლები. შტატის სამხრეთში კი პირველდაწყებითი განათლება მკაცრად იყო რასობრივი ნიშნით გამიჯნული.

ტრენთონისა და ნიუ-ბრაუნზუიქის სამხრეთით – სულ მთლად განცალკევებულად მიმდინარეობდა მეცადინეობები. პრინსტონშიც ასე იყო და აისბერი-ფარქშიც. როდესაც ხსენებულ აისბერი-ფარქში უოლთერმა დაიწყო მუშაობა, ერთი სკოლა იყო, სახელად «ბენგზ-ავენიუ», რომელიც ორი ნაწილისგან შედგებოდა – «დასავლეთი» და «აღმოსავლეთი» ნაწილებისგან. ერთი ნაწილი თეთრკანიანებს ემსახურებოდა, მეორე – ფერადებს. შენობა ერთი იდგა, მაგრამ შუაზე იყო გაყოფილი. ეზოც კი ღობით გაეტიხრათ – ერთ მხარეს თეთრკანიანი ბავშვები თამაშობდნენ, მეორე მხარეს – ფერადკანიანთა შვილები. თეთრკანიან ბავშვებს თეთრკანიანი პედაგოგები უტარებდნენ გაკვეთილებს, შავკანიანებს – შავკანიანი პედაგოგები. დირექტორი თეთრი იყო. ტრენთონსა და პრინსტონში – და მოგეხსენებათ, პრინსტონი შტატის სამხრეთითაა, – 1948 წლამდე გაყოფილი იყო სკოლები. ისტ-ორინჯსა და ნიუარკში მსგავსი რამ არ ყოფილა, თუმცა ერთხანს ნიუარკშიც კი მუშაობდა შავკანიანთა დაწყებითი სკოლა. საუკუნის დასაწყისში. მაგრამ, მოდი, ისევ 1947 წელს დავუბრუნდეთ, – უბრალოდ, მინდა იცოდეთ, რა როლი შეასრულა უოლთერმა ამ ყველაფერში. ასე უფრო იოლად მიხვდებით მის ადამიანობასაც და ქოულმენისადმი დამოკიდებულებასაც. მინდა, უფრო ვრცლად და ნათლად დაგანახვოთ მთელი ეს სურათი. ომის შემდგომი წლები ხომ თანასწორუფლებიანობის მოთხოვნის დაწყებამდე ბევრად ადრე იყო. რაც მაშინ ქოულმენმა გააკეთა – ზანგური წარმომავლობა დამალა და თეთრკანიანთა საზოგადოებაში ჩაეწერა, – არცთუ უჩვეულო რამ იყო იმხანად. ამაზე ფილმებსაც კი იღებდნენ. არ გახსოვთ, ერთ-ერთს «ფინქი» ერქვა, მეორეში კი მელ ფერერი თამაშობდა.... დამავიწყდა ფილმის სახელი, მაგრამ საკმაოდ პოპულარული იყო თავის დროზე. ერთი რასობრივი ჯგუფიდან მეორეში გადასვლა ბევრისათვის იყო საფიქრალი, რაზეც არა მხოლოდ შავკანიანები, არამედ თეთრკანიანებიც ფიქრობდნენ, რადგანაც მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა ნამდვილი სამოქალაქო უფლებები და ჭეშმარიტი თანასწორობა. ცხადია, ხალხის უმეტესობა ასე გააზრებულად იქცეოდა, მაგრამ ერთგვარად თავად შესაძლებლობაც იზიდავდა მათ, წარმოსახვას უღელვებდა ზღაპარივით. ორმოცდაშვიდში ნიუ-ჯერსის გუბერნატორმა საკონსტიტუციო კრება მოიწვია, რათა შტატის კონსტიტუციაში ცვლილებები შეეტანა. სწორედ ეს

მოვლენა იქცა ცვლილებათა დასაწყისად. ერთ-ერთი ცვლილება იმაში მდგომარეობდა, რომ ნიუ-ჯერსის ეროვნულ გვარდიაში სეგრეგაციას ადგილი აღარ უნდა ჰქონოდა. მეორე სწორება კი გვეუბნებოდა, რომ არ შეიძლება ბავშვის იძულება, ერთ სკოლას ჩაუაროს და სხვაგან წავიდეს გაკვეთილებზე დასასწრებად. ციტირებას შეიძლება ვერ ვახდენ, მაგრამ დაახლოებით ასეთი ფორმულირება კი იყო. უოლთი რომ იყოს ჩემს ადგილას, სიტყვასიტყვით მოგახსენებდათ. ამ ცვლილება-სწორებებით სახელმწიფო სკოლებსა და ეროვნული გვარდიის ნაწილებში სეგრეგაციას ბოლო მოეღო. ახალი კანონების გატარება გუბერნატორსა და განათლების საბჭოს დაევალა. შტატის საბჭომ ადგილობრივი განათლების საბჭოებს დაავალა სკოლების ინტეგრაციისათვის შეემუშავებინა და აემოქმედებინა ყველა აუცილებელი გეგმა. ჯერ პედკოლექტივით დაიწყეს ცვლილებები, მერე თანდათანობით მოსწავლეთა გაერთიანებაზე გადავიდნენ. სანამ უოლთი აისბერი-ფარქში დაიწყებდა მუშაობას, ომიდან ახალი დაბრუნებული იყო და მონთქლერში კოლეჯს ამთავრებდა, საკმაოდ პოლიტაქტიურ ზანგ სტუდენტად მიიჩნეოდა, – თან ყოფილი ჯარისკაცი იყო, – რომელსაც ჩვენს შტატში სკოლების ინტეგრაციისათვის ჰქონდა ბრძოლა წამოწყებული. კონსტიტუციის შეცვლამდე და შეცვლის მერე ხომ მთლად საკმაოდ გულმხურვალე აქტივისტი გახლდათ სეგრეგაციის აკრძალვისა.

ერნესტინს ეეჭვებოდა, რომ ქოულმენი იმ ყოფილ ჯარისკაცთა რიგში არ შედიოდა, რომლებიც ინტეგრაციისთვის, ერთიანობისა და სამოქალაქო უფლებებისთვის იბრძოდნენ; უოლთის აზრით კი, ქოულმენი თუ ოდესმე იბრძოდა, მხოლოდ საკუთარი მიზნებისა და მისწრაფებებისათვის. «სილქი სილქი». აბრეშუმის სილქი. აი, რა სახელით იბრძოდა, აი, ვისთვის, აი, რატომ ვერ იტანდა უოლთი ძმას, ბავშვობაშიც კი. თავისი თავის იქით არაფერი აინტერესებდაო, სულ ამბობდა ხოლმე უოლთი. მუდამ ერთადერთი და განუმეორებელი ქოულმენისათვის ზრუნავდა (ანუ საკუთარი თავისთვის), რომელსაც მხოლოდ ერთი რამ – განცალკევება უნდოდა.

მე და ერნესტინი ჩემს სახლში ვისხედით, ლანჩი უკვე კარგა ხნის დასრულებული გვქონდა, მაგრამ ჩემი სტუმრის ენერგიას გამოლევა არ ემჩნეოდა. თუმცა თავში ყველაფერი ერთგვარად

წაღმა-უკუღმა უტრიალებდა, არა მხოლოდ ქოულმენის სიკვდილის გამო, არამედ იმის გამოც, რომ მთელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში ცდილობდა ჩასწვდომოდა ძმასთან დაკავშირებული იდუმალების აზრს, – მე კი ვაყოლებდი და ვაყოლებდი, რაც ალბათ ამ სერიოზული ქალისთვის, რომელმაც მთელი ცხოვრება დაბის სკოლაში გაატარა მასწავლებლად, უცნაურიც კი იყო. ნებისმიერ საკითხში ზომიერებას იცავდა, მართალია, გამომეტყველება ოდნავ დაქანცული ჰქონდა, მაგრამ ერთიანობაში ჯანსაღად გამოიყურებოდა; ემჩნეოდა, რომ ზედმეტი არაფერში სჩვეოდა – თავის დაჭერით, ჭამის მანერით, სკამზე ჯდომითაც კი მიხვდებოდით, რომ საზოგადოდ მიღებულ ნორმებს არ სცილდებოდა. ამერიკაში მისთანაზე იტყვიან, რაც უნდა ჩხუბს შეესწროს, ყველგან გამშველებლის როლს იკისრებსო. აშკარად საღი აზროვნების პატრონი ჩანდა, თუმცა იმათ რიგებს უფრო ეკუთვნოდა, ვინც საუბრით არ მოგაწყენს თავს და კარგი მსმენელის როლით შემოიფარგლება; თუმცა ახლა შედარებით ემოციური და მოუბარი ჩანდა, რაც იმით აიხსნება, რომ მისმა თვითგამოცხადებულმა «თეთრკანიანმა ძმამ» ჯერ ისე ატკინა ოჯახს გული თავისი განდგომით და ბოლოს ასე ტრაგიკულად დაიღუპა.

– დედა ისე ჩავიდა სამარეში, მაინც ვერ გაიგო ქოულმენის ამ ქმედების აზრი. «თავის ხალხს დაეკარგა», – ამბობდა ხოლმე ცხონებული. უნდა ვაღიარო, დედაჩემის ოჯახში ეს პირველი შემთხვევა არ იყო. სხვების გახსენებაც შეიძლება, მაგრამ ის სხვები ქოულმენს ხომ არ შეეხებოდა. ჩემი ძმა მე გახელებული არ მახსოვს იმის გამო, რომ ზანგად დაიბადა. მსგავსიც არაფერი უთქვამს ჩვენთვის. ზანგობა იოტისოდენადაც არ აწუხებდა. უნდა გენახათ, როგორ უძრავად იჯდა ხოლმე დედაჩემი საღამოობით სავარძელში და ფიქრობდა, ნეტავ გამაგებინა, რა გახდა მისი წასვლის მიზეზიო. რომ გვეფიქრა, მამას გაექცაო, არ იქნებოდა სწორი, მამა იმ დროს უკვე გარდაცვლილი იყო. დედას ხან ერთი ვარაუდი ტანჯავდა, ხან მეორე, მაგრამ ყველაფერი ამაოდ. იქნებ იმასაც ფიქრობდა, თეთრკანიანები შავკანიანებს სჯობიანო? მესმის, რომ ფული ჰქონდათ ჩვენზე მეტი, მაგრამ განა ამით უკეთესებიც იყვნენ? ასე როგორ უნდა ეფიქრა? მანამდე ხომ მსგავსი აზრები მისთვის არ შეგვინიშნავს. გასაგებია, რომ ზოგჯერ ისეც ხდება, ბავშვი გაიზრდება, ფეხზე დადგება და ოჯახიდან მიდის, ზოგს არც კი

ახსენდება თავისიანები, მაგრამ ასე მაინცდამაინც შავკანიანები ხომ არ იქცევიან?! ასეთი რამ ლამის ყოველდღე ხდება ქვეყანაზე. ზოგს ისე შესჯავრდება ხოლმე ყველაფერი ოჯახური, რომ მზადაა, სადმე შორს წავიდეს და გადაიკარგოს. მაგრამ ქოულმენი ხომ ბავშვობაში სულ სხვა იყო! მისნაირი ცოცხალი და მხიარული ბიჭი მეორე არ დადიოდა ჩვენთან. მე და უოლთი უფრო საწყლები ვიყავით, ვიდრე ქოულმენი. მას ყველაფერი იოლად გამოსდიოდა, ყველაფერს იოლად აღწევდა, თან ყველა მას აქებდა... არა, დედა ვერაფრით ხვდებოდა მისი წასვლის მიზეზს. უსაზღვრო სევდამ მოიცვა საბრალო ქალი. მის ფოტოებს, მის სასკოლო მედალს, მის ტაბელებს, მის წელიწდეულს, წარჩინების სიგელს, მის სათამაშოებსაც კი ინახავდა. ამოიღებდა ხოლმე უჯრიდან და ისე უყურებდა, როგორც ნათელმხილველი უყურებს ბროლის ბურთს, თითქოს იმის იმედი ჰქონდა, რომ ასე რამეს მაინც მიხვდებოდა. საინტერესოა, გამოუტყდა კი ოდესმე ვინმეს ქოულმენი? ხომ არ იცით რამე, მისტერ ცუკერმან, ან იქნებ ცოლს გაენდო, ან შვილებს?

– არა მგონია, – ვუპასუხე მე, – დარწმუნებულიც კი ვარ, არავისთან არაფერი დასცდებოდა.

– ესეც თქვენი ქოულმენი, – გადაწყვიტა და წერტილიც დაუსვა. ბავშვობიდან ასე იყო, თუ რამეს დაისახავდა მიზნად, არაფრისდიდებით არ შეცვლიდა. საოცრად ჯიუტი იყო საქმეში. ერთი პატარა სიცრუე და ამდენი მოტყუებული ადამიანი – ოჯახი, თანამშრომლები... თან ბოლომდე რომ არავის გაენდო. თან ებრაელივით დაკრძალეს. აჰ, ქოულმენ, – სინანულით თქვა ერნესტინმა ეს სიტყვები, – ჩვენო მოუდრეკელო ადამიანო. თვით მოუდრეკლობავ!

ამწამს სიცილი უფრო წასკდებოდა, ვიდრე ცრემლები.

– ებრაელივით დაკრძალეს, და თუ ჩემი ვარაუდი მართალია – ებრაელივით მოუღეს ბოლოც. თუმცა სხვა საკითხია, რად მოჰქონდა თავი.

– თუ ვინმეს გამოუტყდებოდა, ალბათ, უფრო იმ ქალს, ვინც მასთან ერთად დაიღუპა, – ფაუნია ფარლის.

აშკარა იყო, ერნესტინი მასზე საუბარს თავს არიდებდა. თუმცა თავაზიანობის გამო მკითხა:

– ასე რატომ გგონიათ?

– დაზუსტებით ვერ მოგახსენებთ. უბრალოდ ასეთმა აზრმა გამიელვა თავში. თუმცა ეს სავსებით ჯდება იმ შეთანხმების ფარგლებში, რომელიც, როგორც მე ვგრძნობდი მათი შემხედვარე, ურთიერთშორის ჰქონდათ დადებული.

შეთანხმებაში მე ორმხრივი გაგება ვიგულისხმე, რომ წყლიდან მშრალი ვერც ერთი მათგანი ვერ ამოვიდოდა, თუმცა ამ სიტუაციას დეტალურად ჩემს თავს ვერ დავუსურათხატებდი, არამცთუ ერნესტინს.

– იცით, – ვუთხარი მე, – დღეს იმდენი და იმისთანა რამე მოვისმინე თქვენგან, რომ ქოულმენის მიმართ ჩემი დამოკიდებულება უნდა გადავიაზრო. ახლა ისე მაქვს თავგზა აბნეული, რომ რა ვიფიქრო, ისიც კი აღარ ვიცი.

– გამოდის, თქვენ სილქების ოჯახის საპატიო წევრი გამხდარხართ, რადგან უოლთის გარდა არც ერთმა ჩვენგანმა არ იცოდა, ქოულმენზე რა ეფიქრა. ასე რატომ მოიქცა? ასე რამ გააჯიუტა? ან დედას რატომ უნდა ხვდომოდა ასეთი დასასრული? უოლთერი რომ ნაკლებკატეგორიული ყოფილიყო, იქნებ ყველაფერი სხვაგვარადაც წასულიყო, მაგრამ... შეიძლება, ქოულმენს წლებთან ერთად გადაწყვეტილებისთვისაც გადაეხედა და ცოლისთვის ეამბა. ან რომელიმე ნაცნობისთვის მაინც. მაგრამ უოლთმა დრო გააჩერა, ამან კი, კარგი არაფერი მოგვიტანა. ქოულმენმა რაც ჩაიდინა, ჩაიდინა, მაშინ ხომ ოცდაათისაც არ იყო. ოცდაშვიდწლიანი ბომბი. მაგრამ ადამიანი სულ ოცდაშვიდისა ხომ არ არის? ან სულ ორმოცდაცამეტი წელი ხომ არ დგას? ხალხი ბერდება. ერები ბერდებიან. პრობლემებიც ბერდება. ზოგჯერ კი ისე ბერდებიან, რომ მოიხედავ და სულ გამქრალან. მაგრამ უოლთმა ყველაფერი გაყინა. თუკი ამას ვიწრო ჭრილში განვიხილავთ, არც გასაკვირად მოგვეჩვენება, რადგან იმხანად საშუალო სოციალური ფენიდან გამოსულ ზანგს საზოგადოებრივი გამორჩენის მიზნით არც კი გაემტყუნება ეს ნაბიჯი, ახლა კი ამის გაკეთება ვიღას რად უნდა. დღეს არც ერთ განათლებულ ზანგს, ვისაც შვილების საუკეთესო უნივერსიტეტში სურს გაგზავნა, თუნდაც სრული სტიპენდიით, აზრადაც არ მოუვა თავისი წარმოშობის დამალვა. გინდ თოვლივით თეთრი კანი გქონდეს ადამიანს, ამას როგორ გააკეთებ? ამით რას მოიგებ? მაგრამ თუ ასე

მივუდექით, პრობლემა რაღაში ყოფილა? ან განსხვავება? მაგრამ უოლთიც რომ ვერ გადამირწმუნებია. ვთქვათ და, ვკითხე, რაში ხედავ განსხვავებას-მეთქი? მიპასუხებს, როგორ თუ რაში? ჯერ ერთი, როგორც დედას მოექცა, მეორეც, მაშინ, უოლთერის აზრით, ბრძოლა მიმდინარეობდა, ქოულმენმა კი ხელიც არ გაანძრია. თუნდაც ამ ორი მიზეზის გამო ვერ გადავარწმუნებ უოლთერს. მაგრამ არ გეგონოთ, რომ ამ წლებში არაფერი მიცდია. ბოლოს და ბოლოს, უოლთერიც ხომ ადამიანია, ქვა ხომ არ არის. გნებავთ, მოგიყვეთ? ორმოცდაოთხში უოლთერი ოცდაორი წლის იყო, ზანგ ფეხოსანთა ასეულში მსახურობდა, მსროლელი იყო. ჰოდა, ერთხელ თურმე ის და მისი მეგობარი ბელგიაში, მთაზე აღმოჩნდნენ, ირგვლივ მთელი რკინიგზები ჩახერგილი ყოფილა; და ამ დროს გერმანელი ჯარისკაცი დაუნახავთ, რომელიც განძელებზე მიაბიჯებდა აღმოსავლეთით. ზურგჩანთა მოუგდია, მიდის და უსტვენს. უოლთერის ამხანაგმა თურმე ეგრევე მიზანში ამოიღო, ჩემს ძმას კი უთქვამს, შე იდიოტო, რას სჩადიხარო? როგორ თუ რას, სული უნდა გავაფრთხობინოო. უოლთს უთხოვია, რად გინდა მისი მოკვლა? გაანებე თავი. ხომ ხედავ, შინ მიდის, ჰოდა, წავიდესო. საბოლოოდ უოლთერს ამხანაგისთვის ძალით წაურთმევია შაშხანა. ის ბიჭი სამხრეთკაროლინელი ყოფილა. თურმე დაეშვნენ თხემიდან და ის გერმანელი ბიჭი ტყვედ აიყვანეს. როგორც აღმოჩნდა, მართლა შინ მიდიოდა. დათხოვნის ბარათი აუღია და შინისაკენ გაუწევია. რა ექნა, ლიანდაგებს მიჰყვებოდა აღმოსავლეთით, შინ დაბრუნების სხვა გზა რომ ვერ ნახა. უოლთერმა კი სიკვდილისგან იხსნა. განა ბევრი ჯარისკაცი მოიქცეოდა ასე? ჩემი ძმა, მართალია, მოუდრეკელი ბუნებისაა და მტკიცე ხასიათი აქვს, მაგრამ ადამიანურად მტკიცეა და მკაცრი, ზღვარს არ გადადის. მისი ადამიანური დამოკიდებულებით, ყველაფერი, რასაც აკეთებ, შენს ხალხს, შენს რასას უნდა ადგებოდეს. ვიმეორებ: მასთან არაერთხელ ვცადე დალაპარაკება, ხანდახან ისეთ რამეს ვეუბნებოდი, რისიც მე თვითონაც არ მჯეროდა ბოლომდე. ქოულმენი თავისი დროის კაცია-მეთქი, აი, ასე მაქვს უოლთისთვის ნათქვამი. მას საკუთარი უფლებები სჭირდებოდა და ამიტომაც ისე გადაახტა საფეხურს, რომ საერთო-სამოქალაქო თანასწორუფლებიანობას ვეღარ დაუცადა-მეთქი. ასე ვუთხარი, აბა, ისტორიულად შეხედე, შენ ხომ ისტორიის მასწავლებელი ხარ. ის მიიღე, როგორც რაღაც დიდის ნაწილი. თქვენ ხომ ორივეს

გეცოტავებოდათ, რაც გაგაჩნდათ. ორივე მებრძოლები ხართ და ორივენი იბრძოდით კიდეც, ოღონდ შენ შენებურად, ქოულმენი – თავისებურად-მეთქი. მაგრამ უოლთერმა ეს არგუმენტები არად ჩააგდო. არც ეს და არც სხვები. ვეუბნებოდი, ქოულმენისთვის ეს კაცად გახდომის საშუალება იყო-მეთქი. მაგრამ უოლთერი არ მეთანხმება, რადგან ქოულმენის საქციელი კაცობად კი არა, არაკაცობად მიაჩნია. იცით, რას მპასუხობს ხოლმე? ცხადია, რასაკვირველია, შენი ძმა ის გახდა, ვინც გახდებოდა, ეს რომც არ გაეკეთებინა, მაგრამ ერთი განსხვავებით: ზანგი აღარ არის! მთელი უბედურებაც ამაშია. უოლთი ქოულმენს ვერ შეხედავდა სხვანაირად, რადგან მხოლოდ ერთადერთი თვალით უყურებდა, – უყურებდა როგორც ძმას, ზანგ ძმას. მე რაღა ვქნა, მისტერ ცუკერმან? შევიძულო უოლთერი, რადგან ქოულმენს მოექცა ასე და დრო გააჩერა? თუ ქოულმენი შევიძულო იმის გამო, რაც გააკეთა და რაც ყველაზე მეტად დედას გაუკეთა, რომელიც სიკვდილამდე განიცდიდა შვილის საქციელს? მაგრამ თუ ორივე ძმას შევიძულებ, ეს სად მიმიყვანს? ასე ხომ მამაც უნდა შევიძულო დაშვებული შეცდომების გამო ან ქმარი ამოვიგდო გულიდან, რადგან არც ის იყო უშეცდომო? უშეცდომო კი არა, ამ თვისებით უხვად დაჯილდოებულიც გახლდათ. ქმარი მიყვარდა, თუმცა თვალები გახელილი მქონდა და ყველაფერს კარგად ვხედავდი. ან შვილს რა ვუყო, ჩემს ვაჟს? მისი შეძულება ხომ არც ისე იოლია! არადა, ამისათვის ყველაფერს ზედმიწევნით აკეთებს. მაგრამ სიძულვილი საშიში რამ არის. თუკი ვინმე შეგძულდა, ამ გრძნობას სხვებზეც გადაიტან, – შეჩერება შეუძლებელი ხდება ამ დროს. ერთი თუ შეტოპა კაცმა, მორჩა მერე. სიძულვილს ვერ გააკონტროლებ ამქვეყნად, თორემ სხვა დანარჩენს მოუხერხებ ადამიანი რამეს. ლოთობას უფრო გადაეჩვევა კაცი, ვიდრე სიძულვილს დათრგუნავს. მერწმუნეთ, ასეა.

– დღევანდელ დღემდეც იცოდით, – ვკითხე ერნესტინს, – ქოულმენის კოლეჯიდან წასვლის მიზეზი?

– არა, არ ვიცოდი. მეგონა, უბრალოდ, პენსიაზე გავიდა-მეთქი.

– ესე იგი, არაფერი უთქვამს.

– არაფერი.

– ანუ ვერც ჰერბ ქიბლის სიტყვებს მიხვდით?

– ბოლომდე ვერა.

მეც ავდექი და «მოჩვენებებთან» დაკავშირებულ ამბავს მოვუყევი. როდესაც დავასრულე, ერნესტინმა თავი გააქნია:

– არასოდეს მსმენია, უმაღლეს სასწავლებელს ასეთი სისულელე ჩაედინოს. ასე მგონია, კოლეჯი კი არა, უკეთურთა ბუნაგია. მსგავსი სისულელის გამო პროფესორზე მიიტანონ იერიში, ამხელა ზარალი მიაყენონ, რომელ რასასაც უნდა ეკუთვნოდეს, რა მნიშვნელობა აქვს, – ასე შეუბღალონ სახელი, შეულახონ ღირსება, მოუსპონ ავტორიტეტი! ღმერთო, ასე მოქცევა სად გაგონილა! მე მამაჩემის ქალიშვილი ვარ, მისტერ ცუკერმან, იმ ადამიანისა, ვისთვისაც სიტყვა ბევრ რამეს ნიშნავდა, მაგრამ დღევანდელობაში იმისთანა რამეს ვისმენ, რომ მეეჭვება, ყველა სიტყვა სიმართლეს ასახავდეს. თქვენი მონაყოლიდან გამომდინარე გამოდის, ჩვენს კოლეჯებში დღეს ყველაფერს იკადრებენ. ეტყობა, დაავიწყდათ, რას ნიშნავს სწავლება. ესე იგი, კი არ ასწავლიან, უბრალოდ, ხალისობენ. მესმის, რომ ნებისმიერ ეპოქაში იყვნენ რეაქციონერები, მაგრამ აქ, «ათინაში», ვატყობ, სრული პარპაშის უფლებით სარგებლობენ. კი მაგრამ, ადამიანმა ყველა წარმოთქმული სიტყვის გამო უნდა იკანკალოს? მაშ, სიტყვის თავისუფლება სადღაა? სადაა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში პირველი შესწორება? ჩვენს ბავშვობაში, მისტერ ცუკერმან, თქვენც გეხსომებათ, რეკომენდებული იყო შტატ ნიუ-ჯერსის სკოლადამთავრებულებისათვის ორი რამ გადაეცათ – ატესტატი და კონსტიტუციის ეგზემპლარი. ამერიკის ისტორიის შესასწავლად ერთი წელიწადი იყო გამოყოფილი, ეკონომიკისათვის – ნახევარი. ახლა კი აღარაფრის სწავლა სავალდებულო აღარ არის, ჩვენს დროს სიტყვა «სავალდებულოც» ამოღებულია სასკოლო ლექსიკონიდან. ჩვენს ბავშვობაში სკოლის დამთავრების აღსანიშნავად დირექტორი ატესტატს გადმოგვცემდა, ვიღაც კიდევ – კონსტიტუციას. დღეს კი ცოტამ თუ იცის ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონი, ისიც ზედაპირულად. შთაბეჭდილება იქმნება, რომ ირგვლივ ყოველ წუთს სიჩლუნგე მატულობს. მაგალითისთვის კოლეჯებში ჩამორჩენილთათვის შექმნილი პროგრამებიც იკმარებს. სტუდენტებს იმისთანა რაღაცებს ასწავლიან, რაც მეცხრე კლასში უნდა ჰქონოდათ ნასწავლი. ჩვენი ისთ-ორინჯის საშუალო სკოლის მოწაფეები უკვე კარგა ხანია, კლასიკას აღარც კითხულობენ. «მობი დიკი»

არც კი გაუგონიათ. სანამ პენსიაზე გავიდოდი, უკანასკნელ წელს, ჩემმა ერთმა მოსწავლემ მითხრა, თებერვლის აფროამერიკული ისტორიის თვიური კურსისთვის რომელიმე ცნობილი შავკანიანის მიერ დაწერილი ნაშრომიც მეყოფაო. დამაინტერესა, რა მნიშვნელობა ჰქონდა შავკანიანის მიერ იყო ნაშრომი დაწერილი თუ თეთრკანიანის მიერ? სიმართლე მოგახსენოთ, სულაც არ მომწონს ეს თვიური კურსი. გემონაკრავ რძეს მაგონებს, აჭრის პირზე რომ არის, მაგრამ დალევაც რომ შეიძლება. თუკი მოსწავლეებმა მეთიუ ჰენსონის[67] ვინაობა უნდა იცოდნენ, მაშ, რატომ სხვა მოგზაურებისა და აღმომჩენების შესახებ არ წავუკითხოთ თუნდაც მცირე კურსი?

– უკაცრავად და, ვინ იყო მეთიუ ჰენსონი? – ვკითხე და თან გავიფიქრე, ნეტავ ქოულმენს თუ ეცოდინებოდა-მეთქი? ან სურდა კი ამის ცოდნა? ან თუ არ სურდა, იქნებ მისი გადაწყვეტილების ერთ-ერთი მიზეზი ამაშიც იმალებოდეს.

– მისტერ ცუკერმან... – მსუბუქი, მაგრამ საყვედურნარევი ხმით მითხრა.

– მისტერ ცუკერმანს სკოლაში აფროამერიკული ისტორიის კურსი არ გაუვლია.

– ვინ აღმოაჩინა ჩრდილოეთი პოლუსი? – მკითხა რბილად.

უეცრად მის მიმართ ძლიერი სიმპათიით განვიმსჭვალე, უფრო მეტად კი იმით მომეწონა, რომ პედანტი აღმზრდელივით მომიდგა. თუმცა სხვა მიზეზით უკვე ლამის ისევე მომწონდა, როგორც მისი ძმა. ახლა უკვე ვხედავდი, გვერდიგვერდ რომ დამეყენებინა და-ძმა, ქოულმენის ნამდვილი ვინაობის მიხვედრა აღარ გამიჭირდებოდა. «ყველამ იცის...» სულელი! ტუტუცი! ქარაფშუტა დელფინა რუ! ადამიანის შესახებ სინამდვილე არავინაც არ იცის და ხშირად, – როგორც თავად მაგ ქალბატონმა, – ბევრი მეტისმეტად ცუდად იცნობს ხოლმე მეორე ადამიანის ცხოვრება.

– დამავიწყდა, პირი იყო თუ კუკი... ანუ რომელმა მიაღწია პოლუსს პირველმა?

– როგორც მოგახსენეთ, ჰენსონმა დაასწრო ყველას. როდესაც ამის შესახებ «ნიუ-იორკ თაიმზმა» დაწერა, მას საპატიო ჯილდო გადასცეს. მაგრამ ახლა, როდესაც ისტორიას ეხებიან ან

მით უმეტეს, წერენ ამ საკითხზე, მხოლოდ პირის ახსენებენ. ეს იგივეა, ევერესტზე სერ ედმუნდ ჰილარის[68] ასვლაზე რომ დაწერონ და ნორგეი ტენცინგი[69] არ ახსენონ.

ერნესტინი პედაგოგიურ სტიქიაში გადაეშვა და უნდა შევნიშნო, რომ ქოულმენისგან განსხვავებით, მან სრულად გაამართლა მამის იმედი.

– მინდა, მოგახსენოთ, – განაგრძო მან, – რომ მაგალითად, დოქტორი ჩარლზ დრიუ[70] მაშინ უნდა ვახსენოთ, როცა საუბარი ჯანმრთელობასა და მედიცინას შეეხება. გსმენიათ მასზე რამე?

– არც არაფერი.

– სირცხვილია, მისტერ ცუკერმან! ახლავე მოგიყვებით, ერთ წუთში. თან თებერვალში კი არ უნდა ამას სწავლა, არამედ იმ დროს, როცა სხვა მედიკოსებს გავდივართ. ხომ გამიგეთ?

– დიახ.

– ერთად უნდა აითვისოს მოსწავლემ მოგზაურებიც, მედიკოსებიც და სხვა ნებისმიერიც. ისე კი არა, ახლა ერთ წყებად რომ ჰყავთ ჩამომწკრივებული შავკანიანი მოღვაწეები. არადა, როგორ გამიჭირდა ასეთ პირობებთან შეგუება, თუმცა ცდა არ დავაკელი. წინათ ბრწყინვალე სკოლა გვქონდა. ისტორინჯის საშუალო სკოლადამთავრებულს, თან თუ ფრიადოსანიც იქნებოდა, კოლეჯების ფართო არჩევანი ეშლებოდა წინ. ღმერთო, ამ საკითხზე თუ დავიწყე საუბარი... ქოულმენის ამბავი ამ ერთ სიტყვასთან – მოჩვენებებთან – დაკავშირებული – იმავე გრანდიოზული შეუმდგარობის ნაწილია. ჩვენი მშობლებისა და ჩვენს დროსაც, პრინციპში, საგანს თუ ვერ გაართმევდი თავს, პასუხიც შენვე უნდა გეგო. ახლა პასუხისმგებლობა საგანზე აქვთ გადატანილი. კლასიკის კითხვა რომ გაუჭირდათ, თავიდან მოიშორეს, რაღად გვინდაო; აღარც კი ეკარებიან. დღევანდელი სკოლის მოწაფე თავისი უცოდინარობით ეძებს გამოსარჩენს და პოულობს კიდეც. რაკი საგანს ვერ ითვისებს, ესე იგი, საგანს სჭირს რაღაც. უპირველესად კი საძაგელ მასწავლებელს სჭირს რაღაც, თორემ ასეთ სისულელეს როგორ მისცემდა სასწავლად. სხვა კრიტერიუმით ახლა აღარაფერი ფასდება, მისტერ ცუკერმან, მხოლოდ საკუთარი აზრებით აფასებენ. იცით, სულ იმაზე ვფიქრობ, როგორი იყო ყველაფერი და ახლა რად არის

გადაქცეული. როგორი განათლება გვქონდა, როგორი სკოლა გვქონდა ისთ-ორინჯში? თუნდაც თვითონ ისთ-ორინჯი როგორი იყო? ყველაფერი მოდერნიზაციამ მოსპო – ეჭვიც არ მეპარება. ქალაქის მამები ენას არ აჩერებდნენ, მოდერნიზაცია დიდ ცვლილებებს მოიტანსო. ვაჭრები ისე შეაშინა ამ მოდერნიზაციამ, რომ ქალაქიდან სულ გაიფანტნენ და ერთი მუჭა საქმოსანთა ხელში დარჩა ყველაფერი. მერე ორასმეოთხმოცე გზატკეცილი გაიყვანეს და ხეივანი გააკეთეს. ამით ჩვენი დაბა-ქალაქი ოთხ ნაწილად გაიყო. ხეივანს ჯონს-სთრითი – ჩვენი ფერადი საზოგადოების ცენტრი – შეეწირა. მერე ორასმეოთხმოცეც მიაყოლეს და მოკლედ, არნახული ნგრევა დაიწყო! მტრის შემოსევას ჰგავდა. გზატკეცილის გასაყვანად შტატმა ყველა ლამაზი სახლი შეისყიდა და აიღო ორათონ-ფარქუეისა და ელმვუდ-ავენიუზე, ვერ გადაურჩა მეიფლ-ავენიუც, და სულ რამდენიმე დღეში ყველაფერი წარიხოცა პირისაგან მიწისა. წინათ საშობაოდ ყველაფერს მეინ-სთრითზე ვყიდულობდი ხოლმე; სენთრალ-ავენიუს კი სამივე ორინჯის მეხუთე ავენიუს უწოდებდნენ. ახლა რა გვიჭირავს ხელში? – «შოფრაითი» და «დანქინ-დონათსი». «დომინოს პიცაც» გვქონდა, მაგრამ დაიხურა. ერთი სასურსათო მაღაზია შემოგვრჩა და ერთიც ქიმწმენდა იმ დროიდან. მაგრამ იმ დროისა და ჩვენი დროის ხარისხის შედარებაც არ შეიძლება. გულწრფელად გეტყვით, ახლა საყიდლებზე უესთ-ორინჯში მიწევს სიარული, ჩემს დროს ეს აუცილებლობას არ წარმოადგენდა. მე და ჩემს მეუღლეს, თუკი ამინდიც ხელს შეგვიწყობდა, ძაღლი გაგვყავდა ხოლმე სასეირნოდ – ორი უბნის იქით იყო, მერე ოთხიოდე უბანსაც გავივლიდით და უკან ვბრუნდებოდით ვიტრინების თვალიერებით. «ბ. ალთმანიც» იყო, «რასექიც», «ბლექი, თარი და გორემიც» გვქონდა; ბახრახის ფოტოსალონიც. მეინ-სთრითზე «მინქსი» იყო გახსნილი – მამაკაცის ტანსაცმლის საკმაოდ სოლიდური მაღაზია. ერთი ებრაელი იყო მესაკუთრე. ორი კინოთეატრიც გვქონდა – «ჰოლივუდი» და «პალასი». ჩვენს პატარა ისთ-ორინჯში ყველაფერი გვქონდა, რაც გინდა, სულო და გულო...

ცხოვრების ყველანაირ მოთხოვნას აკმაყოფილებდა, ყველანაირ სპექტრს. მაგრამ როდის? როდის და წინათ. მანამდე, სანამ კლასიკას ამოიღებდნენ სასწავლო პროგრამიდან; მანამდე, სანამ სკოლადამთავრებულებს კონსტიტუციას ჩუქნიდნენ; მანამდე, სანამ კოლეჯებში ჩამორჩენილთათვის განკუთვნილ

პროგრამებს დაუშვებდნენ; მანამდე, სანამ აფროამერიკული ისტორიის შესასწავლად ერთთვიან კურსს გამოიგონებდნენ; მანამდე, სანამ ხეივანს გააკეთებდნენ და ორასმეოთხმოცე გზატკეცილს გაიყვანდნენ; მანამდე, სანამ პროფესორებს სიტყვა «მოჩვენებების» გამო დაუწყებდნენ სულის მოწამვლას... მანამდე, სანამ ერნესტინი საყიდლებზე უესთ-ორინჯში დაიწყებდა სიარულს. მანამდე, სანამ ყველაფერმა პირი იცვალა – მათ შორის ქოულმენ სილქმაც. ადრე უკეთესობა იყოო. და აღარასოდესო, ჩიოდა ერნესტინი, აღარასოდეს დაბრუნდებაო წარსული არც ისთ-ორინჯში და არც დანარჩენ ამერიკაში.

ოთხი საათისთვის, როდესაც ერნესტინი «კოლეჯის გერბში» მივიყვანე, სადაც გაჩერებული იყო, ნაშუადღევის ნათელი თანდათანობით იკლებდა და ზეცას საავდრო ღრუბლებს უთმობდა ნოემბრის ქარიშხლის თანხლებით. დილით, როდესაც ქოულმენს კრძალავდნენ, – და იმ დილითაც, როდესაც ფაუნია მიაბარეს მიწას, – გაზაფხულის ამინდი იდგა, ახლა კი ყველაფერი ზამთრის მოახლოებას მოასწავებდა. ზამთარი ცხრა მთას იქით ნამდვილად აღარ იყო, სადაცაა შემობრძანდებოდა.

უეცრად სურვილი მომეძალა, ერნესტინისთვის ოთხი თვის წინანდელი, აგვისტოს თბილი საღამოს შესახებ მომეყოლა, როდესაც ქოულმენმა სარძევე ფერმაში წამიყვანა წველით დაკავებული ფაუნიას სანახავად, – ან უფრო სწორად, იმისათვის, რომ მას დავკვირვებოდი, თუ როგორ უცქერდა ქალს; მაგრამ ეს სურვილი დავთრგუნე. ქოულმენის ცხოვრებაზე რაც იცოდა, თითქოს იმით კმაყოფილდებოდა ერნესტინი და სულაც არ იწვოდა სურვილით, რომ ცარიელი ადგილები შეევსო ახალ-ახალი აღმოჩენებით. ასეთმა გონიერმა ქალმა, წარმოიდგინეთ, ერთი კითხვაც კი არ დამისვა ძმის უკანასკნელი თვეების შესახებ, რომ აღარაფერი ვთქვათ ქოულმენის ეგზომ უცნაურ ვითარებაში დაღუპვის დეტალებით დაინტერესების თაობაზე; ამ წესიერ და პატიოსან ქალს ერჩივნა, სულაც არ სცოდნოდა იმ ამბის წვრილმანები, რამაც მისი განდეგილი ძმა დაღუპვამდე მიიყვანა. არც იმაზე დაფიქრებულა, იყო თუ არა რაიმე კავშირი ქოულმენის ორმოცი წლის წინანდელ საქციელსა და იმ მრისხანებას შორის, რომლითაც ამ შეცთომილმა და უძღებმა კაცმა ათინა-კოლეჯიდან ამოიკვეთა ფეხი და ყველა კოლეგასთან გაწყვიტა

ურთიერთობა – ცხადია, თუ ტექპერსონალის ერთ-ერთ წევრთან სასიყვარულო კავშირს არ ჩავთვლით. არა, ისე არც მე გახლდით ბოლომდე დარწმუნებული ამ ორ ქმედებას შორის არსებობდა თუ არა საერთოდ კავშირი, მაგრამ დალაპარაკებასა და დაფიქრებას წინ რა უდგა? საინტერესო იყო, საერთოდ როგორ გაჩნდა ქოულმენისთანა კაცი? ვინ იყო, რას წარმოადგენდა? რომელი უფრო მეტ სიმართლეს შეიცავდა, ის, თუ რა წარმოდგენა ჰქონდა საკუთარ თავზე, თუ ის, სხვების აზრით ვინ უნდა ყოფილიყო? ისე, შეიძლება კი ასეთი კითხვების დასმა? მაგრამ ცხოვრების გაგება, რომლის მიზანიც ჩვენთვის უცნობია და უხილავი, ზოგჯერ თავისი თავის გამომრიცხავიც კი, ან ადამიანთა საზოგადოების ჭეშმარიტად აღქმა, რომელსაც საკუთარი თავის დანახვა ილუზორულად უფრო სჩვევია, ან პიროვნებების ჩაწვდომა, რომლებიც სოციალურ ჩარჩოებში ვერ თავსდებიან და ხშირად მართლაც არარეალურს ხედავენ მასში, – ყოველი იმ სირთულის ამოხსნა, რაც ჩვენს წარმოსახვას აწვალებს, ალბათ, მაინც დროით გამოცდილ წესრიგზე დაყრდნობით მოხერხდება, ვიდრე სხვა რომელიმე მეთოდით.

– რომ გამოგიტყდეთ, თქვენი არც ერთი წიგნი წაკითხული არა მაქვს, – ჯერ კიდევ მანქანაში მომახსენა ერნესტინმა, – ახლა მეტწილად დეტექტივებით ვიქცევ თავს, განსაკუთრებით ინგლისურს ვეტანები. მაგრამ ახლა, როგორც კი შინ დავბრუნდები, აუცილებლად წავიკითხავ თქვენს რომელიმე ნამუშევარს.

– ისე, იქნებ ახლა მაინც მომიყვეთ, ვინ იყო ჩარლზ დრიუ?

– დოქტორმა ჩარლზ დრიუმ, – განმიმარტა ერნესტინმა, – გამოიგონა დონორის სისხლის შედედების თავიდან აცილების მეთოდი. თუმცა მალე ავარიაში მოყვა და სისხლის დაკარგვით მარტო იმიტომ გარდაიცვალა, რომ უახლოესი საავადმყოფო შავკანიანებს არ იღებდა.

ჩემი სახლიდან ქალაქამდე ოც წუთზე მეტი არც გვისაუბრია. აღმოჩენათა ნიაღვარი დაილია. ერნესტინმა ყველაფერი თქვა, რაც სათქმელი იყო. ავბედობას ვერ გაექცა დოქტორი დრიუ, დამცინავ ბედს ვერც ქოულმენმა დააღწია თავი, ამ ორი მოვლენის ურთიერთგააზრებით ვხვდები, რომ ბედის ირონია ამოუცნობია და ამოუხსნელი.

ქოულმენის იმხელა საიდუმლო გამომჟღავნდა, განგებაც რომ მომენდომებინა, მსგავსს ვერაფერს მოვიფიქრებდი. თითქოს ყველაფერი შევიტყვე, მაგრამ მაინც არაფერი ვიცოდი: ერნესტინის მონაყოლმა ქოულმენის პიროვნული პორტრეტი კი არ დაასრულა ჩემს გონებაში, არამედ უფრო გაუგებარი და დაუკავშირებელი გახადა. როგორ გავლენას ახდენდა ეს საიდუმლო მის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ყოველწამიერ ფიქრებზე? გაუნელა კი წლებმა სიმხურვალე, დააკარგვინა ფერები და მნიშვნელობა, ჩაუქრო კი ის ალი, რომლით გულანთებულმაც დადო წლების წინ საკუთარ თავთან სანაძლეო? მიიღო კი ამ საქციელით სანუკვარი თავგადასავალი თუ თავად საქციელი შეიძლება მივიჩნიოთ თავგადასავლად? რას უფრო ენიჭებოდა მნიშვნელობა – სიცრუისგან, ფოკუსისგან მოგვრილ სიამეს თუ წარსულისგან, ახლობლებისგან, საკუთარი რასისგან გამმიჯნავ შესაძლებლობას, რომელთანაც მას არც სულიერად და არც ფორმალურად არ სურდა, რაიმე საერთო ჰქონოდა? შეიძლება კი ყველაფერი სოციალური წინაღობების შემოვლის სურვილამდე დავიყვანოთ? ან იქნებ უბრალოდ ის ამერიკელი პიონერი გახლდათ, რომელმაც ქვეყნის დემოკრატიის გამოწვევა მიიღო და თავისი წარმომავლობა ზედმეტი ნივთივით მოიშორა თავიდან, რადგან ბედნიერების ძიებაში უშლიდა ხელს? ან იქნებ გაცილებით მეტთან გვაქვს საქმე, ან ნაკლებთან? რამდენად კნინი მოტივები ჰქონდა? რამდენად პათოლოგიური? ვთქვათ, ერთიცა და მეორეც, მერედა რა? მისი ცხოვრების მიწურულს გავიცანი ქოულმენი და იქნებ ეს საიდუმლო ის მინარევი გახლდათ, რომელიც სრული სისავსით წარმოგვიდგენდა ამ ურყევ პიროვნებას, ანდაც პირიქით, მისი ცხოვრების სისავსე იყო ფატალური საიდუმლოს მინარევი? მოუდუნებია კი ოდესმე ყურადღება თუ მუდამ ფხიზლად იყო? შეეგუა კი იმას, რომ ყველაფერს გაართვა თავი, რაც კი მიზნად დაისახა? ასე ხომ დამოუკიდებელი, სრულფასოვანი ცხოვრება დაიწყო საზოგადოების თვალში? დავუშვათ, რაღაც მომენტში ახალმა ცხოვრებამ ძველს სძლია, მაგრამ მან თუ სძლია საბოლოოდ გამოაშკარავების შიშს? როდესაც მე გამომეცხადა ერთ დღეს, აირისის უეცარი სიკვდილით თავზარდაცემული, რომელსაც თავად მკვლელობად აფასებდა, ცოლისადმი ერთგულების განცდით იყო შეპყრობილი? გარდა ამისა, ჩემთან დაუოკებელმა სურვილმა მოიყვანა, რომ მის შესახებ დამეწერა წიგნი – იქნებ ეს ერთგვარი სიგიჟის

დაშიფრული აღიარება იყო? «მოჩვენებები»! ამ სიტყვის მსხვერპლად იქცა, არადა, დღეს «მოჩვენებებს» სულაც აღარ აქვს გადატანითი მნიშვნელობა და კანის ფერზე საერთოდ არაფერს გვეუბნება. ამ მახეში გაბმით ქოულმენს ლამის ცა ჩამოექცა თავზე – მთელი ნაფერებ-ნალოლიავები ცხოვრება ერთი სულის შებერვით დაეშალა. «მოჩვენებები»! შედევრის ღიმილის მომგვრელი პროფანაცია, – ისეთივე შედევრისა, როგორიც მისი ცხოვრება იყო: გეგმაზომიერი და გაწონასწორებული, – მისი საიდუმლო კი ზომიერებით ნამდვილად არ გამოირჩეოდა. რა გასაკვირია, რომ რასიზმში დადანაშაულებულს, ისე გამწარდა, გული კინაღამ გაუსკდა. ესე იგი, მის მიღწევებს თურმე ჩირის ფასიც არ ჰქონია! არც ისაა გასაკვირი, რომ ნებისმიერ ბრალდებაზე მწვავედ რეაგირებდა. მისი მთავარი ცხოვრებისეული ქმედება ხომ ბევრად აღემატებოდა მისთვის წაყენებულ ბრალდებას. თქვა, «მოჩვენებებიო», მერე შვილის ტოლი საყვარელი გაიჩინა – მოკლედ, საბავშვო ბაღია რა! ნამდვილი ლაი-ლაი! ეს ყოველივე იმასთან რა სახსენებელია, რაც თუნდაც დედის წინაშე ჰქონდა ჩადენილი; თავი გმირად წარმოიდგინა და კონცეფციაც შეიმუშავა: «მორჩა. დასრულდა სიყვარული. შენ დედაჩემი აღარ ხარ და არც არასდროს ყოფილხარო». ვისაც ამისთანას ჩადენა შეუძლია, მას მარტო თეთრკანიანობა არ სურს. უბრალოდ, უნდა, რომ საკუთარ თავს დაუმტკიცოს, ყველაფრის გამკეთებელი ვარო. ეს თავისუფლებით ტკბობის სურვილს აღემატება. აქ თითქოს «ილიადიდან» არის რაღაც, ქოულმენის საყვარელი წიგნიდან, რომლის კითხვისას ადამიანში მტაცებლური საწყისების მტკიცებულებებს პოულობდა. ნაწარმოებში ყოველ მკვლელობას თავისი განუმეორებელი ხარისხი აქვს, თითოეული ახალი მკვლელობა მზაკვრობით ბევრად აღემატება წინანდელს.

მერე კი არსებულ სისტემას მოერგო. ჩანაფიქრი განახორციელა და საზოგადოებრივი ნორმების გალავანშემოვლებული ქალაქი ერთხელაც არ დაუტოვებია. ან უფრო სწორად, სულით ხორცამდე საიდუმლოებაში ჩაფლულიც ცხოვრობდა და იმავდროულად, ისეთ ცხოვრებას ეწეოდა, რომელშიც გარედანვე ჩანს ადამიანის ჰაბიტუსი. ასეთი გახლდათ მისი ცხოვრების სისავსე, მისი პიროვნება. დიახ, მართლაც დიდი ხნით იყო სისტემას მორგებული, შვილების შეძენამდეც კი გაქაჩა – ბედად, ოთხივე თეთრკანიანი შეეძინა. მერე კი,

სისტემის სადავეები ხელიდან გამოეცალა. საიდანაც არ ელოდა, სწორედ იქიდან ჩასცეს მახვილი. ადამიანმა გადაწყვიტა, გამორჩეული ბედი შეექმნა, ისტორიული კლიტენი შეემტვრია და წარემატა კიდეც, ბრწყინვალედ შეიცვალა ვინაობა... მაგრამ მაინცდამაინც იმ ისტორიის მახეში გაება, რომელიც მხედველობაში არ ჰქონდა მიღებული. ისტორიისა, რომელიც ისტორიად ვერ შედგა. ისტორიისა, რომელიც ამ წუთებშიც მიედინება, სწორედ ახლა, ამ წიგნს რომ ვწერ, წუთისწუთ, წამისწამ... ისტორიისა, რომელსაც მომავალი უკეთ გაუგებს, რაკი აწმყოს ფარგლებში ვერ ეტევა. «ჩვენ», რომლისგანაც თავს ვერ დააღწევს ძე ხორციელი – აი, რისი ბრალია ყველაფერი; ახლანდელი დროისგან, საერთო ხვედრის, დღის წესრიგის, შენი ქვეყნის სულიერი განწყობილებისა და მიმდინარე ისტორიის უკანასკნელი გაფართხალებისგან. წუთისოფლის შიშმომგვრელად ცვალებადი ბუნებისგან იწვნია ის დარტყმა, რომელსაც საერთოდ არ მოელოდა.

* * *

საუთ-უორდ-სთრითზე რომ მივედი და «კოლეჯის გერბთან» დავამუხრუჭე მანქანა, ვუთხარი:

– კარგი იქნებოდა, ოდესმე უოლთერი გამეცნო და ქოულმენზე მესაუბრა მასთან.

– უოლთერს ორმოცდათექვსმეტი წლიდან ქოულმენის სახელი არც ერთხელ არ უხსენებია. არა მგონია, მასზე ვინმეს ესაუბროს. ახალი ინგლისის ყველაზე თეთრ კოლეჯში შეიქმნა ქოულმენმა კარიერა. ცხრილში ყველაზე თეთრი საგანი ამოირჩია, რომ ლექციები წაეკითხა. უოლთერისთვის ქოულმენი თეთრებზე მეტია და ამით ყველაფერი ნათქვამია.

– გააგებინებთ ქოულმენის გარდაცვალებას? ეტყვით, სადაც ბრძანდებოდით?

– თუ თვითონ არ მეტყვის – არა.

– ძმისშვილებთან დაკავშირებას არ გეგმავთ?

– მაგას რა აზრი აქვს? – მითხრა ერნესტინმა, – ქოულმენს ეგ საკითხი თვითონ უნდა მოეგვარებინა, მე რა ხელი მაქვს?

– კი მაგრამ, ჩემგან ხომ არ დამალეთ.

– თქვენ სხვა ხართ. სასაფლაოზეც თავად გამომელაპარაკეთ. მითხარით, ქოულმენის და იქნებითო. მეც გიპასუხეთ, დიახ, და გახლავართ-მეთქი. მე სიმართლე მოგახსენეთ, ან რა მქონდა დასამალი?

ეს ყველაზე სასტიკი ფრაზები იყო, რაც მთელი დღის განმავლობაში ერნესტინისგან მოვისმინე. სისასტიკედ მივიჩნიე ქოულმენის მიმართ. ჯერ კიდევ აკურატულად ანაწილებდა თანაგრძნობას სასიკვდილოდ დაჭრილ დედასა და ნაწყენ უმცროს ძმას შორის.

მერე ხელჩანთიდან საფულე ამოიღო, გადახსნა და გამჭვირვალე ცელოფანში შეცურებული სურათი მიჩვენა.

– ჩემი მშობლები არიან, – მითხრა მან, – პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. მამა საფრანგეთიდან ახალი დაბრუნებულია აქ.

ახალგაზრდა წყვილი აგურის წინკართან: ტანმორჩილი ქალი ფართო შლაპასა და გრძელ საზაფხულო კაბაში, ახალგაზრდა მამაკაცი კი სამხედრო ფორმაში – წინაფრიანი ქუდით, ტყავის სამკერდე პატრონტაშით, ტყავისავე ხელთათმანებითა და მაღალი, მბზინავი ტყავის ჩექმებით. მართალია, ღია ფერის სახეები აქვთ, მაგრამ ზანგური ნაკვთებით. იოლი იყო თუ არა მათთვის ზანგები გვეწოდებინა, ისინი თავიანთ ვინაობას მაინც არ მალავდნენ.

– მშვენიერი ბიჭია, ფორმაში მით უმეტეს, – შევნიშნე მე, – ალბათ, კავალერისტი იყო.

– არა, ჩვეულებრივი ფეხოსანი.

– დედათქვენი მთლად მკაფიოდ არ ჩანს. შლაპა სახეს უჩრდილავს.

– ადამიანს საკუთარი ცხოვრების გაკონტროლება გარკვეულ პირობებში შეუძლია, – მითხრა ერნესტინმა. ეს დამაგვირგვინებელი ფრაზა რომ თქვა, შიგ მთელი ფილოსოფიურობა, რაც კი შეეძლო, რომ ჩადო, საფულე დახურა და ხელჩანთაში ჩააცურა, ლანჩისათვის მადლობა მომახსენა, მერე კი თვალნათლივ დაუბრუნდა თავის ჩვეულ ორგანიზებულ ყოველდღიურობას, ისე, რომ არც თეთრი, არც შავი და არც ღმერთმა უწყის, კიდევ რა ფერის აზრები არ

გაუვლია თავში და მანქანიდან გადავიდა. მე მაშინვე სახლში არ წამოვსულვარ: მთელი ქალაქის გავლით სასაფლაოსკენ ავიღე გეზი; მანქანა ქუჩაში დავტოვე და კარში შევედი. კარგად არც მესმოდა მომხდარის აზრი, უბრალოდ, სრულ სიბნელეში ვიდექი მიწის ოდნავ ამობურცულ მონაკვეთთან და ქოულმენის თავგადასავალზე ვფიქრობდი, მისი ახსნა და განმარტება მომინდა და ამ წიგნის დაწერის სურვილიც დამებადა.

ჯერ ის მქონდა გასარკვევი, როგორ გამოუტყდა ქოულმენი ფაუნიას, ცხადია, თუკი საერთოდ სავარაუდო იყო, რომ გაენდო. სჭირდებოდა კი ამისთანა გულღიაობა? თუკი იმასაც ვივარაუდებ, რომ ჩემთან პირველი სტუმრობისას, ფაქტობრივად, მომთხოვა, კეთილინებეთ და ჩემი ამბავი წიგნად დაწერეთო, მაგრამ მაინც ვერ გამიმხილა თავისი საიდუმლო, მერე კი საერთოდ გადაიფიქრა, რომ წიგნი მე შემექმნა (ალბათ, მიხვდა, რომ სრული სიმართლის თქმა მოუწევდა.), და თვითონ მოჰკიდა ამ საქმეს ხელი; ოდნავ მოგვიანებით კი ამასაც მიანება თავი, როცა გადაერთო კოლეჯის დამლაგებელზე, რომელიც მისი ცხოვრების (და არა მხოლოდ სარეცლის) გამზიარებელი გახდა, ანუ რაღა გასაკვირია, რომ ეთქვა კიდეც რამე?! ის ხომ ელის მაგის შემდეგ პირველი და უკანასკნელი ქალი იყო, რომლის წინაშეც დედიშობილას შეეძლო სიარული, ესე იგი, შეეძლო ზურგი მიეშვირა და ეჩვენებინა ის გასაღები, რომლითაც თავი დაიქოქა წლების წინ, რათა ცხოვრებაში წინ წასულიყო. ჯერ ელი, მერე სტინა, ბოლოს კი ფაუნია. აი, ერთადერთი ქალი, რომელმაც მასთან მთელი ცხოვრება გაატარა და მისი სიმართლე კი იოტისოდენადაც ვერ გაიგო, ეს მისი ცოლი, აირისი, იყო. და მაინც რატომ ფაუნია? მარტივია პასუხი: რამდენადაც ადამიანს საიდუმლოს ქონა სჩვევია, იმდენადვეა მიდრეკილი, ადრე თუ გვიან, ვინმეს გამოუტყდეს. თუნდაც ეს ვინმე ის ქალი იყოს, რომელიც არავითარ კითხვებს არ უსვამს და ამით საიმედო მესაიდუმლის სახელს იმკვიდრებს კაცის თვალში. დიახ, ამ ქალისთვის საიდუმლოს გამხელაში წინ რა დაუდგებოდა? პირიქით, თუ ვინმეს ენდობოდა ამ მხრივ, ალბათ, ყველაზე მეტად ფაუნიას. ფაუნიას კითხვების არდასმა უყურადღებობით ან უინტერესობით კი არ სჩვეოდა, არამედ ქოულმენის პატივისცემის გამო, რაც კაცის ღირსებასთან პირდაპირ კავშირში იყო. გათელილ ღირსებასთან.

– დავუშვათ, სრულიად საპირისპიროდაც მოხდა ყველაფერი, – ვუთხარი ჩემს წარმოსახვით თანამოსაუბრეს, – დავუშვათ. და მაინც, არ გიცდიათ იმის გარკვევა, წინათ მეძავი ხომ არ იყო ფაუნია... როდესაც მისი საიდუმლოს გაგება განიზრახეთ...

მის სამარესთან რომ ვიდექი, ვფიქრობდი, დაყრილი მიწის სიმძიმემ როგორ გააცამტვერა-მეთქი ის ყველაფერი, რასაც ქოულმენი წარმოადგენდა. ვიდექი და ვიცადე, ვიცადე, ვიცადე, სანამ მის ხმას არ გავიგონებდი, და როგორც იქნა, ქოულმენმა ფაუნიას ჰკითხა, რომელი სამუშაო გძულდა ყველაზე მეტადო? მე კიდევ კარგა ხანს მომიხდა ლოდინი, რომ ფაუნიას ნაწყვეტ-ნაწყვეტი ემანაციებისთვის მომეკრა ყური. აი, ასე დაიწყო ყველაფერი – წყვდიადით დაბურულ სასაფლაოზე ჩემი დგომით, სიკვდილთან ჩემი პროფესიული კონფრონტაციის დაწყებით.

– ბავშვების დაღუპვის მერე, ხანძრის შემდეგ, – მომესმა ქოულმენისკენ მიმართული ფაუნიას ხმა, – ნებისმიერ სამუშაოს ვთანხმდებოდი. ისიც კი არ მაღელვებდა, სად ვიყავი. სრული სიბნელე. მერე ის თვითმკვლელობაც მოხდა. იქ, ბლექუელთან ახლოს, ტყის სახლში. საფანტის თოფით. პატარ-პატარა საფანტით. გვამი უკვე წაეღოთ. ერთმა ახლობელმა ლოთმა ქალმა, სისიმ, დახმარება მთხოვა. ყველაფრის დასუფთავება უნდოდა. «ვიცი, ვიცი, – მეუბნება სისი, – უცნაური თხოვნაა, მაგრამ ვიცი, რომ ამტანი გოგო ხარ და გაქაჩავ. ხომ დამეხმარები?» იმ სახლში ქალს, კაცსა და ბავშვებს უცხოვრიათ, მერე რაღაც ჩხუბი მომხდარა, კაცს მეორე ოთახში თოფი აუღია და თავისთვის დაუხლია. «მოკლედ, დასასუფთავებელია», – მეუბნება სისი. მეც ვიფიქრე, ჯანდაბას-მეთქი და გავყევი. არც ფული მქონდა, ვერც ჩემს თავში გავრკვეულიყავი, ჰოდა, გავყევი. სიკვდილის სუნი. ახლაც კი მახსოვს. რკინის სუნის მსგავსი. სისხლი. აქოთებული. აქოთება მერე გენახა, მორეცხვა რომ დავიწყეთ. სანამ სისხლი ცხელ წყალში გაიხსნებოდა, კიდევ რა უჭირდა. ხის სახლი იყო. ერთი გასროლა და ტვინი მთელ ოთახს გადაანთხია. როგორც ცხელი წყლითა და დეზინფექტანტით დავიწყეთ მოხეხვა... ფუუუ! რეზინის ხელთათმანები კი მეკეთა, მაგრამ ნიღბის გაკეთებამაც მომიწია, უკვე ფეხზე ვეღარ ვიდექი. კედლებზე ძვლის ნამსხვრევები იყო სისხლით მიკრული. პირში ჩაუდვია ლულა იმ უბედურს და ბუხ! ძვლისა და კბილების ნამსხვრევებით იყო კედელი მოთხვრილი.

მახსოვს, სისის გადავხედე, მან კი თავი გაიქნია, «ისე, ამას როგორ უნდა ვაკეთებდეთ, რამდენიც უნდა გადაგვიხადონ?» თავი არ დავზოგეთ. საათში ას დოლარს გვიხდიდნენ. ცოტა იყო, ახლაც ასე ვფიქრობ.

– რამდენი იქნებოდა მისაღები ანაზღაურება? – ქოულმენის ხმა მომესმა.

– ათასი. ცეცხლი იყო ყველაფერზე წასაკიდებელი! რამდენიც უნდა მოეცათ, მისაღები მაინც არაფერი იქნებოდა. სისი შეუძლოდ გახდა და გავიდა. მე კი... ბავშვები დამეღუპა, შეშლილი ლესთერი დღედაღამ მოსვენებას არ მაძლევდა, ნეტავ დასაკარგი რაღა მქონდა? უკვე ყველაფერში ვყოფდი ცხვირს, არაფერს ვერიდებოდი. დამაინტერესა, რატომ ჩაიდინა-მეთქი ასეთი რამ. სულ მაინტერესებდა თვითმკვლელობის მიზეზი. მაინტერესებდა, საიდან მოდიოდნენ სერიული მკვლელები. საერთოდ, სიკვდილი მაინტერესებდა. ფოტოების დათვალიერება დავიწყე, იქნებ ბედნიერების რაიმე ნიშანი მეპოვა. ყველაფერი დავთირე. ბოლოს წამლების უჯრამდე მივედი. აბები. ფლაკონები. ბედნიერების არსებობაზე წამლებმა გამცა პასუხი. მოკლულის პირადი სააფთიაქო უჯრა იყო. როგორც მივხვდი, ფსიქოთროპული პრეპარატები იყო. გამოწერილი ჰქონდა, ეტყობა, მაგრამ პირში არ იკარებდა. ექიმისთვის უკვე მიემართა, მაგრამ წამლებს არ გაჰკარებოდა. ვერ სვამდა წამლებს და მორჩა.

– საიდან იცი? – ჰკითხა ქოულმენმა.

– ასე მგონია. ცოდნაზე კი რა მოგახსენო. ეს ჩემი ამბავია, მხოლოდ ჩემი.

– იქნებ იღებდა წამლებს, მაგრამ მაინც მოისწრაფა სიცოცხლე?

– შეიძლება, – მიუგო ფაუნიამ, – სისხლი. სისხლი ყველაფერს ეწებება, იატაკიდან ძლივს ავაცალე. მეორე, მესამე ჩვარი გამოვიყენე, მაგრამ ლაქას მაინც ვერაფერი მოვუხერხე. მხოლოდ ღია ვარდისფრამდე მივიყვანე. მაგრამ მაინც რაღაც ცოცხალს ჰგავდა. ძლიერი დეზინფექტანტით ვხეხე, მაგრამ სულ ტყუილად. ტკბილი სიმყრალის სუნი იდგა. რკინის სუნის მსგავსი. თან როგორი წებოვანი! მართალს გეუბნები, ვცდილობდი, სხვა რამეზე გადამერთო გონება, მაგრამ ვერ მოვახერხე.

– დიდი ხანი დაჰყავით იქ?

– ალბათ, ხუთი საათი. თავი მოყვარულ დეტექტივად წარმოვიდგინე. ოცდათხუთმეტი წლისა ყოფილა. არ ვიცი, პურის ფულს რითი შოულობდა. იქნებ ვაჭრობით. მეტყევე ან რაღაც მაგდაგვარი უნდა ყოფილიყო. მთების შვილი. გრუზა თმით, გაბურძგნილი წვერით. ქალი კი ტანმორჩილი, სასიამოვნო სახით. თეთრი კანი ჰქონდა, თმა – მუქი. თვალებიც. თაგუნიას ჰგავდა. შეშინებულს. ფოტოებიდან მეტი ვერაფერი შევიტყვე. ბეხლეწი მეტყევე და იღლიის ქვეშ პატარა თაგუნია. არ ვიცი. არც მინდა, ვიცოდე. ვინ ვიყავი? ნებაზე მიშვებული არასრულწლოვანი გოგონა. სკოლიდან დავახვიე და სკოლასაც დავახვევინე. ატანა აღარ მქონდა. თან ისეთი მოწყენილობა იყო, გააფრენდი. ადამიანების თავს კი რა აღარ ხდება. ჩემს ჩათლახ სახლზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ამის მერე სკოლაში ვიჯდე და ნებრასკის დედაქალაქს ვიზუთხავდე? ყველაფრის გაგება მინდოდა, რაც გარეთ ხდებოდა. მოკლედ, გამოღწევა მინდოდა. ჰოდა, ფლორიდისკენ დავადე თავი, თვალს წყალი დავალევინე, სად აღარ შევყავი ცხვირი. ყველაზე უარესის გაგებასაც არ გავექეცი. და რა იყო ყველაზე უარესი? შენ თუ იცი, რა იყო? როცა კაცმა პირში ჩაიხალა, ქალიც სახლში ბრძანდებოდა. ჩვენი მოსვლისათვის საცოდავი უკვე საგიჟეთში ჰყავდათ გადაყვანილი.

– ეს იყო ყველაზე უარესი, სადაც კი გიმუშავია? ამაზე უარესი არაფერი გაგიკეთებია?

– ჰო, ეს იყო. ათასი რამ შემხვედრია გასაკეთებელი, მაგრამ ამაზე უარესი არაფერი. საზიზღრობა იყო. არადა, როგორ მიმიზიდა, დავინტერესდი, რატომ ჩაიდინა-მეთქი.

ფაუნიას ყველაზე უარესის გაგება სურდა. რადგან ყველაზე უარესი ხშირად სინამდვილესთან ახლოს არის ხოლმე. მაგრამ სინამდვილე რაღაა? როგორია? როგორია და ისეთი, როგორიც ქოულმენმა უამბო. ელის შემდეგ პირველად გაენდო ადამიანს. მოუყვა, რადგან უყვარდა იმ წუთებში, წარმოიდგენდა, როგორ წმენდდა და ხეხავდა სისხლიან იატაკს და გულთან მიიტანა მისი ნათქვამი. ამაზე ახლოს ფაუნიასთან არასდროს ყოფილა. და თუკი ეს შესაძლებელია, მასზე ახლოს, ვიდრე ვინმე სხვასთან ამ ცხოვრებაში! უყვარდა. რადგან მაშინ უყვარდებათ ხოლმე ადამიანი, როდესაც მას ყველაზე საშინელის წინაშე

ხედავენ სიმშვიდით მოცულს. არც სიმამაცით. არც გმირობით. არამედ, სიმშვიდით. ქალში უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა. არც რამის იმედი ჰქონდა, არც რამეზე ოცნებობდა. ინსტინქტს უთმობდა გონებას. რამდენიმე საათში ეს ნაბიჯი ეგებ შეცდომადაც მოსჩვენებოდა, მაგრამ ახლა ასე სურდა. ფაუნიას მიენდო, ამაში იყო საქმე. მიენდო: ქალმა ხომ ახეხა სისხლი იატაკიდან. ფაუნია არც რელიგიური გახლდათ, არც პირმოთნე, არც სისპეტაკის მოთხოვნილებით შეპყრობილი, რაოდენ სიბინძურის დაღიც უნდა ჰქონოდა დამჩნეული. არავითარი სურვილი არ უჩნდებოდა, ვინმე გაეკრიტიკებინა, ეს სრულ იდიოტიზმად ეჩვენებოდა. თუმცა ქოულმენს რაც უნდა ეთქვა, სტინასავით არ დაჰკრავდა ფეხს და არ გაიქცეოდა.

– რას იფიქრებდი, ჩემზე რომ გაგეგო, – ჰკითხა ქოულმენმა, – თეთრკანიანი არ არისო?

მის მზერაში თუ რაიმე გაოცების ნაპერწკალი გაკრთა, მხოლოდ წამის მეათასედში. მერე თავისი ჩვეული ხარხარი ატეხა.

– რას ვიფიქრებდი? რასაც აქამდე ვხვდებოდი, ახლა დასტურდება-მეთქი.

– წარმოუდგენელია.

– კაი ერთი! მშვენივრად ვიცი, ვინც ხარ. საბედნიეროდ, სამხრეთში ვცხოვრობდი და ათასი ჯურის ხალხი მინახავს. ვიცი, ვიცი. გეგონა, პროფესორობით ამიხვევდი თვალებს? ვერ მოგართვი.

– რაღაც ვერ მჯერა შენი, ფაუნია.

– ნება შენია, – მშვიდად მიუგო ქოულმენს, – დაკითხვებს მორჩი?

– რა დაკითხვებს?

– ყველაზე უარესი სამუშაო რომელი იყოო თუ რაღაც ეგეთები...

– რა თქმა უნდა, – უპასუხა ქოულმენმა და ახლა მის კითხვებს დაელოდა. თუმცა ამაოდ. ეტყობა, ქალს ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. თან არსად გაქცეულა. ამის მიუხედავად, მთელი ისტორია უამბო, ფაუნიაც განაბული უსმენდა, მაგრამ უცნაურს ან დაუჯერებელს ვერაფერს ისმენდა. მისთვის უბრალოდ ცხოვრება იყო ეს მონაყოლი და მეტი არაფერი.

თებერვალში ერნესტინმა დამირეკა, – იქნებ ერთთვიანი აფროამერიკული სეზონის დადგომაზე გაახსენდა, როგორ მიხსნიდა მეთიუ ჰენსონისა და ჩარლზ დრიუს ვინაობას. იქნებ იმის გამოც, რომ გადაწყვიტა, იმ სამყაროსთან დავეკავშირებინე, – ოთხ მილზე გაშლილ დაბასთან, სადაც ყველაფერი იყო ოდესღაც და სადაც მისმა და მისი ძმების ბავშვობამ და სიყრმემ გაირბინა, რომელსაც ქოულმენმა ზურგი აქცია და უყოყმანოდ მოსწყდა. თემის მხარში დგომა, შენი ერთგულება, ოჯახიშვილობა, მამობა – ეს ყოველი იქ ისე აღიქმებოდა, როგორც მოცემულობა, რომელიც სწამთ და ამაში უჩვეულოს ვერაფერს ხედავენ, ვერ ხედავენ ვერც ზედაპირულს, თეატრალურს ან მოჩვენებითს... ყოველივე ძვირფასი, რაც სისხლსავსე, მხურვალე, საღი აზრით აღსავსე ცხოვრებას ერტყა გარს, მაგრამ ქოულმენმა ასე ცივად გადაუსვა ხაზი.

ჩემდა გასაკვირად კი სულ სხვა რამ მაუწყა: მითხრა, კვირას აისბერი-ფარქიდან უოლთერი ჩამოდის ცოლთან ერთად და თუ წინააღმდეგი არა ხართ ნიუ-ჯერსიში მოგზაურობისა, სიამოვნებით გიხილავდით საკვირაო სადილზეო. უოლთერის გაცნობა ხომ გსურდათ; ვიფიქრე, სახლს დავათვალიერებინებ, ფოტოებსაც ვუჩვენებ-მეთქი, გარდა მაგისა, იმ ოთახსაც განახვებთ, სადაც უოლთსა და ქოულმენს ეძინათ, მერე კი ჩემი ვაჟის ოთახი იყო, თუმცა ნეკერჩხლის ხისგან დამზადებული საწოლები ჯერ კიდევ არსად წაგვიღია.

აი, ასე მივიღე სილქების ოჯახურ ბუდეში მიწვევა, რომელიც ქოულმენმა უარყო როგორც პატიმრობის ადგილი, რათა იმ გარემოში გადასახლებულიყო, რომელიც, მისი აზრით, მისი მასშტაბის შესაფერი იყო. სურდა, სულ სხვა ნიავს დაებერა მისთვის. ყველაფერი უარყო, ყველაფერს ზურგი შეაქცია – მთელ ამ განტოტვილ ზანგურ სამყაროს გადაუსვა ხაზი, რათა როგორმე დაეღწია თავი. რამდენი მხურვალე მისწრაფება, რამდენი საიდუმლო გეგმა, ეშმაკობა, შენიღბულობა – და ეს ყველაფერი იმისათვის, რომ საკუთარი კერა მიეტოვებინა და გადასხვაფერებულიყო.

– სხვა არსება გამხდარიყო. ხელახლა შობილიყო. ესეც თქვენი დრამა, ამერიკული მოთხრობის საფუძვლად რომ ქცეულა, მაღალმხატვრული დრამა წასვლისა და ყველაფრის უკან მოტოვებისა. ესეც თქვენი სასტიკი ენერგია, რომელიც მის შმაგ

ქმედებას პურად ჰყოფნიდა.

– დიდი სიამოვნებით გეწვევით, – ვუპასუხე მე.

– ვერაფრის გარანტიას ვერ მოგცემთ, – გამაფრთხილა მან, – მაგრამ ზრდასრული კაცი ხართ და თქვენი თავის მიხედვა არ გაგიჭირდებათ.

გამეცინა.

– ამით რისი თქმა გნებავთ?

– უოლთერი უკვე ოთხმოცს უკაკუნებს, მაგრამ დიდი გავარვარებული ღუმელივით არის. ისეთი რამის თქმასაც არ მოერიდება, რაც შეიძლება, სულაც არ მოგეწონოთ.

– თეთრებზე?

– არა, ქოულმენზე. ანგარებიან ცრუპენტელაზე. უგულო შვილზე. თავისი ხალხის გამყიდველზე.

– ის თუ უთხარით უკვე, ქოულმენი რომ აღარ არის?

– ჰო, როგორც იქნა, გადავწყვიტე. მაინც ერთი ოჯახი ვართ. არაფერი დამიმალავს.

* * *

რამდენიმე დღეში ფოტოსურათი მივიღე, რომელსაც ერნესტინის მინაწერი ახლდა: «ეს ფოტო შემთხვევით ვნახე და ჩვენი შეხვედრა გამახსენდა. მიიღეთ თქვენი მეგობრის, ქოულმენ სილქის, სამახსოვროდ». სურათი გახუნებული შავ-თეთრი ფოტოს ოთხ-ხუთ დუიმზე გადიდებულ ასლს წარმოადგენდა, აშკარად რომელიღაც უკანა ეზოში «ბრაუნის» უბრალო აპარატით უნდა ყოფილიყო გადაღებული. ფოტოზე გამოსახული ქოულმენი იმ მოკრივე მანქანას ჰგავდა, რომელიც უდარდელად ემზადებოდა ხოლმე რინგზე გასასვლელად. თხუთმეტზე მეტისა არ იქნებოდა, მაგრამ დახვეწილი ნაკვთები ბიჭურ ხიბლს სძენდა, თუმცა კი დასრულებული და ჩამოყალიბებული კაციაო, ვერ იტყოდით. ობიექტივს პროფესიონალი მოკრივის ავი მზერით მისჩერებოდა – იმ მტაცებლის მზერით, მსხვერპლი რომ ამოუღია მიზანში,

მზერით, საიდანაც ყველაფერი გაძევებულია გარდა გამარჯვების სურვილისა და ავის მომტანი გათვლების. პატარა ნიკაპი გამხდარ მხარზე დაედო და წარბები შეეკრა, ხელთათმანები მზადყოფნის კლასიკურ მდგომარეობაში ჰქონდა მოყვანილი, თითქოს შიგნით მისი მუშტები კი არა, თხუთმეტიოდე წლის ბიჭის მთელი იმპულსები ჰქონდა თავმოყრილი. ხელთათმანები მის სახეზე უფრო მსხვილი იყო. უნებურად სამთავა ბიჭი ეგონებოდა მნახველს. მე მოკრივე ვარ, – მარტო ეს პოზა გვიცხადებდა მრისხანედ, – ნოკაუტში ჩაგდება კი არა, მოწინააღმდეგის დალილავება მომწონს. რაც მინდა, იმას ვუკეთებ, სანამ ბრძოლას არ შეწყვეტენ. ჰო, მართლაც სწორად დაუხასიათებია თავის დას, მოუდრეკელი იყოო, რომ მითხრა, – სურათის უკანა მხარეს გახუნებული ლურჯი მელნით სწორედ ეს სიტყვა იყო დაწერილი; ალბათ, ერნესტინმა თუ მიაწერა პატარაობისას.

ერნესტინიც კაი ვინმე ყოფილა-მეთქი, გავიფიქრე და ყრმა მოკრივის ფოტოს ჩარჩო გამოვუძებნე, რომ ჩემს საწერ მაგიდაზე დამედო. სიმამაცე ამ ოჯახში ქოულმენით არც დაწყებულა და არც დამთავრებულა. «ეს გაბედული საჩუქარია გამბედავი ქალისაგან», – გავიფიქრე. პირველი ნახვისას მიღებული შთაბეჭდილება კი გადახედვას მოითხოვდა. ნეტავ რა იმალება ამ მიპატიჟების მიღმა? ან ჩემი თანხმობის მიღმა რაღა იმალება? უცნაურია, რომ მე და ქოულმენის და ერთმანეთისაკენ მიგვიზიდა, მაგრამ ათჯერ, ასჯერ და ათასჯერ უცნაური მაინც ის არის, რაც ქოულმენს შეეხება.

მიპატიჟება ერნესტინისგან, ქოულმენის ფოტო – აი, რატომ წავედი ისთ-ორინჯში თებერვლის პირველ კვირას, სენატის მიერ ბილ ქლინთონისთვის პოსტის შენარჩუნების გადაწყვეტილების შემდეგ, და რატომაც მოვხვდი მთებს შორის გაყვანილ ყრუ გზაზე, რომლითაც პრაქტიკულად არასდროს ვსარგებლობ, მაგრამ რომელსაც ყველაზე მალე უნდა გავეყვანე მეშვიდე გზატკეცილზე. ამიტომაც გამოვიდა ისე, რომ ფართო ველზე მიმავალ გზაზე გაჩერებული ნაცრისფერ პიკაპს მოვკარი თვალი, – არადა, სხვა დროს, ალბათ, შეუმჩნევლად ჩავუქროლებდი, – რომელსაც ბამპერზე ეწერა: «სამხედრო ტყვეები და უგზო-უკვლოდ დაკარგულები». უეჭველია, ლეს ფარლის პიკაპია-მეთქი, გავიფიქრე და მანქანა დავამუხრუჭე. პიკაპი შორს დამრჩა, ამიტომ მანქანა უკან დავხიე და პირდაპირ მის წინ დავაყენე.

როგორც ჩანს, მთლად კარგად ვერ ვაცნობიერებდი ჩემს ქმედებას, თორემ ამას რა გამაკეთებინებდა? მაგრამ მას მერე სამი თვე იყო გასული, რაც ქოულმენ სილქის ცხოვრებამ ჩემს საკუთარ ყოველდღიურობაზე მეტი ფასი შეიძინა, ამიტომაც დასაფიქრებელიც არაფერი იყო, რომ სხვაგვარად მოვქცეულიყავი, არ გადმოვსულიყავი ზამთრის ყინვა-ყიამეთში ჩემი ავტომობილიდან, არ დამედო ხელთათმნიანი ხელი იმ მანქანის გაყინულ კაპოტზე, რომელმაც ქოულმენის სამოცდამეთორმეტე დაბადების დღეზე, საღამო ხანს, პირდაპირ შემხვედრ ზოლზე აუჩქარა და პროფესორი, რომლის გვერდითაც ფაუნია იჯდა, აიძულა, გზიდან გადაეხვია, დამცავი ჯებირი გაენგრია და მდინარეში გადაშვებულიყო. აგერ, მკვლელობის იარაღიც, – რაკი მანქანა აქაა, მაშინ თავად მკვლელიც შორიახლოს უნდა იყოს.

როდესაც გამახსენდა, სად მივდიოდი, კიდევ ერთხელ გავიფიქრე, ისე, მართლაც რა საოცარია-მეთქი ერნესტინის ზარი, უოლთერის გასაცნობად მიწვევა, წუხანდელს აქეთ მთელი დღე აკვიატებული აზრები ადამიანზე, რომელსაც ერთი სრული წელიც კი არ ვიცნობდი ხეირიანად, რადგან კი დავმეგობრდით, მაგრამ არცთუ განუყრელი ძმაკაცები გავმხდარვართ, – ასე რომ, მოვლენათა მსვლელობა ფრიად კანონზომიერი მომეჩვენა. როდესაც წიგნებს წერ, სხვაგვარად ვერც მოგეჩვენება კაცს. მარტო ის არ კმარა, რომ რაღაც ძალა გაიძულებს ბოლომდე უკირკიტო ცხოვრებას – იგივე ძალა ყველაფერს თვალწინ გიწყობს და როგორია, გვერდი აუარო? მერე კი აღმოჩნდება ხოლმე, რომ ნებისმიერ მიგდებულ გზაზე საკმარისია ფეხი შედგა და იქ მიგიყვანს, სადაც განგებამ მიგავლინა – მოკლედ, სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო, რომ იტყვიან, ისე მომივიდა.

ჰოდა, იმას აკეთებ, რასაც გული გკარნახობს. ქოულმენ, ქოულმენ, ქოულმენ, დასანანია, რომ აღარ ხარ ამქვეყნად, არადა, ჩემი აზრების ცენტრში კი იმყოფები. თანაც, შეგეძლო, თავადვე დაგეწერა ეს წიგნი. მაგრამ შენს წიგნად მთელი შენი ცხოვრება იქცა. საკუთარ თავზე წერა ერთდროულად გამოჩენასაც და მალვასაც გულისხმობს, მაგრამ შენ ოდენ მალვის გზა გქონდა არჩეული, თუმცა ეს წამოწყება დასაბამითვე განწირული აღმოჩნდა. შენს წიგნად შენი ცხოვრება გადაიქცა, მაგრამ ხელოვნებად? ხელოვნებად

თეთრკანიანად ქცევა ხომ არ მიიჩნიე, როგორც შენი ძმა იტყოდა, «თეთრზე თეთრ» ადამიანად გადაქცევა? შენი განუმეორებელი გამონაგონი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ყოველდილა იღვიძებდი იმად, რადაც თავი იქციე.

თოვლი დამდნარიყო, ალაგ-ალაგ შეიმჩნეოდა, ისიც ჭყაპნარევი, მთელი მინდორი ტალახით იყო დაფარული, ამიტომ ნაფეხურს ვერსად მოვკარი თვალი, მაგრამ ალალბედზე გადავწყვიტე, ლესი მომეძებნა. ხეების მეჩხერი წყება დავინახე და იქით გავწიე, რადგან ხეებს იქით კიდევ ერთი ველი მოჩანდა. ტყის ეს პატარა ნაწილი გადავჭერი, მერე მეორე ნაწილიც გადავკვეთე, ამჯერად წიწვნარი, და უფრო მოზრდილ ველზე აღმოვჩნდი, რომლის იქითაც დიდი, გაყინული ტბა დავინახე – მოგრძო, მკვეთრად მოხაზული – ირგვლივ მოყავისფრო, თოვლით დაკოპლილ ბორცვებში მოქცეული. უფრო შორს მოალერსე ტალღებად მოჩანდა უფრო მაღალი ბორცვები – თითქმის მთები. საავტომობილო გზიდან რაღაც ხუთასი ნაბიჯის გავლის შემდეგ ისეთ ადგილას შევიჭერი, – დიახ, მართლაც ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ დაუპატიჟებლად შევიჭერი ვიღაცის სამფლობელოში – უდიერად შევაბიჯე უდარდელ პირველქმნილებაში, რომელსაც ზოგჯერ ახალი ინგლისის შიდა წყალსაცავები აქვს ხოლმე შემოვლებული. ასეთი ადგილები, – რატომაც აფასებენ კიდეც, – იმ სამყაროს წარმოგვიდგენენ, ადამიანის შექმნამდე რომ იყო. ბუნება მყისვე ძლიერ დამამშვიდებელ გავლენას ახდენს, ახლაც ასე მოხდა: უკვე აღარც არავისი წყენა მახსოვდა და აღარც იმ შუალედზე ვფიქრობდი, წუთისოფელს რომ უწოდებენ და მართლაც წუთივით რომ შემოგადნება ხელში გარდაუვალი განადგურების წინაშე. აქაურობას დიდებულისა და გრანდიოზულისა არაფერი ეცხო, ამიტომაც ისე დატკბებოდი ამ სილამაზით, რომ არც უსუსურად იგრძნობდი თავს და არც უგვანად.

ტბის თითქმის შუაგულში ფიგურა შევამჩნიე გაბერილ ყავისფერ კომბინეზონსა და შავ ქუდში. მომაღლო ყვითელ სათლზე იჯდა, ხელში ანკესი ეჭირა და ყინულჭრილს დასცქეროდა. თავი ასწია და შემომხედა. ეს რომ დავინახე, ყინულზე მეც ფეხი შევდგი. მისი მყუდროების დარღვევა არ მინდოდა, მით უმეტეს, არც ის მსურდა, რომ ჰგონებოდა, ჩემს შესაწუხებლად მოვიდაო. თუ ეს მეთევზე მართლაც ლეს ფარლი იყო, ჯობდა, ყოველგვარი მოულოდნელობებისგან

ვყოფილიყავი დაზღვეული.

რასაკვირველია, ისიც გავიფიქრე, უკან ხომ არ გავბრუნდე-მეთქი. მივიდოდი გზამდე, ჩავჯდებოდი ჩემს მანქანაში, დავადგებოდი მეშვიდე გზატკეცილს და კონექტიკუტის გავლით 684-ე ტრასაზე გადავიდოდი, – ამ ტრასით კი გარდენ-სთეით-ფარქუეიმდე ერთი ხელის გაწვდენა იყო. ქოულმენის საძინებელს ვნახავდი; ვნახავდი მის ძმასაც, რომელსაც წარსულში ჩადენილი საქციელის გამო უმცროსი ძმა დღემდე სძულდა. აი, ეს ფიქრები მიტრიალებდა თავში, როდესაც ყინულზე მივაბიჯებდი მკვლელის მიმართულებით. იმ დრომდე, სანამ მივუახლოვდი, რომ მივსალმებოდი და თევზაობის შესახებ მეკითხა რამე, ვფიქრობდი, რა ბედენაა, შეწუხდება თუ არ შეწუხდება-მეთქი ჩემი გამოჩენით. ასეა თუ ისე, მაინც მტერი ეთქმოდა. ამ თეთრი ყინულის ცარიელ სცენაზე ერთადერთი მტერი.

– დაიჭირეთ რამე? – ვკითხე მე.

– რა უჭირს.

წამიერად შემომხედა და ისევ ამოტეხილ ორმოს დააჩერდა, – ორმოცი კვადრატული ფუტის ტბაზე თხუთმეტ ადგილას მაინც იქნებოდი ამოტეხილი. უფრო სწორად კი, რაღაც იარაღით ჩანდა ამობურღული, რომელიც ყვითელი სათლის გვერდით დაედო. სათლი შვიდგალონიანი იყო და ეტყობა, თავის დროზე სარეცხი საშუალების შესანახად გამოიყენებოდა. საბურღი იარაღი კი ფოლადის ოთხფუტიან ღერძს ჰგავდა ბოლოში ფართო ცილინდრული კორპსაძრობის მსგავსი წვეტით. სერიოზული და მძლავრი იარაღი იქნებოდა გამოყენების შემთხვევაში, თუკი, ცხადია, მზისგან ალაპლაპებულ მუხლუხა სახელურს წაავლებდა ვინმე ხელს. ბურღი.

– დროს მაინც გაიყვანს კაცი, – ჩაიდუდუნა მან, – მეტი რა საქმე მაქვს.

გავიფიქრე, ალბათ, პირველი კი არა, ორმოცდამეათე მაინც ვარ, ვინც ამ გაყინულ ტბაზე გადავიდა და თევზაობის შესახებ დაუსვა კითხვა-მეთქი. შავი მატროსულა ქუდი ყურებსა და შუბლზე ჩამოიფხატა და რაკი მუქი ფერის შეჭაღარავებულ წვერ-ულვაშსაც ატარებდა, მისი სახის თავისუფალი ნაწილი ჰორიზონტულ ზოლს დაემსგავსა, რაც საკმაოდ თვალში საცემი

მეჩვენა, – უკვე ფიზიონომიას კი არა, ამოწეულ დაბლობს დაემსგავსა სახის ეს თავისუფალი ნაწილი. მუქი, სქელი, გაფანჩული წარბები, შორი-შორს მდებარე დიდრონი ცისფერი თვალები ჰქონდა, სახის შუაში კი, ზედ ულვაშის თავზე – ბავშვის განვითარებადაუსრულებელი ცხვირუკა – ცხვირის ფუძის გარეშე. სახის ის ნაწილი, რომელიც წვერ-ულვაშსა და ბეწვის ქუდს შორის დაიტოვა დაუფარავი, არაოდენ გეომეტრიულ, არამედ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც მეტყველებდა.

– ლამაზი ადგილია, – ვთქვი მე.

– ამიტომაც ვარ აქ.

– თან მშვიდი.

– ღმერთთან ახლოს, – შენიშნა მან.

– ჰო? გრძნობთ ამას?

ერთ მომენტში გუნება შეეცვალა – გარე ჯავშანი თითქოს მოიცილა, – რომლითაც დამიხვდა – რათა უფრო შინაარსიანი გამოსულიყო ჩვენი საუბარი. თუმცა ისევ მეთევზის პოზაში დარჩა, მაგრამ ანტისოციალურობის აურა მისი ხმის ტონმა გაფანტა; ხმა კი გაცილებით მდიდარი და მხატვრული აღმოაჩნდა, ვიდრე წარმოვიდგენდი. მის ტონს უფრო ღრმააზროვანს ვუწოდებდი, ერთგვარი დაბნეულობის მიუხედავად.

– აქ სულ ბორცვები და მთებია, – წამოიწყო საუბარი, – სახლები არსად დგას. არავინ ცხოვრობს. ტბის ნაპირზე კოტეჯებიც კი არ ჩანს, – თითოეულ წინადადებას უცვლელად თან სდევდა ღრმა პაუზა: მკვეთრ განცხადებას მძიმე დუმილი მოჰყვებოდა და უნდა მიმხვდარიყავი, დაასრულა თუ არა სათქმელი, – არაფერი აქ არ ხდება. არც ხმაური ისმის. ეს ტბა ოცდაათი აკრია. არც ბენზინიანი ბურღებით დადის ვინმე. არც ხრჭიალი, არც სიმყრალე – მსგავსიც არაფერია აქ. შვიდასი აკრი კარგი, მაგრამ დაუმუშავებელი მიწა და ტყეები. უბრალოდ, ლამაზი ადგილია. სიმშვიდე სუფევს, სიწყნარეა ყველგან. თან სისუფთავეცაა. ჭუჭყიანს ვერაფერს ნახავს თვალი. ამ ცხოვრების აურზაურისა და ალიაქოთისაგან მოშორებით ხარ ადამიანი.

ამომხედა, რომ დავენახე და შევეფასებინე. უცებ შემავლო თვალი – ოთხმოცდაათი პროცენტი შემოხედვისა უშინაარსო იყო, ათი პროცენტი – შიშის მომგვრელი. ამ ადამიანში იუმორის ნასახიც ვერ შევნიშნე.

– სადამდეც შევინახავ საიდუმლოდ, – მითხრა მან, – იქამდე დარჩება ხელუხლებლად.

– გონივრულია, – მივუგე მე.

– ისინი ქალაქებში არიან შეყუჟულები; აურზაურში არიან გამოკეტილები, სულ სამსახური ელანდებათ. სიგიჟე სამსახურში წასვლისას, სიგიჟე სამუშაოზე ყოფნისას და ბოლოს, დავიდარაბა შინ დაბრუნებისას და სახლშიც. ტრანსპორტი, საცობები. აი, ასეთ ყოფაში არიან ჩაფლული. მე კი გამოვერიდე და აქ ვარ.

ვის გულისხმობდა «იმათში», კითხვადაც არ ღირდა. მართლა, არც მე გახლდით ქალაქში მცხოვრები და ბენზინის ბურღსაც არ ვიყენებდი, მაგრამ მის თვალში მე «მათ» ვეკუთვნოდი. ყველა ჩვენგანი «მათ» ეკუთვნოდა, გარდა ერთი ადამიანისა – თავისი თავისა, რომელიც ტბის შუაგულში იჯდა სათლზე და პატარა ანკესი ჩაეყო ყინულჭრილში. სრულიად გაცნობიერებულად არ მიყურებდა სახეში საუბრის დროს, სულ წყალს ჩასჩერებოდა.

– ზოგჯერ აქ ტურისტი, მოთხილამურე ან ვინმე თქვენნაირი გაივლის ხოლმე. მერე, ჩემს მანქანას რომ ნახავს, აქეთ გამოუყვება და მნახულობს. მე სულ აქ ვზივარ, ვთევზაობ, ხოლო თქვენნაირი, ვინც არ თევზაობს... – აქ ისევ ამომხედა და თითქოს რაღაც მისტიკურად გაიაზრა, რომ მეც «იმათ» ვეკუთვნოდი, – თქვენ, ალბათ, არ თევზაობთ.

– არა. უბრალოდ, თქვენი პიკაპი დავინახე გზაზე. კარგი დღეა და სასეირნოდ ვარ გამოსული.

– ისინიც მაგას ამბობენ, – ისეთი ტონით მითხრა, თითქოს ჩემი ნაპირზე გამოჩენის წუთიდან სცოდნოდა ყველაფერი, – მეთევზეს მოჰკრავენ თვალს და მაშინვე უახლოვდებიან, ცნობისმოყვარეობა კლავთ; პირველი კითხვა ის არის ხოლმე, რამდენი დაიჭირეო? მეც რაღა უნდა გავაკეთო... – უეცრად აზრი ფიქრმა გააწყვეტინა: საერთოდ, რას ვაკეთებ ამწუთას? რას ვლაქლაქებო? – როცა ხელახლა ამოიღო ხმა, კინაღამ გული გამიჩერდა შიშისგან, ვიფიქრე, რაკი თევზაობა გავუფუჭე, ახლა

ჩემზე არ მოიტანოს-მეთქი იერიში. უკვე მეთევზე კი არა, ლეს ფარლი იყო!

– სხვა რა უნდა გავაკეთო, – ოდნავ ხმაშეცვლილმა გაიმეორა ნათქვამი, – თევზი ყინულზე მიყრია ხოლმე, ჰოდა, როდესაც ასე თქვენსავით გამოჩნდება ვინმე, უცებ წამოვკრეფ ნადავლს, პლასტიკის ტომარაში ვყრი და ამ სათლის ქვეშ შევაცურებ ხოლმე. ეგენი კი მეკითხებიან, რამდენი დაიჭირეო? მეც ვპასუხობ, ვერაფერ დავიჭირე, როგორც ჩანს, აქ თევზი საერთოდ არ იცის-მეთქი. ამასობაში კი ოცდაათი მაინც მექნება უკვე დაჭერილი. მშვენიერი დღეც რომ იყოს, მაინც ვეუბნები, აზრი არა აქვს აქ ყოფნას, უკვე სახლში მივდივარ-მეთქი. ისინიც შეტრიალდებიან და მიდიან ხოლმე. მერე სხვებსაც ეტყვიან, იმ ტბაზე ხეირს ვერ ნახავთო. აი, ასე ვუფრთხილდები ამ საიდუმლოს. შეიძლება კაცმა იფიქროს, უნამუსოდ იქცევაო, მაგრამ ეს ადგილი ამად მიღირს.

– ახლა უკვე მეც ვიცი ეს ადგილი, – ჩავურთე მე, თუმცა ზუსტად ვიცოდი, რომ ვერანაირი იუმორით ვერ ვაიძულებდი, გამეცინებინა. აზრიც არ ჰქონდა, ამიტომაც თავი აღარც მე გამოვიდე. მართალია, ჩვენ შორის არაფერი ზედმეტი არ თქმულა, მაგრამ ჩემი თუ არა, მისი უსიტყვო გადაწყვეტილებით მაინც ისეთ ურთიერთდამოკიდებულებაში ვიყავით, რომ ღიმილსა და ხუმრობაზე ლაპარაკიც ზედმეტი იქნებოდა. ჩვენმა საუბარმა ამ უკაცურ, გათოშილ და შორეულ ადგილას უცებ უზარმაზარი მნიშვნელობა შეიძინა.

– და ისიც ვიცი, რომ ამ სათლში უამრავი თევზია, – ვუთხარი, – აბა, დღეს რამდენი დაიჭირეთ?

– თითქოს იმ კაცს ჰგავხართ, საიდუმლოს შენახვა რომ იცის. ოცდაათი მაინც იქნება. მაქსიმუმ, ოცდათხუთმეტი. ჰო, აშკარად პატიოსანი კაცი უნდა იყოთ. მგონი, უნდა გიცნობდეთ კიდეც. მწერალი ხომ არა ხართ?

– გახლავართ.

– ვიცი, ვიცი. იმ ჭაობთან არ ცხოვრობთ, ყანჩაც რომ ბინადრობს? დიუმუშელის სახლში.

– ზუსტად. სწორედ მაგ გვარის კაცისგან ვიყიდე ის სახლი, მაგრამ იქნებ მითხრათ, რაკი საიდუმლოს შემნახავი კაცი ვჩანვარ, რატომ ზიხართ სწორედ აქ და არა, ვთქვათ, იქ? ანუ

ამხელა ტბაზე როგორ ირჩევთ სათევზაო ადგილს?

შესაძლოა, თვითონ არც ცდილობდა, რომ ჩემი დაუპატიჟებელი სტუმრობა გაეხანგრძლივებინა, მაგრამ როგორც თავს შევატყვე, მე თვითონ ვცდილობდი ამას.

– დაზუსტებით არავინ იცის, მაგრამ თავიდან იქ ვცდი ხოლმე, სადაც ბოლო ჯერზე იყო ბევრი თევზი. თუ კიდევ გამიმართლებს, იმავე ადგილიდან ვიწყებ.

– ახლა გასაგებია. არადა, უკვე კარგა ხანია, მაინტერესებდა.

მორჩა, ახლა უნდა დავახვიო-მეთქი, გავიფიქრე. ვილაპარაკეთ და მეყოს. მაგრამ მისი ვინაობა მაკავებდა. ფარლი, როგორც ფაქტი – აი, ეს მაჩერებდა. არც დასკვნები. არც მედიტაცია. არც მწერლური განსჯა-განხილვები. არა, – არამედ თავად რეალობა. თვითგადარჩენის კანონმა კი, რომელიც ჩემი სამუშაოს ფარგლებს გარეთ სულ იოლად მართავდა ჩემს ცხოვრებას ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, უეცრად შეწყვიტა მოქმედება. როგორც ყინულზე მისკენ მიმავალმა ვერ მოვახერხე შეჩერება და უკან გაბრუნება, ახლაც ზუსტად ისევე ვერ გავტრიალებულიყავი ჩემს გზაზე და ვერ გავცლოდი. სიმამაცე აქ სახსენებელიც არ არის. თუმცა, არც ლოგიკა და გონებაა რამე შუაში. ის ჩემ წინაშე იყო, მორჩა და გათავდა! მაგრამ შიშიც ახლდა ამ ყველაფერს. მომჯდარ ყავისფერ კომბინეზონში, შავ ქუდსა და სქელძირიან რეზინის ჩექმებში, სამონადირეო თუ სამხედრო კამუფლაჟის უთითო ხელთათმნიანი მკვლელი იჯდა ჩემ წინაშე – ქოულმენისა და ფაუნიას მკვლელი. ამაში ეჭვიც არ მეპარებოდა. აბა, თავისით ხომ არ გადავიდოდნენ გზიდან და მდინარეში ჩაცვივდებოდნენ. აი, ნამდვილი მკვლელი! თვალწინ მიზის. როგორღა წავიდე?

– როცა ძველ ადგილს უბრუნდებით, – ვკითხე, – ყოველთვის გხვდებათ ხოლმე თევზი?

– არა, მთლად მასეც არაა. თევზი ჯოგად დადის ყინულის ქვეშ. დღეს თუ ტბის ჩრდილოეთ ნაწილშია თავმოყრილი, ხვალ შეიძლება სამხრეთ კიდეზე მოექცეს. ზოგჯერ ორი დღე ერთი ადგილიდან არ დაიძვრება. დგას და დგას. თევზს ჯოგად დგომა ახასიათებს, მით უმეტეს, ყინულივით ცივ წყალში. წყლის ტემპერატურის მიხედვით არჩევენ ადგილს და როცა იყინება, თვითონაც ილურსებიან და უმოძრაოდ არიან. თან

ცოტას ჭამენ. თუკი ასეთ ჯოგს წააწყდი, უამრავ თევზს დაიჭერ. მაგრამ ისეც ხდება, რომ ძველ ადგილზე რომ მიხვიდე და ხუთ-ექვსგან ამობურღო ყინული, შეიძლება ერთი ჭიჭყინაც ვერ დაიჭირო. ეს იმას ნიშნავს, რომ სულ ტყუილად გიბურღავს ამდენი. მოკლედ, ტყუილუბრალოდ ზიხარ და ელი.

– ღმერთთან ახლოს, – ვთქვი მე.

– ასიანი ხარ.

მისგან ყველაფერს მოველოდი, ენად გაკრეფას კი არა – ამან ისევე განმაცვიფრა, როგორც იმან, რომ ბეჯითად ცდილობდა, ჩემთვის აეხსნა, ზამთრის პერიოდში ყინულის ქვეშ რა ხდება. ის თუ იცის ნეტავ, ფაუნიას დაკრძალვაზე რომ ვიყავი? რთული არ იყო იმის მიხვედრა, რამდენი კითხვა უტრიალებდა ახლა ჩემ შესახებ გონებაში, ისევე როგორც მე მიტრიალებდა მასზე უპასუხო კითხვების კორიანტელი თავში. დიდი, ნათელი, შემორკალული სივრცე, ცივი, შემომრგვალებული ნაპირები, ყინულის ქვასავით ფენა ტბის ზედაპირზე, – ყინულის წარმონაქმნი, თევზების ნივთიერებათა ცვლა, უამრავი უხმაუროდ მოქმედი, უძველესი ძალა – ეს ყოველივე ორი ადამიანის ქვეყნიერების დასალიერში შეხვედრის სურათს ქმნიდა: უხმოდ ფეთქავდა ორი ურთიერთუნდობი ტვინი და მთელი ეს ინტროსპექცია ჩვენი საერთო სიძულვილისა და პარანოიის გამომხატველი იყო.

– რაზე ფიქრობთ, – ვკითხე მე, – როცა თევზი არ მოდის?

– აი, თუნდაც ახლა, სანამ თქვენ მოხვიდოდით, ათას რამეზე ვფიქრობდი. მაგალითად, ჩვენს გაიძვერა პრეზიდენტ ბილიზე. იმაზე, თუ როგორ უმართლებს, ყველაფრიდან დაიძვრენს თავს. მათზეც ვფიქრობდი, ვინც გაწვევას არ აარიდა თავი, მაგრამ სამში გრძელი მიიღო საბოლოოდ. ასეთ უსამართლობებზე ვფიქრობდი.

– ვიეტნამი? – ჩავეკითხე.

– ჰო. ვერტმფრენებით ვიყავით, მაგათი მომგონის დედა ვატირე, მეორე ვადით უკვე მსროლელად წავედი. წეღან ის გამახსენდა, ჩრდილოეთ ვიეტნამში რომ გავქუსლეთ ორი ჩვენიანის გამოსაყვანად. პილოტები იყვნენ. ვიჯექი და ვფიქრობდი. ისე, როგორი კვაჭია ეს ბილი! ახვარი ეგა! ჯერ იმაზე ვფიქრობდი, ეგ ჩემის გადანგრეული ჩვენი ფულით

როგორ აძლევდა პირში ოვალურ კაბინეტში ვიღაც ძუკნას, მერე კი ორი პილოტი გამახსენდა, ჰაიფონის პორტს გადაუფრინეს და მოხვდათ კიდეც გოგრაში. რაციით მივიღეთ უბედურების მანიშნებელი სიგნალი. მაშველები არ ვიყავით, მაგრად ახლოში ვიმყოფებოდით; გვაცნობეს, უნდა გადავხტეთო, ისეთ სიმაღლეზე იყვნენ, ან უნდა გადამხტარიყვნენ, ან დაილეწებოდნენ. როგორც გითხარით, მაშველები არ ვიყავით, მაგრამ იქვე დავფრინავდით ჩვენი საბრძოლო ვერტმფრენით და გადავწყვიტეთ, ჩვენს ბიჭებს ვუშველოთ-მეთქი. ნებართვაც კი არ გვითხოვია, ისე გავეშურეთ საშველად. ინსტინქტმა იმოქმედა. უბრალოდ, ერთმანეთში მოვითათბირეთ – ორი მსროლელი და ორი პილოტი ვიყავით ბორტზე, – დახმარების იმედი არ გვქონდა, მაგრამ მაინც გამოვიდეთ თავი. მაინც ვცადეთ რა.

ვიფიქრე, სამხედრო ამბებს ტყუილად არ მიყვება-მეთქი. თავისი ყოველი ნაბიჯისა და სიტყვის ფასი იცოდა. ამით რაღაცას მინერგავდა თავში, რაღაცას ჩამაგონებდა. უნდოდა, რაღაც წამეღო აქედან, წამეღო მანქანაში, სახლში, რომლის მდებარეობაც მშვენივრად იცოდა, – საგანგებოდ ახსენა. წამეღო როგორც «მწერალს» თუ როგორც ადამიანს, ვინც მისი მეორე და ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საიდუმლო იცოდა, ვიდრე ამ ტბის საიდუმლოება იყო? დარწმუნებული ვარ, იმას შთამაგონებდა, რომ ყველას არ ჰქონდა ის გამოვლილი, რაც მან გამოიარა, ყველას არ ჰქონდა ნანახი, რაც მან ნახა და თუ საჭიროება მოიტანს, კიდევ წავა და იმავეს გააკეთებს. ის ვიეტნამში ხალხს მუსრს ავლებდა და ეს ვიეტნამელთა მკვლელი ახლა აქაა, ბერქშირში – ჯოჯოხეთიდანაა ჩამოსული და ამჟამად ამ მშვიდ და უშფოთველ მხარეშია.

ბურღი ყინულზეა. ლამის ორივეს ამოგვცქერის. ჩვენი სიძულვილის უფრო ულმობელი განსახიერება რა შეიძლება იყოს, ვიდრე ამ პირწამახული ბურღის ბზინვარება ცარიელ ყინულზე?

– ვფიქრობდით, თუ დაღუპვაა, დაღუპვა იყოს-თქო. ჰოდა, გავფრინდით, საიდანაც სიგნალი მოდიოდა, დავსხედით და ერთ-ერთი სულ უვნებელი ავიყვანეთ ბორტზე. მოირბინა, ავაძვრინეთ და ეგრევე გავფრინდით, თან არავის დაუშენია. ვეკითხები, მეორე სად არის-მეთქი? მპასუხობს, იქით გააქანაო. როგორც კი ჰაერში ავიწიეთ, ეგრევე შეგვამჩნიეს. ჩვენ იქით

გავფრინდით, საითაც გვიჩვენა, მაგრამ იმისთანა ცეცხლი გაგვიხსნეს ქვემოდან, რომ ლამის ჩავიფსით. ჯოჯოხეთი იყო ნაღდი. მოკლედ, მეორე ვეღარ ავიყვანეთ. კორპუსს ისე დაუშინეს, რომ აღგიწეროთ, დაჯერება გაგიჭირდებათ, როგორღა გადარჩენო. ბახ-ბახ-ბახ! ტყვიამფრქვევებით. ისღა დაგვრჩა, გავბრუნებულიყავით და ცოცხლებს გაგვესწრო. უცებ ის ტიპი, ჩვენ რომ ავიყვანეთ, არ აჩხავლდა... ჰო, რატომ დავიწყე ამის მოყოლა. ფორესტოლიდან იყო, საზღვაო ავიაციიდან. მიხვდა, რომ ძმაკაცს ან ტვინს გაასხმევინებდნენ, ან ტყვედ აიყვანდნენ, ამიტომაც მორთო ღრიალი. განიცადა ძმაკაცის ამბავი, აბა, რა იქნებოდა, მაგრამ უკან ვერაფრით დავბრუნდებოდით, ხუთი ადამიანის სიცოცხლეს რისკის ქვეშ ვერ დავაყენებდით. ერთი რომ ავიყვანეთ და იმ ჯოჯოხეთისგან ვიხსენით, უკვე კარგი იყო. ბაზაში რომ დავფრინდით, გადმოვედით და მანქანის დათვალიერება დავიწყეთ, – ას ორმოცდათერთმეტი ნატყვიარი. საწვავის სადენები და ჰიდრავლიკა გადარჩენილიყო, მაგრამ როტორები სულ დაცხრილული დაგვიხვდა. ბოლოში რომ ტყვია მოხვდება, მანქანა ვარდება ხოლმე, მაგრამ ამჯერად უბრალოდ გაგვიმართლა. იცით, ომის განმავლობაში რამდენი ვერტმფრენი ჩამოაგდეს? ხუთი ათასი! რეაქტიული გამანადგურებელი კი ორი ათას რვაასი დავკარგეთ. ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვისას ორას ორმოცდაათი ცალი B-52 ბომბდამშენი ააფეთქეს. მაგრამ მთავრობა ამას როგორ აღიარებს, ურჩევნიათ, პირში წყალი ჩაიგუბონ. მარტო იმას გვეუბნებიან, რაც აწყობთ. ახვარი ბილი კი წყლიდან მშრალი ამოვიდა როგორც ყოველთვის. მხოლოდ იმათ მოგვხვდა, ვინც პატიოსნად ემსახურა ქვეყანას. ყველგან და ყოველთვის. განა ეს სამართლიანია? იცით, კიდევ რას ვფიქრობდი? ბიჭი რომ მყოლოდა, ახლა აქ იჯდებოდა, ჩემ გვერდით-მეთქი. ერთად დავიჭერდით თევზს. აი, ამაზე ვფიქრობდი, თქვენ რომ მოხვედით. ავიხედე და ადამიანი დავინახე, ვინატრე, ჩემი ბიჭი მაინც ყოფილიყო-მეთქი, მაგრამ...

– არ გყავთ ვაჟი?

– არა.

– ცოლი არ გყოლიათ?

ამ კითხვაზე მაშინვე არ მიპასუხა. ჯერ შემომხედა, დაპელენგდა,[71] თითქოს ჩემგანაც ისეთი რადიოსიგნალი

მიიღო, როგორც იმ ორი პილოტისგან, შველას რომ ითხოვდნენ. მომაცქერდა, მაგრამ არ მიპასუხა. იცის-მეთქი, გავიფიქრე. იცის, ფაუნიას დაკრძალვაზე რომ ვიყავი-მეთქი. ან ვიღაცამ უთხრა, იქ მწერალიც იყოო. საინტერესოა, როგორ მწერლად მიმიჩნევს? მის მიერ ჩადენილი დანაშაულის მსგავს ფაქტებზე რომ წერენ წიგნებს, იმნაირ ავტორად ხომ არა? მკვლელებსა და მკვლელობებზე რომ წერენ.

– განწირული, – როგორც იქნა, სიტყვა დაძრა, თუმცა ყინულჭრილისთვის თვალი არ მოუცილებია, ანკესიც ოდნავ შეანძრია, – ქორწინება განწირული აღმოჩნდა. ვიეტნამის შემდეგ ჩემში იმდენი ბრაზი და გაბოროტება იყო დაგროვებული. პტს დამიდგინეს – პოსტტრავმული სტრესი. რომ დავბრუნდი, არავისი დანახვა არ მინდოდა. ცივილიზებულ ცხოვრებას ვერაფრით ვეგუებოდი. იმდენი ხანი ვიყავი ომში, რომ ვუყურებდი ამ ქვეყანას და ვერაფრის აზრს ვერ ვიგებდი. სუფთა ტანსაცმლის ტარება, ღიმილიანი სალამი, სტუმრად სიარული, მანქანის კულტურულად ტარება – ეს ყოველივე საშინლად უცხო რამ გამხდარიყო ჩემთვის. ისიც აღარ მახსოვდა, ადამიანს ნორმალურად როგორ უნდა მიესალმო. ჩავჯდებოდი მანქანაში, უგზო-უკვლოდ დავდიოდი, მერე ტყეს მივცემდი ხოლმე თავს და დავხეტიალებდი უსასრულოდ... საკუთარ თავს გავეთიშე. რა მჭირდა, ვერ ვიგებდი. ახლობლები მირეკავდნენ, მაგრამ მე არავისთან მიჩნდებოდა დარეკვის სურვილი. ყველას ეშინოდა, მანქანით არ გადაიჩეხოს სადმეო...

გავაწყვეტინე.

– რატომ ეშინოდათ, სადმე არ გადაიჩეხოსო?

– ვსვამდი და მაგიტომ. მთვრალი ვჯდებოდი საჭესთან.

– ავარიაში მოყოლილხართ?

გაიღიმა. ამჯერად პაუზა არ გამოუყენებია და არც მზერით მივუყინივარ ადგილზე. არც წარბი შეუკრავს. არ წამომხტარა და ყელში არ მცემია. მხოლოდ მსუბუქად და უბოროტოდ გაიღიმა, – ვერაფრით ვიფიქრებდი, მის არსენალში ეს იარაღიც თუ ინახებოდა. მხოლოდ მხრები აიჩეჩა უდარდელად:

– კითხვაც ამას ჰქვია! ისიც არ ვიცოდი, რა ხდებოდა ჩემს თავს, რა მჭირდა, გესმით? ავარია? რომ მოვხვედრილიყავი, მაინც

ვერაფერს ვიგრძნობდი. იქნებ არც ყოფილა ასეთი რამ. მე ხომ პოსტტრავმული სტრესი დამიდგინეს, როგორც ექიმები განმიმარტავდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეცნობიერად ისევ ვიეტნამში ვიყავი და ვიბრძოდი. მე ერთი გაუნათლებელი კაცი ვარ და ამდენი არ მესმოდა. ათასი ვინმე დამეხვია თავს, მაგრამ გაგებაში არ იყვნენ, რა მაწუხებდა, ისე, კონკრეტულად, მეც ვერ ვიტყოდი ამას. მოკლედ, შავად იყო ჩემი საქმე. განათლებული მეგობრები მე არა მყავს, რომ რამე აეხსნათ და... მეგობრები კი არა, სირები არიან. ჰო, ჰო, დამიჯერეთ, მეგობრები კი არა, პიტალო სირები არიან! – ისევ მხრები აიჩეჩა. ნეტავ კომიკური ეფექტის მოსახდენად? ან იქნებ იმისათვის, რომ უფრო ცუდად წარმოეჩინა თავი, – ჰოდა, ეგრეა ჩემი საქმე და რა გინდა ახლა, რომ ვქნა? – ამ კითხვისას ხმაში უსუსურობა შეეპარა.

ხალისობს. ჩემით ერთობა. იმიტომ, რომ იცის, მე რომ ვიცი. აი, ხომ შევხვდით, ფიქრობს და კარგადაც მომეხსენება, რაც შენ მოგეხსენებაო. ბურღმაც იცის. მის ფოლადის წვეტშია ჩადებული «ცოდნა ყოვლისა საცოდნელისა».[72]

– როგორ გაიგეთ, რომ პტს გქონდათ?

– ერთმა შავკანიანმა გოგჩომ გამახარა ვეტერანთა საავადმყოფოში. უკაცრავად, აფროამერიკელმა გოგონამ. ფრიად განსწავლულმა ახალგაზრდა ქალბატონმა. მაგისტრის დიპლომის მფლობელმა. ისე, მაგისტრის დიპლომი თქვენც გაქვთ?

არა-მეთქი, ვუპასუხე.

– ჰო, აი, ხომ ხედავთ, მას კი ჰქონდა და ძალიან უბრალოდ მომახარა, ესა და ეს გჭირთო. თორემ აქამდე არ მეცოდინებოდა. მაშინღა გავიგე, რაც მიღებდა ბოლოს. ამიხსნა, მარტო თქვენ კი არა ხართ ასეო. არც თქვენ გეგონოთ, რომ ეს უბედურება მხოლოდ ჩემს თავს ხდებოდა, ათასობით ჩვენს ბიჭს აწამებდა მსგავსი ოხრობა. მათაც ეღვიძებოდათ შუაღამისას და თავი ვიეტნამში ეგონათ. არც ისინი პასუხობდნენ მეგობრების ზარებზე. კოშმარები მათაც ტანჯავდა ძილში. ეს ყველაფერი რომ მოვუყევი ახალგაზრდა აფროამერიკელ ქალბატონს, ეგრევე მოწვა, რაც მჭირდა. მაგისტრის დიპლომს ტყუილად ხომ არ მისცემდნენ, არა? ისიც ადგა და ამიხსნა, თუ როგორ აღწევდა ეს საძაგლობა ჩემს ქვეცნობიერში და მითხრა, მარტო

შენ კი არა, ათასობით ბიჭი გაგიჟებას არის მისულიო. ქვეცნობიერს ხომ კაციშვილი ვერ გააკონტროლებს. მთავრობასავით არის. არის კიდეც მთავრობა! ისევ და ისევ მთავრობა გაიძულებს იმის გაკეთებას, რაც არ გინდა. ათასობით ბიჭმა მოიყვანა ცოლი, თითქოს ოჯახსაც მოეკიდა, მაგრამ მათი ოჯახებიც განწირული იყო, რადგან ქვეცნობიერში ვიეტნამიდან გამოყოლილი გაბოროტება და წყენა ჰქონდათ ჩაბუდებული. ყველაფერი ჯიგრულად ამიხსნა. ვიეტნამში C-41-ში ჩამსვეს და ფილიპინებზე მიკრეს თავი, იქიდან თრევისის ბაზაზე გადამასკუპეს, სადაც ორასი დოლარი დამაჭერინეს კანფეტივით ხელში და შინისაკენ ჰერი-ჰერიო, გამომიცხადეს. ასე რომ, ვიეტნამიდან სახლამდე კარგა სამ დღეს მოვუნდი. მერე ისევ ცივილიზაციაში ამოვყავი თავი. უკვე განწირული ვიყავი. ცოლიც განწირული იყო, თუნდ ათი წლის შემდეგაც კი. განწირული გახლდათ, მაგრამ ვინმემ რომ მკითხოს, რა ჰქონდა დაშავებულიო, ვერაფერს ვიტყვი, რადგან არაფერი დაუშავებია.

– დღემდე პტს გაქვთ?

– დღემდე განმარტოებას ვეტანები, ვერ შემამჩნიეთ? ისე აქ რა მომიყვანდა?

– მაგრამ ნასვამი საჭესთან ნუღარ დაჯდებით, – საკუთარი ხმა მომესმა, – და აღარც ავარიები იქნება.

– არ ყოფილა-მეთქი ავარიები, ხომ გითხარით. არ მისმენდით? არაფერი მახსენდება მსგავსი და რა ვქნა?

– ქორწინებაც განწირული იყო, ხომ?

– სწორად გაგიგიათ, მაგრამ ეგ ჩემი ბრალით მოხდა. ასპროცენტიანს გეუბნებით. საყვარელი ქალი იყო, სრულიად უცოდველი. ჩემთვის არაფერი დაუშავებია. ჩემი ბრალია. მეტის არავისი. ჩემნაირ ქმარს არ იმსახურებდა.

– და რა მოუვიდა? – ვკითხე შეპარვით.

თავი გააქნია და ამოიოხრა. სევდიანად აიჩეჩა მხრები. «აშკარად განგებ დგამს ამ სპექტაკლს!» – ეს აზრი არ მასვენებდა.

– წარმოდგენა არა მაქვს. ისე შევაშინე, რომ გამექცა. გული გავუხეთქე. სადაც უნდა იყოს ახლა, არასოდეს დავივიწყებ. ბრალი არაფერში მიუძღოდა.

– შვილები არ გყავთ, ხომ?

– არა. და თქვენ?

– არც მე.

– ცოლიანი ხართ?

– ვიყავი, მაგრამ ახლა აღარ ვარ.

– ერთ ბედქვეშ ვყოფილვართ. ქარივით თავისუფალი. ჰო, მართლა, რა წიგნებს წერთ, დეტექტივებს?

– არა, მთლად დეტექტივებსაც არა.

– ცხოვრებისეულ ისტორიებს?

– ეგ უფრო ახლოსაა.

– რაზე, სიყვარულზე? – ღიმილით მკითხა, – იმედია, რამე პორნოგრაფიული არ იქნება, – ისეთი მიმიკა გამოეხატა სახეზე, თითქოს წარმოდგენაც კი ზარავდა ასეთი რამის, – იმედია, მაიკ დიუმუშელის კერაზე დასახლებული ჩვენი ადგილობრივი მწერალი პორნოგრაფიას არ ავრცელებს.

– მე დაახლოებით თქვენისთანა ადამიანებზე ვწერ, – დავუკონკრეტე პასუხი.

– რას მეუბნებით?

– დიახ, ასეა. თქვენისთანა ადამიანებზე, მათ პრობლემებზე.

– რომელიმე წიგნის სახელს ვერ მეტყვით?

– «ადამიანური ლაქა».

– საგულისხმოა. და სად შეიძენს კაცი?

– ჯერ ვერსად. არ დამისრულებია.

– სიამოვნებით ვიყიდდი.

– თავად გამოგიგზავნით. თქვენი გვარი შემახსენეთ.

– ფარლი, ლესთერ ფარლი. მადლობელი დაგრჩებით. ქალაქის გარაჟში გამომიგზავნეთ. «ქალაქის გარაჟი, მე-6 გზატკეცილი, ლეს ფარლის».

თავისას არ იშლის – ისევ მიწვევს, როგორც თავის მეგობრებს და ყველას, თავისი თავის ჩათვლით.

– ჩვენი ადგილობრივი მწერლის წიგნს, – დაცინვით თქვა, – მეც გავეცნობი და ბიჭებსაც ვათხოვებ.

იმდენად აშკარად არ დაუცინია, რამდენადაც ულვაშში ჩაიცინა, არადა, ერთი სული ჰქონდა, გულიანად აეტეხა ხარხარი. თითქოს ამ თავშეკავებაში რაღაც სახიფათო იმალებოდა, თან თავს იკავებდა, თან ვერც იკავებდა.

– იმედია, მოგეწონებათ, – ესღა ვთქვი.

ასეთ დროს უბრალოდ ვერ გავბრუნდებოდი და წავიდოდი. ოღონდ ახლა არა-მეთქი, გავიფიქრე, რადგან, როგორც იქნა, გახსნა დაიწყო, ნელ-ნელა მიშლიდა გულს და ემოციური სამალავიდან გამოდიოდა, რაც მის შინაგან სამყაროში უფრო ღრმად ჩახედვის საშუალებას მიქადდა.

– ომამდე როგორი იყავით?

– წიგნისთვის გინდათ?

– გამოიცანით, – აქ უკვე მე ამიტყდა სიცილი და უეცრად სულელური სიხისტით დავამატე, – მე ეს ყველაფერი წიგნისთვის მინდა.

ახლა აღარც მან შეიკავა თავი და ამყვა. ტბა კი არა, საგიჟეთი ეგონებოდა კაცს.

– წინათ უფრო კომუნიკაბელური ბიჭი იყავით?

– ნაღდად, – მიპასუხა მან, – ასიანი ეგრე იყო.

– არც ხალხს გაურბოდით?

– არა.

– კაი დროის გატარება გხიბლავდათ?

– მაშ! ბევრი მეგობარიც მყავდა. სწრაფად დავაქროლებდით მანქანებს და ვერთობოდით. არა, ვმუშაობდი კიდეც, მაგრამ თავისუფალ დროს გულის გადაყოლებაც მიყვარდა.

– ახლა რა, ვიეტნამის ყველა მეორე ვეტერანი ყინულქვეშა თევზაობით იქცევს თავს?

– აბა, რა ვიცი.

ისევ თავშეკავებული ღიმილი. ვიფიქრე, ვინმეს გასაღება უფრო იოლი იქნება მისთვის, ვიდრე გულიანად გაცინება-მეთქი.

– არც ისე დიდი ხანია, – ამიხსნა, – რაც ზამთრობით გამოვდივარ თევზზე. ცოლი რომ გამექცა, მას მერე. ერთი ქოხ-სახლი ვიქირავე ტყეში, «ჭრიჭინას ველზე», ტბის პირას. წინათ მხოლოდ ზაფხულობით ვთევზაობდი ხოლმე, ახლა ზამთარშიც გამოვდივარ. წინათ სიცივეს გავურბოდი, მაგრამ ტყისპირა სახლში რომ ვცხოვრობდი, პტს-მა ისე დამრია ხელი, კინაღამ მთლად გადამიყვანა ჭკუიდან. მახსოვს, ერთი დადიოდა ხოლმე ყინულზე სათევზაოდ. ერთი-ორჯერ რომ შევხედე, თბილად ჩავიცვი და მეც გამოვედი. იმ დღეს ბევრი თევზი დაეჭირა, ყვითელი ქორჭილა, კალმახი, რა გინდა, სულო და გულო! ჰოდა, დავრწმუნდი, რომ ზამთარში თევზაობა ზაფხულისას არ ჩამოუვარდებოდა, უკეთესიც კი იყო. უბრალოდ, თბილად უნდა ჩავფუთნილიყავი და შესაფერი ხელსაწყოები გქონოდა. ეგრევე მაღაზიაში წავედი – ბურღი ვიყიდე; საკაიფო ბურღია, – გამოთქმით თქვა ბოლო სიტყვები, – უამრავი ანკესი, ტივტივა, კაუჭები, ბაწრები... მოკლედ, ათასი სატყუარა იყიდებოდა ზომისა და ფერის მიხედვით. მოკლედ, ერთი ჩაბურღვაა საჭირო, მერე სატყუარას მოაბამ ანკესზე და ჩაუშვებ, თან უნდა ამოძრაო კიდეც. აი, ასე! – ხელით გააკეთა მოძრაობა, – ამოწევ-ჩაწევ. ამოწევ-ჩაწევ. აბა, ყინულქვეშ ბნელა და თუ შენც არ იმოქმედე, თევზები რას მიხვდებიან. მართლა ძალიან ბნელა, – გაიმეორა და ჩვენი საუბრისას პირველად შემომხედა ღიად, შეუნიღბავად, არაორაზროვნად. ხმაში რაღაც ავის მომასწავებელი ყინულის ჟღერადობა გაერია, – უკუნეთია! – ისეთი სიცივე გაუჩნდა ხმაში, რომ ქოულმენის დაღუპვის მიზეზის შესახებ ყოველგვარი ეჭვი გაფანტა, – ასე რომ, საკმარისია ერთი ბეწო შერხევა და, – დასძინა ბოლოს, – თევზიც რეაგირებს. სიბნელეში მოძრაობას შეჩვეულია.

არა, სულელი ნაღდად არ ჩანდა. მხეცია და მკვლელი, მაგრამ უჭკუობას ვერ დასწამებ. შეიძლება რამეც აკლია, მაგრამ წარმოსახვის უნარის სიმწირეს არ უჩივის, რაც უნდა ნიღაბი ატაროს.

– რამენაირად ხომ უნდა იკვებონ, – სამეცნიერო ახსნას მოჰყვა, – ასე საჭმელს პოულობენ. ტანით ყინულწყალს ეგუებიან,

თვალებით – სიბნელეს, მოძრაობაზე კი რეაგირებენ. ხან შერხევას გრძნობენ, ან რაღაც გაიჭიატებს სიბნელეში და ეგრევე მისკენ მიცურავენ. რაკი მოძრავია, ესე იგი, ცოცხალია და საჭმელად ვარგისი – აი, მათი დამოკიდებულება. მაგრამ თუ ანკესს უმოძრაოდ დატოვებს კაცი, არასოდეს წამოეგებიან. ვაჟი რომ მყოლოდა, – ხომ გაინტერესებდათ, რაზე ვფიქრობ, – დავისვამდი გვერდით და ვასწავლიდი, სწორად როგორ უნდა ემოძრავებინა ანკესი. წამოგებასაც ვასწავლიდი. მრავალნაირი სატყუარა არსებობს – მეტწილად კი ბუზებისა და ფუტკრების მატლები – სპეციალურად გამოჰყავთ ყინულქვეშა თევზაობისთვის. ჰოდა, ვივლიდით მე და ლეს-უმცროსი სამონადირეო მაღაზიაში და სატყუარებსა და ანკესების კავებს ვიყიდდით. პატარა ჭიქებით ყიდიან მატლებს. ახლა რომ პატარა ბიჭი მყავდეს ამ პტს-ის მაგივრად, სიკვდილამდე რომ არ მომასვენებს, აქ მოვიყვანდი და ყველაფერს ვასწავლიდი. ბურღსაც ავათვისებინებდი, – რამდენიმე ნაბიჯით უკან ყინულზე დადებული იარაღისკენ გაიშვირა ხელი, – ხუთდუიმიანს ვხმარობ. საერთოდ, ხუთიდან რვა დუიმამდე დიამეტრისასაც ნახავ, გააჩნია, როგორი გინდა. მე ხუთდუიმიანი ჭრილი მიყვარს. ყველას ჯობია. ასეთ ნახვრეტში თევზის ამოძვრენა არასდროს გამჭირვებია. ექვსიანი – უფრო ფართოა. აგიხსნით, რა განსხვავებაა. თითქოს დუიმი დიდ სხვაობას არ უნდა იძლეოდეს, მაგრამ თუ ხუთდუიმიან ბურღს დახედავთ, მოიცა, გიჩვენებთ ახლავე, – წამოდგა, ბურღთან მივიდა და აიღო. გაბერილი კომბინეზონისა და ჩექმების სიმძიმის მიუხედავად, ყინულზე სხარტად გადაადგილდა. ბურღიც თავისი დიდრონი ხელით ისე მოხერხებულად დაიჭირა, როგორც კორტიდან სკამისაკენ მიმავალმა ჩოგბურთელმა ჩოგანი. ჩემკენ წამოვიდა და პირწამახული ბურღი სახესთან მომიახლოვა, – აჰა!

აი, პირსაწყისი და საზრისი. აი, ისიც.

– ხუთდუიმიანი ბურღი და ექვსდუიმიანი, – განაგრძო ახსნა, – სინამდვილეში ერთიმეორისგან დიდად განსხვავდება. როდესაც ყინულის ერთი ფუტიდან თვრამეტ დუიმამდე სისქის ფენას ბურღავ, ექვსდუიმიანს გაცილებით მეტი ძალისხმევა სჭირდება. ამით კი ფუტ-ნახევარს ოც წამში ჩავბურღავ. რა თქმა უნდა, პირიც მჭრელი უნდა ჰქონდეს. რაც უფრო პირბასრია, მით უკეთესი.

თავი დავუქნიე.

– ცივა ყინულზე, – ვთქვი.

– აბა, როგორ გინდა.

– ახლაღა შევამჩნიე, რომ ვიყინები. სახეც კი გამეთოშა. მგონი, ჩემი წასვლის დროა.

პირველი ნაბიჯი გადავდგი უკან – მისგან და ამ ოხერი ყინულჭრილისგან.

– როგორც გენებოთ. ახლა ხომ იცით, როგორია ყინულქვეშა თევზჭერა. იქნებ დეტექტივის მაგივრად, ამაზე დაგეწერათ წიგნი?

ნელ-ნელა დავიხიე ნაპირისკენ ხუთიოდე ნაბიჯით, მაგრამ ფარლის მაინც ცალი ხელით აწეული ეჭირა ბურღი – ბასრი პირის ბრჭყვიალი თვალებში მეცა. სრულიად გამარჯვებული მივაბიჯებდი.

– ჩემი საიდუმლო ადგილიც იცით უკვე. ახლა ყველაფერი იცით, – მომაძახა, – მაგრამ არავის უთხრათ. როცა საიდუმლო ადგილი გაქვს, გულს სიამოვნებს. ენას თუ კბილს დააჭერო, საიდუმლოს შენახვას ისწავლიო, იტყვიან.

– ნუ ღელავთ, არავის ვეტყვი, – დავამშვიდე მეც.

– მთიდან ნაკადული მორაკრაკებს, კალთებზე მოედინება. არ მითქვამს? – მკითხა მან, – სათავე სადა აქვს, არ ვიცი, არასდროს ავსულვარ. გამოდის, ტბა გამდინარე ყოფილა. სამხრეთით ტბიდან ერთი ნაკადული გაედინება, – მიჩვენა, რასაც გულისხმობდა, უფრო სწორად, ბურღიანი ხელი გაიშვირა სამხრეთით, – ტბის ქვეშაც უამრავი წყაროა. წყალი ქვევიდან ამოდის და ბრუნავს ხოლმე. ტბა თავის თავს ასუფთავებს. ასეთ წყალში ჯანმრთელი და მსხვილი თევზები იზრდება. რაც სჭირდება, ყველაფერი აქვე აქვს. ეს ყოველივე უფლის ნახელავია. კაცის ხელი ამაში არ ურევია. ამიტომაც არის აქ სისუფთავე და მეც ამიტომ დავდივარ სათევზაოდ. სადაც ხალხი ჩაერია, მირჩევნია, თავი შორს დავიჭირო. ასეთი წესი მაქვს შემუშავებული. ეს წესი იმ ადამიანმა შეიმუშავა, რომელსაც მთელი ქვეცნობიერი პტს-ით აქვს სავსე. ხალხისგან შორს, უფალთან ახლოს. ასე რომ, ჩემი საიდუმლო ადგილის შესახებ სიტყვა არავისთან დაგცდეთ. საიდუმლო მაშინ

კარგავს საიდუმლოობას, ბატონო ცუკერმან, როცა გათქვამ.

– მესმის.

– ჰო, მართლა, ბატონო ცუკერმან, წიგნი არ დაგავიწყდეთ!

– რა წიგნი?

– თქვენი... რომ დამპირდით.

– დარდი ნუ გაქვთ, – გავძახე მე, – აუცილებლად მიიღებთ.

ისევ ყინულოვან ტბას გავუყევი. ის ჩემ უკან დარჩა ბურღით ხელში. ნელა მივდიოდი. გრძელი გზა მქონდა გასავლელი. უკვე ვიცოდი, რომ ხიფათის გარეშეც რომ გამეღწია აქედან, ტყისპირა სახლში ჩემს ხუთწლიან უდრტვინველობას ბოლო ჰქონდა მოღებული. როცა ამ წიგნს დავასრულებდი – თუ დავასრულებდი, ცხადია, – სადმე სხვაგან მომიწევდა მყუდრო საცხოვრებლის მოძებნა.

ნაპირზე უვნებლად რომ ავაღწიე, უკან გავიხედე, ხომ არ მომყვება-მეთქი. კუდში თუ გამომყვებოდა, რომ სადმე ხის ძირში მოვეხელთებინე, მაშინ ქოულმენის სახლის ხილვა აღარ მეღირსებოდა, რომელიც ოდესღაც სტინა პალსონს ეხილა, როგორც საკვირაო სადილზე მიპატიჟებულ თეთრკანიან სტუმარს. ფარლის მხოლოდ დანახვამ მაგრძნობინა ბურღის მთელი საშინელება – თუმცა უკვე დამჯდარიყო თავის ყვითელ სათლზე. ტბის ყინულოვან სითეთრეზე ადამიანის პაწაწინა ლაქაღა მოჩანდა, – ერთადერთი ლაქა, რომელიც ამ გადაპენტილ მხარეში ადამიანის არსებობაზე მიანიშნებდა, – დახრილ ჯვარს ჰგავდა, ისეთს, წერა-კითხვის უცოდინარი ხალხი რომ სვამდა ხოლმე თეთრ ფურცელზე ხელმოწერის მაგივრად. აი, ასეთი გახლდათ მთელი ისტორია თუ არა, მთელი სურათი მაინც. ჩვენი საუკუნის მიწურულს ცხოვრება იშვიათად თუ მოჰფენს ხოლმე სინათლეს ასეთ სპეტაკ და მშვიდ პეიზაჟს: სათლზე ჩამომჯდარი მარტოხელა კაცი გაყინულ ტბაზე მოჩანს, ყინული ამოუჭრია და ანკესი აქვს ცივ წყალში ჩაშვებული, – წყალში, რომელიც ამერიკის მთა-გორებს შორის უწყვეტად და იდილიურად მიედინება.

[1] ბიტი – ბეისბოლის სათამაშო ჩოგანი.

[2] ნათანიელ ჰოთორნი (1804-1864) – ამერიკული ლიტერატურის ერთ-ერთი აღიარებული ოსტატი.

[3] უილიამ ფრენკ ბაქლი-უმცროსი (1925-2008) – ამერიკელი მწერალი და პოლიტიკური მიმომხილველი, მემარჯვენე-კონსერვატიული ჟურნალის «National Review» დამაარსებელი.

[4] ქრისტო იავაჩევი (დაბ. 1935) – ამერიკელი მოქანდაკე, ცნობილი თავისი «პაკეტებით» – სინთეტიკურ ქსოვილში გახვეული ნამუშევრებით.

[5] U. S. Navy – აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტი.

[6] (ფრანგ.) უმოწყალო ლამაზმანი.

[7] ჯერსულა – დიდი ბრიტანეთის კუნძულ ჯერსიზე გამოყვანილი ძროხის ჯიში.

[8] (ფრანგ.) არსებობის მიზეზი.

[9] აშენბახი – თომას მანის ნოველის «სიკვდილი ვენეციაში» გმირი.

[10] ეგალიტარიზმი (ფრანგ. égalité – თანასწორობა) – კონცეფცია, რომელსაც საფუძვლად უდევს თანასწორობა.

[11] პერსონაჟის გვარი Silk ინგლისურად აბრეშუმს ნიშნავს, ხოლო Silky აბრეშუმისას.

[12] კერძო უნივერსიტეტი ვაშინგტონში. დაარსდა 1867 წელს როგორც შავკანიანთა კოლეჯი. სახელი ეწოდა გენერალ ო. ჰაუარდის პატივსაცემად.

[13] ჯები – მოკლე, პირდაპირი დარტყმა.

[14] «იულიუს კეისარი», უილიამ შექსპირი (თარგმანი ივანე მაჩაბლისა).

[15] ბიბლიური პატრიარქი აბრაამი სამხრეთ შუამდინარეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქალაქში, ურში დაიბადა.

[16] (ინგ. Nigger; კიცხვ. «შავტრაკა») იტყვიან ზანგზე.

[17] (ლათ.) «მრავალთაგან ერთი» – აშშ-ის დევიზი.

[18] «ფი-ბეტა-კაპა» – უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა უძველესი საზოგადოება.

დასახელებაში ბერძნული ასოებია გამოყენებული – «ფილოსოფია – ცხოვრების საჭე».

[19] მდინარე ჰუძონსა და დელავერს შორის მდებარე ამ დასახლებას მანამდე ახალი კესარია ერქვა, ინგლისის მეფის მიერ ორი ინგლისელი ძმისთვის მიყიდვის შემდეგ კი აქაურობას სახელი შეეცვალა.

[20] ლუფარი – ლუფარისებრთა ოჯახის თევზი.

[21] იგულისხმება მოხალისე ცხენოსანთა შენაერთი, რომელიც აშშ-ის მომავალი პრეზიდენტის, თეოდორ რუზველტის (1858-1919) მეთაურობით გაუდგა სამხრეთის გზას და 1898 წელს ესპანეთ-ამერიკის ომში მიიღო მონაწილეობა.

[22] ქეთლინ უილი – თეთრი სახლის ყოფილი თანამშრომელი. მან პრეზიდენტ ქლინთონს სექსუალურ ძალადობაში დასდო ბრალი, რაც ვითომ 1993 წელს მოხდა.

[23] ჯენიფერ ფლაუერსი – ბილ ქლინთონის ნაცნობი არკანზასის შტატის გუბერნატორობისას. 1992 წლის დამდეგს, როდესაც მომავალმა პრეზიდენტმა თავისი კანდიდატურა წამოაყენა არჩევნებში, ჯენიფერმა განაცხადა, ქლინთონთან სექსუალური კავშირი მქონდაო.

[24] ქენეთ სთარი – იურისტი, რომელმაც ქლინთონ-ლევინსკის საქმეში დიდი როლი ითამაშა.

[25] ჯონ დოს პასოსი (1896-1970) – პორტუგალიური წარმოშობის ამერიკელი მწერალი.

[26] «აშშ» – ჯონ დოს პასოსის ტრილოგია.

[27] ვინს ფოსთერი – ჰილარი ქლინთონის პარტნიორი იურიდიულ საქმიანობაში არკანზასის პერიოდში, ბოლოს – თეთრი სახლის თანამშრომელი. 1993 წელს თავი მოიკლა.

[28] ვერნონ ჯორდანი – ამერიკელი შავკანიანი საზოგადო მოღვაწე, იურისტი და ქლინთონის მეგობარი (დ. 1935).

[29] მუსიკალური ფესტივალები თანგლვუდის ყოფილ მამულში იმართება ხოლმე მასაჩუსეტსის შტატის დაბა ლენოქსთან ახლოს.

[30] შტატ მასაჩუსეტსის დასავლეთში მდებარე დაბა.

[31] ნორმან როქველი (1894-1978) – ამერიკელი მხატვარი.

[32] ბარბარა უოლთერსი (დაბ. 1931) – ამერიკელი ტელეჟურნალისტი.

[33] ჯოის დაიანა ბრაზერსი – ამერიკელი ფსიქოლოგი და ფემინისტი.

[34]«დეითნაილ ენ-ბი-სი» – პოპულარული ამერიკული ტელეგადაცემა.

[35] ჰენრი ლუის მენქენი (1880–1956) – ამერიკელი ჟურნალისტი, ლინგვისტი და კრიტიკოსი.

[36] ბუბიზმი – წარმოებულია სიტყვიდან boob – «მიამიტი».

[37] ფილიპ უაილი (1902-1971) – ამერიკელი რომანისტი და კრიტიკოსი. მან გამოიყენა პირველად დედის კულტის აღსანიშნად სიტყვა «მამიზმი» წიგნში «იქედნეს ნაშობნი» (1943).

[38] «შავი პანტერები» – 1960-70-იანი წლების მემარცხენე-რადიკალური ზანგური პარტია.

[39] მალქოლმ იქსი (1925 –1965) – ზანგი ლიდერი, თავიდან მუსლიმანობა მიიღო, შემდეგ «შავ მუსლიმანებს» ჩამოსცილდა და აფროამერიკული ერთობის ორგანიზაცია დააფუძნა.

[40] ჯეიმზ ბოლდუინი (1924-87) – ამერიკელი ზანგი ლიდერი.

[41] «ეიმოსი და ენდი» – მრავალსერიიანი რადიოსპექტაკლი გასული საუკუნის 20-40-იან წლებში, სადაც ზანგების თემა, ბევრის აზრით, რასისტული თვალსაზრისით იყო წარმოდგენილი.

[42] ოდიუბონის საზოგადოება – გარეული ფრინველებისა და ცხოველების დამცველი ორგანიზაცია. სახელი ეწოდა ამერიკელი ორნითოლოგისა და მხატვრის ჯონ ჯეიმზ ოდიუბონის (1785-1851) პატივსაცემად.

[43] ფილოქტეტე – «ილიადას» პერსონაჟი და სოფოკლეს ამავე სახელის მქონე ტრაგედიის გმირი. მან დიდი ხანი გაატარა სრულ მარტოობაში კუნძულ ლემნოსზე, რადგან გველის ნაკბენიდან აუტანელი სუნი ამოსდიოდა.

[44] იგულისხმება ევრიპიდეს ტრაგედია «ბაკქელი ქალები».

[45] (ფრანგ.) ნორმალელი, «ეკოლ ნორმალის» კურსდამთავრებული.

[46] გამენი – ქუჩის ბიჭი პარიზში.

[47] კლდოვანი მთები – კორდილიერებში შემავალი მთათა სისტემა აშშ-ისა და კანადის დასავლეთში.

[48] ვონტონი – პელმენის ნაირსახეობა.

[49] ლო მეინი – ჩინური კერძი.

[50] «სემპერ ფის» – (ლათ.) semper fidelis – «მარად ერთგული»; აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების დევიზი.

[51] ომანები – ძუძუმწოვრების ქვეოჯახი მღრღნელების რიგისა.

[52] ჯეკ ქევორქიანი (1928-2011) – ამერიკელი მედიკოსი, ევთანაზიის აქტიური მომხრე და გამომყენებელი.

[53] სადაურობანა – ამერიკული თამაში, როდესაც რიგრიგობით ჰყვებიან თავიანთი წარმოშობის შესახებ.

[54] (ფრანგ) დამაბრმავებელი ხარ... სახე კატას გიგავს.

[55] ლესლი კარონი (დაბ. 1931) – ფრანგი მოცეკვავე და კომიკოსი მსახიობი.

[56] ხორცის მედალიონები – ფრანგული კერძი.

[57] (ფრანგ.) თავისდა უნებურად.

[58] ჩარლზ ლინდბერგი (1902-1974) – ამერიკელი მფრინავი.

[59] აფირმაციული ქმედება – ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლითაც სამსახურში ან უმაღლეს სასწავლებელში მიღებისას უპირატესობა ენიჭება დისკრიმინაციაგანცდილ ჯგუფებსა და უმცირესობებს.

[60] (ფრანგ.) უკეთესის ნაკლებობის გამო.

[61] ჰაიკუ –俳句 (იაპონ.) – ძლიერი სიმბოლური დატვირთვის მქონე კლასიკური პოეტური ფორმა.

[62] სთოუნჰენჯი – კრომლეხი უილთშირის საგრაფოში, დიდ

ბრიტანეთში. შედგება უზარმაზარი, სიმეტრიულად განლაგებული სახიანი ლოდებისგან. ისტორიამდელი სარიტუალო ნაგებობა.

[63] «შვიდფრონტონიანი სახლი» – სახლი სეილემში, მასაჩუსეტსში, რომელიც ნათანიელ ჰოთორნმა აღწერა ამავე სახელწოდების რომანში.

[64] არახჩინი – ებრაელი მამაკაცის ქუდი.

[65] რიჩარდ დეილი (1902-1976) – ჩიკაგოს მერი 1950-70 წწ.

[66] კადიში – ებრაული სულის მოსახსენიებელი ლოცვა.

[67] მეთიუ ჰენსონი (1866-1955) – აფროამერიკელი მკვლევარი და მოგზაური, რომელმაც 1909 წელს ჩრდილოეთ პოლუსს მიაღწია.

[68] ედმუნდ ჰილარი (1919-2008) – ახალზელანდიელი მთამსვლელი; 1953 წელს მიაღწია ევერესტის მწვერვალს.

[69] ნორგეი ტენცინგი (1914-1986) – ნეპალელი მთამსვლელი. 1953 წელს დალაშქრა ევერესტი.

[70] ჩარლზ რიჩარდ დრიუ (1904-1950) – ამერიკელი დოქტორი, ქირურგი, მედიცინის მკვლევარი.

[71] (ჰოლანდ.) თვითმფრინავების ისეთი წყობა, როდესაც ისინი ერთმანეთს კუთხით (საფეხურებად) მისდევენ.

[72] ფრაზა ჯ. ქითსის (1795-1821) ნაწარმოებიდან «ოდები ბერძნულ ლარნაკებს».